780
1979/2

# ცისკარი

1979

6

ISSN 0134—9848





მერაბ ბერძენიშვილი. „დედა პატარა ბავშვით“. ტემპერა

# საუნჯე

საქართველოს მწერალთა კავშირი
მსოფლიო ლიტერატურის ორთვიური
ალმანახი

მხატვრული თარგმანისა და ლიტერატურულ
ურთიერთობათა მთავარი სარედაქციო
კოლეგია

6
(33)
ნოემბერი
დეკემბერი
1979

ეროვნული ბიბლიოთეკა

**შინაარსი**

ანა მარია მატუტე. ჯარისკაცები ტირიან ღამით. რომანი. ესპანურიდან თარგმნა ელზა ახვლედიანმა — 5

ფრანჩესკო პეტრარკა. ორი სონეტი. თარგმნა გივი გეგეჭკორმა — 96

უილიამ ფოლკნერი. როცა ღამდება. მოთხრობა. ინგლისურიდან თარგმნა ანა რატიანმა — 97

ევგენი ევტუშენკო. თოვლი ტოკიოში. პოემა. თარგმნა ანა იმედიძემ — 112

ფრენსის სკოტ ფიტცჯერალდი. ისევ ბაბილონი. მოთხრობა. ინგლისურიდან თარგმნა ვალენტინა ტატიშვილმა — 121

ანტიოქ კანტემირი. I სატირა. საკუთარი გონებისადმი. თარგმნა თენგიზ ბუაჩიძემ — 139

ივან ბუნინი. ღამე. მოთხრობა. თარგმნა მზია გელაშვილმა — 145

დიმიტრი პავლიჩკო. ლექსები. თარგმნა ჯემალ ინჯიამ — 154

გუნარ ცირულისი. სტუმარი წარსულიდან. რომანი. თარგმნა ნოდარ ხუნდაძემ — 156

გრიგორ გორინი. მე რექსი ვარ. მოთხრობა. თარგმნა ჯილდა გორდაძემ — 206

გრიგერ ფარულავა. ფერისცვალება პოეტური სიტყვისა — 219

მურმან თავდიშვილი. რაგლე ლაპარაკობს ჭეშმარიტ ქართულს — 225

ირინე ლოლობერიძე. ელექტრას მითი ჟან ჟიროდუს დრამატურგიაში — 227

ლერი ალიმონაკი. რეცენზიები — 232

მერაბ ბერძენიშვილი. — 50 — 238



მხატვარი: ტარიელ ვართაგავა

# ანა მარია მატუტე

## ჯარისკაცები ტირიან ღამით

ეროვნული ბიბლიოთეკა

**რომანი**

ესპანურიდან თარგმნა **ელზა ახვლედიანმა**

●

16.271

ჩვენი საუკუნის 60-იანი წლების ესპანური პროზის საუკეთესო წარმომადგენლების, ახლა უკვე სახელმოხვეჭილი მწერლების — ა. მ. მატუტეს, ხ. გოიტისოლოს, ხ. ლოპეს პაჩეკოს, ა. ლ. სალინასის და სხვათა ნაწარმოებებს ახასიათებთ ერთი საერთო ნიშან-თვისება: უფრო ღრმად ჩასწვდნენ მშობელი ხალხის გულისთქმას, მეტი ყურადღებით მოეკიდონ თანამედროვე ესპანეთის უმთავრესი სასიცოცხლო პრობლემების გადაწყვეტის საქმეს, უფრო მძაფრად აღიქვან სოციალური თუ ინდივიდუალურ-ფსიქოლოგიური კოლიზიები. მათ რომანებში, მოთხრობებსა თუ ნარკვევებში თანდათან იკვეთება „ახალი გმირი", „უბრალო" ესპანელები, ხალხის წიაღიდან გამოსული ადამიანები. დაღლილ და მორალურად გატეხილ რესპუბლიკელთა ადგილას მკვიდრდება სულით ძლიერი რევოლუციონერი ჯარისკაცი, რომლის გამოჩენაც ლიტერატურაში თვით ომის შემდგომი ესპანეთის ცხოვრებით იყო ნაკარნახევი. ასეთი ადამიანია სწორედ წინამდებარე რომანის გმირი ალეხანდრო სარკო.

თანამედროვე თვალსაჩინო ესპანელი მწერალი ქალის ანა მარია მატუტეს (დაიბადა 1926 წ.) რომანი „ჯარისკაცები ტირიან ღამით" მეორე წიგნია ტრილოგიისა, რომლის საერთო სათაურია „ვაჭრები" (პირველ წიგნს ჰქვია „ბავშვობის მოგონებები", მესამეს — „მახე"). როგორც თვით ავტორი აღნიშნავს, „სამივე წიგნი ერთმანეთისგან დამოუკიდებელ ნაწარმოებად იკითხება". წინამდებარე რომანი მნიშვნელოვანი შენაძენია არა მხოლოდ ესპანური, არამედ ბოლო წლების მსოფლიო პროგრესული ლიტერატურისთვისაც. რომანში მოქმედება იშლება 1934-39 წლებში მომხდარი ამბების ფონზე. ეს ის დროა, როცა ესპანელი კომუნისტები იბრძვიან თავიანთი ქვეყნის თავისუფლებისათვის, როცა ესპანეთში სამოქალაქო ომმა იფეთქა და ფრანკოს ჯალათები ცეცხლითა და მახვილით გაუსწორდნენ რესპუბლიკელებს.

გმირთა სასოწარკვეთამდე მისული ეჭვი, მათი სულიერი დეპრესია, აქა-იქ იმედის გამონათება, უნდობლობა და სულმოკლეობა, რაც ბოლოს ნებისყოფის უდიდესი დაძაბვით ითრგუნება, წარსულის მძიმე ტვირთი და მომავლისაკენ სწრაფვა — ეს ყველაფერი გადმოცემულია ოსტატურად შექმნილი, ზოგჯერ ზედმეტად გართულებული, თითქოსდა უადგილოდ მოტანილი, საერთო რიტმიდან „ამოვარდნილი" ფრაზებით. რომანის წყობა რთულია, თხრობა — დაძაბული და დრამატიზმით აღსავსე. მოქმედება ვითარდება არათანმიმდევრულად, წყვეტილად. ავტორი თხრობას ხშირად თავს ანებებს და გმირთა ფიქრებსა და მოგონებებს უთმობს ასპარეზს, შემდეგ კი კვანძს ხსნის რომელიმე დრამატულ „ამბავში".

მწერალმა ქალმა თავის რომანს ეპიგრაფად წარუმძღვარა იტალიელი პოეტის, ნობელის პრემიის ლაურეატის სალვატორე კვაზიმოდოს ტრაგიზმითა და ნაღველით სავსე ლექსი. თვით რომანის სათაურიც ამ ლექსიდან არის აღებული:

> არც მამამე ჯვარი, არც გოლგოთის ჩაქუჩი მძიმე
> და არც ბავშვობის უნაზესი მოგონებანი



ქ. მარქსის სახ. საქ.
სსრ. სახელმწიფო
რესპუბლიკური
ბიბლიოთეკა

არ კმარა იმის დასათრგუნად და მოსასპობად.
ჯარისკაცები ტირიან ღამით, სიკვდილის წინ.
და ამაყები, ძლიერები და ამტანები
კვლავ ეცემიან მშობლიური სიტყვების ფერხთით.
ყრმობის მინდვრებზე და ყანებში რომ უსწავლიათ.
ჯარისკაცები — მოძღოდინე მიჯნურთ მიჯნურნი
და მდუღარ ცრემლთა უსახელო ნაკადულები...[1]

ეროვნული ბიბლიოთეკა

მთარგმნელისაგან

# ნაწილი პირველი

## ქვიშა

### კაცი, რომელსაც ჯეზას ეძახდნენ

1934 წლის დამლევს, ერთ წვიმიან დღეს — მგონი, რომელიღაც დღესასწაულს ზეიმობდნენ — კუნძულზე[2] ჩავიდა კაცი, სახელად ალექსანდრო სარკო (მეგობრები, ნაცნობები და მტრებიც კი მას ჯეზას[3] ეძახდნენ). სარკოს ევალებოდა შეემოწმებინა პარტიის საქმიანობა, რომელიც დროთა განმავლობაში მოშვებულიყო ამ მხარეში. ჯეზა იყო მაღალი, გამხდარი, საოცრად გაჭაღარავებული ლურჯთვალა ყმაწვილი. კუნძულზე მხოლოდ სამ კაცს დაუახლოვდა: ჯოზე ტარონჯის და ძმებს — სიმეონსა და საკარიას. პარტიის საქმიანობის შემოწმების შემდეგ ჯეზას ყოველივე უნდა ეცნობებინა მადრიდში ცენტრალური კომიტეტისათვის, რათა იქ დაესახათ საბოლოო მოქმედების გეგმა. სულ რაღაც წელიწადნახევარში ომიც დაიწყო და ჯოზე ტარონჯი და ძმები სიმეონი და საკარიასი პირველსავე ნხრეკისას ჩავარდნენ. ჯეზამ ცენტრალურ კომიტეტს წერილი გაუგზავნა სამშობლოში მიმავალ ვიღაც ჰერბერტ ფრანცის ხელით: კომიტეტს რჩევასა და კავშირის აღდგენას სთხოვდა. მალე ალექსანდრო სარკოს მეკავშირეები გახდნენ მეზღვაურები, ცეცხლფარეშები, იტალიიდან მომავალი გემების სტიუარდები.

ალბათ რომელიმე მეკავშირეს პოლიცია ჩაუსაფრდა, ან იქნებ პორტის საგუშაგომ იმარჯვა (ბოლო დროს პორტში იკრიბებოდნენ), — ერთ დღეს ალექსანდრო სარკოც ჩავარდა. ზუსტად 1937 წლის 5 თებერვალს იგი დააპატიმრეს. მზე ჯერ ისევ ანათებდა და მეთევზეები ზღვაში გადიოდნენ ნავებით. ქალები ქვიშაზე ბადეებს შლიდნენ. წყალი იყო მძინარე მხეცივით წყნარი და მორჩილი.

## I

ყველაფერმა, რაც აქამდე აღელვებდა, ქვიშის წვიმასავით ისე გადაიარა, ერთი წინწკალიც არ დასცემია მას. ვაჟი გრძნობდა, მისი სხეული უსარგებლო ლოდივით ამძიმებდა მიწას. ფანჯრებს მიღმა მოდარაჯებული იყო შემოდგომა, ზაფხულს ფერი გასცლოდა, სინოტივე შესდგომოდა. შორს შენობათა კედლებს უხილავი ალი ლოკავდა.

[1] ლექსი თარგმნა ტარიელ ჭანტურიამ.

[2] იგულისხმება კუნძული მალიორკა.

[3] ჯ ე ზ ა — ალექსანდროს კნინობითი ფორმაა. იშვიათად ხმარობენ. კატალონიური საკუთარი სახელები წიგნში ისევე მოხსენიებული, როგორც კატალონელები წარმოთქვამენ.

— მიპასუხე, შვილო ჩემო, — გაიმეორა აბატმა.

მანუელმა მხოლოდ ახლა შეხედა მას.

— სათქმელი არაფერი მაქვს.

თვითონვე ეუცხოვა საკუთარი ხმა: ახლა უკვე იცოდა, თავისუფალი კაცი იყო, თანაც მოუხელთებელი სიმშვენიერე სუფევდაირგვლივ — ჩამოცვენილი ფოთლებივით შორეული და მივიწყებული. მანუელი თავის ბავშვობისდროინდელ მონასტერში იყო ისევ. მის წინაც კვლავ ის აბატი იდგა და ფანჯარაშიც იგივე ნაცრისფერი ცა ჩანდა.

— მანუელ, შვილო ჩემო... — აბატმა ყმაწვილს მხარზე ნელა შეახო ხელი.

მანუელმა ოდნავ მოაბრუნა თავი, აბატის ხელს შეხედა და უეცრივ აენთო. მრისხანება ქვიშის გრიგალივით მოედო მის სულს. აბატის წეღანდელი სიტყვები ჯერ ისევ კრთოდნენ მის თვალთა წინ და ცეცხლოვანი წერტილებივით დაფარფატებდნენ ჰაერში.

(ჯორჯე დე სონ მაჟორი მოკვდა. სიკვდილის წინ ანდერძი დატოვა. კანონიერ შვილად გაწამა, მთელი სახლი და ქონება შენ დაგიტოვა. მისი უკანასკნელი სურვილია დაკრძალვისას თავს ადგე მის ცხედარს. ჯორჯე დე სონ მაჟორმა ბოლოს და ბოლოს მოინანია თავისი შეცდომა.)

— მამაჩემი დიდი ხანია მოკლეს, — თქვა მანუელმა. — სხვა მეტი არაფერი ვიცი.

ღია ფანჯარას ყივილით ჩაუქროლა ორმა ჩიტმა. აბატი თითქოს შეკრთა.

— კი მაგრამ, შვილო ჩემო...

(მე დავინახე, ქვიშაზე ეგდო ტყვიებით დაცხრილული გვამი — საშინელი, შემზარავი მარიონეტი. უზარმაზარ ტიკანასავით, ურედურ ჯამბაზივით ეგდო ჩემ ფეხთით საცოდავი ჯოზე ტარონჟი, — ვინც მე თავისი გვარი მომცა, — და მიწას ჩაბღაოდა მდუმარე ყვედრებით. მე დავინახე მისი ნათრევი, ნაწამები გვამი. სიძულვილმაც ვერ უშველა, როცა კლავდნენ. ბოლო წუთს ისიც შედრკა. საბრალო ჯოზე ტარონჟი! მხეცურად, წამში გამოასალმეს სიცოცხლეს და სიძულვილმაც ვერ უშველა, როცა დევნით სულამოხდილ კურდღელივით ჩაემხო ქვიშაში. თვალწინ მიდგას მკვდარი ჯოზე ტარონჟი, მისი ღიად დარჩენილი პირი, შუშის თვალები, პერანგზე შემხმარი სისხლი. ის პირქვე ეგდო ქვიშაში, თითქოს ნავს შესთხოვდაო შველას. ვერა, ვერ დავივიწყებ მას.)

— მამაჩემი კარგა ხანია მოკლეს, — ჯიუტად გაიმეორა მანუელმა. ამჯერად ყმაწვილს თავისი ხმა სუსტი და მილეული მოეჩვენა. — ვერ გამიგია, კიდევ ვინ უნდა ვიტირო.

მანუელმა იგრძნო, როგორ დამძიმდა აბატის ხელი მის მხარზე. ისინი ახლაც ისე ისხდნენ ერთმანეთის პირისპირ, როგორც მრავალგზის მსხდარან წინათ ამ თეთრ სენაკში, ჩამავებული ჯვარცმის ქვეშ. (მანუელ, სენიორ დე სონ მაჟორმა პატივი დაგდო და წიგნები გამოგვიგზავნა. ღმერთს მადლობა უთხარი, ჩვენი კეთილი ბატონი ასე გულმოწყალედ რომ გვეპყრობა.) ურჩი, ბავშვური დამცინავი ღიმილი ბურთივით დახტოდა კედლიდან კედელზე.

— შენ კარგი ბიჭი იყავი, მანუელ. მუდამ მჯეროდა შენი.

მანუელი გულგრილი ცნობისწადილით შეაცქერდა აბატს (ამ კაცს არ ვიცნობ). პატარა სახე და ნაცრისფერი თვალები ჰქონდა. პირისახე დროის ნაკვალევს — ნაოჭებს დაეღარა, ღაბაბი საყელოში ეკარგებოდა.

— კოლონიაში რომ გამგზავნეთ, მაშინაც გჯეროდათ ჩემი?

— ყველანი ვცდილობთ სხვისი დანაშაული გამოვისყიდოთ, განსაკუთრე-

ბით რჩეულნი. განა აქ ცუდად გექცეოდნენ? ხომ გახსოვს, სწორედ აქ, ამ ადგილას, რა გითხარი: „უფალმა შენ ამოგირჩია, რათა მოინანიო ცოდვანი მიწისანი“. ჰო, მანუელ, შენ მუდამ კარგი ბიჭი იყავი.

(არა, ამ კაცს არ ვიცნობ. თეთრი სენაკი, ჯვარცმა, ღია ფანჯრის მიღმა ცარიელი ბუდეები — ყველაფერი ნაცნობია ჩემთვის, ამ კაცს კი არ ვიცნობ.) მანუელი გაერინდა, ჟივჟივებდნენ ჩიტები, სადღაც ჩხაოდა ბავშვი, ირგვლივ ნეშოს სუნი იდგა. (ჰო, მამაჩემი მოკლეს. საბრალო ჯოზე ტარონჯა. მხოლოდ სიკვდილის მერე მივხვდით, რა კაცი იყავი შენ.)

სექტემბრის უხილავი ალი ლოკავდა მონასტრის კედლებს, ფოთლებს კი ჯერაც არ გასცლოდათ ხავერდოვნება და ცოცხლობდნენ მიწის ყრუ მარადიული გუგუნით.

— ნამდვილ მამაზე გეუბნები, მანუელ. მადლობა ღმერთს, სიმართლე არ დაიკარგა. კოლონიიდან მე გამოგიხმე და დამიჯერე, იქ აღარ დაბრუნდები. ახლა შენ შენი გვარის ღირსეული გამგრძელებელი უნდა გახდე...

მანუელის სიცილმა აბატს სიტყვა გაუწყვიტა.

— მამაჩემი თავისსავე სახლიკაცებმა, ძმებმა ტარონჯებმა მოკლეს. ჯოზე ტარონჯა იყო ჩემი მამა, ასე ინება ღმერთმა. მე იგი დონია პრაქსედესის ნავთან ვიპოვე და შინ რის ვაი-ვაგლახით მივათრიე. დედაჩემმა გაბანა და გააპატიოსნა. მეორე დღეს ჩვენ ორმა დავმარხეთ იგი შორს, განმარტოებით, რათა არავინ შეგვეწუხებინა.

აბატმა თვალები დახუჭა და ხელები მუცელზე გადაიჯვარედინა, ცხვირის ნესტოები ოდნავ უთრთოდა.

— წავიდეთ, მანუელ, გარეთ ქალი გელოდება. ხომ იცი, ქალებს აქ შემოსვლა ეკრძალებათ. ჰოდა, მიდი, შეიბრალე იგი.

(ქალი.) მანუელმა არ იცოდა, როდის დაებადა ეს გრძნობა — იქნებ მაშინ საშოში რომ შეინძრა პირველად, ან იქნებ ახლა, აბატმა რომ უთხრა, „შეიბრალეო“? სიძულვილმა აღავსო მისი არსება, ბნელმა, უძველესმა და იდუმალმა სიძულვილმა (ალბათ მიწასაც სძულს ხე და ბილახი, მას რომ სწუწნიან და ძიძგნიან, თუმცა იგია მათთვის სიცოცხლის მიმნიჭებელი). ჩუმი და უბოროტო წყენა ნელ-ნელა ეძალებოდა მანუელს. რამდენჯერ უნახავს, როგორ დასცვივნია ხეებს ფოთლები და ბებერი ქერქი. თავადაც ასე ნელა და შეუბრალებლად ცდილობდა განეგდო საკუთარი არსებიდან თავისი გულუბრყვილო ბავშვობა, როგორც ერთი რამ სიზმარი ავი. (ეს წყნარი და უბოროტო წყენა არის ალბათ სათავე იმ სიყვარულისა და სიძულვილისა, რაიც ასე დაუსრულებლად, მოჯადოებულივით არსებობს ვარსკვლავებსა და ბილახს შორის.) მანუელს მუნათი არ ეთქმოდა ამ ქალისა, ეს ქალი თავად მანუელი იყო, მანუელის სისხლი და ხორცი იყო, მანუელის სულის შემაშფოთებელი საყვედური იყო. (სულაც არა ვარ კარგი ბიჭი, ერთი გზააბნეული და ურჩი ბიჭი ვარ. ჩემთვის არ არსებობს დარდი, სიხარული, კანონი, ამაგი. არც ლაპარაკი მეხერხება აქაური პრანჭია ხალხივით. სულაც არა ვარ კარგი ვინმე — მეამბოხე ვარ. ვერ ავიტანე სიცრუე და ძალადობა, რის უკანაც ასე გულდაგულ იჩქმალება დანაშაული, შერცხვენა და ვაება ამა ქვეყნისა. სულაც არა ვარ-მეთქი კარგი ბიჭი, თავხედი ქომაგი, უტიფარი გამომჟღავნებელი ვარ ჭეშმარიტებისა.) მანუელს კარგა ხანია არ უტირია, საერთოდ არ უტირია. (ერთხელ ვიტირე. გახსოვს, ნამგალები მოფრინდნენ და ჭყივილით ჩამოსხდნენ ღია კართან. რას ჭყიოდნენ? — ცხოვრება იღვიძებსო. მე კი, ათი წლის ბიჭს, არაფერი გამეგებოდა, მხოლოდ წივ-

ნებში ვკითხულობდი იმ „ნამდვილ ცხოვრებაზე“, იქ, მონასტრის კედლებს მიღმა რომ ჩქეფდა. შავ ანაფორაში გახვეულს ბიჭები დამცინოდნენ, ჟოლოსავით წითური ხარო. წინამძღვარმა დამამშვიდა, ქრისტეც წითური იყოო. ბიჭებმა ხმა ჩაიგდეს, მე კი მეტად არ მწყენოდა, გავიბღინძე და ბუშტივით გაბერილმა ზეცას მივაპყრე თავი. უჭკუო, ცანცარა თევზივით გადავყლაპე მისატყუებელი ჭია.) მანუელმა აბატს შეხედა; აქამდე მხოლოდ ამ კაცისა სწამდა ყველაზე მეტად ამქვეყნად, ახლა კი... დამდგარა და მამის სიკვდილზე ელაპარაკება. სიკვდილზე! (არა, არავისი არ უნდა სჯეროდეს, არც წმინდანებისა, არც სულით გლახაკისა, არც ბავშვებისა, ჭასთან რომ კენჭაობენ ან უბოროტოდ თამაშობენ ომობანას და ყოველ მათგანს უცნობი გამარჯვების წყურვილი კლავს. არავისი არ უნდა დაეჯერო, თუნდაც მთელი სიცოცხლე „ნამდვილ ცხოვრებაზე“, მშვიდობასა და სიყვარულზე ქადაგებდეს. სიყვარულზე? რომელ სიყვარულზე?) ირგვლივ ყველაფერი ცეცხლმოდებული, გავარვარებული იყო, ყველაფერი ქვიშის წვიმად იქცა. მოდიოდა და მოდიოდა ქვიშის წვიმა, ფეხქვეშ ხრაშუნობდა, ფეხს არ წვავდა, არც ასველებდა, არც კვალს იტოვებდა. ქვიშა ქვიშას უბრუნდებოდა, გაკვირვებული ეფინებოდა მიწას, ისიც ულმობლად ისრუტავდა და ნთქავდა მას. (აბატი ამბობდა, სიკვდილი მკვდრეთით აღდგომას ნიშნავსო. მე კი არაფერი გამეგებოდა სიკვდილ-სიცოცხლისა. მე მხოლოდ ის ვიცოდი, მონისავით მომეხარა ქედი ჯოზე ტარონჯის — რომელსაც არ ვუყვარდი, — დედაჩემისა და ჩემი და-ძმის ტომეუსა და მარიას წინაშე. მაშ, რაღა უნდა ყოფილიყო ჩემთვის სიკვდილი და მკვდრეთით აღდგომა? იქნებ ოქროსფერი ჩრდილები ნაცრისფერ დედამიწაზე, რომელიც ხეთა ფესვებსა და ციცინათელებით დაწინწკლული ბალახის ძირებს ღეღავს? მონასტრის ეზოში ნოტიო ფოთლებში ჩამალული წყარო მოჩქეფდა, წინამძღვარი კი მეუბნებოდა, მანუელ, სიკვდილი მკვდრეთით აღდგომას ნიშნავსო. აღდგომა დღეს საზეიმოდ გუგუნებდნენ ზარები, აპრილის ნიავზე მსუბუქად ფრიალებდა ბერთა სამოსი. წინამძღვარს ხელთ დაფნის ტოტები ეპყრა და ყველას რიგრიგობით გვკოცნიდა შუბლზე: „ქრისტე აღსდგა“. გაზაფხულის სურნელი ეძალებოდა ირგვლივ ყოველივეს. ბერი მებაღე ჩამოცვენილ ფოთლებს ხვეტდა. ჰაერში კვლავ ეკიდა ახლახან გადავლილი ქუხილის ყრუ გამოძახილი. შავ ანაფორაში გახვეულ პატარა ბიჭებს ასე გვეგონა, უზარმაზარი თეთრი ელვა, სულ ახლახან რომ გახლიჩა ზეცა, მიწაში ჩაიმალა, და, ქუხილად ქცეული ახლა ჩვენს შიშველ ფეხთა ქვეშ, მონასტრის ბაღის ქვეშ მიგორავდა და მიგორავდა გრუხუნით, რათა შემდეგ ზღვასა და კლდეებში ჩაკარგულიყო. გაზაფხული მზეზე დაყრილი კირივით ელავდა უხვად და წარმტაცად. სავანეს ჩვენსას დარიჩინის სურნელი ასდიოდა იმ სააღდგომო ნამცხვარივით, ღარიბთა შვილებს რომ გვირიგებდნენ პატარა თეფშებზე. ჩვენ ის ბავშვები ვიყავით, სწავლა-განათლების საფასურად თავგადაპარსული და სახეგამოთაყვანებული რომ დავბორიალობდით მონასტრის ეზოსა თუ დერეფნებში. რაღაც უძველესი და იდუმალი მოჰქონდა შუა ეზოში მორაკრაკე წყაროს და გვგონებოდა, მთელ ამ გარემოს — საკმეველივით ტკბილსა და მაბრუებელს — სადაცაა დედამიწის გულივით სიდამპლის სუნი შეუდგებაო. იდგა გაზაფხული და მეცადინეობის მერე შემეძლო წიგნებს ჩავჯდომოდი. წიგნებს ის მიგზავნიდა. თავად მოგზაურობა იტაცებდა და მეც მოგზაურთა წიგნებს მიგზავნიდა, თან რუკებსაც მოაყოლებდა ხოლმე. „ხომ ხედავ, გამორჩეული ჰყავხარ, ეცადე, შენც სამაგიერო პატივი მიაგო მას“. სულს მიფორიაქებდა წიგნებში ამოკითხული: გაღმა ნაპირიდან როგორ მოჰქონდათ ათასნაირი სანელებლები, როგორ დაჰქროდნენ ხომალდები სტომაქგაუმაძღარ მოლაპლაპე ზღვაში. მონასტრის კედლებს მიღმა ცხოვრება ბებერ ძროხასავით ბღაოდა. შავ ჯვალოში გახვეული პატარა ბიჭი ათასგზის ვიმეორებდი: „მკვდრეთით აღდგომა დიდებაა, სიკვდილი სიცოცხლეა“.)

მანუელი წამოდგა. (რად არ მცილდება ბავშვობის მოგონება? ბავშვობა და სიხა-

რულის ჟამი ხომ განუყრელნი არიან? მე მხოლოდ უდაბნოს ვხედავ, ნაკვალევს ვხედავ ქვიშაზე, სულ მალე ქარი რომ წაშლის სამარადჟამოდ.)

— კოლონიაში რომ წაგიყვანეს, — წამოიწყო აბატმა, — მაშინვე გულმა რეჩხი მიყო, რაღაც საშინელი მოხდა, ისეთი საშინელი, რის წინაშე მეც უძლური ვიყავი. მანუელ, შვილო ჩემო, უფლის გზა ძნელზე ძნელია, ბნელ-ხათელით არის მოცული. საბრალო მოკვდავნი ამას ვერასდროს ვიგებთ.

კვლავ ეს ხმა მესმის, ეს აზრები, კვლავ ნაცნობ მოძრაობას ვხედავ (ყველაფერი მოძველდა, გახუნდა).

ირგვლივ ქვიშაა და არარაობა.

— ჩადი ქვემოთ, — თქვა აბატმა. — ჭიშკარს გადაღმა, გალავანთან დედაშენი გელოდება. შეიბრალე ის უბედური, მანუელ.

## II

შავ კაბასა და თავსაფარში გამოწყობილ ქალს წლები დაჩნეოდა (მის სილამაზეს ყავლი გასვლოდა, ძვირად კი დაუჯდა საკუთარი სილამაზე!) თავგადაპარსულს, ვინ იცის, როდისღა ამოუვა წინანდებურად მშვენიერი თმა.

(დედაკაცები მოედანზე მიათრევდნენ მას. „ერთი უყურეთ, როგორ გაიბღინძა!“ არ მახსოვს ეს ქალი ოდესმე გაბღენძილი მენახოს. ცხადლივ დამიდგა თვალწინ, შეუბრალებელ მზეზე როგორ ელავდნენ მისი მომწვანო-მონაცრისფრო თვალები და შიშისაგან გამოთაყვანებულ სახეზე როგორ მიხდოდა ფერი. მზე უმოწყალოდ ხრუკავდა ადამიანსა და ბალახს.)

ის იჯდა გალავანთან, ხის გრძელ სკამზე. მიწურული ზაფხულის მზის სხივი დაჰფენოდა მხრებზე. ეს სკამი გლეხებმა დადგეს. მთის სოფლებიდან ურმებით ჩამოსულნი ლოცვით გულს რომ მოიოხებდნენ, მერე აქ ჩამოსხდებოდნენ ხოლმე, წასვლისას კი მინდორს დამსხვრეული ბოთლებით, ხელოვნური ვარდებითა და ქონიანი ქაღალდებით მოფენილს ტოვებდნენ. ქალს ხელები მუხლებზე დაეწყო და მიწას ჩასცქეროდა.

(შობის დღესასწაულზე შინ რომ მივდიოდი, ის მუდამ ნუშისა და ზეთისხილის ხეებით მოლამაზებულ ზღვისპირა პატარა გორაკზე მელოდა. ჩვენი სახლი სწორედ იმ გორაკზე იდგა. უცნაური, სოფლური ლაპარაკი იცოდა: ჩემო საუნჯეო, ჩემო გზააბნეულო კრავოო; თან ოდნავ იღიმებოდა, თვალებით იღიმებოდა. იდგა ზამთრის შუქში გახვეული, ჩაშავებულ, გაშიშვლებულ ხეებში, არც ჩიტები დაფრენდნენ თავს, არც აწვიმდა. გულში მიკრავდა, მკოცნიდა. კაბას მატყლის სუნი ასდიოდა, სახეს მიხებდა და რაღაც მემართებოდა. მრცხვენოდა, ალერსის წილ ალერსითვე რომ ვერ ვუხარებდი გულს. არ ვიცოდი, როგორ მოვქცეულიყავი. არც ახლა ვიცი! მონასტერში წყნარ, განმარტოებულ ცხოვრებას მივეჩვიე. აქ კი ის მელოდა და თანაც როგორ მელოდა! რაღას არ გამომიჩენდა ხოლმე საშობაო არდადეგებზე ჩასულს. გადამალულ ხილს გულდაგულ დამითლიდა, დამიჭრიდა, თან ენად გაიკრიფებოდა: „აი, ეს ნაჭერი ჩემი პაწია ბერისა... კეთილია ჩემი ბიჭი, ჩვენს ცოდვებს ინანიებს“. არაფერი გამეგებოდა მისი უცნაური სიტყვებისა, თეთრ შუბლს ზემოთ კოცონივით დანთებულ მის მშვენიერ ჟღალ თმას შევცქეროდი გაოცებული. ხმაც განსაკუთრებული ჰქონდა და პეპელას ოქროსფერ ფრთებსავით მოფახული გრძელი წამწამებიც. სულაც არ ჰგავდა სხვა ქალებს. ყველაფერი გამორჩეული ჰქონდა: წითური წამწამები, ღია ფერის თვალები, პაწია, მარჯვე ხელები, ქალაქელი ქალივით ვარდისფერი ფრჩხილები. ჰო, იმ დღეს სოფლელი დედაკაცები მიათრევდნენ-მეთქი მოედანზე. „ერთი უყურეთ, როგორ გაიბღინძა!“ ვერ

დავიჯერებ! ის ხომ შენ ყურძენს, სექტემბრის ლოყაწითელ ვაშლებს მიკრეფდა! იქნებ სოფლელებს მისი უცნაური ლაპარაკისა არა ესმოდათ რა და გაგულისდნენ? დასაკლავ თხასავით მიათრევდნენ მოედანზე, მცხუნვარე მზის გულზე, მტვრიან ქვებზე. ჭიკაფ-ჭიკაფში შეხსნილი გასძვრა და გახეული წინდიდან უაზრო, სასაცილო თეთრი თითი გამოუჩნდა. პირიდან სისხლი სდიოდა. აქაქანებულმა მჭედლის ცოლმა შემოჰკრა სახეში: „ამისთანებს ასე უნდა მოექცე!“ ის კი ბორძიკობდა, იმედგადაწურული არც ბრაზობდა, აღარც ეშინოდა რაიმესი, ჭიუტ და უწყინარ პირუტყვივით მიაბიჯებდა მეტისმეტად ლამაზი და მშვენიერი. ბავშვებმა ყვირილით მოირბინეს ჩემთან: „მალენეს საცემრად მიათრევენ ქალები!“ მოედნისაკენ გავქანდი და დავინახე იგი შორსან, გამხეცებულ დედაკაცებს შორის. მჭედელმა ხელი ჩამავლო და თავისკენ მიმიზიდა, მის წინსაფარს ტყავის სუნი ასდიოდა. მერე მუცელზე ხელი მომაჭირა და კედელს მიმაკრა: „სად მიხვალ, ბიჭუნი? დედაკაცებმა იციან თავიანთი საქმე. შესდექი-მეთქი! შემომხედე, ხომ ვარ კაცი, ჰოდა, კაცი რომ ვარ, ქალების საქმეშიც იმიტომ არ ვერევი. გაჩუმდი-მეთქი...“ მჭედელი ხელს არ მიშვებდა, და უეცრივ დავინახე, როგორ გაკრთა მის თვალებში ველური, სასოწარკვეთილი, სიძულვილივით სადღაც შორი სიღრმიდან ამოზიდული უსაშველოდ დიდი ნაღველი. ასეთ ნაღველს გაძლება არ უნდა? იქ კი მოედანზე მას თავსაფარი მოგლიჯეს და თმა ჩამოუშალეს. რამდენჯერ მინახავს პატარაობისას, როგორ იწნავდა თავის მშვენიერ თმას. საწოლში წამომჯდარი თვალგაფაციცებული შევყურებდი, რა ნებიერად ივარცხნიდა. ალბათ ჩიტებიც ასე სათუთად დაჰფუსფუსებენ სახლის სახურავქვეშ ახლახან მიშენებულ თავიანთ ბუდეს. „შეიბრალე ის უბედური“, — უთხრა აბატმა. რომ შეეიბრალო, მის გაოცებას საზღვარი არ ექნება: ის ხომ არასდროს არავის შეებრალებია!

დედაკაცებმა მართლაც დედაკაცური შეუბრალებელი მხიარულებითა და ყაყანით წამოაჩოჩეს თავიანთი მსხვერპლი. საიდანღაც ცხვრის საკრეჭი მაკრატელი მოარბენინეს. იქვე ორი გოგონაც გაჩნდა. ერთს მარჟელიდა ერქვა. სქელი, კუპრივით შავი თმა მხრებზე ეფინა. თორმეტი თუ თოთხმეტი წლისას თვალები ხარბად, ცნობისწადილით უელავდა, მოუსვენრად ცმუკავდა, პატარა მკერდი უსირცხვილოდ გამოკვეთოდა ვიწრო კოფთაში. მეორე გოგო მასზე უმცროსი იყო და ლეკვივით დასდევდა კუდში. ორივენი ისე ჩუოდნენ, კაცს ეგონებოდა, დანას ლესავენო ქვაზე. მალე გოგოებმა ხელში ჩაიბღუჯეს ოქროსფერი ბაფთები — იმ ქალის თმა, ვის შებრალებასაც მთხოვდნენ ახლა. მზის შუქზე ნაწნავები ოქროსფრად მოელვარე ბაფთებს ჰგავდნენ. ღმერთო, საწოლში წამომჯდარ სამი თუ ოთხი წლის ბიჭს რამდენჯერ დამინახავს, კამოდზე შედგმული დაბინდული სარკის წინ როგორ იწნავდა იგი თავის მშვენიერ თმას. ბავშვებმა მაშინვე გააქანეს კოცონივით დანთებული ნაწნავები. მე კი კვლავ თვალწინ მედგა, როგორ იგრაგნავდა იგი კეფაზე თმას, ვხედავდი მორიალე ოქროსფერ მტვერს და კბილებში გაჩრილ თმის სარჭებს. ო, როგორ მეშინოდა სარჭები არ გადასცდენოდა ყელში! მარადიული მზე დაგვნათოდა, ოღონდ ახლა თვადაც დედაკაცად ქცეულიყო, სიხარბეს შეეპყრო და მოედანზე მოყვანილ ბოროტი ქალებივით მასაც სისხლი სწყუროდა. „უცოდველი არავინ არის, — გვეუბნებოდა წინამძღვარი, — წმინდანთა შორის უწმინდესიც კი დღეში შვიდჯერ მაინც ცოდავს“. მე კი, ჯვალოში გახვეული ბიჭი, ბაღჩაში მებოსტნეს ვეხმარებოდი და უკვე მერამდენედ ვიმეორებდი: „არავინაც არ არის ცოდვილი“. პატარა, მოუქნელი ბიჭი, ეშმაკსავით თუ ქრისტესავით წითური — ვისაც როგორ უნდოდა, ისე მეძახდა — ბოსტნეულის ალებაში ვეხმარებოდი მებოსტნეს და აღტაცებული შევცქეროდი წინამძღვრის ეზოში თეთრად მოელვარე გარდენიებს, მერე ლეკვივით დავედევნებოდი ფუტკარს ან პეპელას, ან ბალახში ვარსკვლავებივით მიმობნეულ ვერცხლისფერ ქაღალდებს (მლოცველებს რომ დაეტოვებინათ) ვაგროვებდი და ვყვიროდი! „გარდენიები გაიშალნენ, გარდენიები დაიბადნენ, მამა!“ — ორივე ხელით ჩავეჭიდებოდი მწვანე მოაჯირს და მესმოდა, ხმადაგუდული ზარივით როგორ რეკდა ჩემი გული. „არავინაც არ არის ცოდვილი“, — ვიმეორებდი მე და ჩემ უკან

ბერი მერისტნის ტლანქ, დამაშრულ ფეხებს ვხედავდი. ჩემს კალათაში მწვანედ ხასხასებდა ოხრახუში, წითლად ღუოდა პამიდორი, ცეცხლი ეკიდა სტაფილოს. მიწა კი რაღაც განსაკუთრებული ფერისა იყო, წივნივით იდუმალი და მომნუსხავი. ტანჯვითა და ვაებით პირთამდე სავსე ქვეყნიერებას მაინც ლამაზი ფერი ედო: ტანჯვა-ვაებასაც ხომ მაშინ საკმევლის სიტკბო ჰქონდა. წინამძღვარი გვეუბნებოდა: „გაიგეთ ყველამ, ტანჯვა სიკეთეა, სამყაროს ქერქი მხოლოდ პატივმოყვარეობამ გააუხეშა“. იქ კი, მოედანზე, როგორც იქნა, ქალს თავი მოაჭრეს. კარგა ხანს იყო იგი დაჩოქილი, ნაცემი და თმაშეკორტნილი. აქა-იქ უგულოდ მოთიბული ბალახივით ამოშვერილიყო ოდესღაც მშვენიერი თმა. მჭედელმა ხელი მიშვა: „აბა, ახლა შინ წადი. დამიჯერე, უკეთა ხარ. შინ წადი, შვილო“. მჭედელმა შვილი მიწოდა ტყვიით დაცხრილული ჯოხზე ტარონჯივით, წინამძღვარიც ასე მომმართავდა და ის საბრალო ქალიც, აგერ ახლა მძიმედ რომ წამოდგა და აკანკალებული ხელი შიშველი კეფისაკენ გააპარა. ჯორჯე დე სონ მაიორს „შვილოო“ არასდროს უთქვამს ჩემთვის, ახლა კი ნეტავ რაში დასჭირდა? რა გვაქვს საერთო? ნეტავ რა არის, იმქვეყნიდან ასე რომ მოიწევს ჩემკენ და ყელში წაჭერილი ყულფივით მახრჩობს?)

მალენე ლელვის ძირში იჯდა, ჩამავალი მზის შუქში გახვეული.

— დედა! — დაუძახა მანუელმა.

ქალი მოკრძალებით წამოდგა. მარჯვენა ხელში ცხვირსახოცი ჩაებღუჯა. თეთრი ცხვირსახოცის ცალი ბოლო სველ ფრთასავით ეკიდა გრძლად. ამის დანახვაზე მანუელს რატომღაც თავისი ბავშვობა და კლდეზე წამომდგარი სახლი გაახსენდა. უსიტყვოდ მოეხვია დედას. ქალმა შვილს თავზე გადაუსვა ხელი, შუბლიდან თმა გადაუწია.

— კარგადა ხარ?

— ჰო, კარგადა ვარ.

— წერილს არ გწერდი. თავს არ ვიმართლებ. იმედიც არ მქონდა, შენამდე თუ მოაღწევდა. თანაც ხომ იცი... ნასწავლი არ ვარ, ზედმეტებს მოვჩმახავდი, ისიც იცი, დაფარვაც არ შემიძლია რაიმესი, ჰოდა, არ გწერდი...

დანაოჭებულ სახეზე თვალები გოგონასავით უელავდა. მანუელს აღიზიანებდა ეს თვალები, მათი მოჩვენებითი მიამიტობა. სნებასავით შეჰყროდა ქალს სიმტკიცე და ამტანობა, საქვეყნოდ შეურაცხყოფას ვერ მოედრიკა, ვერ გაებოროტებინა.

— კარგი, დედა, ეგრე ჯობს. მეც არაფრის გაგება არ მსურდა.

ქალმა ცხვირსახოცი დაჭმუჭნა და სხაპასხუპით თქვა:

— მანუელ, ჩვენ ერთხელაც არ დაგვიძრავს სიტყვა იმ ამბავზე, მაგრამ შენ ხომ ისედაც ყველაფერი იცოდი.

მანუელმა ხეთა კენწეროებზე და მონასტრის მწვანე გუმბათზე დასვენებულ ცას ახედა.

— რა ვიცოდი, დედა, ჯოზე რომ მამა არ იყო ჩემი? რომ მე ჯორჯე დე სონ მაიორის შვილი ვარ?

ქალი შეკრთა: მანუელი ასე არასდროს დალაპარაკებია დედას.

— თვითონ აღიარა, — წაიბუტბუტა ქალმა.

— დედა, ნუთუ არ გახსოვს, ნუთუ დაგავიწყდა, მე მოგიყვანე მკვდარი ჯოზე ტარონჯი და ერთად დავმარხეთ მე და შენ.

მალენემ ხელი ასწია, უნდოდა შვილისათვის პირზე აეფარებინა. წვრილი ნაოჭები დაასხდა ტუჩის კუთხეში.

— გაჩუმდი, შვილო... დაეთანხმე... დაივიწყე, რაც თავს გადაგხდა.

მანუელმა უცებ იგრძნო, არ უყვარდა დედა (არც დედა, არც [illegible] და არც ის გარდენიები, რომელთა გაფურჩქვნის მოლოდინშიც ძალა [illegible]) მანუელს არავინ და არაფერი უყვარდა ამქვეყნად.

— არც არაფერი გადამხდენია თავს, — თქვა მან.

(არც არაფერი გადამხდენია თავს. ერთხელ იყო და სულ პატარას მეუწყეს აი, ეს კაცი შენი მამაო. ერთ დღესაც მოკლეს ეს მამა. მეორედ იყო და ვიღაც კაცმა მსახური გამოუგზავნა: „ვახელი მოხუცს. შენ მას უყვარხარ, დაივიწყე მშობლები, და-ძმა. ისინი შენი ღვიძლები არ არიან. ზურგი აქციე ყველაფერს, მოხუცს შენ სჭირდები. შენი ალერსი უნდა, გახალისება უნდა“. ალბათ ეს არის „რაც თავს გადამხდა“. კარგი ბიჭი ვიყავი, ახლაც მეუბნებოდნენ ყველანი: „შენ მეტისმეტად კარგი ბიჭი ხარ“. სამაგიეროდ უდანაშაულოდ დამსაჯეს, კოლონიაში გამგზავნეს. მე ხომ იმათი ჯურისა არ ვიყავი! ახლა კი მეუბნებიან, ეს კაცი შენი მამა არ არის, არც ისინი არიან შენი და-ძმა, არარც ის ოჯახია შენი, თითქოსდაც შენმა კეთილისმყოფელმა ბატონმა შენად ჩრომ ბრძანათ. ახლა ჩემი ოჯახი ყოფილა გვამი იმ კაცისა, თავისი მსახური რომ შემომიჩინა ეშმასავით. „მშობლები შენიანები, წამოდი ჩემს ბატონთან, მასთან იცხოვრე, მას უყვარხარ“. თან მოაყოლებდა ხოლმე წიგნებს, საჩუქრებს, ოცნებებს მოგზაურობაზე. უნდოდა, ჩემიანები შემეტოვებინა, ზურგი შექცია მათთვის. არც არაფერი გადამხდენია თავს, წარსული არ მაქვს. წარსული არ ეთქმის იმ სისაძაგლეს, გრძელს, შავსა და ასეთხა ნუხლუხოს.)

— დედა, არაფერი არ მინდა. მე არარა ვარ.

— შვილო, შენი ლაპარაკისა წინათაც არაფერი გამეგებოდა... ღმერთმანი, ბევრჯერ მიფიქრია, ჩემი ბიჭი რაღაც ჩვენებურად ვერ ლაპარაკობს-მეთქი. იქნებ მეტისმეტი სწავლის ბრალია... ახლაც არა მესმის რა... სიღარიბეში სული გვხდება, მანუელ, ბავშვებს რა ვაჭამო, არ ვიცი...

უცებ ალი გაქრა და მანუელმა იგრძნო, კვლავ მარტოდ დარჩა მთელ ქვეყანაზე. მისთვის ახლა სულ ერთი იყო ყველაფერი.

— კარგი, დედა, — ყრუდ თქვა მან. — როგორც გინდა, ისე მოიქეცი.

ქალმა გულში ჩაიკრა შვილი, ატირდა, ასლუკუნდა (შეჰყურებ მას და ისევე მაოცებს, როგორც ლელვის ფოთოლი ან ფერი ცისა):

— ახლა კი ნამდვილად ჩემი შვილი, ჩემი მანუელი ხარ.

III

შუაში, მაღალზე, საჩინო ადგილას დაედგათ ის — გრძელი და შავი, საზეიმო და ვერაგი, ვიწრო და ურჩი. ირგვლივ კი ოქრო ბზინავდა; მკრთალი, ხელოვნური მზეები მთრთოლვარე აბლაბუდასავით მოსდებოდნენ სიბნელეს. აქ ნადიმივით დიდებული სიკვდილი გამეფებულიყო და ამ ნადიმზე მოეწვიათ ყველა.

საკურთხევლის წინ, შუაში მიეჩინათ მისთვის გამოსარჩევი და ლამაზი ადგილი. თორმეტ უზარმაზარ მოჩუქურთმებულ შანდალში სანთლების ალი პარპალებდა. (მარინე, სანამო, რად არ ჩანხართ, რად არ ამშვენებთ ამ ნადიმს? არ მოგიწვიეს? თქვენ ხომ სიკვდილამდე მისი ერთგულნი იყავით! სად არის საყვარელი — ქარისაგან მომთ-

ფანტული სამარის მტვერი? საითკენ მიიწევს ჩამწვარი სიყვარულის კვამლი? მარიან, სანამდე, მხოლოდ თქვენ გიყვარდათ ეგი და სწორედ თქვენი ადგილი არ აღმოჩნდა მის უკანასკნელ საქორწილო ნადიმზე. თქვენს ბატონს ქორწილი აქვს; ბოლოს და ბოლოს იპოვა ღირსეული საცოლე უცოლოდ გადაბერებულმა კაცმა. ცბიერო მოხუცებო, რას აღარ მიამბობდით მასზე! გათამამებდათ ჩემი დუმილი, რაიც ძაღლის საყელოსავით წამწირებოდა [illegible] ყელზე. წყეულიმც იყავით ყველანი, თქვენც და ისიც, იმ ამბებისათვის, კუნძულებისათვის, ხომალდებისათვის!) უცებ ზემოდან ქარმა წამოუბერა, ატირდა, აშარიშურდა (ამბობენ, ღვთისმშობელ მარიამის ეკლესია ორღანით არის გამორჩეულიო), ცეცხლი მოედო ყოველივეს, მერე აცივდა (როდის, როდის დამეხსნებიან ეს კუნძულები, მონასტერი და ბავშვობის მოგონებები?). ორღანის ლითონის მილი ჯერ ნელა ათრთოლდა, მერე ისე აზოზოქრდა, თითქოს ბნელეთიდან მოვარდნილი ქარიშხალი დაატყდაო ზღვასა და ხმელეთს. ფერად ვიტრაჟებზე გამოსახული წმინდა გიორგი და მარტვილნიც კი შეაკრთო ამ გასაოცარმა არაამქვეყნიურმა, სულ სხვა სამყაროდან მოვარდნილმა ხმამ (სწორედ იმ სამყაროსკენ ვისწრაფვით ყველანი მონასტრის ქვის ხომალდით. იგი უკვალოდ მიჰქრის, მისი გზა ბნელეთში გადის და ჩვენც შავ დროშასავით ვარხევთ მოუსავლეთს. კი მაგრამ, ის თავად სად არის, ვინც მონასტერში საიდუმლოებებსა და წიგნებს მიგზავნიდა? სად არის თავად ის — ფლიდი, ზვიადი, შორეული და მისი ეზოს გალავანთან მზის გულზე მდგარ პალმებივით გულგრილი კაცი? ჯორჯე დე სონ მაჟორი ახლა კი არა, კარგა ხანია მოკვდა; „დელფინი" რომ დაიწვა, მაშინ მოკვდა. ახლა ის მიწას უბრუნდება მკვდარი ცხოველივით, პეპელასავით, მერცხალსა და ყაყაჩოსავით. მიწას უბრუნდება ხორციელი და კურთხეული სიკვდილივით, რაიც კვებავს ჩვენ ფეხთაქვეშ გაფენილ იმავ მიწასა და სიცოცხლეს. ამ ტაძარივით მიწაც დაუსრულებს დიდებისა და მშვენიერების ნამსხვრევებს. ნეტავ ვინ აღმართა, ვისი ბრძანებითა და სურვილით აღიმართა ეს კედლები და დამშვენდა ფერად-ფერადი მინებით? ჩემ უკან ლოცვას ბუტბუტებენ ქალები და კაცები, ისინი, ვინაც სიცოცხლეს გამოასალმეს, მიწასთან გაასწორეს საკუთარი ძმები. დაზოქილან და ფიქრობენ თავიანთ საქმეებზე, საზრუნავზე, იქნებ საკუთარ სიკვდილზეც კი, რაიც მალე ეწვევათ, ან ეწვიათ კიდეც.) ქარი ბორგავდა მაღლა, მათ თავებს ზემოთ. ბორგავდა, ეხლებოდა, ანჯღრევდა სიზარმაცესა და სიმხდალეში, უსაქმურობასა და გულხარბობაში ჩაფლულთ.

მანუელმა დაიჩოქა (ასე დაჩოქილმა გაატარა მთელი ცხოვრება საბრალო ჯოზე ტარონჯიმ.) რბილ ხავერდში ჩაეფლო მუხლი. საიდანღაც გამოჩნდა მოოქრული სამი ქანდაკება, სამი მშვენიერი და სახეკუშტი ქანდაკება. ნელა, უხმაუროდ მოაბიჯებდნენ ისინი. სამივე ბიჭი ალქაჯივით მოერთოთ და მოეკაზმათ: შავი ხავერდის სამოსი ეცვათ, ოქროს ფუნჯიანი კაპიშონები მხრებზე გადაეგდოთ. საცეცხლურებს აქნევდნენ თაღიდან მოვარდნილ ქარის ტაქტზე. მიმქრალი ყვავილების ნაცნობი ტკბილსურნელება მიელამუნა მანუელს (გარდენიები გაიშალა და საცაა დამახრჩობს, მშთანთქავს მათი სურნელი.) მაღლა, თაღებში ხმები აღზევდა (ბავშვების ხმაა. მონასტრის კედლებში გატარებული ჩემი ბავშვობის ხმაა. ციცინათელასავით დაკრთის იგი ჩაშავებულ კედლებზე. ფერადი ვიტრაჟები რკინის ხლართებში მომწყვდეულან, ორღანის მილებში ქარი გუგუნებს, ბავშვები გალობენ. სიკვდილი კი, იქ ამაღლებულ ადგილას შავ ხავერდში ჩაფლული სიკვდილი ჩემკენ მოიწევს ოქროს შანდლებს შორის. სიკვდილი მოდის, ჩვენ ყველანი ხომალდით მივქრით, — მე შემიძლია ჩისი ნეკნები დავითვალო, — უანგარიშოდ მივიწევ იქით, საით წასვლა არც ახლა მსურს და არც არასოდეს მსურებია. მივიწევ ჩაშავებულ, უძირო ხახადაღებულ ზღვაში, მივიწევ მსხვერპლის მოლოდინში ჩასაფრებულ იმ სისხლისმსმელ ადამიანთა ზღვაში, ახლა მლიქვნელურად რომ

დღუხრიათ თვალები. ტალღები გარს მეხვევა და იქით მიბიძგებს, სადაც არასდროს მდომია წასვლა... ჰო, ასეა სწორედ... ჯერ ხომ ის ბიჭი ცოცხლობს ჩემში, ფერდობზე დაკიდული ბილიკებს სულმოუთქმელად რომ გარბოდა ძახილით: „ტომეუ, მარიან... [illegible] და ბიჭები ელოდებოდნენ. ისინი და-ძმად არგუნა ბედმა და სწორედ მათკენ გარბოდა სიხარულით დამძიმებული. „როგორ მინდოდა, დედა, შენ გვერდით, ჯოზეს გვერდით [illegible]. თქვენ ხართ ჩემი ოჯახი". დედა კი მეუბნებოდა: „შენ მეტისმეტად კარგი ბიჭი ხარ". რატომ ვიყავი მეტისმეტად კარგი? არასოდეს დავფიქრებულვარ ამაზე, არც არასოდეს დამიჯერებია; „არავინაც არ არის კარგი", „არავინაც არ არის ცუდი", — ბუტბუტებდა ჩემი გული, ცხრა წლის ბიჭის გული და ბაღის მესერს ჩაჭიდებული შევცქეროდი სახეგაკვირვებულ გაზაფხულს. თეთრი ყვავილი კვირტს შლიდა და ამაზე მეტი საბუთი რაღა იქნებოდა იმისათვის, რომ სიცოცხლე საამური იყო. მაშინ არ ვიცოდი, ახლა კი მუხლზე დაჩოქილმა ვიცი, ეს ასეა. „შვილო, შენ მეტისმეტად კარგი ბიჭი ხარ". „არავინაც არ არის კარგი", „არავინაც არ არის ცუდი", — რა უაზრო სიტყვებია!) მანუელმა თვალი მოავლო იქაურობას და მიხვდა, რად ამბობდნენ დედამისზე, გაიბღინძაო. (ეს ქვეყანა სხვაგვარადაა შექმნილი, შეაცნობინეს, სხვა ყაიდაზე ააგეს. ადრე მიახვედრეს მანუელი მის არსს. ამ ქვეყანას სხვა მიზანი აქვს, სხვა ცომისგანაა მოზელილი). მანუელმა თვალი მოავლო იქაურობას და დაინახა ადამიანები ისეთნი, რანიც იყვნენ სინამდვილეში. მუხლზე დაჩოქილნი — არც კარგები, არც ცუდები — ელოდნენ რაღაცას. ეს რაღაცა ადრე თუ გვიან უნდა მომხდარიყო, ან იქნებ სულაც ამაოდ ლევდნენ სულს მის მოლოდინში? მანუელის გვერდით ჯორჯე დე სონ მაჟორის ბიძაშვილის დონია პრაქსედესის ადგილი იყო, მაგრამ ის არ მოსულა. (დონია პრაქსედესს ცოცხალი სძულდა ჯორჯე და მკვდარს როგორღა დასდებდა პატივს თავისი მოსვლით.) შეუძლოდ ვარო, შემოთვალა. იქნებ მართლაც შეუძლოდ იყო? ცოტა მოშორებით განსვენებულის მეორე ახლო ნათესავი ემილია დაჩოქილიყო. მისი უფორმო პროფილი მუქი ვარდისფერი ჩანდა შავი პირბადის ნაოჭებში. მანუელმა მარჯვნივ მოიხედა და გახევდა... იმ დღის მერე არსად შეხვედრია მათ, ახლა კი ორივენი აქ იდგნენ ალქალდის გვერდით. (ტარონჟები — მათი ჩექმის ქვეშ მიწა ტორტმანებს, მათი ქურთუკები შავად, ვერაგულად ლაპლაპებენ მზეზე. ტარონჟებს მოედანზე დანთებული კოცონისა და დახრუკული ხორცის სუნი ასდით. სიმყრალე დაძრწის მათ ფერგალეულ სახეზე, თვალებზე, კბილებზე — დალესილ ეშვებზე. სიმყრალე ჯოჯოხეთის ცეცხლზე დამწვარი ხორცის ქონიანი კვამლივით ელექებათ ჩაშავებულ ქუთუთოებზე, ეგლისებათ ტანსაცმელსა და გაყინულ ღიმილზე. ტარონჟები საშინელებაა, საფლავებიდან ამოთხრილი და დაფერფლილი ძვლების, გვამების, აქა-იქ თმაშერჩენილი თავის ქალების სიმყრალეა. ტარონჟები შორეული ნაბიჯების ბრაგუნია, ბორკილდადებულ ხელებში ჩაღვენთილი სანთლის სუნია, ჩხარუნია გრძელი, ჩაშავებული ხუნდისა, შერცხვენაა სენიორ მაჟორის, დონია პრაქსედესისა და გაბღენძილი პრელატების წინაშე შენი მონური ღიმილისა.

ზაფხულის ერთ საღამოს პატარა ტომეუმ გულამოვარდნილმა ჩამოირბინა ფერდობი, სულს ძლივს ითქვამდა, სიტყვას ვერ ამბობდა, მხოლოდ ხელებს იშვერდა უსასოოდ თერთმეტი წლის ბიჭი: „მანუელ, მამა წაიყვანეს... ისინიც წაიყვანეს... ნავსადგურში დაიჭირეს ყველანი..." ტომეუს მხრებში ხელი ჩავავლე, შევანჯღრიე, იქნებ რამე გამაგებინოს-მეთქი. იმ წუთას ტომეუს ძალიან უნდოდა მამაკაცივით მოქცეულიყო და ჩემ გარდა ვერც ერთი კაცი ვერ უშველიდა ახლა მას, მაგრამ მეც ხომ თექვსმეტი წლისა ვიყავი მაშინ? „იმათ წაიყვანეს... ტარონჟებმა..." „ვინ იმათ, ტომეუ, გამაგებინე!" „ტარონჟებმა..." ეს სახელი ცვლავდა მაპანაქებასა და ჩრდილს, მზესა და სუნთქვას. დედას მივაშურე. თვალებზე ხელაფარებული იწვა დედა. „ნუ გეშინია, დედა, დაკითხავენ მხოლოდ". დედამ თავი მოაბრუნა და მე დავი-

ნახე მის თვალებში ჩაბუდებული სასოწარკვეთა. ყელში რაღაც გამეხირა, ავენთე. ღმერთო, როგორ აფრთხობს ტარონჯების ნაბიჯები შუადღის მდუმარებაში ჩაძირულ ქუჩებს! დაგმანულ დარაბებშიც აღწევდა მათი ზარდამცემი ბრაგუნი, შეშინებული ფრინველები ყელებს მაღლა სწევდნენ. მხოლოდ ძაღლები თუ შეჰბედავდნენ და შორიდან შეჰყეფდნენ ქუჩაში ჩავლილ ტარონჯებს. საცოდავი ჯოზეს ძაღლიც იმ დღეს ქუჩაში გავარდა და ყმუოდა გაბმულად, ავისმომასწავებლად.

ალკალდი, ალკალდის ცოლი და ღირსი მამანი მარჯვნივ და მარცხნივ ჩარიგებულიყვნენ. ახლა მანუელიც მათი ამფსონია, მათსავით მოიხარა ქედი ამა ქვეყნის ძლიერთა წინაშე, აღარც ჩონჩხის ჩხრიალი ესმის და აღარც თვალანთებული ძაღლის ავისმომასწავებელი ყმუილი. მუხლდაჩოქილი გარინდულიყო სონ მაქორის სკამთან, რომელიც ყოველ კვირა დღეს ერთგულად ელოდა თავის ბატონს ეკლესიაში. ახლა მანუელის საკუთრებაა ეს მოოქროული საგვარეულო სკამი მთელი თავისი წარსული დიდებითა და ბრწყინვალებით. ახლა მანუელი გახდა ამ კომედიის მთავარი გმირი. (ნეტავ აქ რა მინდა, რამ მომიყვანა, ნეტავ ვის ხსოვნას ვცემ პატივს მუხლმოყრილი? დედაჩემი მუცლით მატარებდა, როცა ამ პატივცემულმა ბატონმა სახლიდან გააგდო და ჯოზეს მიათხოვა. ჯოზემ შეიფარა ორსული ქალი. ჯოზეს უყვარდა თურმე ცქერა, როგორ მეძინა პატარას. დედას ბევრჯერ უთქვამს: „გვიან ღამით მოდიოდა დაღლილი — ჯერ კიდევ მაშინ გამოიტენა თავი იმ ამბებით, საკარიასსა და სიმეონს აჰყვა — დადგებოდა შენს საწოლთან და მძინარეს დიდხანს დაგცქეროდა. ერთხელ მახსოვს, გიცქირა, გიცქირა და თქვა: „სასაცილო არ იქნება, ამან რომ ჩემთვის შური იძიოს?“ ახლა ჯოზე მიწაშია, თავის ამხანაგებთან ერთად მიწად ქცეულა, საშველად გვეხმობს, მე კი აქ მუხლი მომიყრია იმ კაცის წინაშე, ვისი სიკვდილიც ვერ დამიმშვიდებს აფორიაქებულ სულს, ვერ მომიკლავს წყურვილს. ყველანი, ტარონჯებიცა და სხვებიც ჩემ უკან დგანან, სულგანაბული ელიან რაღაცას კუშტცარიელი, ცბიერი ურჩხულივით, რომელსაც შია, მაგრამ სნეულების გამო არ შეუძლია სტომაქი ამოიყოროს. ურჩხული რაღაცას ელის, — თავადაც არ უწყის, რას. ნასისხლარი ჯერაც აჩნია ეშვებზე, მაგრამ თვალები მაინც ცნობისწადილით უელავს. ორღანმა და ბავშვთა გალობამაც, მგონი, გული აურჩელა. დიახ, აქ არიან ყველანი: შემცოდენლები და შეცოდენილები, დამმონებლები და დამონებულნი, დამაქცევარნი დაქცეულნი — თავი მოუყრია ყველას და ჩემსავით მუხლმოყრილნი ვიღაცას რაღაცას ევაჭრებიან. ნეტავ როდის დამთავრდება ეს ყოველივე? ვინ აღიმაღლებს ხმას მის წინააღმდეგ? ირგვლივ მხოლოდ სიკვდილია გამეფებული. სიკვდილია ყველაფერში, საკმევლისა და სანთლების სულისშემხუთველ სუნში, მუსიკის ქარბორბალაში მოყოლილ ადამიანებში, სიკვდილმა დააძარცვა ის კაცი, ვისთვისაც ყველაფერი სულ ერთი იყო ამქვეყნად. ეს ადამიანები თავიანთი დუქნების წინ ჩამომსხდარან და ვაჭრობენ, ჰყიდიან ტანჯვას, დამცირებას, ყიდიან, ყიდულობენ. ხალხი სადღაა? რად არ ისმის მათი ძახილი? ისინი კი სხედან, მახვერპლს ელიან, ვაჭრობენ ბავშვთა ხმებით, მუსიკით, ოქროთი — ტაძარში ოქროს რა უნდა — ვაჭრობენ ჩუმით.)

მანუელი წამოდგა. გრძნობდა, ყველანი მას შესცქეროდნენ. მხოლოდ იმ სამ ადამიანს — ოქროებსა და შავ ხავერდში გამოწყობილთ არა სცხელოდათ მისთვის. საკურთხევლის წინ მედიდურად დააბიჯებდნენ და მიცვალებულის სულის მოსახსენიებელს ბუტბუტებდნენ. მანუელმა ზურგი შეაქცია მათ და თითქოს ტალღებს მიაპობსო, აუჩქარებლად გასწია მოოქროვილი შავი ხავერდის უკან მიმალული კარისაკენ. მხოლოდ სანთლების ალი ირხეოდა მოჭრილი ენებივით, თითქოს ორღანის მილებში დატრიალებული გრიგალი მათაც დატყდომოდათ თავს და ყვირილი ეწადათ. მანუელი მიდიოდა მდუმარედ, ერთხელაც აღარ მოუხედავს სასიკვდილო ნადიმისაკენ, აღარ შეუხედავს შუა ეკლესიაში შემაღლებულ ადგილზე მდგარ შავსა და საშინელ საგნისთვის. (ოჰ, კიდ-

ლებს მიღმა მზეა, ხავერდის ფარდისა და რკინის ვარდებიან კარს იქით ქუჩის მტვერია, მე რომ თავსაყრელად მქონდა მუდამ. იმ ტანჯვას ვერაფერი დამავიწყებს საბრალო დაჩაგრულ ბიჭს. ვინ იცის რამდენი კარი ამიტალახებია სამუშაოს ძებნაში, რამდენს მოუხურავს კარი ზედ ჩემ ცხვირწინ. მშიერ-მწყურვალს ხელი არავინ გამიმართა. ახლა ამას არარაითარი მნიშვნელობა არა აქვს და ვერც ვერავის აუჩუყებს გულს.) მანუელი კართან შეჩერდა, მუსიკა შეწყდა. ვიღაც წამოდგა, მანუელისკენ შებრუნდა. (თითქოს ტილოს მეეხალა ნავს, თითქოს ხომალდის ტრიუმში თავვი გაეხაჭუნდა.) მანუელის ყურს ვიღაცის პუტუნიც მისწვდა. მაინც არ შედრკა, ხავერდის ფარდა გადასწია, საკეტი ააჟღარუნა და კარი გამოაღო. მზე კართან მომლოდინე ძაღლივით შეახტა მკერდზე. ოქრო მიმკრთალდა. შუაზე გადატყდა საზეიმოდ აჟღერებული ხმა. მანუელის ზურგს უკან მიიხურა კარი.

მანუელი მიხვეულ-მოხვეულ ქუჩასა და ქვის კიბეს დაუყვა, ნაცნობ ჭას ჩაუარა, მერე ალკალდის სახლთან ბილიკზე გავიდა და მუხნარისაკენ აიღო გეზი. სახლები და ბაღჩები უკან მოიტოვა და როცა ცასა და მოშრიალე ტყესთან მარტო აღმოჩნდა, გაიქცა. შიშით შეპყრობილს წითურმა ჭიანჭველებმა დაურბინეს ძარღვებში. ოფლად გაღვრილი კანკალმა აიტანა, რაღაც მოსდევდა ფეხდაფეხ საზარლად აღმუვლებული. ტყეში შერგო თავი. რა ხანია აქ არ ყოფილა (მუხები, მანუელის უღალატო მეგობრები კვლავ უდრეკად დგანან.) სწორედ იქ, აი იმ ორ მუხას შორის იწვა მიწაში ჯოზე ტარონჯი. (საბრალო ჩონჩხი, შეგინებული გვამი, სანაგვეზე გადაგდებული უზარმაზარი ჯამბაზი.)

მანუელი საფლავთან არ მისულა. შორიდან შესცქეროდა ბალახით, ლილისფერი და თეთრი ტყის ყვავილებით დაფარულ პატარა ბორცვს.

IV

— ყველაფერს მე მოვუვლი, მანუელ, შენ არ იჯავრო. მოდი აქ, შვილო, — უთხრა მაიოლმა.

„შვილო“. ახლა ყველა ასე ეძახის. მაიოლი კუშტი ოქროსფერი თვალებით შესცქეროდა.

— ვიცი, რაც გაწუხებს, მაგრამ რას იზამ, თავს ზემოთ ძალა არ არის. ამ ტვირთს ზიდვა უნდა. მოდი, შვილო, ნუ გეშინია, წავიდეთ.

მანუელი კვლავ სონ მაყორის მესერშემოვლებულ და ჭიშკარჩაკეტილ ეზოკართან იდგა. ქარი აშრიალებდა პალმებს. ნაპირს დგაფუნით ეხლებოდა ტალღები. (ცვალში იდევნებული აჩრდილივით მოგვდევდა ქარი.)

— თუ შეიძლება, მარტო დამტოვე.

მანუელმა მაიოლს გასაღები გამოართვა და შეამჩნია, მოხუცს წყენისაგან თვალები ჩაუშავდა. ჭიშკარი გააღო, შევიდა. ხვინჭა ახრაშუნდა ფეხთაქვეშ. მაღლა დახურული აივნის მინები ლაპლაპებდნენ. (მათ მიღმა უსხეულო ჩრდილია.) სახლის კუთხიდან სანამო გამოვიდა. მომწვანო-მოშავო, ათასგზის შენაღები კოსტიუმი ეცვა. მეზღვაურის ქუდზე ცისფერი კოკარდა უბზინავდა. მანუელთან ბებერი მოჩვენებასავით მიბუნძულდა:

— მანუელ, ჩემო საყვარელო ნუკრია, ჩემო ტკბილო ბიჭო, მოხვედი ხომ შენს სახლში? აღარ გახსოვარ? იქნებ აღარ გიყვარს მოხუცი სანამო? ხომ არ გამაგდებ?

— სად იყავი? — ჰკითხა მანუელმა.

მაიოლმა ჩაახველა:

— ისა... მე...

მანუელმა შეხედა (ძველ, მივიწყებულ სურათს ჰგავდა მაითლი.)

— ...მშვიდობით.

— წავიდა! — სანამომ მესერთან მიირბინა, სახე ზედ მიადო და ფრიალო კლდისკენ მიმავალ მაითლს თვალი გააყოლა. — მიხვდა და წავიდა. ჩემს ბატონს გულზე არ ეხატა ეგ თქვენი მაითლი... მანუელ, ჩემო ჩიტო, რა კუშტი გამხდარხარ...

კიბეს აუყვნენ. ერთმანეთის გვერდიგვერდ მიაბიჯებდნენ (სკოლიდან დაბრუნებული ბიჭებივით.)

— წინათ კარგი ბიჭი იყავი, კეთილი...

— სანამო, ასე ნუ მელაპარაკები, იცოდე.

— როგორ გაიზარდე!

— ჰო, იცოდე-მეთქი!

სანამომ ჩაიცინა.

სახლში სიძველისა და დამპალი ხის სუნი იდგა. ჯუჯა მოჩვენებების მაგიდებისა და შალითაგადაკრული სკამების ქვეშ ნოხი ეფინა. საოჯახო სურათებზე მუნდირები ლურჯად მოჩანდნენ, ფრაკები ჩაშავებულიყვნენ, ორდენებს ცეცხლი ეკიდათ. ქანდაკებებზე ბრწყინავდა იასპი. მანუელმა თვალებზე ხელი აიფარა.

— ნუ ტირი, — უთხრა სანამომ. — რას იზამ, ეს ქვეყანა ასეა მოწყობილი.

— გაჩუმდი, თუ ღმერთი გწამს. მე არ ვტირი.

— არ ტირი?

— შემეშინდა...

— რა უცნაურად ლაპარაკობ.

(როგორ გაგაგებინო, სანამო? სულ ახლახან კინაღამ საკუთარ თავს ვუღალატე და სწორედ იმან შემაშინა.)

სანამომ მხრები აიჩეჩა, ხელები გაშალა. მერე ფანჯრისკენ გაიქცა და ფარდები საჩქაროდ გადასწია. ხავერდი რბილად აშარიშურდა. ვარდისფერი დაედო მოოქროვილ ჩარჩოებს. როიალი ნახევრად სიბნელეში მიყუჟულიყო ეშმაკ სპილოსავით. რამპები ალაპლაპდნენ, ოქრო გაკრთა ირგვლივ. ყველაფერი ნაცნობი და ახლობელია ჩემთვის. მოხუცის ნაბიჯებზე წკრიალებდა ვენეციური მინა. სანამო სავარძლებზე მიყრილ-მოყრილ ბალიშებს დაერია და ისე ბერტყავდა, თითქოს დედა როზგავსო შვილს.

— ყოველდღე მოვდიოდი აქ სალოცავად, — თქვა მან. — შენ ხომ იცი, ჩემი ლოცვა მაქვს, საკუთარი.

— დაკრძალვაზე რად არ წახვედი?

— რა მინდოდა. მე და ჩემი გიტარა აქ დავრჩით.

ბალიშებს მტვრის ბული ავარდა. იქაურობის სუნმა მანუელს წარსულის სურათები გაუცოცხლა თვალწინ. (ამ სახლშიც მოვდიოდი შობის დღესასწაულზე. მისი ნაჩუქარი ვერცხლის ღილებიანი ლურჯი კოსტიუმი მეცვა. ბერის სამოსელსა და ფლოსტებს მონასტერში ვტოვებდი... ის სუფრასთან მიმიპატიჟებდა ხოლმე. ღმერთო, რამდენი რამის გაგება მსურდა მასზე, მის ქანდაკებებზე, წარმართთა ღმერთებზე, თალფაქქვეშ გალურსულ მეიალქნეებზე, ბოროტ მინაში მომწყვდეულ პატარა ხომალდებზე. მამა, მამა, რად მიმატოვე?)

— ჩემო პატარა შევარდენო, რომ იცოდე, რამდენ რამეს გაჩვენებ, — ეუბნებოდა სანამო. — ჩემო მეფისწულო, ჩემო ნუგეშო!..

— გეყოფა, სანამო, ასე ნუ მელაპარაკები. იქნებ იმას მოსწონდა, მე კი ეგეთები არ მომდის გუნებაში, იცოდე!

სანამო ქონდრის კაციეით დაცუქცუქობდა კუთხიდან კუთხეში, დურაბებს აღებდა, მისი სიცილი ანჯამების ჭრიალში იკარგებოდა. (ეშმაკო მოხუცო, როგორ მეშინოდა შენი, მაგრამ ამავ დროს რა ძლიერ მიყვარდი, როცა მღეროდი! სად არის შენი გრძელფუნჯიანი მოქარგული ჩაჩი? შენ ზღაპრებით მწამლავდი, შენი ბატონი — დუმილით. მუქმწვანე მინის ხუფქვეშ უპაერობით ილაჯი ჰქონდათ გაწყვეტილი სილიფაჯ მეაფრიებს. ახლა მინა დამსხვრეული, აფრებიც დაბერილან, განა ბავშვსაც ასე უნდა მოექცა? სიცრუის შხამი ჭეშმარიტების შხამზე უფრო ტკბილია.) მანუელი თეთრი და ყვითელი ლოტოსის ყვავილებით მოჩითულ ტახტზე დაეშვა (წინათ მუშკის სუნი ასდიოდა ამ ტახტს!) და უცებ სიცილი აუტყდა. სანამო მისკენ გაემართა.

— გახსოვს, ერთ მეფისწულზე რომ გიამბობდი, გამოქვაბულში ჩაკეტილი ნესვს ოქროს ხანჯლით ჭრიდა და მერე იგივე ხანჯალი გულში ჩაეცა-მეთქი. რომ იცოდე, როგორ ტიროდი.

მანუელს მუხლებზე ხელები დაეწყო, იატაკს ჩასცქეროდა და იცინოდა უხმოდ, მხრები უთრთოდა მხოლოდ, თითქოს ელექტროდენი უვლისო სხეულში.

— ხომ გახსოვს, ზღაპრებს რომ გიამბობდი პატარას? ბაღში მომაკითხავდი, ფეხს მოირთხამდი და მეხვეწებოდი: „სანამო, მერე რა მოუვიდა მეფისწულს, მიამბე რა?" მინდოდა მეთქვა, თვითონა ხარ-მეთქი მეფისწული, მაგრამ მეშინოდა, ვაითუ შევარდენის ყურამდე მიეღწია ჩემს ნათქვამს. საიდუმლოს ვერ გავამჟღავნებდი. მეშინია, მანუელ, ის ოქროს ხანჯალი მაგონდება, მეფისწულს რომ ჩაესო მკერდში.

მანუელს ახლა თვალებზე აეფარებინა ხელი და იცინოდა კვლავ. ხელები ძლიერი და მზემოკიდებული ჰქონდა.

— მეშინია, — გაიმეორა სანამომ.

მანუელმა ხელი ჩამოიღო და სანამოს შეხედა. მოხუცმა უკან დაიხია:

— მხეცისას მიგიგავს თვალები, მანუელ... ეს რა უქნიათ შენთვის. სად იყავი, ასე სად შეგცვალეს?

— ღვინო მოიტანე.

სანამომ ბოთლ ღვინოს ორი ჭიქაც მოაყოლა.

— მეც დავლევ.

— როგორც გინდა, სანამო.

ჭიქებში წითელი ღვინო აჩხრიალდა. სანამომ ჭიქა ჭიქაზე მიუჭახუნა მანუელს და რომელიღაც სიმღერა ჩაიდუდღუნა. სიმღერამ მოგონებები გაიყოლია ნავს აღევენებულ ტალღის ქაფივით. მანუელმა ღვინო გადაჰკრა.

— ბევრს გამოუშვებდნენ?

— შევეჩვიე.

— ავი ხალხი იყო?

— ნეტავ ვინ არ არის ავი.

— მაინც რა გიძნელდებოდა ყველაზე მეტად, წასვლა რომ არ შეგეძლო, ხომ? (ყველაზე ძნელი — შეცდომისათვის პასუხის გებაა.) სანამომ მხრები აიჩეჩა და ჭიქა კვლავ ღვინით შეავსო.



16971

— ის... — გაუბედავად წამოიწყო მან. — ის ქალიც აქ იცხოვრებს?

ბებრული ხმა სიძულვილით აუკანკალდა. (სანამოს სძულდა დედაჩემი, ძმაც და დაც ჩემი. საოცრად ერთგული იყო თავისი ბატონისა. აქ ყველაფერი ერთმანეთს ჰგავდა, მხოლოდ მე ერთი ვიყავი ისარი მიზანსაცდენილი. ერთობ ძლიერ-მომხიბვლელი [illegible] და ისარიც საჭიროზე შორს გაფრინდა.)

ბიბლიოთეკა

— არა. აქ არავინ იცხოვრებს შენ გარდა. ნუ გეშინია, ხელს არ შეგიშლით.

სანამო მუხლებზე დავარდა (ბებერია და სწრაფად კი მოძრაობს!) და ფეხებზე მოეხვია.

— დარჩი, დარჩი აქ! — მოხუცის თვალებში შიში და ველური სიხარული კრთოდა. — რად უნდა წახვიდე, სად უნდა წახვიდე?

— აქ არ ვიცხოვრებ...

სანამომ ხელი უშვა და ქვემოდან ახედა მანუელს:

— აბა, სად წახვალ?

— იქ, სადაც წინათ ვცხოვრობდი: დედაჩემთან, ჩემს და-ძმასთან. ოღონდ ამიერიდან ისინი აღარ იშიმშილებენ.

სანამოს მხრები შეუტოკდა.

— ახლა უმეტესობას შია, ასე დაუწესებია ღმერთს. მეც მშიოდა პატარაობისას. ახლა ხომ ხედავ, როგორა ვარ. შენა გგონია, არაფერი მაკლდა? იმან რომ შემიხიზნა, მთლად გალეული ვიყავი.

მოხუცი ახლაც ასე იხსენიებდა თავის ბატონს, ჯორჯე დე სონ მაჯორს: „ის“, „იმან“.

— მშვიდობით, სანამო.

— სად მიდიხარ?

სანამო აედევნა, გაცილება უნდოდა, ან იქნებ ეშინოდა, მთლად არ დამეკარგოსო.

— ხომ დაბრუნდები? რაღაც უნდა გაჩვენო... მოგეწონება... იმან დატოვა. ნეტავ განახა რა კარგია!

— სად არის?

— მარინემ დამალა ნაპირზე, ტერასებქვეშ. ხომ იცი, ახლა აკრძალულია, თითქმის ყველას ჩამოართვეს ნავები. იმისთვის კი ყველაფერი ნებადართული იყო. ჰოდა, ნახე... მზეთუნახავია, ძრავა აქვს ისეთი, ქარივით დააქროლებს. ზღვაში რამდენჯერ გავსულვართ ამ ნავით მე და ის, მარინეც თან უახლებია ხშირად. იცი, რას გეტყვი? ომი საცაა დამთავრდება, მე მგონი, დამთავრდა კიდეც. ჩვენ გავიმარჯვეთ. ჰოდა, ისეთი სიმკაცრეც აღარ იქნება, ნებას დაგრთავენ და რამდენიც გინდა მიდი და ისეირნე ზღვაში. შენ ხომ მისი შვილი ხარ, ერთადერთი მემკვიდრე.

მანუელი ხმას არ იღებდა. მოხუცი აწრიალდა:

— რა მოგივიდა, რას მიყურებ, იქნებ ისე ვერა ვთქვი...

ოთხის ნახევარზე მანუელი სანამოს ნავით ზღვაში გავიდა და ნახევარ საათში პორტში იყო უკვე. მარჯვნივ, წმინდა ეკატერინეს ყურეში უპატრონოდ მიტოვებულ ნავებს თვლა არ ჰქონდა. მზე ოქროსფრად ბრწყინავდა ნიჟარებზე, ფოთლებზე, მწვანე ლაქაშებზე. მანუელისათვის ეს ადგილი ნავების სასაფლაო როდი იყო მხოლოდ. აქ მოხდა ის, რისი დაწყებაც ვერ შესძლო აქამდე. ახლა აქ ყველაფერი ქვიშაში გამომწყვდეული და დადუმებული იყო.

აგერ გამოქვაბულებით დასვრეტილი ფრიალო კლდე, თითქმის დაკიდული ქოხმახები. ჩამპალ-ჩაშავებული ხის კიბეები.

ზედ კლდის წვეროდან გადმოჰყურებდა წყალს ერთ დროს ლამაზი შენობა — მარინეს „კაფე". მოაჯირს ჯერ კიდევ შერჩენოდა ძველი ლაზათი; ვარდისფერი სვეტები შემოვლებოდა ფერგაცლილ ტერასას. ერთ[illegible] [illegible]ქვებულ კედლებზე დანის წვერით ამოეჩხაპნათ თავიანთი სახელები სამუშაოს მერე კაფეში სასმელ-საჭმელად და ბანქოს სათამაშოდ მოსულ ქალებსა და კაცებს. კვირა საღამოობით კი, როცა ქუჩებში ქარი მტვრის კორიანტელს ატრიალებდა, მაგიდას შემომსხდარნი თავთავიანთ საქმეებზე მასლაათობდნენ. სანამომ თქვა, „ანტინეა" ტერასას ქვეშ, პატარა ნავმისადგომთან დგასო.

მანუელი ნაპირზე გადახტა, ნავი დააბა. ქვიშაზე ორი ქალი იჯდა და მზის სხივებზე მეწამულისფრად აელვებულ ბადეებს ჩაჰკირკიტებდა. კლდეზე, ქოხმახებს შორის დაყრილ ნაგავში ძაღლი დასუნსულებდა და საჭმლის ნარჩენებს ეძებდა. ირგვლივ დამპალი თევზისა და ნეხვის სუნად ჰყარდა ყველაფერი. ეილაცას წითლად მოღუღუნე გერანიანი ქოთნები მიემაგრებინა კლდეზე. ქალები ფეხშიშველი იყვნენ. ყვითელ ქვიშაზე შავად მოჩანდა ათასნაირად დაღარულ-დახაზული ფეხისგული. მანუელი „კაფესკენ" აუყვა ციცაბოს. უცებ მოეჩვენა, დრომ უკან დაიხია (მე ვცდილობ ბოლოში ხელი წავატანო დროის ქარბორბალაში თოკივით გამოკიდულ ვაგონებს, რომელიც წარსულისაკენ მიმაქანებს), მაგრამ საგნებს ირგვლივ რეალურობა არ დაეჰკარგვიათ. სახლებისა და კლდეთა კონტურები ნათლად გამოკვეთილიყვნენ. მანუელმა მინის კარი შეაღო. სახეში ეცა ზეთისხილის, ძეხვისა და ობის სუნი. აი ისიც — „კაფე", ბუნაგი, მისი სახლი, მისი წარსული და მომავალი. მარჯვნივ გრძელ ხის სკამთან თოკის გორგლები ეყარა, გალიაში თუთიყუშები დაეტყვევებინათ. წინ, მეორე კარს მიღმა მწვანე ზღვისფრად მოლიცლიცე ცა თაღებშუა მოქცეულიყო. მძიმე და მტანჯველ სიჩუმეს დაესადგურებინა. მხოლოდ თუთიყუში მამბრუ აქოთქოთდა და თვალების ბრიალს მოჰყვა ადამიანივით.

სიბნელიდან კაცი გამოვიდა, შეჩერდა. სახე არ უჩანდა, მხოლოდ ანთებული სიგარა კრთოდა. მანუელს მაშინვე ეცნაურა აწურული მხრები და დიდი თავი.

— მანუელ, — თქვა მარინემ, — ვიცოდი, მოხვიდოდი.

კალთაზე ხელი დაისვა და მანუელს გაუწოდა ჩამოსართმევად. თუთიყუშმა რაღაც წამოიყვირა. მარინე ლახლს მიუახლოვდა.

— რას დალევ?

— სულ ერთია.

მანუელს ყელი გაშრობოდა, თავს კარგად ვერა გრძნობდა, მაგრამ ახლა მისი მღელვარება არც საკუთარ ბავშვობასა და არც შორეულ ტკივილს არ გამოეწვევია.

— მარინე, უნდა მოგელაპარაკო.

მარინეს ხელი ჰაერში გაუშეშდა (ეშინია, არა სურს გაიხსენოს, ხელახლა აიფორიაქოს თავი იმ ამბის გახსენებით.)

— ისეთი არაფერია, — უთხრა მანუელმა. — ცოტა წავიმასლაათოთ. სხვასთან ენის დაღლას შენთან ლაპარაკი მირჩევნია.

— გასაგებია.

მარინემ სირჩებში სქელი, ყვითელი ლიქიორი ჩამოასხა მუცელგაბერილი

შავი ბოთლიდან. მერე სირჩები თითებში მოიქცია და მანუელს თავით ანიშნა, გამომყევიო.

უწინდებურად არეულ-დარეულ ტერასაზე ისევ ის ძველი გახუნილი მაგიდები იდგა. კვლავინდებურად ეყარა ძირს თოკის გორგლები, ქუმბალა და თუნუქის ქილები. ქვემოთ ზღვა გაწოლილიყო — თუთიის ფურცელივით გლუვი და მყარი. წყალში მკრთალი მწვანე ცა ირეკლებოდა. იგი თითქოს შორეთისკენ მიიწევდა, ფუვდებოდა და იბერებოდა, რათა მერე უძირო ძაბრის ყელში შემძვრალიყო. ღრუბელი არსად ჩანდა. მარჯვნივ, კლდის თავზე გამჭვირვალე ნისლი მიცურავდა. მანუელი და მარინე ერთმანეთის პირისპირ დასხდნენ და სმას შეუდგნენ.

ირგვლივ ყველაფერი ისევე იყო, როგორც ამ სამი, ხუთი, ათი წლის წინათ. არაფერი შეცვლილა.

— მარინე, — დაიწყო მანუელმა. — მითხარი იმათი ამბავი.

მარინე გახევდა, დიდი თავი გვერდზე გადააგდო.

— ვისი?

— ჯეზასი, სიმეონისა და საკარიასი.

— მანუელ, კიდევ იმათ ხსენებაში ხარ? დამიჯერე, აღარ არის საჭირო. ძველი ამბავია. ვედარაფერს უშველი. ყური მიგდე... შენი ამბავი მითხრეს. ხომ ხედავ, რა კაცი ყოფილა ი ს... იქნებ შენ წინაშე დანაშაული მიუძღვის... უფრო სწორად, დედაშენის — მალენეს წინაშე... სიკვდილის წინ კი ისე მოიქცა, როგორც წესია. პატივი ეცი მ ი ს ხსოვნას, მანუელ, დამიჯერე, ნამდვილი სენიორი იყო. გიყვარდეს ი გ ი და პატივი ეცი მ ი ს ხსოვნას, ხომ გაიგონე? ცოტა რამ მეც დამეჯერება.

— მარინე, მე აქ ჯორჯე დე სონ მაყორზე სალაპარაკოდ არ მოვსულვარ. მე ჯოზე ტარონჯის, ჯეზასი და ძმების ამბავი მინდა გავიგო.

— მორჩი ერთი! — მუშტი დაარტყა მარინემ მაგიდას. — ან დაივიწყე ისინი, ან არადა, ახლავე მოშორდი აქაურობას!

მანუელის წინ სულ სხვა მარინე იდგა. სადღაც გამქრალიყო ძველი მარინე — ბუზღუნა მოხუცი, ნამდვილი მეზღვაური. ფრთხილი გამხდარიყო. მაგრამ სევდა მაინც ჩაწოლილიყო მის ქურდულად მზირალ თვალებში და ხმაც გაბზარვოდა:

— მანუელ, შენ კარგად იცი, იმათი მეგობარი ვიყავი. შენ ყველაზე უკეთ იცი: ეს სახლი იმათი სახლიც იყო. ძალიან მიყვარს ჯეზა, მაგრამ ყველაზე მეტად მაინც ჯორჯე მიყვარდა. ვიცი, რაც გაიფიქრე, გაიძვერაა, ჩვენიც იყო და იმისიცო, ორივეს გვატყუებდაო. არა, შვილო, მართალი არა ხარ. იმათი კარგად მესმოდა, მაგრამ... ჯორჯე მიყვარდა! ის კაცი იყო მთელი ჩემი ცხოვრება... „დელფინზე“ რამდენ ხანს ვცურავდით ერთად. ცუდს ვერ დამწამებ, რაც შემეძლო ყველაფერს ვაკეთებდი იმათთვის. — მარინე თითქოს შეშინდა, ნერწყვი გადაყლაპა. — ვიცი, ჩემი არ გჯერა, და მაინც გწამდეს, ყველაფერს შენი ხათრით ვაკეთებდი, მანუელ!

— მაჩვენე, სად იკრიბებოდნენ. მინდა ერთხელ კიდევ ვნახო ის ადგილი.

— მაღლა, — მარინემ ხმას დაუდაბლა. — ზოგჯერ აქაც იკრიბებოდნენ. მადლობა ღმერთს, ყასაბი აქ არ წადგომიათ თავს. ის ამბავი იქ, უკაცრიელ სახლში დატრიალდა.

— იქ ვიყავ მაშინ. სადილი მივუტანე ბიჭებს. ჩემთვის ხელი არ უხლიათ, ალბათ პატარა რომ ვიყავი და თანაც...

— ჰო, იმათ იცოდნენ, ჯორჯე დე სონ მაჟორის შვილი რომ იყავი შენ...

მარინემ ეს სიტყვები ისე ამაყად წარმოთქვა, მანუელს გაუკვირდა კიდეც.

ყასაბი მარჯვენა ხელი იყო ძმები ტარონჯებისა. კვირაობით საგარეო კოსტიუმს იცვამდა, ღილებს ძლივს იკრავდა უზარმაზარ ღიპზე, ფართო ქამარი ლამის იღლიამდე ჰქონდა აცურებული. კარგა ხანს დასდევდა ჯოზეს, საცოდავ, უგუნურ, გულფიცხ, ნაღვლიან ჯოზეს, რომელიც მუდამ იმას ამბობდა, რისი თქმაც არ იყო საჭირო. ჯეზას მისი იმედი არ ჰქონდა, რამდენჯერ უთქვამს: „ჯოზე, ძალზე მეშინია შენი..." „მე სადილი წავუღე იმათ იქ, ცარიელ გამოკეტილ სახლში. ჯოზე, სიმეონი და საკარიასი იმალებოდნენ, ქუჩაში გასვლას ვერა ბედავდნენ. ყასაბმა ერთხელ დაცინვით მკითხა: „მამაშენი სად არის?" პალმაში გაემგზავრა-მეთქი საქმეებზე, ვუპასუხე. ორშაბათს ყასაბმა მაინც იყნოსა და იმ უკაცრიელ სახლს მიადგა. იმ დღეს... შემოვიდა ყასაბი, უფროსი ვაჟიც თან მოჰყვა. შავად მზინავდნენ თოფის ლულები, ფეხებს მძიმედ, ბოროტად და რისხვით დააბრაგუნებდნენ. ვიდექი და ვფიქრობდი: „აღარაფერი უშველით". ჩვენ წინ იდგა თავის ულოდველ სიმართლეში დაჯერებული კაცუნა. საკმარისი იყო, ამ კაცუნას ტელეფონის ყურმილი აეღო და ეთხოვა ვისთვისაც ჯერ არს, რომ სამართლის მახვილი აღიმართებოდა ამ უტიფარი და უმაქნისი ადამიანების თავზე. კედელს მიღმა ქარი გუგუნებდა. ერთი-ორჯერ ფანჯარას ტოტი მიახეთქა და მავთულებიც ააზუზუნა. მე გამახსენდა შავი ჩიტები, გაფიჩხებული ბრჭყალებით რომ ჩაფრენოდნენ მავთულებს. „ნეტავ სად არიან ახლა ისინი?" გაფრინდნენ, ვითარცა დღეები და წუთები. ქარმა დაუბერა და ჩიტებიც გაქრნენ. აქ ჩვენთანაც ქარმა დაუბერა ახლა და ყველაფერი გათავდა. ყველაფერი გაქრა ნათქვამ სიტყვასავით, ჩიტებივით. ეს კაცუნა კი, აი, ეს ყასაბი დგას ახლა გაბღენძილი დიდი ვინმესავით და უყვირის საბრალო ჯოზე ტარონჯისა და ძმებს სიმეონს და საკარიასს: „არ გაინძრეთ, სულ ერთია ვერსად წაგვიხვალთ!" იქ, იმ ქვიშაში, მზე რომ ძველებურად აღარ დაჰნათის ახლა, ჯეზა ყოველ დილით მესაუბრებოდა ხოლმე. რკინიგზის ლიანდაგზე მატარებელი მორახრახებდა, მის იქით კი (ასე მეჩვენებოდა, სანამ მატარებელი მოდიოდა, თითქოს ჰორიზონტი გზის ჩამუქებული ნაპირი იყო და მეტი არაფერი) ქვიშის უდაბნო გაწოლილიყო და აწოწილ მოყვითალო ლერწამს ქარი აქეთ-იქით აწყვეტდა. ყველაფერი დამთავრდა, არა, დღეებსა და თვეებს რა დაამთავრებს, მაგრამ ვიცოდი, იმ დღეს ყველაფერს დაესვა წერტილი. ეს უკვე დასასრული იყო. ქარის ღმუილი ბორბლების გრუხუნმა დაფარა, აძაგძაგდნენ ფანჯრის მინები. მატარებელმა ზედ ცხვირწინ ჩამიქროლა. განათებული ფანჯრები, ყვითელ ჭიაყელასავით, ბრჭყვიალა გარმონივით ქვიშის ზოლებში მიიმალა და მერე, მახსოვს, ზღვის სანაპირო შორიდან განათებული ჩანდა. მე მინაგაბზარულ ფანჯარას მივეყრდნობოდი შეშინებული: „ოღონდ ჯეზა არ მოვიდეს, ოღონდ არ მოვიდეს, ყასაბს თუ ჩაუვარდა ხელში, ყველაფერი დამთავრდება..."

საიდანღაც ცივი მთვარე ამოცურდა, ზღვასთან მიგორდა, ტალღებს მიელამუნა. ეს ტალღებია სწორედ, მუდამ რომ თავისკენ გიხმობენ, მუქარის სიტყვებით გულაპავენ, მერე კი ნაკვალევზე ქაფსა და ქვიშას ტოვებენ. მხოლოდ ქვიშა და ქარი მეფობდა ახლა აქ. ბოლო ვაგონს გაფრთხილებასავით, ძახილივით მისდევდა უკან წითელი ნათურები. „წავიდეთ, — თქვა წესრიგის დამცველმა კაცუნამ. — ფეხით წავიდეთ!" შავი კიტელი შეისწორა, ძლივს შეიკრა ღილები თავხედურად გამობზეკილ ღიპზე და პისტოლეტშემართულმა კარისაკენ ფრთხილად დაიძრა. „შენ კი, პატარა ბერო, ღმერთს მადლობა უთხარი, რომ გადამირჩი, ამ არამზადებს არმად შევარგებ შენს მოტანილ სადილს". ძველ ჭიშკარმა გულისგამაწვრილებლად დაიჭრიალა. ყასაბმა ანგარიშმიუცემლად გაიწვდინა ხელი ჩაკეტილი კარისაკენ. ჯოზესა და ძმებს დაძაბულობისაგან სახე მოეღრიცათ. ყასბის მსუქანი ხელი კარის სახელურს ჩაეჭიდა უხმა-

ურონდ. ძარღვებში სისხლი გამეყინა. „ჯეზა მოვიდა, რა ეშველება. ისიც მოვარდა", მაგრამ ამაო ყოფილა ჩვენი შიში. კართან ჯოზე ტარონჯის ერთგული, სადღაც მაღლა დაცუნცულებდა.)

— წაიყვანეს, ჯოზე მეორე დღესვე მოკლეს ვითომდა გაქცევის ცდისათვის. ჯეზას რაღა მოუვიდა, სად არის ნეტავ?

— ჯეზა თებერვალში დაიჭირეს. ალბათ ახლაც ციხეში ზის. საბრალო ჯოზეს რას ერჩოდნენ, ჯეზა კიდევ მესმის... მე მგონი, იმათ უნდოდათ, ჯოზეს გაეცა თავისიანები. ჯეზასი აღარაფერი ვიცი.

— მისი ცოლი სადღაა?

— არ ვიცი, — თქვა მარინემ. — გეყოფა, მანუელ, დაივიწყე. ომი სადაა დამთავრდება, დაივიწყე ყველაფერი.

ნაწილი მეორე

# წვიმა

## კაცი, რომელსაც ჯეზას ეძახდნენ

ალექსანდრო სარკომ ერთ დღეს ცოლს უთხრა: „თუ რამე მომივიდა, ეს ქაღალდები როგორმე გადაეცი ესტებან მარტინს". ალექსანდრო მართლაც მალე წავარდა. მისი ცოლი და ვაჟიშვილი კუნძულზე საიმედოდ მიიმალნენ. ცოლმა ქაღალდები თან წაიღო.

1938 წლის შუა ოქტომბერში ალექსანდრო სარკო მოკლეს.

### I

ავტობუსი იდგა და ძრავის ხმაურზე თახთახებდა. მძღოლს მუქმწვანე სვიტერი ეცვა, მედუქნეებს ემასლაათებოდა. პატარა მოედანს მზის ცელქი და მხიარული სხივები დასთამაშებდა, მაგრამ ძველი ფირნიში, მარმარილოს მრგვალი მაგიდები და ქარისაგან ხიდზე ახვეტილი მტვერი იქაურობას მაინც ნაღვლიან იერს აძლევდა. ათი-თხუთმეტი წუთი იყო ავტობუსი იდგა, მძღოლი კი მედუქნეებთან ერთობოდა. მზე ებრძოდა ფეხშემომდგარ საღამოს. მგზავრები ღელავდნენ. ავტობუსი უმეტესად შავქურთუკიან გლეხებს აევსოთ. ყველას, ქალსაც და კაცსაც, დაღლილი სახე და მშვიდი, ხოჭოსფერი, ლაქივით მბზინავი თვალები ჰქონდათ. ვინ კბილის ექიმთან მიდიოდა ქალაქში, ვინ რაღაცის გასაყიდად, ვინ — საყიდლად. ავტობუსში სიცხის ბუღი იდგა. მინები დაორთქლილიყო.

მოგრძო კაპოტში მანქანის ძრავა ყრუდ კვნესოდა, ძაგძაგებდა და საქარე მინაზე დამაგრებული თოჯინაც აქეთ-იქით ექლებოდა. ცის ფონზე გამოკვეთილად ჩანდნენ ვერცხლისფერი და ყავისფერი ხეები. აგრილდა.

ფანჯარასთან მოკალათებულმა მანუელმა მძღოლსა და მედუქნეებს თვალი მოაშორა. ეკლესიის წითლად შეღებილ კედელზე თეთრად ანათებდა ისარი — მანიშნებელი.

მანუელმა თვალები დახუჭა. ქუთუთოები დაუმძიმდა. უცებ, თითქოს მიწიდან წამოიმართნენო, ორი ქალი დაუდგა თვალწინ. შავებში მოსილნი ერთ-

მანეთის პირისპირ იდგნენ, ერთ-ერთს ტუჩებზე ეტყობოდა, რაღაცას ჩურჩულებდა. მეორეს ხელი დაედო მისთვის მხარზე. ისინი ერთმანეთს შესცქეროდნენ და დაბალ ხმაზე საუბრობდნენ. მანუელმა ეს ქალები იქ ნახა, ციხის ეზოში.

(მე მახსოვს მისი ხელები — დიდი, მაჯებში წაწვრილებული, პუხის ფერი, ძლიერი და საქირო ხელები. საუბრისას მუდამ მის ხელებს შევცქეროდი. თვალებზე მეტად ხელები ჰქონდა მეტყველი და ახლა მისი ხელები ამ ორი ქალივით წამოიმართა ჩემ წინ ქონიან, წებოვან, საზარელ მიწიდან, წამოიმართა საიქიოდან და მეძახის. ჯეზას ხელები მომეჩვენა ჩათვლემილს: შაოსან ქალებს შორის ვეებერთელა მარიოსავით გადაშლილიყო.)

მანუელი ადგა და ბორძიკითა და ცახცახით გაემართა ავტობუსის კარისაკენ.

— ერთი ამას დამიხედეთ! სანამ მძღოლი იქ მასლაათობდა, ეს აქ იჯდა და ელოდა, ახლა მძღოლი მოდის, ამ ყმაწვილს კი ჩასვლა მოეხუშტურა! — თქვა ვიღაც ქალმა.

მართლაც, მძღოლმა პაპიროსის ნამწვი მიწაზე ქუსლით დაასრისა და ხელების ფშვნეტით გაემართა ავტობუსისკენ. მძღოლი და მანუელი ზედ კართან შეეჩეხნენ ერთმანეთს:

— მივდივართ უკვე!

მანუელმა არაფერი უპასუხა. ოთახში ჩაკეტილ ძაღლივით მიუწევდა გული გარეთ.

მძღოლმა ფანჯრიდან თავი გაყო და მანუელს დაუძახა, მივდივართ. ქარი გაზინტლულ შავ თმას უჩეჩავდა. ჩაორთქლილი მინებიდან მანუელს სულელური ხელების ქნევით რაღაცას ანიშნებდნენ. ერთი-ორჯერ ვიღაცის სიცილმაც მიაღწია მის ყურამდე.

— კაცო, მოდიხარ თუ არა?! — კვლავ უყვირა მძღოლმა.

მანუელი არ იძვროდა, ჯიბეში ხელებჩაყოფილი სიცივეს აეტანა.

— აბა, მე წავედი! — გაბრაზდა მძღოლი.

ავტობუსი დაიძრა: შავ კვამლსა და გაზოლინის მყრალ სუნში კვლავ ის შაოსანი ქალები დაინახა. ერთმანეთის პირისპირ იდგნენ და ხმადაბლა ლაპარაკობდნენ, ერთს მეორესთვის დაედო მხარზე ხელი.

(მახსოვს, ჯეზა ცოტას ლაპარაკობდა. იჯდა და ყურს უგდებდა სხვას. ხანდახან უცბად აწევდა ხელს და შენც მაშინვე ხვდებოდი, რაღაცას ისე ვერ ამბობდი. ჯეზა ცოტას ლაპარაკობდა, მაგრამ რასაც იტყოდა, წყალი არ გაუვიდოდა მის ნათქვამს. ლაპარაკზე მეტად საქმე ეხერხებოდა. ახლა კი აღარაფერი აწუხებს, ახლა ის არარაა. მხოლოდ ხელები, მისი საშინელი ხელები ამოტივტივებულან საიქიოდან.)

ერთ-ერთმა ქალმა თქვა:

— მანქანა გაუშვა.

ორივენი მანუელს შესცქეროდნენ. ერთს კვლავ მეორის მხარზე ჩამოედო ხელი.

— ჰო, მანქანა გაუშვი.

იმ ქალმა, ვისაც მეორის მხარზე ედო ხელი, თავით ფეხამდე შეათვალიერა მანუელი. ქალს შავი თავსაფრით დაეფარა თმა. მეორე ქალი უფრო წყნარი და მორჩილი ჩანდა. ისე მიყუჩულიყო, თითქოს მეგობრის მძიმე ხელი უნანავებსო ძილის წინ. ყოველ შემთხვევაში, ასე ეგონებოდა კაცს. მანუელს ეჩვენებოდა,

უფროსი ქალი ამშვიდებდა უმცროსს, რომელიც ალბათ დიდსა და ამავ დროს საშინელებამდე ჩვეულებრივ ნაღველს — სიკვდილის ნაღველს შეეპყრო.

— მანქანა შემთხვევით გაუშვით თუ განგებ?

მანუელს უნდოდა, რაღაც მაინც ეთქვა, მაგრამ სიტყვა ვერ დაძრა. ქალმა ოდნავ აზიდა მხრები:

ბიბლიოთეკა

— ეს მძღოლი დიდი პირუტყვი ვინმე იყო და იმიტომაც გეკითხებით.

— განგებ.

ქალი დაიბნა და უმცროსს გადახედა, რომელსაც მეგობრის ხელს შეფარებულს თითქოს ჩასძინებოდა. მერე ქალები ერთმანეთს დაემშვიდობნენ. პირველად წყნარი ქალი წავიდა ზორძიკით, გზააბნეულის კრავივით მიაბიჯებდა. მეორემ მანუელს შეხედა და ხიდისკენ გაემართა.

მზე თვალს მიეფარა, აცივდა. ირგვლივ ლურჯსა და კამკამა ჰაერში გახვია ყოველივე. ეკლესიის კედელზე დახატული ისარი უხილავი გზისაკენ მიანიშნებდა კაცს.

(მთლად ნაცრისფრად ქცეული და თვალღია ჯეზა რომ დავინახე, გავიფიქრე: „მორჩა, აღარასოდეს გავიღიმებ, არც აღარასოდეს გამეხარდება რამე“! ყველაფერი კი ძველებურად წავიდა! უფრო უარესიც; ისე წავიდა, როგორც ჯეზას გაცნობამდე იყო. ჯეზა მოკვდა, მორჩა და გათავდა, მოკვდა. ალბათ აღარც გავიხსენებთ, ვითომ არც ყოფილიყოს როდისმე. მოკვდა და მეტი არაფერი! მოკვდა, წავიდა, ჩვენ კი დავრჩით, ცოცხლები ვართ, ვსუნთქავთ, ვტირით, ვიცინით, ვბრაზობთ, ვმხიარულობთ, ვდუმვართ. ჩვენ ცოცხლები ვართ და დავაბიჯებთ ისეთივე სახეებით, თვალებით, ხელებითა და ძვლებით ნაპატიებ მიწაზე, როგორიც ჯეზას ჰქონდა. ჩვენ ცოცხლები ვართ და დავაბიჯებთ სისხლით გაჟღენთილ ამ მიწაზე, მის თვალებში კი შუშის სიცივე გამეფებულა. სულაც არ შემშინებია მისი თვალებისა. ჯეზა მოკვდა, უბრალოდ მოკვდა და მეტი არაფერი.)

ქუჩის მოსახვევიდან ყიჟინით გამოცვივდნენ პატარა ბიჭები. მათი მეთაური ათი წლისა იქნებოდა, ფეხმოკლე ბიჭი იყო, შავი წინდები ეცვა.

(მხდალი ვარ, მხდალი, ავტობუსს არ გავყევი, არც ვიცი რამდენი გაჩერებით ადრე ჩამოვედი — სამი, ოთხი თუ ხუთი გაჩერებით ადრე. არ მინდოდა იმ ქალს შევხვედროდი, წავწყდომოდი მის შეშფოთებულ, ბიჭურ თვალებს — ვერავინ დამარწმუნებს, რომ მას ქალის თვალები აქვს. ვერა, ვერ ვეტყვი იმ ამბავს, რაც გულს მღრღნის და მკლავს. ვიცი, შემხვდება, სალმის ნიშნად ხელს გამომიწვდის, მერე სწრაფად შუბლიდან თმას გადაიწევს და უსიტყვოდ, თვალებით მკითხავს: „სად არის ჯეზა?“)

ბიჭები შეჩერდნენ. შავწინდიანი მანუელს პირდაღებული შეაჩერდა. პატარა იყო, სულ პატარა და მაინც ცხადად ეტყობოდა, რა კაციც დადგებოდა — გონიერი, ძლიერი, თავდაჯერებული კაცი იმზირებოდა ამ პატარა ბიჭის თვალებიდან. მანუელი გაჯავრდა, უეცრივ აენთო სულელურად.

— რას მიყურებ? გასწი აქედან!

ბიჭმა ამხანაგებს გადახედა და მხრები აიჩეჩა, რკინის რგოლს გამოდებული მავთული მაგრად ჩაებღუჯა ხელში. მანუელს ბავშვობა გაახსენდა, თითქოს ახლაც მოესმა მკაცრი ხმა, გაჩუმდი, ნუ ტირი — ყასბის შვილს სწორედ ასეთი რგოლი ჰქონდა. (ახლა ასეთი რგოლებით მხოლოდ სოფელში თამაშობენ ბავშვები, ქალაქელებს თვალითაც არ უნახავთ იგი.) ბიჭმა ამხანაგებს რაღაც გადაულაპარაკა. ბავშვებს სახეზე გაუბედავმა ღიმილმა გადაუარა შეშინებული ხვლიკივით. მერე მავთულების რაწკუნითა და ყიჟინით დაეშვნენ დაღმართზე. ხიდს გაღმა, წაბლის ხეებში აქა-იქ გაიელვებდა ხოლმე მათი რგოლები. (მხდალი ვარ, მხდალი.)

მანუელმა ქუჩის კუთხეში შეუხვია და კაფეს მოჰკრა თვალი. ირგვლივ ნედლი ხის სუნი იდგა. ხის სახერხი იყო სადღაც ახლოს.

ზედ ტროტუარზე შუაში ამოსვრეტილი მარმარილოს პატარა მაგიდები იდგა. (ზაფხულში იმ ნასვრეტებში ალბათ გახუნებულ, უმაქნის ქოლგებს ჩაასობენ საჩრდილობლად. მზე მაინც თავისას შვრება, სხივებს ბლუჯა-ბლუჯა, ბოროტ მწითურ მტვერივით აყრის აქაურობას.) მაგიდებს არავინ უჯდა. შიგნით, ფანჯრის მინას ბუზი აწყდებოდა ქანცგალეული. ოფიციანტმა ტილო მინას მიარტყა. ბუზი ჩამოვარდა. ოფიციანტი უნიათო ღიმილით მიუახლოვდა მანუელს:

— არ გცივათ? ახლა აქ აღარავინ ჯდება. შიგნით ღუმელი გვინთია...

(„ახლა აქ აღარავინ ჯდება“. ასეა ეს ცხოვრება. ერთნი კარნახობენ, რისი გაკეთებაა საჭირო, მეორენი მორჩილად ასრულებენ.) მანუელი კაფეში შევიდა.

პირდაბჩენილი ღუმელი წითლად ენთო. ოფიციანტი, ეტყობოდა, კმაყოფილი იყო. თავს ისე იწონებდა თავისი ღუმელით, თითქოს ერთი დიდი და ლამაზი სათამაშო ყოფილიყოს. ცეცხლს შეუჩუჩხურა და ღუმელის კარი მიხურა. ერთი-ორჯერ მანუელსაც გადახედა ღიმილით სახეგაბადრულმა.

— თბილა ხომ?

— თბილა. ავტობუსი როდის მოვა?

ოფიციანტმა მხრები აიჩეჩა.

— დავინახე, დავინახე. წამით გაგასწროთ... ისიც მძღოლი იყო რაღა! იქნებ თქვენ არ ისურვეთ... განგებ დარჩით თუ?..

მანუელმა არაფერი უპასუხა. შაქრის ნატეხებს ატრიალებდა ხელში. ერთი ნატეხი პაწია ფინჯანში ჩავარდა, ნელ-ნელა დადნა და მანუელმა დაინახა, როგორ გაიჟღინთა ყავა შაქრით.

— არა უშავს, — თქვა ოფიციანტმა. — მეორე ავტობუსი ხვალ დილით, თერთმეტ საათზე მოვა. მართალია, მხოლოდ სადგურამდე მიგიყვანთ, — ოფიციანტმა სადგური დაასახელა, თუმცა მანუელისთვის ახლა სულ ერთი იყო ყველაფერი, — მაგრამ თუ დაელოდებით, კიდევ მოვა სხვა ავტობუსი და ის კი ბოლომდე მიგიყვანთ.

მანუელმა გაგრილებული და ფინჯანის ფსკერზე დალექილი ყავა მოსვა.

— ყავას ვერ დაგვიწუნებთ, — ოფიციანტმა მანუელს თვალი ჩაუკრა რიდით, შიშით, შეშფოთებით, მხიარულად და მორცხვად. — ჩვენმა პატრონმა საუკეთესო ყავადანი ჩამოიტანა. ამაზე უკეთეს ყავას აქ სანთლით ვერ იპოვით.

მანუელმა ოდნავ გაიღიმა, ფული ამოიღო. ოფიციანტი დაიხარა და უცებ სერიოზული გაუხდა სახე. მანუელმა გროშიც არ აჩუქა.

— ღამის გასათევი ადგილი თუ გაქვთ?

— ოთახები გვაქვს, — ოფიციანტს სახე კვლავ იმედის ღიმილმა გაუნათა.

მანუელი ყვავილის მძაფრმა სუნმა და დერეფანში, ზედ მის კართან, მოახლე ქალის სიმღერამ გამოაღვიძა. დარაბების მიხურვა დავიწყებოდა და ჟალუზში შუქი მოძვრებოდა. წყუროდა. საათს დახედა, ხომ არ დამაგვიანდაო, მაგრამ გაახსენდა თერთმეტი საათის ავტობუსი მხოლოდ სადგურ ....მდე მიდიოდა. ამ დროს ოფიციანტმაც დაბარებულივით დაუბრახუნა კარზე:

— მანქანა მიდის!

— როდის? — მანუელს მოძველებულ ძრავასავით აუთახთახდა გული.

— ახლა... მგონი ოც წუთში.

— კარგი, მოვდივარ.

ოთახში გაბზარულ პირსაბანთან დოქით წყალი იდგა. მანუელმა თავ-კი-
სერზე შეისხა წყალი. ყურები უხურდა. ოფიციანტს გულით სწადდა ყავადა-
ნით ერთხელ კიდევ მოეწონებინა თავი და სტუმარს ჰკითხა, ხომ არ ინებებთო.
მანუელმა ძველ კედლის საათს შეხედა — საათი თერთმეტის ნახევარს უჩვე-
ნებდა. მერე თავის მაჯის საათს დახედა გაკვირვებულმა — რვის თექვსმეტი
წუთი იყო.

— ჩვენი საათი არ მუშაობს, — გახარებული ოფიციანტი ყავადანს მი-
ვარდა, მალე ხმაურით გამოვარდა ცხელი ორთქლი, ჭურჭელს კედლებზე
წვრილი წვეთები დაასხდა. ოფიციანტმა ფინჯანი შეავსო და ორივე ხელში
ლამბაქჩაბღუჯული მანუელისკენ გაემართა ნეტარი ღიმილით.

— ესეც ასე, აი, ასე, — ფინჯანი წინ დაუდგა, ხელები მოიფშვნიტა. —
ყური მოვკარი თუ არა, მანქანა მიდისო, მაშინვე თქვენკენ გამოვიქეცი, შევა-
ტყობინო-მეთქი...

მანუელმა ყავა მოსვა. გარეთ სიცივეში ორნი მოდიოდნენ პალტოში გახ-
ვეულნი. პირიდან ორთქლი გამოსდიოდათ. მოედნის კუთხეში თეთრად მოჩან-
და ორი მონჯღრეული კარი. ერთი კარის თავზე წითლად გამოეყვანათ ასო მ.
მეორისაზე — ქ. კარებს ქვემოდან მოყვითალო სითხე მოიწელებოდა და იქა-
ურობა ამიაკის სუნით ჰყარდა.

— ტაქსია, — ოფიციანტი ცუხცუხით გაუძღვა მანუელს. დილის მიმქრალ
შუქში მისი ქურთუკი ზანდუკში ჩაკეტილ ძველი ზეწარივით გაყვითლებული
ჩანდა — ორნი ჩასხდნენ. ერთი ადგილი კიდევ არის...

მანუელს უცბად გუნება წაუხდა. ოფიციანტს ღიმილი გაუქრა სახეზე და
იატაკზე, ფეხებთან მიმოიფანტა ქვიშასავით. მანუელი უგუნებოდ გახდა (სჯობს
მივიღეს და უთხრას: „ჯეზაზე ნუღარ ფიქრობ, ნურც წერილებს ელი მისგან. სჯობს სიმართ-
ლე იცოდე — ჯეზა მოკვდა".)

II

— ფანჯარას ნუ გააღებ, — მარსელამ, როგორც იქნა, ოთახის კუთხეში
მდგარ ღუმელს შეუნთო.

მან მაინც გააღო ფანჯარა, სული მოიბრუნა.

— რაღას ვათბობ, შენ თუ წარამარა გაყინავ აქაურობას?! ასე ვერასო-
დეს გამოკეთდები.

სწორედ ეს თვისება მოსწონდა მარსელასი იმ მეორე ქალს: პირდაპირ გე-
ტყოდა სათქმელს, მიუკიბავად მოგახლიდა სიმართლეს. შებრალებითაც ყვე-
ლა ებრალებოდა. წინათ, სულ პირველად (რამდენი თვე გავიდა, რა საოცარია!) მარ-
სელა ეუბნებოდა: „რაღაც არ მომწონხარ, ცუდად გამოიყურები..." დაუდგე-
ბოდა წინ და მოჰყვებოდა, მაგრამ რას მოჰყვებოდა! ისიც გატრუნული უგ-
დებდა ყურს, რაღაცნაირი სიმშვიდე ეუფლებოდა მთელს მის არსებას. მარტო
ის რად ღირს, რომ იცი, არ გატყუებენ, პირში არ გეფერებიან.

— სახლი კი არა, სანეხვეა, — სულს ძლივს ითქვამდა მარსელა (ანდა რო-
გორ მოითქვამდა, როცა წელში მოხრილს თითქმის იატაკზე დაედო თავი), —
თუმცა ღმერთს მადლობა ვუთხრათ, რომ მალე თბება მაინცა. კედლები ჯე-

რაც ნესტიანია, მაგრამ იმ სახლს ბევრად სჯობს. ფარღალალა ქოხი იყო, კედლებში ქარი თავის ნებაზე გადი-გამოდიოდა.

უცბად ბავშვი ატირდა.

— ღნავის, — მარსელას ცეცხლმა კი არა, საკუთარმა, შინაგანმა შუქმა გაუნათა თვალები, მთელი ქვეყნის ტკივილისა და შიშის დამტევი თვალები. ყმაწვილი ქალი დამუნჯებული, ალტაცებული შესცქეროდა მარსელას, ასე ეგონა, სადაცაა ხეებით, მდინარეებით, მთებით, ზღვებითა და გზებით დამძიმებულ დედამიწად გადაიქცეოდა ეს მობუზღუნე დედაკაცი.

— დაყრუვდი? ბავშვი ტირის! — გაუჯავრდა ყმაწვილ ქალს მარსელა.

ქალი მთვარეულივით გაემართა მეორე ოთახისაკენ, დარაბები დაალო. ტირილით მთლად სახეაჭარხლებული პატარა ბიჭი დაჭმუჭნილ საფენებზე წამომჯდარიყო. ქალმა ხელში აიყვანა ბავშვი: ღმერთო, რა თბილია მისი ბიჭუნა! ასლუკუნებულმა ბავშვმა დედას მხარზე დაადო თავი. დედამ ქერა თმაზე ხელი გადაუსვა, ცდილობდა მარსელასავით მშვიდად და გულიანად მოფერებოდა ბავშვს, მაგრამ რატომღაც არ გამოსდიოდა. ბავშვი აღარ სლუკუნებდა. თავისთვის ღუღუნებდა რაღაცას. ქალმა შვილს თავი გადაუწია და სახეში შეხედა. (მალე ორი წლისა გახდება. ორი წელიწადია შეჰყურებს ქვეყანას თავისი პაწია, ქლიავივით პრიალა თვალებით. მაინც რა საამო სუნი ასდის პატარას — მზეზე გაფიცხებული მიწის, ხის, კვამლის, ტყის სუნი. ორი წელიწადია ტირის, ჭამს, საბნებში კრთის, ათასი რაღაცის გაგება სწადია.)

— ჰო, მოკვდა, — წყევლასავით გაიმეორა მანუელმა.

ქალმა თითქოს ვერ გაიგონაო, ბავშვით ხელში გახევებულიყო მანუელის წინ. რა ხანია, რამდენი საუკუნეა სწორედ ასე ხატავენ თუ აქანდაკებენ ქალებს, ასეთად გვევლინებიან ისინი სურათებსა თუ ფრესკებზე, ვიტრაჟებზე, გრავიურებსა და ესტამპებზე. ქალი სურათიდან. არა, სულაც არა. ასეთი თვალები არც ერთ სურათზე არ მინახავს — ტყუილად როდი ეშინოდა მანუელს ამ თვალებთან, გაკვირვებულ, სხივჩამქრალ, ბიჭურ თვალებთან შეხვედრისა.

— დაჯექი, — მანუელმა სკამი დაუდგა ქალს, მაგრამ ის მაინც იდგა. კარში მარსელა გამოჩნდა, გაჯავრებული და წარბშეკრული.

— მხეცო!

მანუელი თავად ჩამოჯდა ქალისათვის შეთავაზებულ სკამზე. შიშისაგან არ ცახცახებდა — მძიმე, ტლანქი, სულელური ხელები ფარფარებდა მის თვალწინ.

— მხეცო, ასეთი რამის თქმა შეიძლება?

გაბრაზებულ მარსელას ღორბლი მოადგა ტუჩის კუთხეებში (ცლეხის ქალებს ნადირის დანახვაზე ასე მოექცევათ ხოლმე სახე. მახსოვს, ერთმა დედაკაცმა ცელით აკუწა მელიის ლეკვები...)

ბავშვმა გაიცინა, მარსელას ფუნჩულა ხელი მოუთათუნა, ეტყობა, მოეწონა გაჯავრებული. (ეს ბავშვი ჯეზას შვილია, მაგრამ მის სიკვდილს ჩვენსავით ვერასოდეს განიცდის. ჩვენ ახლა ტანჯვით სული გვხდება, მას კი, დადგება დრო და არ ეცოდინება, რა არის ამქვეყნიური ვაება. გაიზრდება და უბრალოდ ეტყვიან: „მამაშენი მოკვდა". იქნებ სადმე ყურიც მოჰკრას, როგორ მოკვდა, მაგრამ ღრმად ვერასოდეს ჩახვდება ამ საშინელებას ჩვენსავით, მარსელასავით, დედამისივით.)

— გაჩუმდი, — ხმა ამოიღო ყმაწვილმა ქალმა.

ღუმელში შეშას ტკაცუნი გაჰქონდა, ქარი ნელიად გუგუნებდა მილში და

ყოველივე ამის ფონზე უცნაურად აჟღერდა ყმაწვილი ქალის ხმა. მარსელა სკამზე დავარდა, ძლიერ, მზემოკიდებულ, იდაყვამდე შიშველ ხელებში ჩარგო თავი და ნელა ატირდა.

ოთახში მძღოლი შემოვიდა, ხელებს ჩვრით იწმენდდა.

— მოდიხართ თუ რჩებით?

მძღოლი ტანდაბალი კაცი იყო, ბანჯგვლიანი. მანუელი მხოლოდ ახლა მიხვდა, მთელი გზა არ დალაპარაკებოდნენ ერთმანეთს.

— მოიცათ, — უთხრა მანუელმა. — ვერ გადამიწყვეტია, წამოვიდე თუ დავრჩე.

მძღოლმა გაკვირვებულმა შეხედა ქალებს, მერე ხელი ჩაიქნია:

— კარგი, არ მეჩქარება. — კარისაკენ გაემართა, თვალები ნამიანი ჰქონდა. (ვაჭრები, ირგვლივ ვაჭრები არიან, გაბღენძილი მდაბიო ვაჭრები. ოფიციანტს ხელში თეფში ჩაუბღუჯავს და იღიმება. ამ მძღოლმა „კარგით" თქვა. თავიანთ დუქნებთან სხედან და მოთმინებით ელიან... მე მელიან, ოფლში გახვითქული მელიან ჩასუქებული, გაქნილი და ყველგან საჭირო ვაჭრები. ჩამომსხდარან მის კართან, დარდისა და ნაღველის კართან და იღიმებიან, ელიან. აი, ცხოვრება: ჩასუქებული ვაჭარი მოთმინებით ზის დუქანთან, სალორესთან, ქონიანი თვალებით შემომცქერის და მელის. ნაცნობი სურათია, ნაღვილი ცხოვრებაა. მხოლოდ სიკვდილია დიდებული, მშვიდი და წყნარი, ჭეზას სიკვდილივით. სიკვდილი, სიკვდილი, სიკვდილი. ასე მიუსაფარი არასოდეს ვყოფილვარ მთელი ჩემი ძაღლური ცხოვრების მანძილზე. არარაფერი მიტაცებს ამქვეყნად, არც ალერსი, არც სიბრალული, არც მეგობარი, სულ არაფერი. თითქოს მკვდარი ვიყო. რა საშინელებაა, სიკვდილმაც მიგაბა. მხოლოდ სიკვდილი სუფევდა ჩემ გვერდით, მხოლოდ მას შეეძლო ჩემი საკუთრება გამხდარიყო და იმანაც მივანა, ზურგი მაქცია. ჭეზამ ყოველივე წამგლიჯა ხელიდან, წამგლიჯა სიკვდილი და დამიტოვა უაზრო სიცოცხლე, წუთებითა და წამებით უთავბოლოდ აკინძული სიცოცხლე. მხოლოდ ჭეზამ იცოდა, მხოლოდ მას სჯეროდა ჩემი და სწორედ მან წაიღო ჩემი ერთადერთი სიმართლე.)

არნახული წითელი მზე გამოგორდა ნისლიდან, სხივი მიაფინა კედლებს, მაგიდასა და ყმაწვილი ქალის საგულდაგულოდ და სიყვარულით შერჩეულ თიხის ჭურჭელს. მზის შუქი მოეფინა ყოველივეს (მაგრამ ეს არ იყო ნათელი შუქი — ეს ელვას ჰგავდა, მხოლოდ ერთის წამით რომ აქცევს ღამეს დღედ, მერე კი კვლავ უკუნეთში ჩაგძირავს, გახრჩობს, ზღვის ტალღასავით გასრუტავს—თითქოს წამით აღდგა სიცოცხლის რომელიღაც მონაკვეთი). მანუელი ქალისათვის შეთავაზებულ სკამზე დაჯდა. რატომღაც მოეჩვენა, საკუთარ თავს შორიდან ვუთვალთვალებო. ხელები საათის ქანქარასავით ჩამოეკიდა, მხრები უცახცახებდა.

(თეთრი კუბიკივით შემდგარიყო სახლი ფერდობზე, ათასნაირად ბრწყინავდა ცვარდაპკურებული ბოსტანი, ფუტკრების ზუზუნი და ყვავილთა დამათრობელი სურნელი აზრს მიფანტავდა. დედა ჩემ წინ იდგა მდუმარედ. ზღვასავით თვალებით შემომცქეროდა აცახცახებული. ახლანდელისა არ იყოს, მაშინაც სიტყვებზე მეტად ჩვენ შორის გაბმული წვრილი ძაფი გვაახლოებდა. ნავთან იწვა მკვდარი ჯონე ტარონჯი. „მამა", — მინდოდა წარმომეთქვა ეს სიტყვა, საფეთქლებში ისე ძალუმად და ჯიუტად რომ მირახუნებდა, როგორც ველური — დაფდაფი, მაგრამ უცხო სახელი მოძვრებოდა ჩვენ შორის გაბმულ ძაფზე, იმ კაცის სახელი, ვისაც მკვლელი ერქვა თავისი გულგრილობით, სიძულვილით, პატივმოყვარეობით. ძაფზე მოცვრებოდა სახელი მკვლელთა შორის უსაშინელესი მკვლელისა, რომელიც ჯერ კიდევ მიყვარდა.)

— მაპატიე, — თქვა მანუელმა.

ქალი კედელს მიეყრდნო. ახლა მის თმას წაჰკიდებოდა მზის ცეცხლი. თმა

შუაზე გადაეყო და სწორი ხაზი თეთრად უჩანდა. მხოლოდ ამ ხაზთან უბზინავ-და ვერცხლისფრად თმის ძირები. მერე კი, თანდათან ისე უმუქდებოდა და მდვრიე ოქროსფერი ედებოდა, თითქოს ბზინვარებას გზადაგზა სიკვდილი ეუფლებაო (ცეცხლის ალი ჯერ ხომ გაბედულად ხტის და ჰარბაღებს, მერე კი ნელ-ნელა ელევა ძალა და ქრება).

ეროვნული ბიბლიოთეკა

— როდის მოხდა ეს ამბავი? — როგორც იქნა, ხმა ამოიღო ქალმა.

— გუშინ ჯეზას სანახავად წავედი. არაფერი უთქვამთ, მაღლოდინეს მხოლოდ. მერე მისი ნივთები გადმომცეს... წაიღებ?..

— თვითონ ის განახეს?

— ჰო.

მანუელმა უაზროდ გაიმეორა: „ჰო“. ქალმა კვლავ გაკვირვებულმა შეხედა. მეტი არაფერი. მერე მობრუნდა და კარისაკენ გაემართა. ბავშვს დედის მხრებზე დაეყრდნო თავი და მანუელისაკენ იცქირებოდა (თვალებით ერთმანეთს ჰგავს დედა-შვილი.) მარსელამ თავი ასწია. პირის კუთხეში, ნაოჭში ჩიმალული ცრემლი უბრწყინავდა:

— ერთს გეტყვი, მანუელიტო, — მარსელამ დანა აიღო და მაგიდას ისე დაარტყა, ფიცარი არ გაუჭრია, კვალი დააჩნია მხოლოდ. რისხვას ძლივს იკავებდა, მაგრამ ყვირილზე მეტად სჭრიდა მისი თავშეკავება.— წყეულიმც იყოს ჯეზას მკვლელი, ღვთისაგან დაწყევლილი იყოს იგი მარადის!

ახლა მის თვალებში ავი ნაპერწკალი აღარ კრთოდა, მხოლოდ მშვიდი მწუხარება ჩაჰბუდებოდა (ხშირად ჩამიხედავს ჭამი და დუმილის გამოძახილი მოისწვდენია ყურთასმენას.)

— ძმასავით გიყვარდა, — დასცინის მანუელს.

— ძმა იყო ჩემი, გესმის, ძმა! სიმეონსა და საკარიასზე მეტი იყოს ჩემთვის. ჯეზა ძმა იყო ჩემი.

## III

(საოცარია, რომ ეს ამბავი მოხდა აქ, ჩვენი შვილის თვალწინ. საოცარია, რომ ეს პატარა ბიჭი ჩვენი შვილია და მასაც ალექსანდრო ჰქვია. ყველაფერი უცნაურია ირგვლივ — სახლიც და მარსელაც, ჯეზას დობას რომ იჩემებს. უცნაურია ის ბიჭიც — მანუელიც, რომელიც ისე მელაპარაკება, თითქოს ბევრი რამ გვქონდეს საერთო. განა უცნაური არ იქნება, ვინმემ თუნდაც გუნებაშიც გაივლოს, ამ ქალთან სიყვარული, მეგობრობა ან უბრალო ნაცნობობაც კი მაკავშირებსო? არავის ვიცნობ, არაფერი არა ვიცი რა, მხოლოდ ჯეზას ვიცნობდი. მხოლოდ მისი აღსასრულის ამბავი მაინტერესებდა. არა, ის ვერ მოკვდებოდა. არ მოკვდება, რამეთუ მე აქ ვდგავარ და შევცქერი ალექსანდროს და ალექსანდრო მე შემომცქერის. უცნაურია, ალექსანდრო არ ტირის. თვალები უბრწყინავს და ცხვირიც ორ გაოგნებულ ნესტოიან შეერთებას მიუგავს. ალექსანდრო ჯეზას შვილია, მაგრამ სულ არ ჰგავს მას. უცნაურია. ჯეზასთან მე უფრო ბევრი რამ მაკავშირებს, ვიდრე მის შვილს. მე — ჩემს სხეულს, თმას, კბილებს უფრო მეტი აქვს ჯეზასი, ვიდრე მის შვილს. მაშასადამე, თავს უნდა მივხედო, ჯეზა უნდა ვაცოცხლო ჩემში. ო, ღმერთო, რას ვამბობ, თავში რა აზრები მიტრიალებს! არა, ტყვილი ჯერ არ მიგემნია, ბერიბში ვარ მხოლოდ. მე ოცდაორი წლისა ვარ, ჯეზა მოკვდა და მისი სიკვდილი ჩემს ოცდაორ წელს დაეწვა მხრებზე. რა გამოვიდა, ოცდაორი წელი თურმე იმისათვის ვცხოვრობდი, ჯეზას სიკვდილს შევეყროდი ბარისპირს! ამ ბავშვს ბევრი არაფერი აკავშირებს ჩვენთან. არ

ვიცი, რა დავარქვა ამ გრძნობას — სისხლსა და ხორცზე მეტად მნიშვნელოვანს. მე ჯეზა ვარჩიე. ვარჩიე და იმანაც მიმიღო. ეს არის და ეს. ეს ბავშვი კი არც ერთს არ ამოგვირჩევია. არ მინდა ასე ცხოვრება! ნუთუ მარტოოდენ მოგონებები უნდა ვზიდოთ ტვირთად მთელი სიცოცხლე? ავდგები და ჯეზასავით გადავიგდებ მხრებიდან ამ ტვირთს. მე რომ მოვმკვდარიყავი, ისიც ასე მოიქცეოდა. ახლა მე ერთი საქმეღა დამრჩა — დავივიწყო [illegible] და წინ გავსწიოთ. ბოლოს და ბოლოს, სადღაც ხომ მივაღწევთ ჩვენ, ჩვენი შვილები, შვილთაშვილები. გამიძნელდება ჯეზას დავიწყება! მე ხომ მოვალე ვარ მუდამ მახსოვდეს, რას აკეთებდა ის, რას ამბობდა. ჯეზა ხომ მარად იცოცხლებს ჩემს გულში, მანუელის გულში. იქნებ საჭიროც იყო მისი სიკვდილი, რათა ჩვენ, მარსელსაც, უკეთ გაგვეგო ყოველივე, რისთვისაც ის იღვწოდა. ჯეზას საქმიანობით შეშფოთებულ მარსელს რამდენჯერ უთქვამს: „სახედარივით ჯიუტია ნამდვილად!“ ახლა მარსელიც მიხვდება ყოველივეს. ჯეზას ბრმები ეხვივნენ გარს. ჩვენი ეჭვები, ჩვენი მონური ერთგულება აღიზიანებდა, ერთთავად მიჩიჩინებდა: „მინდა ძირისძირობამდე მიხვდე, რატომ ხდება ეს ყველაფერი. ჩემი გულისათვის თავის გამოდებას არ გთხოვ. კარგიაო, ამბობ? მარტო თქმა ცოტაა! უნდა იცოდე, გჯეროდეს, რატომ არის კარგი“. მაშინ არაფერი გამეგებოდა მისი, ახლა კი ამ ყოვლისდამნთქმელ წყვდიადსა და საზარელ მდუმარებაში მარტოდ დარჩენილი, მგონი, ვხვდები ჯეზას ნაფიქრსა და ნათქვამს. ჯეზა, სად ხარ ახლა, რას აკეთებ! რა სიტყვაძუნწი იყავ, ჯეზა! და მაინც ჩვენზე ცოცხალი ხარ შენ ახლაც, შენ იყავი, არსებობდი, შენ სინამდვილე ხარ! ჩვენ სხვანი ვართ, შენ არ გგავართ, ჩვენ ისე წავალთ ამ ქვეყნიდან, თითქოს არც გვიცხოვრია; სიტყვებივით, აზრებივით, იმედებივით გავქრებით. შენ ჭეშმარიტება ხარ. შენ იყავი. შენ ახლაც ხარ ჩემს არსებაში, მანუელის არსებაში, ყველგან, მიწაშიც კი. ჯეზა, ვერც კი მოვასწარ, რაიმე მესწავლა, შემეთვისებინა შენგან. ახლა კი, შენი სიკვდილის მერე, ყველანი ვისწავლით, ალბათ არ გაგვიძნელდება. ნეტავ თუ გაგეხარდებოდა? შენ შეჰხაროდი პურსა და ჰაერს და არა სხვა რაღაცებს სხვებსავით. მარსელს ხშირად უთქვამს, მაგ საწყალს ბევრი არა უნდა რაო. შენ ყველაზე ნათელი და უბრალო კაცი იყავი. შენ გვერდით ჩვენ ნამცეცებს ვგავდით, უაზრო სურვილებისა და იმედების ნამცეცებს. შენ ხე იყავი — ასე იყო საჭირო და ასეთიც იყავი. როგორ გვინდოდა, შენა გვგვანებოდით, ჯეზა; ახლაც გვინდა, ძალიან გვინდა! ხე არ კვდება, არც შენ მოკვდები. ხესავით იცოცხლებ. იმ ბიჭმა რა თქვა? ჯეზა მოკვდაო? სისულელეა. განა უთქვამს ვინმეს, ხე მოკვდაო? ჰოდა, თუ არ უთქვამს, არც შენ მომკვდარხარ. ასე მესმის მე, ასეა საჭირო და ასე უნდა გავიგო. ზედმეტია სიტყვები, მაცდური ფიქრები და პირობითობა — მთავარია ის, რაც რეალურია, რაც არის. ასეა ჯეზაც, ის არის, ის ცოცხალია.)

ბავშვი ღნაოდა, ლამის ხელიდან გასხლტომოდა, მას კი არაფერი ესმოდა. მარსელმა მხარზე შეახო ხელი და ბავშვი გამოართვა.

— წამოდი, შვილო, წავიდეთ.

ქალმა უარის ნიშნად თავი გააქნია: „არა, არა.“ თან თვალი გააყოლა კარისაკენ მიმავალ მარსელს, რომელსაც ხელჩაკიდებული მისდევდა ბავშვი. ქალი შეჰყურებდა მარსელის ღონიერ, უხმაუროდ მოსიარულე ფეხებს. მერე ყური მიუგდო, უკვე კარს მიღმა ისმოდა ყრუ ნაბიჯები. უცნაური ბიჭი ჩანს მანუელი! მგონი, ის უარეს დღეშია უჯეზოდ, მიუსაფარი და მარტოსული. უეცრად სიცივე გაქრა (ჩემს არსებაში ვაშლის ტოტივით შეირხა რაღაც, კოკისპირულ წვიმასავით იძალა მრისხანედ და დამთრგუნველად — ჯეზა აღარ არის! ვეღარასოდეს ვნახავ მის თვალებს, ხელებს, ვერც მე, ვერც ალექსანდრო და ვერც ვერავინ ამ ქვეყანაზე. რატომ? რატომ? მე ვშფოთავ, ვცდილობ ავხსნა ყოველივე, მაგრამ მაინც ლოდი მაწევს გულზე. ნუთუ ჩვენი დაწყევლილი ხორცი მამძიმებს? რად არის ასე ძნელი, სამუდამოდ დაკარგო კაცი? მე ხომ თავს ვარწმუნებ, გახსენება არ შეიძლება-მეთქი. მოგონება ხომ მშრალი ქვე-

შაა, თითებშუა რომ გეპარება ნელ-ნელა. და მაინც მჯერა, მთელის არსებით ვგრძნობ, ჯეზას ვეღარასოდეს ენახავ, ის აღარ არის. ვგრძნობ და მომავალშიც ვერ მოვიშორებ ამ გრძნობას. ის აღარ არის, ვეღარასოდეს ვერ ვიხილავ.)

ქვეყნიერებას საძირკველი გამოეცალა, შუაზე გაიპო და ქალს უეცრად გაახსენდა: ერთხელ მარსელამ თავისი ღონიერი და ნაჯაფი ხელებით უდანოდ გადაპლიჩა ვაშლი და თქვა: „შეხედე ერთი, გარედან არაფერი ემჩნეოდა, გული კი დამპალი ჰქონია!“ ახლაც ამსხვრევდა, ანამცეცებდა ყველაფერს ვიღაცის ბოროტი ხელები განუსჯელად და უაზროდ. გონება გარედან არის სუფთა და სასიამოვნო, შიგნით კი დამპალია და ფუტურო. (ადამიანი სიბინძურიდან არის შექმნილი. გახლეჩ შუაზე და დამპალი და ქიანაჭამი შიგნეული შეგრჩება ხელში.) ქალს ცრემლი გაშრობოდა, მტანჯველი ტკივილი უწვავდა სხეულს და ტიროდა წყნარად, უხმოდ, უცრემლოდ.

IV

— ახლა რას იზამ? — ჰკითხა ქალს მანუელმა.

ისინი იმ მაგიდას შემოსხდომოდნენ, მარსელამ წელან დანა რომ დაჰკრა; სულელ ქალს თითქოს სურდა ამ ერთი დაკვრით ბოლო მოეღო ბოროტებისათვის დედამიწაზე. ჯეზას ცოლი, დაშრეტილი, უსიცოცხლო, არაადამიანური თვალებით შესცქეროდა მას.

— არ ვიცი, რით გაგიმართო ხელი. მითხარი და ყველაფერს გავაკეთებ. ქალმა ენა ამოიდგა.

— წერილებს რატომ მწერდი?

— რატომ და... ერთ დღეს პორტში მივედი, ძალიან მინდოდა იმ დღეებში მომხდარი ამბები აღმედგინა. მარინემ ჯაკობოს მისამართი მომცა. სწორედ ჯაკობომ მითხრა, ჯეზა დააპატიმრეს, მისი ცოლი კი ერთ შორეულ სოფელშია საკარიასისა და სიმეონის დასთან ერთადო. მერე ჯეზაც რამდენჯერმე მოვინახულე ციხეში. პირველად მეშინოდა, არ შემიშვებენ-მეთქი, მაგრამ ისინი... ხომ იცი, ახლა სხვა თვალით მიყურებენ. წინათ თუ არაფრად მაგდებდნენ, ახლა, მობრძანდით, ჩემო ბატონოო.. ფიანდაზებს მიფენენ. ჰოდა, დავიწყე მარსელასთან წერილების წერა, ვიცოდი, შენ გადმოგცემდნენ.

— დიდად არ გემადლიერებოდი, მაგრამ იცოდე: მთელი ეს ხანი შენი წერილები მასულდგმულებდნენ. არც ნახვა მინდოდა შენი და არც საპასუხო წერილს გწერდი. მადლობელი ვარ, მანუელ...

— აბა, ეგ რა საჭიროა, — უკმეხად გააწყვეტინა ვაჟმა (მართალი უთხრა მოხუცმა სანიმომ: „რა უხეში გახდი, მანუელ!“) და გაუსაძლისმა ტკივილმა დაუსერა ყელი (სიკვდილი განსაკუთრებით მაშინ არის ძნელი, როცა მთავარ ძარღვს გასერავენ დანით.)

— ვინ იცის, რაღას არ გეუბნებოდნენ ჩემზე, — უთხრა ქალმა.

მის ხმას სილალე დაეტყო — თითქოს მდინარე გადაევლო ჯებირებს, ცეცხლმა აიშვა თავი ამ განუკითხველი მიწის წასალეკად და დასანაცრებლად.

— ვიცი, — განაგრძო მან. — ჩემი სიყვარულით არავინ იკლავდა თავს. მის ამხანაგებს ხომ თვალის დასანახავად ვძულდი. არავის არ ვუყვარდი. რას იზამ, ვერავის გაამტყუნებ. ჩემი იმედი არ ჰქონდათ. მართალიც იყვნენ.

— ჩემთვის კი სულ ერთი იყო, რასაც ამბობდნენ, — მხურვალედ წარმოთქვა მანუელმა. — ვიცოდი, მისი ცოლი იყავი, მორჩა და გათავდა! მე ახლა მხოლოდ ჯეზა დამრჩა იმედად, თუმცა ის მკვდარია. დანარჩენების დარდი არ მაქვს. მხოლოდ ჯეზას იმედი მქონდა, რაღაც-რაღაცების გაგებაში დამეხმარებოდა, ნათელს მოჰფენდა — შენც გთხოვ...

მანუელი შეშინებული დადუმდა. ქალი სხვანაირად შესცქეროდა: გაკვირვებული და აღტაცებული.

— განაგრძე, — ყრუდ აღმოხდა მას.

კარგა ხანს საუბრობდნენ ხმადაბლა (ჩვენ გარშემო თითქოს ათასი ყური, ათასი ვერაგი ყური ამოიზარდა მიწიდან.)

მაინც რა იყო ჯეზა შენთვის? ასე რატომ იზიდავდა იგი ყველას? იცი, მანუელ, ჯეზა რაღაცნაირი კაცი იყო... ადვილად ვერ მოსდრეკდი, ყველანი მისკენ ვისწრაფოდით. ზოგჯერ მეჩვენება, თავად ხომ არ გამოვიგონეთ-მეთქი ჯეზა. აი, შენ თქვი, ვნახეო. მე კი მეეჭვება. იქნებ არც არავის უნახავს, იქნებ ოცნებასავით ცხოვრობს ჩვენს სულში?

— ვნახე, — მტკიცედ თქვა მანუელმა. — თითქმის თერთმეტჯერ შევხვდი დაველაპარაკე. ორმაგი რკინის ზღუდე გვყოფდა. შუაში ციხის ზედამხედველი დადიოდა და ყურს გვიგდებდა. ჯეზა ორმაგი რკინის ზღუდის იქით იდგა, მაგრამ ჩემთვის ესეც საკმარისი იყო. მერე შენ გწერდი წერილებს.

(ერთ დღესაც ფერგამკრთალმა ზედამხედველმა მითხრა: „აღარ არის საჭირო" და უკან დამიბრუნა ყმაწვილკაცებისათვის მუდამ სასურველი და ძვირფასი თამბაქო და შოკოლადი. თან დასძინა: „აგერ, იქ დაჯექი, მეგობრის მოკითხვას გადმოგცემ". ნეტავ რად ეუამბობ ყველაფერს ამ ქალს? თანაც რა ხარბი, მრავალი თვალებით შემომცქერის. ზედამხედველს ვუთხარი: „ყველაფერი გასაგებია, როდის მოხდა?" „დროზე მოხვედი. ამ დილით". „შეიძლება ვნახო?" მსუქან, გაოფლილ ხელში ფული ჩავუჩურთე. „მიდი, უფროსს სთხოვე". ჯორჯე დე სონ მაჟორის შვილი ის საწყალი მანუელ ტ...ონჯი არ გეგონოთ, ჰაში მკვდარი ძაღლი რომ ჩიუგდეს. ჯეზას გვამის ნახვის ნება დამრთეს. მთლად ნაცრისფერი დადებოდა სახეზე. თხელი კანი უსიცოცხლოდ გადასჭიმოდა ლამაზ შუბლზე, ლურჯი თვალებით მიშტერებოდა სივარიელეს.)

— მანუელ, — ქალმა ხელი გაუწოდა ვაჟს.

(რა ვთქვა, არ ვიცი. არაფერი, წინათ მეგონა, სიტყვებს ძალა აქვთ-მეთქი... მითხარი რაც გინდა. რაც არ გინდა, იმისათვის თავს მოვიყრუებ, არ გავიგონებ. მითხარი, ორივეს გულზე მოგვეშვება.)

— ვიცი, ათასნაირი სისაძაგლე გიამბეს ჩემზე, ჯაკობომაც არ დამინდო, ხომ ასეა? — თქვა ქალმა.

— ჰო, ასეა, — მანუელმა რატომღაც თავისუფლად ამოისუნთქა.

— კარგია, რომ არ ცრუობ. დავიღალე, ძალიან წამერთვა, ყველანი სდევენ.

მანუელმა ნისლში ჩაძირულ საგნებსა და კედლებს შეავლო თვალი (წუთები ინთქმებოდნენ დროის უფსკრულში.)

— წავიდეთ აქედან, — თქვა მანუელმა. — წავიდეთ, ვილაპარაკოთ, გულს გადავაყოლებთ. ჩემი სახლი ზედ ზღვის პირას დგას. წავიდეთ. სალაპარაკოს რა გამოგვილევს.

მანუელს ოცებ მასზე უმცროსი მოეჩვენა ქალი, თუმცა სინამდვილეში სამი წლით უფროსი იყო ვაჟზე. თანაც შიში და ორჭოფობა შეამჩნია სახეზე.

— თავი დაანებე ყველაფერს და წავიდეთ.

— კარგი, — წყნარად თქვა ქალმა. — წავიდეთ აქედან. დროა დავფიქრდე, ენა ამოვიდგა. ისე დიდხანს ვდუმდი, საკუთარ ხმას ველარა ვცნობ. თუ ნებას მომცემ, ყველაფერს გიამბობ. იქნებ სისულელეა, იქნებ საჭირო არ არის, მაგრამ ასე მგონია, მერე ყველაფერი თავის ადგილას დალაგდება [illegible] ვამბობ ხომ, მანუელ?

— ყველაფერი ძალიანაც გასაგებია.

ქალმა მანუელს ლოყაზე მოუცაცუნა ხელი. ტკბილად ნათქვამ სიტყვაზე მეტად მოჰფინა სიამე და სიმშვიდე მის სულს ამ უცნაურმა, თითქმის უნებურმა ხელის მიკარებამ.

მძღოლი კვლავ გამოჩნდა კარში:

— რა გადაწყვიტეთ?

მანუელმა ქალს შეხედა. იგი მაშინვე წამოხტა:

— ახლავე ჩავაწყობ ჩემოდანს და წამოვალთ.

ოთახში მარსელაც შემოვიდა.

— კარგად მოგიფიქრებია, — თქვა მან. — იქნებ დარდი გადაიყარო გულიდან. წადი. ბავშვზე არ იდარდო. არაფერს დავაკლებ. იქაც მიდი, იქნებ მიცვალებული გამოგატანონ. ადამიანურად დავმარხოთ.

თითქოს რაღაცას ელიანო, ამ მოაჯირთან გაკვირვებული ჩერდებოდნენ ყველანი. ტალღების ტლაშუნი და ქარის გაბმული ღმუილი ზედ ბაღის შესასვლელთან უბორკავდა ფეხს გამვლელ კაცს.

— ეს არის შენი სახლი?

— ჰო, ახლა ჩემია. რამდენ ხანსაც მოგესურვება, იცხოვრე აქ. ხელს არავინ შეგიშლის. მე ქვემოთ ვცხოვრობ, ფერდობზე.

— მე არასოდეს არ მიშლიან ხელს, — კვლავ გასაოცარი გულგრილობით თქვა ქალმა.

მანუელი ნაზად შეეხო მხარზე და ბაღში შეუძღვა.

გზაზე ქურთუკში გახვეული სანამო შემოხვდათ. (ვეებერთელა, ჩაბნელებულ ვერანდაზე აებლდითად ქოთქოთებდნენ დუმილში ჩაყურსული სვეტები.) ლურჯად შეღებილი დარაბები მჭიდროდ მიეხურათ. მოაჯირზე აყოლებულ მუქ ვარდისფერ ყვავილებს ჭკნობა შესდგომოდათ და გაშიშვლებულიყო მლოცველის ხელებივით შეკრობილი რკინის მესერი.

ბაღში აქა-იქ პატარ-პატარა კოცონები ენთო — სანამო ფოთლებს წვავდა. მოწითალო კვამლი სვეტებისაკენ მიიპარებოდა და ნაძვის სუნიც ზანგივით ედებოდა არემარეს. (ყვავილის ნასახიც აღარსად ჩანდა, მხოლოდ ბაღის ბოლოში მიყუჟულიყვნენ გამხმარი სისხლივით მოშავო-მოწითალო სამაგელი, ბოროტად მჩირალი ვარდები.) ხეთა ჩრდილში, ხის მაგიდასთან უყვარდა ბატონს სადილობა. ახლა აქ სულიერი არავინ ჩანდა. უშუქარი ხვრელივით დაღეღო პირი სიცარიელეს და გულივით ფეთქავდა.

სანამო პირდაბჩენილი იდგა (ის უკვე მეტისმეტია... ღმერთო მიუთრია".)

— სანამო, კარი გაგვიღე. მე არ მაქვს გასაღები.

ქარმა ზედ სახეში შემოაფრქვიათ კვამლი. იქ, კედელს მიღმა ზღვა ქვებს ეხლებოდა (მარადიული ზღვა მარადიულ კედლებს ეხეთქება.)

— აქ ვენახი იყო, — მანუელი ქალს მოაჯირისკენ წაუძღვა.

— ოქტომბერია, — სანამოს ხმაში სიბრაზემ იფეთქა. — ღვინის, ვაზისა და ვარდობის თვე. აი, რა უყვარდა მას.

ეტყობა, ქალს არაფერი ესმოდა. მაღლა იცქირებოდა ოდნავ ზაგეგაპობილი. მხრებზე დაფენილი თმა ოქროსფრად უბზინავდა. მანუელმა მხოლოდ ახლა შეამჩნია, რა ღარიბულად ეცვა ქალს. ათასგზის განარეცხ სვიტერს ფერი წასვლოდა, გაცრეცილიყო.

სანამო ქალ-ვაჟს გაშორდა. კვლავ ფოთლების ხვეტას მიჰყო ხელი, გაბრაზებული ისე გამეტებით იქნევდა ფოცხს, თითქოს მიწას ტყავს აძრობსო. ბაღის კუთხეში ტკაცატკუცი გაჰქონდა მოლურჯო ოქროსფერ ცეცხლის ენებს. ფერფლი პაწია შავი ეშმაკუნებივით ეშვებოდა მიწაზე. ქალი გამოერკვა, თმაზე ხელი გადაისვა, მხარი შეათამაშა.

— კუნძულიდან არასოდეს წასულხარ სადმე? — უეცრად იკითხა მან.

— არასოდეს.

სანამომ ფოთლები მოხვეტა, მერე გასაღები დააგდო მაგიდაზე და წავიდა.

## V

მანუელი მწვანე მინის თალფაქქვეშ მბზინავ „დელფინის“ პაწაწინა ასლთან შეჩერდა.

— მარინეს ნახელავია, — თქვა მან, თუმცა იცოდა, ფიქრებში წასული ქალი ხომალდს შესცქეროდა, მაგრამ ვერ კი ხედავდა.

— არ ვნახავ მიცვალებულს, — კვლავ მოულოდნელად თქვა ქალმა. — კაცს რომ ცოცხლად დაიმახსოვრებ, სხვაა, მიცვალებული კი სხვა.

მანუელმა მხარზე დაადო ხელი. მანაც თავისი პატარა, ცივი და გამხდარი თითები მოუჭირა ვაჟს ხელზე.

— დიდი ხანია არ გინახავს?

— დაპატიმრების მერე არც ერთხელ არ მინახავს.

(ქალი ქმარს არც გამომშვიდობებია. ორი დღე არ ენახათ ერთმანეთი და შეთანხმდნენ, იმ საღამოს შეხვედროდნენ. ჯეზა ჯაკობოსა და ერთ იტალიელ მეზღვაურს გაჰყვა. ქალს უკანასკნელად არც კი შეუხედავს მისთვის.)

— ჰო, არ შემიხედავს. ეჭვიც არ გამივლია გულში. არც წინათგრძნობა მაწუხებდა. ორი დღე რომ ველოდე გამოკეტილი, მაშინ კი ავწრიალდი. მერე ის იყო, ჯაკობომაც დარეკა...

(წვიმამ უეცრად გადაიღო. სულ ახლახან წვიმის წვეთებს წკაპუნი გაჰქონდათ ფანჯრის მინაზე. ქალმა თავი ასწია და იგრძნო, ირგვლივ ბლანდი მდუმარება შემოსწოლოდა ყოველივეს. თავი ასტკივდა. საფეთქლები მოისრისა. უცნაური გრძნობა დაეუფლა: უეცრად ჩამოწოლილ მდუმარებაში მისი ატკივებული თავი დაცურავდა თითქოს. აივანს მიუახლოვდა, კარი გამოაღო, ოთახში შემოჭრილ სუფთა ჰაერს სახე შეუშვირა. წვეთები ციმციმით ეშვებოდნენ ლავგარდანიდან. მაღლა ეალქანივით გაბჭრილიყო ნაცრისფერი, წვიმით დაცლილი ცა. ქალს მოშივდა. შოკოლადი მოძებნა, მოკვნიტა. მიწისა და ათასი რაღაცის გემო იგრძნო. უცბად ტელეფონი აწკრიალდა. ქალს გული შეუქანდა. შოკოლადი კბილებში ქვიშასავით კნაწუნობდა. ხელი გაიწვდინა ყურმილისაკენ.

— გისმენთ, — გაუბედავად თქვა მან.

ყურმილში ჯაკობოს დახშული ხმა მოესმა:

— ახლავე წადი. სასწრაფოდ. ოღონდ ფრთხილად, არავინ დაგინახოს.

ქალმა აუჩქარებლად გადაყლაპა შოკოლადი. პირში ცუდი გემო დარჩა. გადაფურთხება მოუნდა. კინაღამ არ იყვირა: „მოვიდნენ, ხომ? ყველაფერი გათავდა, ხომ?“ მთელი ეს ორი დღე და ღამე ერთსა და იმავეს იმეორებდა: „ნეტავი ჩავარდებოდნენ, ნეტავ ყველაფერი დამთავრდებოდეს. ალბათ მაშინ დავმშვიდდები ერთხელ და სამუდამოდ“. მაგრამ სულაც არ დამშვიდებულა ახლა. ყურმილი დადო და კედელს მიეყრდნო. „არსადაც არ წავალ. თვითონ მეახლონ და წამიყვანონ. არსადაც არ წავალ“. ქალმა იცოდა, ისინი არც ისე მალე მოაკითხავდნენ. ნეტავ ერთ საათს თუ გაუძლებს ამ ტანჯვას? ყველაფერი ისე უშნო და უაზრო ეჩვენა, ლამის კედლებს მიახეთქა თავი. ნუთუ არავის ეყო ჭკუა და სიფრთხილე — არც ჯეზას, არც თავად მას, არც ჯაკობოს?! (უგუნურებს ბედნიერი ვარსკვლავისა სჯეროდათ. სად არის მერე ასეთი ვარსკვლავი?!)

ქალი ათასნაირი ყვავილებითა და ჩიტებით მოხატულ სავარძელზე დაეშვა. ბავშვობაში ძალიან მოსწონდა ეს სავარძელი მანუელს.

— დალევ რამეს? — ვაჟმა ჭიქები მოიტანა.

— დავლევ.

მანუელს ახლა უფრო პატარა და შესაბრალისი მოეჩვენა ქალი. პატარა გოგოსა ჰგავს, თუმცა ოცდაორი წლისაა და თანაც ღმერთმა იცის, რაღა არ უთქვამთ მასზე. არც მარინეს და არც საკარიასს არ უხატებოდა იგი გულზე. („მაინც რაღა ჯეზას შეხვდა ასეთი ქალი?“ — ხშირად უთქვამს ჯოზე ტარონჯას.) ასე იყო თუ ისე, ქალი ახლა აქ იჯდა და ბადეში გახლართული თევზივით იმზირებოდა თავისი კრიალა თვალებით. ამ ქალში იყო რაღაც ისე შორეული, დროის კანონს რომ არ ემორჩილება. (მართლაც ლამაზი ქალია.) რბილი, სწორი თმა ოქროსფრად უბზინავდა ნახევრად სიბნელეში. (მარტო მისი თმა როდი მოხიბლავდა კაცს. როცა დადის, რაღაც საოცნებო ევლება გარს, როცა ლაპარაკობს ან დუმს, რაღაც სუნთქავს მას ირგვლივ, თითქოს მოუხელთებელი ჩიტები გაიყინნენ ჰაერში.) მანუელმა ჭიქა შეუვსო ღვინით. ქალმა ბავშვივით გახარებულმა გადაჰკრა.

— მეშინია, — მოულოდნელად თქვა მან.

როდის გაიგონა მანუელმა ეს სიტყვა პირველად?

— რისა გეშინია?

— საკუთარი თავის მეშინია. ჯეზა აღარ მყავს, საკუთარი თავისა კი აღარ მჯერა. ერთიც ენახო, ფეხი ამიცდა და ვულალატო?

ქალ-ვაჟი მდუმარედ შესცქეროდა ერთმანეთს.

— რა უძლურნი ვართ! — ჩუმად თქვა მანუელმა.

ქალი სავარძლის ზურგს მიეყრდნო ლოყით. მისი თავის გარშემო უძრავად გარინდულიყვნენ ფრთაგაშლილი ლურჯი და ყვითელი ჩიტები.

— მე ისე ხანმოკლე და საძაგელი ცხოვრება გავიარე, — თქვა ქალმა. — ხანმოკლე, მაგრამ ჭკუის სასწავლი.

მანუელმა ბალიში მოუმარჯვა ქალს. (ბაბამო უამბობდა ბავშვობაში: „ხომ გაგიგონია ზღაპარი ერთ მეფისწულზე. მას ნაადრევი სიკვდილი უწინასწარმეტყველეს. მამამ ტყეში, ერთ დიდ გამოქვაბულში გადამალა შვილი, იქნებ სიკვდილის ბრჭყალებიდან დაიხსნაო. არავინ იცოდა მეფისწულის ადგილსამყოფელი, საჭმელ-სასმელი მამას მიჰქონდა. ერთხელაც ხილი მოუტანა. ვაჟმა შაქარივით ტკბილი ნესვი ხანჯლით დაჭრა და გემრიელად მიირთვა. მერე ხანჯალი თაროზე შემოდო და დაიძინა. ხანჯალი თაროდან გადმოცურდა და მძინარე მეფისწულს ზედ გულისფიცარზე დაესო“. ჰოდა, მეც ჩამკეტეს, გადამმალეს, რათა ცხოვრებამ თავისი ბინძური ხელი არ შემახოს. მაგრამ სიცოცხლეც და სიკვდილიც მეჭრუ-

ტანებში მოძერება და სადაც არის გულს. გამიგმირავს.) მანუელი მოსასმენად მოემზადა.

— დედაჩემს სასტუმრო ჰქონდა სან-ხუანში 1933—34 წლებში. მანამდე კი ლომბარდისა და შესყიდვის კანტორის მეპატრონე იყო.

(დედამისს გრძელი თითები და ფრჩხილები ჰქონდა. რამდენჯერ მოლანდებია ღამით მისი მრისხანე სახე, დიდი ოქროსფრად მოელვარე თვალები, მისი დამჭკნარი წლებსგაყოლილი სილამაზე. დედამისს სხვისი ძველმანების ქექვა და ასევე სხვისი სიღარიბის ხარჯზე გამდიდრება ეხერხებოდა. უნდა გენახათ, მადრიდის ერთ ღარიბ კვარტალში, ვიწრო ქუჩაზე, თავის კანტორაში, რა მუშტრის თვალით ათვალიერებდა ძველ-ძველ ზეწრებს, რა გულმოდგინედ უსვამდა ფრჩხილს რომელიმე პალტოს საყელოს, აქაოდა, სადმე დალაქავებული არ იყოსო, მერე მოკლედ მოსჭრიდა:

— ერთი დურო.

ერთხელ ვიღაც დედაბერმა საგულდაგულოდ შეფუთული ვერცხლის დანა-ჩანგალი და ფაიფურის ქანდაკება მოიტანა. „ამის მეტი არა მაბადია რა", — ხმა უკანკალებდა, ბებრულ თვალებში უნაპირო სევდა ჩასდგომოდა. ყელზე ოქროს მედალიონი ეკიდა. მედალიონში ფერგადასული სურათი იყო. (სურათები(ც კიდებიან)

დედამისმა თქვა:

— ქალბატონო, ცრემლი რომ საქმეს შველოდეს, რა გვიჭირს მაშინ. — მერე, დედაბერი წასული რომ დაიგულა, კბილებში გამოსცრა: „შებრალებას თხოულობს, დამიხედეთ ამ ნაღვლიან ქალბატონს! ქონება გაფლანგა, ახლა მოდის და მეღრიჯება. წინათ ალბათ მის კაბებს, ეტლებსა და კუროებს თვლა არ ჰქონდათ!

— კურო რა არის?

დედამ სილა შემოჰკრა სახეში:

— აი, რა არის.

ერთგულმა და სახეკუშტმა დიონისიამ, თავისი ულვაშივით შავი ნაწნავი რომ შემოეხვია თავზე, თქვა:

— ელენა, გირჩევ, ეს გოგო პანსიონში მიაბარო. უკვე დიდია, აქ კარგს ვერაფერს ისწავლის.

დედამ შეშფოთებული ცნობისმოყვარეობით შეხედა შვილს:

— დიდიაო? — გოგონამ პირველად შეამჩნია შეშფოთება დედის ყვითლად მოელვარე თვალებში. — კარგი, მოვიფიქრებ.

მაშინ გოგონა ჩვეულებრივ სკოლაში დადიოდა იქვე მახლობლად. იჯდა დახლთან, სამუდამოდ დადუმებულ, უზარმაზარ დამტვერილ საათებში და გაკვეთილებს ამზადებდა. მზეს სითბო ელეოდა. ოთახში მტვრისა და ხის სუნი იდგა. თაროებზე მწყობრად ელაგა ათასნაირი ფუთები, ბავშვისა და მამაკაცის პალტოები. საქორწინო ბეჭდები, ძველებური საათები, მარაოები, ზარდახშები, სამაჯურები, ნამზითვი ზეწრები. ქანდაკება იქვე დახლზე იდგა და შეშინებული შესცქეროდა გოგონას. ის იყო გოგონამ გაუბედავად გაიწვდინა ხელი მისკენ, რომ დედის თანაშემწემ და მევახშემ დიონისიამ თითებზე ხელი დაჰკრა:

— აბა, აბა, იქნებ გატეხო?

ქანდაკება თხელ ქაღალდში გაახვიეს, მუყაოს კოლოფში ჩაასვენეს და ზედ დედაბრის გვარი და იმდღევანდელი თარიღი დააწერეს.)

— დედას ძალზე ემაყებოდა თავისი სასტუმრო, ალმერთებდა. რაც რამ გროში გააჩნდა, სუყველა სასტუმროს ჩააყარა. მე კი, სანამ თვრამეტი წელი არ შემისრულდა, მმალავდა.

— რატომ?

(დატყვევებული „დელფინი" სადაცაა დაიძვრება, დაამსხვრევს შუშას [illegible] და მეტეორივით გაქანდება იქით, სადაც ვერ გავიგონებ ძველ, მივიწყებულ ბავშვობისდროინდელ მოგონებებს.)

— ჩაკეტილი ვყავდი, ყველას უმალავდა, ამოდენა ქალიშვილის დედა რომ იყო. პანსიონში ყველაზე დიდხანს მე დავრჩი. ჩემმა ამხანაგებმა თექვსმეტი წლისანებმა დატოვეს იქაურობა, მე კი კიდევ კარგა ხანს მამყოფეს იქ. მთლად შუბლგარეცხილი არ იყო, თორემ ალბათ მიწაში ჩამმარხავდა, ოღონდ არავის ვენახე. ეტყობა, არ ვუყვარდი.

— რატომ არ უნდა ყვარებოდი?

— დედასთან ერთი კაცი დადიოდა და მისი დაკარგვისა ეშინოდა. ის კაცი დედაზე ახალგაზრდა იყო. დედას სიგიჟემდე უყვარდა. რაული ერქვა. დედა დატანჯა, ჩამოახმო მისმა სიყვარულმა, დასჯით კი მარტო მე ვისჯებოდი ამ სიყვარულისათვის.

(აქ, კუნძულთან, ზღვა ისე წყნარია, თითქოს სადღაც კუნჭულში ქარიშხალი მიმალულა, იქ კი ზღვა ნაცრისფერი და ბრაზიანი იყო. გოგონა სანაპიროზე დარბოდა, ვარდისფერ ნიჟარებს აგროვებდა. თავისი დიასახლისივით ყავლგასული სილამაზის სასტუმრო ფერდობზე წამოსკუპულიყო, ძველ გალავანთან. დედა ეტყოდა ხოლმე შვილს, თხ საათამდე თვალით არ დაგინახოო, და გოგონაც დაეხეტებოდა მარტოდმარტო. მაშინ თხუთმეტი წლისა იყო. დედამისს რაული ახალი გაცნობილი ჰყავდა. ზაფხული იდგა. ზედ სახურავქვეშ ბუდეებივით მიმწყვდეულიყვნენ სასტუმროს მოახლეთა ვიწრო ოთახები. არდადეგებზე გოგოც იქ შეასახლეს თავის თოჯინებიან-ველოსიპედიანად.

— ხომ მოგწონს აქაურობა, ჩემო კარგო?

დიონისია ახლა გუვერნანტი გახდა. ძილის წინ შავ ულვაშს თეთრად შეთხიპნიდა, მერე გამოღებულ ფანჯარასთან დაჯდებოდა და რომელიღაც ნამცხვრის რეკლამით იბიავებდა სახეს.

— დიონისია, ულვაშს რად იღებავ? — ეკითხებოდა გოგონა.

— არაა ეგ შენი საქმე, — მერე საწოლისკენ ხელს უბიძგებდა და მიაყოლებდა: — აბა, ჩქარა, დაიძინე.)

— დედა წელებზე ფეხს იდგამდა, თითქმის მთელი სიცოცხლე შრომობდა და ბოლოს სასტუმროს მფლობელიც გახდა. ზაფხულობით დიდძალი ხალხი ესეოდა სასტუმროს, აქაურებიც და ტურისტებიც. სათამაშო მაგიდა მთელი წლის მანძილზე ემსახურებოდა ხალხს!

მანუელმა პირველად შეამჩნია, ქალმა გაიღიმა.

— ჭამითაც ყველასგან მალულად მაჭმევდნენ, აქაოდა, არავის დავენახე, განსაკუთრებით რაულს. დედა მასთან მუდამ ენამოჩლექით მიხსენიებდა: „ჩემი შვილიკო, ჩემი ნამცეცაო, ნახვით კი არ მანახვებდა. ყველაზე მეტად ის მტანჯავდა, მართლა პატარა გოგოსავით რომ მაცმევდნენ და თმასაც მიწნავდნენ. ერთი სიტყვით, ახლა ვგრძნობ, დედა ძალზე გაიტანჯა მაშინ. როდის იყო

ხეირიანი ცხოვრება აბოროტებდა კაცს?! სულ ერთთავად შეშინებული დედა წუთებს ითვლიდა: „სიბერე სადაცაა მომიკაკუნებს, მარტა კი...“

— შენ მარტა გქვია?

— ჰო, არ იცოდი?

— არ ვიცოდი. ჯოზე და ჯაკობო თუ რამეს იტყოდნენ, „ჩემი ცოლიო“, „ჩემმა ცოლმაო“, ასე გიხსენიებდნენ. ახლაღა მივხვდი, შენი სახელი არ მცოდნია. ხომ გახსოვს, წერილებს მარსელას სახელზე ვგზავნიდი.

VI

— შენ სხვისი დანაშაულისათვის დაისაჯე, მანუელ. მარსელა მეუბნებოდა, ამ ბიჭისაგან პატარა ქრისტე უნდა გამოიყვანონო. მჯერა, სიმართლე არ დაიკარგება და ყველაფერი ისე იქნება, როგორც საჭიროა.

მარტას ნაღველი გაერია ხმაში. ღვინო მოსვა. ყვრიმალები შეუფაკლდა.

— ბავშვობა მე არ მქონია, მანუელ. შენ კი გქონდა. ჩემი ბავშვობა გვალვასა და უსიცოცხლობას ჰგავს. მახსოვს, ეოცნებობდი, დედაჩემს დავგვანებოდი. დედა არ მიყვარდა, რაღაცით კი მომწონდა, მიზიდავდა. რომ იცოდე, რა მარტოსულად ვგრძნობდი თავს დედისა და იმ საძაგელი დედაკაცის გვერდით, წამდაუწუმ დედაჩემის სახელს რომ მიხსენებდა. ის ამბავი რომ ჩავიდინე, უკვე ყველაფერი ყელში მქონდა ამოსული. მხარში არავინ მედგა და ძალადაცლილსა და დაღლილს თვითონ უნდა მეძია შური.

— კი მაგრამ, რა ჩაიდინე ასეთი?

მანუელს უცებ უზომო სინაზე მოჰგვარა მარტას სიგამხდრემ და უიმედო ხმამ, ჩიტივით რომ ეხლებოდა კედლებს. (უნდა შეაკოწიწოს აი ამ „არაბავშვობის“ მიმოფანტული ნამსხვრევები, შეაწებოს, შეკრას და საგულდაგულოდ ჩამალოს ისეთ ადგილას, სადაც ზოგჯერ მაინც შეიძლება ხელი შეახოს ვით ძველებურ ქანდაკებას.) მანუელმა კვლავ შეავსო ჭიქები. სანამო ეზოში ნეშოს წვავდა ისევ და კვამლის სუნი იდგა ირგვლივ.

— რა ჩაიდინე-მეთქი ასეთი?! — მანუელი თავისსავე მბრძანებლურმა კილომ გააოცა და ფართო სარკმლებს მიაცქერდა: ხავერდის ფარდები გადაეწიათ და ოთახში მიმწუხრის შუქი იღვრებოდა. მტრედები გაფრენილიყვნენ, ველივით გადაშიშვლებული, ცივი და გამოცარიელებული ბაღი ჩანდა მხოლოდ. ოდესღაც ეს ბაღი მანუელს სათავისოდ ეგულებოდა და ვარდისფერიც ეჩვენებოდა, ახლა კი ქვის კედლებში ჩაკირულ ციხეს ჰგავდა იქაურობა.

ნაღვინევი ტუჩები ცეცხლივით დანთებოდა მარტას ფერმიხდილ სახეზე. თვითონ მარტა ახლა ისე შორეული მოეჩვენა მანუელს, რომ ეჭვიც კი შეეპარა. იქნებ სხვისი ნაამბობით ვიცნობ მას, იქნებ ჩემდა უნებლიეთ მჯერა მისი არსებობა ამქვეყნად, თუმცა არც ერთი სურათი და საბუთიც კი სარწმუნო პასუხს არ იძლევა, რომ მარტა ცოცხალიაო.

— მე ქალიშვილი აღარ ვიყავი! — თითქმის იკივლა მარტამ.

მანუელმა ახლაღა შეამჩნია, რა უბრალოდ ლამაზი თვალები ჰქონდა მარტას და იმასაც მიხვდა, რა ძალაც ჰქონდათ იმ თვალებს, პირველად ბავშური და უბიწო რომ მოეჩვენა.

(ელენას ლამაზი ქალი ეთქმოდა, თუმცა შესაძლოა მარტას ეჩვენებოდა ასე. მაღალი ქალი იყო, გრძელი ფეხები და დიდი ხელები ჰქონდა. არავის არ ჰგავდა. ხელის თითებზე ფრჩხილები მტაცებელი ფრინველის ბრჭყალებივით მოკაუჭებოდა. სახეზე თუ წაისვამდა რამეს, მაშინ ხომ მთლად ვერ მოსწყვეტდა კაცი თვალს. ნამდვილი მზეთუნახავი იყო. მაგრამ დილით ახალგამოღვიძებულს, ნახევრად შიშველს თუ წაადგებოდით თავს — გარინდული და დაბნეული რომ შესცქეროდა მის წინ დალაგებულ ათასნაირ კოლოფსა თუ შუშას — უეჭველად შეამჩნევდით პირის კუთხეებში ღრმად ჩამჯდარ ნაოჭებს, თვალებქვეშ დაკიდულ ჩალურჯებულ თოფრაკებს, რომელიღაც ნადირის დაჭყეტილ, მოელვარე გუგებს, და უნებურად გაიფიქრებდით: „რა მახინჯი ქალია, რა საშინელი სანახავია დილის შუქზე".

ზემოთ, ზედ სახურავქვეშ ხვრელივით ვიწრო ოთახი ელენას თოჯინებით ჰქონდა მორთული. მარტას ეს თოჯინები არ უყვარდა, ეშინოდა კიდეც მათი, განსაკუთრებით ღამით: მოპირდაპირე „ზანგების სახლის" სახურავზე რომელიღაც ფირმის სიგარების მაქებარი რეკლამა ციმციმებდა წითელ-ყვითლად. მის შუქზე საშინელი სანახავი იყო დამტვერილ აბრეშუმის ჰაეროვან კაბებში გამოწყობილი უცნაურად გაბერილი, ყვითელი და მწითური პარიკებით მორთული თოჯინები. ხალხისაგან თავგაბეზრებული ელენა ხანდახან შეირბენდა ოთახში, ჩამოუვლიდა თავის თოჯინებს და სუნამოს დააპკურებდა, თან ხმამაღლა იცინოდა. ფერგამკრთალი დიონისია კი გამოცეებული თვალებით შესცქეროდა თოჯინებსაც და მათ პატრონსაც. ამ ტიკინებს მუდამ საძაგელი სუნი ასდიოდათ. იქნებ ამიტომაც შეზიზღდა მარტას სუნამო. თოჯინებს დაეჭყიტათ ცისფერი თვალები და რეკლამის შუქზე ხან წითელ-ყვითლად, ხანაც მწვანედ აელვარებდნენ. მარტა ლოგინიდან წამოხტებოდა, ქალუზებს მიხურავდა, მაგრამ ახლა უჰაეროდ დარჩენილ ოთახში სული ეხუთებოდა და საწოლში პირქვე დამხობილს მანამდე ეძინა, სანამ მცხუნვარე მზე არ მოადგებოდა მის ფანჯარას. ღამღამობით ესმოდა ქვემოდან ამომავალი მუსიკის ხმები და მთვრალების ხორხოცი, მერე ისევ მუსიკა იპყრობდა ყოველივეს — „ზანგების სახლის" შუქივით მთრთოლვარე, ხორშაკივით მბორგავი მუსიკა. მარტა ფანჯრის რაფაზე გადაწვებოდა და ცნობისმოყვარეობით ადევნებდა თვალს, რა ხდებოდა იქ, ქვემოთ. შვეიცარი გააღებდა თუ არა კარს და ბამბუკის ფარდა გადაიწეოდა, მუსიკა უფრო მეტის ძალით მოისწრაფოდა მისკენ, მიცოცავდა შენობის კედელზე, რათა ჩახვეოდა ფანჯარაზე გადაკიდებულ სხეულსა და ნაწნავებს. (ერთხელაც იქნება შევიჭრი ამ სულელურ კაკანებს...) მარტა კვირაში ერთხელ ან ორჯერ დედასთან მიჰყავდათ. დედა პასიანსს შლიდა, დიონისია თმას უღებავდა.

— ისწავლე თმის ძირების შეღებვა. მე ისედაც ბევრი საქმე მაქვს. ნუ გეშინია, წელი არ მოგწყდება, — დიონისია გაბრაზებული იყო, კბილებში პაპიროსი გაეჩარა, — აი, ასე, აი, ასე, უცქირე, ნუ გძინავს!

ელენას ძველი გამჭვირვალე პერანგი ეცვა და სარკის წინ იჯდა. პერანგს საწოლის სუნი ასდიოდა. დიონისია ღონიერი ხელებით ჩასჭიდებოდა ელენას თმას და ველური სიხარულით თუ შურისძიებით გადაჰქონ-გადმოჰქონდა. ფუნჯს ქაფმოდებულ თეთრ სითხეში ამოავლებდა, თმაზე უსვამდა და თან ენას არ აჩერებდა:

— ხომ ხედავ, მარტა, კარგად დააკვირდი, მთავარია თმის ძირები არ დაგრჩეს შეუღებავი. აი, ასე...

მარტა თვალს არ აშორებდა; ქალუზებში ხმაური მოიპარებოდა. „ეს არის ცხოვრება? — ფიქრობდა გოგონა. — წლები მიდის, უკან ვეღარ დავიბრუნებ. ამ ორ ასპიტს უნდა, ცოცხლად დამმარხოს, მაგრამ არაფერი გამოუვათ“.

— სირცხვილი სად დაკარგე? — უბრაზდებოდა დედა. — რას გამოგიშვერია ეგ მკერდი?!

დედა ხშირად უსილაქებდა, განსაკუთრებით ბოლო დროს. სულ პატარა რაღაცაზეც კი სახეში შემოჰკრავდა ხოლმე დიდ, ძვალტყავა ხელს. „მარტო ცემა ეხერხება, თანაც ისე მოგაყრის ხოლმე... დამაცადოს, თმას შევიჭრი და მერე ნახოს, რა დღეც დაადგება“. სულ პატარა რაღაცაზეც კი „ტკაც“ — ლოყაში!

მარტას თანდათან ეძალებოდა გაბოროტება. იქ, მაღლა, პატარა სენაკში გამომწყვდეულს უძღები სიძულვილი და სასოწარკვეთილი ღვარძლი ეუფლებოდა.

— აჰა, წაიკითხე, ისწავლე ინგლისური, — მთქნარებით ამბობდა ელენა. თაროებზე კი თვალები დაეჭყიტათ მის ძვირფას მადამ დიუბარს, მადამ პომპადურს, მარია-ანტუანეტას, ლუდოვიკო მეთხუთმეტეს, კონკიას, მარგარიტა გოტიეს, ყველასგან გამორჩეულ კულულებიან კრეტინ პუსარს და ვინ მოთვლის კიდევ ვის არა, უსახელო და საძაგელ, სასაცილო და გაბერილ, მოხატულ და სურნამოდაპკურებულ, გაცვეთილსა და დაკუჭულ აბრეშუმის სამოსში გამოწყობილ ტიკინებს. დედა გასული არ იყო ოთახიდან, რომ მარტა წამოხტებოდა და თაროებიდან გადმოყრიდა თოჯინებს. სიმარტოვის ყრუ სიბრაზე ახრჩობდა, განსაკუთრებით გალახვის მერე.)

— მე ქალიშვილი აღარ ვიყავი, — ნაღვლიანად გაიმეორა მან. — ისინი კი ყოველნაირად ცდილობდნენ ჩემი ბავშვობა გაეჭიანურებინათ. ორივეს ხელს ვუშლიდი. რომ შეძლებოდათ, ალბათ მეც თაროზე ჩამომდებდნენ იმ საძაგელი თოჯინებივით.

— ვინ ორივეს?

— დედაჩემსა და დიონისიას. ის ქალი დედაჩემისთვის მეგობარიც იყო, გადიაც და თანამზრახველიც. უყვარდა დედაჩემს. მე კი ვეჯავრებოდი. დედა უმისოდ ერთ ნაბიჯსაც არ გადაადგამდა, უმისოდ არავინ და არაფერი იყო იგი. დიონისია ნარკოტიკებს შოულობდა დედაჩემისთვის, რაულიც იმან გამოუძებნა. ერთ დროს დიონისიას გემზე უმუშავნია მოსამსახურედ. რა არ გამოსდიოდა თურმე ხელიდან. განსაკუთრებით ნარკოტიკებით კონტრაბანდაში გაწაფულა. ჰოდა, სასტუმროშიც არ მოიშალა ძველი ხელობა. სათამაშო მაგიდა, ბანქო, მუსიკა და სხვა ამისთანა თვალისასახვევად გამოიგონეს, სინამდვილეში სულ სხვა ამბები ტრიალებდა სასტუმროში.

მარტამ დაცლილი ჭიქა გაუწოდა მანუელს, კიდევ დამისხიო, მერე ფიქრებში ჩაიძირა.

— ილაპარაკე, გულზე მოგეშვება.

მარტამ ყურზე მოისვა ხელი. მანუელმა რამდენჯერმე შეამჩნია, ბავშვივით დაბნეული მარტა ხელებს საცოდავად ასავსავებდა, სად წაეღო, არ იცოდა.

— რაული ცხენების ექიმბაში იყო, ნამუსგარეცხილი კაცი და ნამდვილი პირუტყვი. დედაჩემს დანახვისთანავე შეუყვარდა უგონოდ და გაგიჟებით. ეს კაცი რომ გავიცანი, დედაჩემი ორმოცდაათი წლისა ხდებოდა. რაული კი ოც-

დაათისაც არ იყო. რაულმა იცოდა, დედაჩემს და დიონისიას ჰაერივით სჭირდებოდათ მისნაირი კაცი, იცოდა თავისი ფასი. დედაჩემი სულს არ იშურებდა მისთვის. რაულიც ათასნაირ ბინძურ საქმეს აგვარებდა, სასტუმროში შერიკაცებისთვის ქორფა გოგოებიც მოჰყავდა. ერთი სიტყვით, სამივეს ერთად არაფრისა ეშინოდა ამქვეყნად.

— სად ხდებოდა ეს ამბავი?

— სან-ხუანში. საზღვართან. ირუნში შედარებით პატარა სასტუმრო ჰქონდათ, იქ რაული თაობდა ყველაფერს — ერთთავად გზაში იყო გაბმული. მე ნელ-ნელა ვხვდებოდი ყველაფერს: ზემო სართულებზე მოჩვენებასავით დავდიოდი, ხანდახან უნებლიეთ მოვკრავდი ყურს ლაპარაკს, ხან ჭუჭრუტანებში ვიმზირებოდი, ხან სავარძელში ჩაფლული თავს მოვიმძინარებდი და... ყველაფერი ნათელი ხდებოდა ჩემთვის და ნელ-ნელა ვიშხამებოდი.

(ღამის სიბნელეში კარების ჭრიალი ისმოდა შორიდან. მარტა მიეჩვია ფეხშიშველა, ფეხაკრეფით სიარულს. მისი ოთახიდან ხვეული კიბე ეშვებოდა ქვემოთ, მესამე სართულისაკენ. დედამისი პირველ სართულზე ცხოვრობდა. დიონისიას ორი კატა ჰყავდა. მარტას დასანახად ეჯავრებოდა ისინი. რამდენჯერ თავის ოთახიდან ჩუმად გამოპარულა და სიბნელეში ამ კატებს (მინუს და ლაკას) გადაწყდომია შიშით გულგახეთქილი. მარტა ყველაფერს აყურადებდა, აკვირდებოდა, სწავლობდა, კარს მუდამ სანახევროდ ღიას ტოვებდა. იქიდან შემოპარული სინათლის ზოლი, მტვერი და სიტყვები მაცდურად ბორიალობდნენ. როცა სამივენი ელენას პატარა სასტუმრო ოთახში მოიყრიდნენ თავს, მარტა სიბნელეში მუყაოს ყუთზე ჩამოჯდებოდა და სულგანაბული უსმენდა მათ ლაპარაკს. ზოგჯერ მართლა ესმოდა, ზოგჯერ თვითონ იგონებდა ყოველივეს, რაც მერე სიზმრებში ტანჯავდა. გოგონას ყურამდე სასტუმროს მოსამსახურეთა ჩუმი ქილიკიც აღწევდა. მარტას ნებადართული ჰქონდა უთენია გაჰყოლოდა მოახლეს ზღვაზე საბანაოდ. სასტუმროს მოსამსახურე ქალები და კაცები მზეს ეფიცხებოდნენ და ჰქონდათ ერთი გნიასი და ხორხოცი. მარტა განმარტოებით იჯდა და ნაღვლიანად შესცქეროდა მათ. ერთი ლაქია, რენეს რომ ეძახდნენ, ზღვისკენ იხმობდა მარტას, მაგრამ გოგონა უარზე იდგა და უკანმოუხედავად გარბოდა. ბოლოს მიხვდა, ადამიანებისა ეშინოდა. ეშინოდა დალაპარაკებისა, ეშინოდა ლაქიის მწვანე თვალებისა და ზღვის წვეთებით შენამული წამწამებისა. უსაზღვრო ჰმუნვა ტანჯავდა გოგონას. „თვრამეტი წლისა ვარ“, — მარტა სარკეში შესცქეროდა თავის ნაზ, ოდნავ მზემოკიდებულ სახეს, ქერა ნაწნავებს და დიდ ნაღვლიან თვალებს. ტანი მოხდენილი ჰქონდა — წელი წვრილი, ხელ-ფეხი ჩამოქნილი. ფანჯარაში მზე მოძვრებოდა და მის შუქზე უფრო მეტის ძალით ქათქათებდა მკერდი, პლაჟზე ლიფი რომ უფარავდა.

— რადა ვარ ასე გამორჩეული ყველასგან. სხვებისთვის თუ ყველაფერი ნებადართულია, მე რა დავაშავე?! — ყვირილი აღმოხდა მარტას ერთ საღამოს, დედამისს თმას რომ ულებავდა.

— ხმა გაიკმინდე, ჯერ პატარა ხარ!

დიონისია სიგარას ეწეოდა, თან საანგარიშოს აჩხაკუნებდა.

— რადა დროს ჩემი პატარაობაა. თვრამეტი წლისა ვარ. ჩემი ტოლი გოგოები თუ გარე-გარე დადიან, მე რატომ მმალავთ?



ეროვნული ბიბლიოთეკა

დიონისიამ ჩაიფრუტუნა. ელენამ თმაშეულებავი თავი მკაცრად მოაბრუნა შვილისკენ.

— აბა, აბა, გეყოფა. გული ნუ გააწყალე. დედას უნდა დაუჯერო. — მერე რბილად დაუმატა: — ბოლოს მადლობასაც მეტყვი, რა თქმა უნდა, თუ არ დაგავიწყდება. ამქვეყნად ბოროტებას რა გამოლევს. ყოველთვის მინდა დაგიცვა, გამიგე, პატარავ. მინდა, ჩემი შვილი ანგელოზივით სუფთა და უმწიკვლო იყოს. ცხოვრება რთული რამ არის, გამოცდილი ვარ და დამეჯერება. შენი სიკეთე მინდა და ხელს ნუ შემიშლი, ცოტა ხანს მოითმინე.

ცხოვრებაზე მართალი თქვა დედამ. მარტას უკვე ბევრი რამ გაეგებოდა თავადაც; განა კარს ტყუილად ტოვებდა სანახევროდ ღიას? განა ტყუილად უგდებდა ყურს უფროსების ლაპარაკს და აკვირდებოდა ყველაფერს? ერთი უცნაური რამ შეამჩნია მარტამ. სასტუმროში ვიღაც ქალები მოდიოდნენ. ისინი ზემო სართულზე, ერთ პატარა ოთახში შეჰყავდათ. რაულიც მაშინვე იქ გაჩნდებოდა ხოლმე. მარტას ყურამდე ყრუ კვნესა და გმინვა აღწევდა. დილით, ან ერთი-ორი საათის მერე ფერგამკრთალი და ტუჩებგადათეთრებული ქალი ოთახიდან გამოდიოდა. ცოტა ხნით ელენასთან ჩაიკეტებოდნენ და მერე ის ქალი მეორედ იქ აღარ მოდიოდა. ერთხელ ხანში შესული კაცი მოვიდა, თან მთლად პატარა გოგო მოიყვანა. კიბეზე რომ ადიოდნენ, მარტას იმ გოგოს ღნავილი შემოესმა. კაცმა სილა შემოჰკრა სახეში. მერე დიონისია შევიდა მარტასთან და რაღაც ნივთებს დაავლო ხელი.

— იმ გოგოს ნემსი უნდა გაუკეთოთ?

დიონისიას უცებ ხარხარი აუვარდა.

— ოჰ, რა გამაცინე... დაუკვირდი, ჩემო გოგონი, ყველაფერს. ცხოვრებაში რა არ ხდება. ვინ იცის, იქნებ შენც შეგემთხვეს ასეთი ამბავი. ისე, დიდი არაფერი ოპერაციაა. ერთი, ორი და... ვითომც არაფერი მომხდარა! ჰო, ჩემო პატარა, სიკვდილის გარდა ყველაფერს ეშველება ამქვეყნად!

ერთ ღამეს მარტა ის იყო ლოგინში შეწვა და ღია ფანჯარაში შემოჭრილ მუსიკის ხმებს მიუგდო ყური, რომ ოთახში დიონისია შემოვიდა. მან მაგიდის ნათურა ჩართო (ზედ ბალიშთან აინთო მწვანე თვალივით, საწოლზე ჩამოჯდა და ქალიშვილს ფეხზე მოუცაცუნა ხელი).

— შენ მართალს ამბობ, ბავშვი აღარა ხარ, დედაშენი ტყუილად გმალავს, ჩემო საბრალო.

მარტა არ განძრეულა. დიონისია კვლავ ფეხზე უცაცუნებდა ხელს.

— ლამაზი ხარ. ერთი რიგიანად რომ ჩაგაცვას და წაგთხიპნოს კაცმა...

დიონისიამ ნაწნავი გაუშალა, წამოაყენა, სარკესთან მიიყვანა და საგულდაგულოდ დაუვარცხნა წელამდე ჩამოშვებული ოქროსავით მბზინვარე ქერა და სწორი თმა.

— აი, რას გეტყვი, გოგონი. თუ პირობას მომცემ, მამაკაცებს არ გაექარები, ცოტა ხნით გაგიშვებ გარეთ.

მარტას გული შეუქანდა.

— პირობას გაძლევ, დიონისია... მე სიცოცხლე მწყურია!

დიონისია სიცილით დაიხარა მარტასკენ, მიუალერსა. ამ ქალს არც ალერსი გამოსდიოდა: ისეთი მოუხეშავი და წამახვილებული ნაკვთები ჰქონდა, კაცს ეგონებოდა, სადაა ძვლები კანს გახევთქავენო. თანაც გაურკვეველი სუნი ასდიოდა, — მგონი, აფთიაქისა.

— დედაშენი შეიბრალე. ჩვენ რომ ერთმანეთი გავიცანით, დედაშენი უკვე ცხოვრებაში გამობრძმედილი და ნაწამები ქალი იყო. ხომ გახსოვს ჩვენი კანტორა, ლომბარდი?

— მახსოვს.

ეროვნული

— ჰოდა, ის საქმე მაგან წამოიწყო. სულ არაფრიდან შეაკოწიწა საბრალომ. მხოლოდ ერთი ნაკლი სჭირდა დედაშენს: კაცები უყვარდა. ახლაც უყვარს. მე რომ გავიცანი, ფეხმძიმედ იყო. შენ გელოდა. მამაშენმა კი, საზიზღარმა, მიატოვა და თანაც როგორ მიატოვა, პირწმინდად გაფცქვნა! მილანელი ლამაზი, ქერა კაცი იყო. შენ მამას ჰგავხარ.

დიონისია ჩაფიქრდა. სავარცხლიანი ხელი პაერში გაუშეშდა. მერე გამოერკვა, თმა გადაივარცხნა.

— მე ცოტა თანხა მქონდა. თანაც ხეტიალი მომბეზრდა, მოსვენება მჭირდებოდა. სად არ ვყოფილვარ გემზე სამსახურისას: შანხაისა თუ მარსელში, საიგონსა თუ მაკაოში. ქვეყნის მომსწრე და მნახველი ვარ. ყველგან მეგობრები გავიჩინე. ერთხელაც ვუთხარი დედაშენს, ნუ სულელობ, დაფიქრდი, კარგ საქმეს ვეწევით-მეთქი. ჰოდა, გავხსენით ეს დუქანი. ამაზე უკეთეს თვალისახვევ ადგილს სად ვიშოვიდით?

— მაინც რისთვის გახსენით? — მარტამ ვითომ არაფერი იცოდა.

— კარგი გაიძვერა ხარ, — დიონისიამ ყვითელი კბილები გამოაჩინა.

— მომაწვევინებ?

— შენ არა, ჯერ პატარა ხარ. პირობა მომეცი, კაცებს სათოფეზეც არ გაეკარები.

— კაცები რატომ არ გიყვარს, რა დაგიშავეს?

— უხეში და გაუთლელი ხალხია.

— რაული?

— რაული ყველაზე უარესია. ეს ძაღლი ელენას კარგს არაფერს მოუტანს... ისე, სასარგებლო კაცია: უსინდისოა, მაგრამ ოქროს ხელები აქვს. დედაშენი აღმერთებს... აბა, ახლა გეყოფა, დაწექი, დაიძინე.

— მერე რა მოხდა, თქვი ბარემ, რაკილა დაიწყე.

— ძველმანების შესყიდვას თავი დავანებეთ და სასტუმრო ვიყიდეთ. ნაცნობებს რა გამოლევდა აქაც და იქაურებშიც. რაული მე გავაცანი დედაშენს, ახლაც არ ვიცი, ჩვენდა სასიკეთოდ თუ საუბედუროდ. ამ კაცს სული ეშმაკისთვის აქვს მიყიდული... ერთმანეთს არ ვენდობით, მთავარია ვინ ვის დაასწრებს. შეცოდებას აქ ნურავისგან მოელი.

მარტამ ბევრი ვერაფერი გაიგო დიონისიას ბოლო სიტყვებიდან, მაგრამ რაულის გაცნობა უფრო მოუნდა. მაღლიდან, ფანჯრიდან, რა ხანია შეამჩნია მისი ღია, მწვანე მანქანა, რა ხანია ესმის ამ კაცის ხმა კედლის იქიდან.

დიონისია წავიდა. მარტამ თოჯინებს შეხედა. სულელურად იღიმებოდნენ მადამ პომპადური, საძაგელი კულულებიანი ჰუსარი და შეღებილ-შეთხუპნილი სხვა ტიკინებიც (მოწყენილობის ჟამს ელენა თხუპნიდა მათ.) მარტა ადგა, რიგრიგობით ყველას ჩამოუარა და მანამდე აფურთხა, სანამ ენა არ დაუბრუჟდა და ნერწყვი არ გაუშრა.

დიონისია ხშირად აკითხავდა ქალიშვილს, ეჭორავებოდა, ეხუსხუსებოდა; ერთ დღესაც ლამაზი კაბა მოუტანა.

— სად იშოვე?

— ხვალ ჩემთან ერთად წამოხვალ.

მარტა აენთო:

— არსადაც არ წამოვალ შენთან ერთად. არ მინდა. პატიმარი ხომ არ ვარ?

— ჭკვიანად იყავი, თორემ უარესი მოგივა, — განრისხდა დიონისია.

მარტამ არც თმის ღეჟარცხნა დაანება, არც სახე შეათხიპნინა და სადღეისოდაც არ გაიკარა.

— აბა, აბა! — დიონისიამ სახეში შემოჰკრა ქალიშვილს, მერე კაბა, სუნამო და პომადა წამოკრიფა და გაბრაზებული გავარდა ოთახიდან. იქვე, კართან, კატები ჩაცუცქულიყვნენ, შემოსვლას ლამობდნენ და საცოდავად კნაოდნენ იმ პატარა გოგოსავით, ამას წინათ „სულ უბრალო ოპერაცია“ რომ გაუკეთეს.)

სანამთ ოთახში შევიდა, ლამპები აანთო. მარტამ და მანუელმა ერთმანეთს უცხოებივით შეხედეს.

## VII

— ყველაფერი ნათელი ხდებოდა შენთვის და ნელ-ნელა იზრდებოდი, — თქვა მანუელმა, იქნებ ფიქრებში წასული ქალი ავალაპარაკო. — ვიცი, საკუთარ თავზე გამოცდილი.

მარტამ ოდნავ დაუქნია თავი. ღვინომ თავისი გაიტანა: ქალი ღვთიურსა და განმკურნავ გარინდებაში დაცურავდა.

(ბნელში მიიკლაკნებოდა ხვეული კიბე და გარკვევით ჩანდა ორი ანთებული წერტილი — კატის თვალები. ფეხშიშველი, ხალათშემოცმული მარტა ფეხაკრეფით მიიპარებოდა მესამე სართულის დერეფანში, სადაც გეჯებში ჯუჯა პალმები განაბულიყვნენ შეთქმულებივით. ფრთხილად და უხმოდ მიიწევდა დედამისის სასტუმრო ოთახის გაუქმებულ უკანა კარისაკენ. აქ ძალზე ბნელოდა და იშვიათად თუ გამოჩნდებოდა ვინმე. მარტა კედელზე მიყუდებულ კიბეზე ძვრებოდა, კარს ზემოთ პატარა სარკმლის საგდულს ხელს აჰკრავდა და ოდნავ გამოაღებდა. აქედან ხედავდა და ისმენდა იგი ყველაფერს. განსაკუთრებით ხარბად აკვირდებოდა რაულს; მის ზურგსა და ჯანიან კისერს აღტაცებაში მოჰყავდა, მაგრამ ეშინოდა კიდეც. „უხეში და გაუთლელი ხალხია“, —ახსენდებოდა დიონისიას ნათქვამი. დედის ოთახში ხშირად კამათობდნენ კიდეც. მარტას ხან ერთის სახე და ტანსაცმელი გაუელვებდა, ხან მეორისა და თვალებს ხუჭავდა უნებლიეთ. ხანდახან ლაპარაკი შორიდან, თითქოს გაღმა ნაპირიდან მოესმოდა. ხანდახან საწოლის ჭრიალიც მისწვდენია მის ყურს. ერთხელ, შიშველ, მზემოკიდებულ კაცის ფეხებს მოჰკრა თვალი. უხმაუროდ დაიბიჯებდნენ ხალიჩაზე და რომელიღაც გადაშენებული ცხოველის თათებს ჰგავდნენ. როცა დიონისიაც იყო დედის ოთახში, მაშინ სამივენი მაგიდას უსხდნენ და ანგარიშობდნენ, ან კონიაკს სვამდნენ და გაუთავებლად კამათობდნენ. პაპიროსის კვამლი მაღლა სარკმლისკენ მოიწევდა და მარტას თვალები ებინდებოდა. ხელ-ფეხგაბრუჟებულს მთელს ტანზეც ნემსები ჩხვლეტდა, მაგრამ ცნობისწადილი და სიმარტოვის ნაღველი დაღლილობას უქარვებდა და ისიც თავის სათვალთვალო ადგილიდან ფეხს არ იცვლიდა. ერთ საღამოს დიონისია რაულს მისდგა და რაღა არ აკადრა: „ლიპი წამოგეზარდა, ძვირფასო, გამელოტდი კიდეც. რომ გაგიცანი, აპოლონს ჰგავდი, ახლა კი? ლიპუჭა ხარ, ოფლის

სუნი აგდის, სიგანეში მიდიხარ...“ რაული იღრინებოდა, ზიზღით შესცქეროდა დიონისიას, მაგრამ ცხადზე უცხადესი იყო, ამ ქალისა ეშინოდა. დიონისია არც ფულის დათვლისას მოეშვა რაულს: „ყმაწვილკაცობაში ლამაზი იყავი, თანაც დედიკოს შვილიკო. მერე ათასი აბდაუბდით გამოიტენე თავი: ეს მედიცინაო, ეს კაცობრიობის სამსახურიო. ასე არ იყო?“ მარტამ დაინახა, რაული ადგა, ხალიჩაზე უხმაუროდ გაიარა, მერე დედის მილეული ხმაც მისწვდა მის ყურს: „ღმერთო ჩემო, რა მოგდით, დაწყნარდით, გემუდარებით. ნუთუ ქრისტიანული ლაპარაკი არ შეგიძლიათ?“ დიონისია დამცინავად ხარხარებდა.

და უცებ სწორედ აქ უმუხთლა ბედმა მარტას. რაღაც ეშმაკად ბნელში მოფათურე კატა კიბეს წაეფხაკურა, შეშინებულმა ქალიშვილმა წონასწორობა დაკარგა, კარის სახელურს წაეპოტინა და... ძირს მოადინა ბრაგვანი. ხმაურზე კედელს იქით მიჩუმდნენ. შიშით გულგახეთქილი მარტა იატაკზე გართხმული იყო უძრავად. რატომღაც რაულის შავი ფეხები გაახსენდა. ნაბიჯები სულ ახლოს მოესმა, კართან მდგარი მაგიდაც გარახუნდა. მალე სინათლის სხივი პირდაპირ მას ეცა, თითქოს მთელი შუქი, რაც იმ ოთახში იყო, ჯერ გამოღებულ კარში გაეჭედა, მერე კი გზა იპოვა და მთელს იატაკს მოეფინაო. მარტამ თვალები დახუჭა. იგრძნო, ვიღაცამ წამოაყენა. დაფეთებულს ხალიჩაზე მოსიარულე კაცის ნაბიჯებივით ყრუ, უხეში ხმა და კიდევ ვიღაცის შეკავებული წამოძახილი მოესმა. თვალდახუჭულ მარტას ოთახისკენ მიათრევდნენ. უეცრად მის ყურს დიონისიას უმოწყალო სიცილი და რაულის ხმა მისწვდა:

— ეს ვინ არის, მოახლეა?

ელენა რაულს მივარდა და მარტა ხელიდან გამოგლიჯა. ჩავარდნილ მკერდზე ისე ძალუმად მიიკრა, მარტას ლამის ლოყაში ჩაეჭედა დედის მკერდზე დაკიდული ოქროს ჯვარი.

— თავი გაანებე, რაულ, პატარაა, ჯერ მთლად ბავშვია, — თქვა ბოლოს აკანკალებულმა.

— არ მეტყვით, ვინ არის?

— ელენას ქალიშვილია! — დაიღრიალა დიონისიამ.

მარტამ ძალა მოიკრიბა და თვალი გაახილა. პირველად ბოროტად მომღიმარე დიონისიას ყვითელ კბილებს ჰკიდა თვალი, მერე დედაც დაინახა: ფერდაკარგულს ნაოჭები დასჩენოდა ტუჩის კუთხეებში. საზღვარგარეთული ტუშით მოხატული დიდი თვალები ჩამქრალი ვარსკვლავებივით ჩასხდომოდნენ ბუდეებში.

— ჯერ მთლად ბავშვია, — ელენამ შვილი კვლავ მკერდზე მიიკრა. მხეცური სურვილი კლავდა, სადმე დაემალა, ჩაემარხა, თუნდაც კვლავ საშოში დაებრუნებინა შვილი, საიდანაც, იქნებ სჯობდა კიდეც, არც მოვლენოდა ამ ქვეყანას. „იქნებ მეც გამეკეთებინა ის „უბრალო ოპერაცია?“ მარტას თავადვე უკვირდა, რა დროს ამაზე ფიქრიაო. საძაგელი და ბნელი წადილი წამოიმართა მის არსებაში უძლეველ ტალღად: „სიცოცხლე მინდა, სიცოცხლე მწყურია!“ იგი დედის მტრულ ხელებს ელვის უსწრაფესად დაუსხლტა:

— მე ვარ ბავშვი? მძულხარ! მარტამ გადააფურთხა, მობრუნდა და... პირველად დაინახა რაული ასე ახლოს. საკვირველება სწორედ ამას ჰქვია: მარტას წინ თავად სიცოცხლეს აედგა ფეხი: უცხო, ჯერაც შეუცნობი და საშიში სიცოცხლე შემოსცქეროდა ჯიქურ. რაული ფანჯრიდან უფრო დაბალი ჩანდა. (მე მას მუდამ მაღლიდან ვხედავდი.) მარტამ, ცოტას გაწყდა, არ ჩაიფრუტუნა.

შუბლზე თმადაფენილი, თვალებჩამუქებული რაული მას შესცქეროდა. მარტას ასეთი თვალები არასოდეს უნახავს. რაულს შავი თვალები ჰქონდა, სახე — ყავისფერი. გადაღეღილი საყელოდან ღონიერი კისერი მოუჩანდა. მარტას უეცრად თავით ფეხამდე ელვასავით დაუარა რაღაცამ და სიცილი აუტყდა.

— რას იცინი, სულელო? — ჰკითხა დიონისიამ, მაგრამ თვითონაც ვერ შეიკავა თავი და ბოლოს რაულიც მათ აჰყვა.

რაულს მსუქანი ტუჩები და ლამის გადმოცვენილი კბილები ჰქონდა. საბავშვო წიგნში დახატულ კაციჭამიას მიამსგავსა მარტამ. რაულის მძიმე, ჩაგუდული სიცილი იატაკზე იკარგებოდა ფეხშიშველი კაცის ნაბიჯებივით. სამაჯურის ძეწკვზე ფირფიტა ეკიდა, ფირფიტაზე კი ვენზელი იყო ამოტვიფრული. რაულმა შუბლზე მიიდო ხელი და ახარხარებული ჩავარდა სავარძელში. მხოლოდ ელენას არ ეცინებოდა. უხილავი ნიავი აფარფალებდა მის მარმაშა მოსასხამს, ოთახში ბოლთას სცემდა გაბოროტებული, დამფრთხალი და სასოწარკვეთილი. მერე შვილის წინ შედგა და... ერთი თუ ორი, ერთი თუ ორი, — სახეში შემოჰკრა. რაული ელენას ეცა, მარტა გამოსტაცა და მკერდზე მიიხუტა.

— რატომ სცემ? რა დააშავა ასეთი? ბავშვმა გაიხუმრა, შენ კი...

და უცებ რაულსაც დაუარა ელვასავით რაღაცამ. პირუტყვული, ვნებიანი დუმილი ჩამოვარდა წამით. ასე შეხვდნენ ისინი ერთმანეთს. მარტა მიენდო, ჩაეკრა აქამდე უცნობ სხეულს. თავადვე გააოცა საკუთარმა ქცევამ: თავისდაუნებურად კისერზე შემოხვია კაცს მკლავები. ელენა უსახურ, სუნამოდაპკურებულ საფრთხობელას ჰგავდა. კვლავ ფარფალებდა მისი მოსასხამი, თვალებზე ცრემლი უბრწყინავდა, ბოლმისაგან სახე დაღმეჭოდა.

— კარგი ერთი, ელენა, თუ ღმერთი გწამს, თავი დაანებე გოგოს.

მარტა კი ფიქრობდა: „აი, ისიც, უცხო და საშიში მხეცი“.

დიონისიამ მარტა ფრთხილად დაიხსნა რაულის მკლავებიდან. მარტას ეძნელებოდა მამაკაცის თბილ სხეულთან განშორება.

— ლამის შეშლილი ხარ, — უთხრა დიონისიამ.

კაცსაც არ ეთმობოდა ქალიშვილი. წინდახედული დიონისია ბებრულად ჩამდგარიყო ქალ-ვაჟს შორის და მათ განშორებას ლამობდა. მარტას რატომღაც მოეჩვენა, ჩვეს ტოტს ჭრიანო და კაცის დიდსა და გარუჯულ ალერსიან ხელებს უფრო მეტის ძალით ჩაეჭიდა. ასე იდგნენ კარგა ხანს — ხელები ხიდივით გადებულიყო მათ შორის, ხიდზე კი გულის ძახილი გარბი-გამორბოდა და ვერ ამჩნევდნენ სუნამოდაპკურებულ უბედური საფრთხობელის ცრემლსა და ტანჯვას. ელენა თავის კულულებიან ჰუსარს ჰგავდა. დედის დანახვაზე მარტამ გაიფიქრა: „დაბერდა საბრალო ჰუსარი...“

ელენა გამოერკვა და ორივეს გამეტებით დაჰკრა ხელი ხელზე (მარტამ ერთხელ შემთხვევით დაინახა, მოახლე ქალმა სწორედ ასე, ხელის ერთი დარტყმით მოჰკლა ბაჭია.) და ჩაამსხვრია ქალ-ვაჟს შორის უსიტყვო შეთანხმებასავით გადებული ხიდი. ორ ხანშიშესულ ქალს თავგზა აბნეოდა, მოჩვენებას დამსგავსებოდნენ. მარტა და რაული გუმანით მიხვდნენ, ახალგაზრდებს ცხოვრება ჯერ კიდევ წინ ედოთ და... გამოერკვნენ.

— არ მესმის, რატომ მოექეცი ასე შვილს. მოდი, გოგონი, აგერ დაჯექი, დამშვიდდი, სული მოითქვი.

ელენა ტახტზე დაეშხო და აქვითინდა. დიონისიამ ატირებულს მიაშურა, თმაზე ხელი გადაუსვა, ელენემ ამხანაგს ახედა და ახლაღა შეამჩნია, დიდი

ხანია დიონისიას სძულდა იგი. მაგრამ ეს სიძულვილი ძალაგამოცლილი, ფერგასული იყო უკვე ხეებში ჩაკარგული ძველისძველი ქანდაკების ღიმილივით.

— გეყოფა, ელენა. ბოლოს და ბოლოს რა მოხდა ასეთი?

რაული დაჯდა. ის ახლა უცხოც იყო და უშნოც. პაპიროსს მოუკიდა. მარტასთვის უცბად ყველაფერი თავდაყირა დადგა, ცოტას გაწყრა, არ შემოიყვირა: „სამივენი მძულხართ; ბოროტი და მახინჯები ხართ! ბუზღუნები ხართ!“

— ელენას არ სურს, მარტა ჩვენს საქმეებში გაერიოს, — აუხსნა დიონისიამ რაულს.

— განა აუცილებელია გაერიოს? ბავშვის დამალვა არ გამიგონია მე. მახინჯი ხომ არ არის? — რაული მარტასკენ შებრუნდა. მის თვალებში კვლავ სიშავე ჩაგუბდა. მარტას ზიზღით გააჟრჟოლა. აღარ ახსოვდა მისი სხეულისა და ხელების წელანდელი სითბო და სიტკბო.

— წავალ, — თქვა მარტამ.

— წადი, — ამოიკვნესა ელენამ. — სანამ არ დაგიძახებ, თვალით არ დამენახო. ყოველთვის არ ვარ შენი ნახვის გუნებაზე.

მარტას ეგონა, დიონისია და რაული გამომექომაგებიანო, მაგრამ დიონისია კვლავ ელენას უსვამდა თმაზე თავის საზიზღარ ხელებს, რაული კი თვალმოჭუტული სწევდა სიგარას. ლამპის შუქზე ელვარებდა ოქროს ძეწკვი და გველივით ჩაკლაკნილი უცნაური ვენზელი.

მარტა თავისი ოთახისაკენ წაფარფატდა მთვარეულივით. ხვეულ კიბესთან შედგა და უცებ მწარედ ატირდა. გრძნობდა, დიდად აწყენინეს, მაგრამ ვერ აეხსნა, რამ შეურაცხყო უფრო მეტად. არა, იმას არ ტირის, უცხო კაცთან რომ გალახეს, არც იმას, სამარცხვინო მდგომარეობაში რომ წაასწრეს, — თავი მოეჭრა, ჩასაფრებული ყურს უგდებდა სხვათა ლაპარაკს, — არც იმას, ბავშვივით რომ დააშოშმინეს; სულ სხვა რამ ტკენდა გულს, მაგრამ ვერაფრით ვერ გაეგო, რა სტანჯავდა, გახურებული შანთით რა უბურღავდა სხეულს. „ზანგების სახლის“ სახურავზე დადგმული შუქრეკლამა წითელ-ყვითლად უნათებდა პატარა სენაკს. ლოყებდაბერილი ჰუსარი თვალებს უაზროდ აჭყეტდა. მარტა კუთხეში ჩაჯდა და დიდხანს უცქეროდა მოპირდაპირე სახლის სახურავს, რომელიც ხან წითლად ენთებოდა, ხან მწვანედ ხასხასებდა, ხანაც ჩაშავებული მოჩანდა.

მეორე დღეს დიონისიამ მოახლე ქალი აახლა მარტას.

— სენიორიტა, ქვემოთ გეძახიან ყავის დასალევად.

სამივე ბაღში ისხდნენ და მას ელოდნენ. ამ დღიდან მარტა ყოველდღე მათთან ერთად მიირთმევდა ყავას და ვერ გარკვეულიყო, გახარებოდა თუ სწყენოდა დედის ამგვარი ფერისცვალება.

მიწურული ზაფხული იდგა, სექტემბერი კარს უკან ჩასაფრებულიყო. წვიმამ გადაიღო. რკინის ძელსკამებზე წვიმის წვეთები ციმციმებდნენ. ელენა და რაული ბაღში ისხდნენ. რაული გაცვეთილი და ნაღვლიანი ჩანდა. მის არსებაში ნელ-ნელა ღვივდებოდა მინავლებული ინტერესი გაზეთებისადმი, ახალი ამბებისა და პოლიტიკისადმი. ელენა საცოდავად იწელებოდა:

— არ ვიცი, რა მომდის...

მარტა პატარა ნადირივით ჩასაფრებული აკვირდებოდა დედასა და მის საყვარელს. მინდორში ჩიტები ეკურკურებოდნენ ერთმანეთს. რაულმა მარტას შეხედა:

— რამდენი წლის ხარ?

მარტამ გაიღიმა. კარგა ხანია სარკეში დაბეჯითებით ჰყავდა შეთვალიერებული საკუთარი თავი და იცოდა, ლამაზი იყო. დედამ რისხვით დააკვესა თვალები:

— ჯერ პატარაა, გესმის, რაულ?! რას ვამბობდი? ჰო, ამ დროს რაღაც მემართება ხოლმე, ყოველ წამს...

„საწყალ დედაჩემს ჰგონია, რაული მის სისულელეებს მოუსმენს". რაული მართლაც არ უსმენდა ელენას, თანაბრად გადაკრეჭილ, ლარივით გაჭიმულ გაზონს მიშტერებოდა. ამასობაში ქურთუკში გამოწყობილმა შიკრიკმაც გაზეთები მოუტანა.

— ვიცი, ვგრძნობ, ცუდად გავხდები და მაინც ვერაფრით ვშველი თავს, — წუწუნებდა ელენა.

მარტა დედას მიაჩერდა (ბებერია. ცხეირი ისე დაგრძელებია, გეგონება, რაღაც სისაძაგლეს ყნოსავსო.)

— კარგი, დამშვიდდი, ყველას სჭირს ეგ ამბავი... — რაულს არც გაჯავრება ეტყობოდა, არც გაღიზიანება. უბრალოდ რაღაც ხომ უნდა ეთქვა. მარტა გრძნობდა, კაცის ფიქრები სხვაგან დაფრინავდნენ.

ელენამ თვალები მოჭუტა და ანერვიულებულმა შეხედა რაულს:

— დავბერდით, გაფიქრებაც კი არ მინდა, მაგრამ სინამდვილეს სად გაექცევი. ვინ ოცდაათი წლისაა, ვინ ორმოცისა... აგერ იქ, ბებრები ბელურებს საკენკს მაინც უყრიან, ჩვენ კი რას ვაკეთებთ ამ ხნისანი... ჩვენ სხვანი ვართ... ჩვენ საძაგელი ხალხი ვართ...

„ტყუის, — გაიფიქრა მარტამ. — თვითონ ორმოცდაცხრა წლისაა, რაული კი ოცდარვისა". მარტა დედას დააკვირდა. საბრალო ქალი, ყავას წრუპავდა და ცხადად ეტყობოდა, იტანჯებოდა. რაული კვლავ მშვიდად იჯდა, ხელები მუცელზე გადაეჯვარედინებინა, კბილებში სიგარა გაეჩარა. სახე არც უჩანდა კვამლში.

— თავი კი მოგვაქვს...

რაულმა თვალები მოისრისა. „კონიუნქტივისა ეშინია, — გაიფიქრა მარტამ. — დედაჩემს სჭირდა ამას წინათ, ჰოდა, ახლა ამას ეშინია, ხომ არ გადამედოო. მართალი თქვა დედაჩემმა — ორივენი ბებრები და საძაგლები არიან. ბებერი ვირთხები. რაული სადაცაა ოცდაათისა შესრულდება, დედაჩემი — ორმოცდაათისა". მარტამ კვლავ დაკვირვებით შეავლო თვალი დედას: საქანელა სავარძლის საზურგეზე მიწოლილიყო ელენა. ოქროსფრად შეღებილი თმა ტალღასავით დაჰფენოდა მხრებზე, მძიმე, ლამაზად დახატულ ქუთუთოებს ჭარვისფერი დასდებოდათ. თვალები წყლისფერი თუ რაღაც გაურკვეველი ფერისა ჰქონდა. ამ წუთში ქალი არც ლამაზი იყო და არც უშნო. იყო მხოლოდ ელენა, მარტას დედა. მაგრამ მარტამ კარგა ხანია იგრძნო, არ უყვარდა დედა, არც არასოდეს ყვარებია და ახლაც ტყუილად დგას აქ. დედამისს სავარძლის სახელურზე დაუსვენებია თავისი დიდი გამხდარი ხელები (თავი მოაქვს თავისი ხელებით.) „იქნებ მძულს კიდეც, — ფიქრობდა მარტა. — ნამდვილი ჩერჩეტია. სისულელეებს როშავს და ჰგონია, ჭკვიანურს ვამბობო. სადღაც ამოიკითხავს რაღაც-რაღაცებს და მერე უშნოდ რატრატებს. საძაგელი ქალია. ცოტა რომ შეთვრება, მაშინ კიდევ არა უშავს... არა, ჩერჩეტიც არ ეთქმის, უბრალოდ უმაქნისი ქალია. იქნებ მძულს კიდეც! რა მოხდება, ენა რომ ამოვიდგა

და მიეახალო: „აბა, მოუსვი აქედან!“ ღმერთო, დედა მაინც არ იყოს ჩემი... თავადაც ვერ გამიგია, რამ გამაჩერა ამდენ ხანს მასთან“.

— ძვირფასო, — გაიღიმა რაულმა.

მარტა ადგა, გამოსამშვიდობებლად ჯერ დედას აკოცა ლოყაზე, მერე რაულს. რაულმა ნაზად შეავლო ხელი ხელზე. მარტას მამაკაცის სუნი ეცა, სახეზეც მისი მშვენიერი ხუჭუჭა თმა მიელამუნა.

— სად მიდიხარ?

— წავალ, ცოტას გავივლი.

— წადი, დაწექი, — უთხრა დედამ. — რა დროს გავლაა, ვერა ხედავ, სული ძლივს გიდგას.

სასტუმრო თითქმის დაცარიელებულიყო. ბაღიდან საერთო პლაჟი ჩანდა. მოახლეები, ხელოსნები, მუშები ოჯახებიანად აყრილიყვნენ და ზღვისკენ მიიჩქაროდნენ. „დღესასწაულია“, — გაახსენდა მარტას. ჭყეტელა ხალათებსა და იაფფასიან საბანაო კოსტიუმებში გამოწყობილი თეთრი თონთლო სხეულები ტალღასავით მიიწევდნენ ზღვისკენ. მერცხლები დაბლა ფრენდნენ და ისეთი გნიასი გაჰქონდათ, თითქოს სურდათ საქვეყნოდ მოედოთ ამ წუთისოფლის სიხარულის საიდუმლოება.

„ზანგების სახლი“ მოპირდაპირე მხარეს იდგა ქუჩის მოსახვევში, სადაც სასტუმროს გვერდითი კედელი გადიოდა. ფასადი თეთრად ქათქათებდა. შესასვლელთან ჯუჯა პალმები დაედგათ. შუქრეკლამის მანათობელი ასოებით ერთმანეთზე გადახლართულ სართულებს, ფანჯრებსა და აივნებს ციდან ჩამოწოლილი საღამო ეფინებოდა. მარტა ფანჯარაში წელამდე გადმოეკიდებოდა, რათა უკეთ დაენახა „ზანგების სახლი“. მოსირმულ წითელ ქურთუკებში გამოწყობილ ზანგებს შეჰქონდათ და გამოჰქონდათ შალითებში გახვეული საკრავები. მარტას ეჩვენებოდა, ქვემოთ უცნაური, საზარელი მხეცები დააბოტებენო. (სადღაც რაღაც ხდება, თავად ვერ გამირკვევია რა, და მეძახის, მიხმობს.) სექტემბრის ნესტიანი ჰაერი სხეულს ეკვროდა და ირგვლივაც ყოველთვის ჯიუტი კვამლივით ედებოდა. „ზანგების სახლის“ შესასვლელთან დაკიდულ რძისფერ დიდ ბურთებში შუქი თრთოდა, თითქოს ცა კრთისო ჭექა-ქუხილის მოლოდინში. (ქვემოთ ჩავალ, მერე კი სულ მოეშორდები აქაურობას.) უზარმაზარი მარგალიტები თვალის პაჭუნით უხმობდნენ ქალიშვილს. საყვირიც საწყალობლად და დაჟინებით ეძახდა (მიყვარს საყვირი.) სიბნელეში ლურჯად მოჩანდნენ პალმები. ქარი არ ქროდა, ირგვლივ სიჩუმე დასადგურებულიყო, მხოლოდ მუსიკა აღწევდა მარტას ყურამდე, ან იქნებ ეჩვენებოდა, მესმისო. იატაკზე ფეხი მოაფათურა, ფეხსაცმელი იპოვა. წამოდგა, სარკეში ჩაიხედა, მაშინვე სიბრაზე მოჰგვარა სულელურმა კაბამ და ნაწნავმა. მაკრატელს ხელი სტაცა და... უსწოროდ შეჭრილი თმა მხრებზე დაეფინა. შუბლზე ჩამოშლილი შემოკლებული ქერა, ვერცხლისფერი თმა თვალებს უფრო დიდსა და გაკვირვებულს უჩენდა (ის მილანელი კაციც ქერა ყოფილა, მილანელი ბლენძი, ჩემი მამა.) ტუჩებზე ხელი მოისვა, დიონისიას პომადა მოძებნა და სასწრაფოდ წაისვა. თვალებს ელვარება მოემატა, წარბები გამოიკვეთნენ. რაღაც გიჟური და ველური დააჩნდა მის სახეს. რეკლამის შუქი არც სარკეში ანებებდა თავს. სახე ხან წითლად აენთებოდა, ხან მწვანედ. ხელაკანკალებულმა ფეხსაცმელი ვერაფრით ვერ შეიკრა. „დედაშენს სურს, წმინდანი გაგზარდოს, — ეუბნებოდა დიონისია. — ტყუილად გმალავს, უკვე დიდი ხარ, თანაც ლამაზი“. ჩაშავებულ სახურავებს თავს დაჰყურებდათ

წითელი თუ ნარინჯისფერი ცა. პალმები გაბღენძილი ადამიანებივით იდგნენ და თავი მოსწონდათ. (მივდივარ, ქმარა, ცოტას გავივლ-გამოვივლი.) ტოტლების ჩუმ შრიალს შორიდან მოჰყვებოდა იდუმალი ძახილი: რაღაცა უხმობდა ქალიშვილს.

მარტა ხვეულ კიბეს დაუყვა და თამამად გაიარა სამივე კართული. ეჩვენებოდა, ბნელი და ვიწრო გვირაბებივით მოისწრაფოდნენ მისკენ უცხო თვალები. სასტუმროში სიცოცხლე მიყუჩებულიყო. პატარა ჰოლში პოკერს თამაშობდნენ (დიონისიამ მასწავლა პოკერის თამაში. დედაჩემს ამ ბოლო დროს ტუჩების კანკალი დასჩემდა, ვერაფერი მოუხერხა. მაინც რა უცნაური ტუჩები აქვს, შეღებილი, დასერილი! თვალების გარშემო ნაოჭები მოუმრავლდა, არადა, მაინც ლამაზია. პომადა არ უხდება. პლაჟზე უკეთესი შესახედავია, სხვანაირია. წევს თავისთვის სილაზე, არაფერზე არ ფიქრობს, თვალებმილულული მზეს ეფიცხება. სილაზე გაშხვართულს სხეული რბილი და დამყოლი უჩანს, მაგრამ რომ წამოდგება, ჩაიცვამს და სახეს წაითხაპნის, მორჩა, ისეთი აღარ არის. მხიარულობის ჟამს უფრო ხნიერი ჩანს.) ბოლო დროს ღვინოს მიეძალა. რაული კვირაობით გადაიკარგებოდა ხოლმე. მარტას ხშირად ესმოდა, თავს როგორ იმართლებდა რაული: „გეფიცები, წამოსვლა ვერ მოვახერხე“. ისიც იცოდა, ჩხუბობდნენ და მერე, რაც მთავარია, იცოდა, როგორ დაზავდებოდნენ და სწორედ ეს აწუხებდა ქალიშვილს. (არ მინდა, დედაჩემს დავემსგავსო. არ მინდა სიბერე.) მარტა სასტუმროდან გავიდა. პალმების მიღმა ნისლი ჩამუქებულიყო. ქუჩის მეორე მხრიდან „ზანგების სახლი“ უხმობდა (ვაითუ არც შემიშვან!)

უცებ მარტამ რაული დაინახა: ღია, მწვანე მანქანასთან იდგა. ქალიშვილს საკუთარმა სითავხედემ სახე აუწვა, მაგრამ მაინც თამამად გასწია კაცისკენ. რაული შესცქეროდა მისკენ მიმავალ ქალიშვილს და ადგილიდან არ იძროდა. მარტამ ქუჩა გადაჭრა, მიუახლოვდა. რაულს კვლავ არ მოუცვლია ფეხი.

— დიახ, მე გახლავართ სწორედ, — მარტას სიძულვილი ახრჩობდა, აქამდე არც კი იცოდა, რა ძლიერი ყოფილა ეს სიძულვილი, რომელიც კარგა ხანია შორიდან ესტუმრა იმ ჩუმი და იდუმალი შრიალივით, იქ, მაღლა, სახურავქვეშ თეთრად გათენებულ ღამეებში რომ ჩაესმოდა მუდამ. რაული სერიოზულად და თანაგრძნობით შესცქეროდა მას.

— ჰო, მე ვარ-მეთქი, სიზმარში არ მხედავ. იმას არაფერი უთხრა, იცოდე. რაულმა უცებ გადაიხარხარა.

— ერთ დღესაც ავდექი და შინიდან გავიპარე. ყელში ამომივიდა დედაჩემის ენამოჩლექილი ლაპარაკი, თითქოს პატარა ბავშვი ვიყავი, თანაც მომბეზრდა, სამარცხვინო ლაქასავით რომ მმალავდა. გული გარეთ მიმიწევდა, მინდოდა თავი დამეღწია ამ ციხიდან. ჰოდა, წავედი და ქუჩაში რაულს გადავაწყდი. „სწორად მოქცეულხარ, საბრალო გოგონი. ჩემთან წამოდი. ნუ გეშინია“, — მითხრა მან. ასე დაიწყო ყველაფერი.

## VIII

(„ზანგების სახლის“ შესასვლელთან ყვავილებიანი ქოთნები ჩაემწკრივებინათ.

— სად მიდიხარ? — ჰკითხა რაულმა მარტას.

— იქ.

— ერთად წავიდეთ.

რაულმა ქალიშვილს ხელკავი გამოსდო. მარტამ მაშინვე შეამჩნია, ერთი სიმაღლისანი იყვნენ. გვერდულად გახედა. რაულს ფართო ნესტოიანი პატარა ცხვირი ჰქონდა. რაღაც ველური და პირუტყვული გამოსჭვიოდა მის არსებაში. მარტას სწორედ ამის გამო მოსწონდა და სძაგდა კიდეც ეს კაცი. რაული მოულოდნელად მოუვლინა ღმერთმა; რაულმა სიმარტოვისგან [illegible] მარტა. ცაცებისა არაფერი ვიცი, დიონისია ამბობს, უხეში ხალხია, პირი უყ[illegible] უცებ რაულმა ჰკითხა, შენ და დიონისიას რა საქმე გაქვთ ერთმანეთთანო. მარტამ მდუმარედ შეხედა რაულს, იმანაც მაშინვე გადაუხვია ამ თემაზე საუბარს.

— თმა ვინ შეგჭრა ასე მშვენივრად? არ გიხდება.

— თვითონ შევიჭერი. ვიცი, არ მიხდება, მაგრამ არ მენაღვლება.

რაულმა თმაზე გადაუსვა ხელი, ყური გამოუჩინა.

— დედაშენი ხვალ აქაქანდება.

— რაც უნდა, ისა თქვას.

მარტას სიამოვნებდა რაულის ხელის მკვრივი.

„ზანგების სახლის“ კარზე ლერწმის ფარდა ეკიდა. მარტას, თავისდა გასაოცრად, სიხარულით აუძგერდა გული. ბოლოს და ბოლოს ეღირსა საკუთარი ხელით შეხებოდა ამ ფარდას და ჩონჩხივით აეჩხრიალებინა. დარბაზში შესვლისას მთელს ტანში დაუარა ნეტარმა შიშმა. რაული ორიოდ ნაბიჯზე მისდევდა უკან. მარტა ვერ ხედავდა, მაგრამ გრძნობდა, კაცს შეთქმულივით ეღიმებოდა. მერე რაულმა მკლავზე ხელი შეავლო და ნახევრად სიბნელეში, ოქროსფერ კვამლში, წითელსა და მწვანე შუქში ჩაძირული მაგიდისკენ წაუძღვა.

— აი, აქ დავსხდეთ. რამე დავლიოთ.

მარტას ფეხებში ებლანდებოდა რაღაცა, ქარივით მსუბუქი და უსხეულო, გამხმარ ფოთლებს რომ ხვეტს და აქეთ-იქით აფრიალებს.

რაული ქალიშვილისკენ დაიხარა და მარტამ საყვირის ღრიალშიც კი კარგად გაარჩია მისი ჩურჩული:

— თქვი, რა შევუკვეთო, რას ისურვებ?

— სულ ერთია. არ ვიცი.

ისინი თეთრ, მრგვალ მაგიდასთან იდგნენ. მაგიდაზე ვარდისფერი ნათურა კიაფობდა. უეცრად მარტას თვალები ცრემლით აევსო და ირგვლივ ყველაფერი ისევე ჩაიძირა ბინდში, როგორც მაშინ, დედამისის ოთახის უკან, სიბნელეში კიბეზე დგომისას მოეჩვენა.

— რა მოგდის? ხომ არ გეშინია.

— არაფრისაც არ მეშინია. ვტირი, „ზანგების სახლში“ მოსვლა მეღირსა!

— კი მაგრამ, ეს სახელი საიდან მოიგონე? კარგად კი დაგირქმევია. ჩვეულებრივი რესტორანია.

— ღმერთო, აქ ვარ, ამ დარბაზში ვზივარ. დღეიდან სადაც მომესურვება იქ წავალ.

ოფიციანტმა ჭიქები მოიტანა, რაულმა რაღაც შეუკვეთა.

— აბა, ახლა მიამბე, რა საქმე გაქვთ შენ და დიონისიას.

— არ გეტყვი.

მარტას კვლავ ცუდი გრძნობა დაეუფლა. ერთიც ვნახოთ, რაული ადგეს და წავიდეს, მაშინ ხომ ჩამობნელდა ირგვლივ ყველაფერი! თვალი მოავლო იქაურობას. მართლაც, ჩვეულებრივი რესტორანი ყოფილა. პატარა დარბაზში თეთრი როიალი იდგა, სცენაზე ზანგები ისხდნენ და საკრავები უბზინავდათ.

ორკესტრი არ უკრავდა. მხოლოდ ერთი ბრგე ზანგი მიჯდომოდა როიალს და რაღაცას უკრავდა უცნაურად, სვენებ-სვენებით. შუბლზე ოფლის წვეთები დასხდომოდა. მაგიდაზე დაშუქებულ ვარდისფერ წრეში ლაქის ბინჯგვლიანი ხელი აფათურდა — ჭიქები შეავსო. მაგიდაზე იდო პატარა დაფა, რომელზეც ლამაზად გამოეყვანათ რიცხვი „23“.

— დიონისიამ თქვა, მარტა კარგი გოგოაო, — უთხრა რაულმა.

— მერე ვინ ამბობს, რომ ცუდი ვარ.

რაული კვლავ იღიმებოდა.

— იცი რა, — უცბად თქვა მარტამ (საკუთარი ხმის სილაღე ათრობდა ქალიშვილს), — დიონისია დამპირდა, თუ კაცებს არ გაეკარები, ყველაფერში დაგეხმარებიო.

რაულმა ჩაიცინა:

— დიონისიამ მითხრა, მარტა ჩიბუხის გამართვაში მეხმარებაო.

— ჰო, თვითონ მასწავლა ჩიბუხის გამართვა. ასე უფრო მოხერხებულიაო. როცა თვითონ ვტენი ჩიბუხს, დრო იკარგება და ამასობაში ბურუსიც ქრებაო.

— მერე გამოგდის რამე?

ორივენი გაერთნენ საუბარში. მარტას უცებ ერთი სურათი დაუდგა თვალწინ: ადრე, ბავშვობაში, პლაჟზე ერთი ბიჭი ეთამაშებოდა ხოლმე. ერთხელ ქვიშის კოშკი ააშენეს, თავადაც აქეთ-იქით ჩაწვნენ სილაში და კოშკის ძირში გამოქვაბულის თხრას მოჰყვნენ. იმდენი თხარეს, რომ ბოლოს მათი ხელები ერთმანეთს შეხვდა. მერე ასე ქვიშის გამოქვაბულში ხელჩაჭიდულნი უფროსებზე ყვებოდნენ ათას უცნაურ ამბავს და სიცილით იგუდებოდნენ...

— დიონისია მომაკითხავს ხოლმე და მეტყვის: „ჩუმად იყავი, სჯობს ჩიბუხი დამიტენო!“ პრიალა კოლოფს თავს მოხსნის, შუშის ნათურა ისე ლამაზად აციმციმდება, რომ... თანაც საინტერესოა მე ფლაკონიდან ვიღებ პასტას, ვამრგვალებ და ჯოხის ბოლოში ვდებ, მერე ქვაბში ჩავუშვებ. დიონისიამ მითხრა, ეს ქვაბი ყველაზე საუკეთესო ბრინჯაოაო, ერთმა მანდარინმა მომართვაო. აფრენს ეს ქალი, სულ ერთი არ არის, ქვაბი ბრინჯაოსი იქნება თუ უბრალო? ისე, საინტერესო რაღაცების მოყოლა იცის. რომ დაწვება და თვალებს გადმოკარკლავს — სიცილით მოკვდები. ვეკითხები ხოლმე, ახლა რას გრძნობ-მეთქი? სიზმრებში ვცურავო, მეუბნება... ქვაბს მოურევს, ცეცხლთან მიიტანს და ქაჩავს და ქაჩავს... თვალის დახამხამებას ვერ მოასწრებ, ჩიბუხი უნდა გამოუწმინდო ჩამწვებული ქინძისთავით და კვლავ დაუტენო ოპიუმით. ერთი სამჯერ მაინც მიწევს დატენვა. მეტყვის ხოლმე, მადლობთ, ჭირიმეო და კვლავ მოქაჩავს. აღმოსავლეთში საგანგებოდ ამ საქმისათვის კაცი ჰყავდა დაქირავებული, აქ კი მე ვარ მისი მსახური. — მარტამ გაიცინა და რაულს შეხედა.

— რას იზამ, — თქვა რაულმა.

კაცს თვალები მოეჭუტა, ქარვისფრად უელავდნენ. „მე კი მეგონა, შავი თვალები ჰქონდა“, — გაიფიქრა მარტამ. სინამდვილეში მოყვითალო-მწვანე ფერი დაჰკრავდა რაულის თვალებს.

— ერთხელ მაინც არ მოგიწევია?

— არა.

როიალი დადუმდა. სიჩუმე ნელ-ნელა ჩამოწვა დარბაზში, კუთხიდან კუთხეს მოედო და ხმათა გაურკვეველ გუგუნში ქვითინად დაიმსხვრა.

უეცრად საყვირის ხმამ გაკვეთა „ჩანგების სახლში" გამეფებული დუმილი.

— წამო, ვიცეკვოთ, — უთხრა რაულმა.

— არ ვიცი.

— არა უშავს, შეგეშველები.

მარტა გაჰყვა, მკერდზე მიეკრა. გაახსენდა, მაშინაც, დედამისის თვალწინ, ასე ჩაეხუტა ამ კაცს. ახლაღა მიხვდა, კარგა ხანია ელოდა ამ შეხვედრას. რაულის ხელი ნაზად დაფათურობდა მის მხრებსა და ზურგზე.

— მე მომყევი.

ძლიერმა ხმამ შეარყია დარბაზი. ბნელში ჩაძირულ უხილავ კედლებზე უზარმაზარი ფოლადის ობობასავით მოძვრებოდა ძახილი. მარტამ რაულს კინაღამ არ დაამტვრია ფეხები. ორივენი გულიანად იცინოდნენ. რაული რაღაცას ეჩურჩულებოდა, ქალიშვილს არ ესმოდა, მაგრამ მაინც იცინოდა.

— იქნებ ახლა მაინც მითხრა, რამდენი წლისა ხარ? — ჰკითხა რაულმა, როცა კვლავ მაგიდას მიუსხდნენ.

— თვრამეტისა.

— ერთხელ შენი სურათი ვნახე, — რაულმა სიგარას მოუკიდა. — ათი წლისა იქნები, ისეთი კარგი ხარ სურათზე, ნაწნავიანი.

რაულმა კვლავ თავზე გადაუსვა ხელი, მერე ყურზე მოუთათუნა. მარტა შეკრთა, სუნთქვა შეეკრა: „სიყვარულზე რაღაც-რაღაცები გამიგია... ნუთუ ეს არის სიყვარული?" ვერც წარმოიდგენდა, რომ სიყვარული სწორედ ასეთი ესტუმრებოდა, უსიზმრო და ბებერი ფესვივით წებოვანი. „ბოლოს და ბოლოს, სიყვარული ალბათ ოპიუმივით ათრობს, სიბნელეში ძირავს ადამიანს".

— იცი, რა გამახსენდა ახლა? — გაეცინა მარტას. — გამომშვიდობებისას იმან რომ მითხრა, წადი, დაწექიო.

საკუთარი სიცილი ცოცხალი და ხელშესახები მოეჩვენა მარტას: თეთრ სუფრაზე დახტოდა ატაცებული. რაული ახლა ყელზე უცაცუნებდა ხელს. (რაულმა რომ ხელი მომაშოროს, ქვეყანა დაინგრევა ალბათ. ნეტავ არ დამტოვოს, არ დამტოვოს.) რაული დაიხარა და ლოყაზე აკოცა. მარტას ნაზი და კრიალა კანი ჰქონდა ჩვილივით.

— მამიკო, ძვირფასო, — სიცილი ძლივს შეიკავა მარტამ.

რაულმა ხელისგული მიაფარა ტუჩებზე და თვითონაც გაიცინა. მარტას გაახსენდა ბიჭი პლაჟზე და ქვიშის გვირაბში გადაჭდობილი ხელები.

— წავიდეთ აქედან, — უთხრა რაულმა.

— ჯერ ნუ წავალთ.

მარტას არ ეშინოდა, უბრალოდ არ უნდოდა ასე მალე დამთავრებულიყო ეს მშვენიერი საღამო. „ვაითუ, ჩამაცივდეს, გინდა თუ არა წამოდიო. ჯერ არა. ნუთუ ეს არის ყველაფერი, ცოტა ხანს კიდევ უნდა დავრჩე აქ".

— ხომ ნახე აქაურობა, გეყოფა, ახლა წავიდეთ, — არ ეშვებოდა რაული.

— სხვაგან წავიდეთ.

— სად წავიდეთ, შინ მივდივართ, შენთან.

— არ მინდა შინ. სხვაგან წავიდეთ სადმე.

კიდევ დალიეს. რაული გაჩუმდა, მოიწყინა. მარტა გრძნობდა, როგორ შესცქეროდა კაცი, თაფლში ამოვლებულივით უბზინავდა თვალები. ღვინომ მარტას ხალისი და სიმშვიდე მოჰგვარა.

— ლამაზი ხარ, — უთხრა რაულმა, — მართალია, კაცს უცებ არ მოხვდები თვალში, მაგრამ საკმარისია დაგელაპარაკოს, მაშინვე აღიარებს, რომ ლამაზი ხარ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ძალიან მინდა კარგად ვცეკვავდე.

— გასწავლი, ახლა კი წავიდეთ.

კვლავ სანახევროდ ბნელში გაიარეს, კვლავ შეახო ხელი მარტამ ლერწმის ფარდას, მეკარემაც ღიმილით გააცილა ორივე.

— აბა, ყოჩაღად, ფიფქია! — რაულმა მხრებზე ხელი მოხვია. — საძაგელი კაბა გაცვია, ვაი, სირცხვილო, კარგად რომ გეცვას, პირველი მზეთუნახავი იქნებოდი ჩვენს ქალაქში, — რაული უცნაურად, ხარბად და დაკვირვებით შესცქეროდა ქალიშვილს. — ახლა ფარნების შუქზე თმა თეთრი, ვერცხლისფერი გაქვს.

ისინი ზღვის პროსპექტს დაუყვნენ. მარტას თითქოს მიწა გამოსცლოდა ფეხქვეშ. „ავისრულე გულის საწადელი, დედაჩემი ურაულოდ დარჩება, რაულს მე წავიყვან. თუ სიყვარული არა, სიძულვილი ხომ მაინც არის ეს".

ზღვასთან მივიდნენ. მარტას ფეხსაცმელში სილა ჩაეყარა და გაიძრო. რაული მიეშველა, მხრებზე ხელი მოხვია. ქალიშვილმა ზედ კისერთან იგრძნო კაცის სუნთქვა.

— წავიდეთ შინ, — ძლივს ამოილუღლუღა.

ისინი ქურდებივით შეიპარნენ სასტუმროში, ფრთხილად, ფეხაკრეფით. მარტა პირველი აუყვა ხვეულ კიბეს. საფეხურებს ჭრაჭუნი გაჰქონდათ (თითქოს მათ ფეხქვეშ ჩონჩხად ქცეული გვამი ტკაცუნობდა, თითქოს ყოველი საფეხური კუბო იყო და შიგ გაგუდული ცინდლები კნაოდნენ.)

მარტა ნელა მიუახლოვდა თავის ოთახს, კარი გამოაღო და ახლაღა მიხვდა, ფეხსაცმელი პლაჟზე დარჩენოდა. კარი არ ჩაუკეტავს, არც შუქი აუნთია. საწოლზე ჩამოჯდა. „ზანგების სახლის" მანათობელი ასოები თვალს შეთქმულივით უპაჭუნებდნენ. მარტამ ფეხის გულებზე ხელი ჩამოისვა, იატაკზე ქვიშის წვიმა აწკაპუნდა. რაული ოთახში შევიდა და კარი ჩაკეტა. მარტამ თვალები დახუჭა და ბურანში წასული გულაღმა გადაქანდა საწოლში.)

— იმ ღამეს რაული ამოვიდა ჩემთან, მერე ყოველღამე ამოდიოდა. ასე გასტანა შემოდგომამდე. დედას ეჭვიც არ აუღია, ყოველ შემთხვევაში, ჩემზე მაინც. დიონისიაც ბაიბურში არ იყო. თავის მოკატუნება კარგად ვისწავლე. ვცრუობდი, სულ ვცრუობდი.

(ბოლო ხანებში ელენამ ქალიშვილს გული გაუწყალა ერთი და იგივეს ლაპარაკით:

— ზამთარი დადგება და შენც ახალ ცხოვრებას დაიწყებ. სადმე გაგგზავნი, ხალხს გაიცნობ, იქნებ გათხოვდე კიდეც...

დედა ჩქარობდა, შვილს აღარ მალავდა, უნდოდა თავიდან მოეშორებინა. რაული სულ გზაში იყო გაბმული, ხშირად მიემგზავრებოდა ირუნში, თავის სასტუმროს დასახედად.

ერთხელ რაულმა სრულიად მოულოდნელად თქვა:

— ელენა, წავიყვან გოგონას ირუნში. გაერთობა.

— ირუნში? შენთან ერთად?

— პო, ირუნში. კინოში ივლის... მე მეორე დღესვე დავბრუნდები. იქნებ კაბაც იყიდოს რიგიანი.

დიონისია მაგიდას მისჯდომოდა პირში სიგარაგაჩრილი და პასიანსს შლიდა. წუთით თავი ასწია დაბნეულმა და შემკრთალმა.

— რაული მართალს ამბობს, — უცებ თქვა მან. — რა მოხდა, წავიდეს. ერთი შეხედე, რა კაბა აცვია. გეგონება, მათხოვარია.

შემოდგომა ახლოვდებოდა. ტურისტები აქა-იქ ჩანდნენ სასტუმროში. იდგა ნაცრისფერი და მოღრუბლული დღე.

ელენა ერთხანს ჩაფიქრდა:

— კარგი, წადით. მხოლოდ სასტუმროში ნუ შეიყვან, სხვაგან მოუნახე ბინა.

— მაგას რა ლაპარაკი უნდა, — რაულმა გაზეთი გაშალა. — შენა გგონია, მთლად უვიცი ვარ? კინოში წავა, მაღაზიებში შევლის, ერთი სიტყვით, როგორც მოისურვებს, ისე იცხოვრებს. მე ჩავაკითხავ ხოლმე. თანაც თუ ზამთარშიც გინდა მისი გაგზავნა სადმე, მანამდე გათამამდება, ხალხს მიეჩვევა. შენც თან გაყვები მაშინ?

— მე სად შემიძლია წაყოლა, — ელენას სიგარეტი უთრთოდა ხელში. ხმასა და დიდ ოქროსფერ თვალებში სიცარიელე ჩადგომოდა.

მარტა ხმაგაკმენდილი და სუნთქვაშეკრული იჯდა. მაგიდის ქვეშ რაულის ფეხის მიკარება იგრძნო ფეხზე. გაზეთი უცნაურად აშრიალდა. ელენას ქუთუთო აუთამაშდა. რაულმა თავი ასწია.

— პარიკმახერთანაც შეიარე, — დაარიგა მარტა დიონისიამ. — რამ შეგაჭრევინა ასე თმა, ნამდვილ საფრთხობელას გავხარ!

მარტამ აბრეშუმივით რბილ თმაზე გადაისვა ხელი, გული ძალუმად უცემდა.

ნასადილევს გაწვიმდა. აქამდე ოდნავ ცრიდა, ახლა კი კოკისპირულად დაუშვა.

— ასეთ ამინდში ნუ წახვალთ, — ელენას ყავის ორთქლით დანისლოდა სახე.

ოთხივენი სასტუმრო ოთახში ისხდნენ მაშინდელივით, როგორც პირველ საღამოს. კედელზე აკრული შპალერიდან ია და სუმბული შემოსცინცინებდა მარტას. წვიმიანი ნათელი დღე ფანჯრებზე დაკიდულ ვარდისფერ გამჭვირვალე ფარდებში მოძვრებოდა. მარტას მთელი არსება საძაგელმა და დაუნდობელმა რაღაცამ მოიცვა — დედის ათრთოლებული ტუჩები არ შორდებოდა თვალთაგან (აქედან იწყება ჩემი გაპარჯვება და მისი დასასრული.) დიონისია ნაღვლიანი, გაურკვეველი ღიმილით შესცქეროდა ორივეს.

— მე წავალ ასეთ ამინდში, — თქვა მარტამ.

— რას ამბობ, — ელენას ისედაც გატანჯულ ხმას ძალა მთლად გამოსცლოდა. — რას ამბობ-მეთქი, ჩემო პატარავ, ვერა ხედავ, კოკისპირულად წვიმს.

მარტამ უხმოდ სასწრაფოდ დალია ყავა და თავის ოთახს მიაშურა — სამგზავროდ ხომ უნდა მოემზადოს, ჩემოდნები ჩაალაგოს. მერე დაბრუნდა და დედას უთხრა:

— ფული მომეცი.

ელენამ კამოდის უჯრა გამოაღო და გრძელფრჩხილებიანი ლამაზი დიდი ხელი მოაფათურა შიგ. მაღალი და გამხდარი ქალი იყო ელენა. მარტას

ზურგშექცეული ელაპარაკებოდა წყნარად, დინჯად, რაღაცით შემკრთალი. სიფრთხილე და გამოცდილება მარტას აკლდა, თორემ დედამისს ეჭვიდ ჰქონდა მომადლებული ბუნებისაგან.

— რაღაც უნდა მოვახერხოთ, ასე ხომ არ იქნები სულ. ზაფხულში მადრიდში გაგიშვებ. იმუშავებ, ფული გექნება საკუთარი. ცხოვრებას გემოს გაუგებ. მინდოდა ქალბატონივით მყოლოდი, მაგრამ არ შეიფერე. იმასაც ვფიქრობდი, ნასწავლ ქალს გამოვიყვან-მეთქი, მაგრამ შენ არ ინდომე. რეგვენი ხარ, ზარმაცი და ქარაფშუტა... სწავლა არ მოინდომე, იქნებ შრომის ფასი მაინც გაიგო...

— კარგი, გეყოფა, მაძლევ თუ არა ფულს?

დედა სწრაფად მობრუნდა. ოთახში მათ გარდა არავინ იყო. ელენამ ახლაღა დაინახა, მის წინ ლაკასავით მუდამ შიშით აცახცახებული პატარა ოქროსთმიანი მარტა კი არა, უცხო ყმაწვილი ქალი იდგა. ასე შესცქეროდა შვილს რამდენსამე წამს.

— აჰა, აიღე. რაც გინდა, იყიდე. კახპასავით მოირთე და მოიკაზმე. თურმე ამაოდ გიფარავდი ჭუჭყისაგან. მაგრამ იცოდე, მაინც მეცოდები. ჯერ პატარა და სულელი გოგო ხარ... ტუჩებიც შეიღებე, თმაც შეიჭერი. გემოვნება სულ არ გაქვს. მამაშენს ჰგავხარ, ეგოისტი და ბრიყვი ხარ მასავით.

დედამ პირველად უხსენა ის კაცი, „მილანელი ბლენძი“.

მარტას სიტყვა არ დაუძრავს. გაწვდილ ხელში დედამ თეთრი კონვერტი ჩაუკუჭა. კინაღამ არ გახსნა კონვერტი, მაგრამ თავი შეიკავა (მერეც მოვასწრებ.)

კედელზე მზის სხივები ათამაშდა.

— ხედავ, წვიმამ გადაიღო! — სიხარულით შეჰკივლა მარტამ, მერე მობრუნდა და გამოუმშვიდობებლად გაიქცა კარისაკენ — არც მოუხურავს, დასამთქნარებლად დაღებულ პირივით დატოვა იგი. ხელში კონვერტჩაბღუჯული ჩარბოდა კიბეზე. მარტას ძაღლის ყეფა მოესმა, მერე საყვირის ხმაც მისწვდა. დაშვალი მიწის სურნელებამ ნესტოებში შეუღიტინა, რაულის ფანჯარას შეხედა.

რაული მოგვიანებით გამოვიდა ქუჩაში. გადაპრიალებული თმა მეტისმეტი მონდომებით დაევარცხნა. მზის სიმავე ჯერაც არ გადასვლოდა, — ზაფხული ხომ ახლახან მიილია, — თითქოს ჭუჭყისა და მომწვანო ფერიც გადაჰკრავდა სახეზე. ცხვირზეც ლაქა აჩნდა. „უშნოა“, — გაიფიქრა მარტამ.

— კანი გექერცლება, — უთხრა მოახლოებულ რაულს.

რაულმა ცხვირზე ხელი მოისვა, მერე ჩაჯდა მანქანის უკანა სავარძელზე დააგდო.

— დაჯექი.

კარი გაჯახუნდა, ჩაიკეტა, თითქოს რაღაცა მოსწყვიტა სამუდამოდ. (ვინ იცის, იქნებ სიცოცხლის ნაწილი გაქრა, იქნებ ბავშვობა და მთელი ქვეყნიერება მას მიჰყვა.) რაულმა მანქანა ზღვის პროსპექტისკენ მოაბრუნა და ხეივანში ჩაკარგულ გზატკეცილზე გავარდა. „მართლა რეგვენი ვარ. სწავლა არ მიყვარს, ვკითხულობ და არაფერი გამეგება, გული მიწყალდება და მალე ვიღლები. სამაგიეროდ მუსიკა მიყვარს, სიცოცხლე, ცა, ხეები მიყვარს... ღმერთო, რა კარგია რომ ეს ყველაფერი არსებობს და მე მელოდება“.

სასტუმროსთან მარტამ დიონისიას მოჰკრა თვალი. შავი კაბა ეცვა, ჩრდილოელისთვის დამახასიათებელი გრძელი სახე და თითქმის კოჭებამდე ჩამოშ-

ეროვნული ბიბლიოთეკა



მხატვარი ტარიელ ვარდიშვილი

ვებული ხელები ჰქონდა (საფრთხობელას ჰგავს.) მარტა გრძნობდა, აქაურობას ასე უცბად ვერ დაივიწყებდა, მაგრამ დამშვიდობებით კი ყველაფერს დაემშვიდობა).

ეროვნული

— ერთხელ რაულმა რაღაც მოიმიზეზა და ირუნში წავედით. სამი დღე მარტონი ვიყავით, არავის ნახვა არ გვსურდა.

(დარდი მარტასთვის უცხო ხილი იყო. ხშირად მოუწყენია, გაბრაზებულა, გახარებია კიდეც რამე, მაგრამ დარდი რა იყო, მაინც არ იცოდა... იმ დილამდე, უფრო სწორად იმ წუთამდე, სანამ ერთხელ უთენია ღია ფანჯარაში შემოჭრილმა თოლიების ყვირილმა არ გააღვიძა... რაულმა იგი ერთ პატარა, ჭუჭყიან სასტუმროში მიიყვანა, მეთევზეთა კვარტალთან. გრძელი, მონაცრისფრო შენობა იყო. პირველ სართულზე, მოზრდილ ოთახში დაბინავდნენ. ძველ, დაფახფახებულ ჟალუზიდან დღის სინათლე მოიპარებოდა. გარეთ ქარი ქროდა, ჟალუზები გულის გამაწვრილებლად ჭრიალებდნენ. აქეთ გამომგზავრებისას ელენამ რაულს სთხოვა, მარტას ასტუმროში ნუ შეიყვანო. რაული დიდის ამბით შეჰპირდა, არაო, მაგრამ აი, ისინი მაინც ამ სასტუმროში, ერთ დიდსა და მოუხერხებელ, წითელხავერდგადაკრულ ძველ სავარძლებიან ოთახში იყვნენ. თითქმის ყველა სავარძელი შელოცვილივით ერთ ადგილას — თავის მისადებ ადგილას იყო გადაქლესილი და გაქუცული. მარტა ბოლოს და ბოლოს მიხვდა, რას წარმოადგენდა ეს სასტუმრო და სად უფროსობდა რაული. სან-ხუანის სასტუმროსი არ იყოს, აქაურობასაც არ ასდიოდა კარგი სუნი. „სასტუმროში წავიდეთ, ოღონდ ჩუმად შევიპაროთ, არავინ დაგვინახოს. დედაშენი აქ არ მოვა". „რომ მოვიდეს?" „ვიცი, არ მოვა. არ უყვარს აქაობა. დიონისია შეიძლება მოვიდეს, მაგრამ მისი არ მეშინია". რაული უხალისოდ, ენადაბორკილი ლაპარაკობდა.

მარტა ფეხშიშველი გაუყვა ღვინისა და ვინ იცის კიდევ რისი ლაქებით აჭრელებულ წითელ ფარდაგს. გული ერეოდა ამ უცნაური წებოვანი სისაძაგლის დანახვაზე. კედელთან სეკრეტერი იდგა — ამდენ დამტვერილ ძველმანში პრიალი გაჰქონდა ამ ერთადერთ ახალ ავეჯს. სეკრეტერზე ტულიპის მოყვანილობის თეთრი და წითელი შუშის ლამპა დაედგათ. რაულს ეძინა. თეთრი ზეწრის ფონზე უფრო ჩამუქებული უჩანდა სახე. ხელზე ოქროს სამაჯური უკრთოდა. ბალიშში ჩაფლულსა და მაგრად თვალდახუჭულს ეძინა. წარბებშუა ორი ნაოჭი ასხდა. მარტა დაიხარა და მძინარეს დააცქერდა. რაულს თითქმის იატაკამდე გადმოკიდებოდა ხელი. მარტა კიდევ დაიხარა, იქნებ როგორმე ამოვიკითხოო ოქროს ბალთაზე ამონაკაწრი. რაულს ღრმად ეძინა, ნახევრად პირდაბჩენილი სტვენით სუნთქავდა. მარტა მის სახესთან დაიხარა. ღვინის მჟავე და საძაგელი სუნი ეცა. საწოლიდან გადმოვიდა და სეკრეტერთან მივიდა. თოლიები ყვირილით იკლებდნენ ზღვისპირს. „უთუოდ მოწვიმს", — გაიფიქრა მარტამ. მერე, რაული არ გამოვაღვიძოო, სეკრეტერის პატარა გასაღები ფრთხილად გადაატრიალა. სახურავი თავისით აიწია. მწვანე მაუდზე ალბომი იდო. მარტამ გადაფურცლა. სურათებიდან 13—14 წლის გოგოებმა შემოსცქინეს. დედამისის ლოყებდაბერილი თოჯინებივით, საძაგელ ჰუსარივით გაეთხაპნათ სახე. მარტამ ალბომი ფრთხილად დახურა, სეკრეტერი ჩაკეტა და საწოლში შეწვა. ნერწყვგამშრალს თვალები აუჭრელდა, გული ერეოდა. „სიყვარულს სამუდამოდ ჩავურაზავ კარს, აღარც საკუთარი თავი მეყვარება და აღარც ბავშვობის მოგონებები. ამბობენ, ბავშვობას ყველა სიყვარულით იგონებსო.

მე კარგი არაფერი მაქვს მოსაგონარი და ამიტომაც არც არაფრის სიყვარული შევალევა. სიყვარულზე მხოლოდ დიონისიასგან გამიგონია რაღაცები, რაულმაც მითხრა, მიყვარხარო. რაული ცრუობს, მაგრამ ალბათ ასეა საჭირო, ნეტავ შემიყვარდეს ვინმე! დიონისიამ მითხრა, დედაშენს ის მილანელი კაცი უყვარდაო. იქნებ მეც მიყვარს რაული! მარტამ კვლავ დახედა მძინარე რაულს.

— ლამაზია, — დასცდა მარტას, კაცს გვერდით მიუწვა და ჩუმად ამოიკვნესა.

საწოლი აჭრიალდა, რაულმა ზანტად იცვალა მხარი, მარტას გული შეუქანდა. რაულს თვალი არ გაუხელია, უცნაურ ხესავით ჩაშავებული ხელი ასწია მხოლოდ. სამაჯურზე ბალთა აწკრიალდა. ფანჯრიდან დამპალი ხისა და ჟანგიანი რკინის სუნი შემოდიოდა. მარტას ნაღველი მოეძალა უცებ. შესცივდა და შერცხვა, შიშველი რომ იწვა აქ, ამ საწოლში. ის გოგოები კი, ლოყებდაბერილი და ჩასუქებული გოგოები, იქ ალბომში გორაობდნენ. ზოგს მთლად დედიშობილას გადაეღო სურათი. ზოგს მეტისმეტად მოკლე და სულელური კაბა ემოსა. ზუსტად ისეთი, დედა რომ აცმევდა მარტას. ოღონდ იმ განსხვავებით, დედამისს სხვა მიზანი ჰქონდა მაშინ. ალბომის გოგოებს მეზღვაურული კაბები უსირცხვილოდ შემოკვალთოდათ პატარა ძუძუებზე. რაულის ხელი ნელ-ნელა მიცოცავდა მარტას სხეულისაკენ.

რაულმა რომ გაიღვიძა, ოთხი საათი იყო. უსიტყვოდ ადგა. მარტას რატომღაც ჩამუქებულ ქაფიდან წამომდგარი ვეება ხარი დაუდგა თვალწინ. რაული ოთახიდან გავიდა. ცოტა ხნის მერე დაბრუნდა ჩაცმული და დავარცხნილი (ნეტავ რად ისლექს ასე თმას!) მარტამ ზეწარი ლამის ნიკაპთან მიიტანა.

— დაათვალიერე, ხომ? — რაული საწოლთან მივიდა. მარტამ მის გრძელ ფეხებს შეავლო თვალი, მერე ოთხკუთხედი, უხეში ნიკაპისკენ გაექცა მზერა.

— დავათვალიერე.

რაულმა დაუსტვინა.

— მერე?

— რა მერე? რა მესაქმება თქვენს საძაგლობასთან! განა მე ვარ დამნაშავე, ელენა რომ დედაა ჩემი?! განა მე ამოვირჩიე იგი?

რაულმა ნიკაპზე მოკიდა ხელი, თავისკენ მიიზიდა. მარტას კისერი და მთელი სხეული დაეძაბა ტკივილისაგან, მაგრამ ხმა არ გაუღია, გაღიმებაც კი სცადა.

— შენ მე ამომირჩიე მხოლოდ, — უთხრა რაულმა.

მარტა ბალიშზე გადაესვენა. ჟალუზში მზე ჭიატებდა. ქარი ჩამდგარიყო.)

— მერე დედაჩემი წავვადგა თავს.

მანუელი სმენად იყო ქცეული, თვალს არ აშორებდა მარტას ოქროსფრად მბზინავ თმას, ერთმანეთზე უღონოდ ჩაჭიდებულ ხელებს. მანუელი ჯერ კიდევ ბავშვი იყო. მარტას უჭირდა მასთან საუბარი და თითქოს დაგვიანებულ აღსარებას წარმოთქვამსო, სიტყვებს ძლივს უყრიდა თავს. და მაინც დუმილს ლაპარაკი ერჩივნა.

— იქნებ გული გაგიწყალე. თვითონაც ვერ გამიგია, რატომ გიყვები ასე დაწვრილებით ჩემს ამბავს.

ბიჭს უცნაურად უელავდა თვალები ბრინჯაოსფერ სახეზე. რაღაც ახალი და ნაღვლიანი იბადებოდა მის არსებაში.

— ილაპარაკე, ყველაფერი მიამბე.

(დღე მესამე. დილით მარტამ რომ გამოიღვიძა, გუნებაში გადაითვალა და, დღეს მესამე დღეაო, გაიფიქრა. თუმცა სამივე დღე მისთვის ერთი გრძელი და უსასრულო დღე იყო. არც ერთს არ გაუყვია ცხვირი გარეთ. ბუტერბროდებს მიირთმევდნენ, ღვინოს სვამდნენ და ცარიელ ბოთლებს სეკრეტერის ქვეშ უყრიდნენ თავს. ოთახში სულის შემხუთველი ჰაერი ტრიალებდა, იატაკზე ქაღალდები იყო მიმოფანტული, ავეჯზე სქელი მტვერი იდო. ლოგინი ერთხელაც არ დაულაგებიათ. პატარა მაგიდაზე ჭუჭყიანი ფინჯნები დაეხვავებინათ. შემოდგომის აბეზარი ბუზები საშაქრეზე დაცოცავდნენ. მარტამ რაულის ხალათი მოისხა და ფეხშიშველმა გაიარა გაქუცულ ხალიჩაზე. დამტვრეული ქალუზიდან ამყრალებული თევზის სუნი მოძვრებოდა ოთახში. გარეთ ვიღაც ქალი ბასკურად გაჰყვიროდა რაღაცას. მარტამ სეკრეტერის თავზე დაკიდულ გრავიურას შეხედა. მოსწონდა ეს სურათი: ქალი და კაცი საქანელაზე ისხდნენ. იქვე, მოშორებით ორი ჩასუქებული და ვარდისფერლოყება გოგონა ერთმანეთს რაღაცას ეჩურჩულებოდა. სურათს ქვემოთ მშვენიერი დახრილი ასოებით იყო გამოყვანილი: „სიყვარული საქანელაზე“. მარტამ თითი გადაუსვა ჩარჩოს. „სიყვარული საქანელაზე“. დედამისი და ის მილანელი კაციც ალბათ ასეთები იყვნენ. ღმერთო, რა სულელურ, უმაქნისსა და უვარგის საგნებს დაატარებს დედამიწა თავის ბებერ სტომაქში! მთელი ეს სამი დღე რაული ერთხელაც არ მისულა ტელეფონთან და არც არავინ შემოუშვია ოთახში.

— მიყვარხარ, — მრავალგზის უმეორებდა მარტას. — შენ გარდა არავინ მინდა ამქვეყნად. სინდისს გეფიცები, ძალიან მიყვარხარ.

— იცოდე, ცუდად წაგივა საქმე, — ეშმაკურად იღიმებოდა მარტა.

— შენ მაგაზე ნუ ღელავ, — ხარხარებდა რაული.

რაულს ლამაზი ხელები ჰქონდა. მარტას, მგონი, ყველაზე მეტად ამ ხელების მიკარება უყვარდა. სამაგიეროდ ჭამის დროს მუდამ თვალს არიდებდა: კაციჭამიასავით უზარმაზარ ეშვებს აელვებდა რაული.

— ჭამის დროს ძაღლს გავხარ.

— ეგრეც არის, ძაღლი ვარ.

მესამე დღე იყო. მარტას დილიდანვე უსიამოვნო წინათგრძნობა დაეუფლა, მაგრამ რაულს ვერ გაუმხილა. თავქვეშ ხელებამოწყობილი რაული პირაღმა გაშხლართულიყო საწოლში და ჭერს მიშტერებოდა. პირში სიგარა გაეჩარა, კვამლს ნესტოებიდან უშვებდა.

— ქალივით გიყვარს აბრეშუმი, — მარტამ ხალათს გადაუსვა ხელი.

— ქალიშვილივით, — სიტყვა შეუსწორა რაულმა.

უცებ კარი შეირყა. გასაღებზე დაკიდული ნომერი (23! „ზანგების სახლში“-ის მაგიდაც ოცდამესამე ნომერი იყო) აქანავდა რაულის სამაჯურზე დაკიდულ ბალთასავით. ვიღაცა განწირულად ეჯაჯგურებოდა კარს — ერთი, ორი, სამი. „ეს სამიანი კუდში დამდევს“, — მარტამ უკან გადადგა ნაბიჯი, მაგიდას დაეჯახა. ფინჯნები აწკრიალდნენ, ყავამიმხმარი კოვზი იატაკზე დავარდა. რაულს სიგარიანი ხელი ჰაერში გაუშეშდა.

— აბა, სწრაფად, აბაზანაში დაიმალე! — მისი ხმა დამფრთხალი ხვლიკივით გასხლტა ხალიჩაზე.

— არსადაც არ დავიმალები! — უპასუხა მარტამ.

კარს ყბა მოექცა, რაული აუჩქარებლად ადგა, კართან მივიდა და გამო-

ალო. ქერი არავის დამხობია თავზე, სიჩუმე ჩამოვარდა, კართან ფერგამკრთალი, სახედანაოჭებული მოჩვენება მიყრდნობოდა კედელს. „თმის ძირები შესაღები აქვს, — გაიფიქრა მარტამ, როცა დედა მისკენ წამოვიდა ნელი ნაბიჯით. — რა სასაცილოა, გეგონება, სხვისი თმა ადევს თავზე. ამას რომ ახლა თმა მოაგლიჯო, წარბები და წამწამებიც მიაყოლო, ტანთ გააძრო და გააშიშვლო, იმ საცოდავ თოჯინას დაემსგავსება, ბავშვობაში რომ მიყიდეს.— ჯერ ხელი მოვაგლიჯე თოჯინას, მერე ფეხი, ნასაუზმევს კი სულ მოვუღე ბოლო. დანით გამოვფატრე მუცელი, სადაც პატარა საგანი აღმოვაჩინე — ხელს რომ დააჭერდი, დაიკნავლებდა: „დე-და“.)

## IX

— არ გაგიკვირდეს, დედაჩემი მორწმუნე ქალი იყო. ერთ წირვას არ გააცდენდა. მე ხომ შეკითხვებით სულს ამომხდიდა ხოლმე: „მართალი მითხარი, იყავი წირვაზე? იყავი, იყავი?“. ერთი-ორჯერ ისიც მირჩია, აღსარებაზე იარე, გამოცდილი მაქვს, ტვირთს შეგიმსუბუქებს, განიწმინდებიო. მის ოთახში ხავერდის ვარდებით მორთული მადონას პატარა ქანდაკება იდგა. მადონას წინ ოქროს შანდლებში სანთლები ენთო. პატარაობისას დედა მაიძულებდა ძილის წინ ლოცვა მეთქვა. პირველ ზიარებას ხომ ნუღარ იკითხავ! ნამდვილი დღესასწაული გვქონდა. ნამცხვრებით მუცელგაბერილს მთელი ღამე მაღებინებდა.

(— რაც შენ ჩაიდინე, ყველა ცოდვაზე მძიმეა და საშინელი, — უთხრა ელენამ შვილს. — ვერც ერთი სულიერი მამა, ვერავითარი ლოცვა ვერ გაგწმენდს, უბედური და გზადაკარგული ქალი ხარ შენ.

ხმა საძაგელი მოსასმენი ჰქონდა; თითქოს რეზინის სათამაშოს აჭყვიტინებსო ბავშვი. სულით ხორცამდე შეურაცხყოფილი ელენა ყავის ფინჯნებით დახვავებულ მაგიდასთან იდგა და დანაოჭებულ ლოყებზე ღვარად სდიოდა ცრემლი. უფრო საზიზღარი არაფერი უნახავს მარტას.

— იკმარე რაც შესცოდე, — უთხრა დედამ. — თუმცა რას ვამბობ, ხორცშესხმული ცოდვა ხარ უკვე. მე რას მიყურებ, ყველაფერი მეპატიება, მე და რაულმა გავლიეთ ჩვენი წუთისოფელი... — გამხმარ მკერდზე დაკიდული ოქროს ჯვარი აჩვენა მარტას. — ამან ადამიანების ცოდვა-ბრალი იცოდა. შენ კი დაივიწყე, მხოლოდ სხვათა შებრალებას რომ ძალუძს საკუთარი თავის გადარჩენა.

მარტას მოთმინების ძაფი გაუწყდა:

— ძალიანაც მინდა გაგიგო, მაგრამ შენ თავად თუ შეგბრალებია ვინმე საკუთარი თავის გარდა? ჰოდა, ახლა გეყოფა, მორჩი ლაპარაკს!

ელენა თავის ოქროსფერსა და ნაწვიმარი ყურძნის მარცვლებივით დანამულ თვალებს არ აშორებდა შვილს. ამ თვალებში უცებ იმდენა ტკივილი ჩადგა, რომ მარტამ აღარ იცოდა, რა ექნა.

— შენ ჩემზე უარესი ხარ, — თქვა ბოლოს ელენამ.

აქამდე ჩუმად მდგარმა რაულმა ნაბიჯი გადადგა მისკენ:

— ელენა, საყვარელო, ძვირფასო...)

— ერთ დღეს კი ჯეზასთან გავიქეცი.

მანუელი დაიხარა, მარტას უმწეო, გამხდარ ხელს დასწვდა და ფიქრებში წასულს დიდხანს ეჭირა:

— იცი, ჯეზას ჰქონდა რაღაც ისეთი... ძაფივით... და ეს ძაფი საკუთარი თავისკენვე გვეწეოდა ყველას...

— მეც ბევრჯერ მიფიქრია ამაზე, — თქვა მარტამ, — ოღონდ ვერ გამომეთქვა.

მარტას ხმაში ცელქი სიხარულის ზანზალაკი აუწკრიალდა. (ჯეზაზე ლაპარაკისას თითქოს ღვიძებდა, სქელ ბურუსს აღწევდა თავს.) ჯეზა მანუელისთვისაც შუქურა იყო, სიცოცხლის მიზანი იყო. (იალქნიანი პატარა ნავივით ბრმად მივიწევ მისკენ აღმუვლებულ ზღვაში, რომელიც ტალღას ტალღაზე მახლის და დაღუპვას მიქადის.)

— მე ვგრძნობ, ჯეზას თავის ნებაზე მივყავართ წინ, — თქვა მანუელმა, — არ ვიცი, როგორ ახერხებს ამას, მაგრამ ასე კია და...

მარტა ლამპას მიუახლოვდა, ხელი მოუჩრდილა. პაწია ხელს ალისფერი დაედო და გამჭვირვალე გახდა. ამ ბნელში ეს ხელი იყო ერთადერთი ცოცხალი და ნათელი საგანი.

— შენ რიღასთვის დაუახლოვდი ჯეზას? — გაიღიმა მარტამ. — შენი პირველი წერილი რომ მივიღე, გეფიცები, ძლივს გაგიხსენე.

— პატარა ბიჭი ვიყავი, ჯეზა რომ გავიცანი. მეც არ მახსოვდი კარგად, მხოლოდ თვალები მახსოვდა შენი.

(ჯეზას სიკვდილმა დაგვაკავშირა მე და შენ. სიკვდილსაც ძალუძს თურმე სიცოცხლესავით უცილობელი გახდეს ადამიანისთვის.)

— მერე რაღად მიხვედი ჯეზასთან? — ჰკითხა მარტამ.

— მარინემ მიამბო მარსელას ძმებზე... ჯეზას დაპატიმრებაც მარინემ მამცნო. მინდოდა გამეხარებინე, ჯეზას წერილები ხომ შენამდე ვერ აღწევდა, შენსასაც ვერ იღებდა ის.

— არა, მანუელ, მერე რატომღა მიაკითხე-მეთქი იმათ? შენთვის ხომ შეიცვალა ცხოვრებაში რაღაც, შენ ხომ ის ბიჭი აღარ იყავი, მე რომ გავიცანი.

— სხვანაირად არ შემეძლო.

მანუელს ნაღველი გაერია ხმაში, იატაკს ჩასჩერებოდა, თავის აწევას ვერ ბედავდა. მარტას გული მოუკვდა, თმაზე ხელი გადაუსვა.

— ყველაფერი დამენგრა, ნამსხვრევებად იქცა. მინდოდა პატიოსანი, კეთილი კაცი ვყოფილიყავი. რა იმედის კოშკებს არ ვაგებდი, მაგრამ უცბად დამენგრა. მაინც არ მოვეშვები, გავიტან ჩემსას. თუმცა უნდა გამოგიტყდე, მეშინია, ასე მგონია, უფსკრულის პირას ვდგავარ და სადაცაა, ვიღაც ხელს მკრავს, რომ შიგ გადავიჩეხო.

— მეც მეშინია, — ჩაიჩურჩულა მარტამ. (ჯეზა რომ პირველად ვნახე, ჩემთვის, გზაარეული გოგოსათვის ყველაფერმა სახე იცვალა. აქამდე წუთისოფელი მხოლოდ ამაოებით, სისაძაგლით, პატივმოყვარეობითა და ნაღველით აღსავსე მესახებოდა, სიცოცხლე მიყვარდა და არ კი ვიცოდი მისი ფასი. ჯეზამ სიცოცხლე დამანახა, აზრი და არსი მასწავლა მისი. მასთან შეხვედრამდე მეგონა, ვცხოვრობდი, მასთან შეხვედრამდე მე მხოლოდ ნაკვალევი ვიყავი ქვიშაზე, შორეული ნაბიჯების გამოძახილი ვიყავი სიჩუმეში.) ჯეზა არსებობდა, თავისთავადი იყო, ცდილობდა ძირისძირობამდე აეხსნა ჩვენთვის ყოველივე. მართალი იყო მაშინ თუ მტყუანი, ამას ჩემთვის მნიშვნელობა არა აქვს.

მანუელი დუმდა. იცოდა, ვერ გაიზიარებდა ქალიშვილის წილხვედრს. არც ბავშვობა, არც მოგონებები არ ჰქონდათ საერთო. (სიბნელეში ობობას ქსელივით ირთვება რაღაც, რათა ერთმანეთს დაგვაკავშიროს. რატომ? ჯერ ვერ გამირკვევია.)

— მეც ხომ მაშინ იქ ვიყავი, იმ მიყრუებულ სახლში, სადაც იკრიბე-

ტოდნენ ჯოზე, სიმეონი და საკარიასი. ახლა კი... მარინემ არაფერი მითხრა, ეშინია, ყველას ეშინია, მარტა. (შიში გამღილ ზღვაში მიტოვებულ კუნძულს ჰგავს. შიში მიყრუებული ქუჩები, ქარისაგან ახვეტილი მტვერი და ქვიშაა. შიში ნავსადგურია, წყნარ ამინდში, საღამოს ცის ქვეშ გაწოლილი ჩამწვანებული ზღვაა და ჩუმი ტლაშუნი ტალღებისა. შიში მახეა, მორევია, მეთევზეთა ნავებს რომ ნთქავს. მეშინია. ყველას ეშინია, ჯორდის, მარინეს, ჯოზესაც და მარტასაც. შიშს ვერსად გაექცევა კაცი.)

ეროვნული ბიბლიოთეკა

— არა! — ყრუდ აღმოხდა მანუელს.

მარტამ შეშინებულმა შეხედა ვაჟს.

— როგორმე თავი უნდა დავაღწიოთ აქაურობას, — თქვა მანუელმა. — ასე ცხოვრება აღარ შემიძლია, ვერ გავუძლებ.

მარტამ თავი დაუქნია, გაგონებით არ გაუგონია მანუელის სიტყვები (მანუელი თვალად მიხვდა, ქალი არ უსმენდა), მაგრამ ხელი მაინც გაუწოდა. მანუელმა შეამჩნია, ჩვეულებრივი, უცოდველი თვალები ჰქონდა მარტას.

(განა მაშინ არ მეშინოდა, ტყეში რომ გავიქეცი, ჯოზე ტარონჯის საფლავთან? მაშინაც მეშინოდა, როცა თავის გამართლებას ვცდილობდი, შიშმა მომადრეკინა ქედი დედისა და ძმის წინაშე. რატომ? იმიტომ რომ იმათ შიოდათ. ვიმხდალე ამ სახლის წინაშეც, რომელიც ნებით თუ უნებლიეთ მაინც მიყვარს. მეშინოდა დაჭრილი ჩიტივით მოფართხალე ჩემი ბავშვობისაც და ვცდილობდი გავქცეოდი ჯორჯე დე სონ მაჟორს. აი, რატომ მივაშურე ჯეზას.)

## ნაწილი მესამე

## ბურუსი

### კაცი, რომელსაც ჯეზას ეძახდნენ

ომი ის იყო მთავრდებოდა, სანაპიროს პატრული ძველებურად აღარ ფხიზლობდა. ნავსადგური და მისი ხმაური სქელ ბურუსში ჩაძირულიყო. შობის დღესასწაულმა რა ხანია ჩაიარა, მაგრამ ბავშვები კვლავ დარბოდნენ ეზო-ეზო სიმღერითა და ჟივილ-ხივილით და სიჩუმეს აფრთხობდნენ.

1939 წლის 12 იანვარს საღამოს ექვსის ნახევარზე უკვე ბნელოდა. ჯეზას ცოლი და ერთი ყმაწვილი ძრავიანი ნავით გავიდნენ კუნძულიდან. ბურუსი შეთქმულივით მისდევდა კვალში ორივეს. განთიადისას ქალ-ვაჟმა შორიდანვე ჰკიდა თვალი ქარაფის ჩამუქებულ კონტურებს. კასტელდეფელსთან ნავი პატრულმა შეაჩერა და სამღვაო კომენდატურისკენ აქნევინეს პირი. ნახევარ საათში გამოცხადდნენ სამხედრო დაზვერვის წარმომადგენლები. ჯეზას ცოლმა თავისი ვინაობა თქვა, თან დასძინა, აქაური პარტიული კომიტეტის წევრთან ესტებან ლოპესთან მაქვს საქმეო, ქაღალდებიც უჩვენა და ისინიც გაუშვეს.

## I

— მე ნუ გამრევთ ამ საქმეში, — თქვა მარინემ. — თავი დამანებეთ.

მანუელი მოაჯირს მიუახლოვდა. ძაღლივით მისდია უკან სანამომაც.

— ნავი აგერ იქ არის, ქვემოთ. ბოლო დროს ამ ნავით დაცურავდა. მართალია, ყველას ჩხრეკდნენ, ზღვაში უნებართვოდ არავის შეეძლო გასვლა, მაგრამ, ხომ იცი, იმას ყველა მოკრძალებით ეპყრობოდა...

სანამომ ჯიბიდან რაღაც ამოიღო და ყურთან მიიტანა. მანუელმა მაშინვე იცნო ჯორჯე დე სონ მაყორის საათი. სანამოს პალტოც თავისი ბატონისა ეცვა — გაცვეთილი, ხავერდის საყელოიანი. ვინ იცის, რამდენი ხანია ოცნებობდა მოხუცი ამ პალტოზე! კოჭებამდე დასთრევდა, ფეხებში ებლანდებოდა, მაგრამ მაინც არ იშორებდა, — ფრთხილად და სიყვარულით იბერტყავდა ქალთას.

— მანუელიტო, გახსოვს ზღვაში რომ გავდიოდით მასთან ერთად?.. ბერძნებისა და ფინიკიელების ზღვაში...

(გმირებისა და ვაჭრების ზღვაში სიკვდილისკენ მიისწრაფის ალისფერ შუქში გახვეული იალქანი. ჯორჯე დე სონ მაყორის ცისფრად მომინანქრებული ოქროს საათი მიერეკება მათ. ძველი საათი მოიშალა, უკან რჩება, სანამო ზედ ყურთან დაიქნევს ოქროს ნივთს, თითქოს სურს დაკარგული დროის ხმაზე გამოაფხიზლოსო ზარმაცი ნადირი. სანამო და მარინე შიშს შეუპყრია — აბა, ვისა სურს ძალით მიერეკებოდნენ საითმე — მაგრამ ოქროს საათი თავისას არ იშლის, უხმოდ ყვირის, სანამოც დაიქნევს და იმედი ჩაესახება, ეგებ არც ისე ადრე მოვკვდეთ.)

— ნავს არ ნახავ? — სანამოს ტუჩები უთრთოდა.

მანუელმა არ უპასუხა.

— საფრთხობელას ჰგავხარ! — თქვა მარინემ. — თუ გინდა, ამ სახლში შედგა ფეხი, გაიხადე ეგ ფართხუნა პალტო! უსინდისო ხარ! — სანამოს ხელში ჩააშტერდა. იმანაც სასწრაფოდ იკრა ჯიბეში მაცდურად მბზინავი ოქროს საათი.

— განა არ ვიცი, მუდამ გშურდა ჩემი, — უთხრა სანამომ მარინეს. — აი, ეს ანგელოზი, ჭეშმარიტად ციური ანგელოზი რომ არა, მაგ შენს სახლში ფეხსაც არ შემოვდგამდი.

— თავი დამანებეთ, მე არაფერი ვიცი, — მარინემ მოსულებს ზურგი შეაქცია და ზღურბლს გადააბიჯა.

— წავიდეთ.

ტერასის მარჯვნივ კიბე მიემართებოდა ნავსადგომისკენ. სანამო წინ მიდიოდა, დაკოჟრილი, ღონიერი ხელით მოაჯირს ეჭიდებოდა, ფრთხილობდა, არ გადავვარდეო.

„ანტინეა“ აქაურთა ძრავიანი ნავებისაგან არაფრით გამოირჩეოდა. ტერასის ქვეშ მოფარებულ წყლიდან შეკავებული ყვირილივით ისმოდა დაგუდული გამოძახილი. მანუელმა ყური მიუგდო, როგორ ეხეთქებოდნენ ტალღები ვარდისფერ მარმარილოს მოაჯირს. მერე „ანტინეასაც“ მოჰკრა თვალი. პალოზე მიბმული ნავი რომელიღაც ცხოველს ჰგავდა.

— მანუელ, რამდენი წლის ხარ?

მანუელი წამით ჩაფიქრდა.

— მალე ცხრამეტის გავხდები.

— ბავშვი ყოფილხარ (შენ უნდა გეთქვა: „ცხრამეტისა არასოდეს გავხდები“). — მარტას ჩურჩული მანუელს არ გაუგონია.

ქარი ამოვარდა, ბურუსი გაფანტა.

— ბედი რომ გვქონოდა, — ამოიოხრა მანუელმა. — ქარი არ ამოვარდებოდა. („ბედი რომ გვწყალობდეს, სიკვდილს მერეც მოვასწრებთ“.)

ქალ-ვაჟს შორის სინდისის ქენჯნა და ნაღველი ჩიდგა.

— ჩემი გულისათვის შენ არა დაგიშავდეს რა, მანუელ. დამტოვე, ნუ წამოხვალ, ისედაც ბევრი სიკეთე გვიყავი მეც და ჯეზასაც.

მანუელს თითქოს არც გაეგონოს ეს სიტყვები, მშვიდად თქვა:

— პატრული არსად ჩანს. (მარინემ დაგვარიგა: „მართალია ომი სადაცაა დამთავრდება, მაგრამ თქვენ მაინც ფრთხილად იყავით. ექვსის ნახევარზე ან ექვსზე დაადექით გზას. მე კი თავი დამანებეთ. თქვენს საქმეში ნუ გამრევთ, არაფერი ვიცი".)

მარტასა და მანუელს შორის სიტყვა ჩამდგარიყო, რისი წარმოთქმაც არც ერთს არ სურდა. ბნელი, უთქმელი სიტყვა ჰაერში ფარფატებდა. (თქვენც შეასრულოთ მოვალეობა, იქნებ ფრთა შეესხას ნატვრას და იმედს.)

— მარინემ გვითხრა: „გზა მშვიდობისა, კეთილად გევლოთ".

(ადამიანებისაგან განსხვავებით ნადირი ტყუილუბრალოდ ფეხსაც არ გაანძრევს. ჩვენ ორნი კი მხოლოდ იმას გავაკეთებთ, რისი გაკეთებისთვისაც ძალა გვეყოფა. გმირები არ ვართ, გვინდა უბრალოდ მივხვდეთ რაღაცას — იქნებ ნამდვილს ან არცა ნამდვილს — და მოვკვდეთ.)

— ძრავა კარგად მუშაობს.

უცებ სანამო შეამჩნიეს — ის კარგა ხანია აქ იდგა, მაგრამ ქალ-ვაჟი ვერ ხედავდა მოხუცს და არც მისი ლაპარაკი ესმოდათ. სანამოს ხმა ჩახრინწოდა:

— საუკეთესო ძრავაა! ბატონთან ერთად ხშირად გავდიოდით ზღვაში ძველი დროის გასახსენებლად.

მარტა შეკრთა. (ძველის გასახსენებლად. ასე ცხოვრობენ ბერიკაცები. მეც ასე ვცხოვრობ. მეც მინდა გადავხედო და მოვიგონო ჩემი ცხოვრების დასასრული, ჩემი სიკვდილი. ჯეზა, ჯეზა, ეს რა გაგიკეთე! რა საოცარია, რამდენს ვლაპარაკობთ შენზე. რამდენს ველაპარაკებით შენ, თავად კი ხმას არ გაღებინებთ, დუმხარ. სიცოცხლეც და სიკვდილიც შენი უფრო მრავლისმთქმელია, ვიდრე ყველა სიტყვა ერთად. ახლა ასე მგონია, ჯეზა არც არსებობდა, ჩვენ მოვიგონეთ, ჩვენ შევქმენით — ჯოზე ტარონემა, მანუელმა, მე და თვითონ რაულმაც კი... პო, გამოვიგონეთ. ვერავინ გაიგებს, ვინ იყო, რაზე ფიქრობდა, რას ებრძოდა, რა ედო გულში. მე ვიცი, რას აკეთებდა იგი, მაგრამ რას გრძნობდა, რისი ფიქრი და შიში აწვალებდა, ვერ ვიგებ და ვერც ვერასოდეს გავიგებ. ეს ყველაფერი მისი საკუთრებაა და მასთან დარჩა კიდეც სიკვდილისას.) მარტას შესცივდა, ქაქეტში გაეხვია. ბურუსი იფანტებოდა. მიწაზე სარკის ნატეხებივით აქა-იქ კრთოდნენ პატარ-პატარა გუბეები. მარტა სანამოს მიუბრუნდა:

— ერთი რაღაც უნდა გთხოვო.

— თქვი, — სანამო თვალამღვრეული შეაცქეროდა ქალს (მარინე თავისი ოცნებებისა და გრძნობების ერთგული კაცია, ეს კი, პირიქით, თითქოს იმიტომ გაჩნდა ამქვეყნად, რომ არამცთუ სხვას, საკუთარ თავსაც კი უღალატოს. ბნელი კაცია სანამო, გულჩახვეული...)

— იქნებ როგორმე ნახო ჩემი შვილი. მარსელას უთხარი, მაპატიოს...

— შვილიცა გყავს, მტრედო? — ჩაიბუზღუნა სანამომ. — არ ვიცოდი, ვერც ვიფიქრებდი...

— მთებშია სიმეონის დასთან, ხომ იცნობ, ალბათ იცნობ.

— მე აქაური არ ვარ, ჩემო კრავო. არავისაც არ ვიცნობ. აქაური არ ვარ-მეთქი.

მანუელმა მხარზე ხელი დაადო მარტას.

— წავიდეთ. (პირბასრმა დანამ მყისვე გადაჭრა ყველა ის ქსელი და ძაფი, რაც მიწაზე ვემაგრებოდა იმ ნავივით, ნაპირს რომ ვერ შორდება ვერაფრით.)

მარტა ფარ-ხმალს არ ყრიდა:

— მაშ, ვერავის დავავალებ ამ საქმეს?

— რა თქმა უნდა, ვერავის, — უთხრა სანამომ. — ახლა კი დაელიოთ, გზა დაგილოცოთ.

მანუელმა თვალით ანიშნა, დავლიოთო. (თითქოს ვიღაცას ეთქვას: „ბოლო წუთში მოიგონებთ ამ წვიმის წვეთებს, ჩამუქებულ ვარდებს". ყოველივე იფარება მტვერით. ყველაფერი სიცრუე იყო).

— დავლიოთ, სანამო. შენი სადღეგრძელო იყოს. დიდხანს იცოცხლე.

მოხუცი აქოთქოთდა, ფეხის წვერებზე შეხტა, ჩაზანგული, დაჭმუჭნილი თითის ქნევას მოჰყვა:

— დიახაც ვიცოცხლებ, დიდხანს ვიცოცხლებ, ძალიანაც დიდხანს ვიცოცხლებ, რათა წყევლა და კრულვა არ მოგაკლო შენ, მკუათხელსა და უღირს შვილს. — სანამოატირდა. ქვიშის წვიმასავით უაზრო და უადგილო იყო ახლა მისი ტირილი. მანუელმა თავზე ხელი დაადო:

— მჯერა, მჯერა, დამშვიდდი, — ცოტას გაწყდა, მოხუცს პატარა ბავშვივით არ მოსწმინდა ცრემლი და ცხვირი. სანამომ ხელისგული ჩამოისვა ისედაც სწრაფად შემშრალ ლოყაზე.

— ჰო, მანუელიტო, გულღრძო შვილი გამოდექი. დიდხანს უნდა ვიცოცხლო, რათა შენზე სიმღერა შევთხზა და მერე მთელ ქვეყანას მოვდო: ყური მიგდეთ, ხალხნო, რა გიამბოთ, ერთმა ღარიბმა ჭაბუკმა თითონ დაიღუპა თავი. ჰო, რა გაუკვირდებათ?! მუდამ ასეთი იყავი შენ. რამდენჯერ გამიცლია ბუნებაში, ნამდვილი ქრისტე-მეთქი. განა ტყუილად ხარ მწითური? — სანამომ თავზე გადაუსვა ხელი მანუელს. — ალისფერი კულულები გაქვს. ცეცხლსა ჰგავხარ, მთელ ტყეს გადაწვავ.

— გეყოფა, — უთხრა მანუელმა. — წიგნებმა გადაგრიეს შენ.

— მამაშენმა მომიწამლა სიცოცხლე. ოცდაშვიდი წლისას მასწავლა წერა-კითხვა, ჩემდა საუბედუროდ. ღმერთო, რა დამწვარი ბედისა ვარ, ეშმაკმა წაიღოს ჩემი თავი და ტანი!

(მოხუცი ისე დიდხანს იცოცხლებს, რომ სატანჯველად გადაექცევა წუთისოფელი. სიკვდილს ბევრჯერ ინატრებს, მაგრამ ამაოდ. ამ საქმეში ჩვენ უფრო მოგვცემართ ხელი ღმერთმა.)

ბურუსი გაიფანტა. სიცივემ იძალა.

II

კაბინეტი ვიღაცას მიელაგებინა: შუშის თაღოვანი, პაწია იალქნიანი, უნიკალური და ბრძნული ხომალდები გადაესუფთავებინა.

— ტომარა მომეცი, სანამო, — უთხრა მანუელმა.

— აი, კომპასი, ბინოკლი, რუკები, — ლოცვასავით წარმოთქვამდა სანამო და თითოეულ ნივთს სათუთად ალაგებდა სონ მაჟორის მაგიდაზე. ეს მაგიდა თავად სანამომ — ერთგულმა მსახურმა ჩაკეტა. მერე საგულდაგულოდ გააპრიალა. მაგიდას სკის სუნი ასდიოდა.

— სანამო... მკვდარი აქ ნახე?

— აბა, სხვაგან სად ვნახავდი.

— მიამბე, სანამო, მაშინვე მიხვდი, რომ მკვდარი იყო?

— არა, მაშინვე არა. სამზარეულოში შემწვარი ბატკნის ხორცს ვუზავებდი პიტნით. ძალიან უყვარდა... ჰოდა, ვიფიქრე, ახლა წავალ და მოვახსენებ, ხორცი მზად არის-თქო. წავედი, დავაკაკუნე ერთხელ, ორჯერ, პასუხი არ გამ-

ცა. წინათაც ილოდა ასე, ხმას არ ამოიღებდა, მაგრამ მაშინვე ვხვდებოდი, ჩემს ბატონს მარტო ყოფნა სურს-მეთქი და გავეცლებოდი ხოლმე იქაურობას. ახლაც ასე მოვიქეცი, სამზარეულოში დავბრუნდი, ცოტა მივდექ-მოვდექი, ხომ იცი, წესრიგი მიყვარს, თანაც ეს სახლი ჩემი სალოცავი იყო. საათმა დარეკა, რატომღაც გული გადამიქანდა, თითქოს ზარს ჩამოჰკრესო. გინდა დამიჯერე, გინდა არა, მაშინვე გავიფიქრე: „სანამო, მან მიგატოვა!“

— ვინ მან, უფალმა თუ უფალმა ბატონმა?

— ოჰ, მანუელიტო, რადა ხარ ასეთი გულღრძო? რამ შეგცვალა ასე? რა კარგი ბიჭი იყავი, როგორ მიყვარდი... იმასაც ძალიან უყვარდი. მახსოვს, მეუბნებოდა, ჩემისთანა ყვავს ასეთი მტრედივით ბიჭი როგორ გაუჩნდაო.

— გაჩუმდი, სანამო, შენსავით ლამაზი ლაპარაკი არ ეხერხებოდა იმას. კაცი ვერ გაიგებს, როდის ამბობ მართალს.

— ჰო, კარგი, ნუ ჯავრობ. ყური დამიგდე: შევედი, ვხედავ მაგიდაზე დამხობილა, თითქოს სძინავსო. მხარზე ოდნავ შევახე ხელი და მაშინვე ტომარასავით გადავარდა მარჯვნივ... გულმა უმტყუნა საბრალოს. გული მანქანასავით არის, შვილო, ცვდება, სულ უბრალო რამეც კი გულთან მიგაქვს და ნელ-ნელა, დღითი-დღეობით ვკვდებით. სინდისს ვფიცავ, ძალიან ვტიროდი. მისი საყვარელი წითელი ვარდებით მოვრთე იქაურობა, თავად მიცვალებულსაც გულზე დავაყარე, აი, ჩემი უკანასკნელი სამსახური-მეთქი; ვაი, რომ ჩემს გიტარასაც ველარასოდეს მოისმენ-მეთქი. სიმართლეს სად გაექცევი, მანუელიტო, ველარასოდეს მოისმენს. შენ, მანუელ, შენ როდის გიმღერო, შვილო? ღმერთო, რას მოვესწარი, მოგონებები ცილისლა გავუზიარო, ნუთუ იმ ბებერ ქორს უნდა მივადგე კარზე ხვაშიადის გასამხელად, ნუთუ ის შემომრჩა მარტო? ეჰ, რაც არის, არის, მარინეს ვუმღერებ თქვენ მაგიერ; ვითომ თქვენ გელაპარაკებოდეთ, მარინეს გავუზიარებ სათქმელს...

სანამოს ძალა წაერთვა, ხელი უღონოდ ჩამოეკიდა, აღარ ხტოდა, აღარც მანუელს ეშველებოდა ტომრის ჩალაგებაში, ხმაც ჩაიკმინდა, თითქოს მიხვდა, აღარავის დასჭირდებოდა მისი სიმღერა და საუბარი (ცხოვრებაც ბათქაშივით სკდება და მიწას ეფინება უმიზნოდ.)

— სიკვდილისა გეშინია, ეშმაკო მოხუცო, — მანუელს ბავშვობის დროინდელი სინაზე მოეძალა.

— დიდხანს ვიცოცხლებ, მანუელ, დიდხანს. დაიხსომე ჩემი სიტყვა, მარინესაც გავისტუმრებ იმ ქვეყანას, — თითებით ჯვარი გამოსახა და აკოცა. თვალებში სხივი გაუკრთა. — მანუელიტო, ჩემო ძვირფასო, ანდერძი დაწერე? მე ხომ არ დაგვიწყებივარ?

12 იანვარს, დილის რვა საათზე გაწვიმდა. სამის ნახევარზე გადაიღო და მზემ მკრთალი ოქროსფერი მოჰფინა მიდამოს. მერე ზღვას ჩამუქებული ხაზი გიდაევლო და ღრუბელმა აღმოსავლეთისაკენ აიღო გეზი. ცა უზარმაზარ გაბერილ იალქანს დაემსგავსა. ქარმა გაისისინა. თოლიები ყვირილით დაეშვნენ ნაპირზე. მარტა კაფეს ტერასაზე იდგა და იქიდან შესცქეროდა, როგორ მიერეკებოდა ქარი ღრუბლებს.

— აჰა, აიღე, — მარინემ რაღაც გაუწოდა, მაგრამ მარტას თვალი იქით გაექცა, სადაც უცნაური თუთიყუში ცეცხლისფერ თვალებს ატრიალებდა მოჩვენებასავით.

მარინეს თმა მთლად გასთეთრებოდა, დაბერებულიყო.

— აჰა, აილე, სხვა არაფერი მაქვს...

მარტამ უსიტყვოდ ჩამოართვა ბოთლი.

— მოდიან, — მარინე მოაჯირთან მივიდა, გადაიხარა. ლილისფერი ბურუსი ქვეყნიერებას სტაცებდა ნათელს. ტერასას სანჩოს ნავი უახლოვდებოდა.

— წავიდეთ, — თქვა მარინემ.

დაახლოებით ექვსის ოხუთმეტი წუთი იყო, ყველანი კიბეს დაუყვნენ პატარა ნავსადგომისაკენ. მანუელმა ნავიდან ტომარა გადმოათრია. სანჩო უხმოდ იდგა. ჯორჯე დე სონ მაყორის პალტო კოჭებამდე დასთრევდა. ნეტარებით უსვამდა ხელს გაქუცულ საყელოს.

მანუელმა „ანტინეა" ახსნა. მარინემ ჭაბუკისკენ გადადგა ნაბიჯი, ხელში ჩაეჭიდა, თავისკენ მოაბრუნა და სასოწარკვეთილი ჩააცქერდა თვალებში. მერე ოდნავ გასაგონად უთხრა:

— ერთხელ, თავად არ ვიცი როგორ მოხდა, იმათთან დავაბეზღე. მაპატიებ?

— აბა, რა არის საპატიებელი, — უპასუხა მანუელმა.

მარინე, ეტყობა, გაბრაზდა:

— სიგიჟეს სჩადი ახლა შენ!

მარტამ მარინეს ხმაში დაფარული, წლებს მიღმა მიკარგული ნაღველი ამოიცნო. (მაშინ ალბათ მარინემ იცოდა, რა სურდა, რისთვის ცხოვრობდა, რისთვის მომკვდარიყო.)

ორივენი გაგიჟდით, — კვლავ თქვა მარინემ.

— თავი დაანებე, — სანჩომ ნაბიჯი გადადგა. — შენა გგონია, დაგიჯერებენ? თავი დაანებე-მეთქი, ისინი სხვა ყალიბისა არიან. იქნებ ბედმა გაუღიმოთ...

ახლა მოხუცები გვერდიგვერდ იდგნენ და მათი სილუეტები შავად მოჩანდა ჩამუქებული ზღვის ფონზე. საღამოვდებოდა. სანჩო თავისი ჩამიჩივით დამჭკნარი ხელით კვლავ ხავერდის საყელოს ელერსებოდა. (სასიკვდილოდ განწირული ობობა სულს დაფავს ეპოტინება სიცოცხლეს, გაცვეთილ ხავერდს. სიცოცხლე კი სიკვდილივით იქნევს კუდს, ფხიკუობს მოხუცის უკბილო ხახაში, მოშინაურებული ეშმაკივით ცხიერ თვალებში.) ხავერდზე მოცაცუნე ხელს, ეტყობა, ღონე გამოეცალა, სანჩო დაბნეული ჩანდა.

მანუელმა მარტას შეხედა. ოქროსფერი დამყოლი თმა ყურებზე გადაეწია ქალს. პატარა ბიჭსა ჰგავდა. (რატომღაც, როგორც ქალისთვის არასოდეს შემიხედავს მისთვის — ლამაზია, მაგრამ სილამაზის გარდა სხვა რაღაცაც აქვს ამოუცნობი.)

მანუელმა მარტას ხელი გაუწოდა და ნავში ჩაჯდომა უშველა. არემარეს ბნელი ეფინებოდა. აქამდე ცოტას მაინც დაინახავდა კაცი რამეს, ახლა კი არაფერი ჩანდა. მარინემ ფარანი მოიტანა, მაგრამ არ აუნთია. ზღვას სქელი ბურუსი გადაემხო. ტალღები ჩუმი შრიალით ეხლებოდნენ „ანტინეას". ვერცხლისფერი ხაზი, სულ ახლახან რომ კრთოდა წმინდა ეკატერინეს ყურეში (სადაც ჯონზე ტარონჯი მოკლეს), ბურუსმა ჩაყლაპა. სანჩომ ტომარა ნავში ჩააგდო და სწრაფად გაეცალა იქაურობას (ასე კეთროვნებს აწვდიან საჭმელს.)

— საგზალი ბლომად მოგიმზადეთ. პიტნითაც შევაზავე. ღმერთი იყოს თქვენი მფარველი, — სანჩოს ხმაში თითქოს ნელი ცეცხლი ენთო, თითქოს სონ მაყორის ბაღში ფიჩხი ტკაცუნობდა და ფოთლები იწვოდნენ. დუმილი ჩა-

მოვარდა. (მარინეს დუმილში ისმოდა შორეული ხმების გუგუნი. ისინი გვკარნახობენ, გვასწავლიან როგორ ვიცოცხლოთ, ვისუნთქოთ, ვიაროთ, როგორ ვზიდოთ ჯვარი საკუთარი მხრებით. მარინეს დუმილი ფერფლია, ქარს რომ მიაქვს დაუნდობლად ქვემოსკენ. უეცრივ მომეჩვენა, მთელი კუნძული მოხუცის ჩრდილსა და დუმილქვეშაა შეფარებული-მეთქი.)

ეროვნული ბიბლიოთეკა

— მარინე! — ხმადაბლა დაუძახა მანუელმა.

მარინეს ხმა არ გაუღია, ბურუსში ჩაიძირა. სამაგიეროდ სანამომ ამოიდგა ენა, ლამის ყვიროდა (სანამო საკუთარ თავს ემშვიდობებოდა, საკუთარ თავს ტიროდა, ცრემლსა და ვარდებს აყრიდა საკუთარ გვამს.)

— მშვიდობით, მანუელ, მშვიდობით, ჩემო სიცოცხლევ. გფარვიდეს ყველა ღმერთი, არსებულიც და არარსებულიც. ხელი მოგემართოს, ჩემო... (მშვიდობით, მეფისწულო. მშვიდობით, შვილო ჩემო!)

მანუელი ვეღარ არჩევდა სანამოს სიტყვებს, მაგრამ გუმანით გრძნობდა, რასაც ეძახდა მოხუცი. სიჩუმემ დაისადგურა. (სამუდამოდ გაქრა ყველაფერი: ბურუსში ჩაყურსული შიშველი ხეები; შორეული გრდემლის მიყუჩებული წკრიალი; ქარისაგან მიმოფანტული დამწვარ სხეულთა ფერფლი. მოისმა ბურუსში ჩანთქმული მარინეს გაშეშებული ჩრდილის მწარე ამოკვნესა. წყნარი რექვიემი ქვეყნიერების იდუმალ ხმასავით დაფოთურობდა აურეულ მწუხრში. გაქრა, აღარ არსებობს არც გუშინ, არც დღეს, არც ზღვა, არც ხმელი, არის მხოლოდ თეთრი, უკიდეგანო ფთოფთო სივრცე, სადაც ერთმანეთში ირევა ძახილი წვიმის მოლოდინში ლოცვად დამდგარი კაცებისა, ძახილი სიყვარულზე მლოცველი ქალებისა, ძახილი ბავშვებისა, რომლებიც უსარგებლო ტვირთს მიათრევენ. სამართლიანობას, სიკეთესა და ბოროტებასაც ზურგი შეუქცევია თავის ერთგულთათვის. ახლა, აქ, სამყაროს ფერი უცვლია და თავისი უზარმაზარი სველი ენით — შიმშილისა და წყურვილის ენით — ლოკავს მიწას.)

„ანტინეა“ მოლოდინად ქცეულიყო. მანუელი დაიხარა. ძრავა მაშინვე ახმაურდა. სანამო შეკრთა, თითქოს რაღაცის თქმა კიდევ სურდაო. ნაბიჯი გადადგა, ხელები აღმართა. ხმა წართმეოდა. მანუელმა სიტყვები ვერ გაარჩია, მიწა ნელ-ნელა მოწყდა ნავს. „ანტინეა“ ისე დაიძრა, მარტასა და მანუელს არც კი უგრძვნიათ. ნავის კვალი სწრაფად ქრებოდა წყალზე. (იმ კაცის ნაკვალევივით, რომელიც აღარ არის, რომელიც, იქნებ, აღარც არის.)

## III

კიბეს მარინე აუყვა პირველი. სანამო უკან მისდევდა. ოთახში შესვლისას მარინემ შუქი აანთო. ბუზებით დახუნძლულ მავთულზე მტვრიანი ნათურა აქანავდა. მოყვითალო შუქზე ათასნაირი ხარახურა გამოჩნდა: „ბულიონის“ თუნუქის ქილები, საპონი, კონსერვები, ზაფრანის, მიხაკ-დარიჩინის კოლოფები და ვინ იცის, კიდევ რა არა. ირგვლივ სანელებლის სუნი იდგა.

— აქა ხარ? — მარინე შემობრუნდა.

— აქა ვარ, — უპასუხა სანამომ.

ცოდა. თაგვები შეშინებული შეცვივდნენ სოროში. რაღაც გაჩხარუნდა.

— რას წამოკარი ფეხი? — ჰკითხა მარინემ.

— არ ვიცი.

— დავლიოთ.

— ყური მიგდე, მარინე, დიდი ხანია მინდა გითხრა... სულ გებუზღუნებოდი, გეჩხუბებოდი, მაგრამ გულში... გამიგე?

— მოკეტე, ჩემთან ასეთები არ გაგივა, არ მიყვარს...

მარინემ თავისი უსიცოცხლო, დიდი, დაბანჯგვლული ხელით შავფუცლიანი ბოთლი მოიძია ბნელში. თაგვებს, ეტყობა, შიშმა გადაუ[illegible] აფათურდნენ ყუთებში. ბურუსი სუნთქვასავით აეკრა მინებს.

— ეს ლიქიორი თუ გახსოვს, — თქვა მარინემ. — ვინახავდი, ვფიქრობდი, მესტუმრება ვინმე, დავლევთ, ძველ დროს გავიხსენებ-მეთქი.

სანამომ სახე ხელებში ჩარგო.

— ნუ ღმუკუნობ. მე ხომ მხედავ, წუწუნი არ მეხერხება. — მარინემ ლურჯ სირჩებში ლიქიორი ჩამოასხა. (უფრო ჩასქელდა სილურჯე!) ბნელი ოთახი სანელებლების, ადამისყამინდელი ნამცხვრების სუნითა და შავად დამტვერილი სიზმრებით სუნთქავდა თითქოს.

— სანამო, სანამო, — წყნარად წამოიწყო მარინემ. — აქამომდე გვძულდა ერთმანეთი, ახლა კი...

— ფუჰ, შხამია! — სანამომ ხელისგული მოისვა პირზე. — მართალი ხარ, გვძულდა, ბებერო, ერთმანეთი. ახლა კი გვინდა ცოტაოდენი მაინც წავგლიჯოთ იმას, რაც გვიყვარდა. როგორა ვთქვი? ცოტაოდენი რამ მაინც-მეთქი, ხომ მართალია? ჰოდა, მოგვიწევს ერთიმეორის სულში მოვაფათუროთ ხელი...

— მორჩი ლაქლაქს. იმასავით კი არ მოგითმენ.

(იმასავით კი არ მოგითმენ.) ეს სიტყვები დაჭრილი ჩიტივით დაენარცხა მათ შორის.

— ტირილიც კი არ გეხერხება შენ. — უთხრა სანამომ. — დამისხი კიდევ. გახსოვს, მე ვტიროდი, შენ კი დამცინოდი. მე გული მედო მკერდში, ბებერო, გესმის გული მედო-მეთქი!

— ოჰ, სანამო, სანამო, — გაეცინა მარინეს. — საოცარია და მიხარია, შენ რომ აქ გხედავ ახლა. ეჰ, დავბერდით, სიკვდილიც მალე მოგვაკითხავს.

— ყეყეჩო, შენ კი მოგაკითხავს მალე. — სანამომ სულმოუთქმელად გადაჰკრა ლიქიორი. — ძმები ტარონჯების ძალაუფლება რომ მქონოდა, — თვალები ლიქიორში ამოვლებულივით უბზინავდა. — მის ცხედარს შუა მოედანზე დავასვენებდი, შავ რაშებზე ამხედრებული წმინდა გიორგის რაინდები ყიჟინით აავსებდნენ იქაურობას... ასეთი დამარხვა ეკადრებოდა მას, თორემ ის რა იყო... ეჰ, მარინე, ცუდი დრო დაგვიდგა, ცუდი...

— სულელი ხარ, — მარინემ კვლავ შეავსო ჭიქები.

— მე ვარ სულელი? მსახური ვარ და მეტი არაფერი.

— მე კი მეზღვაური ვარ. აი, რით განვსხვავდებით მე და შენ ერთმანეთისაგან. თავი არასოდეს დამიმცირებია და არ დავიმცირებ შენსავით.

— მე პოეტიც ვარ, — იხტიბარი არ გაიტეხა სანამომ. — იმას ხშირად უთქვამს ჩემთვის: „მხოლოდ შენ და ქალები დამრჩით პოეტური სულისანი“.

— კარგი ერთი, თუ კაცი ხარ, დიდხანს ილაქლაქებ კიდევ? ვერა ხედავ, ირგვლივ რაები ხდება? ბებერო ყეყეჩო, გული არ გაქვს, ტვინი არ გაქვს თუ რა არის?! — გაბრაზებულმა მარინემ ოთახის კუთხიდან რაღაც გრძელი, მწვანედ მბზინავი ნივთი გამოათრია: — აი, ნახე, რა ვქნა. საკუთარი თვალით ნახე, როგორ დავამსხვრევ იმას, რაც ჯერ კიდევ გვაქვს საერთო მე და შენ. — ორივე ხელი ზეაღმართა: მუშის თალფაქქვეშ „დელფინი“ ბზინავდა.

— ნუ იზამ, მარინე! — სანამომ ვერ მოასწრო შეეჩერებინა აღელვებული მოხუცი. მარინემ ხომალდი იატაკზე დაანარცხა, ფეხით მისრის-მოსრისა. ახრაშუნდნენ, აშარიშურდნენ უწვრილესი ანძები, ქაღალდის იალქნები და ნიჟარები. შემკრთალი სანამო იატაკს ჩააჩერდა, პირის კუთხეები ჩამოეშვა კლოუნივით.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

— რა ჰქენი, მარინე?

— „დელფინი" ხომ იმან დაწვა თავად.

— ამის მეტი არა გვებადა რა.

— ღირსი არ ვიყავით და იმიტომ არ გვაბადია. — ჩარჩები ვართ, სანამო, და ჩარჩებად მოვკვდებით. — მარინე სკამზე ჩამოჯდა. — სანამო, წადი, ღვინო მოიტანე. დავლიოთ, სიგარეტს მოსწევ?

— ჩემი საყვარელი სიგარეტი შენ არ გექნება.

— აღარა მაქვს, სანამო.

თაგვები სანთლებსა და საპონს ახრაშუნებდნენ.

— ზუსტად ასეთი „დელფინი" მაქვს შინ, ეტყობა, ყველაფერს არ უწერია სიკვდილი, — სანამომ სლოკინი ძლივს შეიკავა.

ფანჯრების მიღმა მთვარე ლეჩაქივით ბურუსში მიმალულიყო. ეს ბურუსი ეხვია ახლა გარს „ანტინეასაც". ძრავის გუგუნი ჯერ კიდევ ყურში ედგა ორივე ბერიკაცს.

გვიანი იყო. მარინეს მაგიდაზე ჩაეძინა. მერე სანამოსაც მოსწყდა კისერი და იატაკზე მოადინა ზღართანი. ხავერდის საყელო მკერდზე დაეფინა ჩაძინებულს.

კარგად არც იყო გათენებული, თუთიყუშმა რომ დაიყვირა. მარინე წამოხტა, მიიხედ-მოიხედა. კვლავ ბურუსში ცურავდა ყველაფერი. ნათურა ისევ ენთო მრგვალი, ყვითელი, დამტვერილი თვალივით. სუსტ შუქზე ერთმანეთში არეულიყო ლუდის, სუპების, ყავის, სანელებლების, საპნის, ღვინის, შოკოლადის და ვინ იცის კიდევ რისი ჭრელა-ჭრულა იარლიყები.

— სანამო, — შეაღვიძა მარინემ სტუმარი. — სანამო, გათენებულა უკვე, ადექი და წადი.

წინ მზრუნველი თვალივით კრთოდა ზღვით გადასერილი ცა. უეცრივ ჩაბნელებული სივრცე ფართო ვერცხლისფერმა ზილიკმა გააპო. წყალი გამოცოცხლდა, ადგაფუნდა, თენდებოდა.

ტალღები ყრუდ ეხეთქებოდნენ „ანტინეას", იმსხვრეოდნენ და კვლავ ზღვაში იძირებოდნენ. ნავი აქეთ-იქით ირწეოდა, მერე თითქოს ძილბურანს თავი დააღწიაო, ერთი შეითრთხიალა, გამოცოცხლდა და მოცურავესავით ოდნავ გვერდულად გაქანდა წინ. მარტა ახლაღა მიხვდა, რაც ხდებოდა.

აქამომდე თითქოს კვამლის საფარველი ებურა, სალათას ძილით ეძინა ყოველივეს. ახლა კი უმოწყალოდ მიიწევდნენ ნაპირისაკენ. ბურუსში კლდეთა სილუეტები გამოიკვეთა.

სანაპირო პატრულის ნავი ბურუსს მოარღვევდა „ანტინეასკენ". მოისმა ბრძანება: „სდექ!" გამჭვირვალე ცისფერ ნისლში გახვეული ნაპირი სულ ახლოს იყო. ძახილზე მარტა მიხვდა, რა მღუმარედ განვლო ღამემ. (ერთი სიტყვაც არ გვითქვამს ერთმანეთისთვის.) ორივენი საკუთარ დუმილში ჩაძირულიყვნენ. (იქნებ ეშინოდა კიდეც საბრალო მანუელს!) მარტას ოდნავ ჩასთვლიმა. მანუელს თვალი

არ მოუხუჭავს. მთელი ღამე ერთმანეთის გვერდიგვერდ ისხდნენ, მიიწევდნენ წინ და მგონი, შიშიც ერთნაირად ჩაღგომოდათ გულში. მარტას ვერ გაერკვია, ეშინოდა თუ სიბნელეში ჩანთქმული მოლოდინი უშფოთებდა სულს.

„ანტინეას“ რვა კაცი დაესია. დილის მკრთალ შუქზე პრიალით გაჰქონდა მათ ავტომატებს. მარტამ მაშინვე შეავლო თვალი მოსულთ: სამი კაცი მოხუცი იყო, დანარჩენები პირტიტველა ყმაწვილები, თითქმის ბავშვები (ღმერთო, რა იმბები ტრიალებს ქვეყნად!) მარტას არ შეშინებია.

თანდათან გამოიკვეთა ნავსადგური, გადავიწყებულ მოჩვენებებსავით უცნაური. სასაფლაოს ჰგავდა იქაურობა. ბურუსი და მზის სხივები ხომალდთა ანძებზე ერთმანეთს ეცილებოდნენ ადგილს. ხომალდები მიცვალებულებივით მდუმარენი ჩაყუდებულიყვნენ ჩამუქებულ წყალში.

„ანტინეა“ გაჩხრიკეს. ერთმა პირტიტველა ბიჭმა ტომარას თავი მოხსნა. საგულდაგულოდ ჩაწყობილ საგზალს ხარბი ხელები მოუფათურა, ხორცი მოიგდო, პირში ჩაიტენა. გამგელებული გლეჯდა, ცალ ხელში ავტომატი ჩაებღუჯა, მეორეში — ხორცი. ავტომატები შავად ლაპლაპებდნენ. მოსულები ხარბად ინაწილებდნენ საჭმელს. თვალები და თოფის ლულები ერთნაირად უელავდათ. დილის სუფთა ჰაერზე ტკაცუნი გაჰქონდათ მათ სიტყვებს. მხოლოდ დამწვარ-დახვრეტილი ხომალდები მოწმობდნენ, რა საშინელება ხდებოდა ირგვლივ.

ქალ-ვაჟი ბადრაგით გაუყენეს ნაპირს. ორი ჯარისკაცი „ანტინეაზე“ დარჩა. ნაპირზე ბურუსს ოქროსფერი მტვრის მჭვირვალება დასდებოდა.

— ამაოა ყველაფერი, — წყნარად თქვა მარტამ.

მანუელმა გაუღიმა. ასეთი რამ არასოდეს ენახა, არასოდეს შესწრებია, ვერც განიცდიდა მარტასავით. შავად მოჩანდნენ შენობები. დამწვარი ცისტერნები, სახურავაგლეჯილი ნახევრად დანგრეული საწყობები. თითქმის ყველა სახლის ფასადი ტყვიით დაეცხრილათ.

## IV

მოსახვევში, დაცვარულ ბაღში, დაბალსარკმლიანი პატარა ვარდისფერი სახლი იდგა. ღობე ხავსს დაეფარა. შიშისმომგვრელად გამოკვეთილიყო თითქოს მკვდრეთით აღმდგარი და დაცარიელებული ის პატარა სახლი...

— ეს რა განგიზრახავს, მარტა? ვერა ხედავ, ყველაფერი დამთავრდა. წამოდი ჩვენთან ერთად. მანქანაში ორივეს მოგიძებნით ადგილს. წამოდით. იმედის გადაწურვა ადრეა ჯერ, აქ ყველაფერი დამთავრდა. იქ კი შევძლებთ ბრძოლა განვაგრძოთ.

ესტებან მარტინი ტანდაბალი ჭაღარა კაცი იყო. ცისფერი ქაშანურივით თვალებით გაკვირვებული და თანაგრძნობით შესცქეროდა ქალს.

— იქ არავინ არის? — მარტამ სახლისკენ გაიშვირა ხელი.

— არავინ. სანამ დროა, დამიჯერე. წამოდი. საფრანგეთში გადავდივართ, მანქანებში ორივეს გამოგიძებნით ადგილს, წამოდით.

ესტებან მარტინი ჩქარობდა, მოუთმენლად დაადო ქალს მხარზე ხელი. ბაღში ათასნაირ საბუთებსა და წერილებს წვავდნენ. ცეცხლოვანი წერტილები ნოტიო მიწას ეფინებოდნენ. მარტას უცებ გაუსაძლისად ასტკივდა ყელი, თითქოს შუშის ნამსხვრევებით დაუსერესო.

— მანუელ!

ფიქრებში ჩაძირული მანუელი მის გვერდით იდგა და მდუმარედ ჩასცქეროდა მიწას. ღმერთო, სულ ბავშვია!

— მანუელ, წაყევი ამათ.

მანუელმა არ უპასუხა.

ორივენი სახლში შევიდნენ. ვიღაც ორი კაცი ქაღალდებს უყრიდა თავს. მარტას ფეხებში გაებლანდა მოზრდილი ქაღალდი. დაიხარა და აიღო. მზესა და წვიმას გამოვლილი გამოხუნებული ლოზუნგი — ჯარისკაცის ფიგურა — აცახცახდა მის ხელში. კვამლი და ჭვარტლი მოედო იქაურობას.

— ამ სახლში მე და ჯეზა ვცხოვრობდით, — თქვა მარტამ.

ოცი იანვრის საღამო იდგა, არსაიდან ხმა არ ისმოდა, ნიავიც არ ქროდა. არა ციოდა, მხოლოდ სინესტეს ისრუტავდნენ ნელ-ნელა ოთახის კედლები და ბაღი. ტანგაძარცულ ხეთა ჩრდილები მიწაზე გაწოლილიყვნენ. საღამოს ცა ვერცხლისფრად ბზინავდა ფანჯარაში.

— რად არ წაყევი მათ? — ჰკითხა მარტამ.

მანუელი ზღურბლზე იდგა და მდუმარედ შესცქეროდა ქალს ძალზე მშვიდი და დაწყნარებული. და უცებ მარტას რაღაც გაახსენდა, შორეული და მივიწყებული, თავისეული, მის არსებაში მოგუგუნე დრო-ჟამი, არაფრით რომ არ ჰგავდა ჩვეულებრივ საათზე ჩამორეკილ ცხოვრებას.

(რაულს ეშვებივით კბილები და მსუქანი ტუჩები ჰქონდა. სიცილის დროს თვალები უწვრილდებოდა და მზემოკიდებული სახე ლამაზი და მტაცებლური უხდებოდა.

— აბა, გოგონი, კომედია დამთავრდა. ახლა ხომ წამოხვალ ჩემთან? სიცილით ჰკითხა რაულმა მარტას.

მარტა მთელი დღე-ნახევარი ელოდა რაულს. იმ თირს დღეს, მათი საიდუმლო რომ გამომჟღავნდა, რაული თან წაიყვანა ელენამ. მერე როგორც იქნა დაბრუნდა რაული და აი, ახლა მის წინ დგას მომღიმარი და სახეგაბადრული.

— წამოვალ. ცდა ბედის მონახევრეა.

რაულმა კისერზე მოხვია ხელი.

— ის როგორ არის, მოკვდა? — ჰკითხა მარტამ.

რაულმა უფრო მაგრად შემოაჭდო ხელი კისერზე.

— აფერუმ შენს შვილობას, სინდისის ნატამალიც არ გაწუხებს. წავიდეთ აქედან, სული მეხუთება. ბარსელონაში ბევრი მეგობარი მყავს. ყველაფერს მოევლება.

— მჯერა.

სინამდვილეში არა სჯეროდა მარტას, არც ეჭვი უღრღნიდა გულს. მისთვის სულ ერთი იყო ყველაფერი. აქ აღარც მას ჰყოფნიდა ჰაერი.)

— შენთან დავრჩები, — უთხრა მანუელმა.

— უნდა წაჰყოლოდი. ტყუილად დარჩი.

მანუელმა ჩამქრალ ღუმელთან ჩაიმუხლა, ქაღალდი დაახვია, ნაფოტებს თავი მოუყარა და ასანთს გაჰკრა.

— იქ ქვემოთ შეშაა. ესტებანმა კონსერვებიც დაგვიტოვა და ცოტაოდენი საჭმელიც.

მანუელმა პირველად გაიღიმა ამ სამი დღის მანძილზე. ახლა ის მართლაც ჰგავდა პატარა აცეტებულ ბიჭს. მარტას ასეთი ლამაზი ხელები არც ენახა. მანუელის მთელ გარეგნობაში გამოსჭვიოდა ძალა — ჯერ დაუხარჯავი, ყვირილივით ჩახშობილი, თავის ნებაზე მიუშვებელი ძალა. ის ტანმაღალი და კუნთმაგარი ბიჭი იყო, მაგრამ ამავე დროს საკვირველი რბილი მიხრა-მოხრა ჰქონდა, თითქოს თავს ძალას ატანდა, ყელში გაჩრილი ყვირილი, მთელ არსებაში ჩაგუბებული ყვირილი არ დასცდენოდა ანაზდად.

ფანჯრებზე აღარც დარაბები ეკიდა და აღარც ფარდები. უწამწამო თვალებს ჰგავდნენ ისინი. მარტამ სარდაფიდან შეშა ამოიტანა. მანუელს კვლავ ღუმელთან ჩაემუხლა. ნაფოტს ცეცხლი მოეკიდა. ალმა ღუმელის ჩაშავებული და გაყინული ხახისკენ გაიწია. მინები აპრიალდა, ვარდისფერი დაედოთ სკამებს. მარტა ღუმელთან მოკალათდა მანუელის გვერდით და ცეცხლს ჩააშტერდა.

(ისინი პირველ ოქტომბერს ჩამოვიდნენ და პრატის ბულვარზე ერთ პანსიონში დაბინავდნენ. აივანი პროსპექტს გადაჰყურებდა. რაულმა აივნის კარი გააღო და მარტას ერთი სახლი დაანახა. მერე მხრებში ჩაბღუჯა და მიიზიდა. უცნაური რამ ხდებოდა რაულის თავს.

— შეხედე.

— რა მოხდა?

— აგერ იქ, პირდაპირ, აფთიაქია.

მარტამ დიდ ვიტრინებს მოჰკრა თვალი და მოწითალო ფირნიშზეც ამოიკითხა: „ფარმაცევტ პაბლო სარკოს ქვრივის აფთიაქი".

— აი, ამ სახლშია დაბუდებული ჩემი ბავშვობა, — რაულმა ყრუდ, ნაძალადევად გაიცინა (იქნებ მასაც ჩემსავით სძულს თავისი ბავშვობა?)

— იმ სახლში?

— ჰო, არ გჯერა? აბა, იქით გაიხედე, ზედ სახურავქვეშ, მარცხნივ ვიწრო ფანჯარას ხომ ხედავ? ვინ იცის რამდენი უძილო ღამე გამითენებია იმ ფანჯრის მიღმა ნაღვლიანსა და ბეჩავს.

მარტამ არ იცოდა რა ეთქვა. ეუცხოვა, კაცის გულითადმა ხმამ მთლად დააბნია (სულაც არაა მსურს ვინმემ გული გადამიშალოს. არ მიყვარს, საკუთარ თავზე ათასგვარ სიბინძურეს რომ ჰყვებიან. მე ხომ არავის ვაწუხებ ჩემი განცდებით? თუ ძალიან უჭირს, ადგეს და ელენასა და დიონისიას მიაკითხოს, მე კი თავი დამანებოს.) მარტამ რაულის ხელი მოიშორა მხრებიდან და ჩემოდნის ამოლაგებას შეუდგა, თან შეფარვით უცქეროდა აივანზე მდგარ გულჩათხრობილ კაცს. ქუჩაში ფარნები აანთეს. ცას მწვანე და ნათელი ფერი დაედო. ოთახშიც სიმწვანემ დაისადგურა. მარტას არ ესიამოვნა და შუქი აანთო.

— კარი მიხურე, — ცივად თქვა მან.

რაულმა უსიტყვოდ მიხურა აივნის კარი. მერე მოულოდნელად ჰკითხა მარტას:

— ძმაზე არაფერი მიამბნია შენთვის?

— არაფერი.

— იმ სახლში ვიწყვეტდით შრომით წელს... დიდი ხნის ამბავია, მე კი მგონია, გუშინ იყო-მეთქი ყველაფერი.

— კარგი ერთი.

— არ გაინტერესებს, ხომ?

მარტამ მხრები აიჩეჩა.

რამდენიმე დღეში „ის ამბავიც“ მოხდა. ის იყო, გათენდა. მარტას ჯერ კიდევ ეძინა, რომ ქუჩიდან ყვირილი და ნაბიჯების ხმა შემოესმა. შეშინებულმა გაახილა თვალი. რაული აივანზე გასულიყო, რკინის მოაჯირს გადაყუდებოდა და ქუჩაში რაღაცას უყურებდა თვალგაფაციცებული.

— რა მოხდა? — მარტა წამოდგა, აივანზე გავიდა და [illegible] ამოფარებულმა ქუჩაში გადაიხედა. ქვემოთ ვიღაცები ფუსფუსებდნენ, ქვაფენილს ანგრევდნენ, ქვებს ერთმანეთზე აწყობდნენ.

— რას აკეთებენ?

— ბარიკადებს. — რაულის ხმამ გააოცა მარტა და ცნობისწადილით შეაცქერდა. რაული ტუჩებს იკვნეტდა, თვალებში მტკივნეული ტანჯვა ჩასდგომოდა (თითქოს შურს, არა, რაღაც სწადია ძალიან.)

— მთელი დღე უცნაური ამბები ხდებოდა ქუჩაში.

— სახლიდან არ გახვიდე, — დაარიგა რაულმა მარტა.

კედელს იქით ჩასუქებული, ქუთუთოჩალურჯებული, შავტუხა დიასახლისი ქაქანებდა. ქუჩაშიც და პანსიონშიც რადიო გაჰყვიროდა. ერთ დიდ სასტუმრო ოთახში შეიკრიბნენ ყველანი — აღელვებულნი და აფორიაქებულნი. მარტას გარკვევით ესმოდა მათი ყვირილი, განსაკუთრებით ორნი კამათობდნენ გაცხარებით. რაულმა მარტასთან წამით შეირბინა:

— არაფრის შეგეშინდეს. აქ იჯექი.

— არც არაფრისა მეშინია. რა ხდება, არ ვიცი. ღმერთმა უწყის, ეს ხალხიც რაზე ქაქანებს.

— კატალონიურად ლაპარაკობენ. თუმცა შენ მაინც ვერ გაიგებ ვერაფერს.

ბარიკადზე ყვითელ-წითელი დროშა ფრიალებდა. დროშაზე ერთი ვარსკვლავი დაეხატათ. „Catalunya lliure!“[1] — გაჰყვიროდა რეპროდუქტორი.

საღამო ხანს მარტა სასტუმრო ოთახში გავიდა. გულზე სევდამოწოლილს პაპიროსის მოწევა მოუნდა. რაული, დიასახლისი და კიდევ ვიღაც ორი კაცი ყავას შეექცეოდნენ, თან რადიოს უსმენდნენ.

— ასტურია აჯანყდა.

— სიგარეტი მომეცი.

რაულმა პაპიროსი გაუწოდა, არც შეხედა მარტას, ხელით ანიშნა, შენს ოთახში გადიო. მარტა წავიდა, საწოლზე პირაღმა დაწვა. ქუჩიდან შეძახილები და სიმღერები ისმოდა. (ღმერთო, ქვეყანად რა ხდება და მე კი ბაიბურშიც არა ვარ!) აივნიდან სიცივე შემოდიოდა. მარტა კარის დასაკეტად წამოდგა. (ასე მივუხურავ კარს ყველაფერს, რაც ხელს შემიშლის). ისევ დაწვა, მაგრამ შუაღამემდე ვერ დაიძინა.

რვა საათისთვის უეცრად გამოეღვიძა. კარს ქვემოდან შუქი შემოდიოდა. მეზობელ ოთახში კვლავ რაღაცაზე ყაყანებდნენ. მარტამ ხალათი მოისხა და გავიდა. ყველა შეწუხებული ჩანდა.

— ძილს არ აცლიან ადამიანს! — ამოიოხრა მარტამ.

რაულმა ხელი მოხვია.

— წადი, დაიძინე! სამხედრო რეჟიმი გამოაცხადეს. აჯანყება ჩაახშეს.

— რომელი აჯანყება?

---

[1] „თავისუფალი კატალონია“.

რაულმა გაოცებულმა შეხედა მარტას, მერე ისე მაგრად მოუჭირა ხელი მაჯაზე, რომ მარტამ ლამის იყვირა სიმწრისაგან.

— გავგიჟდები ალბათ, — თქვა რაულმა. — ნამდვილად არსებობ ამქვეყნად თუ მე გამოგიგონე?

— შორიდან კვლავ ისმოდა კანტი-კუნტი სროლა. რაულმა ხელი გაუშვა მარტას, ისიც თავის ოთახში გაბრუნდა სწრაფად.

შუადღისას ქუჩის ბოლოში სამოქალაქო გვარდია გამოჩნდა. მარტა აივანზე გავიდა. ბარიკადაზე არავინ ჩანდა. აძაგძაგებული შებრუნდა ოთახში. თავში ათასი რატომ და რისთვის უტრიალებდა. საწოლის კიდეზე ჩამოჯდა.

— გაგიჟდნენ, — ოთახში შესვლისთანავე თქვა რაულმა.

— ვინ?

— არა, ნამდვილად გაგიჟდნენ.

რაულმა აივნის კარი მიხურა. მარტას გვერდით მიუჯდა. ხელები უცახცახებდა.

— რა მოგდის?

— ამ საქმეში ტვინია საჭირო, ესენი კი უტვინოდ იქცევიან, — პაპიროსს მოუკიდა, თითები კვლავ უთრთოდა. — მოიყარეს თავი ჩერჩეტებმა. ის ერთი გოგოც გადარეული ნამდვილად. ბარიკადაზე გამაგრდნენ.

— ენახავ რა?

მარტა აივნისაკენ გაქანდა და კარი გამოაღო. ქუჩაში ოციოდე კაცი ფუსფუსებდა. მათში ერთი ქალიც ერია (ჩემსავით ახალგაზრდაა.) მარტამ თვალები დახუჭა, მაგრამ ქალი მაინც წინ ედგა, თავისკენ უხმობდა, ხელით ექაჩებოდა. მარტას თავი დაუბრუვდა. რაულმა მხრებში ხელი ჩაავლო და ოთახში ძალით შეიყვანა, საწოლზე დასვა და აივნის კარი მიხურა.

მარტა იწვა და ესმოდა, როგორ ისროდნენ ქუჩაში. ერთი, ორი, იქნებ სულაც სამი საათი გაგრძელდა სროლა! ერთიანად აცახცახებული ჩაფრენოდა საბანს და თავისთვის ბუტბუტებდა: „წყვდიადში მინდა ჩავიძირო, არაფერი გამეგებოდეს, არაფერს ვხედავდე, არაფერი მესმოდეს!"

მერე ქუჩა დაწყნარდა, მძიმე და მწარე დუმილი ჩამოვარდა ირგვლივ. მარტას მეტის მოთმენა აღარ შეეძლო. რაული შინ არ იყო. მოეჩვენა, მთელს სახლში მარტო დავრჩიო. ზღურბლზე გადაბიჯება ვერ გაბედა სიჩუმესთან შეხვედრის შიშით. მთვარეულივით გაემართა აივნისაკენ, კარი გამოაღო — ფერმკრთალი მზე დაჰნათოდა ქუჩას. შაშხანები და ტანსაცმლის ნაფლეთები მიმოფანტულიყო ქვაფენილზე. ქარი რაღაც ფურცლებს დაატრიალებდა და... ბარიკადაზე დახოცილი ადამიანები ეყარნენ. მარტამ თვალით მაშინვე მოძებნა ის ქალიშვილი. იგი მიწაზე ეგდო და ხაიდანღაც სქელი სისხლი მოჟონავდა.

მარტას შეაძაგძაგა, ოთახში შევარდა და საწოლში ჩაემხო... სახეზე აფარებულმა თავისსავე ყინულივით ცივმა ხელებმა მოიყვანეს გონს. „რატომ, რატომ?" — ეს სიტყვა გულმუცელს უწვავდა.

რაულმა ორი დღის მერე წაიყვანა მარტა ამ პანსიონიდან.

— ავად იყავი, ბავშვივით ბორგავდი და ბოდავდი. დამშვიდდი ახლა, გადავდივართ აქედან.

— რატომ, რა ძალა ადგათ, ვის ებრძოდნენ, რატომ ებრძოდნენ? — წყნარად იკითხა მარტამ.

რაულმა შუბლსა და მკერდზე მიადო თითი:

— აი, ამისთვის და ამისთვის იბრძოდნენ. შენ არც ერთი გაწუხებს და არც მეორე.

მოგვიანებით, როცა ბულვარზე გადასახლდნენ, მარტამ გაზეთებში წაიკითხა ის საშინელი ამბავი. სურათებიც ნახა. ბარიკადაზე დაღუპული ქალიშვილისათვის თავისუფლების ვარდი შეურქმევიათ. მარტა გაზეთებს საერთოდ არ კითხულობდა, ძილსა და ზიზღს გვრიდა.

— გადააგდე, რა შენი საქმეა გაზეთის კითხვა, — რაულმა ფანჯრის წინ გაწოლილი ბულვარი უჩვენა: — აი, ეს არის ჩემი საუფლო. ყველაფერს თავიდან დავიწყებთ, მარტა.)

— შენთვის ჯერ არ მიამბნია, ჯეზა როგორ გავიცანი?

— ჯერ არა.

— მერეღა მივხვდი, რაულთან ცხოვრება რა ჯოჯოხეთიც იყო ჩემთვის... თუმცა არა, ტყუილს ვამბობ, მე ხომ არ ვიცი, ჯოჯოხეთი როგორია. ტანჯვით არ ვიტანჯებოდი, დარდიც არ მაწუხებდა — არაფერი გამეგებოდა, ვერ ვარჩევდი კარგსა და ავს, სამართლიანსა და უსამართლოს. არ ვიცი... ჯეზა რომ მოვიდა ჩვენთან, მგონი, ბედნიერი ვიყავი...

მანუელის თვალებში ცეცხლის ალი თამაშობდა.

— ყველანი ჯეზაზე ვლაპარაკობდით, ჯოზე ტარონჯი, მარინე, ჯაკობო, შენ, მე... თვით ჯეზას კი საკუთარ თავზე კრინტიც არ დაუძრავს არასდროს... განა ბევრი რამ ვიცით ჯეზაზე?

— ჯეზა ერთია ამქვეყნად. — მარტა გამოცოცხლდა, სახეზე ხელები აიფარა, მერე თვალებზე ჩამოისვა: — ჰო, სულაც არ მეუხერხულება ამის თქმა და საკვირველი ეს არის სწორედ... პირველად ძალიან გაგვაჭირდა მე და რაულს, მაგრამ მისმა მარიფათმა მალე გაჭრა და წელშიც გავიმართეთ. სულელური ცხოვრება იყო ის ცხოვრება, მაგრამ მე მომწონდა, ყოველ შემთხვევაში, თვალებდაბრმავებულს ასე მეჩვენებოდა...

(რამდენსამე ხანს ისინი ერთ ჭუჭყიან, საძაგელ პანსიონში ცხოვრობდნენ. მარტა დარაბებს გაალებდა და ჩიტებით დახუნძლული ხის ტოტებიდან მზეც შეაჭიტავდა სახეში. დღის სამ საათზე იღვიძებდა თავდამძიმებული, თვალებდასივებული და პირგამშრალი. რაული ადრე მიდიოდა. მართალია, ისიც გვიან წვებოდა, მაგრამ თუ საქმე უხმობდა, უთენია წამოხტებოდა ხოლმე. ბევრი იშვიათი თვისების პატრონი იყო რაული. ოღონდ კი საკუთარი საქმე გაეჩარხა და ყველაფერზე იტყოდა უარს: თავმოყვარეობაზე, ღირსებაზე, სიამაყეზე. ენაზე კბილის დაჭერაც იცოდა.

— აბა, რა გგონია, გოგონი. ასეთია ცხოვრება. დიდი თევზი პატარას ყლაპავს. მთავარი, შენ არ შეგახრამუნონ. ხომ ასეა?

— ასეა, — ამოქნარებდა მარტა.

— განა შენ ცხოვრება არ გინდა?

მარტამ არ იცოდა მის ცხოვრებას თუ ცხოვრება ერქვა, მაგრამ მას ესეც ჰყოფნიდა.

— ლიონისიამ ცოტა ამირ-დამირია საქმეები, მაგრამ არა უშავს, რის რაული ვიქნები, ჩემსას თუ არ მივაღწიე. წინათაც ასე დავიწყე. არავინაც არ გვჭირდება, თვითონ გავიტანთ თავს მე და შენ.

ისინი ერთ იაფ რესტორანში სადილობდნენ. რაული მაგიდასთან გაზეთს კითხულობდა მუდამ. (დიდ გაზეთებს იმიტომ ყიდულობს, საჭიროებისას სახეზე იფაროს.)

პირველ ხანებში ხშირად იცვლიდნენ სამყოფელს, ხან დიდ პანსიონებში ცხოვრობდნენ, ხან მიყრუებულსა და პატარაში. რაული ძველ მეგობრებს იკრებდა გარშემო. გვიან საღამოობით კი ყველანი მაგიდასთან იყრიდნენ თავს და ღვინოს შეექცეოდნენ. მარტას მოსწონდა სმა და ლოთობა.

— შენი დახმარება მჭირდება, — ეუბნებოდა რაული. — მართალია, ჭკუა არ გადაგდის, მაგრამ სამაგიეროდ ლამაზი ხარ. ლამაზ ქალს კი ბევრი სიკეთის მოტანა შეუძლია.

— კარგი, დაგეხმარები.

— ოღონდ შენ თვითონ არაფერი გამოიგონო. უჭკუო ხარ და უჭკუობასაც ჩაიდენ. როგორც გეტყვი და დაგარიგებ, ისე მოიქეცი. თუ დამიჯერებ, საქმე კარგად წაგვივა.

მარტას ღვინო უყვარდა. დალევდა და ირგვლივ ყველაფერი სახეს იცვლიდა. მთელ ქვეყანას, ადამიანებს, საგნებს, სახლებს სხვა ელფერი ედებოდა. ადამიანები უფრო ლამაზი, სასაცილო და მიმზიდველი ეჩვენებოდა. გვიან საღამოობით რაულს მარტა მიჰყავდა პატარა, ბნელ კაბარეებში, სადაც მეგობრებს უნიშნავდა პაემანს. ამ კაბარეებში ყველას იცნობდა რაული, შეეიცარებსა და ლაქიებსაც კი. ელენესა და დიონისიასთან კომპანიონობის დროს რაულს ცოტაოდენი ფული ჰქონდა დაგროვილი.

— ცოტა ხანს გვეყოფა. მერე კი ნუ გეშინია, ჩემი ხელობის პატრონს არ გაგვიჭირდება...

მალე ერთ დიდსა და ბნელ ბინაში საექიმო კაბინეტი გახსნა. მაღალსა და თეთრად შეღებილ კარებში რძისფერი შუშები ჩაასმევინა. ქუჩაში გამავალი ორი ოთახი ავადმყოფების მისაღები ოთახი გახდა. სხვა ოთახების ფანჯრები, სადაც რაული და მარტა ცხოვრობდნენ, ეზოში გადიოდა. რაულმა ავეჯი და წითელი ხალიჩები იყიდა. ფანჯრებზე ფარდები დაკიდა. ოთახებში ნახევრად ბნელოდა და სულისშემხუთველი ბუღი ტრიალებდა. კაბინეტში მეტი სინათლე იდგა, გრილოდა კიდეც. რაულს მოსწონდა მკვეთილი ფუფუნება, ჩემს „შტაბბინებს" მაგონებსო (ასე ეძახდა იგი თავის საყვარელ რესტორნებს.) სან-ხუანის სასტუმროსი არ იყოს, რაულმა საექიმო კაბინეტი თვალისასახვევად გახსნა. სინამდვილეში ნარკოტიკებითაც ვაჭრობდა.

— ხომ ხედავ, მარტა, ყველაფერი თავის წესსა და რიგში დგება, — უთხრა რაულმა ახალ ბინაში გადასვლისას.

სანიტარი ანტონიტო, რაულის ძველისძველი ნაცნობი, შუახნის კაცი იყო, ნაღვლიანი თვალები და ხშირი, საეჭვოდ შავი თმა ჰქონდა.

— დონ რაული ოქრო კაცია. ჯერ არ მახსოვს ეწყენინებინოს ჩემთვის.

რაულის კაბინეტთან ყმაწვილი ქალების რიგი დადგა (ჩვილები ზეცაში უნდა გაამგზავრონო, ამბობდა ანტონიტო). რაულმა თავისი მანქანა ცისფრად გადაღება.

— „ვუაზენში" გავცვალე, მეტი სიჩქარე აქვს, — უთხრა მარტას.)

— პირველი დანახვისთანავე რაღაცამ მიბიძგა ჯუზასკენ. თავს ვერაფერი მოვუხერხე: „აი ეს არის სიცოცხლე, მე რომ ასე ძალიან მიყვარს და ვესწრაფვი".

(ახლა კი ჩემ წინ სიკვდილი აღმართულა. ბევრს არ ძალუძს საკუთარ სიკვდილს ჩვენსავით მშვიდად და გულგრილად გაუსწოროს თვალი. მოვა დრო და ჩვენზე ალაპარაკდებიან, იქნებ ჩემმა შვილმაც იკითხოს, რატომ მოვიქეცით ასე. იმას რა სჯობს, თუ ამაოდ არ დავმშვრალვართ.)

— იცი, მანუელ, — მარტამ გაიცინა. — ძალიანაც რომ მოგენდომა, ჯეზას მაინც ვერსად გაექცეოდი და ვერც ვერასოდეს გაიგებდი, რატომ ხდებოდა ასე. მით უმეტეს, რაულს ყველაზე მეტად გაუჭირდებოდა ამის გაგება. რაულს და ჯეზას ძალიან უყვარდათ ერთმანეთი, მომავალზე ერთად რამდენჯერ ოცნებობდნენ. გამომშვიდობებისას რაულმა მითხრა: „დაიმახსოვრე ჩემი სიტყვა, მარტა. ჯეზას ხელში სიკვდილი გელის“. მე ერთი უვიცი, გაუთლელი და თითქმის უგულო ქალი ვიყავი. ჯეზა დამეხმარა, ბნელი და ნათელი გამერჩია ერთმანეთისაგან. მანამდე ჩემთვის ყველაფერი ნისლში ცურავდა, მერე კი ყოველი საგანი გამოიკვეთა, თავისი ადგილი მონახა, თავისი სახელი დაერქვა. ჯეზას არც უნიშნებია ჩემთვის, გინდა თუ არა წამომყევიო, მე თავად გავყევი მას, საკუთარი ნებით. იქნებ სულაც არ ვუნდოდი, უფრო მეტიც, დღესაც არ ვიცი, ვუყვარდი თუ არა, მაგრამ რადგან გავყევი, ხელი აღარ მკრა, უსიტყვოდ მიმიღო.

ცეცხლი ჩამქრალიყო და ღუმელის წინ ჩამუხლული მანუელი თითქმის არც ჩანდა.

— მაგონდება, ყველაფერი ისე უაზროდ ხდებოდა; მე და რაულს რომ წაგვადგა თავზე, ღედაჩემმა მითხრა: „ეს კაცი შენ მოგკლავს. ცეცხლივით არის, რასაც მისწვდება, ფერფლად აქცევს“. ახლა კი თითქმის იგივე მიწინასწარმეტყველა რაულმა: „ამ კაცს თუ გაჰყვები, დაიღუპები. ის თავად სიკვდილია ფეხადგმული და რასაც ხელი მიუწვდება, ყველაფერს სპობს. თქვენ ერთმანეთის საფერი არ ხართ. სად შენ და სად ის — წყალსა და ცეცხლივითა ხართ. შენ გგონია, იპოვე ის, რასაც შეგიძლია ენდო ცხოვრებაში, დაეყრდნო, შენ გგონია, გიყვარს. სისულელეა, მე ხომ გიცნობ... ინანებ!“ ვერ ვუპასუხე გულში ნადები: „სულაც არ ვინანებ. სწორედ ახლა ვნანობ, თუ ვნანობ. თავადაც არ მესმოდა, ისე ვუღალატე რაღაცას, მაგრამ მარტო მე არ მიმიძღვის ბრალი, ჩემამდეც უღალატეს რაღაცას“. რაულს არა და არ სურდა გაეგო, სხვა გზა რომ აღარ მქონდა.

(— სან-ხუანში ცუდად რომ გეცვა, ხომ გწყდებოდა გული?
— მწყდებოდა.
— ჰოდა, ახლა თუ დამიჯერებ, ყველაფერი გექნება, რასაც ინატრებ.
— მეუბნებოდნენ, ცუდი გემოვნება გაქვსო.
— ასეც არის, მაგრამ არა უშავს, ისწავლი. წესიერად თმადავარცხნილი ჯერ არ მინახიხარ.

მარტამ აუარება ჩასაცმელი და სამკაული იყიდა. რაულს ფული არ ენანებოდა, მისი სილამაზით ამაყობდა. მარტამ ტანიც კი აიყარა.

— გამიღიმე, ხომ იცი, — უთხრა რაულმა. — ოღონდ, იცოდე, ღვინის სმას მოეშვი, გავნებს.

მაგრამ მარტამ ერთხელ რომ გაუგო გემო სასმელს, ვეღარ მოშორდა. ყოველ საღამოს აპერიტივს წრუპავდა ხოლმე. განსაკუთრებით უცხოელების ჩამოსვლა უხაროდა, ნამდვილ ქეიფს მაშინ აწყობდა რაული.

ერთი უცხოელი მეგობარი კლოდ რიმოლი ხშირად სტუმრობდა რაულთან. რესტორან „ედემში" მათ ერთი კაბინეტი ჰქონდათ დასაკუთრებული. რაული და კლოდი თავიანთ საქმეებზე საუბრობდნენ, მოწყენილი მარტა კი ღვინოს ეძალებოდა. მას ღვინო უყვარდა, რაულს შამპანური, სიგარეტი და ძვირფასი ხავერდგაქუცული ფუფუნება ერჩია ყველაფერს. თითქმის გამოუფხიზლებლად წვებოდნენ დასაძინებლად. მარტა დღისით იღვიძებდა, თავი და თვალები სტკიოდა. კაბა, ფეხსაცმელი წინდები და საცვალი იატაკზე ეყარა. ჯერ კიდევ ძილის ბურანში გახვეული ხელებს მაგიდაზე აფათურებდა, ზარს ეძებდა. ჩასუქებული, წარბგაქუცული მარტინა წინათ მომღერალი ყოფილა, ახლა მათ ემსახურებოდა. ზარის ხმაზე მაშინვე ოთახში გაჩნდებოდა და საწოლშივე მიართმევდა საუზმეს თავის ქალბატონს. მარტას ხშირად აღებინებდა, სახეზე ფერი გაუკრთა, მაგრამ ეშხი და ლაზათი მაინც არ დაკარგვია.

— ულამაზესი ქალი ხარ, — ხშირად ეუბნებოდა რაული.

ერთ დღესაც მარტა დარწმუნდა, მისი შიში უსაფუძვლო არ იყო.

— რაულ, ორსულად ვარ.

— ხუმრობ?

რაულიც დარწმუნდა, მართალს ამბობდა მარტა, თუმცა პირველად არც უნდოდა დაეჯერებინა.

— კარგი, დამშვიდდი. მაგ საქმეს მოევლება, შენ ოღონდ არ შეგეშინდეს.

სიცარიელიდან უხილავი შიში წამოიმართა და მთელი მისი არსება მოიცვა. აღელვებული მარტა რაულს ჩააფრინდა მკლავში:

— ჩქარა, რაულ, ოღონდ ჩქარა! ასე მგონია, ვერ მოვითმენ-მეთქი.

ყოველივემ სიზმარივით ჩაიარა. მარტას ბუნდოვნად ახსოვს მაღალი თეთრი კარი, რძისფერი მინები. „ეს ბინძური სითეთრე ზუსტად შეეფერება იმ ადგილს, სადაც ჯერ არდაბადებულ ბავშვებს ხოცავენ. რამდენჯერ მინახავს თეთრი ფორანი, ასეთივე ზარდამცემი და ბინძური. მძულს თეთრი ფერი"... — მარტამ ფიქრი ვეღარ დაამთავრა, ანტონიტომ ნიღაბი ააფარა სახეზე. მერე აბორიალდნენ ბუშტები, დრო სადღაც ჩაინთქა და გაუსაძლისმა მდუმარებამ დაისადგურა ოთახში, მარტას არსებაშიც.

თვალი რომ გაახილა, ტკივილი უწვავდა სხეულს. თავი ძლივს მოაბრუნა, უნებურად გაექცა თვალი სისხლიანი ნაფლეთებით სავსე თასისაკენ. უხმო ყვირილი დაიძრა ყელიდან კი არა, სადღაც შორიდან, წარსულიდან, სიცარიელიდან...

— ნუ ტირი, — უთხრა რაულმა. — ყველაფერმა კარგად ჩაიარა.

— არ ვტირი, — მარტას ყრუდ და გამეტებით სძულდა რაული. „ნეტავ საიდან მოიგონა ამ კრეტინმა, რომ ვტირი?")

ჯეზა 1935 წლის ივნისში გავიცანი. მახსოვს, კარგა ხანს ვიავადმყოფე, ფერიც დავკარგე და ხორციც. ღვინოს არ ვეშვებოდი, ჭამით კი არაფერს ვჭამდი. რაულმა მითხრა, ზღვაზე წავიდეთ, ჰაერზე, აქ მზეს ხომ თითქმის ვერა ვხედავთო. მართალიც იყო. მზე რომ ქვეყნიერებას აცხუნებდა თავის სხივებს, ჩვენ იმ დროს ოთახში ჩაკეტილებს გვეძინა. ვირთხებივით, თხუნელებივით ვცხოვრობდით სიბნელეში. დღის სინათლეზე, მგონი, საკუთარი სხეულიც არ მინახავს, რა ფერისაა. მზე ლომი ხომ არ არის, ან რაღაც კერპი, რომ ვუფრთხით და ვემალებით...სადღაც ამოვიკითხე, ძველად მზეს თურმე თაყვანს სცემ-

დნენ და მსხვერპლად ქალიშვილებს სწირავდნენ. აღარ მახსოვს, მე წავიკითხე თუ დიონისიამ მიამბო. ერთი სიტყვით, ჩვენ და მზე მტრები ვიყავით. გაზაფხულზე ერთი-ორი დღით მეთევზეთა ერთ პატარა სოფელს მივაშურეთ. შინ დაბრუნებულებს ამბავი დაგვახვედრეს, ჯეზამ დარეკაო. მე ეგი არ მახსოვდეს მენახა.

ბიბლიოთეკა

(ჯეზას თავისი ტელეფონის ნომერი დაუტოვებია. მარტინას ჩაუწერია — ციფრები ობობასავით დაბობღავდნენ ფურცელზე. რაულს სახე მოექუფრა.

— როდის დარეკა?

— გუშინწინ, გუშინ, დღესაც.

ჩაფიქრებული რაული ოთახში ბოლთას სცემდა, აღელვებისას ასე სჩვეოდა, თითქოს ოთახს ზომავსო ნაბიჯებით. ხელში ქაღალდი უთრთოდა, ჯეზას ტელეფონის ნომერი.

— ცუდი ხომ არაფერი მომხდარა?

— არა.

რაული ტელეფონთან მივიდა, ნომერი აკრიფა, ერთი-ორი სიტყვა ჩაიდუდღუნა და მერე მარტას მიუბრუნდა:

— მივდივარ. ალბათ დამაგვიანდება. ნუ დამელოდები.

რაული წავიდა. მარტამ უცებ დაღლა იგრძნო და რატომღაც მოიწყინა კიდეც. ის რვა დღე მზის გულზე გაატარა, თვალმილულული იწვა ქვიშაზე. დროზე იძინებდა, ღვინოს აღარ სვამდა. მთელს სხეულზე ბრინჯაოსფერი დაედო. რაღაც ახალი იბადებოდა მის არსებაში, უჩვეული, კაეშნიანი და სასიამოვნო. (რა მემართება? თითქოს ცხოვრების პატარა მონაკვეთი წარსულს ჩავაბარე, რაღაც აქამდე უცნობსა და უჩვეულოს ვუახლოვდები.)

რაულის წასვლის მერე მარტა საწოლიდან არც წამომდგარა, არც ვახშამზე გავიდა. ახლა უძილობა დასჩემდა, სისუსტე და დაღლილობა მოეძალა, ძილი დაეკარგვინა. იწვა და მშვიდად სუნთქავდა, სიბნელისთვის მიეშტერებინა თვალი. უცბად საკეტში გასაღები აჩხაკუნდა. შუქიც აინთო. მარტას რაულისა და კიდევ ვიღაცის ფეხის ხმა მოესმა. ლაპარაკიც გაიგონა — იქ, კედელს მიღმა ორნი ლაპარაკობდნენ ხმადაბლა. მერე რაული მარტასთან შევიდა:

— გძინავს?

— არა.

რაულმა მაგიდის ნათურა აანთო, ვარდისფერი თალფაქიდან შუქი გადმოიღვარა.

— გაგიჟდა ნამდვილად! — რაულს თვალები დასიებოდა. მარტამ იგრძნო, რაღაც ახლებურად, უჩვეულოდ და ხარბად უგდებდა ყურს რაულს, თითქოს სურდა რაღაცას მიმხვდარიყო, რაღაც გაეგო თავად რაულზე თუ სხვა ვიღაცაზე.

— რატომ ჩამოვედით?

— იდეები აწუხებს ყმაწვილს! — რაულს გაეცინა. — ნამდვილი ჩერჩეტი უნდა იყოს კაცი, ვერ მიხვდეს, აქ პარტიას რომ აღარაფერი ესაქმება. ველარ გაუგია, კაცო, რომ პარტიის გზა შეუკრა ყველა ამ შეკ-ამ, იაფ-მა და მუშათა და გლეხთა ბლოკმა[1], ტროცკისტებს და ანარქისტებს თავიანთი ბელადები

---

[1] შეკ-ი — შრომის ეროვნული კონფედერაცია, ანარქისტების კონტროლის ქვეშ მყოფი პროფკავშირული გაერთიანება. იაფ-ი — იბერიის ანარქისტთა ფედერაცია. მუშათა და გლეხთა ბლოკი — ტროცკისტული ჯგუფი.

ჰყავთ. როგორ გგონია, ისინი გულხელდაკრეფილი სხედან? ნამდვილი კამპანია გააჩაღეს, მხარს უჭერენ მუშების წამოწყებულ ყოველ მოძრაობას. ხომ გახსოვს, შარშან ოქტომბერში[1] რა მოხდა? კომუნისტებმა უარი თქვეს მონაწილეობაზე, აქაოდა, პროლეტარიატს ხელს არ აძლევს ეს ამბოხებაო...

მარტა რაულის აცახცახებულ ტუჩებს შესცქეროდა და გაკვირვებას ვერ ფარავდა. რაულის სიტყვებისა ბევრი არა გაეგებოდა რა, მაგრამ მაგნიტივით კი იზიდავდა — ასე იზიდავდა ოდესღაც ფანჯარაში წელამდე გადმოყუდებულ ნაწნავიან გოგოს „ზანგების სახლი". (სიცოცხლე მწყერია!) „ნეტავ რა აწუხებთ ამ ადამიანებს, რატომ ტანჯავენ, რატომ ხოცავენ ერთმანეთს?! ალბათ იმიტომ არა, რომ მხოლოდ იარსებონ ან ჩემსავით გაატარონ წუთისოფელი". სისუსტე და სიცარიელე მიეძალა მარტას, შიშისმაგვარი გრძნობა მოიწევდა ბურუსიდან, სადაც აქამდე ცხოვრობდა ასე იოლად და უზრუნველად.

— შენ საიდან იცი ამდენი რამე? წინათ არასოდეს გილაპარაკია ამ საკითხზე, — უთხრა რაულს.

— შენა გგონია, მუდამ ასეთი უსინდისო ვიყავი? — რაულის თვალებში ველური რისხვა გაკრთა.

— განა შენ უსინდისო ხარ? — მარტამ გაღიმება სცადა. რაულს მოსწონდა მარტას უხეში შეკითხვები. ხშირად ეუბნებოდა: „მომწონხარ, უგულო რომ ხარ..." ან „...სინდისი და ჭკუა არ გაწუხებს".

— შენა გგონია, წინათაც ასეთი ვიყავი? წინათ მე და ჯეჩა ერთი აზრისანი ვიყავით. ხომ გახსოვს, სახლი რომ დაგანახე? იქ დავიბადეთ და გავიზარდეთ. რომ იცოდე, რა გეგმებს არ ვაწყობდით მე და ჯეჩა... რა იმედებით არ ვიყავით აღსავსენი...

„იმედი... — გაიფიქრა მარტამ. — ნეტავ მე რიღასი იმედი მაქვს, ან რატომ უნდა მქონდეს იმედი?" ბოროტი ტკივილი უშანთავდა სხეულს, სიცარიელეში იძირებოდა. ნეტავ რა მოსდის? სევდა და დარდი შემოჰქდობოდა გულს, ოღონდ ეს სევდა იმას არ ჰგავდა, ოდესღაც ირუნის ერთ ბუზყიან სასტუმროში რომ გამოაღვიძა უეცრივ.

— ახლა მას აქ აღარაფერი ესაქმება, — რაული ადგა, ღვინო დაისხა და ჭიქით ხელში საწოლის კიდეზე ჩამოჯდა. — ასეც ვუთხარი, მოეშვი ყველაფერს, აქ საშენო საქმე აღარა არის-რა მეთქი.

— კი მაგრამ, რის გაკეთებას აპირებდა აქ?

რაულმა მოუსვენრად აიჩეჩა მხრები:

— რისა და... სურს დაზვეროს აქაურობა, მოძებნოს, მიემხროს ისეთი ადამიანები, აჯანყებისას რომ მხარში ამოუდგებიან. ჩემი იმედი ნუ ექნება. დიდი ხანია ამ საქმეს დავემშვიდობე. საკმარისად მომხვდა იმ იდეებისათვის. სიცოცხლე ისე ხანმოკლეა, უტოპიას ვერ შევალევ. ჩემი იმედი არ გქონდეს-მეთქი, ასეც ვუთხარი.

— გთხოვა რამე?

— არაფერი. — რაულს ხმაში ტკივილი გაერია. — კონკრეტულად არაფე-

[1] 1934 წლის ოქტომბერში მთავრობაში უკიდურესად რეაქციული პარტიების წარმომადგენელთა შესვლის საპასუხოდ ესპანეთში იფეთქა საყოველთაო საპროტესტო გაფიცვამ. ანარქისტები და ტროცკისტები მუშებს მოუწოდებდნენ, რაც შეიძლება სწრაფად წაეგდოთ ხელისუფლება. კომუნისტებს გაფიცვა უდროო და მოუმზადებელი მიაჩნდათ, ამის გამო ანარქისტებმა მათ კონტრრევოლუციონერობა დასწამეს. რადგანაც აჯანყება მაინც დაწყებული იყო, კომუნისტები იძულებული გახდნენ აქტიური მონაწილეობა მიეღოთ მასში.

რი უთხოვია. არ ეხერხება. ის მხოლოდ ლაპარაკობს და ლაპარაკობს. ამ თავისი ლაპარაკით ერთ დროს დაბმული გყავდი, ახლა კი არაფერი გამოუვა.

— შენი იმედი ჰქონდა?

— ეტყობა, ჰქონდა...

რაული გაჩუმდა. თვალებში სიცივე და სიმკაცრე ჩაუდგა. [illegible] ტად ელავდა მის ხელში. რაულმა შუქი ჩააქრო და გაუხდელი მიუწვა მარტას. მარტამ იგრძნო, რაული მხარზე ელერსებოდა, სუნთქვაც სულ ახლოს მოესმა და უცებ მოეჩვენა, გვერდით უცხო კაცი მიწევსო. მარტას ეჭვი აღარ ეპარებოდა, რომ რაული მართლა უცხო კაცი იყო მისთვის, საერთოც აღარაფერი ჰქონდათ, რომ მათ შორის ყველაფერი დამთავრდა. სიცარიელე ნელ-ნელა ალებდა ხახას.

— ვის რად სჭირდება წარსულის გახსენება და ქექვა? ეშმაკმა წაიღოს მისი თავი და ტანი, ჩამოვიდა და ამაფორიაქა. წავიდოდეს მაინც. უსინდისობაა, — რაულმა ხრინწიანად ჩაიცინა, — უპატიოსნებაა, არ ეკადრება. მოვიდა და დამიწყო ნაგვის ქექვა. ურჩევნია წავიდეს აქედან. არაფერი არ მახსოვს, არც მინდა მახსოვდეს. ძველებურად დამჯერე პატარა ბიჭი ხომ არ ვგონივარ? წაეთრიოს აქედან! — ძველმა ტკივილმა გულ-მუცელი აუწვა. — ეს საქმე კარგა ხანია აღარ მაღელვებს, გამიარა. — ხმა აუთრთოლდა: — „ქვეყანა შეიცვლება". შეიცვლება. აბა, მეტი საქმე არა აქვს! რა შეცვლის! წარმოგიდგენიათ, ორ ბიჭუკელას სურს ქვეყანა შეიცვალოს, აღარ იყოს ქვეყნად შიმშილი, უსამართლობა...

— რა შიმშილი? — გაუბედავად იკითხა მარტამ.

რაულმა, ეტყობა, ვერ გაიგონა მისი შეკითხვა.

— ქვეყანა უნდა შეიცვალოს იმიტომ, რომ ორი ბიჭი, ორი საბრალო სულელი ბიჭი ოცნებამ გაიტაცა. ღამით გაკვეთილებს იზუთხავდნენ, დღისით კი ვირივით ემსახურებოდნენ კეთილ ძია პაბლოს, რომელმაც შეიბრალა და შეიფარა თავისი უგერგილო ძმის ობლად დარჩენილი შვილები. მთელი დღე ბავშვები ცივსა და აქოთებულ აფთიაქში შრომობდნენ, ძილით კი ზედ სახურავქვეშ ერთ პატარა სოროში ეძინათ. დღეში ერთხელ თქვლეფდნენ კარტოფილს ბინძური მათლაფებიდან, ეცვათ ძირგავარდნილი ფეხსაცმელი და... ეჰ, მარტა, მარტა, შენ რას გაუგებ ამ ბიჭებს, შენ რა იცი, რა არის შიმშილი და სილატაკე. ღამით ვსწავლობდით, ჯეზამ ასე დააწესა, მუდამ ის იყო მოთავე ყველა საქმისა. „ქვეყანა შეიცვლება, რაულ, მარტო ჩემი და შენი ცხოვრება კი არა, მთელი ქვეყნიერება უნდა შეიცვალოს!" ბოდვა იყო და მეტი არაფერი. წლები გადიოდა. წამოვიზარდეთ. საბრალო ჯეზა, სულელი, გიჟი...

ვიღაც ტიროდა შორს.

— რის ვაივაგლახით ერთი-ორ გროშს ჩავიგდებდით ხელში და ისიც წიგნებში მიდიოდა. ჭკვიანი ბიჭები ვიყავით, მარტა. თავად ძია პაბლოს რამდენჯერ უთქვამს: „მეტისმეტად ჭკვიანები ხართ. ისწავლეთ, მე რა მენაღვლება, ოღონდ მემსახურეთ, როგორც წესია და... შუქი კი ათი საათის მერე არ დავინახო თქვენს ოთახში!" სანთლები ვიყიდეთ და მის შუქზე მორიგეობით ვკითხულობდით. გამოცდების წინ თითქმის არ გვეძინა. ერთი სიტყვით, პირდაპირ მივდიოდით და ჯიქურ მივარღვევდით კედელს. სტიპენდია რომ ავიღეთ, ვთქვით, ბედი გვწყალობს-თქო, ბიძიამაც გვითხრა, ახლა კი მჯერა, რომ სწავლობთო... და მაინც წელი გვქონდა მოწყვეტილი აფთიაქის სარდაფში მუშაო-

ბით. ის წლები საზარელი სიზმარივით, ლოდივით მაწევს გულზე. რამდენჯერ ქანცგაწყვეტილი წავქცეულვარ, ჯეზას წამოვუყენებივარ, მხარში ამომდგომია, ხანაც დამმუქრებია — ის ჩემზე ძლიერი და დაუმორჩილებელი ბიჭი იყო. ერთხელ ძალაგამოცლილს ხელი ჩამჭიდა, ეზოში გამიყვანა და ონკანის ქვეშ შემაყოფინა თავი: „ჩვენი დრო დადგება, — მითხრა მან. — ცოტაც მოითმინე“. ჩვენი დრო!... ჩემი დრო კი დადგა, იმისი კი რა მოგახსენო... ჯეზა ადვოკატი იყო უკვე, მეც უნივერსიტეტი დავამთავრე. მერე რა შეიცვალა? ბიძია მოკვდა, ბიცოლამ გარეთ გამოგვყარა: ბიძათქვენმა საკმაოდ მოგიმართათ ხელი, სწავლის ნება დაგრთოთ, შეგიფარათ, ახლა გეყოფათო... მერე ნანატრი დღე დადგა, დიპლომი ავიღე. რაულ სარკო ექიმი გახლდათ. მერე? მათხოვრულ სოფელში თავი და ნიჭი არ დავიმარხე, ცხოვრებას გვერდზე ჩავლის ნება არ მივეცი. ჯეზა სხვანაირი ყაიდის კაცი იყო, მე — სხვანაირი. მე უბრალოდ ადამიანი ვიყავი, სიცოცხლე მწყუროდა, წლები ხომ სწრაფად გვეცლება ხელიდან. ჯეზა გვერდით აღარ მყავდა, აღარ მწამლავდა, აღარ მიმორჩილებდა... გეფიცები, მარტა, ის ადამიანი კი არა, ციებ-ცხელებაა, შავი ჭირია...

რაულის სტვენასავით სუნთქვა საათის წიკწიკს შეერია.

— არადა, რატომ ჩავარდა ჯეზა ამ დღეში, გეკითხები, რატომ? ძალიან ცუდ დღეშია. ასეც ვუთხარი, მოსკოვს შენთვის არა სცხელა, უშენოდაც ბევრი სადარდებელი აქვს-მეთქი, აქ პარტიაში განხეთქილება მოხდა, ძალაგამოცლილს ძველი შემართება გაუქრა-მეთქი...

— რას იზამს ახლა?

მარტას მთლად კარგად არ ესმოდა რაულის ნათქვამი, ყველაფერი წყვდიადში ცურავდა, მაგრამ გრძნობდა, რაღაც ახლისაკენ, აქამდე უცნობისკენ მიიკვლევდა გზას მძიმედ.

— თუ ნებას დართავენ, შეუძლია კატალონიური სამართალი შეისწავლოს... სტუდენტებს ჯერ კიდევ სჯერათ მისი, მუშებმა კი კონტრრევოლუციონერობა დასწამეს. ოქტომბრის ამბების მერე რეპრესიები მოხდა, მუშათა კლასი კედელთან მიაყენეს. ყველაფერი კი ცუდად მომზადებული აჯანყების ბრალი იყო...

მარტას ბარიკადა გაახსენდა, ის ქალიშვილიც — თავისუფლების ვარდი — დაუდგა თვალწინ. შესცივდა, საბანში გაეხვია და თვალი დახუჭა.

— გაჩუმდი, დანარჩენი ხვალ მიამბე.

რაულმა ტანთ გაიხადა.

— დაივიწყე რაც გითხარი. საშენო საქმე არ არის ეს ყველაფერი. ცოტა ხანს შევიფაროთ, მერე ალბათ ბინას იპოვის სადმე მოშორებით...

— ჩვენთან იცხოვრებს?

— ჰო, მე წამოვიყვანე. — რაულს თითქოს ვიღაცის (ან იქნებ საკუთარი თავის) ეშინოდა. — ვთხოვე, სანამ ბინას იშოვი, ჩვენთან იცხოვრე-მეთქი. — რაული სწრაფად მობრუნდა მარტასკენ და საკვირველი სიტყვები წარმოთქვა: — მე ის მიყვარს, მარტა; არ მომწონს, მაგრამ სიყვარულით კი მიყვარს!

— შენი რა არის ეს კაცი?

— როგორ, აქამდე არ მითქვამს? ჯეზა ჩემი ძმაა.)

— ჯეზას ორის დღის მერე შევხვდი, შემთხვევით.

(მარტამ ჯეზა რომ დაინახა, გაუკვირდა. ის აქ იყო, სულ ახლოს და რაული ელაპარაკებოდა:

— მაპატიე, ჯეზა, არ შემიძლია. ცხოვრება იცვლება... გული მტკივა, ჯეზა, იცი, გაფასებ... მიყვარხარ, მაგრამ რას იზამ, ასეთია ეს ცხოვრება!

ჯეზა შუქისკენ შემობრუნდა და მარტამ პირველად დაინახა მისი სახე. ლურჯსა და მოელვარე თვალებში სიცივე და რისხვა ჩადგომოდა.

ჯეზამ თავით-ფეხამდე ახედ-დახედა მარტას. ქალი შეიშმუშნა, გული აუფართქალდა შეშინებულს.

— მარტას არ იცნობ? — ხუმრობა სცადა რაულმა. — ჩემი ქალიშვილია.

ჯეზა უსიტყვოდ შესცქეროდა. რაულმა დაბნეულ მარტას თავზე ხელი გადაუსვა:

— დიდი გოგოა, ხომ?

რაღაც გადაუბრუნდა მარტას არსებაში და უცბად ხარხარი აუტყდა, თვალებს ჭუტავდა საგანგებოდ, შიგ არავის ჩაეხედა. მარტას მოეჩვენა, თითქოს მიწყნარებულ წყალში ქვა ისროლესო, ჭავლის შრიალი დაძრწოდა მდუმარებაში; თითქოს სამივენი ერთ დიდ მაღალჭერიან, თაღებიან დარბაზში იდგნენ და კედლებიდან ხტოდა გამოძახილი — ხმის და ადამიანთა სინდისის გამოძახილი კი არა, — საგნების, ნივთების იდუმალი სინდისის გამოძახილი. მარტამ თვალი გაახილა, ჯეზა კვლავ შესცქეროდა. თითქმის გათეთრებული თმა შუბლზე ჩამოშლოდა და მარჯვენა წარბი დაეფარა. აბრეშუმივით რბილი თმა ჰქონდა, მაგრამ მაინც აბურძგნოდა.

— აბა, ყველაფერი თქვი, მართალი თქვი, — რაულის ეშვებმა ზედ მარტას სახესთან გაიელვეს, — თქვი, რომ გაღმერთებ... რა მოგდის? — რაულმა ასე იცოდა მუდამ, წაავლებდა ნიკაპში ხელს და გულმოდგინედ უხსნიდა: „იცოდე, აი ეს კარგია... ის ცუდია. სწავლა-განათლება შენ არ გჭირდება, როგორიცა ხარ, კარგი ხარ და სწორედ ასეთი მომწონხარ". ამქვეყნად მხოლოდ ერთი რამ იყო მთავარი: რაულს მოსწონებოდა. (რომ დავბერდები, ნაფოტად მაქცევს საბრალო პინოქიოსავით.)

ჯეზა გამოუმშვიდობებლად წავიდა.

— უზრდელია, — რაულმა ღვინო მოსვა, — ყურადღებას ნუ მიაქცევ. მისი ბრალი არ არის. ზრდილობის მასწავლებელი არავინ ჰყავდა.

— თქვენ ხომ ერთად იზრდებოდით? — მორიდებით ჰკითხა მარტამ.

— მე სხვა ვარ. ჩემთვისაც არავის უსწავლებია, მაგრამ მე თვითონ ვცადე და შევითვისე კიდეც. გაიგე?

ჭიქის ფსკერზე ალისფერი წვეთი ელავდა მინდორში დაკარგული ლალივით.

— ერთი აზრისანი ვიყავით, ერთნაირი გეგმები და იმედები გვქონდა... მერე? ცხოვრება ხანმოკლეა და კაეშნით სავსე. ბოლომდე უნდა მიჰყვე, თორემ მოხედვასაც ვერ მოასწრებ, ისე გადაგყლაპავს და ჩაგნთქავს.

— შენც გადაგყლაპა?

— კი უნდა გადამყლაპოს, — გაეცინა რაულს. — მაგრამ არაფერი გამოუვა, დავასწრებ, თავად გადავყლაპავ... მე ეჭვიანი, უხერხემლო კაცი ვარ, ჯეზა კი ერთხელ ნათქვამს არასოდეს გადავა. მე ცხოვრებამ მასწავლა ქედის მოხრა და ათასი მამაძაღლობა. ის კი უდრეკია, ვერაფერმა შეცვალა, ვერაფერმა მოადრეკინა თავი, არადა, იმასაც ხომ უჭირდა..

მარტამ შეამჩნია, რაულს თითები უთრთოდა შიშით.

— წავიდეთ? — რაულმა იდაყვზე ხელი შეაშველა. ქუჩაში გავიდნენ. გარეთ ბინდი მოძალებულიყო.

— სინდისი არ გქენჯნის? — გაეცინა მარტას.

იზორბას ქსელივით თეთრი და თხელი მტვერი ედებოდა ქვაფენილს.

— არ მომწონს აქაურობა. — მარტას უცებ მოყირჭდა ყველაფერი. — არაფერი არ მომწონს. გემუდარები, წავიდეთ აქედან, სადაც გინდა, ოღონდ წავიდეთ.

— რას ამბობ? რას სულელობ? წამო, დავბრუნდეთ შინ, გამოიწყვე და გავიაროთ სადმე. მალე გადაგივლის ნაღველი. ასეთ კარგ ადგილს სად ნახავს კაცი?

— არ მინდა, არა...

მარტას სევდა შემოაწვა. არც წასვლა უნდოდა, არც დარჩენა. ახლაღა მიხვდა, დედამისს რატომ მოუვლიდა ხოლმე პოხონდრია. „რაღაც მემართება, იქნებ ჭკუაში ვვარდები“. მარტამ დაამთქნარა და კვლავ სასაცილო და მოსაბეზრებელი ეჩვენა ყველაფერი.

— უგულო ხარ, — უთხრა რაულმა. — სწორედ ეს მომწონს შენი.

მარტა ღრმად არასოდეს ჩასწვდომია ამ სიტყვებს. რაულმა აკოცა და ისიც მორჩილად გაჰყვა უკან.

მეორე დღეს მარტინამ საუზმე მიართვა, უცნაურად იღმიჭებოდა და ფხუკუნობდა:

— რა მოგივიდა?

— არაფერი გაგიგიათ? საშინელება მოხდა. მეყასბის გოგო ხომ იცით, ანგელოზს რომ უგავს სახე...

— მე აქ არავის ვიცნობ!

— ჰო, დიახ, ჩვიდმეტი წლისაა და უკვე ბავშვი დაბადა. სამი-ოთხი დღისა იქნებოდა უკვე... ვინ იფიქრებდა... ბაიბურში არ იყვნენ არც მშობლები, არც ძმები. ჰოდა, დღეს ნაგავში ნახეს. მენაგვეს უნახავს. წიწილასავით დაუკლავს იმ გომბიოს და გადაუგდია!..

— კმარა, გეყოფა! — მარტას შეაძაგძაგა. ყურებზე ხელი აიფარა. წყვდიადიდან ნაცნობი ყვირილი მოემართებოდა მისკენ... — მომაშორე ეს სინი, არაფერი არ მინდა!

— გასაგებია, — მარტინამ მწარედ ჩაიცინა. სინს ხელი სტაცა: — არაფრის გაგება არ გინდათ, ძვირფასო, თავს არ იწუხებთ, თქვენ რომ გგონიათ, მარტო რესტორნები და კარგი ჭამა-სმა კი არაა ეს ცხოვრება, სხვაც ბევრი რამ ხდება ამქვეყნად.

მარტამ საბანი გადაიფარა, თვალები მაგრად დახუჭა. მთელი დღე იწვა. მხოლოდ შვიდ საათზე ადგა. ხმას არ იღებდა.

— რა უცნაურად გამოიყურები, ცუდად ხომ არ ხარ? — ჰკითხა რაულმა.

— არა. მარტო ყოფნა მსურს.)

## V

(გაზაფხული ძალას იკრებდა ქვაფენილით შებოჭილ მიწაში, ლარივით გაჭიმულ გაზონებში, ხის ფესვებში. ზეცას დაქუხება სწადდა, ქვეყანას შევაზან-

ზარებო, იმუქრებოდა. მიწის გულში რაღაც ფეთქავდა, დილის სიო ხეებს აშრიალებდა, ტოტებზე კი მხიარულად ქიქქვებდნენ ჩიტები.

მარტამ ალარაფერი იცოდა ჯეზასი, მხოლოდ საღამოობით თუ დაინახავდა მისი ოთახიდან გამოსულ შუქს, ან ხანდახან თუ გაიგონებდა მის ნაბიჯებს. იმდღევანდელი უხერხული დუმილი არ ავიწყდებოდა და რატომღაც ახლა გული მიუწევდა ჯეზასკენ. რაულსაც, თითქოს რაღაცის ეშინოდა, უცნაური ლაპარაკი დასჩემდა. მარტას არსებაში კვლავ სიცარიელე მეფობდა. იმ საღამოს, კლოდ რიმოლი რომ ესტუმრათ, მარტამ რაულს უთხრა:

— მე არ წამოვალ. მარტო დამტოვე, ხომ გითხარი, მარტო ყოფნა მინდა-მეთქი.

რაულმა გამოცარიელებული თვალები მიაპყრო:

— მე მგონი, ურიგო არ იქნებოდა, ზღვაზე წავსულიყავით კვლავ.

კაბინეტიდან მძაფრი სუნი მოიწევდა. რძისფერ მინებში შუქი იმსხვრეოდა.

— წავიდეთ აქედან, რაულ, სხვაგან ვიცხოვროთ.

რაულმა არ უპასუხა, ზურგშექცეული იდგა და სარკეში ისე გულმოდგინედ ათვალიერებდა საკუთარ თავს, თითქოს პირველად ხედავსო.

— გვიან დავბრუნდები, — თქვა მან ბოლოს.

ჯეზას ოთახი მარტას საძინებლის პირდაპირ იყო. პირველად მორიდებულად დააკაკუნა, არავინ გამოხმაურებია. მარტამ კარი შეაღო და ჯეზა დაინახა: პიჯაკი გაეხადა, მაგიდას მისჯდომოდა ფანქრით ხელში და ქაღალდებს ჩაჰკირკიტებდა. მაგიდის ნათურის შუქზე სახე ნაზი მოუჩანდა. შუბლზე თმა ჩამოშლოდა, აბრეშუმივით რბილი, მაგრამ ურჩი ჭაღარა თმა. რაულზე ორი-სამი წლით უფროსი იქნებოდა. ლურჯსა და გამჭვირვალე თვალებში სიცივე ჩასდგომოდა. დაჟინებით შესცქეროდა მარტას.

— მიდიხარ ჩვენგან? — მარტამ იატაკზე დადგმულ ჩემოდანზე ანიშნა. გაბერილი, ღვედგადაჭერილი ჩემოდანი პატრონის მომლოდინე ძაღლს ჰგავდა.

— ჰო, მივდივარ. — ჯეზამ ოდნავ შეარხია ტუჩები. იქნებ სულაც არაფერი უთქვამს და მხოლოდ თავი დაუქნია. მარტას შიშმა თუ აღელვებამ მთლად წაართვა ენა. ხელები და მთელი სხეული უცახცახებდა.

— სად მიდიხარ, არ მოგწონს აქაურობა?

ჯეზამ რაღაც უპასუხა, მარტამ ვერ გაიგონა. მერე კარგა ხანს რაღაცას უხსნიდა მშვიდად, დაბეჯითებით, აუღელვებლად, თვალმოუშორებლად. მარტა სკამზე ჩამოჯდა გვერდით, იცოდა, ჯეზას მისთვის არა სცალოდა, მაგრამ მაინც ჩამოჯდა. ჯეზამ გაკვირვებულმა აზიდა წარბები.)

— ჯეზამ ჩვენგან წასვლა რომ დააპირა, ავდექი და მასთან შევედი ოთახში. ვკითხე, რატომ მიდიხარ, აქაურობა არ მოგწონს-მეთქი? არ მახსოვს, რა მიპასუხა. იმ დღეს მასთან დავრჩი, განშორებას ველარ ავიტანდი. რაღაცით მიზიდავდა და ახლაც არ გამქრობია ეს გრძნობა, — თქვა მარტამ.

(ჯეზა ტანმაღალი კაცი იყო. თმა გაჭაღარავებოდა, თუმცა სახისა და თვალების ფერზე ეტყობოდა, ოდესღაც ქერა უნდა ყოფილიყო.

— რა მოგდის? — ჰკითხა ჯეზამ.

— არ ვიცი, — ძლივს ამოილუღლუღა მარტამ.

— ცუდად ხომ არ ხარ?

ჯეზა საერთოდ ცოტას ლაპარაკობდა, რაული კი ამბობდა, ლაყბობის მეტი არაფერი იცისო. „ლაპარაკით კი ლაპარაკობს, მაგრამ არც დროს ხარჯავს ამაოდ და არც სიტყვებს", — გაიფიქრა მარტამ.

— არა, კარგად ვარ. არ ვიცი, რა მომდის. ნეტავ სადმე წამიყვანა, ოღონდ „ედემში" და „ექსცელსიორში" კი არა, სხვაგან, სადაც არ დამალევინებენ იმ სისაძაგლეს, რაულს რომ ასე ძლიერ მოსწონს და სადაც ერთსა და იმავეზე არ ილაყბებენ. — მარტამ დაცვარულ შუბლზე გადაისვა ხელი. — არაფერია, გამივლის, ეტყობა გადავიღალე.

— არ გეძინება?

ვაჟის კილომ გააოცა მარტა. არც გულგრილობა და არც ცნობისწადილი არ იხატებოდა მის შეკითხვაში. ისე უბრალოდ ჰკითხა. მერე საჩვენებელი თითით ცხვირი მოისრისა (მერე და მერე შეეჩვია მარტა ამ მოძრაობას) და ფანქარი მაგიდაზე დადო.

— მეც არ მეძინება, წამოდი, გავიაროთ.

— გვიან არ არის?

— რა დროს გვიანაა. გავიაროთ, მეტი რა საქმე გვაქვს.

მხოლოდ ახლა გაიღიმა ჯეზამ, ადგა, სკამის საზურგიდან პიჯაკი გადმოიღო, ცალ მხარზე მოიგდო და მარტას შეხედა:

— აბა, წავიდეთ. მეც დავიღალე.

ჯეზამ ჰალსტუხი გაისწორა გაჩვეული ხელით, სწორედ მაშინ იგრძნო მარტამ, რომ ამ ხელმა დაიმორჩილა საბოლოოდ, ეს ხელი უპირებდა დახრჩობასაც. რაღაც გაეხირა ყელში, სულელური შეკითხვები მოიწევდა საიდანღაც: „რას ვაკეთებ, რისთვის ვცოცხლობ, რა ხდება ირგვლივ? რა მომდის? რატომ არ მიყვარს ვინმე?"

— გინდა ვიხეტიალოთ?

— მინდა. თანაც დიდხანს მინდა ვიხეტიალოთ.

ჯეზა ისე მიაბიჯებდა, მარტას არ უყურებდა. სამაგიეროდ მარტამ იცოდა, ჯეზა მის გვერდით იყო. ვაჟს ფეხი აუწყო, ხელზე მოეჭიდა. ჯეზამ ოდნავ მოხარა მკლავი. მის მკლავს არც მაგარი ეთქმოდა და არც ღამყოლი. მარტამ გუმანით იგრძნო, გაჭირვების ჟამს რკინისად გადაიქცეოდა.

უცებ მარტა შედგა. თავის მობრუნება ვერ გაბედა.

— რა მოგივიდა?

მარტამ არ უპასუხა, შიშით შეპყრობილი ხმას ვერ სძრავდა. ერთი პირობა გადაწყვიტა, გავიქცევი და ისევ რაულის სუნამოთი და ღვინით გაჟღენთილ ხავერდის სამყაროში ჩავიფლობიო, წავალ და ისევ „ექსცელსიორსის" ხმაურში ან მთელ ქვეყნიერებისგან კვამლისა და ღერწმის ფარდით გამოცალკევებულ „ედემის" ცალკე კაბინეტში ჩავიძირებიო... ახლა აღარც ცნობისწადილი ჰკლავდა რაიმესი, მისთვის კვლავ სულ ერთი იყო ყველაფერი, სიცარიელე ელოდა კვლავ. „ვიცი, ვგრძნობ, რაც მომივა. მე ხომ ახლა გავიგებ იმას, რისი გაგებაც იქნებ სულაც არ მინდა", — რა ხანია ეს ხმა, ეს ძახილი უბურღავს სხეულს, ახლა გულში ჩაჰბუდებია და სიბნელეში გზადაკარგული ბავშვივით დაფათურობს.

— გინდა შინ დავბრუნდეთ?

მარტას გაუკვირდა — ვაჟის ხმაში მოუთმენლობის ნასახიც არ ჩანდა. (ერიდა, ნამდვილად ხელს ვუშლი. რა უფლება მაქვს, დრო წავართვა, მე ხომ მისი ძმის მეგობარი ქალი ვარ, თანაც დიდი ხანია ვიცნობ თუ რა?) ჯეზა ყურს უგდებდა მარტას, მაგრამ ვერ გაიგებდით, ყურადღებით თუ თანაგრძნობით. (დარწმუნებული ვარ, არავინ ებრალება. აბა, ანტონიტო ამაზე კი არ იტყოდა, ოქროს გული აქვს! იქნება სულაც უსულგულო გიდაცაა, მეტისმეტად ნამდვილი და გამოკვეთილი ჩანს ამ ბურუსში. საორიენტალიოდ დანიშნულ ხეს ჰგავს, თავის მისახეთქებელ კედელსა ჰგავს, ზღვასა ჰგავს მშვიდსა და მაინც ვერაგს. შეხედვისა გეშინია, მაგრამ თვალსაც ვერ აცილებ.)

— არა, შინ არ მინდა. ამ ბოლო დროს ისევ მივეძალე ღვინოს, — მარტა ცდილობდა ხუმრობის კილოზე ელაპარაკა, მაგრამ ჯეზა კუშტად უცქეროდა, სულაც არ ეღიმებოდა, მოთმინებით უგდებდა ყურს. (არც ცნობისწადილი აწუხებს, თითქოს უსისხლო იყოს.) და მაინც მარტას შეუმჩნეველი არ დარჩენია ჯეზას მთრთოლვარე წითელი ტუჩები და მისი მკლავის სითბო და სიცხადე.

— თუ არ გეძინება, — მარტას არსებაში ქარიშხალივით ბობოქრობდა რაღაც, — ზღვასთან მივიდეთ.

— მივიდეთ.

ეს სიტყვები ჯეზამ რბილად და თითქმის ალერსიანად წარმოთქვა. ქალს ხელკავი გამოსდო და ასე გვერდიგვერდ გაუყვნენ გზას. მარტამ სულ ახლოს იგრძნო ვაჟის სხეული, ისიც იგრძნო, ახლა მტკიცედ რომ იდგა მიწაზე. „არც უხეში კაცია და არც მოუქნელი, — გაიფიქრა მარტამ. — ამისთანა კაცზე იტყვიან „მოხერხებულიაო“. მარტას ტკბილმა ჟრუანტელმა დაუარა და ჯეზას შეაცქერდა. ჯეზა დუმდა, ეტყობოდა, მისი ფიქრები შორს ფრენდნენ, თუმცა ქალის გვერდით კი მიაბიჯებდა, სწორედ რომ მიაბიჯებდა მხოლოდ.

ხეივანს გასცდნენ.

— თუ დაიღალე, ტაქსის გავაჩერებ.

— არა, მირჩევნია ფეხით გავიაროთ.

(ნეტავ სულ ფეხით მატარა და მატარა, ამის მეტი არაფერი მინდა ახლა.) უცბად ჯეზამ საოცარი რამ ჰკითხა:

— რა გქვია?

(არც ახსოვს ჩემი სახელი. რაულმა უთხრა, ამას კი არ დაუმახსოვრებია.) მარტამ გაუმეორა. მერე ხმა არ ამოუღიათ იქამდე, სანამ ასე დაუბრებულები მოულოდნელად არ მიადგნენ ნაპირს, თითქოს სიზმარში იყვნენ და გამოერკვნენ (თითქოს მდინარეში მივცურავდით ნელა, სანაპირო კი სავსე იყო ფიქრებითა და ხმებით, ქალებითა და კაცებით. ერთიმეორის მიყოლებით ჩამწკრივებული სკამები შორიდან სათამაშო მატარებელს ჰგავდნენ). ძველი სკამების საზურგეები აპერიტივისა და კიდევ რომელიღაც ლამაზი, მაგრამ უმაქნისი ნივთების რეკლამებით აეჭრელებინათ. მარტას მოეჩვენა, გზის გასწვრივ გაწოლილი მოაჯირი თითქოს გალღვა და ნაპირზე იდუმალ ცარიელ ნიჟარებივით დაილექნენ წყვდიადიდან ამოტივტივებული სხეულები. ისინი უსიცოცხლო წყალმცენარეებივით, ფერგაცლილ ზღვის ვარსკვლავებივით გაიფანტნენ ქვიშაზე. ადამიანთა გამჭვირვალე სხეულები ზამთრის ცაზე მოკაშკაშე ვარსკვლავებივით ერთი მეორის მიყოლებით ჩნდებოდნენ (წინათ სხეულს ძველი სკივრივით მალავდნენ. ახლა სხვა დრო დადგა. ყველა სიტყვა და მორიდებული სიცრუე გაქრა, სიზმრებსა და ხშირ ტოტებში მიიმალა. მდუმარებაში დაბორიალობს ჩემი ნაღველი, სიცარიელე, უბედობა, იმედი და მგონი ისიც, რასაც გულს ეძახიან. თითქოს

პეპელა აშრიალებს თავის სუსტ ფრთებს ბნელში და გულგრილობის კედელს ეხეთქება, თითქოს საცოდავად მოკუნტულ კაცს სძინავს და გამხდარი მხრები ჭანცვაწყვეტილი ცხენის კუსუბისავით უჩანს გაცრეცილ პიჯაკში. ძალაგამოცლილი ქალი მოსხლეტილ ღეროსა და ულონოდ გადმოშვებული ნაჯაფი ხელებით; მარტოსული კაცი თვალგახელილი ხედავს სიზმარს და ჩუმსავით მიექანება მოგონებათა შორეულ ქვეყნებში, სადაც ვერასდროს მიაღწევს. მარტა [illegible] და ვერ გარკვეულიყო, ყოველივე ეს ცხადში ხდებოდა თუ სიზმარში. გზატკეცილზე ღამე და სიცოცხლე მოაბიჯებდნენ, აქეთ-იქით კი მდინარისპირა მცენარეებივით — ბავშვობაში რომ შხამიანი ეგონა — ფუთფუთებდნენ სევდიანი ადამიანები, რეალური და საწყალობელი სამყაროს (იმედით, გულგრილობითა და სილატაკით სავსე სამყაროს) ლანდები. სიცოცხლე თავის დახსნას ცდილობდა ქერქიდან, მიწისქვეშ გარინდული წყაროსავით, სისხლივით, დაცობილი არტერიიდან გადმოსახეთქეფად გზა რომ ვერ უპოვია ვერაფრით. „იქნებ ჩემს არსებაში სიჩუმის ნაცვლად ხმაური დგას და მე არ მესმის", — მარტა შეკრთა, წყალწაღებულივით ჩაეჭიდა ჯეზას ხელს და შეშინებულმა უთხრა:

— არ მომწონს ეს ცხოვრება.

მარტას ეს სიტყვები ანგარიშმიუცემლად დასცდა. უკვე სანაპიროს მიუახლოვდნენ. ახლა სხვა რაღაც მოაგონდა მარტას: „მაშინაც, იმ საღამოს, სანხუანში, სანაპიროზე წავედი რაულთან ერთად" და მაინც ახლანდელი სტუმრობა ზღვასთან სულ სხვა იყო, (მაშინაც სილით ამევსო ფეხსაცმელი.) ეს სულელური მაღალქუსლიანი წითელი ფეხსაცმელი მაინც რამ ჩააცმევინა. მარტა მოუხერხებლად დაიხარა, თითქოს რაღაც უთქმელი დანაშაული ტანჯავსო, როგორც იქნა, ფეხსაცმელი გაიძრო და უეცებ წაბარბაცდა კიდეც. ჯეზამ ხელზე მოუჭირა ხელი.

მარტამ ჩაიჩოქა. მუხლები ნოტიო ქვიშაში ჩაეფლო. ნელი ქარი თმას უწეწავდა. თვალები დახუჭა. მიწაც და ჰაერიც ზღვის სუნით გაჟღენთილიყო. თვალი რომ გაახილა — ბნელი იფანტებოდა, ღამის ჰაერი მკრთალი ოქროსფერით ივსებოდა. სითეთრე მოარღვევდა ღამეში და ქვიშას ბზვინვა გაჰქონდა. „როგორ მეცნობა ეს სითეთრე — მიცვალებულთა შემაზრზენი სითეთრე". ზღვა ღმუოდა და გაუბედავი ნადირივით ხან წინ მიიწევდა, ხან უკან იხევდა, თავდასხმას კი ვერა და ვერ ბედავდა (იმუქრება, რაღაცას ცუდს მიქადის. ქვეყნიერება, რომელსაც ზურგი ვაქციე, ყრუდ ქვითინებს).

განათებულ ჰორიზონტზე ნავები შავად მოჩანდნენ. ჯეზაც მარტას გვერდით ჩამუხლულიყო და ქალს თვალს არ აშორებდა.

— არ მომწონს ეს ცხოვრება, — გაიმეორა მარტამ.

ჯეზას არ გაკვირვებია, არც გაბრაზებულა, უბრალოდ თქვა:

— „მომწონს" და „არ მომწონს" რა შუაშია, როცა საერთოდ არ იცნობ ცხოვრებას.

მარტამ მეორედ დაინახა, ჯეზა ბავშვურად ღიმებოდა.

— მოდი, სცადე და დაფიქრდი სხვათა ბედზე, როგორ ცხოვრობენ შენ გარშემო, რა უჭირთ, იქნებ გულზე მოგეშვას.

— ძალიან მინდა ასეც მოვიქცე, მაგრამ ჰკუა არ მყოფნის, — წყნარად თქვა მარტამ. — სუყველა ამას ჩამჩიჩინებდა, უჭკუო ხარ, შენგან არაფერი გამოვაო. ახლა კი... აქამდე რაღაც არ მაწუხებდა ეს ამბავი.

ჯეზამ პირველად გაუწოდა ხელი. მარტა სწრაფად ჩაეჭიდა და თავის ხელებში მოიმწყვდია ვაჟის ხელები.

ირგვლივ მკაფიოდ გამოიკვეთნენ საგნები. სინათლე მაღლა მიიწევდა, ცისაკენ. მარტას ზურგს უკან წყვდიადიდან წამოიმართნენ ბინძური ფასადები, ნაგავი, თეთრი ლაქები. წინ მთვლემარე სასწაულივით მძიმედ ჩაწოლილიყო ჩაბნელებული სანაპირო. ცაზე ღრუბლები გარბოდნენ.

ვიღაც კაცი წელში წახრილი მისდევდა ქარისგან გაფანტულ ქაღალდებს. ხელში კაკვი ეჭირა. ქაღალდს ანკესივით მოსდებდა და ჩანთაში ჩატენიდა. მერე ის კაცი წავიდა, ბინდში მიიკარგა. მერე ისევ ქვიშის ხრაშა-ხრუში მოესმათ, ბურუსში გახვეული კაცი მიუახლოვდათ და ღვინით გაუმასპინძლდა ორივეს.)

— ჰოდა, ის დღე იყო და ის დღე, ვეღარ მოვშორდი ჯეზას.

(— კი მაგრამ, სად მიდიხარ?

— პედრალბესის ქუჩაზე ბინა ვიშოვე.

(ჯეზაზე თითქმის არაფერი ვიცი, იქნებ ცოლ-შვილიც ჰყავს, ან იქნებ თავისი აბდაუბდა იდეების გარდა, როგორც რაული ამბობს, სხვა რამ ტვირთი აწევს კიდევ მხრებზე. მხოლოდ რაულის ნაამბობით ვიცნობ მას, ეს არის და ეს.)

ჯეზა კვლავ ბიჭად დარჩა. სხვები ასაკში შესვლისას იცვლებიან, გზის დასასრულს საკუთარ თავს შორიდან შესცქერიან სევდიანი ქონდრისკაცებივით. ჯეზა ჯეზად დარჩა. არაფერი დაუკარგავს, არაფერი შეუძენია, არ შეცვლილა. „ისარივით მიფრინავს სიკვდილისაკენ, — გაიფიქრა მარტამ. — ვიცი, ჩემს გრძნობას სიყვარული ჰქვია, მაგრამ მარტო სიყვარული არ მაკავშირებს ჯეზასთან".

შინ რომ დაბრუნდნენ, ხიწყნარე იყო სახლში. რძისფერი შუქი წვიმის წვეთებივით ბრწყინავდა კაბინეტის შემინულ კარზე. მარტას სძულდა ეს მაღალი კარი და ეს ამაზრზენი სუნიც. სძულდა ბინძური სითეთრისა და წითელი ხავერდის სამყარო. რაული შინ არ იყო.

მარტა დერეფანში გავიდა და ჯეზას ოთახის კარი შეაღო. შესვლისას ჩუმად მოიხურა. ცხადლივ იგრძნო, ზურგსუკან მოიტოვა სირცხვილი და სიცარიელე. წინ მხოლოდ შეკითხვა, მხოლოდ საშინელი წყურვილი ელოდა. ჯეზა მდუმარედ შესცქეროდა ოთახში შესულ ქალს. მარტა მიუახლოვდა, ფეხის წვერებზე აიწია, კისერზე ხელი მოხვია და აკოცა.

კარგა გათენებული იყო, რომ გამოეღვიძა. ჯეზა წასულიყო. „რაული?" მარტას არ შეშინებია, ოდნავ შეცბა მხოლოდ. წამოდგა მიიხედ-მოიხედა. ოთახში არავინ იყო. უცებ გული შეუქანდა. მაგიდაზე პაწია იალქანივით თეთრად ჩანდა ოთხკუთხა ქაღალდი. მარტა სწრაფად დასწვდა: მისამართი ამოიკითხა, მეტი არაფერი. მარტამ ქაღალდი მოჭმუჭნა, სახესთან მიიტანა (სხვა გზა აღარ ჰქონდა.)

მარტამ ზღურბლს გადააბიჯა. საძინებელი ოთახის კარი მიხურული იყო. შევიდა. რაულს ეძინა. ჩვეულებისამებრ ახლაც ბალიშში ჩამხობილიყო პირქვე და თმააბურძგნული კეფა მოუჩანდა. მარტამ საწოლს გვერდი აუარა, აბაზანაში შევიდა და ბავშვივით ხარბად მოუშვა ორივე ონკანი. კარგა ხანს ნებივრობდა შხაპქვეშ. ახლა ნელა, თავდაჯერებულად, აუჩქარებლად აკეთებდა ყველაფერს.

სიდინჯე და მტკიცე გადაწყვეტილება დაუფლებოდა მთელ მის არსებას. კარებში რაული გამოჩნდა.

— სად იყავი?

რაულს არც გაბრაზება ეტყობოდა, არც ეჭვიანობა. მის ხმაში განწირულება ჟღერდა. თმადაუვარცხნელი ძილბურანიდან ჯერაც ვერ გამოსულიყო. „რა საცოდავი და ნაღვლიანია ახლა იგი, შეხედვაც შემზარავს“ — მარტამ ნაბიჯი გადადგა, მაგრამ რაულმა მხარში ჩაავლო ხელი:

— სად იყავი-მეთქი?!

— ჯეზასთან.

რაულმა ხელი სწრაფად გაუშვა, თითქოს ნაღვერდალმა დასწვაო, ნაბიჯი უკან გადადგა. მარტამ შეამჩნია, რაულის თვალებში ძილის ბურუსი იფანტებოდა და მის ადგილს მტანჯველი ტკივილი ისადგურებდა.

— კარგია, კარგი, — რაულმა ღიმება სცადა, მაგრამ სახე დაელმიჭა, უსახოო და უშნო ჩანდა ახლა იგი. — გასაგიჟებელი ამბავი არ მოხდება, შენ რომ შეაცდინო? გასაგიჟებელი და თანაც არაჩვეულებრივი. დაგაჯილდოებ, იცოდე, შენ რომ ეს მოახერხო. წარმოუდგენელია, შენისთანა მუმლმა ასეთ მუხას შეუტიოს.

რაულმა კვლავ მხრებში ჩასჭიდა ხელი. მარტამ გაიწია, კარადასთან მივიდა. ჩემოდანი გამოიღო. გაოცებულ რაულს ზედაც არ უყურებდა.

— რას სჩადი? სად მიდიხარ?

— იმას მივყვები.

— იმას? — რაულს სიცილი აუტყდა. საწოლზე ჩამოჯდა, შუბლზე ხელი გადაისვა. ფეხშიშველი იყო, მწვანაკრავი კანი უბზინავდა. მარტას მუდამ ეშინოდა ამ უცნაური მწვანის თათებისა. უცებ მოუნდა მუხლებზე შემოხვეოდა და მთელის ძალით ეყვირა: „მიშველე, რაულ, გადამარჩინე უფსკრულს! გამომაფხიზლე, ხელი შემაშველე, კვლავ შენს საუფლოში დამაბრუნე!“ უნდოდა ეყვირა, მაგრამ რაულის ხმამ გამოაფხიზლა:

— ნამდვილად ჭკუაზე შეიშალე. იმას მიყვები, ხომ? მერედა, იცი, ვინ არის, რას წარმოადგენს ეს კაცი? ვერ დავიჯერებ, ნუთუ იმან გთხოვა, წამომყევიო?

— იმას არაფერი უთხოვია.

— ალბათ არც ის უთქვამს, მიყვარხარო. ამისთანები არ ეხერხება.

— არ უთქვამს. — მარტამ მიკარგული გამოძახილივით გაიმეორა რაულისვე ოდესღაც ნათქვამი: — ის არასოდეს არაფერს თხოულობს.

რაული წამოდგა:

— გაგსრესს, აი, რას გიზამს იგი! გაგსრესს! ის ხომ ადამიანი არ არის.. ის... ის... გაგანადგურებს. ერთ დროს მეც კინაღამ დამღუპა... ის სიკვდილია და შენც მოგკლავს.

რაულის ხმა ავბედითად ჟღერდა, ეტყობოდა, თავადვე უკვირდა. მერე თითქოს დამშვიდდაო, წყნარად და უბრალოდ, მამაშვილურად დასძინა:

— შენ და ის ერთად ვერ წარმომიდგენიხართ. წყალსა და ცეცხლივით ხართ. რას მიყურებ, მართალს ვამბობ! — მაგრამ რაული თავადვე მიხვდა, ამაო იყო მისი სიტყვები, ულონოდ დაეშვა სკამზე.

მარტამ ჩემოდანი დაკეტა, მობრუნდა: რაული სადღაც იცქირებოდა.

— მშვიდობით, რაულ, — მარტას ზურგსუკან კარი ჭრიალით მიიხურა.)

## VI

კიბის საფეხურებს ჭრაჭუნი გაჰქონდათ — სარდაფიდან ვიღაც ამოდიოდა. წაგრძელებული უცნაური ჩრდილი ჩამოფხავებულ კედელს მაღლა-მაღლა მოჰყვებოდა. (ძველი, ცარიელი და მიტოვებული სახლი იყო.) უკანა კედელი ელს შეერუჯა.

მარტა ძველ სავარძელს ჩაეჭიდა. სავარძლის დალაქავებული შალითა, თითქოს დანით დაუსერავთო, მთლად დაფლეთილიყო.

სანამ აქ ესტებანი დასახლდებოდა, ეს სახლი სამხრეთიდან გამოქცეულთა თავშესაფარი იყო. მერე ხან საწყობი გამართეს, ხან მაღაზია, ერთხელ რომელიღაც დაწესებულებაც კი დაბინავდა დროებით. (შენი ჩრდილი, ჯეზა, შენი საოცარი შუქი დაბორიალობს აქ, ხან დინჯად შემოდის კარებში, ხან ძახილივით შემოიჭრება და მიხსნის იმას, რისი ძირისძირობამდე გაგებაც ვერა და ვერ შევძელი, ჯეზა. მსურდა გამეგო, მაგრამ ვერ მოვასწარი; უკან მოგდევდა მკვლელი. იქნებ ახლა ჩაყვები ყველაფერს, ყვირილი მახრჩობს, მაგრამ გზაბნეული ბავშვის ტირილივით არაფრის მთქმელია იგი.)

ჩრდილი ნელ-ნელა მოცოცავდა მაღლა. ის ბიჭი ამოდიოდა სარდაფის კიბეზე, ვისაც ცხრამეტი წელი არასოდეს შეუსრულდება. ბერიკაცივით მოუყვებოდა კიბეს. მერამდენე დღეა ის ბიჭი სარდაფიდან ხან კონსერვებს ზიდავს, ხან შეშას, ხან კიდევ რას და მხიარულად იღიმება. „ნუ გეშინია, სარდაფში იმდენი სასმელ-საჭმელი გვაქვს, კარგა ხანს გვეყოფა“. ბიჭი მართლა პატარა ბიჭივით ჭამდა, მხიარულად იცინოდა და მამაკაცურ ხელებს (მხოლოდ ხელები აქვს მამაკაცური) ფანჯრისკენ, მზისკენ, ხანაც გაშიშვლებული ხეებისკენ იშვერდა: „დღეს დარი იქნება, ნახე თუ არა“. „წვიმს, ფანჯარა მოვხუროთ, ქარიც ამოვარდება“. მერე გარეთ ეზოში გამოცდილ მებაღესავით თხრიდა ბაღახს. ჭიშკარი და ფეხმობრეცილი სკამები შეაკეთა. ისე დამღლილან, გეგონება, ომში იყვნენო, ხუმრობდა. სადილსაც ამზადებდა, კონსერვის გახსნისას ტუჩებს იკვნეტდა, სუფთად და ლაზათიანად აკეთებდა ყველაფერს.

თანაგრძნობა და შიში დიეუფლა მარტას, როცა ბიჭის კედელზე მბობლავი ჩრდილი დაინახა. დივანის საზურგეზე ჩაჭიდებულ საკუთარ ხელებს დახედა და მოეჩვენა, ორი შეშინებული, გაყინული პატარა მხეცი გარინდულაო ჭუჭყიან შალითაზე. (ჩრდილი უსხეულოდ არ არსებობს, სხეულში კი სისხლი ჩქეფს, გული ძგერს, სიცოცხლე დუღს. იქნებ შიშიც თრთის. შიში და სიცოცხლე ძლიერია, მაგრამ წყალივით იღრძვება, ჩანჩქერივით იმსხვრევა, უზარმაზარ თეთრ კედლად რომ ეშვება მიწაზე ან ზღვაში, სადაც მდინარეებს ამა ქვეყნის მწარე მარილი მოაქვთ. შიში და სიცოცხლე ტალღებივით ყალყზე დგებიან.) ჩრდილი შედგა და თითქოს მდინარემ ხე გამოაცურაო, გამოჩნდა სხეული. (რა მაღალი ყოფილა!) ბიჭს ხელში შამხანა ჩაებღუჯა.

— წამოდი, — უთხრა მანუელმა.

მარტა მისკენ გაემართა. (სწორედ ეს წყნარი და უცნაური ბიჭები მოედვნენ ქვეყანას შავი ჭირივით, ციებ-ცხელებასავით და ჯიუტად გაიძახიან: „იბრძოლე!“ „მიდი, უკანდასახევი გზა არა გვაქვს!“) მარტა თითქოს პირველად ხედავდა ბიჭის სპილენძისფერ თმას, დიდ თვალებს.

მარტა ბაღში გაჰყვა მანუელს. კარმა უცნაურად დაიჭრიალა (ვეღარასოდეს გადავაბიჯებ ამ ზღურბლს, ვეღარ გავიგონებ ამ ანჯამების კვნესას, ვერ დავინახავ საკუთარ ჩრდილს იატაკზე.) მზის ოქროსფერი სხივები გვირგვინივით დაადგა ბოლოწაწვეტებულ რკინის მესერს. გზის მოსახვევიდან რაღაც ხმები და ათინათი მოიწევდა.

თითქოს კედელს ანგრევენო, ყრუ ხმა ისმოდა (მიწის ძახილი თუ იყო, მუდამ მდუმარე მიწისაც ძალუძს ყვირილი.)

ისინი გალავანს მიუახლოვდნენ. მანუელმა ჩაიმუხლა. [illegible] მაგრად ჩაებღუჯა ხელში. მარტას ესმოდა, ხუთი დღე სარდაფში როგორ ივარჯიშებდა ხელს მანუელი სროლაში. დილა-საღამოს ნატყვიარი კედლის სანახავადაც ჩადიოდა (მიზანში ვერ ისვრის.) მარტამაც მანუელის გვერდით ჩაიმუხლა, თავით გალავანს მიეყრდნო და თვალები დახუჭა.

გზაზე გაძვალტყავებული ძაღლი გამოჩნდა. მისი ყეფა ქარს ფერდობისკენ მიჰქონდა. უცბად ძაღლი გაჩუმდა, შეჩერდა. ფეხათრევით დაიხია და უკან გაბრუნდა ყურდაცქვეტილი და ენაგადმოგდებული.

მოსახვევში, ბურუსიდან ტანკი გამოცურდა. მალე ადამიანებიც გამოჩნდნენ, აქეთ-იქით გაიფანტნენ და ხევებს ამოეფარნენ. მანუელმა შაშხანა შემართა, ლულა ქვის გალავანზე ჩამოდო. ჯარისკაცთა სილუეტები სულ უფრო და უფრო გამოიკვეთნენ ბურუსში. ორი მათგანი გალავანს რომ კარგად მიუახლოვდა, მანუელმა ჩახმახს გამოჰკრა. ერთი ჯარისკაცი მაშინვე წაბორძიკდა და დაეცა, მეორე კოჭლობით ამოეფარა ხეს.

ჩასაფრებულებს ტანკი უახლოვდებოდათ — თითქოს რომელიღაც მხეცი მიცოცავდა მათკენ.

(მხოლოდ ერთი წამით დაისადგურა სიჩუმემ და ამ ერთ წამში მოისმა, როგორ იკრიდა ტანს ბალახი, რა ჟივილ-ხივილი გაჰქონდათ ჩიტებს. ხვლიკები კედელზე გარბა-გამორბოდნენ. მიწის გულიდან წყალი მოჟონავდა და მეჩქეფებოდა, დედამიწა უხმოდ კვნესოდა.)

მტვერში აირიენ ქვები და შავი ნაფლეთები. გალავანი ჩაიქცა. კვამლი და ბურუსი ერთმანეთს ჩაეჭიდნენ. გაისმა ყვირილი, ბრძანება. ფანჯრები უკანასკნელად აელვარდნენ მზის შუქზე და ზრიალით ჩაიმსხვრნენ. მერე სიჩუმე ჩამოდგა.

ბაღისკენ თოფშემართული სამი ჯარისკაცი გაემართა. გზადაგზა ისროდნენ. ირგვლივ დუმილი იდგა. გალავნის მხარეს კვამლი ამოდიოდა. შუშის ნამსხვრევები ხრაშუნობდნენ ჯარისკაცთა ფეხქვეშ.

ერთი ჯარისკაცი ჩამოხვავებულ ქვებს მიუახლოვდა, დაიხარა.

— ქალი და კაცი ყოფილა, — ჩაიბუტბუტა. — გაგიჟდა ქვეყანა ნამდვილად! — უკან დაიხია, ხელი აღმართა და დაიქნია, მერე დაღლილმა შუშყიანი სახელოთი შეიმშრალა ოფლი.

□

# ფრანჩესკო პეტრარკა

## ორი სონეტი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

თარგმნა **ზიზი გეგეჭკორმა**

### CXXXII

ეს სიყვარული თუ არ არის, მაშ, რა მერევა?
რა სნეულება?.. სიყვარული თუ არის, ღმერთო,
მაშინ ეს არის სიყვარული?.. რომ სულში მენთოს
ჯოჯოხეთი და ვგრძნობდე ტანჯვის ბედნიერებას?!

ამ წრეში შეველ ჩემის ნებით და ცრემლებს ვხარჯავ
ახლა ამაოდ. სიყვარული რომ უდრის სიკვდილს,
ხოლო წამება — ნეტარებას, მე ამას მივხვდი.
აქვს ერთნაირი ხმოვანება „ვნებას“ და „ტანჯვას“.

უნებურად თუ ჩემის ნებით ვარ ქვეშევრდომი
სხვისი ნებისა?.. ჩემს გონებას ველარ ვენდობი.
მე სტიქიონში დაკარგული ვარ იალქანი.

კიჩოზე საჭეს არა მართავს ხელი არვისი.
ჩემს გულს ვებრძვი და ვეხეთქები. რა მსურს, არ ვიცი.
ყინვაში მცხელა და დამჩემდა ზვატში კანკალი.

### CCIX

უერთგულესი მე ვიქნები მარად და მარად
ამ მიდამოსი, მე რომ უნდა თავი დავუკრა
და ამ მდინარის, რომ შრიალებს ასე სანუკვრად,
ვისთანაც მთები მოსულან და დამდგარან ჯარად.

თუმც გზაზე ვდგავარ, მაგრამ მაინც ერთ ადგილს ვტკეპნი.
სად თავდება სინამდვილე და რა ზღვარია,
რომლის იქითაც მოჩვენება და სიზმარია?
მე გათანგული, სიყვარულის ვყოფილვარ მსხვერპლი.

როგორც დაჭრილი ხარ-ირემი ქცეული სრბოლად,
თუმცა სხეულით თან ატარებს მოწამლულ ფოლადს,
ისე მიჰქრის, რომ უსწრაფესი არის გრიგალზე,

გავექცეოდი მეც ასევე სიყვარულს, მისით
გულგანგმირული, ასე მკერდში ჩაწერილ ისრით,
მაგრამ შორს ველარ გავიქცევი. მე-მოვიქანცე.

◘



მხატვარი: ავთანდილ ვართაგავა

ეროვნული ბიბლიოთეკა

# უილიამ ფოლკნერი

## როცა ღამდება

ეროვნული ბიბლიოთეკა

**მოთხრობა**

ინგლისურიდან თარგმნა **ანა რატიანმა**

### I

Ახლა ჯეფერსონში ორშაბათი დღე კვირის სხვა დღეებისაგან არაფრით განსხვავდება. ქუჩებში ქვაფენილია დაგებული, ტელეფონისა და ელექტრონის კომპანიები სულ უფრო მეტად კაფავენ ჩრდილოვან ხეებს — მუხებს, აკაციებს, ნეკერჩხლებს, თელებს, რათა მათ ადგილზე რკინის ბოძები აღმართონ და ზედ გაუშვან დაჩიავებული ვენახის ლერწები; ჩვენ სამრეცხაოცა გვაქვს ქალაქში. ორშაბათობით დილაადრიან ფერადი ავტომობილები ჩამოუვლიან ქალაქს და მთელი კვირის ჭუჭყიან თეთრეულს შეაგროვებენ. გზაზე აჩრდილებივით ჩაიქროლებენ, ისმის საყვირების ჭყვიტინი, საბურავები ისე შიშინებენ, თითქოს აბრეშუმის ქსოვილი გაფხრიწესო. ახლა ზანგ დედაკაცებსაც კი, ძველი ჩვეულებისამებრ დღესაც რომ რეცხავენ თეთრკანიანთა თეთრეულს, ავტომობილებით მიაქვთ სარეცხი პატრონებთან.

მაგრამ თხუთმეტი წლის წინათ, ყოველ ორშაბათ დილას წყნარი, მტვრიანი, დაჩრდილული ქუჩები სავსე იყო ზანგი ქალებით; მათ ლონიერ თავზე ედოთ ბამბის უზარმაზარი ქორედების მსგავსად ზეწარში გამოხვეული სარეცხის ფუთები და თეთრკანიანთა სახლის სამზარეულოდან ზანგების უბანში თავიანთი ქოხმახების ახლო მდებარე გამავებულ სარეცხის ქვაბამდე ისე მიქონდათ ეს ფუთები, რომ ხელსაც არ აშველებდნენ.

ნენსი თავზე თეთრეულის ფუთას შემოიდებდა, ხოლო ფუთაზე შავი ჭილის ქუდს დაიკოპსებდა. ამ ქუდს ზამთარ-ზაფხულ არ იცილებდა თავიდან. ნენსი მაღალი ქალი იყო. მას მოგრძო და ნაღვლიანი სახე ჰქონდა, იქ სადაც კბილები აკლდა, ლაწვები ოდნავ ჩავარდნოდა.

ზოგჯერ ნენსის მინდვრამდე მივაცილებდით და იქიდან გავყურებდით, როგორ მოხერხებულად მიჰქონდა ფუთა: ქუდი ფუთაზე არასოდეს არ ირხეოდა, მაშინაც კი, როცა თხრილზე უხდებოდა გადასვლა ანდა ღობეში ძვრებოდა. თავაწეული გაფორთხდებოდა ხოლმე გარღვეულ ღობეში, ფუთა კი მაგრად ედო კინკრიხოზე და თითქოს მასთან ერთად მიცურავდა ჰაერით სავსე ბუშტივით; მერე ნენსი წამოდგებოდა და გზას განაგრძობდა.

ზოგჯერ თეთრეულის წასაღებად მრეცხავი ქალების ქმრებიც მოდიოდნენ, მაგრამ ჯუბა ნენსის არასოდეს არ ეხმარებოდა. ასე იყო მანამდეც, ვიდრე მამა აუკრძალავდა ჯუბას ჩვენთან მოსვლას, თვით მაშინაც კი, როცა დილსი.

ჩვენი მზარეული, ავად გახდა და ნენსი მის მაგიერ გვიმზადებდა საჭმელს.

თითქმის ყოველ დილით გვიხდებოდა ნენსის სახლში მირბენა და დაძახება, რომ ჩქარა მოსულიყო საუზმის მოსამზადებლად. ჩვენ თხრილის პირთან ვჩერდებოდით, რადგან მამა ნებას არ გვაძლევდა ჯუბას დავლაპარაკებოდით — ჯუბა ტანდაბალი ზანგი იყო, სახეზე სამართებლით მიყენებული ჭრილობის კვალი აჩნდა. ჩვენ ქვებს ვესროდით ნენსის სახლს მანამდის, სანამ ნენსი ბოლოს და ბოლოს დედიშობილა არ მოადგებოდა კარს.

— რა გინდათ, ქვებს რატომ ისვრით?! — გვიყვიროდა ნენსი. — რა გინდათ, თქვე ეშმაკუნებო?

— მამამ გვითხრა, ნენსი ჩქარა მოვიდეს, საუზმე მოგვიმზადოსო, — გასძახებდა ქედი. — საუზმე ისედაც ნახევარი საათით დაგვიგვიანდა, ახლავე მოდიო.

— ვითომ დიდი საქმეა თქვენი საუზმე, — ამბობდა ნენსი, — ძილს არ მაცლით!

— შენ, ალბათ, მთვრალი ხარ, — ეუბნებოდა ჯეისონი.

— მამამ თქვა, ნენსი მთვრალიაო. მართლა მთვრალი ხარ, ნენსი?

— ვინ, მე ვარ მთვრალი? — კითხვას კითხვა შეაგება ნენსიმ. — ძილს არ მაცლიან. ვითომ დიდი საქმეა თქვენი საუზმე!

ჩვენ კიდევ ერთი-ორჯერ ვესროდით ქვას ნენსის სახლს და შინ ვბრუნდებოდით. ბოლოს, როცა ნენსი ჩვენთან მოვიდოდა, სკოლაში უკვე დაგვიანებული ვიყავით ვფიქრობდით, ყველაფერი ვისკის ბრალიაო. იმ დღეს, როდესაც ნენსი კვლავ დააპატიმრეს და ციხეში მიჰყავდათ, გზაში მისტერ სტოვალი შემოხვდათ. სტოვალი ბანკის მოლარე და დიაკონი იყო ბაპტისტების ეკლესიაში. ნენსიმ, დანახვისთანავე უსაყვედურა:

— როდის უნდა გადამიხადოთ ფული თეთრო კაცო? როდის უნდა გადამიხადოთ, ბატონო ჩემო? ჩემთან სამჯერ იყავით და დღემდე ცენტიც არ მოგიციათ...

მისტერ სტოვალმა ისე გაარტყა, რომ ნენსი წაიქცა, მაგრამ მაინც განაგრძობდა:

— როდის გადამიხდით, მისტერ? ჩემთან სამჯერ იყავით, აქამდე კი...

ახლა მისტერ სტოვალმა ქუსლი ჩაარტყა პირისახეში: პოლიციის უფროსმა იქით გაათრია სტოვალი, ხოლო ნენსი ისევ მიწაზე იწვა და იცინოდა. მან თავი მიაბრუნა, სისხლთან ერთად კბილებიც გადმოაფურთხა და თქვა:

— გაგიგიათ, ხალხო, სამჯერ იყო ჩემთან და ცენტიც არ მოუცია.

აი ასე დაკარგა ნენსიმ კბილები. იმ დღეს ყველგან სულ ნენსიზე და მისტერ სტოვალზე იყო ლაპარაკი, ხოლო ღამით, ვინც კი ციხის ახლოს გაიარა, ესმოდა, როგორ მღეროდა და გაჰყვიროდა ნენსი, ხედავდა მის ხელებს, გისოსებისათვის რომ ჩაეჭიდა. ღობესთან თავი მოეყარა ბრბოს. იდგნენ და ისმენდნენ, როგორ ყვიროდა ნენსი, ზედამხედველი კი ხმას აკმენდინებდა, მაგრამ ამაოდ. მთელი ღამე კიოდა, ხოლო განთიადისას ზედამხედველმა გაიგონა, რომ ზემოთ ვიღაცა არახუნებდა და ფხაჭნიდა კედელს. ზედამხედველი ავიდა მაღლა და დაინახა, რომ ნენსი ფანჯრის გისოსზე ეკიდა. მერე მან თქვა, ეს ვისკის კი არა, სულ კოკაინის ბრალი არისო, არც ერთი ზანგი თავს არ მოიკლავს, თუ კოკაინი არ დალია, ხოლო როცა კოკაინით გაილეშება, ზანგს აღარც ჰგავსო.

ზედამხედველმა ნენსი ჩამოხსნა გისოსიდან და გრძნობაზე მოიყვანა, მერე

კი მათრახით სცემა. ნენსის თურმე თავისი კაბა თოკივით წაეჭირა ყელში. ყველაფერი ისე მოაგვარა, როგორც საჭირო იყო. მაგრამ როცა დაიჭირეს, მხოლოდ კაბის ამარა იყო, და ხელების შესაკრავად არაფერი აღმოაჩნდა, ამიტომაც იყო, რომ ხელები ვერ მოაშორა გისოსებს. ზედამხედველმა როგორც კი გაიგონა ხმაური, მაშინვე აიჭრა ზემოთ და დაინახა, რომ მთლიანად შიშველი ნენსი ეკიდა ფანჯრის გისოსზე.

როცა დილსი ავად გახდა, ხოლო ნენსი ჩვენთან მზარეულობდა, შევნიშნეთ, რომ ნენსის მუცელზე წინსაფარი ებურცებოდა; ეს ჯერ კიდევ მანამდე იყო, სანამ მამა ჯუბას აუკრძალავდა ჩვენ სახლში მოსვლას. ჯუბა სამზარეულოში ღუმელთან იჯდა და ნაჭრილობევი მის შავ სახეზე ისე მოჩანდა, როგორც ჭუჭყიანი თოკის ნაგლეჯი. ჯუბამ ბავშვებს გვითხრა, ნენსის კაბის ქვეშ საზამთრო აქვსო. ამ დროს კი ზამთარი იყო.

— ზამთარში საზამთრო სად იშოვე? — ჰკითხა ქედიმ.

— მე არ მიშოვია, — უპასუხა ჯუბამ, — მე არ მიჩუქებია ნენსისთვის, მაგრამ ჩემია, თუ ჩემი არ არის, ავიღებ და გავჭრი.

— ბავშვებთან ისე რატომ ლაპარაკობ? — უთხრა ნენსიმ. — სამუშაოდ რატომ არ მიდიხარ? გინდა მისტერ ჯეისონმა დაგინახოს, რომ აქ, სამზარეულოში ყურყუტობ და ღმერთმა უწყის რაებს როშავ ბავშვებთან?

— რას როშავს ჯუბა, ნენსი? — ჰკითხა ქედიმ.

— მე უფლება არ მაქვს თეთრკანიანების სამზარეულოში ვიყო, — თქვა ჯუბამ, — მაგრამ ჩემს სამზარეულოში თეთრკანიანს შეუძლია იმდენ ხანს დაყოს, რამდენ ხანსაც მოისურვებს. იგი მოდის ჩემთან და მე არ შემიძლია ეს ავუკრძალო. როდესაც თეთრკანიანი მოდის ჩემთან სახლში, ეს უკვე ჩემი სახლი აღარ არის. მე არ შემიძლია ავუკრძალო ჩემთან მოსვლა, მაგრამ ვერც ის გამომაგდებს ჩემი საკუთარი სახლიდან. ვერ გამომაგდებს.

დილსი ისევ ავად იყო და თავის ქოხში იწვა. მამამ აუკრძალა ჯუბას ჩვენთან მოსვლა. დილსი სულ ავადმყოფობდა. დიდხანს ავადმყოფობდა. ერთხელ, ვახშმის შემდეგ ბიბლიოთეკაში რომ ვისხედით, დედამ იკითხა:

— ნენსი არ მორჩა სამზარეულოს მილაგებას? — ჭურჭლის გარეცხვას რა უნდოდა!

— ქვენტი წავიდეს და ნახოს, — თქვა მამამ. — ქვენტინ, წადი, ნახე, მორჩა თუ არა ნენსი საქმეს, თუ მორჩა, უთხარი სახლში წავიდეს.

სამზარეულოში რომ შევედი, ნენსის უკვე აელაგებინა და დაერეცხა კიდეც ჭურჭელი. ახლა ნენსი ჩამქრალ ღუმელთან იჯდა. მან შემომხედა.

— დედამ შემოგითვალა, საქმეს თუ მორჩიო, — ვუთხარი მე.

— ჰო, — ნენსიმ შემომხედა, — მოვრჩი საქმეს.

— რა იყო, ნენსი? — ვკითხე. — რა დაგემართა?

— მე მხოლოდ ზანგი ქალი ვარ, — თქვა ნენსიმ. — მაგრამ ეს ჩემი ბრალი არ არის.

ნენსი სკამზე იჯდა ჩამქრალი ღუმელის წინ. თავზე მეზღვაურის ქუდი ეხურა და ასე მიყურებდა. ცოტა არ იყოს მეუცნაურა ჩვენი სამზარეულო, ალბათ, იმიტომ, რომ ღუმელი იყო ჩამქრალი, ჩვეულებრივ კი სამზარეულოში

თბილა, მხიარულებაა და ყველა ფუსფუსებს. ახლა ღუმელი ჩამქრალი იყო, ჭურჭელი უკვე აელაგებინა ნენსის და აღარც არავინ აპირებდა არც გვიან ვახშმობას. მე ბიბლიოთეკაში დავბრუნდი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— მორჩა ნენსი საქმეს? — იკითხა დედამ.

— ჰო, დედა, — ვუპასუხე.

— ახლა რაღას აკეთებს?

— არაფერს არ აკეთებს. ზის. ყველაფერს მორჩა.

— მე წავალ და ვნახავ, — თქვა მამამ.

— ალბათ, ჯუბას ელოდება, რომ შინ წაიყვანოს, — თქვა ქედიმ.

— ჯუბა ხომ აქ არ არის, — ვთქვი მე.

ნენსი ყვებოდა, ერთხელ, დილით რომ გავიღვიძე, ჯუბა უკვე სადღაც წასულიყოო.

— მიმატოვა, — თქვა ნენსიმ. — ალბათ მემფისში წავიდა, პოლიციას ემალება.

— მადლობა ღმერთს, თავიდან მოიშორე, — თქვა მამამ. — ვიმედოვნებ, იქ დარჩება.

— ნენსის ღამე ეშინია, — თქვა ჯეისონმა.

— შენც გეშინია, — თქვა ქედიმ.

— სულაც ალა, — თქვა ჯეისონმა.

— მშიშარა კატა! — უთხრა ქედიმ.

— სულაც ალა ვალ შიშალა, — უპასუხა ჯეისონმა.

— ქენდეს! — თქვა დედამ.

მამა დაბრუნდა.

— ნენსის ცოტაზე გავაცილებ, — თქვა მამამ. — ასე მითხრა, ჯუბა დაბრუნდაო.

— რაო, ნენსიმ ნახა? — იკითხა დედამ.

— არა, ვიღაც ზანგმა შეატყობინა, ჯუბა ქალაქში, არისო. მალე დავბრუნდები.

— ნენსის სახლში მიაცილებ, მე კი მარტო მტოვებ, — უთხრა დედამ. — გეტყობა, იმას უფრო უფრთხილდები, ვიდრე ჩვენ.

— მალე მოვალ, — დაამშვიდა მამამ.

— ის ზანგი სადღაც აქვე დაბორიალობს, შენ კი მიდიხარ. ბავშვებს ღვთის ანაბარა ტოვებ?

— მეც წამოვალ, — თქვა ქედიმ. — შეიძლება, მამა?

— ძალიან კი სჭირდება ჯუბას შენი ბავშვები! კიდევაც ხელში რომ ჩაუვარდეს, რას უზამს, — თქვა მამამ.

— მეც წამოვალ, — თქვა ჯეისონმა.

— ჯეისონ! — გაუწყრა დედა.

კაცი მთელი დღე იმაზე ფიქრობდა, რითი ეწყენინებინა ქალისათვის და ქალმაც ყოველთვის იცოდა, რომ ბოლოს და ბოლოს კაცი მოიფიქრებდა რაიმე საწყენს.

გასუსული ვიჯექი. ვიცოდით, რომ დედა აუცილებლად იტყოდა, ქვენტინი შინ დარჩესო. ამიტომ მამა არც კი იყურებოდა ჩემკენ. დედმამიშვილებში ყველაზე უფროსი მე ვიყავი. ცხრა წელი შემისრულდა, ქედი შვიდისა იყო, ჯეისონი კი ხუთისა.

— სისულელეა! — თქვა მამამ. — მალე მოვალთ.

ნენსის უკვე ეხურა ქუდი. ჩვენ ვიწრო ქუჩაში შევუხვიეთ.

— ჯუბა ყოველთვის კარგად მექცეოდა, — თქვა ნენსიმ. — ორ დოლარს რომ იშოვიდა, ერთს ყოველთვის მე მაძლევდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

შესახვევში მივდიოდით.

— ოღონდ აქედან გავიდეთ, — თქვა ნენსიმ, — მერე კი არაფერი მიშავს. შესახვევში ყოველთვის სიბნელე იყო.

— აი აქ შეეშინდა ჯეისონს ყოვლად წმინდის დღეს, — თქვა ქედიმ.

— სულაც არა, — თქვა ჯეისონმა.

— ნუთუ დეიდა რეიჩელს არაფერი შეუძლია მოუხერხოს ჯუბას? — იკითხა მამამ.

დეიდა რეიჩელი სულ მთლად ბებერი იყო. მარტო ცხოვრობდა, ნენსის მეზობლად. რეიჩელს თმა სულ გათეთრებოდა. იგი უკვე აღარ მუშაობდა, იჯდა მთელი დღეობით ქოხის ზღურბლზე და ყალიონს აბოლებდა. ამბობდნენ, ჯუბა მისი შვილი არისო. რეიჩელი ზოგჯერ ამბობდა: ჯუბა ჩემი შვილიაო, ზოგჯერ კი უარს ამბობდა — ჩემი შვილი არ არისო.

— არა, შენ შეგეშინდა, — უთხრა ქედიმ. — ფროსიზე უფრო მხდალი ყოფილხარ, ყველა ზანგზე უფრო მხდალი.

— ნუთუ არავის არ შეუძლია რაიმე მოუხერხოს ჯუბას? — თქვა ნენსიმ. — ჯუბამ მითხრა, რომ მის არსებაში ეშმაკი გაგაღვიძე და მანამდე არ დამშვიდდება, სანამ....

— კარგი, — უთხრა მამამ. — ის ხომ წავიდა; ახლა რიღასი გეშინია. მხოლოდ თეთრკანიან მამაკაცებსაც მოეშვი.

— თეთრკანიან კაცებს მოეშვას? — იკითხა ქედიმ. — როგორ თუ მოეშვას?

— ჯუბა არსადაც არ წასულა, — თქვა ნენსიმ. — მე ვგრძნობ, რომ ის აქ არის. აი აქ, შესახვევში. ესმის ყოველი სიტყვა, რასაც ჩვენ ვამბობთ. სადღაც აქ დაიმალა და იცდის. მე ის არ მინახავს, ვნახავ მხოლოდ ერთხელ, როცა სამართებელი ექნება ხელში. სამართებელი ზურგზე ჰკიდია პერანგქვეშ. როცა დავინახავ ჯუბას, არც კი გამიკვირდება.

— მე სულაც არ შემშინებია, — თქვა ჯეისონმა.

— თუ ისე მოიქცევი, როგორც საჭიროა, არაფერიც არ მოხდება, — თქვა მამამ. — მაგრამ ახლა ყველაფერი რიგზეა. ჯუბა ალბათ სან-ლუისშია. ალბათ სხვა ცოლიც გაიჩინა უკვე, შენ კი სულ დაავიწყდი.

— ჰო, თუ ასეა, — უპასუხა ნენსიმ, — უმჯობესია ამის შესახებ არაფერი ვიცოდე. თუ არადა, მე მას დავუდარაჯდები, მშვიდად იყავით! როგორც კი იმ ქალბატონს მოეხვევა, მკლავს მოვჭრი! თავს წავაგდებინებ, მის სატრფოს კი მუცელს გამოვფატრავ და...

— სსუ! — გააჩუმა მამამ.

— ვის გამოფატრავ მუცელს, ნენსი? — იკითხა ქედიმ.

— მე სულაც არ შემშინებია, — თქვა ჯეისონმა. — გინდა, სულაც მარტო გავიარო შესახვევში?

— როგორ არა! — უთხრა ქედიმ, — შიშისაგან უჩვენოდ ნაბიჯსაც ვერ გადადგამ.

## II

— დილსი ისევ ავადმყოფობდა. ჩვენ ყოველ საღამოს მივაცილებდით შინ ნენსის. ბოლოს დედამ თქვა:

— სანამ უნდა გაგრძელდეს ასე? მე ყოველ საღამოს მარტო ვრჩები ამ დიდ ცარიელ სახლში, შენ კი შეშინებული ზანგი ქალის გაცილებას უნდები.

ნენსისათვის სამზარეულოში გავშალეთ ლეიბი. ერთხელ, ღამით, რაღაც ხმამ გაგვაღვიძა. კაცი ვერ გაარკვევდა, სიმღერა იყო თუ ტირილი; ეს ხმა ამოდიოდა კიბის ქვეშ დასადგურებულ სიბნელიდან. დედის ოთახში სინათლე ენთო, ჩვენ გავიგონეთ, რომ მამა დერეფანში გავიდა, იქიდან კი კიბეებზე გადაინაცვლა. მე და ქედი დერეფანში გავედით. იატაკი ცივი იყო. სიცივისაგან ფეხის თითები გვეკრუნჩხებოდა, მაგრამ მაინც ვიდექით და ყურს ვუგდებდით იმ ხმას. თითქოს სიმღერა იყო, მაგრამ არც სიმღერას ჰგავდა. სწორედ ისეთი ბგერები მოისმოდა, როგორსაც ზანგები გამოსცემენ.

მერე ხმა შიწყდა და გავიგონეთ, მამა კიბეზე ჩადიოდა; ჩვენც მოაჯირთან გავჩერდით. მერე კვლავ გაისმა ყრუ ხმა და წამსვე შუა კიბეზე, ზედ კედელთან ნენსის თვალებიც დავინახეთ, კატის თვალებივით რომ ანათებდნენ, თითქოს კედელთან დიდი კატა მიყუჟულა და ჩვენ შემოგვყურებსო. კიბეზე ჩავედით. როცა მივუახლოვდით, ნენსი გაჩუმდა. მანამდე ვიდექით იქ, სანამ სამზარეულოდან რევოლვერმომარჯვებული მამა არ გამოვიდა. ის ნენსისთან ერთად ჩავიდა ქვემოთ, და უკან რომ ბრუნდებოდნენ, თან მოჰქონდათ ნენსის ლეიბი.

ჩვენთან, ბავშვების ოთახში, გაშალეს ეს ლეიბი. როცა დედის ოთახში სინათლე ჩაქრა, კვლავ დავინახეთ ნენსის თვალები.

— ნენსი! — ჩურჩულით დაუძახა ქედიმ, — ნენსი, არ გძინავს?

ნენსიმ რაღაც ჩაიჩურჩულა სიბნელეში, მე ვერ გავარკვიე, რა თქვა, ვერც ის გავარკვიე, საიდან მოისმოდა ეს ხმა, თითქოს თავისთავად დაიბადაო. ხოლო ნენსი თითქოს იქ არც იყო, მისი თვალები კი იმიტომ მოჩანდნენ, რომ ჯერ კიდევ კიბეზე დაბეჯითებით მივჩერებოდი მათ და ქუთუთოებზე აღმებეჭდნენ, სწორედ ისე, როგორც მზეს იცის, როცა შეხედავ, მერე კი თვალებს დახუჭავ.

— ღმერთო! — ამოიკვნესა ნენსიმ. — ღმერთო!

— ჯუბა იყო? — ჩაიჩურჩულა ქედიმ. — სამზარეულოში შემოსვლა უნდოდა?

— ღმერთო! — თქვა ნენსიმ, აი ასე თქვა. „ღმეეეეეერთო“, სანამ მისი ჩურჩული სანთლის შუქივით არ გაქრა.

— ნენსი, გვხედავ? — ჩაიჩურჩულა ქედიმ. — ჩვენს თვალებსაც ხედავ?

— მე მხოლოდ ზანგი ქალი ვარ, — თქვა ნენსიმ. — ღმერთმა იცის, ღმერთმა იცის...

— რა ნახე სამზარეულოში? — წაიჩურჩულა ქედიმ. — ვის უნდოდა შემოსვლა?

— ღმერთმა იცის, ვის, — თქვა ნენსიმ. — ღმერთმა იცის. — ჩვენ ვხედავდით ნენსის თვალებს.

დილსი გამოჯანმრთელდა და ისევ შეუდგა მზარეულობას.

— ჯობდა, ერთი-ორი დღე კიდევ წოლილიყავი, — უთხრა მამამ.

— რატომ? — იკითხა დილსიმ. — კიდევ დაწვები ერთ დღეს და ქვა ქვაზე არ დარჩება. აბა, წადით აქედან. მაცალეთ, სამზარეულო მოვაწესრიგო.

ვახშამიც დილსიმ მოამზადა. ხოლო საღამოს, სწორედ შებინდებისას, სამზარეულოში ნენსი შემოვიდა.

— საიდან იცი, რომ ჯუბა დაბრუნდა? — ჰკითხა დილსიმ. — შენ ხომ არ გინახავს?

— ჯუბა ზანგია, — თქვა ჯეისონმა.

— ვგრძნობ, ის აი იქ, ხევში იმალება! — თქვა ნენსიმ.

— ამაღამაც? — იკითხა დილსიმ. — ახლაც იქ არის?

— დილსიც ზანგია, — თქვა ჯეისონმა.

— გეჭამა რამე, — უთხრა დილსიმ.

— არ მშია, — თქვა ნენსიმ.

— მე შავტუხა არ ვარ, — თქვა ჯეისონმა.

— ყავა დალიე, — უთხრა დილსიმ და ფინჯნით ყავა მიაწოდა.

— შენ ფიქრობ, რომ ის ახლაც იქ არის? საიდან იცი?

— ვიცი, — თქვა ნენსიმ. — იქ იცდის, ვიცი მე. ტყუილ-უბრალოდ კი არ მიცხოვრია მასთან ამდენ ხანს. მე ყოველთვის ვგრძნობ, რას მოიმოქმედებს, მაშინაც კი, როცა თვითონაც არ იცის, რას გააკეთებს მეორე წუთში.

— დალიე ყავა, — უთხრა დილსიმ.

ნენსიმ ტუჩებთან მიიტანა ფინჯანი და სული შეუბერა. პირი რეზინივით გაეჭიმა, ტუჩები გაუფერმკრთალდა, თითქოს სულის შებერვას ფერიც გამოაყოლაო.

— მე შავტუხა არ ვარ, — თქვა ჯეისონმა. — შენ კი შავტუხა ხარ, ნენსი?

— დაბადებითვე შეჩვენებული ვარ, — თქვა ნენსიმ. — ხოლო მალე არც არაფერი ვიქნები. მალე წავალ იქ, საიდანაც მოვედი.

## III

ნენსი ვიდრე ყავას სვამდა და ორივე ხელით ფინჯანი ეჭირა, კვლავ ამოუშვა ისევ ის ხმა. ხმა პირდაპირ ფინჯანში ჩადიოდა, რის გამოც ყავის შხეფები ნენსის ხელებზე და კაბაზე ესხმოდა. იგი იჯდა მუხლებზე იდაყვებდაბჯენილი, ფინჯანი ორივე ხელით ეჭირა, ჩვენ შემოგვცქეროდა და ისევ იმ ხმას გამოსცემდა.

— შეხედე ნენსის, — თქვა ჯეისონმა. — ნენსი ჩვენ საჭმელს აღარ მოგვიმზადებს, დილსი უკვე გამოჯანმრთელდა.

— გაჩუმდი, — თქვა დილსიმ.

ნენსის ისევ ორი ხელით ეჭირა ფინჯანი, ჩვენ შემოგვცქეროდა და კვლავ იმ ხმაზე სვამდა, თითქოს ორი ნენსი იყო, ერთი ჩვენ გვიყურებდა, მეორე კი იმ ხმას გამოსცემდა.

— რატომ არ გსურს, რომ მისტერ ჯეისონი ტელეფონით პოლიციის უფროს მოელაპარაკოს? — ჰკითხა დილსიმ. ნენსი გაჩუმდა, გრძელ შავ ხელებში ისევ ეჭირა ფინჯანი. შეეცადა მოესვა ყავა, მაგრამ ხელებზე და მუხლებზე გადმოელვარა; ფინჯანი ძირს დადგა. ჯეისონი მას მისჩერებოდა.

— გადაყლაპვა მიჭირს, — თქვა ნენსიმ. — ვსვამ, მაგრამ ყელში არ გადადის.

— ჩემთან წადი, — უთხრა დილსიმ. — ფრონი ლოგინს გაგიშლის, მეც მალე მოვალ.

— როგორ გგონია, ჯუბას ვიღაც შავკანიანის შეეშინდება? — თქვა ნენსიმ.

— მე შავკანიანი არ ვარ, — თქვა ჯეისონმა. — დილსი, მე ხომ შავკანიანი არ ვარ?

— ვფიქრობ არა, — დილსი ნენსის უყურებდა. — შენ რას იზამ, ნენსი?

ნენსიმ შემოგვხედა. თვალებს ისე აცეცებდა, თითქოს ეშინოდა, ყველაფრის დანახვას ვერ მოასწრებდა. ის ჩვენ სამთავეს ერთად გვიცქეროდა.

— გახსოვთ, როგორ გავატარეთ ღამე თქვენს ოთახში? — თქვა ნენსიმ და იმის მოყოლას შეუდგა, როგორ გავიღვიძეთ დილაადრიან და დავიწყეთ თამაში. ჩვენ ჩუმად ვთამაშობდით მის ლეიბზე, ვიდრე მამამ არ გაიღვიძა და ნენსი იძულებული არ გახდა საუზმის მოსამზადებლად ჩასულიყო ქვემოთ.

— დედას სთხოვეთ, რომ დღეს თქვენთან დამტოვოს ღამის გასათევად, — თქვა ნენსიმ. — ლეიბიც კი არ მჭირდება. ჩვენ ისევ ვითამაშებთ.

ქედი წავიდა დედასთან შესაკითხად. ჯეისონიც თან გაჰყვა.

— არა, ნებას ვერ დავრთავ ვიღაც ზანგებს, ჩვენ სახლში ღამეს ათევდნენ, — თქვა დედამ.

ჯეისონი ატირდა. მანამდე ტიროდა, სანამ დედამ არ უთხრა, თუ არ გაჩუმდები, სამ დღეს ტკბილეულს არ მოგცემო. მაშინ ჯეისონმა უთხრა, გავჩუმდები, თუ დილსი შოკოლადის ნამცხვარს გამომიცხობსო. მამაც იქ იყო.

— რატომ არაფერს არ იღონებ? რისთვის არსებობს ჩვენში პოლიცია? — უთხრა დედამ.

— ნენსის რატომ ეშინია ჯუბასი? — იკითხა ქედიმ.

— დედა, შენც გეშინია მამასი?

— პოლიცია რას გააწყობს? — თქვა მამამ. — სად უნდა ეძებონ ჯუბა, თუ ნენსისაც კი არ უნახავს იგი თვალით.

— მაშ, რილასი ეშინია ნენსის? — იკითხა დედამ.

— ნენსი ამბობს, ჯუბა აქ არისო, ვიცი, ამაღამაც აქ იქნებაო.

— მაშ რაღად ვიხდით გადასახადს. — თქვა დედამ. — აი შენ ვიღაც ზანგ ქალს მიაცილებ შინ, მე კი მარტო რომ ვრჩები, ცარიელ სახლში ეგ არაფერია?

— შენც ხომ იცი, რომ მე სამართებლით ხელში არ გდარაჯობ, — უთხრა მამამ.

— გავჩუმდები, თუ შოკოლადის ტორტს გამიკეთებს დილსი, — თქვა ჯეისონმა.

დედამ გვითხრა, აქედან წადითო, მამამ კი თქვა, არ ვიცი, მიიღებს თუ არა ჯეისონი შოკოლადის ტორტს, სამაგიეროდ ძალიან კარგად ვიცი, რასაც ჯეისონი მიიღებს, თუ ამავე წუთში ოთახიდან არ გავაო. ჩვენ დავბრუნდით სამზარეულოში და ნენსის ვუთხარით:

— მამამ თქვა, ნენსი შინ წავიდეს და კარი ჩაიკეტოს, ვერავინ ხელს ვერ ახლებსო.

— ვინ ვერ გახლებს ხელს, ნენსი? ჯუბა, არა? ის შენზე გულმოსულია? — ჰკითხა ქედიმ.

ნენსის ისევ ფინჯანი ეჭირა ორივე ხელით. იდაყვებით მუხლებს ეყრდნობოდა და ისევ ფანჯარაში იყურებოდა.

— რატომ გიბრაზდება ჯუბა? — ჰკითხა ქედიმ.

ნენსის ფინჯანი ხელიდან გაუვარდა, ფინჯანი არ გატყდა, მხოლოდ ყავა დაიღვარა. ნენსი ისე იჯდა, თითქოს ხელში ისევ ეჭირა ფინჯანი, მერე კვლავ მისებურად აზუზუნდა, ოდნავ გასაგონად, თითქოს სიმღერა იყო და არც იყო სიმღერა. ჩვენ შევცქეროდით ამ ზანგის ქალს.

— კარგი! — უთხრა დილსიმ. — გეყოფა! მოიცადე იქ, წავალ და ვერშს ვთხოვ, სახლამდის მიგაცილოს. — დილსი გარეთ გავიდა.

ჩვენ შევყურებდით ნენსის. მას მხრები კვლავ უთრთოდა, მაგრამ ახლა ჩუმად იყო.

— რას გპირებს ჯუბა? — ჰკითხა ქედიმ. — იგი ხომ წავიდა.

ნენსიმ შემოგვხედა.

— მართლა, რა მხიარულად ვიყავით იმ ღამეს, თქვენთან ერთად რომ გავათიე.

— სულაც არა, — თქვა ჯეისონმა, — მე სულაც არ ვიყავი მხიარული.

— შენ გეძინა, — თქვა ქედიმ. — ჩვენთან სულაც არ ყოფილხარ.

— წამოდით ახლა ჩემთან და ისევ ვითამაშოთ, — გვითხრა ნენსიმ.

— დედა არ გამოგვიშვებს, — ვუთხარი მე. — უკვე გვიან არის.

— თქვენც ნუ ეტყვით დღეს, ხვალ დილით უთხარით. არ გაჯავრდება.

— დედა ნებას არ მოგვცემს, — ვთქვი მე.

— ახლა ნუ ეტყვით, — თქვა ნენსიმ. — ნუ შეაწუხებთ.

— დედას არ უთქვამს, ნუ წახვალთო, — თქვა ქედიმ.

— ჩვენ ხომ არ გვითხოვია, — ვთქვი მე.

— თქვენ თუ მაინც წახვალთ, მე ვეტყვი დედას, — გვითხრა ჯეისონმა.

— ვითამაშებთ, — თქვა ნენსიმ. — დედა არ გაჯავრდება. ჩემთან წავიდეთ. რამდენი ხანია თქვენთან ემუშაობ. მშობლები არ გაგიჯავრდებიან.

— წამოვალ, მე არ მეშინია, — თქვა ქედიმ, — ჯეისონს კი ეშინია. ეგ ეტყვის დედას.

— მე არ გეშინია, — თქვა ჯეისონმა.

— არა, გეშინია, შენ ეტყვი დედას.

— არ ვეტყვი. მე სულაც არ გეშინია.

— რა თქმა უნდა, ჩემთან ჯეისონს არ შეეშინდება, — თქვა ნენსიმ, — ხომ ასეა, ჯეისონ?

— ჯეისონი დედას ეტყვის, — თქვა ქედიმ.

შესასვლელში ბნელოდა. ჭიშკრიდან მინდორზე გავედით.

— სანაძლეოს ვდებ, ჭიშკრიდან რომ რამე გამომხტარიყო, ჯეისონი აღრიალდებოდა.

— სულაც არ ავღრიალდებოდი, — თქვა ჯეისონმა.

გზა განვაგრძეთ. ნენსი ხმამაღლა ლაპარაკობდა.

— ნენსი, რატომ ლაპარაკობ ასე ხმამაღლა? — ჰკითხა ქედიმ.

— ვინ? მე? — იკითხა ნენსიმ. — ერთი უსმინეთ ამათ, რას ამბობენ ქვენტინი, ქედი და ჯეისონი, თითქოს მე ხმამაღლა ვლაპარაკობდე.

— შენ ისე ლაპარაკობ, ნენსი, თითქოს კიდევ ვიღაც მეოთხე გისმენდეს, — უთხრა ქედიმ. — ისე ლაპარაკობ, თითქოს მამაც ჩვენთან იყოს.

— ვინ ლაპარაკობს ხმამაღლა? მე, მისტერ ჯეისონ?

— გაიგონე, ნენსიმ ჯეისონს „მისტერი“ უწოდა, — თქვა ქედიმ.

— აბა საკუთარ თავს დაუგდეთ ყური, როგორ ლაპარაკობთ, — თქვა ნენსიმ.

— ჩვენ სულაც არ ვლაპარაკობთ ხმამაღლა, — თქვა ქედიმ. — ხმამაღლა მხოლოდ შენ ლაპარაკობ, მამამაც ასე იცის.

— ჩუმად, ჩუმად, მისტერ ჯეისონ.

ნენსიმ კვლავ „მისტერი“ უწოდა ჯეისონს...

— ჩუმად, — თქვა ნენსიმ.

იგი ერთთავად ხმამაღლა ლაპარაკობდა, სანამ ჩვენ ხევში გადავდიოდით და ღობეში ვძვრებოდით, სადაც თვითონ თავზე ფუთადადებული ძვრებოდა ხოლმე. ბოლოს მივადექით მის სახლს; ძალიან სწრაფად მივდიოდით. ნენსიმ კარი გააღო. სახლში ლამპის სუნი იდგა, ხოლო თვით ნენსის სუნი პატრუქის სუნს ჰგავდა, თითქოს ისინი ერთმანეთს ელოდნენ, რათა უფრო მძაფრი სუნი დატრიალებულიყო ბინაში. ნენსიმ აანთო ლამპა, კარი დახურა და ურდული გაუყარა. ამის შემდეგ ხმამაღლა ლაპარაკი შეწყვიტა და ჩვენ შემოგვხედა.

— ახლა რას გავაკეთებთ? — იკითხა ქედიმ.

— თქვი, რა გინდათ გავაკეთოთ? — თქვა ნენსიმ.

— შენ ხომ თქვი, ვითამაშებთო, — თქვა ქედიმ.

მძიმე სუნი იდგა ნენსის სახლში. ეს თვით ჯეისონმაც იგრძნო.

— არ მინდა აქ დარჩენა, — თქვა მან. — შინ მინდა.

— მაშინ წადი, — უთხრა ქედიმ.

— მარტო არ წავალ.

— ახლა ჩვენ ვითამაშებთ, — თქვა ნენსიმ.

— რას ვითამაშებთ? — იკითხა ქედიმ.

ნენსი კართან იდგა. ჩვენ გვიცქეროდა, მაგრამ უაზრო თვალები ჰქონდა, თითქოს ვერაფერს ხედავსო.

— ახლა რა გინდათ გავაკეთოთ? — იკითხა ნენსიმ.

— ზღაპარი მოგვიყევი, — სთხოვა ქედიმ, — შეგიძლია ზღაპრის მოყოლა?

— შემიძლია, — თქვა ნენსიმ.

— აბა, მოგვიყევი.

ჩვენ ნენსის შევცქეროდით.

— შენ ზღაპრები არ იცი, — უთხრა ქედიმ.

— როგორ არა, ვიცი, — თქვა ნენსიმ. — აი ახლავე მოგიყვებით.

ნენსი კერასთან ახლოს მივიდა და სკამზე დაჯდა. კერაზე ჯერ კიდევ ღვიოდა ნაღვერდალი; ნენსიმ სული შეუბერა და ალი ავარდა. ცეცხლი აგიზგიზდა. ოთახში თითქოს დაცხა. მერე ზღაპრის მოყოლა დაიწყო ნენსიმ. ისე გვიყვებოდა და ისე გვიცქერდა, თითქოს ეს ხმა და თვალები მას არ ეკუთვნოდა, თვითონაც თითქოს აქ არ იყო, თითქოს სადღაც სხვაგან იმყოფებოდა და რაღაცას ელოდა. იგი სახლში კი არა, სადღაც გარეთ იყო სიბნელეში. აქ იყო მისი ხმაც, სხეულიც — ის ნენსი, ვისაც თავზე ფუთადადებულს შეეძლო ღობეში გაძრომა, თითქოს ეს ფუთა ჰაერის ბუშტივით მსუბუქი ყოფილიყოს...

ნენსი განაგრძობდა:

— და აი დედოფალი მიადგა თხრილს, სადაც იმალებოდა ბოროტი კაცი და თქვა: „ნეტავი ამ თხრილზე გადამიყვანა“.

— რომელ თხრილზე? იკითხა ქედიმ.—აგერ ჩვენთან რომ არის ისეთზე? რა უნდოდა დედოფალს თხრილში?

— შინ მიდიოდა და თხრილზე უნდა გადასულიყო, — თქვა ნენსიმ.

— რად მიდიოდა დედოფალი შინ? — იკითხა ქედიმ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

IV

ნენსიმ ზღაპრის მოყოლა შეწყვიტა. ის ჩვენ შემოგვცქეროდა. ჯეისონს ფეხები შარვლის ტოტებში ჰქონდა გამოჩრილი, რადგან ბიჭი პატარა იყო.

— არ მომწონს ეს ზღაპარი, — თქვა ჯეისონმა. — შინ მინდა.

— მართლაც, კარგი იქნება შინ წავიდეთ, — თქვა ქედიმ და წამოდგა. — სანამძლეოს დავდებ, უკვე გვეძებენ. — ქედი კარისაკენ წავიდა.

— არა, — თქვა ნენსიმ. — კარს ნუ გააღებ.

ნენსი სწრაფად წამოხტა და ქედის გაუსწრო. ქედიმ ვერც კი მოასწრო კართან მისვლა. ურდულს არც შეხებია.

— რატომ? — იკითხა ქედიმ.

— წავიდეთ, ლამპასთან დავსხდეთ, — თქვა ნენსიმ, — ვითამაშოთ. ჯერ ნუ წახვალთ.

— ჩვენი აქ დარჩენა არ შეიძლება, — თქვა ქედიმ. — თუ ძალიან ვიმხიარულებთ, ეგ სხვა ამბავია.

ქედი და ნენსი დაბრუნდნენ კერასთან, ლამპასთან.

— შინ მინდა წასვლა, — თქვა ჯეისონმა. — შინ ყველაფერს ვეტყვი.

— მე სხვა ზღაპარიც ვიცი, — თქვა ნენსიმ. ის ძალიან ახლო იდგა ლამპასთან და ისე შესცქეროდა ქედის, როგორც ადამიანი შესცქერის ჯოხს, ცხვირის წვერზე რომ აწონასწორებს. ქედი რომ დაენახა, ძირს უნდა დაეხედა, მაგრამ ისე იყურებოდა, თითქოს ჯოხს აწონასწორებსო ცხვირის წვერზე.

— მე ყურს არ დაგიგდებ, — თქვა ჯეისონმა, — იცოდე, ფეხებს დავაბაკუნებ.

— ეს კარგი ზღაპარია, — თქვა ნენსიმ. — იმაზე გაცილებით უკეთესი.

— რაზეა ზღაპარი? — იკითხა ქედიმ.

ნენსი ლამპის ახლოს იდგა. იგი ხელით შეეხო ლამპის შუშას. მისი ხელი უფრო გრძელი და მუქი გამოჩნდა სინათლეში.

— გავარვარებულ შუშას რომ კიდებ ხელს, — უთხრა ქედიმ, — არ გწვავს?

ნენსიმ ხელზე დაიხედა და ნელა მოაშორა შუშას. იგი იდგა, ქედის შესცქეროდა და თავის გრძელ ხელს ისე ატრიალებდა, თითქოს თოკით ჰქონდა მიბმული მაჯაზე.

— მოდი, სხვა რამე გავაკეთოთ, — თქვა ქედიმ.

— შინ მინდა წასვლა, — თქვა ჯეისონმა.

— მე სიმინდი მაქვს, — თქვა ნენსიმ. — ჯერ ქედის შეხედა, მერე ჯეისონს, მერე მე და ბოლოს ისევ ქედის. — მოდი, მოვხალოთ სიმინდი.

— არ მიყვარს ბატი-ბუტი, — თქვა ჯეისონმა, — მე კამფეტი მიყვარს.

ნენსიმ ჯეისონს შეხედა.

— შენ ტაფა დამიჭირე!

ნენსი ისე ატრიალებდა გრძელ და შავ ხელს, თითქოს უძვლო იყო.

— კარგი, — უთხრა ჯეისონმა, — ცოტა ხანს დავრჩები, თუ ტაფას დამა-

ჰერინებ. ქედიმ არ იცის ტაფის დაჭერა. თუ ქედი დაიკავებს ტაფას, მე შინ წავალ.

ნენსიმ ცეცხლი გააჩაღა.

— შეხედე, ნენსი პირდაპირ ცეცხლში ყოფს ხელს, — თქვა ქედიმ. — რა გემართება, ნენსი?

— მე სიმინდი მაქვს, — თქვა ნენსიმ. — მხოლოდ ცოტა.

ნენსიმ საწოლის ქვემოდან გამოიღო ტაფა. ტაფა გატეხილი იყო. ჯეისონი ატირდა...

— სიმინდს ვერ მოვხალავთ, — თქვა მან.

— სულ ერთია, შინ უნდა წავიდეთ, — თქვა ქედიმ, — ქვენტინ, წავიდეთ.

— დაიცადეთ, — თქვა ნენსიმ, — ცოტა ხანს დაიცადეთ. ტაფას ამწუთას შევაკეთებ. იქნებ მომეხმარო?

— აღარ მინდა სიმინდი, — თქვა ქედიმ. — უკვე გვიან არის.

— აბა, შენ მომეხმარე, ჯეისონ. ხომ გინდა რომ მომეხმარო?

— არა, — უთხრა ჯეისონმა. — სახლში მინდა წასვლა.

— დაწყნარდი, დაწყნარდი. მიყურე, რას გავაკეთებ. ახლავე შევაკეთებ ტაფას. ჯეისონი დაიჭერს და მოვხალავთ სიმინდს.

ნენსიმ მავთული მოიტანა და იმით დაამაგრა ტაფის სახელური.

— კარგად ვერ დაიჭერს, — თქვა ქედიმ.

— მშვენივრად დაიჭერს, — თქვა ნენსიმ, — აი ნახავ. აბა, ახლა ყველანი მომეხმარეთ სიმინდის დაფშვნაში.

სიმინდიც საწოლის ქვეშ იყო. სიმინდს ვფშვნიდით და ტაფაზე ვყრიდით, ნენსი კი ეხმარებოდა ჯეისონს ტაფის ცეცხლზე დაჭერაში. — ხედავთ, სიმინდი არ სკდება, — თქვა ჯეისონმა, — სახლში მინდა წასვლა.

— დაიცადე, — უთხრა ნენსიმ. — ახლავე დასკდება, მერე კი გავერთოთ.

ნენსი ცეცხლთან ახლოს იჯდა. პატრუქი ძალიან ამოიწია და ლამპა აბოლდა.

— რატომ არ დაუწევ პატრუქს? — ვკითხე.

— არა უშავს, — თქვა ნენსიმ, ჭვარტლს მერე მოვაშორებ. ცოტა კიდევ დაიცადეთ, ახლავე დასკდება სიმინდი.

— არა მგონია, დასკდეს, — თქვა ქედიმ, — სულ ერთია, მაინც უნდა წავიდეთ სახლში, ჩვენები შეწუხდებიან.

— არა, — თქვა ნენსიმ, — ახლავე დასკდება. მშობლებს დილსი ეტყვის, რომ ჩემთან ხართ. მე ხომ თქვენთან დიდხანს ვმუშაობდი. არ გაჯავრდებიან, ჩემთან რომ წამოხვედით. დაიცადეთ, ახლავე დასკდება.

ამ დროს ჯეისონს თვალში ეცა ბოლი და ატირდა. ტაფა ცეცხლში ჩაუვარდა. ნენსიმ სველი ჩვრით მოწმინდა ჯეისონს სახე, ის კი მაინც ტიროდა.

— აბა, გაჩუმდი, — უთხრა ნენსიმ, — გაჩუმდი!

მაგრამ იგი არ ჩუმდებოდა.

ქედიმ ტაფა ცეცხლიდან გამოათრია.

— სულ დაიწვა, — თქვა ქედიმ, — კიდევ მოიტა სიმინდი, ნენსი.

— მთლიანად დაყარე ტაფაზე? — იკითხა ნენსიმ.

— დიახ, — მიუგო ქედიმ.

ნენსიმ შეხედა ქედის, შემდეგ აიღო ტაფა, თავი მოხადა, დამწვარი სიმინ-

დი წინსაფარში ჩაიყარა და გრძელი შავი თითებით შეუდგა მარცვლების გადარჩევას. ჩვენ კი მას შევცქეროდით.

— მეტი სიმინდი აღარ გაქვს? — შეეკითხა ქედი.

— არის, — თქვა ნენსიმ. — არის, ნახე, ყველა არ დამწვარა. მხოლოდ უნდა...

— სახლში მინდა წასვლა, — თქვა ჯეისონმა. — მე ყველაფერს ვიტყვი.

— სუ! — თქვა ქედიმ.

ჩვენ მივაყურადეთ.

ნენსის თავი უკვე კარისაკენ ჰქონდა მიბრუნებული. მის თვალებში კრთოდა ლამპის შუქის წითელი ანარეკლი.

— ვიღაც მოდის, — თქვა ქედიმ.

მერე ნენსის კვლავ აღმოხდა ის დაგუდული ხმა. ცეცხლის პირას იჯდა, გრძელი ხელები მუხლებშუა ჰქონდა ჩაკიდებული. უეცრად სახეზე მსხვილი წვეთები დაასხდა. მერე ეს წვეთები ლოყებზე ჩამოუგორდა და ნიკაპიც დაუსველდა; ყოველ წვეთში ცეცხლის ანარეკლი ციალებდა.

— ნენსი არ ტირის, — ვთქვი მე.

— არ ვტირი, არა — თქვა ნენსიმ. მას თვალები დახუჭვოდა. — მე არ ვტირი. ვინ მოდის?

— არ ვიცი, — მიუგო ქედიმ; ქედი კარისკენ წავიდა და გარეთ გაიხედა, — ახლა კი შინ უნდა წავიდეთ, აი მამაც მოვიდა.

— მე ყველაფერს ვეტყვი, — თქვა ჯეისონმა. — არ მინდოდა წამოსვლა, თქვენ კი ძალად წამომიყვანეთ.

ნენსის სახეზე კვლავ ჩამოსდიოდა ოფლი. იგი სკამზე შებრუნდა.

— ყური მიგდეთ, უთხარით მამას... უთხარით, რომ ჩვენ ვითამაშებთ. უთხარით, რომ მე მოგივლით დილამდე. უთხარით, რომ ნება დამრთოს თქვენთან ერთად წამოვიდე და თქვენს სახლში დავიძინო იატაკზე. უთხარით, რომ ლეიბიც არ მჭირდება. ჩვენ ვითამაშებთ. გახსოვთ, მაშინ რა მხიარულად ვიყავით?

— მე სულაც არ ვყოფილვარ მხიარული, — თქვა ჯეისონმა, — თვალები მატკინე. კვამლით ამივსე.

V

მამა შემოვიდა, სუყველას შემოგვხედა. ნენსი სკამიდან არ წამომდგარა.

— უთხარით მამათქვენს, — თქვა ნენსიმ.

— მე არ მინდოდა წამოსვლა, ქედიმ ძალით წამომიყვანა, — თქვა ჯეისონმა.

მამა კერიასთან მოვიდა. ნენსიმ ახედა მას.

— განა არ შეგიძლია დეიდა რეიჩელთან წახვიდე და ღამე იქ გაათიო? — ჰკითხა მამამ. ნენსის ხელები ისევ მუხლებშუა ჰქონდა ჩაკიდებული და ისე შესცქეროდა მამას.

— ჯუბა იქ არ არის, — თქვა მამამ, — თორემ დავინახავდი. კაციშვილის ჭაჭანება არ არის ახლომახლო.

— თხრილშია, — თქვა ნენსიმ, — აი, იქ, თხრილში იმალება.

— სისულელეა, — თქვა მამამ. მან ნენსის შეხედა, — საიდან იცი, რომ ჯუბა იქ არის?

— ნიშანი დამიტოვა.

— რა ნიშანი?

— მაგიდაზე დამხვდა ლამპის გვერდით, როცა შინ შემოვედი; ღორის ძვალი იყო, ზედ სისხლიანი ხორცი ჰქონდა შერჩენილი. ის იქ არის. როგორც კი თქვენ ამ კარიდან გახვალთ, ჩემი აღსასრულიც დადგება.

— რა აღსასრული, ნენსი? — ჰკითხა ქედიმ.

— მე ჭორიკანა არ ვარ, — თქვა ჯეისონმა.

— სისულელეებს თავი გაანებე, — თქვა მამამ.

— იქ არის, — თქვა ნენსიმ, — ახლა ფანჯარაში იყურება, ელოდება, როდის წახვალთ თქვენ: მაშინ ჩემი აღსასრულიც დადგება.

— სისულელეა! — თქვა მამამ, — დაკეტე სახლი და ჩვენ მიგაცილებთ დეიდა რეიჩელთან.

— რა აზრი აქვს! — თქვა ნენსიმ. იგი ახლა აღარ უყურებდა მამას, სამაგიეროდ მამა დაჰყურებდა ზემოდან მის გრძელსა და მოძრავ ხელებს.

— რა აზრი აქვს გაჭიანურებას?

— მაშ რას ფიქრობ? — ჰკითხა მამამ.

— არ ვიცი, — უპასუხა ნენსიმ, — აბა რა შემიძლია მოვიმოქმედო? ცოტას თუ გავაჭიანურებ, ეგ არის, მაგრამ რა ბედენაა. ვფიქრობ, ასეთი ბედი მიწერია, რის ღირსიც ვარ, იმას მივიღებ.

— რას მიიღებ? — შეეკითხა ქედი. — რის ღირსი ხარ?

— სისულელეა, — თქვა მამამ, — ახლა ყველამ უნდა დაიძინოთ.

— ნე არ მინდოდა წამოსვლა, ქედიმ მაიძულა, — თქვა ჯეისონმა.

— დეიდა რეიჩელთან წადი, — უთხრა მამამ.

— რა აზრი აქვს, — თქვა ნენსიმ. ის ცეცხლის პირას იჯდა, იდაყვებით მუხლებზე დაყრდნობილი. — თქვენს სამზარეულოშიაც რომ ვიყო, მაინც მოხდება მოსახდენი. თუნდაც საბავშვო ოთახში თქვენს ბავშვებთან ერთად მეძინოს, სულ ერთია, მაინც მნახავენ დილით სისხლში მცურავს...

— ჩუ, — თქვა მამამ, — დაკეტე კარი, ჩააქრე სინათლე და დაიძინე.

— სიბნელის მეშინია, — თქვა ნენსიმ, — არ მინდა, სიბნელეში მოვკვდე.

— მთელი ღამე ანთებულ ლამპასთან გინდა იჯდე? — ჰკითხა მამამ. და უეცრად ნენსი კვლავ იმ ხმაზე აზუზუნდა. ცეცხლის პირას იჯდა და გრძელი ხელები მუხლებშუა ჰქონდა ჩაშვებული.

— ეჰ, ღმერთმა დასწყევლოს! — თქვა მამამ, — შინ წავიდეთ, ბავშვებო, უკვე ძილის დროა!

— თქვენ რომ წახვალთ, ჩემი აღსასრულიც დადგება, — თქვა ნენსიმ, — ხვალ მე მკვდარი ვიქნები. მე უკვე დავაგროვე კუბოს ფული და მისტერ ლავლედისთან შევიტანე...

მისტერ ლავლედი ჭუჭყიანი, ტანდაბალი კაცი იყო, რომელიც ზანგებისაგან დაზღვევის ფულს აგროვებდა; შაბათ დილით ჩამოუვლიდა ხოლმე ქოხებს, სამზარეულოებს და თვითეული ზანგისაგან იღებდა თხუთმეტ ცენტს. ის ცოლთან ერთად ცხოვრობდა სასტუმროში. ერთ დილას მისმა ცოლმა თავი მოიკლა. მათ ერთი ბავშვი ჰყავდათ, პატარა გოგონა. მას შემდეგ, რაც ცოლმა თავი მოიკლა, მისტერ ლავლედი თავისი შვილით იქაურობას გაეცალა. რამდენი-

მე ხნის შემდეგ ისევ დაბრუნდა. შაბათობით ხშირად ვხვდებოდით მას, ბაპტისტების ეკლესიაში მიმავალს.

მამამ ჯესონი მხრებზე შეისვა. ჩვენ გამოვედით ნენსის სახლიდან. ის კი ისევ ცეცხლის პირას იჯდა.

— ჩაიკეტე კარი, — უთხრა მამამ, — ურდული გაუყარე.

ნენსი არ განძრეულა, ჩვენთვის არც კი შემოუხედავს. ჩვენ წავედით. ის კი კერასთან დარჩა; კარი ღია იყო და ლამპა ენთო, რადგან ნენსი რასაც ელოდა, სურდა სიბნელეში არ მომხდარიყო.

— რაო, მამა, — იკითხა ქედიმ, — რატომ ეშინია ნენსის ჯუბასი? რას უზამს ჯუბა ნენსის?

— ჯუბა აქ არ არის, — თქვა ჯესონმა.

— ჰო, ის აქ არ არის, წასულია აქედან, — თქვა მამამ.

— მაშ თხრილში ვინ ჩაიმალა? — იკითხა ქედიმ. თხრილს გავხედეთ. ჩვენ სწორედ იმ ადგილს მივადექით, სადაც ბილიკი ეშვებოდა დაბლა ხშირ ბუჩქნარში, ხოლო შემდეგ ისევ მაღლა ადიოდა.

— იქ არავინ არის, — თქვა მამამ.

მთვარე მკრთალად ანათებდა, ასე რომ მხოლოდ ახლო მანძილზე მოჩანდა საგნები. შამბნარში სიბნელე და სიჩუმე სუფევდა.

— თუ ჯუბა აქ არის, ალბათ გვხედავს, არა? — თქვა ქედიმ.

— მე არ მინდოდა წამოსვლა, — თქვა ჯესონმა, — ქედიმ მაიძულა. ისევე როგორც კატაბარდის ხშირ ბუჩქნარში, ღარტაფშიც სრული სიჩუმე და სიცარიელე სუფევდა.

— მე დავიღალე, — თქვა ნენსიმ, — მე მხოლოდ ზანგი ქალი ვარ. ეს ჩემი ბრალი არ არის.

ნენსი არ ჩანდა, მაგრამ მისი ხმა მაინც მოისმოდა. როგორც კი სახლიდან გამოვედით, ნენსი ისევ იმ ხმაზე აზუზუნდა, ცეცხლთან იჯდა და გრძელი, შავი ხელები მუხლებს შორის ჰქონდა ჩაშვებული. მისი ხმა კიდევ დიდხანს ისმოდა, როდესაც თხრილზე გადავედით და მაღლა, მამის მხრებზე შემოსკუპებული ჯესონი გამოჩნდა, პატარა და შავი.

გადავედით თხრილზე, ნენსის ცხოვრება უკან მოვიტოვეთ. მისი სიცოცხლე დარჩა იქ, იმ სახლში, რომლის კარებიც ღია იყო, სადაც ენთო ლამპა და სადაც ნენსი ელოდა მოსახდენს. ჩვენს შორის, თეთრ ადამიანებსა და ნენსის სიცოცხლეს შორის, უფსკრული იყო.

— ახლა ვინღა გაგვირეცხავს სარეცხს, მამა? — ვიკითხე მე.

— მე შავტუხა არა ვარ, — თქვა მამის მხრებზე დასკუპულმა ჯესონმა.

— შენ უარესი ხარ, — უთხრა ქედიმ, — შენ ენატანია ხარ, ხოლო თუ რამე გამოხტებოდა, შენ ყველა შავტუხაზე მეტად შეშინდებოდი.

— სულაც არა, — მიუგო ჯესონმა.

— აღრიალდებოდი.

— სულაც არ ავღრიალდებოდი.

— ლაჩარო! — უთხრა ქედიმ.

— ქენდეს! — თქვა მამამ.

□

# ევგენი ევტუშენკო

## თოვლი ტოკიოში

ეროვნული
ბიბლიოთეკა

პოემა

თარგმნა ანა იმედიძემ

●

ქმარი ცდილობდა, ეცნოთ რჩეულ, ინტელიგენტურ იაპონელად.
ეს არ უშლიდა, ყოფილიყო გულგრილი ცოლთან,
მიუჯდებოდა დილიდანვე სქელყდიან წიგნებს
დრო-ჟამისაგან ფერდაკარგულ ოქროს ასოებს,
რადგან ეგონა, ეს გახდიდა უფრო მეტად ინტელიგენტურს.
ბიბლიოთეკას შეალებდა უჩუმრად ქალი,
მუშაკი ქმრისთვის ჩაი მიჰქონდა,
ხოხბებმოხატულ, შავადმბზინავ ხონჩაზე ეწყო
უმი თინუსი, ხის ჩხირები, ჯამით სოია.
კაცი კი მაინც ქალს ვერამჩნევდა —
საკაცობრიოდ ფიქრს მინდობილი.
და მიდიოდა ქალი... ვარდებთან
დიდი ბაბუა — სამურაის ვერცხლის მაკრატლით.
მერე იწყებდა საჭმლის სამზადისს
და სადილის დროს იჯდა მდუმარედ,
ეგონა ქმარი უკვდავი და მარადიული.
ამასობაში ქმრის საათი — შვეიცარული
წერტილს უსვამდა ყოფნა-არყოფნის მძიმე საფიქრალს
და მიდიოდა...
არც გაფრთხილება, სახლში როდის დაბრუნდებოდა
და არც ცოლთან გამოთხოვება.
მიუჯდებოდა ქალი ჩინურ, ძველთაძველ სარკეს,
ცდილობდა თითის ფრთხილი შეხებით
ნაოჭთა წაშლას შუბლზე, თვალებთან,
რომელნიც ისევ ციმციმებდნენ ახალგაზრდულად,
ვით სველი, მუქი ალუბლები თეთრ ფაიფურზე.
მანქანა სახლში ბრუნდებოდა განთიადისას,
დაღლილი, როგორც ნარბენი ძაღლი
ტანსაცმლიანი მიეგდებოდა ქმარი ლოგინზე და იძინებდა.
ქალი კი ხდიდა მოკასინებს,

---

* იბეჭდება შემოკლებით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამჩნევდა ძირზე მიკრულ სიგარეტს,
რომელსაც აჩნდა სისხლისფერი პომადის კვალი.

ერთხელაც ქალი ბრუნდებოდა ბუდას ტაძრიდან,
ქალის მუდარა მოთმინებით ისმინა ბუდამ,
მაგრამ ნუგეშად ვერ მისცა რჩევა.
უცებ მობრუნდა მაღალ სვეტებთან,
თვალი შეავლო უნივერსიტეტს,
სადაც კარიგა ხნის წინათ სწავლობდა.
ქალი მობრუნდა იმის გამოც, რომ სვეტთა შორის
        ნუგეშებდა მოწოდების ხმა.
კიბეზე იდგა ახალგაზრდა ნარინჯისფერი ჩაჩქანით თავზე.
ჩაჩქანის ქვეშ კი, ვით ნაკადული,
        ბობოქრობდა ურჩი ქოჩორი.
მთელმო, ბავშვურ თვალთა გუგებში
ისხდნენ მრისხანე და მამაცი სამურაები —
ის კი ყვიროდა — მართოსული — სიმართლესაც და სიცრუესაც,
და ქალი მიხვდა, რომ უძლური ყვირილის ძალაც
სჯობდა მონობას — მუნჯსა და მორჩილს.
საღამოს ქალმა დააწვინა სამივე შვილი
და გამოვიდა გარეთ — ღამეში.
ეს უკვე იყო დასაწყისი ამბოხებისა,
        ქალის სულის ამბოხებისა,
რომელსაც მიზნად დაესახა ღირსების დაცვა.

ქალი ჯერ ღამის კაფეს ეწვია,
აეკვიატა მწარე ფიქრი თვითმკვლელობაზე.
თანაც ესმოდა —
        თვითმკვლელობა ეგოიზმია
        და სამუდამოდ დატანჯავს შვილებს.

ქალი კაფედან გამოვიდა და დაინახა,
        ნაადრევ თოვლში იწვა ტოკიო.
ეს თოვლი იყო მოულოდნელი,
ვით ნამთვრალევზე გამოფხიზლება ჩაძინებამდე.
ფიფქები ჰგავდნენ აქვარიუმში მოტივტივე პურის ნამცეცებს,
დაფარფატებდნენ, ეფინებოდნენ მანქანებს და
                                        გამვლელთა ზურგებს
და ათეთრებდნენ თვით მეოცე საუკუნის
        ფეხქვეშ გათელილ შემოდგომას.
ქალს გაეცინა ისე, როგორც დაღლილ გეიშას,
რომელმაც იგრძნო უცაბედად უმეშვეობა.
ქალი იჭერდა თავისუფლების მსუბუქ ფანტელებს
და ხელისგულზე დასცქეროდა, როგორ დნებოდნენ.

თოვლი და ქალი მთელი ღამე უვლიდნენ ქუჩებს,
თოვლმა აჩვენა ის ადგილები,
        რაც ქალს აქამდე ჯერ არ ენახა.
თოვლი შეუძღვა ბალაგანში, სადაც დიაცი
დაძონძილ, მაგრამ მოოქროულ მბზინავ სამოსში
იგრიხებოდა, ვითარცა გველი და თან გველს სჭამდა.

ქალი ბალაგანს გაერიდა,
ჩაეფლო თოვლის სველ, გრილ წიაღში
და თოვლმა, როგორც ერთგულმა ძაღლმა,
შორს წაიყვანა შეჭუჭყული ქუდის ქიცინით.
და შადრევანთან
ქალი ჩამოჯდა დათოვლილ სკამზე,
სადაც ეყარა გაზეთები მიმოფანტული.
ქალს ჩაეძინა.
გამოაღვიძა ვიღაცის მზერამ.
იდგა უცნობი ადამიანი.
ეხურა ქუდი — გაქონილი, მოძველებული.
ხშირი ჭაღარით დაფარულ ხელში დაცხავებული ქოლგა ეკავა.
არ უხდებოდა კაცის ასაკს შარვალი ჯინსის.
და ყველგან ჯინსზე — აი, რა იყო საოცარი! —
ლაღად დახტოდნენ მხიარული ფერთა შხეფები,
თითქოს თოვის დროს ცისარტყელამ გამოიბრწყინა.
„წამოდი ჩემთან...“ და თვითნებურად
        გათოშილი ქალის თითები
მიენდო ძლიერ და დაძარღვულ ხელს.
ჩავიდნენ დაბლა, თან ფეხს ადგამდნენ კიბეზე ვირთხებს.
და კაცი ქოლგით უკუნს მიაწვა,
თქვა: „ქოლგა ჩემი გასაღებია“.
ზედა სინათლე არ აუნთია,
ჩართო სანათი უცნაური, რომლის შუქფარზეც
იდუმალებით დაცოცავდნენ გაცოცხლებული სალებავები.
კაცმა სტუმართან მიაჩოჩა ელექტროქურა
და მიაწოდა ქალს ცხელი ყავა თერმოსის ჭიქით.
იგი არაფერს ეკითხებოდა.
იქვე მიყრილი ხარახურიდან გამოაძრო
        მწყემსის უბრალო, ხის სალამური,
ზუსტად ისეთი ბავშვობისას ქალს რომ ენახა
ხოკაიდოზე ფეხშიშველი გლეხის ხელებში.
ეს მთვრალი გლეხი მიუძღოდა სასაკლაოზე
        დაბადებიდან განწირულ ძროხებს
და ცდილობდა, დაკვრით შეემკო
        ბალახზე მათი ნაბიჯები უკანასკნელი.
კაცს ამოჰქონდა სალამურიდან
მოცახცახე და ფაქიზი ხმები მივიწყებული მელოდიისა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

და ის სტუმართან აცეკვდა ნელა.
ამ კაცს ისეთი თვალები ჰქონდა,
        თუმც არაფერი იცოდა ქალის,
თითქოს იცნობდა მას ბავშვობიდან,
იცოდა მისი ყმაწვილქალობა
და მოწმე იყო მისი შვილების დაბადებისაც.
თითქოს მაშინაც ეხმარებოდა,
        როცა ხდიდა ქმარს — მთვრალს მოკასინებს.
თითქო ეს კაცი სადღაც ახლოს იჯდა კაფეშიც
        და დაინახა ქალის ხელებში
ყავის ფინჯანზე მოფარფატე მსუბუქ ღრუბელში
        თვითმკვლელობაზე საზარი ფიქრი.
მაგრამ ის დაკვრით არ გამოსცემდა
        მოწყალე და სათნო სიბრალულს.
ამ მელოდიით, როკვით და სევდიანი თვალების შუქით
თავის სტუმარს ეუბნებოდა:
„გაივლის ეს ყველაფერი...
        სიცოცხლეც წავა. — რა გაეწყობა!
მაგრამ რადგანაც ცოცხლები ვართ,
        რად დავიხოცნეთ სიკვდილზე ადრე?
ხომ არის ქვეყნად ბედნიერება —
ჩავბეროთ სული ან მოვუსმინოთ სხვების სალამურს.
ყოველ ჩვენგანში ბუდობენ ხმები,
რომელთაც, თითქოს სამზეოს ხილვა არ უწერია,
მაგრამ ღირს, მშვიდად დახუჭო თვალი
და გაიწოდო მომლოდინე ხელები ზევით,
მათში გაჩნდება სალამური, ვით საჩუქარი.
და ღირს, ტუჩებით დაეწაფო იდუმალ ჭრილებს,
რომ თვითეულის მელოდია ამოვა ჩვენივ სუნთქვით გამთბარი.
მაშინ ცხოვრება არასოდეს აღარ გაივლის.
ხოლო სიკვდილი — სიცოცხლის მორჩილი — წავა".
სტუმარს ესმოდა ეს სიტყვები
წარმოთქმული მხოლოდ თვალებით და სალამურით.
ქალი ატირდა.
ეს ცრემლები მტკივნეულად იბადებოდნენ, როგორც ბავშვები.
და შეუმჩნევლად ქალს ჩაეძინა ალუმინის საკეც საწოლზე.
გაღვიძებისას ყველაზე უწინ
                ქალმა შენიშნა სურათები,
რომელნიც კედლებს ეკიდა, იდგნენ,
        ანდა უბრალოდ ეყარნენ დაბლა.
ისინი თითქოს საუბრობდნენ, თითქოს ყვიროდნენ,
მღეროდნენ კიდეც სალამურზე და როცა სდუმდნენ,
დუმილიც ჰგავდა კივილს ან ჩურჩულს.
სტუმარმა ირგვლივ მიმოიხედა, ეძებდა მხატვარს.
ის გამქრალიყო. არ ჩანდა, თითქოს ეს სურათები

ბუნებაში უავტოროდ იბადებოდნენ
მხოლოდ თვითნაკეთ ტახტზე, რომელიც
პატრონისათვის იყო მაგიდა, იყო საწოლიც.
ბარათი იდო:
„დავბრუნდები გვიან, საღამოს.
იყავით, როგორც საკუთარ სახლში".
დალია ყავა.
შემდეგ შეახო ფუნჯი საღებავს
და შემოავლო ხელუხლებ ტილოს.
ეს ჰგავდა შვებას ტირილის შემდეგ,
ქალი ხატავდა სკოლის წლებში,
უფრო სწორად, კი არ ხატავდა,
გადმოხატავდა სურას ან ყვავილს.
მაგრამ ახლა კი სულ სხვა უნდოდა —
გამოეხატა, რაც სულში ჰქონდა, აგრეთვე უცხო და შორეულიც,
ქალმა დატოვა ეს სარდაფი შეღამებამდე,
ვიდრე პატრონი მოაკითხავდა.
მთელი ტოკიო გადასერა, დაბრუნდა ტაქსით.
ქმარი მივარდა გაცეცხლებული.
ქალმა გახედა არცა ზიზღით, არცა მრისხანედ,
და ქმარი შეკრთა, შეიგნო შიშით,
რომ ეს ქალი სულ სხვა ქალია,
მისთვის უცნობი და შორეული.
ქალმა აკოცა შვილებს, რომელთაც
საპნის და ძილის სუნი სდიოდათ.
ქმრის შეკითხვაზე — ამდენხანს მაინც სად დაიკარგა,
უთხრა: „ვუსმენდი მინდვრად სალამურს".
მეორე დილას „ტოიოტით" ქალი წავიდა მაღაზიაში
და შეარჩია საღებავები.
ამბოხება შეიარაღდა.
სრულიად მშვიდად მოსთხოვა ქალმა,
რომ ყვავილები გაეტანათ შუშაბანდიდან.
რაზედაც ქმარმა მხოლოდ ოდნავ დახარა თავი,
მაგრამ გულში გაკენწლა შიშმა,
რომ ყველაფერი წამოსცდა ცოლს — ჭკუაგადასულს.
ქალმა აიღო პირველი ზღუდე ამბოხების დროს.
დაიწყო ხატვა და ამბოხების შტაბში გზავნიდა
მხოლოდ ბავშვებს, ისიც — საკუთარს.
და სიმახინჯეს შეებრძოლა აზიზი ქალი
არა მისი ჯიქურ მხილებით,
არამედ ფერთა სიმშვენიერით.
და ქალი წერდა ხოკაიდურ განწირულ ძროხებს
იაპონელ ქალთა დაღლილი თვალებით.
და წერდა იაპონელ ქალებს
ხოკაიდური განწირული ძროხის თვალებით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქმარმა იფიქრა, აჩვენებდა აფრიკის ქვეყნებს
და მოულოდნელ ნეტარებას გაუქარწყლებდა.
იზრუნა „ლუქსით" მგზავრობისათვის,
თან ჰქონდა სპილოს მოკვლის ნებართვაც.
მაგრამ ქალს გული არ ეწეოდა ჯუნგლებისაკენ.
სურდა ბამბუკის ღეროებით აშენებული,
პალმის ფოთლებით გადახურული,
გვერდმოქცეული ქოხების ნახვა.
და ქალი წერდა აფრიკელ ქალებს
იაპონელ ქალთა დაღლილი თვალებით.
და წერდა იაპონელ ქალებს
აფრიკელ ქალთა დაღლილი თვალებით.

და აი, ერთხელ ქალის შემაბანდს
ეწვია ორი მცოდნე მოხუცი.
მოხუცებს ჰქონდათ რაღაც ბავშვური
და ქალმა არცთუ ახალგაზრდამ,
თან ახალგაზრდამ, როგორც მხატვარმა,
მათ ნება დართო, შემოსულიყვნენ სახელოსნოში,
სად უწინ მხოლოდ ბავშვებს უშვებდა.

მხატვარს ძალიან უშინოდა, რომ ეს მცოდნენი
არ უტყოდნენ, მხატვარი ხართ
და მარცხის გრძნობით შეპყრობილი ვერც უყურებდა.
ატრიალებდა ტილოებს ხელში,
თან კითხულობდა: „ბრწყინავს თუ არა?"
ბოლოს პირველმა იმქვეყნიური გაქვავებულ მზერით იკითხა:
„დიდი ხანია ხატავთ?"
ქალი აჩქარდა: „დიდი ხანია".
მეორე ისე, სხვათა შორის დაინტერესდა:
„თქვენ მონაწილე თუ ყოფილხართ გამოფენისა?"
ქალს გულნაკლულად აღმოხდა: „არა".
„ვინ გასწავლიდათ?" — შეეკითხა ისევ პირველი.
„ერთი..." — და ქალი მთლად დაილია.
დააბრახუნა მეორემ ჩოგნით,
თითქოს სიმაგრეს უმოწმებდა სურათის ჩარჩოს
და თქვა ანაზდად, გაღიმებულმა:
„კი, რაღაცას გავს..."
„რას, ვის?" — შეკრთომით იკითხა ქალმა.
„რას და... მხატვრობას". — კვლავ გაიღიმა.
„მეც ვეთანხმები პატივცემულ კოლეგას ჩემსას,
მაგრამ არ გირჩევთ აჩქარებას გამოსაფენად".
მეორემ ახლა იატაკზე დააბრახუნა,
თქვა თვალთმაქცურად: „მე კი გირჩევთ,
იჩქაროთ, რადგან კოლეგაც ხედავს
სინათლის ლამპარს თქვენს მხატვრობაში.

თუმც ცნობილია, ვინც მეტად ჩქარობს, ის ხშირად აგებს,
მაგრამ ხომ ისიც, ვინც სულ არ ჩქარობს, ვერ გაიმარჯვებს!
მილიონერი ანდა უვიცი
ხალხს ხელოვნებას თუ დაუმალავს
ეს ხომ გაძარცვა იქნება ხალხის.
მაგრამ თუ მალავს თვით ხელოვანი, მაპატიეთ, ეგოიზმია.
მოგექცევებათ, ალბათ სასმელი,
რომ თქვენთან ერთად მე და კოლეგამ
შევსვათ პირველი გამოფენის აღსანიშნავად!
გამოფენას კი ჩვენ მოგიწყობთ... არა, კოლეგა?"
„რაღა თქმა უნდა... — ჩაიბუზღუნა. —
როცა ვუთხარი, არ აჩქარდეთ,
ეს მე ვურჩიე მამაშვილურად.
მაგრამ მამათა ბრძნულ დაყოვნებას
ხან სჯობს სულსწრაფი ბავშვური სიბრძნე..."
ო, როგორ უნდა თითოეულ მხატვარს,
თუკი ოსტატად აკურთხებენ
არა მცირე განათლების მოთაყვანე ახალბედები,
არამედ მცოდნე მოხუცები
მოყირჭებულნი საღებავებით

დარტყმებისაგან ფერდაკარგულ, მოყონჩილითო
თამამ ჩოგანზე
ქალმა ჩამოდგა სამი სასმისი და გამოფენის საქმეც გადაწყდა.
ქმარიც ეწვია ამ ვერნისაჟს
და თუმც თავს სდებდა
ყოვლად რჩეულ „ინტელიგენტურ" ადამიანად,
არ განუცდია სიხარული და სიამაყე,
შიში კი იგრძნო — საოცარი და ცხოველური:
ეცლებოდა ცოლი ხელიდან.
ქალთან მივიდა მოხუცი კაცი და ასე უთხრა:
„ჩვენ მხატვრები ვართ, მაშასადამე —
მეტოქენიც და მეგობრებიც.
და ეს ჩვენი სათუთი მტრობა
უფრთხილდება თვითეულ ჩვენგანს,
კლავს კი ურთიერთ თაყვანისცემას.
პატივს გცემთ როგორც ვაჟკაცურ და ძლიერ მეტოქეს.
და თუ ოდესმე სულს გაუჭირდა, გაიხსენეთ ჩემი სარდაფი.
იქ დაგხვდებათ ფინჯანი ყავა,
სიამოვნებით კვლავ დაგიკრავთ იმ სალამურზე..."

გამოფენაზე საოცარი ამბავი იყო:
მამაკაცებიც შემოდიოდნენ,
მაგრამ ქალები მოიწევდნენ, როგორც ისეთ მალაზიაში,
სადაც აძლევდნენ ყოფაცხოვრების და ქმრებისგან
თავისუფლებას.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ერთხელ მხატვართან მივიდა ქალი,
ორმოცი წლისა, ან იქნებ მეტის.
ეცვა უბრალო სელის კიმონო,
ჰქონდა საოცრად დაღლილი მზერა, მაგრამ რომელშიც
დაწყებული ამბოხების კოცონი ენთო.
მან თქვა: „ფაბრიკა „სონი"-დან ვარ,
არცთუ ისე განათლებული, გემუდარებით, მასწავლეთ ხატვა".
დაიწყო ხატვა და ამ ქალში რაღაც გაიხსნა —
აკვარელით გამოსახული მუშაქალები
        ტრანზისტორებს ჩაჰკირკიტებდნენ —
მუსიკის სამყაროსა და სიცრუის სანაგვე ყუთებს.
ქალები გავდნენ ლოტოსის ყვავილს —
მძიმე თოვლით წელში გალუნულს...
მერე დრო და დრო სხვა ქალებიც გამოჩნდებოდნენ
ქმრებს ხელოვნებით რომ კეკლუცად დამუქრებოდნენ,
ბოლოს კი ისევ — ხელოვნების დეზერტირები —
მიაშურებდნენ საეჭვოდ მყუდრო ოჯახის წიაღს.
ჩამოთვლილ ნაკლთა მიუხედავად, ეს იყო ჯანყი.
მაგრამ რომელი აჯანყება ჩაივლის მსხვერპლის, ხარჯის
                                                                                    გარეშე?
მხატვარი ქალი, თუმცა მრავალ შეცდომას სცნობდა,
მაინც კაცურად უძღვებოდა ამ წამოწყებას თვისი სიმართლით
და სიმართლით ამბოხებისა,
რადგან სიცოცხლე ამბოხებაა კვდომის წინააღმდეგ,
ხელოვნება კი — წინააღმდეგი იმ ცხოვრებისა,
როცა სიცოცხლე ხდება მეტად მსგავსი სიკვდილის.

...მაგრამ ხანდახან, თუ სარკმელს გარეთ
ფარფატს იწყებდა თოვლის ფანტელი,
მხატვარი ქალი შვებით სუნთქავდა
და იგონებდა საოცარ სარდაფს.
სარდაფში ოსტატს
და მის დაძარღვულ, ძლიერ ხელებში
        მკურნალ სალამურს.

ტოკიო — მოსკოვი

□



მხატვარი: ტარიელ ვართაგავა

# ფრენსის სკოტ ფიცჯერალდი

## ისევ ბაბილონი

ეროვნული ბიბლიოთეკა

**მოთხრობა**

**ინგლისურიდან თარგმნა ვალენტინა ტატიშვილმა**

I

მისტერ კემპბელი სადღა არის? — იკითხა ჩარლიმ.

— შვეიცარიაში წავიდა. მისტერ კემპბელი ძალიან ავადმყოფობს, მისტერ უეილს.

— სამწუხაროა. ჯორჯ ჰარდტი? — იკითხა ჩარლიმ.

— ამერიკაში დაბრუნდა სამუშაოდ.

— კოკაინისტი?

— გასულ კვირას აქ იყო. მისი მეგობარი მისტერ შეფერი კი ნამდვილად პარიზშია.

წელიწად-ნახევარი გავიდა და გრძელი სიიდან მხოლოდ ორი ნაცნობიღა დარჩა. ჩარლიმ უბის წიგნაკში მისამართი ჩაწერა და ის ფურცელი ამოხია.

— მისტერ შეფერი თუ ნახოთ, ეს გადაეცით, — უთხრა მან, — ჩემი ქვისლის მისამართია. ჯერ სასტუმროში არ დავბინავებულვარ.

ჩარლის მაინცდამაინც არ დასწყვეტია გული, პარიზი რომ ასე დაცარიელებული დახვდა. მაგრამ სასტუმრო „რიცის" ბარში ასეთი უჩვეულო სიმშვიდე ეუცნაურა. ეს უკვე აღარ ჰგავდა ამერიკულ ბარს — იძულებული იყავი თავაზიანობა გამოგეჩინა, ბარის ბატონ-პატრონივით ვეღარ დაიჭერდი თავს, ისევ ფრანგულ ბარად ქცეულიყო. გამოვიდა თუ არა ტაქსიდან, ჩარლიმ მაშინვე იგრძნო ეს სიმშვიდე. კარისკაცი, რომელიც წინათ, დღის ამ საათებში, ფეთიანივით იყო და მოსვენება არა ჰქონდა, ახლა chasseur-ს[1] ეჭორავებოდა უკანა კარებში.

დერეფანს რომ დაუყვა, ქალების ოთახიდან, საიდანაც წინათ ყივილ-ხივილი გამოდიოდა, ახლა ერთადერთი ქალის მოწყენილი ხმა შემოესმა. ბარისაკენ გაუხვია, თხუთმეტი ნაბიჯი გაიარა მწვანე ხალიჩაზე, თან ჩვეულებისამებრ წინ იყურებოდა, დაჯდა და ფეხით კადონს დაეყრდნო. მერე შებრუნდა, ოთახი მოათვალიერა. ბარის კუთხეში მხოლოდ ერთი წყვილი თვალი მოსწყდა გაზეთს და აციმციმდა. ჩარლიმ უფროსი ბარმენი პოლი იკითხა, რომელიც წინათ, როცა ბირჟაზე ფასები მაღლა იწევდა, სამუშაოზე არასერიული, საგანგებოდ მისთვის გაკეთებული მანქანით მოდიოდა, ოღონდ მოკრძალებას იჩენდა და ქუჩის უახლოეს კუთხეს მოაფარებდა ხოლმე მანქანას. პოლი დღეს საკუთარ აგარაკზე იყო და ახალ ამბებს ალიქსი უამბობდა.

— არა, მეტი არ მინდა, — თქვა ჩარლიმ. — ახლა ცოტასა ვსვამ.

ალიქსმა მიულოცა.

— მაგრად კი სვამდით ორი წლის წინათ.

---

[1] შიკრიკი (ფრანგ.).

— ახლა მორჩა, — დაბეჯითებით უთხრა ჩარლიმ. — წელიწად-ნახევარია მტკიცედ ვიცავ ამ რეჟიმს.

— ამერიკაში რა ამბავია?

— დიდი ხანია არა ვყოფილვარ ამერიკაში, რამდენიმე თვეა პრაღაში ვმუშაობ. ორი კონცერნის წარმომადგენელი ვარ. იქ ჩემზე არაფერი იციან.

ალიქსმა გაიღიმა.

— ის ღამე თუ გახსოვთ, ჯორჯ ჰარდტმა მამაკაცებს სადილი რომ გაგვიმართა? — ჰკითხა ჩარლიმ. — ჰო, მართლა, კლოდ ფესენდენს რაღა მოუვიდა?

ალიქსმა ხმას დაუწია და საიდუმლოდ გაანდო:

— პარიზშია, მაგრამ ჩვენთან აღარ დადის. პოლმა აუკრძალა მოსვლა. ოცდაათ ათას ფრანკამდე ვალი დაუგროვდა. წელიწადზე მეტი სვამდა, საუზმობდა და ჩვეულებისამებრ ვახშმობდა — სულ ნისიად. ბოლოს კი, როცა პოლმა ვალის გადახდა მოსთხოვა, ყალბი ჩეკი მისცა.

ალიქსმა ნაღვლიანად გაიქნია თავი.

— ვერ გამიგია, ასეთი კოხტა კაცი ასე როგორ გასივდა, — ალიქსმა ხელებით დიდი მრგვალი ვაშლი შემოხაზა.

ჩარლი უყურებდა, როგორ მოიკალათეს კუთხეში წრიპინა პედერასტებმა.

„ამათზე არაფერი მოქმედებს, — გაიფიქრა მან, — აქციების ფასი მატულობს თუ იკლებს, ხალხი უსაქმოდ დაეხეტება თუ მუშაობს, ამათ არაფერი ენაღვლებათ". ჩარლის გული დაუმძიმდა ამ ბარში. მან ალიქსს კამათლები სთხოვა. გააგორეს — წაგებული სასმელის ფულს გადაიხდიდა.

— დიდხანს დარჩებით აქ, მისტერ უეილს?

— ოთხი-ხუთი დღე. ჩემი პატარა გოგონას სანახავად ჩამოვედი.

— ოოჰ! მაშ, თქვენ პატარა გოგონა გყავთ?

გარეთ, ნელ წვიმაში მკრთალად ციმციმებდა ცეცხლივით წითელი, გაზისებრ ლურჯი, ლანდისებრ მწვანე აბრები. საღამო ხანი იყო და ქუჩები აფუსფუსებულიყო. ბისტროებში სინათლე კიაფობდა. კაპუცინების ბულვარის კუთხეში ჩარლი ტაქსში ჩაჯდა. ჩაუარეს თანხმობის ვარდისფერ, მედიდურ მოედანს; შემდეგ სენა გადაჭრეს და ჩარლიმ უცებ შეიგრძნო, რა პროვინციული მყუდროება სუფევდა მდინარის ამ მარცხენა ნაპირას.

შოფერს უთხრა, ოპერის ავენიუთი წავიდეთო, თუმცა გზა იქით არა ჰქონიათ. უნდოდა დაენახა დიდებული შენობის თავზე გაშლილი ლურჯი ბინდბუნდი და ტაქსის პაპინში, რომელიც გაუთავებლად იმეორებდა „le plus que lente[1]"-ის დასაწყის ტაქტებს, მეორე იმპერიის საყვირების ხმა გაეგონა. წიგნის მაღაზია „ბრეტანოს" წინ უკვე კეტავდნენ რკინის გისოსს, დიუვალთან კი დაბალი, ქალაქურად შეკრეჭილი ცოცხალი ღობის იქით უკვე სადილობდნენ. პარიზში ჩარლის არასოდეს უსადილია ნამდვილად იაფ რესტორანში, სადაც ხუთი თავი კერძი ღვინიანად ოთხი ფრანკი და ორმოცდაათი სანტიმი, ანუ თვრამეტი ცენტი ღირდა. უცნაური კი იყო, მაგრამ ახლა ნანობდა.

მარცხენა ნაპირზე რომ გადავიდნენ, ჩარლიმ ერთბაშად იგრძნო ამ უბნის მოულოდნელი პროვინციალიზმი და გაიფიქრა: „თვითონ გავიუბედურე ეს ქალაქი. ვერ ვამჩნევდი, როგორ მისდევდა დღე დღეს, მერე ორი წელი გავიდა, ყველაფერი დაიღუპა და მეც დავიღუპე".

---

[1] დებიუსის „ნელი ვალსი" (ფრანგ.).

ჩარლი ოცდათხუთმეტი წლის კარგი შესახედავი მამაკაცი იყო. მის მკვირცხლ ირლანდიურ სახეს სიდინჯეს მატებდა წარბებშუა ჩამჯდარი ღრმა ნაოჭი. როცა პალატინის ქუჩაზე თავისი ქვისლის სახლის კარზე ზარი დარეკა, წარბები შეჭმუხნა და ნაოჭი უფრო ჩაუღრმავდა. მუცელმა გვრემა დაუწყო. მსახურმა ქალმა კარი გააღო. უცებ მშვენიერი პატარა გოგონა გამოვარდა, მამიკოო, შეჰკივლა, ჩარლის მიაფრინდა და თევზივით აფართხალდა მის მკლავებში. გოგონამ ყურში ჩაავლო მამას ხელი, თავი მოიზიდა და ლოყით ლოყაზე მიეხუტა.

— ჩემო საყვარელო ბებრუცუნა! — უთხრა ჩარლიმ.

— ოჰ, მამიკო, მამიკო, მამა, მამა!

გოგონამ სასტუმრო ოთახისაკენ გაიწია და ჩარლიც გაიყოლა, იქ მთელი ოჯახი ელოდა — მისი შვილის ტოლი ბიჭი და გოგო, ცოლისდა და მისი ქმარი. ჩარლი მიესალმა მერიონს, თან შეეცადა, ხმაში არც სიძულვილი შესტყობოდა, არც ნაძალადევი სიხარული; მერიონმა კი აშკარად ცივად უპასუხა სალამზე, მაგრამ ჩარლის გოგონას რომ გადახედა, სახეზე თითქმის წაეშალა ჩვეული უნდობლობის გამომეტყველება. კაცებმა მეგობრულად ჩამოართვეს ხელი ერთმანეთს, ლინკოლნ პიტერსის ხელი წუთით შეყოვნდა ჩარლის მხარზე.

ოთახში თბილოდა, ამერიკული სიმყუდროვე სუფევდა. სამი ბავშვი თავისთვის თამაშობდა — დააბიჯებდნენ ყვითელ სწორკუთხედებზე, რომლებიც სხვა ოთახებისაკენ მიემართებოდა. ცეცხლის მადიან ტკაცუნსა და სამზარეულოს ფუსფუსში საღამოს ექვსი საათის მხიარული განწყობილება იგრძნობოდა. მაგრამ ჩარლი ისევ დაძაბული იყო, გული ყელში მოსწოლოდა და მხოლოდ შვილიღა ამხნევებდა, — წამდაუწუმ მიირბენდა ხოლმე მამასთან, მკლავებზე მისი ნაჩუქარი თოჯინა ეწვინა.

— კარგად, ძალიან კარგად, — უპასუხა ჩარლიმ ლინკოლნის კითხვაზე, — ბევრგან საქმე ადგილიდან არ იძვრის, ჩვენი საქმეები კი კარგად მიდის, უწინდელზე უკეთესადაც. ჩემი და გამოვიძახე ამერიკიდან, მომავალ კვირას ჩამოვა, იდიასახლისებს ჩემთან. შარშან ისეთი შემოსავალი მქონდა, ფულიანი რომ ვიყავი, მაშინაც არა მქონია იმდენი. ხომ იცი, ჩეხები...

განგებ დაიწყო ტრაბახი, მაგრამ ერთი წუთის შემდეგ, როცა ლინკოლნს თვალებში მოუსვენრობა შეატყო, მაშინვე შეცვალა საუბრის თემა:

— მშვენიერი ბავშვები გყავთ, ზრდილები, კარგად იქცევიან.

— ჩვენ კიდევ ჰონორია მოგვწონს, ძალიან კარგი გოგონაა.

მერე მერიონ პიტერსი დაბრუნდა სამზარეულოდან. მაღალი ქალი იყო, ოდესღაც სიცოცხლით სავსე — როგორც ამერიკელებს სჩვევიათ — და სანდომიანს, ახლა შეშფოთებული თვალები ჰქონდა. მაგრამ ჩარლის არასოდეს მიაჩნდა მერიონი ლამაზ ქალად და მუდამ უკვირდა, როცა ვინმე იტყოდა, რა ლამაზი იყოო. მათ თავიდანვე ქვეცნობიერად შეიძულეს ერთმანეთი.

— როგორ მოგეწონა ჰონორია? — ჰკითხა მერიონმა.

— მშვენიერია. როგორ გაზრდილა ამ ათ თვეში. სამივე ბავშვი მშვენიერად გამოიყურება.

— ერთი წელია ექიმს ფეხი არ შემოუდგამს ჩვენთან. ახლა როგორია მოგწონს პარიზი?

— უცნაურია რაღაც, ამერიკელებიდან თითქმის აღარავინ ჩანს.

— ძალიანაც კარგი,—შურისძიების კილოთი თქვა მერიონმა.—მაღაზიაში მაინც შევდივართ ისე, რომ მილიონერები აღარავის ვგონივართ. ჩვენც სხვებივით დავზარალდით, მაგრამ მაინც ასე სჯობს.

— არადა, სასიამოვნო იყო, — თქვა ჩარლიმ, — თითქოს ზღაპრული უფლისწულები ვიყავით, ყველაფრის ნება გვქონდა. დღეს კი ბარში — ჩარლი შეყოყმანდა, მიხვდა, რომ შეცდომა დაუშვა, — ერთი ნაცნობიც ვერა ვნახე.

მერიონმა მკაცრად შეხედა ჩარლის.

— მგონი, არ დაგიკლია ბარებში სიარული.

— ერთი წუთით შევედი. დღეში მხოლოდ ერთხელა ვსვამ, ნაშუადღევს.

— კოქტეილი ხომ არ გინდა სადილის წინ?—ჰკითხა ლინკოლნმა.

— დღეში მხოლოდ ერთხელა ვსვამ, ნაშუადღევს. დღეს უკვე დავლიე.

— იმედი მაქვს, ასევე განაგრძობ, — უთხრა მერიონმა.

მერიონი ცივად ლაპარაკობდა, აშკარა სიძულვილით, მაგრამ ჩარლიმ მხოლოდ გაიღიმა; ეს წვრილმანი იყო, მას უფრო დიდი გეგმები ჰქონდა. მერიონის აგრესიულობა ხელსაყრელიც იყო ჩარლისათვის. მან იცოდა, რომ მხოლოდ მოთმინება უნდა გამოეჩინა, ვინემ იმაზე დაიწყებდნენ საუბარს, რისთვისაც ჩარლი ჩამოვიდა პარიზში. მათ იცოდნენ, რისთვისაც ჩამოვიდა.

სანამ სადილობდნენ, ჩარლიმ ვერაფრით ვერ გადაწყვიტა, მას ჰგავდა ჰონორია თუ დედას. ბედნიერება იქნება, თუ ბავშვს არ გამოჰყვა მშობლების ის თვისებები, მათ რომ უბედურება მოუტანა. ჩარლის უცებ აღეძრა სურვილი, დაეცვა შვილი უბედურებისაგან. ეგონა, ვიცი, რა უნდა გავაკეთო ჰონორიასათვისო. სჯეროდა ხასიათის სიმტკიცისა; სურდა მთელი ერთი თაობით უკან გადამხტარიყო, რათა ისევ ჰქონოდა იმედი ხასიათის სიმტკიცისა, როგორც მარადიულად ფასდაუდებელი რაღაცისა. დანარჩენი ყველაფერი წარმავალი იყო.

ჩარლი დიდხანს არ დარჩენილა ნასადილევს, მაგრამ შინ არ წასულა, უნდოდა ენახა ღამის პარიზი უფრო ნათლად, უფრო სადი თვალით, ვიდრე წინათ. მან დაიკავა strapontin-ი[1] „კაზინოში“ და შესცქეროდა, როგორ ასრულებდა შოკოლადისფერი ჯოზეფინა ბეიკერი არაბესკებს.

ერთი საათის შემდეგ ჩარლი კაბარედან გამოვიდა, ნელი ნაბიჯით გაემართა მონმარტრისაკენ, პიგალის ქუჩას აუყვა და ბლანშის მოედანზე აღმოჩნდა. წვიმამ გადაიღო. კაბარესთან საღამოს ტანსაცმელში გამოწყობილი ხალხი ტაქსებიდან გადმოდიოდა; Cocottes[2]-დან ზოგი ეულად, ზოგი წყვილად დაეხეტებოდა, ზანგებიც ბევრი იყო. ჩარლიმ ჩაუარა განათებულ კარს, საიდანაც მუსიკა ისმოდა, ეცნაურა იქაურობა და შეჩერდა — ბრიკტოპის კაბარე იყო. ვინ იცის, რამდენი დრო და ფული გაფლანგა მან ამ კაბარეში! კიდევ რამდენიმე კარს ჩაუარა, ისევ ძველი თავშეყრის ადგილას აღმოჩნდა და დაუფიქრებლად შეიხედა შიგ; ფიცხლივ იგრიალა ორკესტრმა, ორი პროფესიონალი მოცეკვავე წამოიჭრა ზეზე; მეტრდოტელი გამოქანდა ჩარლისაკენ და შესძახა: „მობრძანდით, სერ, სწორედ ახლა შეიკრიბა ხალხი“.

მაგრამ ჩარლი სწრაფად გაეცალა იქაურობას.

„აქ ნამდვილად გამოვთვრები“, — გაიფიქრა მან.

---

[1] ასაკეცი სკამი (ფრანგ.).

[2]. მეძავი ქალები (ფრანგ.).

ზელის კაბარე დაკეტილი დაუხვდა, მის გარშემო უბადრუკი, საეჭვო იაფფასიანი სასტუმროებიც ჩაბნელებული იყო. ბლანშის ქუჩა უფრო განათებული ჩანდა. ისმოდა პარიზული წკვირცხლი ლაპარაკი. „პოეტების მღვიმე“ გამქრალიყო, მაგრამ კაფეებს „სამოთხესა“ და „ჯოჯოხეთს“ ისევ დაღებული ჰქონდათ ვეებერთელა ხახა და გადაყლაპეს კიდეც ჩარლის თვალწინ ტურისტული ავტობუსიდან გადმოსულ უცხოელთა მცირე ჯგუფი: ერთი გერმანელი, ერთი იაპონელი და ორი ამერიკელი, რომლებმაც შეშინებული თვალები შეანათეს ჩარლის.

ეს იყო და ეს მონმარტრის მთელი მონდომება და მოხერხება. ბიწიერებაცა და მფლანგველობაც ბავშვური გატაცებით იყო და ჩარლი უცებ მიხვდა, რას ნიშნავდა სიტყვა „ფლანგვა“ — როცა ყველაფერს ქარს გაატან, რაღაცას არაფრად აქცევ. ღამე რომ მიილეოდა, მაშინ ყოველი გადასვლა ერთი კაბარედან მეორეში უშველებელი ნახტომი იყო ერთი ადამიანური მდგომარეობიდან მეორეში, საფასურის მომატება იმ უფლების მოსაპოვებლად, რათა თანდათან ნელა გემოძრავა.

ჩარლიმ გაიხსენა ათასფრანკიანები (დაუკვეთავდა ორკესტრს ერთ რაღაცას და ათასფრანკიანს მისცემდა), ასფრანკიანები (გამოძახებინებდა კარისკაცს ტაქსის და ასფრანკიანს მიუგდებდა).

მაგრამ ეს ფული ტყუილუბრალოდ არ გაუცია.

ესეც და სხვა უაზროდ გაფანტული თანხებიც ბედისთვის მირთმეული მსხვერპლი გახლდათ, რათა ჩარლის დაევიწყებინა მთავარი, რაც დახსომების ღირსი იყო და ამიერიდან მუდამ ეხსომება კიდეც — რომ მას წაართვეს შვილი, რომ ცოლმა ვერმონტის სასაფლაოს შეაფარა თავი.

გაკაშკაშებულ brasserie[1]-ში ჩარლის ქალი გამოელაპარაკა. მან ომლეტი და ყავა შეუკვეთა ქალისათვის, თან მის გამომწვევ თვალებს არიდებდა მზერას, მერე ოცი ფრანკიც მისცა, ტაქსში ჩაჯდა და სასტუმროში წავიდა.

## II

როცა გაიღვიძა, შემოდგომის ნათელი დღე იდგა — საფეხბურთო ამინდი. გუშინდელი სევდა გამქრალიყო, ახლა უკვე მოსწონდა ქუჩაში მიმავალი ხალხი. თორმეტ საათზე კი ჰონორიას პირისპირ იჯდა „ლე გრან ვატელში“. ეს იყო ერთადერთი რესტორანი, სადაც ჩარლის არ აეშლებოდა მოგონებები — ვახშმობა შამპანურით და დღის ორი საათიდან მქრქალ ბინდბუნდამდე გაჭიანურებული სადილები.

— ბოსტნეულზე რას იტყვი, შევუკვეთო შენთვის ცოტა ბოსტნეული?

— შეუკვეთე.

— აქვთ épinards[2], chou-fleur[3], აგრეთვე სტაფილო და haricots[4].

— Chou-fleur მირჩევნია.

— იქნებ კიდევ გინდა რამე ბოსტნეული?

— სადილობისას მხოლოდ ერთ რომელიმეს ვჭამ.

---

[1] ლუდხანა (ფრანგ.).

[2] ისპანახი (ფრანგ.).

[3] ყვავილა კომბოსტო (ფრანგ.).

[4] მწვანე ლობიო (ფრანგ.).

ოფიციანტმა ძალიან გამოიდო თავი, ბავშვების დიდი სიყვარული გამოიჩინა.

— Qu'elle est mignonne, la petite! Elle parle exactement comme une Française.[4]

ეროვნული ბიბლიოთეკა

— დესერტი? თუ მოვიცადოთ და მერე მოვიფიქროთ?

ოფიციანტი გაუჩინარდა. ჰონორიამ მამას შეხედა; მისი თვალები მოლოდინს გამოხატავდა.

— დღეს რას ვაპირებთ?

— ჯერ სენტ-ონორეს ქუჩაზე მივდივართ, სათამაშოების მაღაზიაში და რაც მოგესურვება, ყველაფერს ვყიდულობთ. შემდეგ თეატრ „ამპირში“ — ვოდევილზე.

გოგონა შეყოყმანდა.

— ვოდევილი მომწონს, სათამაშოების მაღაზია კი არა.

— რატომ?

— აკი მომიტანე თოჯინა, — ჰონორიას თოჯინა თან წამოეღო. — სხვა სათამაშოებიც ბევრი მაქვს. ახლა ხომ აღარა ვართ მდიდრები?

— არც არასოდეს ვყოფილვართ. მაგრამ დღეს გიყიდი ყველაფერს, რაც მოგესურვება.

— კეთილი, — მორჩილად უთხრა ჰონორიამ.

როცა ბავშვს გვერდით დედა და ფრანგი გამზრდელი ჰყავდა, ჩარლი უფრო მკაცრად ექცეოდა შვილს; ახლა არღვევდა ბავშვთან ურთიერთობის ზღუდეებს, ცდილობდა მოთმინება გამოეჩინა — ახლა ის დედაც უნდა იყოს ბავშვისათვის და მამაც, არ უნდა მოერიდოს მასთან დაახლოებას.

— მინდა კარგად გაგიცნო, — დინჯად უთხრა ჩარლიმ. — ჯერ ნება მომეცით გაგეცნოთ — მე ჩარლზ ჯ. უეილსი გახლავართ, ვცხოვრობ პრაღაში.

— ოჰ, მამიკო! — ჰონორიას ხმა ჩაუწყდა სიცილისაგან.

— შეიძლება გავიგო თქვენი სახელი? — თავისას არ იშლიდა ჩარლი და ბავშვიც იმწამსვე ჩაება თამაშში.

— ჰონორია უეილსი, ვცხოვრობ პარიზში, პალატინის ქუჩაზე.

— გათხოვილი ხართ თუ მარტოხელა?

— გაუთხოვარი ვარ.

ჩარლიმ თოჯინაზე ანიშნა:

— ბავშვი, მადამ?

თოჯინის შვილობაზე უარს ვერაფრით იტყოდა. ჰონორიამ მკერდზე მიიკრა იგი და უცებ მოისაზრა:

— დიახ, ვიყავი გათხოვილი, მაგრამ ახლა მარტო ვარ, ქმარი მომიკვდა.

ჩარლიმ სწრაფად განაგრძო:

— რა ჰქვია?

— სიმონა. სკოლის უახლოესი ამხანაგის სახელი დავარქვი.

— ძალიან მიხარია, რომ კარგად სწავლობ.

— ამ თვეში მესამე ადგილზე ვარ, — წაიტრაბახა ჰონორიამ, — ელსი მხოლოდ მეთვრამეტე უნდა იყოს, — ელსი მისი დეიდაშვილი იყო, — რიჩარდი კი თითქმის ბოლოში.

---

4 რა მშვენიერი გოგონაა, ნამდვილი ფრანგივით ლაპარაკობს (ფრანგ.).

— რიჩარდი და ელსი ხომ გიყვარს?

— როგორ არა. რიჩარდი ძალიან მიყვარს. ელსიც კარგია.

ჩარლიმ ფრთხილად, თითქოს შემთხვევით ჰკითხა:

— დეიდა მერიონი და ძია ლინკოლნი? რომელი უფრო გიყვარს?

— ოჰ, მგონი, ძია ლინკოლნი.

ჩარლი სულ უფრო და უფრო გრძნობდა შვილის სიახლოვეს. რესტორანში რომ შევიდნენ, ალტაცების ჩურჩული მიაღევნეს — „რა მშვენიერია!“ ახლაც მეზობელი მაგიდიდან მდუმარედ შესცქეროდნენ გოგონას, თითქოს ყვავილი ყოფილიყოს, რომელიც ვერ გრძნობდა, რომ მიშტერებოდნენ.

რატომ შენთან არა ვცხოვრობ? — მოულოდნელად ჰკითხა ბავშვმა. — იმიტომ, რომ დედა მოკვდა?

— ერთხანს აქ უნდა იცხოვრო, ფრანგული შეისწავლი კარგად. მამა ასე კარგად ვერ მოგივლიდა.

— მე ბევრი მოვლა აღარ მჭირდება. ყველაფრის გაკეთება ვიცი.

რესტორნიდან რომ გამოდიოდნენ, უცებ ვიღაც ქალმა და კაცმა ერთხმად შესძახეს:

ო, ეს ხომ უეილსია!

— ჰელო, ლორეინ... დუნკ!

მოულოდნელად მოვლენილი აჩრდილები წარსულიდან: დუნკან შეფერი, ჩარლის კოლეჯელი მეგობარი, და ლამაზი, ჩალისფერთმიანი ლორეინ კუორლზი, ოცდაათი წლის ქალი, იმ კომპანიის წევრი, რომლის წყალობით თვეები დღეებივით გარბოდა სამი წლის წინათ, უზრუნველი ფლანგვის ხანაში.

— ჩემი ქმარი წელს ვერ ჩამოვიდა, — უპასუხა ლორეინმა ჩარლის შეკითხვაზე. — სულ მთლად გავკოტრდით. თვეში ორასი დოლარი დამინიშნა და მითხრა, რაც შეიძლება ცუდად მოიხმარეო... შენი გოგონაა?

— იქნებ შევბრუნდეთ და დავსხდეთ! — თქვა დუნკანმა.

— არ შემიძლია. — ჩარლის უხაროდა, რომ უარის მიზეზი ჰქონდა. როგორც ყოველთვის, ახლაც იგრძნო ლორეინის ვნებისაღმძვრელი, გამომწვევი მომხიბვლაობა, მაგრამ ჩარლის ცხოვრების რიტმი ახლა სხვანაირი იყო.

— მაშინ იქნებ გვესადილა ერთად? — ჰკითხა ქალმა.

— არა მცალია, თქვენი მისამართი მომეცით და დაგირეკავთ.

— ჩარლი, მგონი, ფხიზელი ხართ, — გამკიცხავი კილოთი უთხრა ლორეინმა. — დუნკ, ერთი უჩქმიტეთ და ვნახოთ, მართლა ფხიზელია?

ჩარლიმ ჰონორიაზე ანიშნა. იმათ ორივეს გაეცინათ.

— შენი მისამართი? — ჰკითხა დუნკანმა უნდობლად.

ჩარლი შეყოყმანდა, არ უნდოდა თავისი სასტუმრო დაესახელებინა.

— ჯერ არსად დავბინავებულვარ. ისევ ისა სჯობს, მე თვითონ დაგირეკოთ. „ამპირში“ მივდივართ ვოდევილის სანახავად.

— მეც სწორედ ეგ მინდა, — თქვა ლორეინმა. — მსურს ვუყურო ჯამბაზებს, აკრობატებს, ჟონგლიორებს. ნამდვილად იქ უნდა წავიდეთ, დუნკ.

— ჩვენ ჯერ სხვა საქმეები გვაქვს, დაგვაბარეს რაღაც, — უთხრა ჩარლიმ. — ალბათ იქ შევხვდებით ერთმანეთს.

— კეთილი, შე სნობო, შენა... ნახვამდის, მშვენიერო გოგონა.

— ნახვამდის.

ჰონორიამ თავაზიანად გააკეთა კნიქსენი.

არასასურველი შეხვედრა იყო. მათ მოსწონდათ ჩარლი იმიტომ, რომ იგი მსახურობდა და დარბაისელი კაცი გახლდათ. ჩარლისთან ყოფნა იმიტომ უნდოდათ, რომ ის ახლა მათზე ძლიერი იყო, იმიტომ ეტმასნებოდნენ, რომ უნდოდათ ჩარლის ძალას დაყრდნობოდნენ.

„ამპირში" ჰონორიამ ამაყად განაცხადა უარი, როცა მამამ თავის დაკეცილ პალტოზე დაჯდომა შესთავაზა. გოგონა უკვე დამოუკიდებელი იყო, საკუთარი წესები ჰქონდა და ჩარლის სულ უფრო იპყრობდა სურვილი, ცოტა რამ თავისიც ჩაექსოვა შვილის არსებაში, სანამ ჰონორია საბოლოოდ ჩამოყალიბდებოდა. მაგრამ ასე უცებ ამას რას მოახერხებდა.

პირველი მოქმედების შემდეგ ჩარლი და გოგონა დუნკანსა და ლორეინს შეხვდნენ ფოიეში, სადაც ორკესტრი უკრავდა.

— დავლიოთ?

— კეთილი, მაგრამ დახლთან არა, მაგიდას მივუსხდეთ.

— რა იდეალური მამაა.

ჩარლი უგულისყუროდ ისმენდა ლორეინის ლაპარაკს. შენიშნა, რომ ჰონორიას თვალებმა ამ მაგიდიდან სხვაგან გადაინაცვლეს, თვითონაც შემოავლო თვალი იქაურობას და სევდამორეული ცდილობდა გამოეცნო, რას უყურებდა ბავშვი. მერე მამა-შვილის მზერა ერთმანეთს შეხვდა და გოგონამ გაიღიმა.

— ძალიან მომეწონა ლიმონათი, — თქვა მან.

რა თქვა? ჩარლი რის გაგონებას ელოდა? შინ რომ ბრუნდებოდნენ, ტაქსში ჩარლიმ ხელი მოხვია შვილს, თავისაკენ მიიზიდა და თავით მკერდზე მიიხუტა.

— დედა თუ გახსენდება, გენაცვალე?

— ზოგჯერ, — უგულისყუროდ უპასუხა ჰონორიამ.

— არ მინდა დაივიწყო. მისი სურათი გაქვს?

— მგონი, მაქვს, ყოველ შემთხვევაში, დეიდა მერიონს აქვს. რატომ გინდა, რომ არ დავივიწყო?

— ძალიან უყვარდი.

— მეც მიყვარდა.

ერთი წუთი ისე გავიდა, ხმა არ გაუღიათ.

— მამიკო, მინდა შენთან წამოვიდე და შენთან ვიცხოვრო, — უთხრა უცებ ჰონორიამ.

ჩარლის გული შეუფანცქალდა, მასაც ხომ ეს უნდოდა.

— განა ბედნიერი არა ხარ?

— ვარ, მაგრამ შენ ყველაზე მეტად მიყვარხარ. და შენც ყველაზე მეტად მე გიყვარვარ, არა? რაც დედა აღარ არის.

— რა თქმა უნდა, მაგრამ შენ, გენაცვალე, მუდამ როდი გეყვარები ყველაზე მეტად. გაიზრდები, შეგხვდება შენი ტოლი ვაჟი, გათხოვდები და დაგავიწყდება კიდეც, ოდესმე თუ გყავდა მამა.

— ჰო, მართალია, — მშვიდად უპასუხა გოგონამ.

ჩარლი შინ არ შეჰყოლია ჰონორიას. ცხრა საათზე ისევ უნდა მოსულიყო აქ და უნდოდა ასეთივე ხალისიანი ყოფილიყო, როცა თავის სათქმელს ეტყოდა ნათესავებს.

— შინ რომ შეხვალ, ფანჯრიდან გადმომხედე.

— კარგი. ნახვამდის, მამი, ჩემო მამიკო, მამიკო.

ჩარლი იდგა ჩაბნელებულ ქუჩაში, სანამ აღგზნებული, ერთიანად გაბრწყინებული ჰონორია არ გამოჩნდა ფანჯარასთან და ხელით კოცნა არ გაუგზავნა ღამის სიბნელეში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

III

ისინი ელოდნენ ჩარლის. მერიონი ყავის მაგიდასთან იჯდა. წარმოსადეგი ქალი იყო, შავი, საღამოს კაბა ეცვა, რომელიც ძაძას წააგავდა. ლინკოლნი ისეთი აგზნებული დადიოდა ოთახში, ეტყობოდა, ახლახან დაემთავრებინა ლაპარაკი. ჩარლისა არ იყოს, ისინიც მოუთმენლად ელოდნენ, როდის ჩამოვარდებოდა სიტყვა მთავარზე. ჩარლიმაც არ დააყოვნა.

— ალბათ მიხვდით, რატომ მოვედი, რისთვის ჩამოვედი პარიზში.

შუბლშეჭმუხნილი მერიონი ყელსაბამის შავ ვარსკვლავებს ათამაშებდა.

— ძალიან მინდა საკუთარი სახლი მქონდეს, — განაგრძო ჩარლიმ, — და ძალიან მინდა ჰონორიაც ჩემთან იყოს. მადლობელი ვარ, რომ დედამისის სიყვარულით ბავშვი შეიკედლეთ, მაგრამ ახლა მდგომარეობა შეიცვალა, — ჩარლი შეყოყმანდა და მერე უფრო მტკიცედ განაგრძო, — ჩემი ცხოვრება ძირფესვიანად შეიცვალა და გთხოვთ ხელახლა გადასინჯოთ საქმის ვითარება. სისულელე იქნებოდა უარმეყო, რომ სამი წლის წინათ ცუდად ვიქცეოდი...

მერიონმა ქუშად ახედა ჩარლის.

— მაგრამ ამას ბოლო მოეღო. უკვე გითხარით, წელიწადზე მეტია, რაც დღეში ერთხელღა ვსვამ მხოლოდ, ამასაც განგებ ვაკეთებ, რომ სასმელზე ფიქრი არ მომეძალოს, მიმიხვდით?

— ვერა, — მოკლედ მოჭრა მერიონმა.

— საკუთარი თავის წვრთნასავით არის, წონასწორობის დასაცავად.

— მესმის, — თქვა ლინკოლნმა, — არ გინდა სულმა წაგძლიოს.

— დიახ, რაღაც ამის მაგვარია. ზოგჯერ მავიწყდება და იმ ერთსაც არა ვსვამ, თუმცა ვცდილობ არ დამავიწყდეს. ასეა თუ ისე, ჩემს სამუშაოზე ვერ ვილოთებ. ისინი, ვისი წარმომადგენელიც ვარ პრაღაში, დიდად კმაყოფილნი არიან ჩემი მუშაობით და მეც ბერლინგტონიდან გამოვიძახე ჩემი და, რათა ოჯახს გაუძღვეს... ძალიან მინდა ჰონორიაც ჩემთან იყოს. ხომ იცით, მაშინაც კი, როცა მე და დედამისს უკმაყოფილება გვქონდა, ყოველნაირად ვცდილობდით ამას ბავშვზე არ ემოქმედნა. ვიცი, ჰონორიას ვუყვარვარ და მეც შემიძლია ვიზრუნო მასზე; ერთი სიტყვით, ასეა. თქვენ რას იტყვით?

ჩარლიმ იცოდა, ეს ლაპარაკი ბარე ორი საათი გაგრძელდებოდა და ძნელი მოსათმენიც იქნებოდა. მაგრამ თუ მოახერხებს და აღშფოთებას დამნაშავის ნაძალადევი სინანულითა და მორჩილებით დაფარავს, შესაძლებელია ბოლოს გაიმარჯვოს.

დამშვიდდი, უთხრა ჩარლიმ საკუთარ თავს, შენ თავის მართლება არ გჭირდება, ჰონორია გჭირდება.

ლინკოლნმა დაიწყო:

— ბევრჯერ ვისაუბრეთ ამაზე მას შემდეგ, რაც შენი წერილი მივიღეთ იმ თვეში. ბედნიერები ვართ, რომ ჰონორია ჩვენთან ცხოვრობს. ძალიან

ეროვნული ბიბლიოთეკა

საყვარელი გოგონაა და სიამოვნებით დავეხმარებით, რითაც შეგვიძლია, მაგრამ, რა თქმა უნდა, მთავარი ეს არ არის...

უცებ მერიონმა შეაწყვეტინა:

— რამდენი ხნით დაანებე თავი ლოთობას, ჩარლი?

— იმედი მაქვს, სამუდამოდ.

— ვითომ უნდა ენდოს კაცი შენს სიტყვას?

— შენ ხომ იცი, არასოდეს მილოთია, სანამ სამსახური არ მივატოვე და აქ არ ჩამოვედი, რომ უსაქმურად მეცხოვრა. მერე მე და ელენი გადავეკიდეთ იმ...

— ელენს თავი გაანებე, თუ შეიძლება. ვერ ვიტან, როცა ასე ლაპარაკობ მასზე.

ჩარლიმ ქუშად შეხედა მერიონს. სანამ ელენი ცოცხალი იყო, ჩარლი არ იყო დარწმუნებული, რომ დებს ერთმანეთი უყვარდათ.

— ჩემი ლოთობა მხოლოდ წელიწად-ნახევარი გაგრძელდა — იმ დღიდან, რაც აქ ჩამოვედი, ჩემს გაკოტრებამდე.

— საკმაოდ დიდი დროა.

— დიახ, საკმაოდ დიდი, — დაეთანხმა ჩარლი.

— მინდა ვალი მოვიხადო ელენის წინაშე, — თქვა მერიონმა, — ვცდილობ ის გავაკეთო, რასაც იგი ჩემგან მოელოდა. გულახდილად გეტყვი — იმ ღამის შემდეგ, როცა ელენს საშინლად მოექეცი, შენ ჩემთვის აღარ არსებობ. ამას აღარაფერი ეშველება. ელენი ჩემი და იყო.

— დიახ.

— სიკვდილის წინ ჰონორია ჩამაბარა. შენ რომ მაშინ სამკურნალოდ არ ყოფილიყავი, იქნებ უფრო კარგად წარმართულიყო ყველაფერი.

ჩარლიმ ვერაფერი უპასუხა.

— ჩემს სიცოცხლეში ვერ დავივიწყებ იმ დილას, როცა ერთიანად გაწუწულმა, აძაგძაგებულმა ელენმა კარზე დამიკაკუნა და მითხრა — ჩარლიმ შინ არ შემიშვაო.

ჩარლიმ სკამის კიდე ჩაბღუჯა. რომ გაუჭირდებოდა, ამას თავიდანვე გრძნობდა, მაგრამ უფრო ძნელი მოსათმენი აღმოჩნდა. უნდოდა დაერწმუნებინა, აეხსნა მერიონისათვის, მაგრამ ესღა უთხრა:

— იმ ღამეს, კარი რომ ჩავუკეტე...

მერიონმა შეაწყვეტინა:

— ახლა აღარ შემიძლია მაგაზე ლაპარაკი.

ერთი წუთით სიჩუმე ჩამოვარდა, მერე ლინკოლნმა თქვა:

— ჩვენ გადავუხვიეთ. მაშასადამე, შენ გინდა მერიონმა ოფიციალურად უარი თქვას მეურვეობაზე და ჰონორია შენ მოგცეს. მე მგონი, მერიონისათვის მთავარია, შეუძლია თუ არა გენდოს.

— განა ვკიცხავ მერიონს, — ძლივს ამოღერღა ჩარლიმ, — მაგრამ ვფიქრობ, შეუძლია სავსებით მენდოს. ამ სამი წლის წინათ კარგი სახელი მქონდა. რა თქმა უნდა, ადამიანს არ ძალუძს დაიჩემოს, ამიერიდან ცუდი არაფერი შემემთხვევაო, მაგრამ კიდევ თუ დავაყოვნეთ, ჰონორიას ბავშვობაც გამიფრინდება და ოჯახსაც ვეღარ შევქმნი, — ჩარლიმ თავი გაიქნია, — ნუთუ არ გესმით, რომ სულ დავკარგავ შვილს?

— როგორ არა, მე მესმის, — თქვა ლინკოლნმა.

— ამაზე ადრე უნდა გეფიქრა, — უთხრა მერიონმა.

— ვფიქრობდი კიდეც დროდადრო, მაგრამ მერე მე და ელენი ვეღარ ვეწყობოდით ერთმანეთს და... მეურვეობაზე კი მაშინ მივეცი თანხმობა, როცა პირაღმა ვიწექი სანატორიუმში ბირჟის კრახისაგან გაკოტრებული. ვიცოდი, ცუდად ვიქცეოდი, და ვფიქრობდი, ყველაფერზე დავეთანხმები, ოღონდ ელენი მშვიდად იყოს-მეთქი. მაგრამ ახლა სულ სხვანაირად არის საქმე. ვმუშაობ, ჯანდაბას... წესიერად ვიქცევი, ისე წესიერად, რომ...

— ჩემთან ნუ ილანძღები, თუ შეიძლებოდეს, — უთხრა მერიონმა.

ჩარლი შეცბა, მერიონს შეხედა. მის ყოველ სიტყვაში უფრო და უფრო გამოსჭვიოდა სიძულვილი; მერიონს ცხოვრებისა ეშინოდა და ეს შიში კედლად აღემართა ჩარლის წინ. ვინ იცის, იქნებ რამდენიმე საათით ადრე მზარეულმა გააბრაზა და ეს იყო მიზეზი ამ ტრივიალური საყვედურისა. ჩარლი სულ უფრო და უფრო ღელავდა. არ უნდოდა დაეტოვებინა ჰონორია აქ, სადაც ასე მტრულად იყვნენ განწყობილნი მამამისისადმი. ერთხელ რაიმე სიტყვა წამოსცდებათ, მეორედ თავს გაიქნევენ და ამან შეიძლება ააფორიაქოს ბავშვი, გულში ეჭვის წარუშლელი კვალი დაუტოვოს. მაგრამ ჩარლიმ გადაყარა სახიდან ღრუბელი, ღრმად ჩაიმარხა გულში წყენა — ერთი ქულა მაინც მოიგო: ლინკოლნმა მერიონის სულელური შენიშვნის შემდეგ გაკვრით ჰკითხა ცოლს, როდის აქეთია სიტყვა „ჯანდაბა“ გეჩოთირებაო.

— გარდა ამისა, — თქვა ჩარლიმ, — ამჟამად შემიძლია ზოგი რამ გავაკეთო ჰონორიასთვის. ფრანგი აღმზრდელი მინდა წავიყვანო აქედან პრაღაში. ახალი ბინა უკვე დავიქირავე... — ჩარლიმ აღარ დაამთავრა, მიხვდა, რომ შეცდომა მოუვიდა; ცოლ-ქმარი მშვიდად ვერ შეეგუებოდა იმ ამბავს, რომ ჩარლის ისევ მათზე ორჯერ მეტი შემოსავალი ჰქონდა.

— ჰო, ჩვენზე უფრო ფუფუნებით კი აცხოვრებ, — უთხრა მერიონმა, — შენ რომ ქარს ატანდი ფულს, ჩვენ მაშინ ყოველ ათ ფრანკს ვუფრთხილდებოდით... რაღა თქმა უნდა, ახლაც ისევე დაიწყებ...

— ო, არა... — უპასუხა ჩარლიმ, — ჭკუა ვისწავლე. შენც კარგად იცი, ათი წელი თავაუღებლივ ვმუშაობდი, სანამ ბირჟაზე არ გამიღიმა ბედმა, როგორც სხვას ბევრს. მაშინ ბედს ვეწიე. მაგრამ ის აღარ განმეორდება.

ახლა კი დიდხანს გაგრძელდა სიჩუმე. თვითეული მათგანი გრძნობდა, როგორ ჰქონდათ დაჭიმული ნერვები; და ჩარლის მთელი წლის განმავლობაში ახლა პირველად მოუნდა დალევა. უკვე დარწმუნდა, რომ ლინკოლნ პიტერსი თანახმა იყო მიეცა მისთვის შვილი.

უცებ მერიონს შეაჟრჟოლა; გონების რომელიღაც ნაწილით შეიგნო, რომ ჩარლი ახლა მყარ ნიადაგზე იდგა. დედობრივი გრძნობაც უკარნახებდა, რომ მისი სურვილი ბუნებრივი იყო. მაგრამ დიდი ხნის წინათ უცნაურად აკვიატებული ფიქრი, რომ მისი და არ შეიძლება ბედნიერი ყოფილიყო, იმ საშინელ ღამეს ჩარლისადმი სიძულვილად ექცა. ეს კი მისი ცხოვრების იმ ხანაში მოხდა, როცა შერყეული ჯანმრთელობისა და ოჯახური გაჭირვების გამო სულიერად დაცემულ მერიონს აუცილებლად სჭირდებოდა ნამდვილი ბოროტებისა და ნამდვილი ბოროტმოქმედისათვის მიეგნო.

— მე არ შემიძლია. სხვანაირად ვიფიქრო! — უცებ წამოიყვირა მერიონმა. — არც ის ვიცი, რა ბრალი მიგიძღვის ელენის სიკვდილში. ეგ შენ და შენმა სინდისმა გამოარკვიეთ.

ჩარლის დენივით დაუარა ტკივილმა მთელ სხეულში; კინაღამ წამოიჭრა ფეხზე — წარმოუთქმელი ბგერები რეკდა მის ყელში, მაგრამ იმწამსვე შეიკავა თავი, მეორე წამსაც.

— კარგი ახლა, — უხერხულად თქვა ლინკოლნმა, — ჩემს დღეში არ მიფიქრია, რომ ეს შენი ბრალი იყო.

— ელენი გულის ავადმყოფობამ მოკლა, — ყრუდ ჩაილაპარაკა ჩარლიმ.

— დიახ, გულის ავადმყოფობამ, — ისე თქვა მერიონმა, თითქოს სხვა რაღაცას გულისხმობდა.

მაგრამ ამ აფეთქების შემდეგ მერიონი დამშვიდდა, სადი თვალით დაინახა ჩარლი და მიხვდა, რომ იმან გაიმარჯვა. ქმარს გადახედა, დაინახა: მისგან დახმარებას ვერ მიიღებდა და თითქოს საქმე უმნიშვნელო ამბავს ეხებოდა, ერთბაშად დაყარა ფარ-ხმალი.

— რაც გინდა, ის ქენი, — წამოიყვირა მან და სკამიდან წამოხტა. — შენი შვილია, მე გზას არ გადაგეღობავ. ჩემი შვილი რომ იყოს, უმალ... — მაგრამ უცებ თავი შეიკავა, — თქვენ ორმა გადაწყვიტეთ. მე აღარ შემიძლია, ცუდადა ვარ. წავალ, დავწვები.

თქვა და ჩქარი ნაბიჯით გავიდა ოთახიდან; ერთი წუთის შემდეგ ლინკოლნმა თქვა:

— დღევანდელი დღე მძიმე იყო მერიონისთვის, ძალიან განიცდის. — ისეთი ხმა ჰქონდა, თითქოს ებოდიშებოდა, — ხომ იცი, ქალმა თუ რამე ჩაიბეჭდა თავში...

— ჰო, რა თქმა უნდა.

— ყველაფერი მოგვარდება. მგონი, მერიონი დარწმუნდა, რომ ბავშვს უპატრონებ, ამიტომ ვერ გადაგეღობავთ გზას ვერც შენ, ვერც ჰონორიას.

— გმადლობ, ლინკოლნ.

— წავალ, ვნახავ, როგორ არის.

— მეც მივდივარ.

ქუჩაში რომ გავიდა, ჩარლი ისევ ცახცახებდა, მაგრამ ბონაპარტის ქუჩით quai-სკენ რომ გასწია, დამშვიდდა და, როცა სენაზე გადიოდა, რომელიც ფარნების შუქზე ანკარა და განახლებული ჩანდა, აღფრთოვანებამ მოიცვა. მაგრამ სასტუმროში მაინც ვერ დაიძინა. ელენის სახება ედგა თვალწინ. ძალიან უყვარდა ელენი, სანამ ეს სიყვარული ორივემ არ წაბილწა და ნაფლეთებად არ აქცია. თებერვლის იმ საშინელ ღამეს, რომელიც მერიონს ასე ნათლად დაამახსოვრდა, წაკინკლავდნენ და რამდენიმე საათს გაგრძელდა ჩხუბი. „ფლორიდში" მოხდა ეს ამბავი. ჩარლიმ სცადა ელენი შინ წაეყვანა, მაგრამ იმ დროს ელენმა ყმაწვილ უებს აკოცა მაგიდასთან, მერე ჩარლის ისტერიულად მიახალა სიტყვები. იმ ღამეს შინ მარტოკა დაბრუნდა ჩარლი და გაცეცხლებულმა კარი ჩაკეტა. რას იფიქრებდა, რომ ერთი საათის შემდეგ ელენი მარტო მოვიდოდა, რომ ნამქერი ამოვარდებოდა და გონებაარეული ელენი სიფრიფანა ფეხსაცმელებით ისე წაფრატუნდებოდა ნამქერში, ტაქსის გაჩერებასაც ვერ მოისაზრებდა? საშინელება იყო, ელენი სასწაულებრივად გადაურჩა ფილტვების ანთებას. ამის შემდეგ ისინი „შერიგდნენ", მაგრამ ეს იყო დასასრულის დასაწყისი; მერიონმა კი, რომელმაც საკუთარი თვალით ნახა

[1] სანაპირო (ფრანგ.).

ყველაფერი, ირწმუნა — მისი წამებული დის თავს პირველი არ იყო ეს ამბავი, და ველარ დაივიწყა.

მოგონებებში ჩაფლულმა ჩარლიმ თეთრ სინათლეზე, გათენებისას რომ რბილად შეაპარება ხოლმე მილულულ თვალებში, უცებ აღმოაჩინა, რომ ელენს ელაპარაკება. ელენმა უთხრა, სწორად მოიქეცი და მეც მინდა ჰონორია შენთან იყოსო. ისიც უთხრა, მიხარია, რომ კარგად ხარ და საქმეც კარგად წაგივიდაო... სხვაც ბევრი რამე უთხრა, გულითადად ელაპარაკებოდა, მაგრამ თეთრ კაბაში გამოწყობილი ელენი ირწეოდა, სულ უფრო და უფრო სწრაფად ირწეოდა, ისე რომ ბოლოს ჩარლიმ ხეირიანად ვერც გაარჩია, რას ეუბნებოდა.

* *

მეორე დილას ჩარლიმ ბედნიერმა გაიღვიძა. სამყარომ ისევ გაუხსნა კარი. იგი გეგმებს აწყობდა. წარმოიდგინა თავისი და ჰონორიას მომავალი ცხოვრება. მაგრამ უცებ სევდა მოერია, გაახსენდა, რა გეგმებს აწყობდნენ ხოლმე ის და ელენი. ელენი სიკვდილს არ აპირებდა. მთავარი აწმყო იყო — შენი საქმე და ის, ვინც გიყვარს. მაგრამ ზედმეტად არ უნდა შეიყვარო, რადგან ჩარლიმ იცოდა, რა ზიანი შეუძლია მოუტანოს მამამ თავის ქალიშვილს ან დედამ ვაჟს, როცა ძალიან დაიახლოებს: შემდეგ შვილი თავის მეუღლეშიც ეძებს იმ ბრმა სინაზეს და, რაკი ვერ იპოვის, მტრულად განეწყობა სიყვარულისა და ცხოვრებისადმი.

იმ დღესაც ნათელი, გამახალისებელი ამინდი იდგა. ჩარლიმ სამსახურში — ბანკში — დაურეკა ლინკოლნს და ჰკითხა: კიქონიო თუ არა იმედი, რომ ჰონორია ნამდვილად მიმყავს პრაღაშიო. ლინკოლნმა უპასუხა, მგონი, არაფერი არ შეგიშლის ხელსო. ერთადერთი — მეურვეობის ოფიციალურად გაფორმებაა. მერიონს უნდა ერთხანს კიდევ დარჩეს ჰონორიას მეურვედ. ამ ამბავმა ააფორიაქა და, რათა ყველაფერი მშვიდობიანად წარიმართოს, სჯობს მერიონმა იცოდეს, რომ ერთი წელი კიდევ უფლება მის ხელთ იქნებაო. ჩარლი დაეთანხმა. მას მხოლოდ ის უნდოდა, ბავშვი თან ჰყოლოდა.

ახლა აღმზრდელის საკითხი ჰქონდა გადასაწყვეტი. ჩარლი იჯდა პირქუშ დანჭირავებელ ბიუროში, ჯერ ბეარნელ ქოფაკ დედაკაცს ესაუბრა, მერე ბრეტანელ ჩასუქებულ გლეხის ქალს, მაგრამ ვერც ერთს ვერ აიტანდა. სხვებიც იყვნენ, იმათი ნახვა ხვალისთვის გადასდო.

ჩარლიმ გრიფონსის რესტორანში ისაუზმა ლინკოლნ პიტერსთან ერთად, ცდილობდა თავისი აღფრთოვანება არ გაემჟღავნებინა.

— ღვიძლ შვილს რა შეედრება, — თქვა ლინკოლნმა, — მაგრამ ხომ გესმის, მერიონი რა დღეშია.

— დაივიწყდა, რამდენს ვმუშაობდი ამერიკაში იმ შვიდ წელიწადს, — უთხრა ჩარლიმ, — ის ერთი ლაწე კი დაამახსოვრდა.

— მანდ სხვა რამეც იყო, — ამოილუღლუღა ლინკოლნმა, — სანამ შენ და ელენი ევროპაში დათარეშობდით და ფულს ფანტავდით, ჩვენ თავი ძლივს გაგვქონდა. არ გამიმართლა, საერთო კეთილდღეობა მე სულაც არ გამეკარა, ვერა და ვერ დავდექი ფეხზე, დაზღვევის გარდა არაფერი სიკეთე არ მებადა. მგონი, მერიონს უსამართლობად მიაჩნდა, რომ შენ ხელის გაუნძრევლად სულ უფრო და უფრო მდიდრდებოდი.

— ქარის მოტანილი ქარსავე მიჰქონდა... — თქვა ჩარლიმ.

— ჰო! და სხვის ჯიბეში გროვდებოდა: chasseurs-ების, საქსოფონისტების, მეტრდოტელების ჯიბეში. რაც იყო, იყო. ღრეობა დამთავრებულია. ეს იმიტომ გავიხსენე, რომ მერიონის განწყობილება აგიხსნა იმ სიგიჟის წლებში. ექვსი საათისათვის თუ გამოივლი, სანამ მერიონი გადაიღლებოდეს, ყველა წვრილმან საკითხს მოვაგვარებთ.

სასტუმროში ჩარლის pneumatique[1] დახვდა, „რიციდან" გამოგზავნილი. ამ ბარში ჩარლიმ თავისი მისამართი დატოვა იმ შემთხვევისათვის, თუ მისი ერთი ნაცნობი გამოჩნდებოდა.

„ძვირფასო ჩარლი!

გუშინ რომ შეგვხვდით, ისე უცნაურად იქცეოდით, ვიფიქრე, ხომ არაფერი ვაწყენინე-მეთქი. თუ ასეა, ეტყობა, ჩემდაუნებურად მომივიდა. სინამდვილეში კი ამ ბოლო წელს იმდენს ვფიქრობდი თქვენზე, რომ სადღაც გულის სიღრმეში იმედი მქონდა — აქ თუ ჩამოვიდოდი, უსათუოდ გნახავდით. იმ გადარეულ გაზაფხულს ხომ ნამდვილად კარგად ვატარებდით დროს; თუნდაც იმ ღამეს, როცა მე და თქვენ ეტლიანი მოტოციკლეტი მოვპარეთ ყასაბს, ან როცა პრეზიდენტთან სადარბაზოდ შესვლას ვცდილობდით. თქვენ მაშინ ძველი ქვაბ-ქუდის ცარიელი ფარფლები გეფხატათ თავზე და მავთულის ხელჯოხი გეჭირათ. ამ ბოლო დროს ყველანი დაბერდნენ, მე კი სულ ვერა ვგრძნობ სიბერეს. იქნებ წარსულის ხათრით შევხვდეთ დღეს ერთმანეთს? ამჟამად ნაბახუსევზე საზიზღრადა ვგრძნობ თავს, მაგრამ საღამომდე გამივლის და ხუთი საათისათვის „რიცის" საშაქარლამოში დაგელოდებით.

მუდამ თქვენი ერთგული ლ ო რ ე ი ნ ი".

პირველად რაღაც საშინელების განცდა დაეუფლა ჩარლის — წარმოიდგინა, როგორ მოიპარა მან, მოწიფულმა კაცმა მოტოციკლეტი და შუაღამიდან გათენებამდე ვარსკვლავის მოედნის გარშემო ასეირნებდა ლორეინს. თითქოს საშინელი სიზმარი იყო. ელენს რომ კარი ჩაუკეტა და შინ არ შეუშვა, ეს ფაქტი ჩარლის ბუნებას სულაც არ უთავსდებოდა, მოტოციკლეტის ამბავი კი სიმართლეს ჰგავდა — ამისთანა ბევრი გაუკეთებია იმ დროს. ნეტა რამდენი კვირა და თვე უნდა ეცხოვრა ასე ფუქსავატურად, რომ ბოლოს აღარაფრისთვის ანგარიში არ გაეწია და პასუხისმგებლობის გრძნობა სულ აღარა ჰქონოდა.

ჩარლიმ სცადა წარმოედგინა, როგორი ეჩვენებოდა მაშინ ლორეინი — ძალიან მომხიბლავი იყო და ელენი დარდობდა ამის გამო, მაგრამ არაფერს ამბობდა. გუშინ რესტორანში ლორეინი ჩამომჭკნარი, გაცრეცილი და მოქანცული მოეჩვენა ჩარლის. არასდიდებით არ უნდოდა ლორეინს შეხვედროდა და უხაროდა, რომ ალიქსმა უნებურად არ გასთქვა და მისი სასტუმროს მისამართი არ მისცა. დიდი შვება იყო ამის მაგივრად ჰონორიაზე ეფიქრა, წარმოედგინა, რა დროს გაატარებდნენ ერთად კვირადღეობით, როგორ უსურვებდა მშვიდობის დილას, რა ბედნიერება იქნებოდა ღამე იმის შეგრძნება, რომ ჰონორია იქვეა, მის სახლში, რომ ორივენი ერთ ჰაერსისუნთქავენ.

ხუთ საათზე ჩარლი ტაქსში ჩაჯდა და პიტერსებს საჩუქრები უყიდა, ყველას სათითაოდ: ნაჭრის კოხტა თოჯინა, რომაელი ჯარისკაცებით სავსე ყუთი,

[1] პნევმატური ფოსტით გამოგზავნილი წერილი (ფრანგ.).

ყვავილები მერიონისათვის და დიდი ტილოს ცხვირსახოცები ლინკოლნისათვის.

როცა პიტერსებთან მივიდა, მიხვდა, რომ მერიონი უკვე შერიგებოდა გარდაუვალს.

ამჟამად ისე შეხვდა ჩარლის, როგორც ოჯახის ურჩ წევრს და არა როგორც საშიშ, უცხო ადამიანს. ჰონირიას უთხრეს, მამას მიჰყვებიო. ჩარლი ძალიან გაახარა ჰონორიას თავდაჭერამ, გოგონამ არ გამოამჟღავნა თავისი ძვირადღირებული ბედნიერება. მამას კალთაში რომ ეჯდა, მხოლოდ მაშინ გამოხატა თავისი აღფრთოვანება და წასჩურჩულა: „როდის?“ მერე მუხლებიდან ჩასრიალდა და ბავშვებს გაჰყვა.

მერიონთან მარტო რომ დარჩა ოთახში, ჩარლის გრძნობა მოერია:

— მწარე კია ნათესავებს შორის უსიამოვნება. არავითარ წესს არ იცავენ ხოლმე. სატკივარს ან ჭრილობას კი არა, უფრო განაკაწრსა ჰგავს, რომელიც ვერა და ვერ ხორცდება, რადგან კანი საკმარისი არ არის. იმედი მაქვს, ჩემი და შენი დამოკიდებულება გაუმჯობესდება.

— ზოგი რამ ძნელი დასავიწყებელია, — უპასუხა მერიონმა. — მთავარია ნდობა. — ჩარლიმ არაფერი უპასუხა და მერიონმა ჰკითხა: — როდის აპირებ ბავშვის წაყვანას?

— როგორც კი აღმზრდელს ვიშოვი. მე მგონი, ზეგ.

— ზეგ შეუძლებელია. ჰონორიას ნივთები უნდა მოვაწესრიგო. შაბათამდე ვერ მოხერხდება.

ჩარლი დაეთანხმა. ოთახში ლინკოლნი შემობრუნდა და სასმელი შესთავაზა.

— დავლევ ჩვეულებისამებრ ერთ ჭიქა ვისკის.

აქ თბილოდა, ეს მათი ოჯახი იყო, ხალხმა მშობლიურ კერასთან მოიყარა თავი. ბავშვები ძალიან ღირსეულები და უზრუნველები ჩანდნენ, დედ-მამა მათ დინჯად, ყურადღებით ადევნებდა თვალს — მათთვის სტუმრის მოსვლა ნაკლებ მნიშვნელოვანი იყო, ვიდრე ის, რაც ბავშვებისათვის ჰქონდათ გასაკეთებელი. ბოლოს და ბოლოს მერიონისათვის უფრო მნიშვნელოვანი იყო ერთი კოვზი წამალი დაელევინებინა ბავშვისთვის, ვინემ ჩარლისთან დაძაბულ ნათესაურ ურთიერთობაზე ემსჯელა. მოსაწყენი ხალხი არ იყო პიტერსები, მაგრამ ცხოვრება და გარემოება მაგრად უჭერდა მათ კლანჭებს. ჩარლიმ გაიფიქრა, იქნებ როგორმე გამოვათრიო ლინკოლნი ბანკიდან, სადაც ამდენი ხანია მუშაობსო.

გაბმულად აწკარუნდა ზარი. Bohne à fout fire[1]-მა ოთახი გაიარა და დერეფანში გავიდა. მეორედ რომ დააწკარუნეს ზარი გაბმულად, კარი გაიღო, ხმები შემოიჭრა. სამივემ იქით გაიხედა, ელოდნენ, ვინ მოვიდაო. რიჩარდმა იქით გადაინაცვლა, საიდანაც უკეთ დაინახავდა, რა ხდებოდა დერეფანში. მერიონი ადგა. მოახლე უკანვე მობრუნდა, მას ხმები მოაცილებდა, შემდეგ კი სინათლეზე ეს ხმები დუნკან შეფერად და ლორეინ კუორლზად გადაიქცა.

მხიარულ გუნებაზე იყვნენ, ხარხარებდნენ, სიცილით კვდებოდნენ. ჩარლი სახტად დარჩა, ვერ გაეგო, საიდან გამოჩხრიკეს პიტერსების მისამართი.

— აჰ, აჰ, აჰ! — დუნკანმა ანცად დაუქნია თითი ჩარლის, — აჰ, აჰ, აჰ!

---

[1] მოახლე, რომელიც მთელ საოჯახო საქმეს ასრულებს (ფრანგ.).

დუნკანს და ლორეინს ისევ სიცილი აუტყდათ და ჩაიკეცნენ. შეწუხებულმა, დაბნეულმა ჩარლიმ საჩქაროდ წარუდგინა სტუმრები ლინკოლნსა და მერიონს. მერიონმა თითქმის უხმოდ დაუქნია თავი და ბუხრისაკენ დაიხია; გვერდით თავისი გოგონა ედგა და ცალი ხელი მხრებზე შემოეხვია. ჩარლის თანდათან ეროდა ბრაზი, იდგა და განმარტებას ელოდა დუნკანისა და ლორეინისაგან. ბოლოს დუნკანმა აზრი მოიკრიბა და თქვა:

— მოვედით, რომ სადილად დაგპატიჟოთ. მე და ლორეინი მოვითხოვთ შეწყვიტო ეს თავპატიჟი და კუკუმალაობა, მისამართის მალვა.

ჩარლი მიუახლოვდა მათ, თითქოს უნდოდა ორივენი დერეფანში გაებრუნებინა.

— მაპატიეთ, მაგრამ არ შემიძლია. მითხარით, სად იქნებით, და ნახევარ საათში დაგირეკავთ.

მაგრამ ამ სიტყვებს არავითარი შთაბეჭდილება არ მოუხდენია. ლორეინი ერთბაშად დაეხეთქა სკამის კიდეზე, თვალები რიჩარდს მიაშტერა და შესძახა:

— ო, რა მშვენიერი ბიჭუნაა! მოდი ჩემთან, ბიჭუნი!

რიჩარდმა დედას შეხედა, მაგრამ არ განძრეულა. ლორეინმა ყველას დასანახად აიჩეჩა მხრები და ისევ ჩარლის მიუბრუნდა:

— წამოდი, ვისადილოთ, დარწმუნებული ვარ, ნათესავები არ გეჯავრდებიან. ისე იშვიათად ვხვდებით ერთმანეთს... უ-უცხოებივით.

— არ შემიძლია, — მოკლედ მოუჭრა ჩარლიმ. — თქვენ ორმა ისადილეთ, მე მერე დაგირეკავთ.

ლორეინს უცებ არასასიამოვნო ხმა გაუხდა:

— კეთილი, ჩვენ წავალთ. მაგრამ მახსოვს, ერთხელ როგორ მიბრახუნებდით კარზე დილის ოთხ საათზე. მაშინ მეგობრულად მიგიღეთ, დაგალევინეთ. წავიდეთ, დუნკ.

და ისევ მძიმედ, სახედაფორაჯებულნი, გაბრაზებულნი, არეული ნაბიჯით გაუყვნენ დერეფანს.

— ღამე მშვიდობისა! — უთხრა ჩარლიმ.

— ღამე ნებისა! — ხაზგასმით უპასუხა ლორეინმა.

სასადილოში რომ დაბრუნდა ჩარლი, მერიონი ისევ იმ ადგილას დახვდა გაქვავებული, მაგრამ ახლა ვაჟიც გვერდით ედგა და მეორე ხელი მის მხარზე ედო. ლინკოლნი ისევ ჰონორიას აქანავებდა მუხლებზე ქანქარასავით.

— რა უტიფრობაა! — იფეთქა ჩარლიმ, — ნამდვილი უტიფრობა!

პასუხი არავის გაუცია მისთვის. ჩარლი სავარძელში ჩაეშვა, თავისი სასმისი აიღო, ისევ დადგა და თქვა:

— ორი წელია არ მინახავს და ასე უტიფრად...

აღარ დაუმთავრებია. მერიონმა მძაფრად, გაშმაგებით ამოიოხრა „ოჰ!" უცბად ზურგი შეაქცია ჩარლის და ოთახიდან გავიდა.

ლინკოლნმა ფრთხილად ჩამოსვა მუხლებიდან ჰონორია.

— ბავშვებო, თქვენ წადით, ისადილეთ, სუპი გიცივდებათ, — უთხრა მან და, როცა ბავშვები მორჩილად შევიდნენ სასადილო ოთახში, ჩარლის მიუბრუნდა: — მერიონი არ არის კარგად, ეღდას ვერ უძლებს. ასეთ ხალხს დასანახავად ვერ იტანს, ავად ხდება.

— მე არ მომიპატიჟებია. აქ. ვიღაცას გამოსტყუეს თქვენი მისამართი და განზრახ...

— სამწუხაროა, მაგრამ ეგ საქმეს არა შველის. მაპატიე, ერთი წუთით დაგტოვებ.

მარტოდ დარჩენილი ჩარლი დაძაბული იჯდა სავარძელში. ესმოდა, როგორ სადილობდნენ ბავშვები მეორე ოთახში, თან თითო-ოროლა სიტყვას გადაულაპარაკებდნენ ხოლმე ერთმანეთს, უკვე დავიწყებული ჰქონდათ, რომ უფროსებს უსიამოვნება მოუვიდათ. სხვა ოთახიდან, რომელიც უფრო მოშორებით იყო, ძლივს ისმოდა ლაპარაკი, მერე იქ ტელეფონმა დაიწკრიალა და დაფეთებულმა ჩარლიმ ოთახის მეორე კუთხეში გადაინაცვლა, რომ სხვისი საუბარი არ მოესმინა.

ერთი წუთის შემდეგ ლინკოლნიც დაბრუნდა.

— მოიხედე, ჩარლი, მგონი, დღეს სადილი ჩაგვეშალა, მერიონი ცუდად გრძნობს თავს.

— გაბრაზებულია ჩემზე?

— ესეც და..— ლინკოლნი ლამის უკნეხად ლაპარაკობდა, — მერიონი ვერ იტანს...

— შენ გინდა თქვა, რომ ჰონორიას გამოშვება გადაიფიქრა?

— ერთი სიტყვით, ამ წუთში ძალზე გამწარებულია. მე არაფერი ვიცი. მოდი, ხვალ ბანკში დამირეკე.

— ძალიან გთხოვ, აუხსენი, რომ წარმოდგენა არა მქონდა, ეგენი თუ აქ გამოცხადდებოდნენ. მეც თქვენსავით ვარ აღშფოთებული.

— ახლა ვერაფერს ვერ ავუხსნი.

ჩარლი ადგა, აიღო თავისი პალტო, ქუდი, დერეფანში გავიდა, სასადილო ოთახის კარი შეაღო და უცნაური კილოთი თქვა:

—. ბავშვებო, ღამე მშვიდობისა.

ჰონორია წამოხტა, მაგიდას შემოურბინა და მამას ჩაეხუტა.

— ღამე ნებისა, გენაცვალე, — დაბნეულად უთხრა ჩარლიმ, მაგრამ მერე შეეცადა უფრო რბილად ეთქვა, შეეცადა მოემადლიერებინა ვიღაც თუ რაღაც, — ღამე ნებისა, ბავშვებო.

* *

ჩარლი პირდაპირ „რიცში" წავიდა, გაბრაზებულ გულზე უნდოდა ენახა ლორეინი და დუნკანი, მაგრამ იქ არ დახვდნენ და მაშინვე მიხვდა, სულ ერთია, მაინც ვერაფერს გახდებოდა. პიტერსებთან პირი არ დაუკარებია თავისი ჭიქისათვის, ამიტომ ახლა ვისკი და სოდიანი წყალი შეუკვეთა. მერე მასთან პოლი მივიდა და მიესალმა.

— სულ თავდაყირა დადგა ყველაფერი, — უთხრა პოლმა სევდიანად. — ჩვენი საქმეც განახევრდა. წამდაუწუმ ის მესმის, ესა და ეს კაცი დაბრუნდა შტატებში და გაკოტრდაო — პირველ მარცხს თუ გადაურჩა, მეორეს მაინც ვერ დაუძვრა. გავიგე, თქვენი მეგობარი ჯორჯ ჰარდტიც პირწმინდად გაკოტრებულა. თქვენც შტატებში დაბრუნდით?

— არა, მე პრაღაში ვმუშაობ.

— თქვენზეც ამბობენ, კრახის დროს ბევრი დაკარგაო.

— მართალი უთქვამთ, — ქუშად უპასუხა ჩარლიმ. — მაგრამ ბუმის დროს დავკარგე ყველაფერი.

— იაფად გაყიდეთ, არა?
— ჰო, დაახლოებით ასე მოხდა.
ჩარლის ისევ მაჯლაჯუნასავით შემოაწვა მოგონებები — გაახსენდა ხალხი, ვინც მოგზაურობის დროს შეხვედრია; ისინი, ვისაც არც შემატება-გამოკლებისა ესმოდა რამე და არც ორი სიტყვის გადაბმა შეეძლოთ; გაიხსენა დაგვალული კაცი, რომელმაც გემზე ელენს სთხოვა, ვიცეკვოთო. ელენი დაეთანხმა და ათი ნაბიჯით გასცდნენ თუ არა მაგიდას, იმ კაცმა შეურაცხყოფა მიაყენა; მერე ღვინითა და ნარკოტიკებით გაჭყეპილი ქალები და ქალიშვილებიც გაახსენდა, სიცილით რომ კვდებოდნენ, როცა მათ საზოგადო ადგილებიდან გარეთ მიათრევდნენ... მამაკაცები, რომლებიც ჩაიკეტებოდნენ და ცოლებს გარეთ ტოვებდნენ თოვლში, რადგან ოცდაცხრა წელს თოვლი თოვლს არა ჰგავდა. არ გინდა თოვლი? გადაიხადე ფული და გაქრება.
ჩარლი ტელეფონთან მივიდა და პიტერსებს დაურეკა; ლინკოლნმა აიღო ყურმილი.
— დავრეკე, რადგან სულ ეს ამბავი მიტრიალებს თავში. რაო მერიონმა, ამბობს რამეს გარკვევით?
— მერიონი ავად გახდა, — ცივად უპასუხა ლინკოლნმა. — ვიცი, რომ შენი ბრალი არ იყო, მაგრამ არ მინდა მთლად მოიშალოს. ვშიშობ, ექვსი თვით მოგვიხდება ამ საქმის გადადება; მე ველარ ჩავაგდებ მერიონს ასეთ მდგომარეობაში.
— გასაგებია.
— ძალიან ვწუხვარ, ჩარლი.
ჩარლი ისევ თავის მაგიდასთან დაბრუნდა. მისი ჭიქა ცარიელი იდგა, მაგრამ, როცა ალიქსი თვალებით შეეკითხა, ჩარლიმ თავი გაიქნია. ახლა მხოლოდ საჩუქრებს თუ გაუგზავნის ჰონორიას, მეტი აღარაფერი დარჩენია. ხვალ ათას რაღაცას გაუგზავნის. ისევ ფული, გაიფიქრა ბრაზიანად ჩარლიმ, ვინ იცის, რამდენისთვის მიუცია ფული.
— არა, მეტს არ დავლევ, — უთხრა ჩარლიმ მეორე ოფიციანტს, — რამდენი მოგართვათ?
ერთ მშვენიერ დღეს კიდევ დაბრუნდება ჩარლი. მთელი სიცოცხლე ხომ ვერ აზღვევინებენ საზღაურს. მაგრამ მას საკუთარი შვილი უნდოდა და ამიტომ სხვა ვერაფერი ანუგეშებდა. ახალგაზრდა აღარ იყო, რომ მარტოდმარტო მისცემოდა მშვენიერ ფიქრებს და ოცნებას. ჩარლიმ ნამდვილად იცოდა — ელენი არ ისურვებდა მის ასეთ სიმარტოვეს.

□

# ანტიოქ კანტემირი

## I სატირა. საკუთარი გონებისადმი

### (სწავლის მაძაგებლებზე)

ეროვნული ბიბლიოთეკა

თარგმნა თენგიზ ბუაჩიძემ

#### მთარგმნელისაგან

ორას ორმოცდაათი წლის წინათ (1729 წელს) დაიწერა პირველი რუსი პოეტი-სატირიკოსის ანტიოქ კანტემირის (1708—1744) პირველი სატირული თხზულება „საკუთარი გონებისადმი ანუ სწავლის მაძაგებლებზე". ზოგიერთი მისი პასაჟი დღესაც საკმაოდ აქტუალურად ჟღერს, თუმცა სიძველის იერი ნაწარმოებს მაინც დაჰკრავს.

რუსეთის პირველი საერო პოეტი უწოდა ბ. ბელინსკიმ კანტემირს, ისიც აღნიშნა, რომ კანტემირმა პირველმა შეახვედრა პოეზია ცხოვრებას. ამ მხრივ კანტემირის დამსახურება რუსული ლიტერატურისა და საზოგადოებრივი აზრის ისტორიაში მართლაც დიდია.

ა. კანტემირი თავისი დროის ერთ-ერთი უგანათლებულესი ადამიანი იყო. 12 წელიწადი გაატარა მან უცხოეთში, ჯერ რუსეთის ელჩად ინგლისში, ხოლო შემდეგ იმავე თანამდებობაზე საფრანგეთში.

ა. კანტემირი XVIII საუკუნის რუსეთის ერთ-ერთი გამოჩენილი განმანათლებელია და რუსული კლასიციზმის მოთავე. მართალია, იგი კლასიციზმის რაციონალისტური საწყისების ბეჯითი მიმდევარია, მაგრამ ამავე დროს ორიგინალურ თხზულებებში შესანიშნავად, რეალურად და ცოცხლად ასახავს იმდროინდელ სინამდვილეს, რუსეთის საზოგადოებრივ ცხოვრებაში არსებულ ტენდენციებს.

თავისი ხანმოკლე, მაგრამ მეტად ნაყოფიერი ლიტერატურული მოღვაწეობით რუსული ლიტერატურის განვითარების ისტორიაში ა. კანტემირმა უაღრესად საპატიო ადგილი დაიმკვიდრა, როგორც რეალისტური მიმართულების ერთ-ერთმა დამწყებმა. ბ. ბელინსკიმ აღნიშნა: „კანტემირმა თავისი სატირით რუსულ ლიტერატურაში დაიდგა მცირე ზომის, უპრეტენზიო და ამავე დროს უკვდავი ძეგლი".

პირველ სატირაში მცირეოდენი შესავლის შემდეგ, რომელშიც აღნიშნულია სატირიკოსის ხელობისა და საერთოდ სამწერლო შრომის უმადურობა, გამოთქმულია საკმაოდ ფორმალური იმედი, რომ „ახალგაზრდა მონარქი" (პეტრე II) მუზებს მფარველობას გაუწევს, — ეს კლასიციზმის ჩვეულებრივი ტრადიცია იყო. ავტორის მხატვრულ სახეთა მთელი გალერეა გამოჰყავს. ესენია ფარისეველი და პირმოთნე კ რ ი ტ ო ნ ი, გაუნათლებელი და ხეპრე მემამულე ს ი ლ ვ ა ნ ი, მოქეიფე რეგვენი ლ უ კ ა, ქარაფშუტა და კოხტაპრუწა მ ე დ ო რ ი.

მაღალ ოსტატობას კანტემირი სწორედ უარყოფითი პერსონაჟების დახატვისას აღწევს. მისი პოეტური ენა ამ დროს მეტად სახეობრივია და ირონიითაა განმსჭვალული. სატირის ბოლო ნაწილში ცალკეული უარყოფითი პერსონაჟების კრიტიკიდან პოეტი მთელი საზოგადოების მანკიერების მხილებაზე გადადის. მხილების მთავარი აზრია: გარეგნული ბრწყინვალება ხშირად ჰფარავს სულიერ სილატაკესა და ჩამორჩენილობას.

კანტემირის პირველმა სატირამ უდიდესი შთაბეჭდილება მოახდინა მაშინდელ საზოგადოებაზე. იგი სწრაფად გავრცელდა ხელნაწერების სახით. პერსონაჟების პირობით სახელებს არ შეუცდენია მკითხველი: მან ნათლად იგრძნო ამ პერსონაჟების უშუალო კავშირი რუსეთის სინამდვილესთან.

კანტემირის სილაბური ლექსი დღეს მძიმედ და მოუხეშავად გვეჩვენება. თუმცა

ლექსი წყვილი რითმებით არის გაწყობილი, რითმა ყრუ და ბლაგვია, მას კანტემირის პოეზიაში თითქმის არავითარი ფუნქცია არ გააჩნია. ამიტომ ქართულად კანტემირის თხზულება ურითმო ლექსით ვთარგმნეთ.

ქართულად კანტემირის ნაწარმოები პირველად ქვეყნდება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

●

გონებავ ჩემო, უმწიფარო, ჯერ გაუწვრთნელო,
დამშვიდდი, რად გსურს კალამს ადრე მოჰკიდო ხელი:
წერის გარეშეც გაფრინდება ცხოვრების დღენი,
წერის გარეშეც შეიძლება დიდება გერგოს!
ახლა სახელის მოსახვეჭად ბევრი სხვა გზაა,
ვინც გულადია, ის ამ გზებზე ფეხს არ წაიტეხს;
მაგრამ მათ შორის უმძიმესი და ურთულესი
ცხრა მუზის მიერ გაკვალული ბილიკი არის.
მრავალი დასცა ამ ბილიკმა, მძიმეა იგი,
ბევრი გაურბის ხიფათიან შრომას და გარჯას,
თანაც დასცინის, უკადრისობს. მართლაც ასეა, —
ვინც მაგიდასთან მხოლოდ წიგნებს უმტერებს მზერას,
ვერ აიშენებს პალატებს და სრა-სასახლეებს,
ვერ მორთავს ბაღებს მარმარილოს ქანდაკებებით,
ცხვარს ვერ შემატებს მამის მიერ ნაბოძებ ფარას.
თუმც მუზებს სწყალობს ახალგაზრდა მონარქი ჩვენი[1],
მაინც გაურბის უმეცარი შემოქმედებას.
თვით აპოლონმა მასში ჰპოვა თანამოაზრე,
იხილა მისი სიბეჯითე, რათა პარნასზე
უხვად იყოს და კვლავ გამრავლდეს მცხოვრებთა რიცხვი.
მაგრამ მრავალი მეფეს უქებს იმგვარ თვისებებს,
რასაც აძაგებს მის უბრალო ქვეშევრდომებში.
„სწავლა და ცოდნა მტრობასა და ერესს წარმოშობს,
ვინც ბევრი იცის — ბევრ ტყუილსაც ილაპარაკებს,
წიგნში კირკიტი ულმერთობის საწინდარია", —
ამბობს კრიტონი, კრიალოსანს მარცვლავს და ოხრავს,
აცრემლებული, წმინდა სული, მიმართავს ყველას,
ნახონ სიავე, დათესილი ცოდნის მარცვალით:
„ჩვენი შვილები, მანამდე რომ მორჩილნი იყვნენ,
მამა-პაპათა ჩვეულ გზას რომ ბეჯითად ადგნენ
და ღვთის მოშიშნი ღვთიურ სიტყვას იმახსოვრებდნენ,
ახლა ბიბლიას კითხულობენ და კამათობენ,
ეძებენ მიზეზს, საბაბს, სარჩულს ყველა მოვლენის
და აღარა სწამთ მღვდელმსახურთა სათნოებანი.
კეთილზნეობა დაივიწყეს, ბურახს არ სვამენ,
დამარილებულ ხორცს არ სჭამენ, აღარ ანთებენ

[1] იგულისხმება იმპერატორი პეტრე II.

საყდრებში სანთლებს, უარყოფენ მარხვის დღეებსაც.
საეკლესიო აღარა სწამთ ხელისუფლება;
ჩუმად ყბედობენ, რომ ღვთისმსახურთ და ეკლესიებს
აღარ შეჰფერით მამულები და სხვა ქონება".
სილვანი სხვა მხრივ შეაჩვენებს სწავლას და ცოდნას:
„სწავლა მოგვივლენს მხოლოდ შიმშილს და სიღატაკეს;
სანამ ლათინურს ვისწავლიდით, უკეთ ვცხოვრობდით,
ვიდრე ახლა ვართ, ჩავარდნილნი სიდუხჭირეში.
უმეცრებაში გაცილებით მეტ პურს ვიმკიდით,
უცხო ენა რომ გადმოვიღეთ, პურიც მოგვაკლდა.
თუ ჩემი სიტყვა სუსტია და წყობა აკლია,
მე, აზნაური, ამის გამო არ დავღონდები:
საბუთიანი, მწყობრი სიტყვა შეშვენის რეგვენს,
ჩვენ კი, რჩეულნი, მოკლედ ვამბობთ ან „ჰოს" ან „არას".
ვინც სულის ძალას უდარდელად უწყობს გამოცდას,
მთლად უტვინოა. და ვინც ცდილობს შრომით შეიცნოს
ჩვენი სამყაროს კანონები, წყობა და არსი,
კედელს ცერცვს აყრის და ამაოდ ირჯება მხოლოდ.
განა ის ცოდნა მომიმატებს სიცოცხლის დღეებს?
გროშს წამიმატებს? ან გამარკვევს, რამდენს მომპარავს
ამ წელიწადში ქურდბაცაცა მსახურთუფროსი?
წყალს მომიმატებს გუბურაში? ღვინოს სარდაფში?
არც ის ყოფილა მთლად ჭკვიანი, ვინაც ღუმელში
გაფაციცებითადნობს მადანს, რათა გაერკვეს
მის თვისებებში. განა ახლა ვარჩევთ „ანს" და „ბანს"
და აღარ ვიცით ოქროს, ვერცხლის, სპილენძის ფასი?
სულ ტყუილია საექიმო ხელოვნებანიც, —
თავი რომ გტკივა, ხელისგულზე ეძებენ მიზეზს.
თურმე მიზეზი ყველაფრისა სისხლი ყოფილა:
თუ ნელა დადის, დაგასუსტებს, დაგაძაბუნებს,
თუ აჩქარდება, სიცხეს მოგცემს, ექიმიც სხარტად
და გაბედულად განგიმარტავს ყველაფრის მიზეზს,
თუმცა არ იცის შიგნით, ტანში მართლა რა ხდება.
და სანამ იგი ამ ზღაპრებით გართობს, გატყუებს,
მისი საფულე შენი ფულით ივსება სწრაფად.
რა თავში ვიხლი ვარსკვლავების თვლას და აღრიცხვას?
ღირს კი ამისთვის თუნდაც ერთი ღამის გატეხვა?
ვის რად სჭირდება იმის ცოდნა, მზე მოძრაობს თუ
თვით დედამიწა ჩვენთან ერთად მოძრაობს ცაზე?
მაშ რისთვისა გვაქვს ჟამნი, სადაც ყველა სწერია:
მზის ამოსვლაც და რიცხვიც დღის და წელიწადისა!
უევკლიდოდაც კარგად გავყოფთ მიწის ნაკვეთებს,
უალგებროდაც კარგად ვიცით მანეთის ფასი!"
მხოლოდ ერთ ცოდნას ეს სილვანი აქებს და ამკობს:
მცირე ხარჯით რომ დიდ მოგებას ნახავს მავანი.

ხოლო ის შრომა, არ გისქელებს რომელიც ჯიბეს,
საზიანოა, საეჭვოა, დასაძრახია!
    ლოყებლაყლაყა ლუკა სამჯერ დააბოყინებს,
სხვების წაბაძვით სისულელეს როშავს და როშავს:
„სწავლა და ცოდნა მეგობრობის მტერია დიდი;
ჩვენ, ღვთის შვილებმა, განა მხოლოდ ჩვენთვის მივიღეთ
ცხოვრების ნიჭი, — სხვებსაც უნდა გავუზიაროთ.
იმ სხვებს რას არგებს, მე რომ სახლში გამოვიკეტო,
ცოცხალ მეგობრებს ვამჯობინო მკვდარი საგნები,
დავუმეგობრდე მხოლოდ მელანს, კალამს და ქაღალდს
და მხოლოდ მათი სიხარული გავიზიარო:
განა არა სჯობს ქეიფსა და ლხინში ვატარო
მოკლე და სწრაფად წარმავალი ცხოვრების დღენი?
განა არა სჯობს წიგნთან ჯდომას, თვალების ბრეცვას,
დღედაღამ ვიჯდე მეგობრებთან სასმისით ხელში?
ღვინო ღვთის მიერ ბოძებული საჩუქარია,
ხალხს ამეგობრებს, სასაუბროდ გაუჩენს მიზეზს,
მძიმე საფიქრალს მოგვაშორებს, ტკბილად მოგვალხენს
და სამოჯნურო საწადელსაც მიგვაღწევინებს!
ოდეს ზეცაზე დაიწყებენ ხნულის გავლებას
და ვარსკვლავები ძირს, მიწაზე გადმოსხდებიან,
როდესაც აღმა წავლენ სწრაფი მდინარეები
და გარდასული წლები უკან დაბრუნდებიან,
როდესაც ბერი მარხვას მართლაც წმინდად დაიცავს, —
მაშინ მეც ხელში წიგნს ავიღებ ჭიქის მაგივრად!
    მედორი სწუხს, რომ ძალიან ბევრ ქაღალდს ხარჯავენ
წერილთა წერით, წიგნთა ბეჭდვით და მას, საცოდავს,
ქაღალდიც არ აქვს დახვეული თმის ასაკრავად!
ამბობს: სენეკას მირჩევნია გირვანქა პუდრი,
ვირგილიუსთან შედარებით ეგორი [1] მზეა,
ვინლა იქნება ციცერონი რექსის [2] წინაშე".
    აი ნაწილი იმ სიტყვების, რასაც მე ვისმენ,
აი ამიტომ, გონებაო, გირჩევ, დაყრუვდე,
რადგან, როდესაც უნაყოფო შრომას ვადგივარ
და მცირე ქებაც კიდევ უფრო წამაქეზებდა,
მეტად ძნელია ქების ნაცვლად სმენა ძაგების;
უფრო ძნელია, ვიდრე ლოთი ულვინოდ დარჩეს,
ან წმინდა კვირა არ ადიდოს ვინმე ხუცესმა,
ანდა ვაჭარმა არ დალიოს მაგარი ლუდი!
    ვიცი, გონებავ, დამიმტკიცებ მეტად ადვილად,
რომ ვერ შეაქებს ავზნიანი ქვეყნად სიკეთეს,
რომ კონტაპრუწა, უსამსი და ძუნწი არსება

[1] განთქმული მოსკოველი თერძი.
[2] განთქმული მოსკოველი ხარაზი.

სწორედ რომ უნდა აძაგებდეს ცოდნას და სწავლას
და ამ ძაგების ფასი მხოლოდ ჩალის ფასია!
სწორია, მაგრამ რა ვქნათ, როცა ავზნიანთ სიტყვა
დღეს ჭკვიანსა და განათლებულს ებატონება?
ცოდნის მტერია განა მხოლოდ ვინც ჩამოვთვალე,
სიმოკლისათვის ბევრი არც კი მოვიხსენიეთ.
განა ეს კმარა? მოვიგონოთ სამოთხის მცველნი,
ანდა მსახურნი თემიდისა — მოსამართლენი,
რა მცირედ უყვარს ყველა მათგანს ჭეშმარიტება!
სურვილი გაქვს და გინდა გახდე ეპისკოპოსი?
ეს მოსირმული ანაფორა ტანთ გადაიცვი,
ჯვარი ოქროსი დაიკიდე მკერდზე თამამად,
თავზე ბარტყულა დაისურე მოოქროული,
წინ მოჭედილი კვერთხი ვინმეს წაალებინე
და კარეტაში ჩაესვენე გაბრწყინებული!
სევდა რომ გულზე გაწვებოდეს, ბოღმა გახრჩობდეს,
მაინც კეთილად შეივრდომე ყველა შემხვედრი,
ყველა „მამაოს“ დაგიძახებს, გიცნობენ რაკი
ამ გარეგნობით, ამ ბრწყინვალე ტანსაცმელით!
რა არის ცოდნა? რას შემატებს ის ეკლესიას?
არაფერს, გარდა შემოსავლის განახევრებას,
რადგანაც მცოდნეს შეცდომებიც ექნება ზოგჯერ,
უცოდინარი შეცდომისგან დაზღვეულია.
აი, რაზე დგას ეკლესიის მთელი დიდება!
    ან იქნებ გსურს, რომ მოსამართლე იყო, მსაჯული,
სულ ადვილია: ვინც კი მოვა ხელცარიელი,
მყისვე გალანძღე, დაემუქრე, კარგად დატუქსე:
მაგ მტკიცე გულით ღარიბები არ შეიცოდო;
გამოიძინე, სანამ საქმეს წაიკითხავდნენ.
და თუ მაყანმა წამოროშა რაღაც კანონზე,
ან შეგახსენა მოქალაქის რაღაც უფლება, —
უცებ საქეში შეაფურთხე, რადგან ყბედობით
გაგირთულებენ მოსამართლის საქმეს ურთულესს.
ქაღალდები და კანონები აბა რად გინდა,
შენი საქმეა განაჩენი — მთავარი საქმე!
    ჩვენამდე ჯერ ხომ არ მოსულა ის დრო კეთილი,
როდესაც სიბრძნე დაარიგებს ყველა ამ გვირგვინს,
იგი სიბრძნეა ერთადერთი ჭეშმარიტება.
და ოქროს ხანაც ჯერ იმიტომ არა გვწვევია,
რომ სიზარმაცემ, სიამაყემ და ფუფუნებამ
დაახრჩო სიბრძნე, დაამდაბლა და დააკნინა
და უმეცრებამ დაიკავა სიბრძნის ადგილი.
ამ უმეცრებას მიტრა ჰხურავს, აცვია ფარჩა,
ხალხს ასამართლებს, გაბედულად დაჰყავს ჯარები.
მეცნიერება გალანძღულა, ძონძები სცმია,.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ყოველ სახლიდან გაგდებულა შეგინებული.
არ სცნობს არავინ, გაურბიან, ერიდებიან
და გაჰყვირიან: — ცოდნის ძირი უნაყოფოა,
მცოდნეთ თავები აქვთ სავსენი, მხოლოდ თავები
სხვა არაფერი გააჩნიათ ხელცარიელებს!
   ვინც კარტს თამაშობს და ღვინოში ერკვევა ცოტა,
ცეკვა იცის და სამიოდე სიმღერას უკრავს,
ტანთ კოხტად იცვამს, იპრანჭება და იგრიხება,
მას შეარჩევენ, დიდ ხარისხებს მიანიჭებენ
და დაბრძანდება ქვეყანაზე ბრძენთაბრძენივით.
„მე უსამართლოდ მექცევიან, მიშველეთ რამე, —
გაჰკივის ვინმე ჭკუათხელი ჩერჩეტი მღვდელი, —
ეპისკოპოსად არ გამხადეს, ჟამნი კი ვიცი,
დავითნიც ვიცი, ეპისტოლეს ვკითხულობ სწრაფად,
თუმცა არ მესმის — ოქროპირის ტექსტიც დავძლიე!"
აქ ჯარისკაცი იმაზე სწუხს, პოლკი არ მისცეს,
მაშ რად ისწავლა საკუთარი გვარის მოწერა!
იქ გადამწერი იმას დარდობს, ჩინი არ ერგო,
ქაღალდის სუფთად გადაწერას კი დაეუფლა!
ზოგი ღონდება, უპატიოდ რომ აბერებენ,
რომლესაც მის გვარის წინაპრების ღვაწლი ამშვენებს,
ორი ათასი ყმა-გლეხი ჰყავს, მერე რა მოხდა,
რომ წერა-კითხვა ვერ იქნა და ვერ შეისწავლა?
   როცა ამგვარი სიტყვა გესმის, მაგალითს ხედავ,
იყუჩე, ჩემო გონებაო, იყავი შენთვის,
უშფოთველია მისი ყოფა, ვინც ზის კუთხეში
და, თუმც ძნელია, მაგრამ მაინც თავისთვის არის.
თუ მოგანიჭა რამ სიკეთე სიბრძნემ და ცოდნამ, —
იმ სიკეთეზე იფიქრე და გული ახარე,
ხოლო თუ გერგო ქების ნაცვლად მხოლოდ ძაგება,
არ შეიმჩნიო, არ იწყინო, არ დაიდარდო.

1729.

□

# ივან ბუნინი

## ღამე

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოთხრობა

თარგმნა მზია გელაშვილმა

•

აგარაკზე წყვდიადი სუფევს, — უკვე გვიანია — გარემო დაუსაბამო კამკამად იფრქვევა. ზღვაზე გადაკიდულ ქარაფებზე დიდხანს ვისეირნე და აივანზე, ლერწმის სავარძელში ჩავესვენე. ვფიქრობ და ვაყურადებ, ვისმენ: ბროლად იმსხვრევა გარემოს კამკამი.

ცის ღამეულ უსასრულობაში ფერად-ფერადი ვარსკვლავები გაბნეულა, მრუმედ ციალებს მნათობებით მოჭიქული ირმის ნახტომი და ორი უსწორმასწორო ზოლქვით ჰორიზონტის უსაზმნო წყვდიადს ერთვის. აივანი ეზოს გადასცქერის. მეჩხერი და ტანდაბალი ბაღი წვრილ-წვრილი კენჭებითაა მოკირწყლული. ღამეული ზღვა მოჩანს. დუმს უძრავად ფერმიხდილი, მიბანგული, მოლიცლიცე ზღვა. ვარსკვლავებიც დუმან. მხოლოდ ერთფეროვანი, უწყვეტი წკრიალი მოცახცახე სიზმარივით გამეფებულა ღამეულ სიმყუდროვეში.

რაზე ვფიქრობ?..

„გავეკადნიერდი და გონებით მსურდა განმეჭვრიტა რაი არა არს ყოველი მზესა ქუეშე. და მივეც გული ჩემი რომელ გამოძიებად და განხილვად სიბრძნივ ყოველთათვის ყოფილ ცათა ქუეშე... რამეთუ ზრუნვა ბოროტი მოსცა ღმერთმან ძეთა კაცთასა“. და ეკლეზიასტე მამაშვილურად გვირჩევს: ნუ იქმნები მართალი ფრიად, ნურცა ბრძნობ ბევრს. მე მაინც ვბრძნობ, მე ზედმეტად გულმართალი ვარ.

რაზე ვფიქრობ? როდესაც თავს ჩავეძიე და მეწადა გახსენება, რაზე ვფიქრობდი, იმავე წამს ვიფიქრე იმ ფიქრზე და იმაზე, რომ სწორედ ეს ფიქრია ყოვლად გასაოცარი, ყოვლად მიუწვდომელი და ვგონებ, ავბედითი ჩემს ცხოვრებაში. რაზე ვფიქრობდი, რა სულდგმულებდა ჩემში? გაუცნობიერებელი ფიქრი გარემოზე (ან, უფრო ზუსტად, ფიქრის მაგვარი), და უზომო სურვილი — გონებაში ჩამებეჭდა, შემენახა, შემეკავებინა გარე სამყარო... კიდევ რა? შეგრძნება უსაზმნო ბედნიერებისა, რასაც მანიჭებდა გარემოს დიდებული სიმყუდროვე და ღამის წყვდიადის ჰარმონია, თუმცა ამ ბედნიერებას რაღაც ნაღველი და ანგარებაც ერთვოდა. საიდან გაჩნდა ეს ნაღველი?

ალბათ იმ ფარული შეგრძნებიდან, რომ მხოლოდ ჩემს სულში არ სუფევს სიმყუდროვე, ეს მუდმივი ფარული ტანჯვა! — მე ვფიქრობ. ანგარება საიდანღა გაჩნდა? დაუძლეველი სურვილიდან, როგორმე გამომეყენებინა ეს ბედნიერებაც, სევდაცა და ანგარებაც, რაღაც შემექმნა მისგან, და ისევ ნაღველი, ეკლესიასტე: „არა არს ხსენება პირველთა და უკანასკნელთა ქმნილთა. არა იყო მათდა ხსენება ყოველთა თანა უკანასკნელ, რამეთუ დავიწყებულ არს სახსენებელი მათი და სიყვარული მათი, და სიძულვილი მათი, და შური მათი ეგერა წარწყმდა და ნაწილი მათი არა არს მერმე საუკუნოდ ყოველსა შინა ქმნულსა მზესა ქუეშე".

რაზე ვფიქრობდი? არსებითი ის კი არ არის, რაზე ვფიქრობდი, არსებითია ფიქრი ჩემი, ჩემთვის ყოვლად მიუწვდომელი ქმედება, მაგრამ უფრო არსებითი და მიუწვდომელია ფიქრი ამ ფიქრებზე და იმაზეც, რომ „არაფერი გამეგება არც საკუთარი სულისა და არც სამყაროსი". ამასთან ერთად მესმის ჩემი არგაგება, ჩემი მიუსაფრობა ამ უკიდეგანო ღამის ჯადოსნურ კამკამში, ხან სულიერი რომ მგონია, ხან უსულო, ხან უაზროდ მეჩვენება, ხან კი თითქოს რაღაც ფარულსა და ყველაზე არსებითს მიმხელს.

ეს ჩაღრმავება საკუთარ სულში, გაგება საკუთარი არგაგებისა ყველაზე დიდი საბუთია ჩემი უკვდავების. საბუთია იმისა, რომ ნაზიარები ვარ რაღაც ისეთს, რაიც ათასწილ ძლიერია ჩემზე: ჩემში, ჩემს მიღმა სულდგმულობს კიდევ რაღაც, უსათუოდ არსებითი, განუყოფელი — ჭეშმარიტი ღმერთის წილი.

მაგრამ ეს ხომ ნაწილია იმისა, რაიც არს უფორმო, მარადიული, უსივრცო და იგია ჩემი სიკვდილიც. „აღიღეთ უღელი მისი თქვენს ზედა და იქმნებით ღვთის დარი". „ღმერთი ცაშია, ჩვენ კი მიწაზე". მიწიერი, ამქვეყნიური მსახურებით ვიღუპებით. ღმერთი უსასრულოა, უსაზღვრო, ყველგან არსებული, უსახელო. და სწორედ ეს ღვთიური თვისებანი მცემს თავზარს. თუ ეს თვისებანი ძლიერდება და იზრდება ჩემში, მაშინ მე, ჩემი ადამიანური ცხოვრებისათვის, მიწიერი „არსებობისათვის" და „შექმნისათვის" ვკვდები...

უძრავად ეშვება ბინდი და ბნელი ფარავს ტანაყრილ ხეებს.

აქა-იქ ვერცხლისფრად რიალებს მოკირწყლული ბილიკი, თეთრად ლიცლიცებენ ყვავილები, შორს ფლატეები ჩამუქებულა და ზღვა ბურუსით მოსილ გარდამოხსნად მიილტვის ცისკენ.

სარკესავით ელვარებს ბურუსი: თვალსაწიერზე კი — წყვდიადი და ავბედითობა: ეს იუპიტერისაგანაა, და კიდევ იმიტომ, რომ იქ, სამხრეთის ღასალიერზე ვარსკვლავი არ ჩანს.

ოქროცურვილი, ზვიადი იუპიტერი ირმის ნახტომის მიღმა იმგვარი დიდებულებით ანთია, რომ აივანზე ძლივსშესამჩნევად იკვეთება მაგიდისა და სკამების ჩრდილი, ის ახლა სულ სხვა სამყაროს ერთი ციდა მთვარეს ჩამოჰგავს, სინათლის სვეტი ზესკნელიდან მრუმე-ოქროსფრად ილვრება მოსარკული ზღვის რძისფერეთში, ჰორიზონტზე კი, თითქოს ნათელს უპირისპირდებაო, ბედითად მოჩანს შავი გორაკი.

და უწყვეტი, შეუნელებელი წკრიალი, გამჭოლი ჰანგებით რომ ავსებს ცის, მიწისა და ზღვის მყუდროებას, ხან ერთად მოჩხრიალე და მორაკრაკე ნაკადუ-

ლებს ემსგავსება, ხან კი საოცარ, ნელიად მოცახცახე, ბროლადასხმულ ყვავილებს მაგონებს...

მარტოოდენ ადამიანს აოცებს საკუთარი არსებობა და ფიქრობს მასზე. სწორედ ამით განირჩევა იგი იმ არსებათაგან, ვინაც ჯერ ისევ სამოთხეში ნეტარებენ და არ-რას უწყიან თავის თავზე. თუმცაღა, ადამის შვილნი ხომ გაოცების ხარისხითა და ზომით განირჩევიან ერთურთისაგან? რატომღა დამღალა უფალმა, რად მარგუნა წილად ფიქრის, გაოცებისა და „ბრძნობის“ ეს ავბედითი უნარი, რად იზრდება და ძლიერდება ჩემში ეს თვისება? ბრძნობს კი ღამეულ ტრამალებში განბნეული ჭრიჭინების გუნდი, მთელ სამყაროს სიყვარულის უზაკველი ჰანგებით რომ ავსებს? ისინი სამოთხეში არიან, ცხოვრების ნეტარ ძილს დანდობილნი, მე კი უკვე გამოვფხიზლდი და ვფიქრობ. სამყარო მათშია და ისინიც სამყაროში სუფევენ, მე კი შორიდან ვუმზერ ყოველივეს. „უგუნურმან გარე მოსხნა ხელნი თვისნი, და შეშჭამნა ხორცნი თვისნი. მოკრძალე ქართა არა სთესავს.“

ვისმენ და ვფიქრობ. და ამიტომაც უსაზმნოდ მარტო ვარ, მარტო ვარ ამ ღამეულ მყუდროებაში, ჯადოდ მოწკრიალე, ბროლად დამსხვრეული ნაკადულების კამკამში, დიდებული ქედმოდრეკითა და განუზომელობით რომ იღვრება რომელიღაც უძირო სივრცეში. იუპიტერის ნათება შემზარავად აცისკროვნებს ზესკნელიდან დედამიწამდე თვალშეუდგამ სივრცეს, ღამის დიდებულ ტაძარს და მის მეფურ კარიბჭესთან სულიწმინდის ხატებად აღმართულა. და მარტო ვარ ამ ტაძარში. მე ვფიზლობ.

დღე ქმედებაა, ტყვეობა სულისა. დღე სივრცესა და დროში. დღე — მიწიერი ვალის აღსრულებაა, მიწიერი ყოფის გამართლება. და დღის კანონი ბრძანებს: იყავ ქმედითი და არ შეწყვიტო ეს ქმედება, რათა შეიცნო თავი შენი, ადგილი და მიზანი შენი, რადგან შენა ხარ მონა მიწიერი და ბოძებული გაქვს რაღაც დანიშნულება, წოდება, სახელი. რაღაა ღამე? შემფერის კი ადამიანს მის წინაშე ფხიზელი წარსდგეს, წარსდგეს იმ მიუწვდომელით, რაიც არს „ბრძნობა?“ წერილ იყო, არ იგემო აკრძალული ხილი და ყური მიუგდეთ ამ თავდავიწყებულ მეხოტბეთ: მათ არ უგემიათ და არც იგემებენ! სწორედ მათ უმოქმედობას უგალობეს ქებათა-ქება ეკლესიასტეთა! სწორედ მათ თქვეს: „ამაოება ამაოთა და ყოველივე ამაო“, თუმცაღა იქვე დასძინეს — მწარე შურით; „არა არს კეთილ კაცსა არამედ თვინიერ რომელ ჭამოს და სუას, და რომელ უჩვენოს კეთილი სულისა თვისისა შრომასა შინა თვისსა. რამეთუ ვინ ჭამოს და სუას თვინიერ მისა, რამეთუ კეთილსა კაცსა წინაშე პირსა მისსა მისცა სიბრძნე და მეცნიერება და სიხარული“. რა არის ღამე? ღამით თავისუფლდება დროისა და სივრცის მონა, ქრება მისი მიწიერი დანიშნულება, მიწიერი სახელი, წოდება — და თუ ფხიზლობს, მისთვის განკუთვნილია დიდებული საცდური: უნაყოფო „ბრძნობა“, გაგების უნაყოფო ლტოლვა, ესე იგი, ორმაგი გაუგებრობა: გაუგებრობა სამყაროსი, საკუთარი სულისა, საკუთარი საწყისისა და დასასრულის.

მე არც საწყისი მაქვს, არც დასასრული.

ვიცი, რამდენი წლისა ვარ, მაგრამ ეს ხომ სხვებმა მითხრეს: მითხრეს, რომ დავიბადე რომელიღაც წელს, რომელიღაც დღესა და საათს: სხვაგვარად არ მეცოდინებოდა ჩემი დაბადების დღე, მაშასადამე, არც ჩემი წლოვანება და არც ის, რომ ჩემი არსებობა დაბადებით არის გაპირობებული.

დაბადება! რა არის ეს? დაბადება! დაბადება სულაც არ არის ჩემი საწყისი. ჩემი საწყისია ის (ჩემთვის ყოვლად მიუწვდომელი) ბუნება, რომელშიაც ჩავისახე და დავიბადე, ჩემი საწყისია დედა, მამა, პაპები და პაპისპაპები, რადგანაც ისინი მე ვარ, ოღონდ სხვა იერსახით. მათგან ბევრი რამ გადმომეცა უცვლელად. „მახსოვს, ოდესღაც, უთვალავი წლის წინ, [illegible]. მეც შევიგრძენი მსგავსი რამ (სწორედ იმის ქვეყანაში, ვინაც ეს თქვა — ინდოეთის ტროპიკებში): შევიგრძენი შემზარავი გრძნობა, რომ უკვე ვყოფილვარ აქ, ამ სამოთხისებრ სითბოში.

თავს ვიტყუებ?

ხომ დასაშვებია, რომ ჩემი წინაპარნი ინდოეთის ტროპიკებში ცხოვრობდნენ. მათ ხომ არაერთგზის გადასცეს შთამომავლებს და ბოლოს მე მიანდერძეს ყურის, ნიკაპის, წარბების ზუსტი მოხაზულობა, მაშ რად არ უნდა გადმოეცათ უფრო ფაქიზი, უსახელო და უწონადო გრძნობა ინდოეთის სიყვარულისა? არიან ადამიანები, რომელთაც „უგონოდ“ ეშინიათ გველებისა და ობობების, ე. ი. ეშინიათ გონების მიღმა, და სწორედ ესაა შეგრძნება რომელიღაც ადრეული არსებობისა, ბუნდოვანი გახსენება იმისა, რომ ოდესღაც, შენს უძველეს პერპერას მუდამჟამს ქვეწარმავლისაგან ემუქრებოდა სიკვდილი. ჩემი წინაპარი ინდოეთში ცხოვრობდა. მაშ რად ვერ შევძელ, ინდოეთის ოკეანის სანაპიროებზე თავდახრილი ქოქოსის პალმებისა და თბილ, ტროპიკულ წყალში მობანავე მუქ-ყავისფერი ხალხის ხილვისას, გამეხსენებინა, რას ვფიქრობდი, ოდეს ჩემი მუქი-ყავისფერი წინაპარი ვიყავი?

მაგრამ არც დასასრული მაქვს.

თუ არ მესმის და ვერ ვგრძნობ საკუთარ დაბადებას, ვერც სიკვდილს გავიგებ და შევიგრძნობ, სიკვდილზე არაფერი მეცოდინებოდა, ვერც შევიგრძნობდი, უდაბურ, უკაცრიელ კუნძულზე რომ დავბადებულიყავი და მეცხოვრა. მთელი სიცოცხლე სიკვდილის დაღი მაწამებს — მაინც მუდამ მგონია, არასოდეს მოვკვდები. სიკვდილი! ადამიანი ხომ ყოველ შვიდ წელიწადში ერთხელ გარდაიქმნება, ე. ი. შეუმჩნევლად კვდება და შეუმჩნევლადვე აღორძინდება. მაშასადამე, მეც არაერთხელ გარდავქმნილვარ (მომკვდარვარ და ისევ აღორძინებულვარ). ვკვდებოდი — და მაინც ვცოცხლობდი, არაერთგზის მოვკვდი და მაინც, დრვიტაში იგივე ვარ, რაც ადრე ვიყავი; იგივე და წარსულით აღსავსე.

საწყისი, დასასრული, რაოდენ მერყევია დროისა და სივრცის ჩვეული აღქმა. წლებთან ერთად განა ოდენ ვგრძნობ, გონებითაც ვჭვრეტ ამას.

მე გამომარჩიეს ბევრზე-ბევრისაგან. და თუმცა მთელი სიცოცხლე ჩემი თვისებების სისუსტე და არასრულფასოვნება მაწამებდა, სხვებთან შედარებით მაინც ერთობ საოცარი ადამიანი ვარ. სწორედ ამიტომ (იმის გამო, რომ არ ვარ სხვების მსგავსი, ერთგვარად უჩვეულო ადამიანთა რიცხვს ვეკუთვნი), დროის, სივრცისა და საკუთარი არსებობის ჩვეული შეგრძნება და წარმოსახვა ერთობ არამყარია.

ვინ არიან ეს უჩვეულო ადამიანები? ისინი, ვისაც პოეტებსა და მხატვრებს უწოდებენ. რას უნდა ფლობდნენ ისინი? ყოველი ხელოვანი თუ პოეტი განსაკუთრებით ღრმად უნდა შეიგრძნობდეს წილხვდომილ აწმყოსა და გარდასულს, საკუთარსა და უცხო ერს, საკუთარ სულსა და ადამიანებს, ე. ი. უნ-

და გაიჩნდეს გარდასახვის უდიდესი უნარი, ამასთანავე, განსაკუთრებით ცოცხალი და განსაკუთრებით ხატოვანი (მგრძნობიარე) მეხსიერება უნდა ჰქონდეს. და ამ ჯგუფს რომ განეკუთვნებოდე, უნდა იყო ინდივიდი, ვინაც არსებობის უგრძელეს გზაზე წინაპართა ჯაჭვში გამოატარა და შემდეგ საკუთარ არსებაში სრულად ასახა ველური პერპერის ხატება, მისი შეგრძნებების სიმძლე, აზროვნების ხატოვანება და უზარმაზარი ქვეცნობიერება, ამასთანავე, ამ უგრძელეს გზაზე უდიდესი შეგნებით უნდა იყო უზომოდ გამდიდრებული.

დიადი წამებული თუ დიადი ნეტარია ამგვარი კაცი? ერთიცა და მეორეც. ამ ადამიანთა ჯვარცმა და ნეტარებაა განსაკუთრებული ძლიერი მე. საკუთარი მეს დამკვიდრების უდიდესი წყურვილი და ამასთანავე (იმ მდიდარი გამოცდილების წყალობით, რაიც არსებობის უგრძელესმა ჯაჭვმა შესძინა), შეგრძნება ამ წყურვილის უაზრობისა და ყოვლადმყოფობის გაფაქიზებული აღქმა. და აქედან — ბუდა, სოლომონი, ტოლსტოი...

თუ ზრდადასრულებული გორილები განსაკუთრებით საშიშნი არიან ფიზიკური ძალით, უზომოდ მგრძნობიარენი — სამყაროს აღქმისას, დაუნდობელნი — ჟინის დაოკებისას და საოცარი უშუალობით გამოირჩევიან, ხანში შესულნი გაუბედავნი, დაფიქრებულნი, ნაღვლიანნი, და გულმოწყალენი ხდებიან... თავზარდამცემი მსგავსებაა ბუდებთან, სოლომონებთან, ტოლსტოებთან! და საერთოდ, ამ ღვთიურ მოდგმაში რამდენი წმინდანისა და გენიოსის ჩამოთვლა შეიძლება, რომელნიც გარეგნულად გორილებს ჩამოჰგავდნენ! ყველამ კარგად უწყის ტოლსტოის გაბარჯღული წარბები, ბუდას გიგანტური აღნაგობა და ამობურცული თავის ქალა, (მუჰამედის გვემულება, ოდეს ანგელოზნი ელვით აუწყებდნენ „არაამქვეყნიურ ქვესკნელებსა და საიდუმლოებებს“ და „თვალის დახამხამებაში“, მაშასადამე — დროისა და სივრცის ყოველგვარი კანონის გარეშე, გადაჰყავდით მედინიდან იერუსალიმში, შავ ქვაზე, რომელიც მარად ირხევა ზეცასა და დედამიწას შუა, თითქოს ერთურთს შეურწყავს წარმავალსა და მარადიულს).

სოლომონები და ბუდები ჯერ გასაოცარი სიხარბით აღიქვამენ სამყაროს, შემდეგ უდიდესი ვნებით სწყევლიან მის ცდუნებებს. ისინი ჯერ უდიდესი ცოდვილნი არიან, შემდეგ უდიდესი მძაგებელნი ცოდვისა, ჯერ — უდიდესი მომხვეჭელნი, შემდეგ — მფარველნი. ისინი მაიას გაუმაძღარი მონები არიან — აჰაა იგი, მოწკრიალე, მჩხიბავი მაია, ყური მიუგდეთ, ყური მიუგდეთ მას! — და ყოველი მათგანი გამოირჩევა წლებთან ერთად მზარდი ყოვლადმყოფობის შეგრძნებით და ამ ყოვლადმყოფობაში შთანთქმის უცილობლობით...

ოდნავ შეირხა ჰაერი, მოულოდნელად ყვავილების და ზღვის ნოტიო სურნელი შემოაფრქვია აივანს. იმავე წამს შრიალიც გაისმა — მთვლემარე ტალღებმა ჩუმად ამოიფშვინეს და ზანტად მიელამუნენ ნაპირს. გაუცნობიერებლად ბედნიერი, რულმორეული, უდარდელი, ქედმოდრეკილი და მომაკვდავი! მიელამუნა, მიეხუტა, ქვიშა ღია-ცისფერი ციალებით აიელვარა, — აიელვარა უთვალავი სიცოცხლით — და იმგვარადვე ზანტად გაიზლაზნა უკან, თავის აკვანსა და სამარეს მიუბრუნდა. უთვალავი სიცოცხლე ახმაურდა თავგამეტებით და წყლის დიდებულ სარკეში ოქროს ნაკადად ჩამოღვრილი იუპიტერი მეტი სიზვიადით და დიდებულებით აციმციმდა ცისკიდურზე...

განა მე უკვე არ ვარ უსაწყისო, დაუსაბამო, ყველგან არსებული?

რამდენიმე ათეული წელი მაშორებს ბავშვობას. თვალშეუდგამი სიშორე! მაგრამ საკმარისია მცირე ხნით ჩავმყუდროვდე და დრო ქრება. არაერთგზის გამიცდია ეს საოცრება. არაერთგზის მომხდარა: კვლავ ვუბრუნდები იმ მინდვრებს, სადაც ბავშვობა და ყრმობა გამიტარებია, იქაურობას, [illegible]ვლებ და უეცრად, არარსებულივით ილევა განვლილი, გრძელი წლები. ეს არ გეგონოთ, არ გეგონოთ გახსენება: არა, მე კვლავ იგივე ვარ, სრულიად იგივე. იმგვარადვე აღვიქვამ ამ მინდვრებს, ჰაერს, ამ რუსულ ცას, იმგვარადვე აღვიქვამ მთელ სამყაროს, როგორც იქ, იმ შარაზე, ბავშვობისა და ყრმობის ჟამს.

ამგვარ წუთებში არაერთხელ მიფიქრია: ყოველი წამი, რაიც აქ ოდესღაც მასულდგმულებდა, შეუმჩნევლად აღიბეჭდებოდა ჩემი მეს უთვალავ, უსასრულოდ მცირე და იდუმალ ფირფიტებზე — ზოგი მათგანი ახლა გაცოცხლდა და გამომჟღავნდა. კიდევ წამი და, ჩვენებანი კვლავ იძირებიან ჩემი არსების უკუნში. დაე, შთაინთქას, ვიცი, ის არსებობს. „არაფერი არ კვდება, მხოლოდ სახეს იცვლის!“ თუმცა ეგებ არის რაღაც, რაც გარდასახვას არ ექვემდებარება, რაიც არამც თუ ჩემს ცხოვრებაში, საუკუნეებშიც არ იცვლის სახეს? უთვალავი ამგვარი ნაჭდევი გადმომეცა წინაპართაგან. რა არის ნიჭი, გენია, თუ არა ამ ნაჭდევების სიმდიდრე (შთამომავლობითიცა და კეთილშეძენილიც), თუ არა ნაწილ-ნაწილ გამომჟღავნების უნარი იმ მ ზ ი ს სხივებში, რომელიც ჟამიჟამს გამოანათებს ხოლმე უკუნიდან.

ამას წინათ დილისსხივზე მოულოდნელად გამომეღვიძა და უეცრად შემზარა ჩემმა ხნოვანებამ. ოდესღაც მეგონა, თუ ადამიანი ორმოც ან ორმოცდაათ წელიწადს იცხოვრებდა, რაღაც განსაკუთრებული, თითქმის საშინელი არსება უნდა ყოფილიყო. აი, ასეთ არსებად ვიქეცი ბოლოს და ბოლოს მეც. რა ვარ ახლა, ჩავეკითხე საკუთარ თავს, — კერძოდ, რად ვიქეცი ახლა? თავს ძალა დავატანე და შორიდან შევხედე საკუთარ არსებას — საოცარია ამის უნარი რომ შეგვწევს! — და გასაოცარი სიცხადით აღვიქვი, რომ იგივე ვიყავი, რაიც ათი თუ ოცი წლის წინათ.

შუქი ავანთე და სარკეში ჩავიხედე: დიახ, უკვე გამიუხეშდა სახე, ნაკვთები გამომეკვეთა, საფეთქლები მხცით დამეფარა, თვალებიც ჩამიქრა... მერე რა?

საოცრად მსუბუქად წამოვდექი და ღამეულ სიმშვიდეში ჩაყურსულ, რიჟრაჟით აცრიატებულ ოთახებში გავიარე. ბინაში უჩუმრად იპარებოდა ახალი, ნელიად მზადი დღე და მკერდის სიმაღლეზე ჰკვეთდა ოთახების ბინდბუნდს.

განსაკუთრებული, რიჟრაჟისეული სიმყუდროვე ჯერ ისევ მეფობდა ადამიანთა იმ უზარმაზარ ბუდეში, ქალაქს რომ უწოდებენ. სხვაგვარი სიჩუმით იდგნენ მრავალსარკმლიანი სახლები, ეძინათ მრავალრიცხოვან მცხოვრებლებს, ესოდენ განსხვავებულთ და ესოდენ ერთგვარად მინებებულთ ძილს, უგრძნობლობას, უსუსურებას. ჩემს თვალწინ იწვნენ ჩაჩუმებული ქუჩები (ჯერ ისევ ცარიელი და სუფთანი), თუმცა გამჭვირვალე ბურუსში უკვე მწვანედ ციალებდნენ გაზის ნათურები. და უეცრად ხელახლა შევიგრძენი ის გამოუთქმელი გრძნობა, რომელსაც გამთენიის ჟამს გაღვიძებული შევიგრძნობდი ხოლმე მთელი სიცოცხლე — განვიცადე უსაზმნო ბედნიერება, ბავშვუ-

რად მიმნდობი, სულის მომთონავი სიტკბო სიცოცხლისა, რამეთუ იბადებოდა რაღაც ახალი, კეთილი, მშვენიერი — და ამასთანავე შევიგრძენი სიახლოვე; ძმობა, ერთიანობა ამ დედამიწის ზურგზე ჩემთან ერთად მცხოვრები ადამიანებისადმი. ასეთ წუთებში კარგად მესმის, რად მოთქვამდა პეტრე მოციქული; მან ხომ სწორედ დილასისხამზე ასე ნედლად, ხელახლა და ნაზად შეიგრძნო იესოსადმი სიყვარული, ცხადად აღიქვა საკუთარი ბოროტება — წინა ღამით, რომაელი ჯარისკაცების შიშით ჩადენილი! ხელახლა მთლიანად, ჩემეულივით შევიგრძენი ის შორეული ევანგელიისეული დილა ელეონის ზეთისხილის ხევანში და პეტრეს განდგომა. დრო გაქრა. და მთელი ჩემი არსებით აღვიქვი: რა საოცრად მცირეა ორი ათასი წელი! მე ჯერ მხოლოდ ნახევარი საუკუნისა ვარ; საკმარისია ორმოცჯერ გავზარდო ჩემს მიერ განვლილი წლები და ქრისტეს, მოციქულების, „ძველი“ იუდეველების, „ძველი“ ადამიანების ეპოქაში აღმოვჩნდები. იგივე მზე, რომელიც ლამენათევმა, ფერმიხდილმა და ნამტირალევმა პეტრემ იხილა, საცაა, მეც გამინათებს. და თითქმის იმავე გრძნობებმა, რომელმაც აღავსო ოდესღაც პეტრე გეთსიმანიაში, ახლა მეც ამაღელვეს და იგივე ცრემლები მომგვარეს, ასე ტკბილ-მწარედ რომ ატირეს პეტრე კოცონთან. მაშ სადღაა ჩემეული აწმყო და მისეული? სადა ვარ მე და სად პეტრე? თუ ჩვენ, თუნდაც წამიერად ასე შევერწყეთ ერთურთს, სადღაა იგი ჩემი მე, რომლის დამკვიდრებასა და გამოყოფასაც ესოდენ ვნებით ვცდილობდი მთელი სიცოცხლე? არა, სრულიად, სრულიად არაფერს ნიშნავს, რომ მე ამქვეყნად პეტრეს, იესოს, ტიბერიუსის დროს კი არ ვცხოვრობდი, არამედ, ეგრეთ წოდებულ მეოცე საუკუნეში! რამდენჯერ წარმოდგენით მიცხოვრია უცხო და შორეული სიცოცხლით, გრძნობებით, თითქოს ყველგან და ყოველთვის ვარსებობდი! სადღაა ზღვარი არსებულსა და წარმოსახულს შორის, ჩვენს განცდებს შორის, რომელიც ასევე არსებულია, უცილობლად არსებული!

მთელი სიცოცხლე ცნობიერად თუ ქვეცნობიერად ვლახავ და ვარღვევ სივრცეს, დროს, ფორმებს. დაუოკებლად და უსაზღვროდ მწყურია სიცოცხლე და მე ვცოცხლობ არა ოდენ საკუთარი აწმყოთი, არამედ ჩემი წარსულითაც, არა ოდენ ჩემეული სიცოცხლით, არამედ ათასობით უცხო სიცოცხლეებითაც, ყოველივეთი, რაიც ჩემი თანამედროვეა და იმითაც, რაც იქ, შორეული საუკუნეების ბურუსშია ჩაძირული. რატომ? მხოლოდ იმიტომ, რომ ამ გზაზე დავილუპო თუ პირიქით, დავამკვიდრო საკუთარი მე, გავამდიდრო და გავაძლიერო?

ამქვეყნად ორგვარი ადამიანები არსებობენ. ერთ უზარმაზარ ჯგუფს განეკუთვნებიან აწმყოსეული, ცხოვრებისეული შენების, ქმედების, თითქმის უწარსულო და უწინაპრო ადამიანები, რომელნიც ერთგულნი არიან ყოფიერების იმ ჯაჭვისა, ინდოეთის სიბრძნე რომ ქადაგებს: მათ არ ენაღვლებათ, ასე უკვალოდ რომ იკარგებიან უსამართლობაში და არა უწყიან ჯაჭვის საწყისისა და დასასრულისა. მეორე, შედარებით მცირე ჯგუფს განეკუთვნებიან საშინელი მფლანგველნი, უკვე შეცნობილი რომ აქვთ ამ ქმედებისა და შენების არარაობა, ოცნების, ჭვრეტის, სამყაროთი და საკუთარი არსებით გაოცების უნარით დაჯილდოებული „განსჯის“ ადამიანები, უკვე იდუმლად რომ გამოეხმაურნენ უძველეს ძახილს: „გამოეყავ ჯაჭვს!“ — უკვე შეპყრობილნი მარადიულობაში შერწყმის, განბნევის სურვილით, ამგვარი გამძვინვარებით

რომ იბრძვიან და ყოველ გარდასახვას, აწმყოს ყოველ წუთს მისტირიან. ეს ადამიანები თავიანთ უთვალავ წინაპართაგან აღქმის უდიდესი სიმდიდრით არიან დაჯილდოებულნი, საოცარი სიცხადით შეიგრძნობენ ჯაჭვის უსასრულოდ შორეულ რგოლებს და განსაცვიფრებლად (ეგებ უკანასკნელად) აღადგენენ საკუთარ თავში სამოთხეში მცხოვრები პირველის ძალასა და სინედლეს. სამყაროს აღქმისას ისინი სამოთხისეულად მგრძნობიარენი არიან, მაგრამ სამოთხეშიც აღარ ეღგომებათ. აქედან იღებს სათავეს მათი დიდებული გაორება: ჯაჭვიდან გასვლის, განშორების, მისი არარაობის მტანჯველი შეგნება და ამ ჯაჭვით პირადული, უდიდესი აღფრთოვანება. და ყოველ მათგანს აქვს უფლება გაიმეოროს ოდინდელი კვნესა: „მარადიულო და ყოვლისმომცველო! შენ არ უწყოდი, რა იყო სურვილი და წყურვილი. შენ სიმშვიდეში განისვენებდი, მაგრამ თავადვე დაარღვიე ეს სიმშვიდე: შენ ჩასახე და განავითარე ასახვის უსაზომო ჯაჭვი, რომლისაგანაც თვითეულს ეწერა ყოფილიყო უფრო და უფრო უნაყოფო, უფრო და უფრო მიახლოვებოდა ნეტარ საწყისს. აწ უფრო ძლიერდება შენი ძახილი: „გადი ჯაჭვიდან! გადი უკვალოდ, უანდერძოდ, უმემკვიდრეოდ!“ ო, ღმერთო, მე უკვე მესმის შენი. მაგრამ ჯერ მიჭირს განშორება ცრუ და ტკბილ-მწარე ყოფიერებასთან, ჯერ ისევ მაკრთობს შენი უსაწყისობა და დაუსაბამობა“...

ო, რომ შეიძლებოდეს არსებაში თუ არა სიტყვაში აღიბეჭდოს ეს ცრუ და გამოუთქმელად ტკბილი „ყოფიერება“.

ჩემი არსებობის უძველეს ხანაში, ათასობით წლის წინ, მე ზღვის ზომიერ ხმაურზე ვსაუბრობდი, ვმღეროდი, რომ მახარებდა და მტანჯავდა ცის სილურჯე, ღრუბელთა სითეთრის მიუწვდომლობა და მომხიბლაობა და ქალის სხეულის მტანჯველი მშვენება. იგივე ვარ ახლაც. ვინ და რად მაიძულა შეუსვენებლად მეტარებინა ეს ტვირთი — მარად გამოვეთქვამდე საკუთარ გრძნობებს, აზრებს, წარმოდგენებს, გამოვთქვამდე არა მარტივად, არამედ ზუსტად, ლამაზად, ძალოვნად, რათა ადამიანები მოიხიბლონ, აღფრთოვანდნენ და ნაღველი ან ბედნიერება დაეუფლოთ? ვინ ან რად ჩამაქსოვა სულში დაუცხრომელი ლტოლვა — ჩემი შინაგანი ცხოვრებით ავავსო ადამიანები, ვუწილადო საკუთარი თავი და შემდეგ მათშივე ვეძიო თანაგრძნობა, ერთიანობა, შერწყმა? ბავშვობიდანვე ყველა ჩემს შეგრძნებას, ხედვას თუ აღქმას ეს „ანგარება“ ახლდა თან, მუდამ გამდიდრების სურვილი მამოქმედებდა, რათა შემდეგ მეტი ძალოვნებით ამესახა საკუთარი მე. მე ატაცებული ვარ მოხვეჭისა და ფლანგვის მუდმივი სურვილით, მსურს გავემიჯნო მილიონობით მსგავსთ, მსურს მიცნობდნენ, ღირსი გავხდე მათი შურის, აღფრთოვანებისა და მარადიულობის. ადამიანური ცხოვრების გვირგვინი ხომ ხსოვნაა — ყველაზე უდიდესი, რასაც კუბოსთან პირდებიან ადამიანს მარადიული ხსოვნაა. და არ მეგულება ადამიანი, რომელიც იდუმალ არ იწვოდეს ამ გვირგვინის იმედით. ჩემი სული? მასაც ხომ ამ იმედმა გაულია ქანცი, — რად ან რისთვის? რომ ამ სამყაროში უკუნითი უკუნისამდე დარჩება მისი ხსოვნა, მისი გრძნობები, წარმოსახვანი, სურვილები, რომ სძლევს იმას, რასაც ჩემი სიკვდილი ეწოდება, რაიც უცილობლად მოვა და რაიც არ მწამს მე, არ მსურს და არ მინდა ვირწმუნო! და განუწყვეტლივ, უხმოდ ვყვირი მთელი არსებით: „დადექ მზეო!“ და მით უფრო ძალუმად ვყვირი, რამეთუ არსებითად მე კი არ ვქმნი — მე ვფლანგავ საკუთარ თავს, — არც სხვაგვარი ყოფა ძალმიძს, რაკი ბოძებული მაქვს დრო-

ის, სივრცისა და ფორმის გადალახვის უნარი, ჩემი უსაწყისობისა და უსასრულობის შეგრძნება, მაშასადამე ის ერთიანობა, რომელიც შემიწოვს, როგორც ობობა თავის ქსელს.

და ჭრიჭინები გალობენ, გალობენ, მათაც ნაბოძები აქვთ ეს ერთიანობა, ტკბილია მათი სამოთხისებრი უზრუნველობითა და ხეტიალი თავდავიწყებით აღსავსე სიმღერა, მე მემწარება მხოლოდ.

იუპიტერმა თავის უმაღლეს წერტილს მიაღწია. და უმაღლეს დუმილს, უმაღლეს უძრაობას, უმაღლეს მშვენიერებასა და დიდებულებას მიაღწია ღამემ. „ღამე ღამეს გადასცემს ცოდნას“. რომელს? და ეგებ ამ იდუმალ, უმაღლეს ჟამს?..

უფრო დიდებული და მრისხანე გახდა ვარსკვლავებით მოჭიქული ცის უკიდეგანო და უძირო ტაძარი — ხომლი აინთო ცაზე, მრუმე ოქროსფრად მოლიცლიცე სვეტი დამრეცად ეშვება ლეთარგიული ძილით მიბანგული ზღვის მოსარკულ რძისფერეთში. უძრავად მუქდებიან წვრილი ხეები, და უფრო ტანწვრილნი მოჩანან უფერული კენჭებით მოფენილ სამხრეთის ამ მეჩხერ ბაღში. და უწყვეტი, შეუნელებელი წკრიალი, გამჭოლი ჰანგებით რომ ავსებს ცის, მიწისა და ზღვის მყუდროებას, უფრო მეტად მიემსგავსა საოცარ, ნელიად მოცახცახე ბროლადასხმულ ყვავილებს... საით მიილტვის ეს მორაკრაკე დუმილი?...

და კვლავ ფშვინვა სიცოცხლისა, შრიალით მიელამუნენ ტალღები ნაპირს, უკუიქცნენ და ყვავილებისა და ზღვის ნოტიო სურნელი შემომაფრქვიეს. თითქოს გამელვიძა. შემოვიხედე და წამოვდექი. აივნიდან ჩამოვრბივარ, ბაღი გადავჭერი, მერე ქარაფიდან თავქვე დავეშვი. ქვიშაზე მივაბიჯებ, ზღვის პირას ვჯდები, წყალს ნეტარებით ვახებ ხელს და წამისად უთვალავი მოლიცლიცე წვეთებით, უზღვავი სიცოცხლეებით ვივსები... არა, ჯერ არ დამდგარა ჩემი ჯერი! ჯერ კიდევ არის რაღაც, რაიც ძლიერია ჩემს „ბრძნობაზე“, ჯერ კიდევ ქალივით სასურველია ჩემთვის ეს ღამეული წყლის სარეცელი...

ღმერთო, დამეხსენ!

□

# დიმიტრი პავლიჩკო

## ლექსები

ეროვნული ბიბლიოთეკა

თარგმნა ჯამალ ინჯიამ

### ხელები

დახედე ხელებს, შენს საკუთარ ხელებს დახედე
და გაიხსენე — ვის ართმევდი ხელს უხალისოდ.
რისი კეთება დაავალე — ეს გაიხსენე.
კიდევ კარგი თუ ხვალე ისინი
არ დაგიქნევენ თითს სიძულვილით.
დახედე ხელებს, შენს საკუთარ ხელებს დახედე,
მაგ ხელებს ახსოვთ როგორ დაგეწვა
პირველად წყალში, ყინულოვან წყალში, სკოლასთან,
დაიბანეო, რომ გიბრძანა მასწავლებელმა.
მაგ ხელებს ახსოვთ, როგორ დაგეწვა,
როცა შეახე გოგოს ძუძუებს,
წვერწამახულებს, მსგავსად რქებისა,
ზაქს ველურ შუბლზე რომ ამოსჭრის მოულოდნელად.
მათ კარგად ახსოვთ, როგორ გეწვოდა,
როს სილის გაწვნით ცეცხლს აჩაღებდნენ
მოღალატე ქალის ლოყაზე.
ზოგი რამ უკვე დაივიწყეს, ზოგს შეურიგდნენ.
არა, შენ მათთვის არ გისწავლია
სულით პატარა ქონდრისკაცთა ჟესტი უმწეო,
ხელების ქნევით რომ მოსავენ უბადრუკ აზრებს.
შენ ხელებისთვის არ გისწავლია
ყალბი ტაშისკვრის ჭაობისკენ მისასვლელი გზა.
დახედე ხელებს, შენს საკუთარ ხელებს დახედე
და მკაცრად ჰკითხე — შეუძლიათ თუ არა მაგათ
ზე აღმართონ შენი ხალხის მოსისხლე მტერზე
თვით მაშინაც კი, როცა იგი ლულას მოგაბჯენს
(ფარისეველთა შეღავათი) და საჭიროა
მზე დაიჭირონ, შეაკავონ, რომ დედამიწას
არ დაელიოს სინათლის წყარო?!

თავის კალაპოტს შიშისაგან იცვლის მდინარე,
ძარღვებშიც სისხლი შიშისაგან იცვლება ხოლმე,
გადაიქცევა წმინდა სისხლი უწმინდურ სისხლად,
უწმინდური კი იქცევა შხამად.
დახედე ხელებს, შენს საკუთარ ხელებს დახედე —
ეს შენს გარშემო მოქმედებენ შენივ თითები,
უჩინარ ძალას მორჩილებენ აუჩქარებლად.
მაგრამ ყოველი შენს წინაშე ხდება, ძმობილო,
როცა ჯერ გული საგულესა გაქვს.
ეს, თუ გინდა, რომ სიმართლე გითხრა,
მოძრაობაა მომავლის ხისა,
რომელსაც უნდა ღრმად გაიდგას მიწაში ფესვი.
დახედე ხელებს, შენს საკუთარ ხელებს დახედე.

* *

„ამხანაგებად დავრჩეთო მოდი", —
როცა მომესმა შენი პასუხი,
მხრებზე დამაწვა ვეება ლოდი
და მომეწურა გული მარწუხით.
წახვედი, დავრჩი იმავ გუნებით,
შენი ფეხისხმის შორი მსმენელი,
თითქოს ჩემს სულში მიბაკუნებდი
წვრილქუსლიანი ფეხსაცმელებით.

* *

ანტიკურ ტაძრად მოჩანს ზამთარი,
ვუყურებ, როგორც ვეება ნანგრევს.
თარეშობს ქარი. წყალი, ავდარი
ტაძრის ბოძებსა და კედლებს არღვევს.
მარმარილოს ბჭეც უკვე გამოდის
მწყობრიდან, იცვლის ქვაფილაც იერს
და დნება ღმერთი თანდათანობით,
გამოძერწილი ბავშვების მიერ.

□

# გუნარ ცირულისი

## სტუმარი წარსულიდან*

ეროვნული ბიბლიოთეკა

**რომანი**

თარგმნა ნოდარ ხუნდაძემ

●

ლითონმა გაიჩხაკუნა და მამაკაცის საამო ხმამ გამოაცხადა:

— ყურადღება. ლაპარაკობს თბომავლის რადიოკვანძი! ეს-ეს არის შევედით საბჭოთა კავშირის ტერიტორიულ წყლებში. პატივცემულო მგზავრებო, გთხოვთ საათის ისრები ორი საათით წინ გადასწიოთ...

ქალი წამოდგა და კინაღამ საწოლიდან გადმოვარდა. გემი საშინლად შეირყა.

ქალი ისევ წამოწვა, თავი დამძიმებოდა, გული ერეოდა, უნდოდა თვალები დაეხუჭა. ზღვის ავადმყოფობაა თუ სადილზე გადაკრული ჭიქა არაყის ბრალია? დილით არასოდეს სვამდა, მაგრამ დღეს თითქოსდა ჯიბრზე აიტეხა ნამდვილი რუსული არაყი გავსინჯოო. თუმცა ყოველივე ეს არაფერია. ბევრად უფრო მნიშვნელოვანი ის არის, რომ სულ ახლახან ესიზმრა, თითქოს საზღვარი გადაკვეთა — ერთი სამყაროდან მეორეში გადააბიჯა, იმ უცნობ სამყაროში, რომელზედაც უძილო ღამეებს თეთრად ათენებდა, რომელზედაც ამდენი ურთიერთსაწინააღმდეგო რამ გაეგონა. არა, არა, ახლა არ ღირს ამაზე თავისტეხა. სჯობდა დიქტორისთვის დაეჯერებინა და საათის ისრები წინ გადაეწია.

მაგრამ საათისთვის ხელი არ უხლია, იმიტომ კი არა, რომ ეშინოდა, ორი საათი არ დამეკარგოსო — ცხოვრებაში უფრო დიდი რამეც დაუკარგავს, გამბედაობა არ ჰყოფნიდა თავის ამჟამინდელ ცხოვრებასთან გაეწყვიტა ეს სიმბოლური კავშირი. იქნებ სწორედ ამ ორმა საათმა უშველოს და პირუთვნელ მეთვალყურედ დარჩეს. სტოკჰოლმის პორტში რომ ადიოდა, ქმარი დიდხანს ელაპარაკა შვედურ ობიექტურობაზე, თითქოს ისედაც არ სცოდნოდა, რის დაკარგვაც შეეძლო ამ მოგზაურობისას. საქმე ის იყო, რას შეიძენდა.

რეპროდუქტორში კვლავ გაისმოდა რადისტის ხმა.

— ნავახშმევს ყველას გიწვევთ მოგზაურობის დამთავრებისადმი მიძღვნილ მეჯლისზე, რომელიც დიდ სალონში გაიმართება...

ქალი ლოგინიდან წამოხტა. თუ ზეიმია, ზეიმი იყოს! რა მნიშვნელობა აქვს მისთვის, მოგზაურობა რომ ეს-ესაა დაიწყო. იცეკვებს და იმხიარულებს, შესვამს იმათ სადღეგრძელოს, ვინც მოგზაურობა დღეს დაამთავრა. იქნებ ღრეობით მაინც დაიღწიოს თავი.

რა ჩაიცვას? ახლახან შეკერილი გრძელი ქვედაკაბა?

* *

— კოლკის შუქურა! — მოახსენა შტურმანმა.

გემბანის მარჯვენა მხარეს, თავის საყვარელ კუთხეში მიყუჟული კაპიტანი არ გამოეხმაურა. დიდი ხანია ჰორიზონტზე შენიშნა შუქის ეს ელვარება, რითაც აგერ მეოთხედი საუკუნეა მშობლიური მიწა ესალმება ხოლმე მისი გემის შორეული ნაოსნობიდან დაბრუნებას.

— კურსს რომ შევცვლით, ამ გაუთავებელ რყევასაც ბოლო მოეღება, — თქვა შტურმანმა და რუკაზე ფანქრით წვრილი ხაზი გაავლო. ამ საქმეს რომ მორჩა, კაპიტანთან მივიდა და ჩაახველა.

— სალონში შესვლასა და მგზავრებისთვის რამდენიმე სიტყვის თქმას აპირებდით, — თავაზიანად მოაგონა.

კაპიტანმა ამოიოხრა. ბუნებით სიტყვაძვირი კაცი, ვერ იტანდა სადღეგრძელოებსა და საზეიმო სიტყვებს. ჩვეულებრივ სუფრაზედაც ყოველთვის დაგვიანებით ცხადდებოდა.

* იბეჭდება შემოკლებით.

ბალტიკას შემოდგომის მრუმე ზეცა ჩამომხობოდა. ქარი ღრუბლის ფთილებს მირეკებოდა, დროდადრო ღრუბლებში ყულა ვარსკვლავი გაიელვებდა.

ზღვა შფოთავდა. თუმცა ნამდვილი შტორმი სადღაც შორს, კოლსკის კონცხს იქით დარჩა.

საცეკვაო დარბაზში ტურისტები ცოტანიღა იყვნენ. ბევრს არაქათი გამოცლოდა, ერთნი ზარმაცად მისვენებულიყვნენ კედლის გასწვრივ ჩარიგებულ სავარძლებში, სხვებს ბარის დახლთან მიდგმულ ტაბურეტებზე მოეკალათებინათ და თითბრის მოაჯირს ჩაბღაუჭებოდნენ. ყველაზე დიდი გაჭირვება მოცეკვავეებს ადგათ — გულდაგულ რომ ცდილობდნენ გემის რყევისთვის „ბასანოვას“ ჰა შეეხამებინათ...

სანახევროდ გამოღებული კარის ჩრდილში მდგარმა კაპიტანმა შეკრებილთ გადახედა. სულ სხვადასხვა ასაკისა და ეროვნების ხალხს მოეყარა თავი.

ზოგიერთნი, ჯერ ერთმანეთის ხეირიანად გაცნობაც რომ ვერ მოესწროთ, უკვე განშორების გარდაუვალობაზე ლაპარაკობდნენ, სხვები მოუთმენლად მოელოდნენ გათენებას და წინასწარ ტკბებოდნენ დიდი ხნის უნახავ ნათესავებთან შეხვედრით.

— ხომ არ დაგავიწყდება ჩემთვის წერილის მოწერა? — გერმანულად ჩურჩულებდა ტანკენარი შავგვრემანი ქალი. იგი ფეხის წვერებზე შემდგარიყო და თავის პარტნიორს — შუახნის წარმოსადეგ, თმაგაჭაღარავებულ და სახის გასაოცრად ახალგაზრდული ნაკვთების მქონე მამაკაცს ეკვროდა.

— ჯენტლმენის სიტყვა კანონია! — არწმუნებდა კაცი, თან კი მწყურვალე თვალს არ აცილებდა მეორე ქალიშვილს, დარბაზის შუაგულში რაღაც სოლო ნომრის მსგავსს რომ ასრულებდა.

ამ ერთადერთ მოცეკვავე წყვილს, ერთმანეთს რომ მიჰკვროდნენ, ორი მამაკაცი უთვალთვალებდა. კაპიტანი ადვილად მიხვდა, რომ ისინი ოფიცრები იყვნენ.

— სამხედრო ატაშეს მოადგილეა, შვებულებიდან ბრუნდება, — თქვა ერთ-ერთმა რუსულად, — მაგრამ, ეტყობა, დროს უქმად არ კარგავს.

— თქვენ რას იზამთ? ცოტა ხანს რიგაში დარჩებით თუ უცებ გაემგზავრებით შინ?

- ცოლი დამხვდება და ორიოდე დღეს ზღვის სანაპიროზე გავატარებთ.

ბარის ბოლოს, დახლთან, ხანშიშესული, სამხრეთული გარეგნობის მამაკაცი და უბრალოდ, მაგრამ გემოვნებით ჩაცმული ქალარა ქალი, რომელსაც მხრებზე მექსიკური შავი წამოსასხამი მოეხურა, ლეროწმით მარტინის წრუპავდნენ.

— არ მაგონდება, რომ შარშან შემოდგომაზე სალასპილსში მენახოთ, — დამტვრეული ფრანგულით უთხრა კაცმა.

— მე ტყვე არ ვყოფილვარ, — მიუგო ქალმა. — ჩემი ომამდელი მეგობრის ხსოვნის პატივსაცემად მივემგზავრები...

შემოდგომის ცივ ქარს რომ დამალვოდნენ, შტურმანი და გემის მექანიკოსი სალონში შევიდნენ. კაპიტანი რომ შენიშნეს, გეზი მკვეთრად იცვალეს და ბარის მაცდუნებელ განცხრომას განერიდნენ.

— ამჯერად ცოტანი არიან „უფალი თანამემამულენი“, — ჩაიცინა შტურმანმა.

— თითქოს არ იცოდე, რომ მათი ნათესაური გრძნობები ბარომეტრის ისარივით დამოკიდებული. თუ მზიანი ზაფხულია მოსალოდნელი — ელოდე ძამიკოებს რიგის სანაპიროზე... აი, თუნდაც ესა! — უთხრა და საცეკვაო მოედანზე ანიშნა.

— მეც ასე მეგონა, მაგრამ მგზავრთა სიაში რომ ჩავიხედე, ქალბატონი ელვესტადი აღმოჩნდა. სტოკჰოლმში მცხოვრებ ამ გვარის ხალხს კი, ჩვენი კალნინების არ იყოს, ტელეფონის წიგნის ნახევარი უჭირავთ...

შეიკის ბოლო აკორდი ხომალდის უკანასკნელ, მკვეთრ ბიძგს დაემთხვა. ქალბატონმა ელვესტადმა პარტნიორის მკლავებიდან თავი გაითავისუფლა და ბარის დახლთან მკვირცხლად მისრიალდა.

რას მიირთმევთ? — არ დააყოვნა ბარმენმა.

— ერთმანეთში არეულ ჯინსა და ტონიკს, — მიუგო ქალმა და სკამს აიბობღა, თან ცდილობდა წარმოედგინა, რას იტყოდა მისი ქმარი, რომ ენახა, რამდენს სვამდა და როგორ კოკობზიკობდა მისი თავშეკავებული ცოლი. თუმცა რატომ უნდა მოეკლო სიხარული? იცოდა, რომ მშვენიერი ქალი იყო და თავის ასაკზე გაცილებით ახალგაზრდად გამოიყურებოდა. იგი შეუყვარდა ჰოლანდიელ მწერთხელს შაშში, ეს კი სიცოცხლეს განსაკუთრებულ ჰეწს სძენდა. როგორც ყველა ქალისთვის, მისთვისაც აუცილებელი იყო გამოეცადა საკუთარი მომხიბვლელობის ძალა... ჰოლანდიელმაც მიაშურა ბარის დახლს და ქალმა იგი მომაჯადოებელი ღიმილით დააჯილდოვა.

— მე კი მეგონა, შვედები ღამით ჰაქა აკვავიტს ამჯობინებდნენ, — უთხრა კაცმა და ბარმენს მიუბრუნდა: — ორმაგი არაყი.

— ამაღამ ძილი მაინც არ მიწერია...

— გიცეკვოთ, — შესთავაზა ნასიამოვნებმა კაცმა, თავი ოდნავ დაუკრა და საცეკვაოდ გაიწვია.

უეცრად საშინელი სიცარიელე იგრძნო. რას ჩადიხარ? რატომ სვამ ასე უზომოდ? ისე იქცევი, თითქოს მართლაც ბალზაკისეული ქალი იყო, სექსუალური გართობა რომ მოსწყურებია. ქმარი! წარსულს მაინც ვერ გაექცევი, სახადივით არის, როგორც წითელა ან

ჩუტყვავილა. ხელახლა უნდა განიცადო, რომ ერთხელ და სამუდამოდ შეძლო დამშვიდება.

ქალმა გამოწოდებული ჭიქა ჩამოართვა, წამოდგა, რაღაც ჩაილუღლუღა და სალონიდან გავიდა.

გემბანზე არავინ იყო. ცას ნათელი ეფინებოდა, სიბნელე მინასავით გამჭვირვალე გახდა. იგრძნობოდა, რომ სულ მალე გათენდებოდა. ჯერ კიდევ ისევ მძვინვარე ბალტიის ზღვა ნაპირისაკენ თავშეკავებული სიფიცხით მიერეკებოდა თავის აბორგებულ ტალღებს და ქალსაც იქით გაექცა ფიქრი. რამდენი წელი გავიდა მას შემდეგ, რაც უკანასკნელად იხილა ეს ჩირაღდნები? ოცდახუთი, შეიძლება მეტიც... შეეძლო კი იმ ღამეს იმის იმედი ჰქონოდა, რომ როდისმე დაბრუნდებოდა? ალბათ ჰქონდა იმედი. ბავშვს მხოლოდ გონებით შეუძლია ჩასწვდეს სიკვდილის არსს და არა გრძნობებით..., თუმცა მას შემდეგ, რაც თავს გადახდა, უკვე აღარ შეიძლებოდა მისი ბავშვად ჩათვლა. შემდეგ კი ბომბდამშენები დაესხნენ ქალაქს თავს...

ქალი მოიკუნტა და ყურებზე ხელები აიფარა. მაგრამ ვერც ამ უსუსურმა ჟესტმა, ვერც კამკამა ცამ ვერ უშველა — უეცრად აღძრული მოგონებებისგან თავი დაეღწია, გაქცეოდა წარსულის სურათებს.

* *

გემის ჩაბნელებული ტრიუმი, არც ფანჯრები, არც კარები, რკინის ვიწრო საფეხურები ოთხკუთხა ხვრელისაკენ მიემართება, მაღლა, ჭერზე რომ დაუღია პირი. სათოფურის ხუფმა გაიჯახუნა და რკინის ყუთის წიაღი სამყაროს მოჰკვეთა. სამი სართულის სიმაღლე ტრიუმში ჰაერი საკმაო იყო, მაგრამ გაძვალტყავებული, ჩამოფლეთილი ბავშვები რა თავში იხლიდნენ ცარიელ სივრცეს, თუკი ფიცარზე დასაჯდომი ადგილი არ ჰყოფნიდათ. ბავშვები გაჭირვებას შეჩვეული იყვნენ. თავიანთი ხანმოკლე სიცოცხლის მანძილზე უარესიც გადაეტანათ, მაგრამ ისინი მაინც შიშს შეეპყრო და ტიროდნენ.

ძლიერმა აფეთქებამ გემი შეარყია და გადააფერდა. ჩაქრა მკრქალი ნათურები. წამით ყველამ სუნთქვა შეიკრა. ნუთუ დადგა აღსასრულის ჟამი?

შუქი ისევ აინთო. შიშით აცახცახებული ორი ბიჭი რკინის საფეხურებს ჭერისკენ აჰყვა და სათოფურის ხუფზე სასოწარკვეთით დააბრახუნეს. სხვები ისხდნენ და სახე ხელისგულებში ჩაემალათ.

რამდენიმე ყმაწვილმა ამხანაგების დამშვიდება სცადა, ზოგს მხარზე დაადებდნენ ხელს, ზოგსაც სიტყვით გაუმაგრებდნენ გულს. ვიღაცამ სიმღერაც კი წამოიწყო, მაგრამ არავინ აჰყვა...

ქალიშვილმა აღრიალებულ ბიჭს წყალი მიაწოდა.

— რატომ გვბომბავენ ფრიცები? — ჰკითხა გადატანილი მღელვარებისაგან ასლოკინებულმა ბიჭმა. — მათ ხომ შეუძლიათ გემიც ააფეთქონ...

— სისულელეს ამბობ! — უპასუხა გაბრაზებულმა ქალიშვილმა. — ნუთუ არ გესმის, რუსების თვითმფრინავებია?!

გაძვალტყავებული ბიჭი საფეხურზე შეხტ[illegible] კიდონს ხელი ჩაავლო და იყვირა:

— ბავშვებო, ჩვენები არიან!

* *

ჩვენები... ახლა ვის უნდა უწოდოს ეს სიტყვა? ხანდახან საკუთარი ქალიშვილისაც არაფერი ესმის! თავის თავს? იქნებ სიცხადის ეს მოულოდნელი წყვეტილი სხვა არაფერია, თუ არა შიში, ცხოვრების ძიებისადმი მიძღვნილი წიგნებისა და კინოსურათების ზემოქმედებით აღძრული? დაე, თუნდაც ასე იყოს, სულ ერთია, უკვე მოჭრილია უკან დასახევი გზები. უნდა იუკაცოს და წარსულის ბილიკები თავიდან ბოლომდე განვლოს. ოღონდ საქმე ის არის, რა უნდა ჩაითვალოს დასაწყისად? ის ღამე ხომ არა, მამამ ბოსლის სხვენში ორი ლტოლვილი ტყვე რომ დამალა? მეორე დღის დილა ხომ არა, როცა სახლში შუცმანები შემოცვივდნენ და ბოსლიდან უკან სამი გასროლა გაისმა? იქნებ ის დღე, ისა და დედაჩემი პირუტყვისათვის დალუქული ვაგონით სალასპილსში რომ წაიყვანეს? თუ ის წუთი, კრისტაპი პირველად რომ ნახა?.. არა, სჯობია კრისტაპზე არ იფიქროს. ყოველ შემთხვევაში ახლა მაინც! ოქტომბრის იმ დღიდან დაიწყებს, სამუდამოდ რომ გააწყვეტინა კავშირი სამშობლოსთან...

რიგის პორტის ნავმისადგომთან ნაცრისფრად შეღებილი გემი იდგა. მაღალ ტრაპზე შემოდგმის სუსხიანი ქარით აძაგძაგებული, ძონძებშემოხვეული, პატიმრისტანსაცმლიანი ბავშვები ავიდნენ. მკერდსა და ბეჭებზე მიკერებული ჰქონდათ თეთრი ნაჭრის ნაკუწები — სალასპილსის ბანაკის ტყვეთა საგანგებო ნიშანი, რათა გაქცევისა თუ წესრიგის დარღვევის შემთხვევაში გუშაგებს ადვილად ამოეღოთ მიზანში.

მცველები არსად ჩანდნენ. კაცმა რომ თქვას, არც იყვნენ საჭირო. წყალში ვერ გადახტებოდნენ, გზა კი ერთადერთი ჰქონდათ — გერმანიაში გასამგზავრებლად გამზადებულ გემზე უნდა ასულიყვნენ.

თუმცა ვინ იცის...

ხანშიშესული მამაკაცი და ქალი ბავშვების ნიაღვარში გზას ნიდაყვებით მიიკვლევდნენ და ტრაპზე ეშვებოდნენ.

— ფრიცს შებოლილი ქონი და ჩემი ნიშნობის ბეჭედი მივეცი,— მღელვარედ ჩურჩულებდა ქალი.— დამპირდა, გაგათავისუფლებთ. ოღონდ ვიჩქაროთ, სანამ არ გამოუცვლიათ.

ქმრისთვის სახელოში ჩაევლო ხელი და ექაჩებოდა. დაბლა, ტრაპთან, ბავშვების უკანასკნელ წყვილს შეეჩეხა და ნაბიჯი უნებურად შეანელა.

თხუთმეტი წლის გოგოს ილაჯგაწყვეტილი ბიჭი მიჰყვებოდა. გოგო მხარში ამოსდგომოდა ბიჭს, ხელი მაგრად ჩაევლო.

— ხელი მომკიდე, პიჩ,— ჩასჩურჩულებდა გოგო.

— თუ მკითხეს, რამდენი წლისა ხარო,— შეეკითხა ბიჭი,— ვიცრუო, რვა წლისა ვარ-მეთქი?

— ჩუმად!— ქალის დაჟინებული მზერა რომ შეამჩნია, გოგომ ბიჭს ხელი მოუჭირა.

— ენას კბილი დააჭირე!— გოგომ მიმავალ წყვილს თვალი გააყოლა. ესე იგი, ვილიცას მოუხერხებია აქედან თავის დაღწევა. ესე იგი, ვილიცამ შეძლო... რა იქნება, რომ გვერდზე გაიჭრას და ყუთების გროვას ამოეფაროს? მერე? სად უნდა წახვიდე პატიმრის ტანისამოსში გამოწყობილი? ვის მიადგები? პიჩი როგორ მიატოვოს...

...კარგა ხანი იყო, რაც გემი აზვირთებულ ზღვაში ქანაობდა. ბავშვებს ეგონათ, ყოველ მომდევნო ტალღას შეუძლია გემი შემოლეწოს და ყველანი უფსკრულს მიგვცესო, მაგრამ ხმას არ იღებდნენ. აღარ ისმოდა კვნესა-ქვითინი. ყველაზე მეტად თხუთმეტი წლის გოგონას უჭირდა— ზღვის ავადმყოფობა ტანჯავდა. პატარა პიჩი უფრო ყოჩაღად გამოიყურებოდა. ბიჭმა ირგვლივ მიმოიხედა და, რაკი დარწმუნდა, არავინ მითვალთვალებსო, უბიდან პურის ნაჭერი ამოიღო და გოგოს გაუწოდა.

— კრისტაპმა გამომატანა,— პიჩმა ვაჟკაცურად აარიდა თვალი პურს.

— აჰა, ჭამე!— გოგომ პური მოუტეხა. პიჩმა დაუფარავი სიხარბით ჩაკბიჩა.

— სად მივყავართ, გიტა?— მცირე ხნის დუმილის შემდეგ ჰკითხა ბიჭმა.

— რა მნიშვნელობა აქვს... სალასპილსზე უარესი არ იქნება.

— შენც უკბიჩე,— სთხოვა ბიჭმა.

გიტას უკვე აღარ შერჩენოდა იმის ძალა, რომ შიმშილს შებრძოლებოდა. ყუა მოტეხა, მაგრამ პურში რაღაც ბრჭყვიალა ნივთი შენიშნა. გოგონა თვალებს არ უჯერებდა— ეს იყო მარგალიტის მძივი. პურის ნატეხები სასწრაფოდ შეატყუპა, ჯიბეში შეინახა და ბიჭს ჰკითხა:

— არაფერი დაუბარებია?

— არაფერი,— გულისტკივილით მიუგო პიჩმა.— მისმინე, რა ერქვა იმას?— გამოცოცხლდა ბიჭი.— კრისტაპი? მერე რა მოუვიდა?

— არ ვიცი. მხოლოდ ის ვიცი, რომ იგი ბანაკის კომენდატურის უბრალო შიკრიკი არ ყოფილა,— გოგოს თვალებში გზნების ცეცხლმა გაიელვა და მაშინვე ჩაქრა.— ახლა კი ვცადოთ, იქნებ დაგვეძინოს.

* *

გემის საყვირის ხმამ ქალი სინამდვილეს დაუბრუნა. თბომავალს თოლიები დაფარფატებდნენ. რიჟრაჟი ღამეს უტევდა და განთიადის მომძლავრებულ სინათლეზე შუქურის შუქი დაუგავის შესართავთან ისე აღარ კაშკაშებდა.

ქალი გონს მოეგო, ჰიჯა ასწია, ქალაქს მიესალმა, უკანასკნელი ყლუპი გადაჰკრა, ცარიელი ჭურჭელი ზღვაში გადაისროლა და შენიშნა, რომ ძრავები გამოერთოთ. ლაინერს ქარი უტევდა და ინერციით მისრიალებდა ნაპირისკენ.

შტურმანი ბოგირაზე გამოვიდა, ქიმზე მიყრდნობილი ქალი შენიშნა, დაიხარა და ხმადაბლა დაუძახა:

— თუ გნებავთ, შეგიძლიათ მაღლა ამობრძანდეთ, ლოცმანს ველოდებით.

შტურმანმა ქალს ხელი გაუწოდა, რომ უკანასკნელი საფეხურების ამოვლაში დახმარებოდა.

— ალბათ ინგლისურ ენას სრულყოფილად ვერასოდეს შევისწავლი,— ლატვიურად უთხრა ქალმა.— ლონდონში პირველად რომ მოვხვდი, ინგლისელების არაფერი გამეგებოდა. სამაგიეროდ მეორედ უკვე თვითონ ვერაფერს მიგებდნენ. თუმცა ეს სულაც არ ნიშნავს იმას, თითქოს განსაკუთრებული ნახტომი გამეკეთებინოს და ენა მათზე უკეთ შემესწავლოს. რა მოხდა? რატომ ვდგავართ?

წელში გამართულმა შავთმიანმა შტურმანმა პასუხის ნაცვლად ხელი მოხდენილად მიიდო ფორმის ქუდზე. უხერხული დუმილი ჩამოვარდა. მისდა საბედნიეროდ შტურმანის ჯიხურიდან კაპიტანი გამოვიდა.

— ლოცმანს ველოდებით,— აუხსნა მან ლატვიურად,— რომ მგზავრებმა გამოძინება და საუზმის მშვიდად მირთმევა მოასწრონ. უზმოზე ნეაპოლიც შეიძლება სოროდ მოგვეჩვენოს.— იგი სტუმარს შეაცქეროდა:— რიგელი ხართ?

— მთლად რიგელი არა ვარ. თუმცა პატარა რომ ვიყავი, აქ რამდენიმე წელიწადი გავატარე. გულახდილად რომ ითქვას...— ქალმა სათქმელი არ დაასრულა. რა თავში იხლის ეს უცხო კაცი მის სიმართლეს?

— კმაყოფილი ხართ მგზავრობით?— ჰკითხა კაპიტანმა და ამით საუბრის თემა შეცვალა.

— საერთოდ არც ზღვა მიყვარს და არც გემები,— მოულოდნელად მკვახედ მიუგო ქალმა.— ბავშვობიდან შევიძულე.

- მაშ რატომ არ გადმოფრინდით?

— დედაჩემი მუდამ მეუბნებოდა: „თუ სახლიდან კარით გამოხვედი, უკან ფანჯრით არ უნდა გადაძვრე, თორემ არ გაიზრდებიო".— ქალმა სევდიანად გაიღიმა და მერე ზღვისკენ იბრუნა.

ქალს არც კი შეუნიშნავს, რომ მარტო დარჩა. პასუხი მისი დღევანდელი ლექსიკიდან იყო შერჩეული, ეპამზარეული, მახვილგონივრული, მაგრამ არაფრისმთქმელი. [illegible] სიტყვებს ჩვეულებრივ ნამდვილ გრძნობათა შესანიღბავად იყენებენ. მაგრამ, [illegible] რომ ჩაუფიქრდეს, ქალმა ზუსტად მოახვედრა მიზანს. აქამდე ყოველი საზღვაო მგზავრობით მის ცხოვრებაში მართლაც ახალი ეტაპი იწყებოდა. 1946 წელსაც ჰამბურგიდან შვეციაში გემით წაიყვანეს.

* *

შვეციაში ელოდათ პალატა. მაგრამ უჩვეულოდ მყუდრო ორსართულიანი სახლი, რომელსაც ფართო ფანჯრები, ორი ტერასა, სარდაფში ჩაშენებული გარაჟი და კარგად მოვლილი, ავეჯით დამშვენებული ბაღი ჰქონდა. ეს გახლდათ ივარის მშობლების საქორწინო საჩუქარი. ანუ, სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, გასამცლელო, თორემ იძულებული გახდებოდნენ საეჭვო წარმოშობის უცხოელი ქალი სტოკჰოლმის მდიდრულ ბინაში მიეღოთ. ასეთ ქალთან შეიძლებოდა რამდენიმე ღამე გატარებისა, ანდა, უარეს შემთხვევაში, რამდენიმე ხანს ეცხოვრა ოკუპირებულ გერმანიაში, სადაც ივარი საერთაშორისო წითელი ჯვრის ჰამბურგის ფილიალს ხელმძღვანელობდა. ეს უკეთესი იყო, ვიდრე გერმანელ ქალებთან საქმის დაჭერა, თუნდაც ჰიგიენის თვალსაზრისით. მაგრამ ცოლად შერთვა და შინ მოყვანა!.. ბებერი მრეწველის წინააღმდეგობა მხოლოდ ბავშვის მოსალოდნელი დაბადების ცნობამ გატეხა. უფროსი ელეგანტური ცოლითურთ მივიდა პორტში მათ შესახვედრად. მოგვიანებით კი რესტორანში ხაზგასმული კეთილგანწყობილებითა და მოთმინებით ესაუბრებოდა რძალს, კეთილხმოვან შვედურ ენას ულმერთოდ რომ ამახინჯებდა.

დაახლოებით ამავე შეხედულებისა იყო მისი შვილი ივარიც — ყოველი ადამიანი თვითონ არის თავისი ბედის მჭედელი. მას აზრადაც არ მოსვლია საყვედური ეკადრებინა მშობლებისთვის — გზა ცხოვრებაში საკუთარი ძალებით უნდა გეკაფა! თავდაპირველად ცოლმა ცოტა უნდა მოითმინოს, მერმე კი საქმე უკეთ აეწყობა. ივარმა გიტა ხელში აიყვანა და ზღურბლზე გადაატარა, სახლი და ბაღი დაათვალიერებინა, შემდეგ კი ახალი ცხოვრების ნაირგვარი მხარეც და უბრძანა, არ ჩაიძიროთ.

დღისით ქალი მუდამ მარტო იყო. ივარი ადრე დგებოდა, როცა ცოლს ჯერ კიდევ ტკბილად ეძინა, და სამუშაოზე მიემგზავრებოდა. საღამოობით ქალაქიდან გვიან ბრუნდებოდა, ოღონდ მუდამ ერთსა და იმავე დროს. ყველაზე მეტად წესრიგი უყვარდა და სულ იმის ცდაში იყო, რომ მის ახალგაზრდა ცოლსაც დაეცვა ის წესები, მის ოჯახში თაობიდან თაობას რომ გადაეცემოდა.

დილაობით ივარი საწოლ ოთახში ფეხისწვერებზე დააბიჯებდა, ცდილობდა, ცოლი არ გაეღვიძებინა, თავის ქვეშაგებს ჯარისკაცივით კოხტად ალაგებდა. დაისვენოს ქალმა, რაც უნდა იყოს, ორსულადაა.

უპირველეს ყოვლისა, წესრიგი! და ივარი მოთმინებით უხსნიდა ცოლს, როგორ უნდა დაეკეცა ახალდაუთოებული ზეწრები, რომელი თარო უნდა გამოეყო თავის კარადაში, რომ შემდეგ ძებნაში დრო არ დაეკარგა. ნავახშმევს ივარი მოთმინებით ელოდა, როდის მორჩებოდა ცოლი ჭურჭლის რეცხვას, და მხოლოდ შემდეგ ჩართავდა ტელევიზორს. დაწოლის წინ ორივენი წმენდნენ ფეხსაცმელებს და შემოსასვლელში ალაგებდნენ.

სახვალიოდ ყველაფერი მზად უნდა ჰქონოდათ. მაგრამ ეს ხვალე არასოდეს დგებოდა, იგი მუდამ გუშინდელი დღის გამეორება იყო. თუმცა რაც უნდა თავმომაბეზრებელი ეჩვენებოდეს ადამიანს წესრიგი, იგი უსაფრთხოების მყარ რწმენას უნერგავს. სამაგიეროდ უმცირესი ცვლილებაც კი განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს და თითქოსდა კატასტროფის მაუწყებელი ხდება. ასე იყო ახლაც. ცხადია, სხვა დროს შემთხვევით დაგვიანებას უმნიშვნელო მოვლენად ჩათვლიდა. ახლა კი ქალს უცებ მოეჩვენა, რომ შეირყა ოჯახის ფუძე, მთელი ჩრდილოური წესრიგი, რასაც უკვე შეჩვეოდა...

ქალმა თავზე ხელები წაიღო, მაგიდაზე დაემხო და ცრემლებს გზა მისცა. საათი პირველს უჩვენებდა და ზურგს უკან მშვიდად ტიკტიკებდა. ქალი მხოლოდ ახლა მიხვდა, რომ მარტოდმარტო იყო. წინათ, თვით უდიდესი განსაცდელის ჟამსაც კი, ამხანაგები ეხვივნენ გარს, მათთან იყოფდა სიმწარესა და სიხარულს.

სამაგიეროდ მეორე დილას პირველად გაიგო, რომ ჩვეულებას ადამიანის ნუგეშისცემაც შესძლებია. როცა სახლი მოულაგებელი გაქვს, არ შეიძლება ხელებდაღლილავებული იჯდე და სასოწარკვეთილებას ეძლეოდე. გახეხა პარკეტი, დარეცხა თეფშები, მორწყო ბაღი. მერმე ფანჯარასთან დაჯდა და ერთხანს გზას გასცქეროდა.

ვახშამი რომ გაიწყო, მანქანის საბურავების ნაცნობი ხრჭიალიც შემოესმა. ერთი წუთის შემდეგ კარი გაიღო და ივარი შემოვიდა.

ქალს საყვედური არ უთქვამს, დუმდა ქმარიც. მხოლოდ ნავახშმევს აუხსნა, საქმე მქონდა და შევრჩი, მერე ძალიან გვიანი იყო და მოგერიდე, ღამის სიმშვიდე დამერღვიაო.

ქალი მზად იყო ყველაფერი გადაეყლაპა, მაგრამ მის ღამეულ სიმშვიდეზე ზრუნვა დაცინვას უფრო ჰგავდა.

— დაგერეკა მაინც!

— განა დეპეშა არ კმაროდა?

ქალმა კარი გაიჯახუნა და გარეთ გავარდა, უკან კი თითქმის დამშვიდებული დაბრუნდა. საფოსტო ყუთში მართლაც აღმოჩნდა დეპეშა — „ვიქნები ხვალ საღამოს", ხელს არავინ აწერდა. ალბათ დამტარებელმა იფიქრა, დეპეშა სასწრაფო არ არისო, და იმანაც აღარ დაურღვია ღამის სიმშვიდე, წერილივით ყუთში ჩააგდო.

თითქოს ყველაფერი რიგზე იყო, მაგრამ თავს მაინც ვერ იკავებდა. სიგიჟემდე მიჰყავდა ქმრის მოჩვენებით სიმართლეს და ივარს სახეში ახლიდა ბრალდებებს, [illegible] ძალზე ახალგაზრდა ვარ სიმისოდ, რომ თავი ცოცხლად დავიმარხო, ხელახლა, [illegible], საკონცენტრაციო ბანაკში გამომწყვდეულმა, თუნდაც ეს ბანაკი კეთილმოწყობილი იყოს და ეკლიანი მავთულის ნაცვლად ცოცხალი ღობე ერტყას, სინამდვილეში კი იდიოტური პირობითობისა და ტრადიციების ტყვე ვიყოო.

ივარი სიგარას ეწეოდა. როცა ცოლი ბოლოს და ბოლოს გაჩუმდა, თითქოს არაფერიც არ მომხდარაო, ივარი საღამოს რიტუალის შესრულებას შეუდგა: გაწმინდა ფეხსაცმელი, ჩაიცვა პიჟამა, დიდხანს გულდასმით იხეხდა კბილებს, დაიბანა პირი, თმაზე ბადე წაიკრა, იღლიაში ჟურნალი ამოიჩარა და დასაწოლად წასვლის წინ ცოლს აკოცა:

— შვეციაში შეუძლებელია ადამიანი უგზო-უკვალოდ დაიკარგოს. თუ ქალი ხარ, აწი მაინც ნუ ინერვიულებ.

დიახ, ასეთი რამ მას მომავალში უფრო ხშირად შეემთხვევა, რადგან სავაჭრო საქმეები გაიჩარხა და ცოლის ჭირვეულობის გამო არ უნდა დაზარალდეს. არა, ჯერ შეუძლებელი იყო ქალაქში გადასახლება — ეს არ შეეფერებოდა მის საზოგადოებრივ მდგომარეობას. ამავე დროს აქაური სუფთა ჰაერი ბავშვებისთვის სწორედ მისწრება იყო.

მერე და მერე აღარც დელავდა, როცა ქმარი საღამოობით ქალაქიდან არ ბრუნდებოდა. მაგრამ გული მაინც სტკიოდა, რომ კვირაობითაც შინ მარტო იყო. ვერასგზით ვერ გაეგო, რატომ არ შეიძლებოდა საშინაო საქმეების საკეთებლად მოსამსახურე, გადია ან თუნდაც ვინმე ხანშიშესული დედაკაცი დაექირავებინა. დედაბერი ზოგჯერ საღამოობით ბავშვს მოუხედავდა და საშუალება მიეცემოდათ ერთად წასულიყვნენ სადმე. არც ღარიბად იყვნენ. ეტყობა, მთავარი და ერთადერთი მიზეზი ისევ და ისევ ივარის საზოგადოებრივი მდგომარეობა გახლდათ. მამის ფირმაში ის ჯერ მხოლოდ და მხოლოდ ერთ-ერთი ვიცე-დირექტორი იყო.

გადიოდა ხანი. ხანდახან თავისუფალ დროს მოიხელთებდა, ღობესთან მიდგებოდა და ბაღში მოფუსფუსე მეზობლის ქალს გამოესაუბრებოდა. მაგრამ თითქმის ყოველთვის საუბარს შუაგზაზე შეწყვეტდა. ივარს ოდნავადაც არ აწუხებდა შვილის ტირილი. ისიც დიდი საქმე იყო, საწოლთან თუ მივიდოდა და ინგებორგს შუბლზე ეამბორებოდა. მერმე გამოიტანდა რეზინის ჩექმებს, სპინინგს, ხელს დაუქნევდა და წავიდოდა. მალე აღარც კი ემშვიდობებოდა, თუნდაც ორი დღით წასულიყო თხილამურებით სასეირნოდ თუ სანადიროდ, ანდა შორეულ კურორტზე გოლფში გამართულ შეჯიბრებაში მონაწილეობის მისაღებად.

და აი, როგორც იქნა, თავიანთი სტუმრობით პატივი დასდეს ივარის მშობლებმა — სამოციოდე წლის მაღალმა, ერთნაირად ჭაღარამორეულმა და ჩამომჭკნარმა ცოლ-ქმარმა. ყველანი მაგიდასთან ისხდნენ და რძიან ყავას მიირთმევდნენ. თუმცა საუბარი არ აეწყო, მაინც ყველას კეთილმეგობრული განწყობილება დაეუფლებოდა. ცხადია, შვილიშვილი ვაჟი რომ ყოფილიყო, ხანშიშესული ბატონების გულს უფრო მოიგებდნენ, მაგრამ ამ პაწაწკინტელა გოგონაშიაც უთუოდ ულევსტადთა სისხლი ჩქეფდა. ივარი მხოლოდ ამისთვისაც იმსახურებდა საჩუქარს და მამამ ერთ-ერთი ის ძვირფასი სიგარა უძღვნა, სავანგებოდ რომ იწერდა ჰავანიდან. ბებიამ დრო იხელთა, ჩანთიდან ბანკნოტებიანი სქელი კონვერტი ამოიღო და საბავშვო ოთხთვალში ბალიშქვეშ ამოსდო.

საღამოს ივარმა მშობლები გააცილა. ყოველი შემთხვევისათვის ფრაკი ჩაიცვა. მამა შეჰპირდა, სახელგანთქმული იტალიელი ბარიტონის გასტროლებზე ბილეთებს გიშოვნითო. ქალს ისე შეშურდა ქმრისა, ცრემლები ძლივს შეიკავა. მაგრამ ქმარსაც დიდი გასაჭირი ადგა — საყელოს ღილი ვერ შეეკრა. ცოლი იძულებული გახდა სამზარეულოში საქმე მიეტოვებინა, ხელები დაებანა და მიხმარებოდა.

დღეები ერთმანეთს მისდევდა. უკვე სამი წელიწადი იყო, ქალი შვეციაში ცხოვრობდა და თავისი მოხერხებული სახლის, მშვენიერი ბაღისა, ფიჭვნარამდე მიმავალი გზის იქით — ამ გზაზე ინგას დაასეირნებდა ხოლმე — თითქმის არც გაეხედა. თვით სტოკჰოლმშიაც კი, საიდამდე სულ ერთი საათის გზაც არ იყო, მხოლოდ იმ შემთხვევაში მიემგზავრებოდა, როცა ახალი კაბის, პალტოს ან ფეხსაცმლის ყიდვა უნდოდა. ქალიშვილიც ყოველთვის თან დაჰყავდა და ორიოდე საათით ბებიასთან ტოვებდა — მოხუცი შვილიშვილს მეტხანს ვერ იტანდა.

ვაჟიშვილი შეეძინა თუ არა, ივარის ერთმმართველობის წინააღმდეგ ამხედრდა და მიაღწია კიდეც გამარჯვებას, თუნდაც ეს გამარჯვება მოჩვენებითი ყოფილიყო. ვინ მიხვდებოდა, რომ შვედური სახელი იანი სინამდვილეში ჩაფიქრებული იყო, როგორც ლატვიური იანისი. ამ პატარა ეშმაკობამ ახალი ბუნტის წამოწყება შთააგონა და ქმარს თავის მონურ მდგომარეობაზე ბევრი მკვახე სიტყვა უთხრა.

ივარს გული მოუკლა ცოლის ნათქვამმა. თავი იდეალურ, ოჯახს გადაყოლილ ქმრად მიაჩნდა. მერე რა უდიერო და უმართებულო იყო ეს საყვედურები, განსაკუთრებით იმ დღეს, როცა მან ცოლს სიურპრიზი მოუმზადა: მსახური ქალისთვის მისაცემი ორი წლის ხელფასის ეკონომიის ხარჯზე მანქანა უყიდა.

ივარი დაბნეული იყო. ორი წლის ინგაც შიშით ხან დამსხვრეულ ჩაიდანს უყურებდა და ხან თავშეუკავებლად აქვითინებულ დედას.

ივარმა ცოლს ფრთხილად დაადო ხელი მხარზე. ქალმა გაიწია, კიდეც კბენა დაუპირა, მაგრამ ქალი ოთახიდან გავარდა. მაშინ ივარმა ქალიშვილს უთხრა, დედას ხელი მოჰკიდე და ბაღში ჩაიყვანეო.

მხოლოდ მაშინ იგრძნო, თუ რა უსამართლოდ მოექცა ქმარს. ჭიშკართან იდგა ჩამავალი მზის სხივებით აბრჭყვიალებული ახალთახალი მცირელიტრაჟიანი მანქანა. ეს გახლდათ ტყვეობიდან თავდასაღწევი მისი საკუთრება, მსოფლიოში სახელგანთქმული „ვოლვოს“ ძრავა რომ ჰქონდა. ბავშვივით აცეტებული ქალი მანქანასთან მიიჭრა, ჩაჯდა, სიჩქარე ჩართო და ადგილიდან მოწყდა. რამდენიმე კილომეტრი რომ გაიარა, გონს მოეგო და უკან გამობრუნდა. ქმარს გოგონა მხარზე შეესვა და წინანდებურად ჭიშკართან იდგა.

დიახ, ყოველ ნაბიჯზე რწმუნდებოდა, რომ ფულს დიდი ძალა ჰქონდა. იქ მოხვედრამდე ეს ფიქრადაც არ გაუვლია, რადგან ფული არასოდეს ებადა. აქ კი პირიქით იყო და ფულის შენახვასაც აზრი ჰქონდა. მაგრამ როგორ გაეგებინებინა ეს ბავშვისთვის, რომელიც ჯერ მხოლოდ გრძნობების ტყვე იყო.

ალბათ თვითონაც არ სჯეროდა თავისი ახალი შეხედულებების ჭეშმარიტება, თორემ ხუთი წლის გოგოს გაცილებით უფრო ადვილად გაუმკლავდებოდა.

ერთხელ, კვირა დილას, ივარი რომ სავარძელში ნებივრობდა და წინდებიანი ფეხები დაბალ სკამზე დაეწყო, ვერ გაიგებდით, თვლემდა თუ რადიომიმღებიდან უკანასკნელ ცნობებს ისმენდა, ოთახში ინგებორგა შემოიჭრა. გოგონა გაზეთს ისე მოაფრიალებდა, თითქოს გამარჯვების დროშა ყოფილიყო. მან თავის ცხოვრებაში პირველად მიირბინა ქუჩის ბოლოს მდებარე ჯიხურთან და გაზეთი იყიდა.

მამის რეაქცია სავსებით მოულოდნელი იყო, — ქალიშვილს გაზეთი ხელიდან გამოსტაცა და იატაკზე დააგდო. თუმცა მაშინვე გონს მოეგო, აიღო, კოხტად დაკეცა და თაროზე დადო. როცა ინგებორგა თავის მართლებას მოჰყვა, მამამ დატუქსა და ოთახიდან გააგდო.

გოგონამ საშინაოში მყოფ დედას მიაშურა, ეგონა, დაამშვიდებდა და სამართალსაც გააჩენდა, მაგრამ მხარდაჭერა ვერც აქ იპოვა და იძულებული გახდა საყვედური მოესმინა.

— არ შეიძლება მშობლების უნებართვოდ ფულის ხარჯვა, — დაარიგა დედამ, ელექტროღუმელზე შემოდგმულ ტაფას რომ დაფუსფუსებდა.

— ეს ხომ ჩემი ფული იყო! ყულაბიდან ამოვიღე! — თავს იმართლებდა ბავშვი.

— კი მაგრამ, ხომ იცი, გაზეთი ფოსტალიონს მოაქვს. რად გინდოდა, ზედმეტი რომ გეყიდა?

— ჩავიხედე, მაგრამ ყუთში არ აღმოჩნდა. მამას კი ძალიან უყვარს დილაობით ჩემთან ერთად სურათების თვალიერება, — ასლუკუნდა ინგებორგა.

— გაზეთი ფული ღირს. მაგ ფულით შეგეძლო საღეჭი რეზინი გეყიდა.

— მე არ მინდა რეზინი, — არ იშლიდა გოგონა.

— აღარ ვიცი, როგორ აგიხსნა, — დაიბნა დედა. — მამაშენმა ერთხელ უკვე გადაიხადა გაზეთის ფული. ახლა იმიტომ ბრაზობს, რომ შენ მეორედ გადაიხადე. რომ გაიზრდები, თვითონ მიხვდები, რა ძნელი საშოვნელია ფული.

— ფული ბებიამ მომცა!

გოგონას უკვე აღარაფერი ესმოდა.

ამ დროს დედამ შენიშნა, რომ ძეხვი იწვოდა. ცხადია, ამან განწყობილება კიდევ უფრო გაუფუჭა.

— თუ ახლავე არ შეგიწყვეტია ფშლუკუნი, ლოგინში ჩაგაწვენ და სიცხეს გაგიზომავ, — უთხრა დედამ, თავის შეკავებას ამაოდ რომ ცდილობდა. — გიჯობს მამასთან მიხვიდე, ბოდიში მოუხადო და აღუთქვა, რომ ასე არასოდეს მოიქცევი.

შვედი ფსიქოანალიტიკოსები ამტკიცებენ, ადამიანის ხასიათის ფორმირება ძირითადად თოთხმეტი წლის ასაკში მთავრდება, უფრო გვიან ზემოქმედებას მასზე ვერც დარიგება მოახდენს და ვერც განცდებით. მაშასადამე, მანამ უნდა აღზარდო, სანამ ჯერ კიდევ გვიან არ არის. დიახ, შეასწავლონ ეს მრავალფეროვანი ცხოვრება. სჯობს, ბავშვობიდანვე გაუქრეს არაფრის მაქნისი ილუზიები, ვინმე ოცნებით კოშკები ააგოს და მერმე მწარედ გაუცრუვდეს იმედი.

პატარა ინგებორგას ყველაზე მძიმე დარტყმა სკოლაში გატარებულმა პირველმა დღემ მიაყენა. მოულოდნელად დაინგრა ის სამყარო, რომლის ურყევობა დედამისს უკვე კარგა ხანი იყო აღარ სჯეროდა.

იმ დღეს თავისი მანქანით ინგებორგას სკოლაში მიაკითხა. მარცხნივ ხუთი წლის ვაჟი — ივარივით მკვრივი აგებულების, ქერათმიანი იანი ეჯდა. ამ დროს ნაწნავებაპრეხილმა ინგებორგამ მოირბინა, მხარზე ჩანთა ეკიდა.

— მამა სად არის? — შორიდანვე იკითხა გოგონამ, — მალე მოვა?

— მამას არ სცალია, მუშაობს, — მიუგო დედამ. — ხომ იცი, რომ იგი ახლა ფირმის პრეზიდენტია.

— აქ შემპირდა, მოვალო! — განაწყენდა ინგა. — ისიც კი მითხრა, ერთად ვისადილებთო.

— არაფერია, შვილო, თვითონაც შეგვეძლია კაფეში შევიდეთ. იქ გვიამბობ, როგორ მოგეწონა სკოლა.

ხალხით სავსე კაფეს განიერი ფანჯრები შემოდგომის ბაღს გადაჰყურებდა. ამ გამჭვირ-

ვილე სექტემბრის დღეს სუფთა ჰაერზე სადილობის მსურველი სტუმრები იქაც ბლომად იყვნენ. მათ მხოლოდ დედა ხედავდა. ბავშვები ზურგშექცევით ისხდნენ.

ანაზდად დედა შეკრთა, ბაღში შემოსულ ქმარს მოჰკრა თვალი. ვიღაც უცნობი ქალისთვის მკლავი გაეყარა და მყუდრო ადგილს ეძებდა.

— რა მოხდა, დედიკო? — ჰკითხა გოგონამ.

— არაფერი, არაფერი, — ქალი შეეცადა დაბნეულობა დაემალა, არ იცოდა, სად დამალულიყო, რა ხვრელში ჩამძვრალიყო. კაფეს ერთადერთი კარი ჰქონდა [illegible] გადიოდა, სადაც ივარს უკვე ეპოვა ადგილი. — რას მეკითხებოდი, შვილო?

— აქი სულ ბებიასთან უნდა ეცხოვრო? — გულნაკლულად გაიმეორა ინგებორგამ შეკითხვა.

— მხოლოდ სამუშაო დღეებში. შაბათობით მე და იანი შინ წაგიყვანთ ხოლმე.

მამა? ჩემთან იცხოვრებს თუ თქვენთან?

— არ ვიცი, შვილო, არაფერი ვიცი...

მაგიდას ახალთანლეებში გამოწყობილი ჭაღარა, ღირბაისელი მამაკაცი მიუახლოვდა.

— გამარჯობათ, ქალბატონო ელვესტად! — კაცმა თავი დაუკრა და ხელზე ეამბორა. — ძალიან გამიხარდა თქვენი ნახვა! ეს რა მშვენიერი ბავშვები გყოლიათ. ვერ წარმოვიდგენდი, ამოდენა გოგონა თუ გყავდათ.

— გეყოფათ, პარუპ, გეყოფათ! ეგ მოთაფლული სიტყვები თანამემამულეთა შეკრებისთვის შემოინახეთ.

ქალმა საკმაოდ უხეშად შეაწყვეტინა სიტყვა, მაგრამ პარუპს არ სწყენია.

— კარგია, რომ მომაგონეთ, — ისე განაგრძო, თითქოს არაფერი მომხდარიყოს. — ხვალ ლიტველთა კოლონია ყოველწლიურ საშემოდგომო მეჯლისს მართავს. იმედი მაქვს, თქვენა და თქვენი დიდად პატივცემული ქმარი პატივს დაგვდებთ და მობრძანდებით. ორი ბილეთი კიდევ დამრჩა.

— გმადლობთ, — ცივად უთხრა ქალმა. — მაგრამ მე სულაც არ მჯერა, რომ მეჯლისზე აღმოჩნდება თუნდაც ერთი კაცი, ვისაც ხელს გავუწვდიდი.

— ასე როგორ შეიძლება, ქალბატონო ელვესტად?! — შეედავა პარუპი. — მართალია, სამშობლოში ყოფნისას ხშირად ჩვენს შორის აზრთა სხვადასხვაობას ჰქონდა ადგილი, მაგრამ აქ, სხვის ქვეყანაში, თანამემამულეები ერთად უნდა ვიყოთ... ბილეთები დაიტოვეთ, შეიძლება თქვენმა პატივცემულმა ქმარმა ინებოს მობრძანება...

— ჩემი ქმარი ვერ მოვა, მუშაობს...

ინგებორგამ, ეს გაუგებარი საუბარი რომ მოსწყენოდა, თავი [illegible] და ბაღში მამა შენიშნა. პატარამ [illegible] მაშინვე დედის შეაცქერდა და მიხვდა, ქმარი დედამისსაც დაენახა.

იმ ღამეს უძილობით გატანჯული ქალი მარტოდმარტო წრიალებდა ცოლ-ქმრის სარეცელზე, ცდილობდა გაეგო, რა იყო მკერდს ასე რომ უწიწკნიდა: მასხარად აგდებული სიყვარული თუ შეურაცხყოფილი თავმოყვარეობა?

ქალი მიხვდა, რომ სწორედ მარტოობის შიშმა ათქმევინა ივარის ცოლობაზე თანხმობა. თვითდაჯერებული, საკუთარი მომავლით დაიმედებული ივარი ეჩვენებოდა ერთადერთ ადამიანად, ვისაც შეეძლებოდა მინდობოდა და მისი ტანჯვა-ვაება გაეზიარებინა. ცხადია, ყოველივე ამას პატივისცემაც დაემატა. თუმცა ჭეშმარიტი მეგობრობა და ღრმა პატივისცემა, რომელთა გარეშე ჰარმონიული ცოლქმრული ცხოვრება ვერ წარმოედგინა, არასოდეს უღალატია. ივარმა პირველად რომ დააგვიანა, უპირველეს ყოვლისა, მარტოობის შეეშინდა. იქნებ ბანაკში პატარა პიხსაც სწორედ ამიტომ დაუახლოვდა. ქალი მასზე ზრუნვაში პოულობდა საარსებო ძალას. მერე ინგებორგა დაიბადა და მარტოობამაც უკან დაიხია. პატარა იანმა კი ივარი სულაც უკანა პლანზე გადასწია. ღამ-ღამობით ხანდახან ივარი ჯერ კიდევ რჩებოდა მის საყვარლად, დღისით — მისი ბავშვების მამად, ოჯახის მარჩენლად, მაგრამ ვერ იქნა და ვერ იქცა ქმრად.

იქნებ თვითონ ქალს მიუძღოდა ბრალი. ვინ იცის, შეიძლება ივარი იოლ კავშირს კი არ ეძებდა, არამედ ღრმა გრძნობებს, რასაც ვერ პოულობდა ცოლთან ურთიერთობაში... — ქალს არ ძალუძს თავისი პირველი, ნამდვილი სიყვარულის დავიწყება! სიზმარში კრისტაპი ახლაც კი ეცხადება, უკვე დაკაჟკაცებული კრისტაპი.

ლიგატა ვერასოდეს შეურიგდებოდა ბედის უკუღმართობას: სხვები ხომ გადარჩნენ, რაღა მაინცდამაინც კრისტაპი დაიღუპა? ამ დროს მხოლოდ თავის გაწბილებულ, უშინაარსო ცხოვრებაზე ფიქრობდა. ერთადერთი, რაც ცხოვრებამ არგუნა, ეს იყო შვილები, რომელთაც არც კი შეეძლოთ იმის წარმოდგენა, თუ როგორ იტანჯებოდა მათი დედა სამშობლოსა და ბედნიერებაზე, ნამდვილ და ერთგულ მეგობრებზე ოცნებით.

ხშირად შვილების ხათრით მშობლები ყალბ ცოლქმრულ კავშირს არ წყვეტენ. ოჯახს მამა სჭირდება და ეს ფაქტი თითქოსდა ანაზღაურებს კიდეც ყოველგვარ უნამუსო სიცრუესა და პირფერობას. იგი ფიქრობს, ინგებორგასა და იანისთვის უმჯობესი იქნება, თუ ღრმაზე ვადაჭრის გაწყვეტამდე მისულ იმ ნასკვს, ათი წლის წინ ლატვიელი ლტოლვილი ქალი მლიდარი შვედი მეწარმის შვილს რომ დაუკავშირა. ბავშვებმა სიმართლე უნდა იცოდნენ, რაც უნდა მწარე იყოს იგი.

— მე არაფერი არ მინდა! — ასეთი ქედმაღლური განცხადებით დაუწყო მან ლაპარაკი ივარის გულკეთილ ხანშიშესულ ვექილს.

— მაგრამ ბატონი ელვესტადი არ დაუშვებს, რომ მისი ბავშვები ხელმოკლედ ცხოვრობდნენ, — შეედავა ვექილი. — თქვენი ქმარი გაყრის წინააღმდეგია, სამაგიეროდ გაძლევთ პირადი თავისუფლებისა და მატერიალური დამოუკიდებლობის გარანტიას, რაც საშუალებას

მოგცემთ პირადად თქვენც დატკბეთ ამ ცხოვრებით და შვილებსაც საუკეთესო განათლება მიიღებინოთ. თქვენს ადგილზე რომ ვიყო, უარს არ ვიტყოდი...

განა კი ჰქონდა უარის თქმის უფლება? იცოდა, რომ ივარი შვილებს ულუკმაპუროდ არ დატოვებდა. ცოტაოდენ ფულს თვითონაც გააკეთებდა, მაგრამ იძულებული გახდებოდა შვილები კერძო სკოლიდან საერთოში გადაეყვანა და გიმნაზიაშიც აქვე ესწავლებინა, სტოკჰოლმში. მისი ჯიბე ვერ გაუძლებდა ქალიშვილის შვეიცარიულ ლიცეუმში შენახვას, ვაჟისას კი — ცნობილ ინგლისურ კოლეჯში, როგორც მათ ოდესღაც ჰქონდათ ჩაფიქრებული. ეს კი ნიშნავდა, რომ შვილებისთვის საღარბაზო კარი ცხვირწინ მიეხურა.

ქალს უარი არ უთქვამს ამ საქმეზე, ივარის ვექილმა რომ შესთავაზა. არც სიამოვნება მოუკლია — მოგზაურობდა, ერთობოდა. ივარი არ იშურებდა ფულს, ქალს ახლებურად ცხოვრებისთვის რომ სჭირდებოდა. პრეზიდენტის ცოლი ფირმის კრედიტუნარიანობის მთავარი რეკლამა გახლდათ.

ქალი გრძნობდა, რომ კიდევ უფრო მარტოსული გახდა, რომ იმ ზღვარს მიაღწია, რომლის მიღმა ადამიანი თავს ველარ ფლობს. მან უარი თქვა პოპ-მუსიკასა და საზოგადოების ზიზილ-პიპილების ბრწყინვალებაზე და მთელი სულითა და გულით მიეცა ინგებორგასა და იანის აღზრდას. სხვა აღარაფერი დარჩენოდა; ბავშვებთან ერთად თავის მიერვე შექმნილ სტერილურ სივრცეში უნდა ჩაკეტილიყო.

ეტყობა, ვერც ამგვარმა ცხოვრებამ დააკმაყოფილა, თორემ ასე აღფრთოვანებით არ ჩაეჭიდებოდა იმ ადამიანთან შეხვედრის სუსტ იმედს, ვისთანაც აახლოვებდა საერთო წარსული. რიგელ მეცნიერებზე გაზეთში გამოქვეყნებული რეპორტაჟი რომ წაიკითხა, იმწამსვე აფრინა დეპეშა. მაგრამ მოთმინება არ ეყო, რომ წერილს დალოდებოდა. პორტში საბჭოთა გემი იდგა...

აი, თავისი მცირელიტრაჟიანი „ჰილტონით“ ისა და ბავშვები ლაინერის ტრაპს მიადგნენ. ინგებორგა უკვე გიმნაზიის აბიტურიენტი გამხდარიყო. იანიც კარგა მოზრდილი ბიჭი გახლდათ. თითქმის იმავე დროს ლივრეაში გამოწყობილმა მძღოლმა ტრაპთან დიდებული „მერსედესი“ მიაგრიალა. შიგ ივარი იჯდა. წლებს მხოლოდ ოდნავ დაეჭკნო მისთვის სახის ნაკვთები, თუმცა წინანდებურად სასიამოვნო შესახედავი კაცი იყო.

— გამოსამშვიდობებლად მოხვედი? — დაცინვით ჰკითხა ქალმა. — არ გეშინია, რომ რუსული ხომალდის ტრაპთან შენმა დგომამ ფირმის კეთილ სახელს ჩირქი მოსცხოს?

— ბავშვებო, მებარგულს დაუძახეთ! — თქვა ივარმა და ცოლს მიუბრუნდა: — დიახ, მე მუდამ ვფიქრობ ფირმაზე, რომელიც სხვათა შორის შენც გარჩენს. ამიტომ თავს უფლება მივეცი ბილეთი შემეცვალა. სანამ ჩემი ცოლი ხარ, კაიუტა „ლუქსით“ უნდა იმგზავრო.

— სანამ? — გაიმეორა ქალმა. — ბოლოს და ბოლოს გადაწყვიტე გამეყარო?

ივარმა სიგარიდან ფერფლი დაფერთხა.

— უფლება არა მაქვს რჩევა თავს მოგახვიო, მაგრამ იმედია, ისეთს არაფერს ჩაიდენ, რომ იძულებული გავხდე...

— იქნებ სჯობია ახლავე შევკრა ბარგი და ბავშვებიც თან წავიყვანო? — სიტყვა გააწყვეტინა ქალმა. — ჯერაც გვიან არ არის.

— შვედური კანონები არა გცოდნია, — უთხრა ივარმა. — როცა მშობლები იყრებიან, ბავშვები იმას რჩება, ვისაც შეუძლია ასწავლოს და მატერიალურად უზრუნველყოს.

— რაო, ბავშვების წართმევას აპირებ?! — შეჰყვირა ქალმა. — და ეს მხოლოდ იმიტომ, რომ ფული არა მაქვს!

— არა, დამშვიდდი, შენ მუდამ კარგი დედა იყავი.

* *

ქალი კვლავ უძრავად იდგა კაპიტნის ბოგურაზე. ნიღაბს დამსგავსებული სახეც გაქვავებოდა. მხოლოდ გაუმაძღარი თვალები ნთქავდა მონაცვლე სურათებს. მაგრამ აი, დინამიკებში გაისმა სიტყვა „სპილვე“. ქალი მოაჯირს მოწყდა და მარჯვენა ქიმს ეცა, საიდანაც ხელისგულივით ჩანდა აეროდრომი, ნაირ-ნაირი კონსტრუქციის თვითმფრინავები, მობეტონებული სასტარტო ბილიკები, ტექნიკური სამსახურის შენობები. ინტერესი ისევე მოულოდნელად გაუქრა, როგორც აღიძრა. თითებში, მოაჯირისთვის რომ ჩაევლო, ძალა გამოელია, მხოლოდ მისი ოდნავ მოცახცახე სხეული მოწმობდა, თუ რა დაძაბულობა გადაიტანა. ისე ელვისებურად გარდაიქმნა. ბებერმა ლოცმანმა, უცხოელი ქალის დაუფარავი ინტერესი პირველად საეჭვოდ რომ მოეჩვენა, გონს მოსვლაც ვერ მოასწრო.

— იქნებ რამე გაინტერესებთ? შემეკითხეთ... — მან ნაპირზე მიუთითა.

— გმადლობთ, — ჩაწყვეტილი ხმით მიუგო ქალმა. — წავალ, ტანსაცმელს გამოვიცვლი.

ქალს აღარ უნდოდა იმაზე ეფიქრა, ხაპიონზე ვინმე თუ დამხვდებაო.

* *

[illegible]მა თავისი მდოგვისფერი „მოსკვიჩი“ სადგომზე დააყენა და ნავსადგურს მიაშურა. კარგი იყო, ერთი ჭიქა კონიაკი გადაეკრა — უმალ გაუვლიდა დაძაბულობა. მაგრამ თითქოს მის ჯ[illegible] ბუფეტი დაკეტილი იყო — მებუფეტე ქალი საქონელს ღებულობდა. რაკი კრის-

ტაპი ვერ ვიპოვე, ილზე მაინც წამომეყვანა, — სინანულით გაიფიქრა ბარტანმა. — ნახა რაღა მიზეზი: სახლი უნდა დავალაგო, საუზმე უნდა მოვამზადოო.

ბარტანმა ავტომატში ორკაპიკიანი ჩააგდო. იქნებ სასწაული მოხდა და კრისტაპი დაბრუნდა. ყურმილში გაბმული ზუზუნი ისმოდა.

ამასობაში გემი ნაპირს მოადგა. ლიგიტა ელვესტადი პეტერის ბარტანზე ნაკლებ როდი ღელავდა. გემბანიდან ათვალიერებდა ნაპირზე ჭიანჭველებივით მოფუსფუსე ხალხს, თვალით პირს ღეჭდებდა.

მანქანას მიყრდნობილი ბარტანი ტრაპიდან მორიალე ხალხს თვალს მოწყვეტით ადევნებდა.

ლიგიტამ როგორც კი მშობლიურ მიწაზე ფეხი დადგა, შეტორტმანდა, მუხლები მოეკვეთა და რომ არ დაეცემულიყო, ძლივს შეიმაგრა თავი.

ოდნავ რომ დამშვიდდა, ქალმა ირგვლივ მიმოიხედა, და რაკი დარწმუნდა, არავინ დამხვდაო, ნელი ნაბიჯით მდინარისაკენ წავიდა.

— უკაცრავად... თქვენ ბრძანდებით ქალბატონი ელვესტადი?

ლიგიტა შეკრთა. მის წინ ოცდახუთმეტიოდე წლის ელეგანტური მამაკაცი იდგა.

— პიჩ, ეს შენა ხარ?.. ღმერთო ჩემო, ნუთუ ეს ჩვენი პატარა პიჩია? — ლიგიტა პეტერისს გადაეხვია.

— დიახ, სწორედ შენი პატარა პიჩი ვარ! — პეტერისმა ისე დაიმშვიდა, თითქოს პატარა ბავშვი ყოფილიყო: ოღონდ არ მითხრა, გაზრდილხართ! — გაიცინა პეტერისმა. — გთხოვ, გიტა!

ეს ფრაზა წინასწარ ჰქონდა მომზადებული, რომ პირველი წუთების დაბნეულობისაგან თავი დაეღწია.

— გიტა... — ოდნავ ნაღვლიანად გაიმეორა ქალმა. — დიდი ხნის წინ დავიწყებული სახელია... გერმანიაში „ფრაილაინ ლიგიტას“ მეძახდნენ, შვეციაში კი უბრალოდ ლის.

პეტერისს უცებ გაახსენდა ზურგს უკან დამალული წითელი ვარდები და ლიგიტას გაუწოდა. ქალს უნდოდა მადლობა გადაეხადა, მაგრამ მღელვარებისგან ენა დაბმოდა და შეცბუნებულმა სახე ყვავილებში ჩამალა.

როცა ლიგიტამ თავი ასწია, თვალები სველი ჰქონდა, ვინ იცის, ვარდის ფურცლებზე შერჩენილმა ცვარმა დაუნამა თუ ცრემლებმა.

— ბარგი სადა გაქვს? — ღუღილით დაარღვია პეტერისმა.

— ამ რამდენიმე დღეს მშვიდად ვიცხოვრებ გემზე, — მიუგო ლიგიტამ. — პორტში ხომ გემი არ ირყევა.

— გვეგონა, დიდხანს დარჩებოდი და ოთახი მოვამზადეთ.

ლიგიტამ დაეჭვებით გახედა.

— გმადლობ... მე ისიც კი არ ვიცოდი, მიიღე თუ არა ჩემი დეპეშა, საერთოდ, ისურვებდი თუ არა ჩემს ნახვას. წუხანდელი ღამე თეთრად გავათენე. გემბანზე ვიდექი და რივის წარმოდგენას ვცდილობდი...

— მოგეწონა?

— სინამდვილე მუდამ სხვანაირია... ლიგიტამ მიმოიხედა. — ის ამბავი სადღაც აქ მოხდა, არა?

პეტერისმა თავი დაუქნია:

— ჰო... იცი, ყველაზე მეტად რა დამამახსოვრდა? გემის სახელწოდება — „პელგოლანდი“. მე მაშინ იმ ხნისა ვიყავი, ყველა წარწერას ასო-ასო რომ კითხულობენ.

— ახლა კი სახელმოხვეჭილი ფიზიკოსი ხარ, შეიძლება ოჯახის მამაც იყო, ხომ ასეა?

— შენ კი სულაც არ შეცვლილხარ, ისეთივე კოპწია ხარ და ლამაზი.

პეტერისმა სტუმარს ხელკავი გამოსდო და მანქანისკენ წაიყვანა.

— წავიდეთ, ჩემი ცოლი საუზმეზე გველოდება.

ლიგიტა პეტერისის გვერდით იჯდა და ფანჯარაში იცქირებოდა, წარსულსა და აწმყოს შორის ხიდის გადებას ცდილობდა.

— სტოკჰოლმში ალბათ უფრო დიდი მოძრაობაა? — ჰკითხა პეტერისმა.

— კი, — გულგრილად უპასუხა ქალმა, — ამიტომ ვცდილობ ქალაქში იშვიათად დავჯდე საჭესთან, ხვრავები მღალატობს ხოლმე. ქალმა თავი სანაპიროსკენ მიაბრუნა. — უწინ ეს მოაჯირი ხომ არ ყოფილა?

— კარგი მეხსიერება გქონია.

— არის ისეთი ადგილები, მთელი სიცოცხლე არ დაგავიწყდება.

მანქანამ ლატვიელ მსროლელთა ძეგლს ჩაუქროლა და გვირაბიდან ამოყვინთა.

— გინდა ქალაქს დაგათვალიერებინებ? — შესთავაზა პეტერისმა. — აი, მაგალითად, პეტრეს ტაძართან მაშინ კოშკი არ ყოფილა...

— პიჩ, თუ ღმერთი გწამს, მომეშვი! სიტყვა გააწყვეტინა ლიგიტამ. — მე ექსკურსანტი არა ვარ!..

— მაშ ვინა ხარ?..

— არ ვიცი... გაზეთში შენი სახელი და გვარი რომ წავიკითხე, მაშინვე გამომგზავრება გადავწყვიტე, — ლიგიტამ გაიღიმა და ჩანთიდან გაზეთი ამოიღო, — აი, ინებე! მე გაზეთებს საერთოდ არ ვკითხულობ, ეს კი ქალიშვილმა მომიტანა — რიგელ შეცნიერებზე დიდი რეპორტაჟია დაბეჭდილიო. შუამდე რომ ჩავიკითხე, გვერდზე გადადება დავაპირე. რა საქმე მაქვს მეოქი კვანტურ თეორიასა და ბირთვულ ფიზიკასთან. სწორედ ამ დროს შენს გვარს მოვკარი თვალი. გინდა გითარგმნო?

— ამოვჭრი, ჩარჩოში ჩავსვამ და ლაბორატორიაში კედელზე დავკიდებ, — გაიცინა პეტერისმა.

— ნუ იცინი, თუ ღმერთი გწამს, ამ სტრიქონების გარეშე ხომ ვერასოდეს გავიგებდი, რომ ჩემი პირი ცოცხალი იყო. რამდენი წლისა ხარ ახლა? ოცდაცამეტის?

— ზუსტად ოცდათხუთმეტის. ოდესღაც ძალიან მინდოდა დიდი ვყოფილიყავი. ახლა კი პირიქითაა. ქალებისას ვერაფერს გაიგებ.

ლივიტა ხუმრობის გუნებაზე აღარ იყო:

— უკვე მეცნიერებათა კანდიდატი ხარ. ნეტა როგორ მიაღწიე?

— ბევრი ვიმუშავე და ცოტაც გამიმართლა. — დინჯად მიუგო პეტერისმა.

შინ რომ მივიდნენ, პეტერისმა სტუმარი ცოლს შეატოვა, თვითონ კი აივანზე გავიდა.

ილზემ ლივიტა კაბინეტში შეიყვანა, სადაც სტუმრის მობრძანებასთან დაკავშირებით დივანი და პატარა მაგიდა დაედგათ.

— ეს ოთახი თქვენ მოგიმზადეთ.

— დიდი მადლობელი ვარ, — ლივიტა თავს უცხოდ გრძნობდა.

ფანჯარასთან მივიდა — გაღმა ნაპირზე მოჩანდა ლიუგაჟისა და ახალი რიგის ხეივნები. ბაღის ბილიკზე მდინარისკენ ბავშვი გარბოდა. მას ხელში ანკესი ეჭირა.

— პირიც დაახლოებით ამ ბიჭის ტოლი იყო, პირველად რომ ვნახე, — ფიქრიანად თქვა ლივიტამ. — ვინ იფიქრებდა, უკვე ცოლი და ორი ბავშვი ეყოლებოდა... თავს ძალიან უხერხულად ვგრძნობ, რომ ბავშვებს საჩუქრები ვერ ჩამოვუტანე... თქვენთანაც ხელცარიელი მოვედი...

— აბა რას ამბობთ! — ხელი ჩაიქნია ილზემ. — ნამდვილი მეგობრები ამ წვრილმანებზე მაღლა დგანან.

— ბავშვები მაინც სხვაა, — არ დაეთანხმა ლივიტა. ხელი ჩანთაში ჩაჰყო და პატარა ჭრელი კოლოფი ამოიღო. — ჩემი ბავშვები მთელი დღე ამას ღეჭავენ, იქნებ თქვენებსაც მოეწონოთ.

საუბრის თემა რომ შეეცვალა, ილზემ ჰკითხა:

— სჯობს ის გვიამბოთ, როგორ გვიპოვეთ? თქვენი დეპეშა სწორედ ბომბის აფეთქებასავით გაისმა.

ლივიტამ სიამოვნებით გაიმეორა ერთხელ უკვე მონაყოლი ამბავი. მერე ჩანთა ისევ გახსნა და რაღაც შეკვრა ამოიღო, — შიგ ნახევარი დუჟინი ყელსახვევი იყო გახვეული.

— როგორ ფიქრობთ, მოეწონება?

ილზემ ყელსახვევები მაგიდის საზურგეზე გადაკიდა.

— ძალიან გაეხარდება.

— ამ ყელსახვევებს რომ ვარჩევდი, ისეთი გრძნობა მქონდა, — უთხრა კმაყოფილმა ლივიტამ, — თითქოს ისევ პატარა პირზე ვზრუნავდი. კაცმა რომ თქვას, რას აკეთებს ახლა, თუ სახელმწიფო საიდუმლო არ არის? იმ სტატიიდან ბევრი ვერაფერი გავიგე.

— ფიზიოლოგებს რას გაუგებ? მეორე წელიწადია სადოქტორო დისერტაციაზე თავაუღებლად მუშაობს და თვითონაც არ იცის, როდის დაამთავრებს.

— გასაგებია, — ლივიტამ ოთახს თვალი მოავლო. — როგორ აპირებთ? — ჰკითხა შეცბუნებულმა. — ჯერ სწავლა, მერმე დისერტაცია... დიდი ფული დაგიჯდებოდათ!

— არ ვიცი, როგორ აგიხსნათ... — ქალს ენა დაება, — პეტერისი მარტო კი არ მუშაობს, საკუთარი შიშისა და რისკის ხარჯზე, იგი ინსტიტუტის ლაბორატორიას ხელმძღვანელობს და...

— მთავარია, რომ კარგი ქმარია, არა? — იხსნა ლივიტამ.

— საყვედური ცოდვად ჩამეთვლება.

ორივეს გაეცინა. ოთახში პეტერისი შემოვიდა.

— ქალებო, უკვე დამეგობრებულხართ, ალბათ ჩემი გაჭორვაც მოასწარით... ახლა კი, ჩემო მანდილოსნებო, მაგიდასთან მობრძანდით!

— უკანასკნელად მე და შენ ერთად გემზე ვისადილეთ, — უთხრა ლივიტამ პეტერისს.

პეტერისს მისი განწყობილება გადაედო:

— შენ კი მასწავლიდი, პურს პეშვი ამოუდე, რომ ფიჩხიც არ დაგივარდესო.

— კარგი მეხსიერება გქონია.

პეტერისმა ჭიქაში ბალზამი დაასხა და ლივიტას სადღეგრძელო ასწია:

— ეს შენ გაგიმარჯოს, უბერებელო ქალბატონო ელვესტად. ვილოცავთ რიგაში ჩამობრძანებას!

ჭიქა ლივიტამაც გამოსცალა, მაგრამ არაფერი დაუყოლებია.

პეტერისი კი უკვე მეორე სადღეგრძელოს ამბობდა:

— ილოცილე, გეტა! ვერც კი ჩამოვთვლი, შენთან რამდენი სიკეთე მახსოვს — ჯერ ბანაკის საავადმყოფოში, ხომალდზე, მერმე გერმანიაში, ის საძაგელი გლეხის ფერმაც რომ მოისყიდე... გულით და სულით ვისურვებ არასოდეს დაგჭირვებოდეს სხვისი დახმარება, მაგრამ მინდა გახსოვდეს, რომ რიგაში მეგობრები გყავს, რომლებიც მუდამ... — მან შესაფერისი სიტყვები ვერ იპოვა. — ერთი სიტყვით, დალიეთ!

მეგობრები... დიახ, ლივიტამ ეს უმალ იგრძნო, თუმცა ჯერაც ვერ შეჰგუებოდა ორ მშვენიერ ადამიანს, ყოველმხრივ რომ ცდილობდნენ მის სიამოვნებას. რაც უფრო გულისხმიერად ეპყრობოდნენ თავს მასპინძლები, ქალს მით უფრო მძიმედ აწვებოდა საკუთარი დანაშაულის გრძნობა. რატომ არ ეკითხება პირი, სად იყო აქამდე? მაშინ შეეძლებოდა თავის მართლება,

იმის მტკიცება, რომ საშობლო კი არ დავიწყებია, არამედ უბრალოდ საკუთარი ცხოვრებით ცხოვრობდა.

მაგრამ, თითქოს წინასწარ შეთანხმებულანო, მასპინძლები საუბრის დროს თავს არიდებდნენ ომის შემდგომი პირველი წლების გახსენებას და ლიგიტას შენიშვნაც უყურადღებოდ დატოვეს — ჩემი ქმარი საერთაშორისო წითელ ჯვარში მუშაობას მამის ფირმის ინტერესებისათვის იყენებდაო.

ყელს რომ ასხამდა, ილზემ ლიგიტას ოქროთი მოვარაყებულ მარგალიტის [illegible] ჰკიდა თვალი.

— რა დიდებული რამ არის, — ილზეს აღტაცება არ დაუფარავს, — ეს ალბათ თქვენი ქმრის საჩუქარი იქნება.

— არა, — მკვახედ მიუგო ლიგიტამ და მარგალიტი ჟაკეტში ჩამალა. — ჩემია! ესღა მერგო ოჯახიდან. მე მას მხოლოდ ერთადერთ ადამიანს მივცემდი ამქვეყნად, მაგრამ... — გაჩუმდა. სიგარეტი საფერფლეს გულდაგულ დაასრისა, მერე ყავა მოსვა, სული მოითქვა და ჰკითხა: — მიამბე, პიტ, ისე ვსაუბრობთ, თითქოს ერთმანეთს ნაკვერჩხლებს ვესროდეთ?.. იმის ამბავს რატომ არ მეტყვი?

— ვის ამბავს? — ვერ გაუგო პიტმა.

მაგრამ ლიგიტას უკვე უღალატა ნებისყოფამ.

— ყველას, — ორჭოფულად მიუგო. — ბევრი ჩვენიანი გადარჩა ცოცხალი?

— ცოტა. თუმცა იმაზე მეტი გადარჩა, ჯალათებს რომ ეგონათ. საბედნიეროდ, ადამიანი სიცოცხლისუნარიანი არსებაა და მისი გამძლეობის კოეფიციენტის გამოთვლა არც ერთ ზუსტ მეცნიერებას არ შეუძლია.

— საბედნიეროდ, — ხმამაღლა გაიმეორა ილზემ და ქმარს შეაცქერდა.

— ხვდებით ერთმანეთს? — ჰკითხა ლიგიტამ.

— იშვიათად. ისე არიან დატვირთულები, რომ მოგონებებისათვის დრო აღარ რჩებათ. მაგრამ არსებობს წმიდათაწმიდა ტრადიცია: წელიწადში ორჯერ ყველანი სალასპილსში ვიკრიბებით. სწორედ რომ კარგ დროს ჩამოხვედი — ხვალ იქ ბევრ ძველ ნაცნობს შეხვდები. თუმცა მე იქ უმთავრესად სხვებს ვუსმენ — აბა, შვიდი წლის ბიჭის ნაამბობი ვის აინტერესებს.

— და არც უთქვამს ვინმეს, რა მოუვიდა კრისტაპს?

— აბოლტინს? — კითხვაზე კითხვით უპასუხა პეტერისმა. — ვერაფრით ვერ გავიგე, რა მოუვიდა. ვურეკავ და ვურეკავ, მაგრამ ტელეფონთან არავინ მოდის. აბა კიდევ ერთხელ ვცდი.

— ნოიცა! — ლიგიტა გაფითრდა, ყოველ მომდევნო სიტყვას იგი უდიდესი ძალდატანებით წარმოთქვამდა. — მე იმ კრისტაპის ამბავს გეკითხები... საავადმყოფოს ბარაკში გრძელი ვოლდიკის მოსვლამდე რომ მუშაობდა.

— გასაგებია.

— იმ კრისტაპის ამბავს, პურის უკანასკნელი ნატეხი რომ მოგვცა და გემზე ერთად შევჭამეთ!

— ნუ ღელავ, კრისტაპი ცოცხალი და საღსალამათია. მე იგი ორი კვირის წინ ვნახე.

„კრისტაპი ცოცხალი ყოფილა!“ ფიცხლად მომეშვება მის ტვინს ახლა სხვა არაფერი ახსოვდა. „მთელი ამ დროის განმავლობაში ცოცხალი ყოფილა“... ვერ მოესაზრებინა, რა იყო ეს, — ჯერ უნახავი, მოულოდნელი ბედნიერება დაატყდა თავს თუ ბედმა მწარე დარტყმა აცემა, ცხოვრებაში გადადგმული ერთადერთი მცდარი ნაბიჯისათვის სასტიკად დასაჯა.

— კრისტაპი ცოცხალი ყოფილა, — ჩაილაპარაკა ქალმა.

— რასაკვირველია, — გაიმეორა პეტერისმა. — სულ ბოლოს გაქცეული და ქვის სამტეხლოში დამალული.

— არაფერი მესმის... მე არ ვუძებნივარ, არ ვუკითხივარ?

— გერმანიიდან რომ დავბრუნდით, ის და დედამისი ავოტეს ქუჩაზე ცხოვრობდნენ. ორჯერ რადიოთი გეძებდით. მაგრამ ხმა არავინ გაგვცა... კრისტაპი მოუთმენლად მოგელოდა, გიტა!

ილზემ ქმარს სახელო დაქაჩა და პეტერისიც გაჩუმდა.

— მე კი მითხრეს, დახვრიტესო... სალასპილსში ყველანი დახოცესო...

— აი, თურმე რატომ არ დაბრუნებულხარ ომის დამთავრებისთანავე.

— ძალიან გვინდოდა კრისტაპიც დაგვხვედროდათ, მაგრამ სადღაც სოფელში წასულა, — უთხრა ილზემ.

ლიგიტა დუმდა.

— ყავა კიდევ დაგისხათ?

— თუ შეიძლება, წყალი დამალევინეთ. — ლიგიტამ ჩანთაში აბებიანი კოლოფი მოიძია. — თანამედროვეობის საწყევი. — ქალმა ხუმრობა სცადა.

— ერთხელაც ვცდი, იქნებ დავრეკო.

ილზემ ტელეფონის დისკს დაუწყო ტრიალი. ლიგიტამ ისე გადაყლაპა აბი და პეტერისის მოწოდებული წყალი დააყოლა, რომ მწვანე აპარატისთვის თვალი არ მოუშორებია.

მერე პირველი სიგნალები რომ გაისმა, წამოდგა და ფანჯარასთან მივიდა, შუბლით მიეყრდნო... ვერაფერს ხედავდა. მხოლოდ ისღა ესმოდა, როგორ ზუზუნებდა ყურმილი.

— ხვალ კრისტაპი აუცილებლად უნდა იყოს რიგაში. ჯერ არ ყოფილა, რომ სალასპილსში მიტინგს არ დასწრებოდეს... ცოტას ხომ არ დაისვენებთ? — ჰკითხა ლიგიტას ილზემ.

— პიტ, შეგიძლია ბანაკში წამიყვანო?

— ნასვამი რომ ხარ? — შეახსენა ქმარს ილზემ.

— წავიდეთ!

— პეტერისის „მოსკვიჩი" დაუგავა-სპილსის განიერ გზატკეცილზე მიქროდა.

— ვთქვით, გეგონა, კრისტაპი დაიღუპაო. მაგრამ სხვები ხომ დაბრუნდებოდნენ. არც მე მქონდა იმის იმედი, რომ ჩემი მშობლები ცოცხლები იყვნენ... მაგრამ შინ მაინც ჩამოვედი.

— იმ დროს ფიქრიც არ შემეძლო... ვიცოდი, რომ ჩემი სახლი დამწვარ-დაფერფლილი იყო, ვიცოდი, აღარავინ მელოდა.

— მე? — უკან არ იხედვდა პიჩი.

— შენ ახლა ჩვიდმეტი წლის ქალიშვილისვით დედობრივ გრძნობას ითხოვ — არ გინდა, პიჩ... — იგი პეტერისისკენ მიტრიალდა. — ყოველივე ეს არც ისე ადვილი საქმე იყო, დღეს რომ გეჩვენება. მე შენ არ დამვიწყებიხარ. მაშინ ახალგაზრდა ვიყავი, თანაც ისეთი ავადმყოფი, რომ უცებ შინ დაბრუნება არ შემეძლო... მერე კი... მერე ძალზე გვიან იყო...

გზის განაპირას საგზაო ნიშანი — ბეტონის რუხ ფილაზე ამოტვიფრული წარწერა — ს ა ლ ა ს პ ი ლ ს ი გამოჩნდა. მანქანამ მარცხნივ გადაუხვია.

დიახ, ეს სწორედ ის გზა გახლდათ, ერთ დროს უსასრულოდ რომ ეჩვენებოდათ, განსაკუთრებით იმათ, ვისაც ქანცი გაწყვეტილი ჰქონდა. გაისმოდა სროლის ხმა. ეცემოდნენ ტყვიით მოცელილი ქალები და ბავშვები, გზისპირას რჩებოდნენ ისინი, ვისაც სიკვდილის ბანაკამდე მისაღწევად ძალა აღარ ყოფნიდა.

რკინიგზის გადასასვლელს მიღმა ლიგიტამ ტყისპირა მდელოზე მობალახე ნახირი დაინახა. მოასფალტებული გზა დილაადრიან ჯერ კიდევ სანახევროდ თავისუფალ სადგომთან მოულოდნელად შეწყდა.

პეტერისმა ძრავა გამორთო, საზურგეს მიეყრდნო და ტყისკენ მიმავალ ბილიკზე მიუთითა:

— აქედან გზა ფეხით უნდა განვაგრძოთ.

ლიგიტა არ ჩქარობდა. კარი ნელა გააღო და პეტერისს თვალებში შეაცქერდა:

— ნუ გეწყინება, მაგრამ... მირჩევნია მარტო წავიდე...

— კარგი, — პეტერისმა ძრავა ჩართო. — კრისტაპს მივაკითხავ სახელოსნოში და ერთ საათში დავბრუნდები.

კარი მიხურა და მანქანა მოაბრუნა.

ლიგიტას თვალიც არ გაუდევნებია მისთვის. ხრეშმოყრილი გზით იარა. თავი ისე დაუხარა, თითქოს ნაბიჯებს ითვლიდა. ერთი მოსახვევი, მეორე, და უცებ, თითქოს სიკვდილ-სიცოცხლეს შორის გაჩენილი მიჯნაო, გზა ბეტონის სქელმა კედელმა გადაკეტა, ძისა ერთი ბოლო ლაბირინთის შიგ ლიკს ეჭინებოდა. ბეტონზე ლითონისგან ჩამოსხმული ასოები ჩაეწკრივებინათ:

ა მ ჭ ი შ კ ა რ ს ი ქ ი თ მ ი წ ა კ ვ ნ ე ს ი ს.

III

კრისტაპ ამოლტინი ასე მოუთმენლად არასოდეს ელოდებოდა ზაფხულის გავლას. წიწილებს შემოდგომაზე ითვლიანო, და თვითონაც უნდოდა სამი თვის დაძაბული მუშაობის შედეგი ენახა. ერთი სული ჰქონდა, როდის შეუდგებოდა სერიოზულ საქმეს, თავისი ჩანაფიქრის განხორციელებას, ქალაქელებმა ხომ თან გადაიყოლეს — აბა, ერთი სცადეთ ზაფხულის შვებულების დროს კომისიის ყველა წევრი მონახოთ, თითოეულთან ცალ-ცალკე შეათანხმოთ მონახაზები, ხელი მოაწერინოთ. შემკვეთები კი ამოსუნთქვის საშუალებას არ აძლევდნენ — ქალაქის ფული წლევანდელი წლისთვის გამოეყოთ, ამიტომ, რაც შეიძლება, ჩქარა უნდა შეეძინა ქვა, ხელშეკრულება დაედო და ავანსი მიეღო... ახლა ყოველგვარი წესის დაცვით დადასტურებული, კომისიის მრავალხელმოწერადასმული ქაღალდი კრისტაპს საწერ მაგიდის უჯრაში ედო, ისღა დარჩენოდა შესაფერისი ქვა მოეძია და ხელში ჩაეგდო და საქმეს რეთელი ედო.

მაგრამ მოქანდაკეთათვის გამოსადეგი ქვები ლატვიაში ცოტა თუ მოიძებნებოდა. სამეურნეო მინდვრები რომ გააერთიანეს, რიყის ბევრი ქვას კოლონი შეუნთეს და ააფეთქეს. საკმაოდ კარგი, რომ მისი მასწავლებელი პროფესორი რეგულარულად აგროვებდა ცნობებს შემორჩენილ ქვებზე. ამ ზაფხულს მის სტუდენტებს ორი მშვენიერი ქვა უპოვიათ, რომლებიც ძეგლის ცენტრალური ფიგურებისთვის უნდა გამოსდგომოდა. ამ საღამოსვე უნდა გაემგზავროს და დარწმუნდეს, მართლა ასეა თუ არა. მაგრამ მანამდე მასა და აუსმას რიგის პარკები უნდა შემოევლოთ და პერსონალური გამოფენის თემა აერჩიათ — ამგვარ საზოგადოებაში და ისიც ამ მშვენიერ დღეს ეს ძალზე სასიამოვნო საქმე გახლდათ.

აუსმაზე ფიქრში გართული კრისტაპი სარკის წინ გაჩერდა. თვითონ არასოდეს ზრუნავდა თავის გარეგნობაზე და ქალიშვილისაც გულმოსული ეგერიქმოდა, როცა სთხოვდა, ახალი კოსტიუმი ან საპალტოე იყიდეო. მართალი რომ ითქვას, წინაამდეგობის იმიტომ უწევდა, რომ ისე სჩვეოდა, ასეთი ხასიათისა გახლდათ. მას ესმოდა, რომ, თუკი აუსმა თანახმაა საზოგადოებაში ოცი წლით უფროს კაცთან ერთად გამოჩნდეს, ამ კაცს ხეირიანად მაინც უნდა ეცვას. და კრისტაპმა იმჯერად გადაწყვიტა დამორჩილებოდა.

კუბოკრული პიჯაკი ჩაიცვა, ყელსახვევის ნაცვლად კისერზე აბრეშუმის შარფი შემოიხვია და ლამაზად გაინასკვა. თავი ირონიულად შეათვალიერა და ჩაიცინა: მოდური ტანსაც-

მელი არც თუ ძალიან შეეფერებოდა ნაოჭებით დაღარულ სახესა და სქელ, ჭაღარამორეულ თმას.

აუსმა ისე გამოეწყო, თითქოს პიკნიკზე მიდიოდა — ეცვა ტანზე შემოტმასნილი ტილოს შარვალი და წითელი პერანგი, რომელსაც ხაზგასმით უნდა აღენიშნა, რომ ხელოვნების სამყაროს ეკუთვნოდა. სინამდვილეში კი იგი ჯერ მხოლოდ სადიპლომოზე — ლექსების კრებულის ილუსტრაციაზე მუშაობდა.

კრისტაპს შემოდგომის დამაბრმავებელი მზისგან თვალები ხელით მოეჩრდილა. ვიესტურდარზის პარკის კუთხეს ათვალიერებდა და რაღაცას ანგარიშობდა. აუსმა ტბორის ქამარივით შემორტყმულ მწვანედ მობიბინე გაზონზე მისკენ მოაბიჯებდა.

— ერთი აქედან შეხედე, კრისტაპ! — ეძახდა იგი და ტბორის გაღმა ნაპირზე მიუთითებდა.

კრისტაპი გაზონთან მივიდა და გაიღიმა.

— ორმოცდაათი კაპიკი, მწვანე რომ გაგიფუჭებია! ასეთივე სასჯელი მოელის გამოფენის ყველა დამთვალიერებელს. შენს სათვალთვალო პუნქტთან ხომ სხვა მისასვლელი არ არის.

— სამაგიეროდ შემოსვლა იქნება უფასო, — გაიცინა აუსმამ. მერმე სერიოზული სახე მიიღო და ჰკითხა: — რაო, მართლა გადაწყვიტე, რომ გამოფენა ღია ცის ქვეშ მოაწყო? რას იზამ, გადაუღებელი წვიმები რომ დაიწყოს?

— უკიდურეს შემთხვევაში გასამართლებელი საბუთი მაინც მექნება... არაფერი ისე არ მაშინებს, როგორც ცარიელი დარბაზი.

— მე კოველდღე ვივლი, — მიუგო აუსმამ. — თუ შენ არ იქნები წინააღმდეგი.

— მაშინ წარმატება განაღდებული მქონია — თუ ხალხი ჩემმა ნამუშევრებმა არ მიიზიდა, შენ მიიზიდავ... — კრისტაპმა კიდევ ერთხელ მიმოიხედა. — ქანდაკებები აქ როგორ უნდა მოვათავსო? ექვსი-შვიდი ქანდაკების მეტი არ მინდა გამოვფინო.

— ბოლოს და ბოლოს შენ ავტორი ხარ, — მხრები აიჩეჩა აუსმამ. — გარკვევით მითხარი, მოგწონს თუ არა.

— არ მომწონს, — მიუგო კრისტაპმა. — ტბორი არ ვარგა. თუმცა რიგაში ხომ უამრავი პარკია.

კრისტაპი გატრიალდა და ალექსანდრეს ძველი ჭიშკრისკენ ენერგიული ნაბიჯით გაემართა. მას არ ეეჭვებოდა, რომ აუსმა უკან აედევნებოდა, და პიონერთა სასახლესთან, ქანდაკებების ბაღში თავისი მოტოროლერით მიიყვანდა.

ძველთაძველი ციხესიმაგრის ეზოში წითავსებულ ამ მყუდრო ადგილას თავი მოეყარა ბევრ სტუმარს, რომლებიც აუჩქარებლად ათვალიერებდნენ ბარელიეფებს, ფიგურებსა და პოსტამენტებზე დაყენებულ ბიუსტებს. კრისტაპი და აუსმა მათ შეუერთდნენ.

— თუ ქალი ხარ, არ გეგონოს, რომ ეს უსახელო გენიოსის პირველობა იყოს, — კრისტაპმა თავი გაბრაზებით გაიქნია. — ეს ხომ ჩემი პირველი ინდივიდუალური გამოფენა იქნება.

— ბოლოს და ბოლოს არ შეგიძლია ამიხსნა, რა გსურს?

— მე ჯერ მხოლოდ ის ვიცი, რაც არ მინდა. არ მინდა ეს კედელი, ეს ღობე და ცხაური. ასე შემქმლო დახურულ შენობაშიც მომეწყო გამოფენა.

— გასაგებია, — აუსმამ ხელკავი გაუყარა და გასასვლელისკენ წაიყვანა.

როგორც იქნა, კრისტაპმა ძიება წარმატებით დაამთავრა. არჩევანი შეაჩერა ბოტანიკურ ბაღზე, სადაც თავისუფლად ხარობდნენ საოცარი ხეები და ბუჩქები. კრისტაპი პალმებს ახალ სანერგესთან შეჩერდა და თითები სიხარულით გაატკაცუნა:

— აი, ამ მოედანზე დავდგამ „ბანაკელ გოგონას".

— შენს პირველ ქანდაკებას? — დაეჭვდა აუსმა. — ეითომ ასე სჯობია, კრისტაპ?

— ნება მიბოძე, ეს თვითონ გადავწყვიტო.

— თუ ჩემს რჩევას არ მოისმენდი, მაშინ რაღას მოგყავდი, — მოულოდნელად იფეთქა აუსმამ. — განა თვითონ არ მითხარი, „ბანაკელი გოგონა" სრულყოფილი არ არისო?

— სრული ჭეშმარიტებაა. როცა იქნება, აუცილებლად მივუბრუნდები. მაგრამ გაიგე, რომ იმ გოგონას გარეშე აღარც სხვა ნამუშევრები მექნებოდა! შეიძლება საერთოდ ვერაფერიც ვერ შემექმნა...

ფეხს ისე აუჩქარა, თითქოს თავის ფიქრებთან განმარტოება სურდა. ყოველთვის ასე მოსდიოდა, როცა საუბარი წარსულს ეხებოდა. წარსულის მოგონების უფლებას თავს მხოლოდ პეტერისთან საუბრისას აძლევდა, ისიც იშვიათად. მაგრამ აუსმა არ აპირებდა იმ ბავშვის როლს შერიგებოდა, თავის ადგილზე რომ მიუთითებ.

— სად გარბიხარ? მატარებლის გასვლამდე ჯერ ერთ საათზე მეტია დარჩენილი...

— ჩვენს კლასიკოსს შევპირდი, აქეთობას გამოგივლი-მეთქი, — აუხსნა კრისტაპმა, — ერთად წამოვალთ, მიტინგის დაწყებამდე აუცილებლად დავბრუნდებით!

* *

კრისტაპი სოფლიდან მშვენიერ გუნებაზე დაბრუნდა. მის სიხარულს რაიონის ბიუროკრატებთან უთანხმოებამაც კი ვერ მიაყენა ჩრდილი. ქვა დიდებული გამოდგა, თითქოს პირდაპირ კვარცხლბეკზე დადგომას ითხოვდა. კრისტაპს სიკეთარი ეზო-კარი რომ ჰქონოდა, იმ ქვას ყველაზე გამოსაჩენ ადგილს მიუჩენდა და თითსაც არ დააკარებდა.

სახელოსნო პროფესორმა აუგუსტ ბრუვერისმა დაუთმო. პროფესორი დიდი ხანია ქალაქგარეთ, ახალ მასივში ცხოვრობდა, მაგრამ სახელოსნოში თითქმის დღეგამოშვებით დარბოდა — დაუმთავრებელი ქანდაკებების გადატანა გაუჭიანურდა.

კრისტაპმა ბოლომდე გააღო კარის დარაბები, ქურთუკი გაიხადა, ხელ-პირი დაიბანა და ძველი ფლოსტები ჩაიცვა. ახლა ისღა დარჩენოდა, განწყობილების შესაფერისი მუსიკა შეერჩია და მუშაობა დაეწყო. ფირფიტების გროვა გადააწყო, ჩაიკოვსკის კონცერტი ფორტეპიანოსა და ორკესტრისათვის ამოარჩია. კოლოფიდან სიგარეტი დაიძრო, პირში ჩაიდო, მაგრამ მოკიდება დაავიწყდა. „ზანაქელ გოგონას" ფარდა ჩამოხადა და თავისი ახალგაზრდობის ნამუშევარს მუშტრის თვალით შეაცქერდა. ეს ქანდაკება დიდი და ხანგრძლივი წვალებით შექმნა.

კარმა გაიჯახუნა. სახელოსნოში აუსმა შემოვიდა. კრისტაპს პირიდან სიგარეტი გამოუღო, ცხვირის წვერზე აკოცა, ასანთს გაჰკრა და სიგარეტი გაუჩაღა.

— ვიფიქრე, იმ არაქათგამცლელი მგზავრობის შემდეგ ზაზუნასავით იძინებდი და საუზმეს ლოგინში მოგაწვდი-მეთქი, — ამოიოხრა ქალმა. — მაგრამ შენზე გვიან გამეღვიძა.

— სამაგიეროდ შეგიძლია მაშინ დაიძინო, როცა ინებებ, — აბუზღუნდა კრისტაპი. — ჩემს ასაკში დროის ასე ფლანგვა არ შეიძლება... ჰო, მართლა, მადლობელი ვარ, თურმე ამათ სარწყავად დადიოდი აქ, — კრისტაპმა ქალს თიხის ქანდაკებებზე მიუთითა.

— წესიერად ვასრულებდი მთავარსარდლობის ყოველ სიტყვას, ტელეფონთანაც კი არ მივსულვარ. თუმცა ვიღაც ქალმა გული გამიწყალა.

ქალმა ყურმილი აიღო.

— მუშაობს.

— მას შემდეგ, რაც ტელეფონი დავიდგი, ნახევარ საათსაც ვერ გავძელი ისე, რომელიმე მეგობრის ხმა არ გავიგონო, — კრისტაპი ისევ ბუზღუნის გუნებაზე იყო.

— შევამოწმე. სულ ახლახან პინმა დარეკა და შემომჩივლა, კრისტაპს ვერასგზით ვერ ვუკავშირდებიო. შენ კი ორი საათია, რაც ჩამოსული ხარ, — უთხრა აუსმა და ჩანთიდან ხორაგის ამოლაგებას შეუდგა.

— ალბათ უნდა გამახსენოს, რომ ხვალ მიტინგია, — თავი გაიქნია კრისტაპმა. — თითქოს შემეძლოს დავიწყება.

— არა, ასე მითხრა, პორტში ან ჩემს აგარაკზე დაველოდებიო, — აუსმამ საათს დახედა — გინდა, ტაქსს გამოვუძახებ?

— თავის დელეგატებს თვითონ შეხვდეს, მე არა მცალია... დღეს რაღაც ძალიან გახარებული ჩანხარ? — კრისტაპმა თმაზე გადაუსვა ხელი. თმაც ახლახან დაევარცხნია.

— შენს მოსახიბლავად დავივარცხნე... მინდა რიგის სანაპიროსკენ გაგიტყუო. გადასარევი ამინდია!

— შენ წადი. მე უნდა ვიმუშაო.

აუსმამ ქვისგან გამოჩუქურთმებული ქალიშვილის პატარა თავს შეხედა.

— შესწორებას აპირებ?

— არა, დარჩეს, როგორც არის — ოდნავ გულუბრყვილო და პრიმიტიული. მაგრამ ეს ჩემი ბიოგრაფიის ნაწილია... თუ ქალი ხარ, ყავა დადგი. ოღონდ მაგარი მომიდუღე.

აუსმამ მაგიდიდან საფერფლე აიღო და გავიდა.

ანაზდად კრისტაპს გამოფენაზე ფიქრის სურვილი დაეკარგა. როცა გვერდით აუსმა ედგა, წარსული არც კი ახსოვდა. ერთად რომ იყვნენ, კრისტაპს მხოლოდ ის აღელვებდა, რაც ახლა, ამ წუთში ხდებოდა. ვერც მომავლის მიმართ იყო გულგრილი, რადგან აუსმას გარეშე საკუთარი თავი ვერ წარმოედგინა. კრისტაპმა „ზანაქელი გოგონა" კედლისკენ მიაჩოჩა. ჯობია, უფრო გადაუდებელ საქმეს მოჰკიდოს ხელი, მგზავრობის შედეგები დავაჭამოთ.

აუსმა საბანაო კოსტიუმში გამოწყობილი დაბრუნდა. უკან გადავარცხნილი თმა ზურგზე ეყარა. ხონჩით ყავიანი ჭურჭელი, ბოთლით რძე და ბუტერბროტებიანი თეფში მოჰქონდა. დივანზე დაჯდა, საჭმელი ტაბურეტზე დააწყო და თქვა:

— აქ გავირუჯები. მოფარებულში მეტი სითბო იქნება.

კრისტაპმა თავი დაუქნია.

— დღეს შენც ქარაფშუტულ გუნებაზე ხარ...

როცა ბოლოს და ბოლოს კრისტაპი მიხვდა, რომ აუსმას შენიშვნა მუსიკას ეხებოდა, გადაიხარხარა და მერე უცებ თავი ისე დაიჭირა, თითქოს ამის მიხვედრამ თავზარი დასცაო:

— ო ტემპორე, ო მორეს! ჩაიკოვსკის რეი კონიფის მიერ გადაკეთებული საჯაზო მუსიკით იცნობ, ლიტერატურის შედევრებს — ფილმებით! რა ეშმაკმა დამაკავშირა შენთან! თუ ღმერთი გწამს, ამიხსენი!

— მე კარგი მზარეული ვარ!

— ეს რა დიდი ბედენაა! უზმოზე უკეთ ვმუშაობ.

— კარგი, ჩავთვალოთ, რომ ცარიელი კუჭი შემოქმედს სტიმულს აძლევს.

ამ განცხადებამ აუსმასთვის ხელი არ შეუშლია, რომ ორი ბუტერბროტი გადაესანსლა და ნახევარი ბოთლი რძე დაელია. მხოლოდ ამის შემდეგ მიაკრა კედელზე ქაღალდის ფურცელი, ნახშირის ნატეხი აიღო და ჩქარი, მისთვის ჩვეული შტრიხებით ესკიზის მოხაზვას შეუდგა. ქაღალდზე კრისტაპი იხატებოდა. პორტრეტზე მას უფრო ახალგაზრდული, შთაგონებული და ექსცენტრული სახე ჰქონდა.

— შეწყვიტე! ვერ ვიტან, როცა მხატავენ, — უთხრა კრისტაპმა.

— ვიცი, მაგრამ შენი გამოფენისთვის პლაკატი შემიკვეთეს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

კრისტაპს ისე გაუკვირდა, ადგილიდან წამოიწია კიდეც. ნახატს დახედა და უკმაყოფილოდ დაიღრიჯა.

— ვარდისფერი ვრთები და თავზე ლადგმული შარავანდედივით მაკლია. — ცოტა მოწია და კიდევ უფრო მოიღუშა: — შაქარი ისეც ზედმეტი მოგვსვლია.

ამ დროს ტელეფონი აწკრიალდა.

— მოსვენებას არ იძლევიან.

— ვუპასუხო?

— არ არის საჭირო!

— იქნებ რამე მნიშვნელოვანი საქმე აქვთ?

— კრებებზე დიდი ხანია აღარ მეძახიან. გადავეჩვიე, — ჩაიცინა კრისტაპმა.

— იქნებ ვინმე ახლობელი გვირეკავს?

— ახლობელი ადამიანი ტელეფონით არ რეკავს, იგი მოდის.

კრისტაპი აუსმას მიაჩერდა. შემდეგ, თითქოს შეეშინდა, თავი გაეეცოო, სწრაფად მოტრიალდა, პორტფელიდან ფოტოსურათების გროვა ამოიღო, იატაკზე დაყარა და ისე მიუჯდა, როგორც მკითხავი კარტს. ყველა ფოტოზე ტყის ერთი და იგივე ადგილი ილებექდათ, ოღონდ თვითეული სხვადასხვა რაკურსითა და სხვადასხვა მანძილიდან იყო გადაღებული. კრისტაპმა რამდენიმე ფოტო გადაარჩია და გვერდზე გადადო.

— რატომ დუმხარ? — ვეღარ მოითმინა აუსმამ.

— ვფიქრობ.

— იმდენჯერ იყავი იქ და ვერაფერი მოიფიქრე?

— მელიორატორებს სწორედ აქ უნდათ თავიანთი არხის გაყვანა, — კრისტაპმა ფოსტლის ქუსლით ერთ-ერთ სურათზე ანიშნა. — მაგრამ ამ მუხებზე არავინ ფიქრობს. — ახლა მეორე სურათი აიღო. — მოგვეხსენება, ქანდაკება მუხის ხეთა ფონზე თუ არ დაიდგა...

— კოლმეურნეობაში რაღა გითხრეს?

— თავმჯდომარე ძველი ჯარისკაცია. მხარს მე მიჭერს, მაგრამ რაიონის ხელმძღვანელობის გატეხვა არც ისე იოლი საქმეა. ვეუბნები, ეს ლატვიელ მსროლელთა ძეგლია-მეთქი! ისინი კი რაიონის ჭაობიანი მიწების დაშრობის გეგმას მიტრიალებენ თვალწინ... ეგ არაფერი, მათ წინააღმდეგ ბუნების დაცვის საზოგადოებას ავამოქმედებ. დღესვე დავრეკავ.

განალისებულმა კრისტაპმა სურათები შეკრიბა და კუთხეში მიყარა.

— ნეტა იცოდე, როგორ გაგვიმართლა, ეს ქვა რომ ვიპოვეთ! პირდაპირ ხელები მექავება. შენ როგორია გაქვს საქმე? მეორე ვარიანტიც მზადა გაქვს?

აუსმას აჩქარად კრისტაპი პროფილში დაეხატა.

— ტიპიური სააღდგომო ღია ბარათია, გული ისე ამიჩუყდა, მზად ვარ, ვიტირო, — ჩაიბუზღუნა კრისტაპმა. — თუ ქალი ხარ, მოეშვი ჩემს ხატვას.

აუსმამ ესკიზი კედლიდან უხმოდ ჩამოხსნა და დაგორგლა. თვალები აცრემლებოდა.

— აი, ერთხელაც ავდგები და დაგხატავ... მაშინ ნახე შენი დღე... — არ იშლიდა კრისტაპი. უცებ მიხვდა, აუსმას მართლა ატკინა გული, და სულ სხვა ხმით დაუმატა: — არ გეწყინოს.

— მართლა დამხატავ? — ჰკითხა აუსმამ და გაიტრუნა.

კრისტაპს ისღა დარჩენოდა, განეხორციელებინა ის მუქარა, უნებურად რომ წამოროშა.

— დაჯექი! — უბრძანა და ქაღალდის ფურცელი შტატივზე დაამაგრა.

ენერგიული შტრიხებით მოხაზა თავი, თმა, წარბები. და სწორედ ამ დროს შეამჩნია, რომ აუსმის თვალებში — მათ აღარ მალავდა შეღებილ წამწამთა ჩერო — უჩვეული, აღგზნებული, მოლოდინით აღსავსე, თითქმის ჰიპნოზური დაძაბული გამომეტყველება გაჩნდა:

— როგორც კი მომეჩვენება შენი რომელიმე ნაკვთი სწორად აღვიქვი, გამომეტყველება იმწამსვე გეცვლება, — დაიწუწუნა კრისტაპმა. — რას ფიქრობ?

— ჩვენზე ვფიქრობ.

— მითხარი, მე ხომ უნდა ვიცოდე რას ფიქრობ.

— ყველაფერი, გინდა იცოდე? გინდა დამცინო, არა? — მკაცრად ჰკითხა აუსმამ. — ერთი იმაზე თუ გიფიქრია, იქნებ მეც მინდა, უფრო უკეთ ვიცოდე შენი წარსული ცხოვრება?

— ძალიან კარგი! — იყვირა კრისტაპმა. — ნუ გახსნი შეკრულ კოჰებს.

აუსმამ ხელი უიმედოდ ჩაიქნია.

— გახსოვს ერთმანეთი როგორ გავიცანით? შენზე ახალგაზრდულ გაზეთში სტატიის დაბეჭდვას ვაპირებდი. წინასწარ ვიფიქრე სტატიაზე და შენსკენ მომავალმა შევთხზე კიდეც: ცნობილი ხელოვანის ზრუნვით გარემოცული ნიჭიერი თვითნასწავლი მოქანდაკე, პირველი მარცხი და წარმატება, საკუთარი ხელწერის ძიება, სამხატვრო აკადემიაში სწავლა, სადიპლომო შრომა... მხოლოდ ზოგიერთი თარიღი და კონკრეტული ცნობალა მაკლდა. მოდა, მაშინ გნახე — იმაზე ხნიერი გამოდექი, ვიდრე მეგონა, და, გთხოვ, ნუ გეწყინება, უფრო ინტელიგენტურიც. წინასწარ მოხაზული თემა დამერღვა, ანაზდად მომინდა რაღაც ღრმად ფსიქოლოგიური და შთამბეჭდავი დამეწერა. მაგრამ შენ კატეგორიული უარი მითხარი — შეკითხვებზე პასუხს არ გაგცემო. კრისტაპ, შენს წარსულზე რატომ არაფერს მეუბნები?

— დაგიფიცე, ცხოვრებაში თავს არავის მოვაბეზრებ ჩემი წარსულის მოყოლით-მეთქი, უკიდურეს შემთხვევაში საპენსიო ასაკამდე მაინც...

— ბევრი ტანჯვა გადაიტანე არა?

— ტანჯვა... — კრისტაპმა მხრები აიწურა. — უკეთ რომ ვთქვათ, ხეირიანად არასოდეს მიცხოვრია იმიტომ დროთა განმავლობაში ყოველთვე ის, რაც ადრე დავკარგე, შენაძენად

მყქცა... თუმცა შენ ამას ვერ გაიგებ, ოკუპაციასა და ომის შემდგომ წლებს მხოლოდ სხვათა ნაამბობით იცნობ. ასე ვთქვათ, კარგ დროს ხარ დაბადებული.

— ამიტომ უფლება არა მაქვს ვიცოდე? — გამომწვევად ჰკითხა აღსმამ. — კარგი, ბანაკისას ნურაფერს მეტყვი, მაგრამ ის მაინც მითხარი, მოქანდაკე როგორ გახდი?

— ესეც გრძელი ამბავია, — ორჭოფულად მიუგო კრისტაპსმა და უეცრად იგრძნო, რომ ცთუნებას ვეღარ გაუძლებდა და მრავალი წლის დუმილის შემდეგ, ბოლოს და ბოლოს, ყველაფერს იტყოდა.

ბიბლიოთეკა

* *

შემოდგომის ბნელი ღამე იყო. ჟინჟღლავდა.

სალასპილსის საკონცენტრაციო ბანაკში არც ერთი პროჟექტორი არ ენთო, ბარაკების სილუეტები ძლივსღა ილანდებოდა სიბნელეში.

მაგრამ წყვდიადის უძრაობა მაცდური გახლდათ. ისმოდა გუშაგთა ნალმაჭედებული ფეხსაცმლებისა და ჰატიმართა ხია მაშინების ხმაური, ვიღაცა ხრინწიანი ხმით იგინებოდა, გუგუნებდნენ მანქანების ძრავები.

მძიმე ტვირთქვეშ მოკაკული ლანდები ეკლიანი მავთულის გასწვრივ გარბოდნენ, მანქანებზე ბანაკის ადმინისტრაციის არქივსა და ფუთებში გამოკრულ ნაძარცვ ქონებას ტვირთავდნენ. უკანასკნელ საბარგულისკენ ტყვეები წაასხეს და ძარაში შერეკეს.

კოლონა დაიძრა.

ცოტა რომ გაიარა, შეჩერდა, გზატკეცილზე უწყვეტ ნაკადად მიედინებოდა რიგისაკენ დამარცხებული ვერმახტის ნაწილები.

თითქოს მოულოდნელმა დამუხრუჭებამ გამოაფხიზლაო, უკანასკნელ საბარგულს შავი ლანდი მოწყდა, გზა გადაირბინა და ფიჭვნარში მიიმალა.

— სდექ!

ძახილს ავტომატის ჯერიც მოჰყვა.

ლტოლვილმა უბეში შენახული რევოლვერი ამოიღო, მაგრამ არ ესროლა. მისთვის ყოველი წამი ძვირფასი იყო.

დროს ფაშისტებიც უფრთხილდებოდნენ. სახუმარო იყო, ვიღაც არამზადის დევნაში დაეკარგათ დრო, როცა საკუთარი ტყავი უნდა გადაერჩინათ. მოტოციკლეტებისა და ჯავშნიანი მანქანების ნაკადში გასასვლელი რომ შენიშნა, კოლონის უფროსმა ბრძანა, გზა გაეგრძელოთ.

ლტოლვილმა ნაძვებშუა ქვის სამტკიცოს ჩაუარა და გზა ფრთხილად განაგრძო. ეს კრისტაპსი გახლდათ. მანძილი ბევრი იყო. კრისტაპსი ღელეებს შორის მიიკლაკნებოდა, გზას და წამდაუწუმ უკან იხედებოდა. ყოველი ნაბიჯის გადადგმაზე რწმენა უბრუნდებოდა. უკან არავინ მისდევდა. ბოლოს წელში გაიმართა და გაიქცა.

იმ ღამეს რიგის ქუჩები გაპარტახებული იყო — ღამღამე გადიოდა აფეთქებულ შენობებს, მიიჩქაროდა უთვალავი კოლონა. მესამენები სანგრებს, სახურავებს, შესასვლელებსა და პატრულებს წყვეტდნენ, დრო და დრო კომენდანტის ბუნკერს ასხამდნენ. ჰაერი აფეთქებულ ხიდებს — მთავარი იყო როგორმე გაესწროთ: სულ ახლოს ისმოდა საბჭოთა არმიის მძიმე არტილერიის გრიალი.

კრისტაპსს ორმაგი სიფრთხილე მართებდა, რომ დაეჭირათ, ადგილზევე დახვრეტდნენ. ქალაქის ცენტრამდე მისვლას ჩქარობდა, იქ მშობლები ეგულებოდა.

უცებ საბარგო მანქანების ღამაზრზენმა ჭუჭყმა თვალი მოსჭრა, გერმანელ მეზღვაურს სამხედრო ორკესტრის მოწყობილობა მიჰქონდათ.

კრისტაპსი შენობის კარს მიაწყდა, მაგრამ ამან ოდნავაც ვერ უშველა. კიდევ უფრო მაგრად მიაწვა კარს, რომელიც მჭიდროდ დახურული ჭრიალით გაიღო. კრისტაპსმა წამიერად თვალი მოავლო მიმდინარე კიბეს, შემდეგ კი ყველაფერი სიბნელეში მოიცვა.

მეორე სართულზე ავიდა, კარი შეაღო, ფანჯარასთან ხელი ფარდის ფოთლით მივიდა, ფარდა გადასწია და ფანჯარაში გაიხედა. ავტოკოლონა წასულიყო. ძრავების გუგუნიც კი აღარ ისმოდა.

კრისტაპსი შინ მივიდა...

დედამ საოკუპაციო დროისათვის ჩვეულებრივ მოცირებული სუფრა გაუშალა, რაც კი საკუჭნაოში სუფთესი მოიძია, ყველაფერი გამოიტანა. შემდეგ დაჯდა, ხელები მუხლებზე დაიწყო და შვილისთვის სიყვარულით ანთებული თვალები არ მოუშორებია.

— ჭამე, შვილო, ჭამე, ხომ იცი, სიცოცხლე თვითონ უნდა ჭამო, სადილი მეგობარს გაუყო, ვახშამი კი...

— მახსოვს, დედა, — სიტყვა გააწყვეტინა კრისტაპსმა და გაიღიმა. — ჩემთვის ეს ვახშამიც არის და საუზმეც... ახლა რომ მიგაგნებენ, სამ დღე-ღამეს ვიძინებ.

— ჯერ უნდა იბანაო. შენი პალტო და თეთრეული ღუმელში შევტენე. ისეთი ჭუჭყიანი იყო, კაცი იფიქრებდა, მთელი საუკუნე არ გამოუცვლიათ.

კრისტაპი მიხვდა, დედას საკონცენტრაციო ბანაკზე წარმოდგენაც კი არა ჰქონდა.

— ერთ დღე-ღამეს ქვის სამტეხლოებში ვიმალებოდი...

— გაჩუმდი, — ქალმა შვილს ხელზე ხელი გადაუსვა. — მთელი ამ ხნის განმავლობაში ალბათ ბევრი იფიქრე. არასოდეს გითხოვია, საქმელი გამოგვეგზავნა, მხოლოდ წამლებს ითხოვდი. თავდაპირველად მამაშენი ცდილობდა იმ წამლების მიხედვით დაედგინა დიაგნოზი, მერე დაასკვნა, ჭლექი ის სენი შეეყრება. რაც კი პლატონის სამკურნალო ენციკლოპედიაშია ჩამოთვლილი.

— წამლები ბანაკის საავადმყოფოსთვის გვჭირდებოდა, — მოკლედ აუხსნა კრისტაპმა.

— ახვისთვის?.. — დედამ ყურებს არ დაუჯერა. — ის წამლები რომ ეშოვნა, მამაშენმა ფაიფურის უძვირფასესი კოლექცია გაყიდა.

— მართლა! ახლა სად არის? საავადმყოფოში?

— მამაშენი შინ აღარ მოვა! — წარმოთქვა დედამ, მაგრამ მწუხარებამ ხმა ჩააწყვეტინა. — საფლავიც კი არ ვიცი. ორი კვირის წინ საავადმყოფოდან რამდენიმე [illegible] ფიჭვნარისკენ წაიყვანეს. საღამოს რომ დაბრუნდა, ავად იყო. თურმე მთელ დღეს მიცვალებულები ეთხარათ და ეწვათ. დილას ისევ წავიდა და მას შემდეგ აღარ მინახავს. მხოლოდ გუშინწინ მოვიდა ერთი ნაცნობი ფერშალი და მიამბო, რომ იქვე დაეხვრიტათ.

ქალი ქვითინებდა და ძნელი დასაჯერებელი იყო, რასაც ამბობდა.

— ესესელებისთვის განუცხადებია, ექიმები მესაფლავეები როდი არიანო... თქვენს დანაშაულებრივ მოქმედებას არ დავმალავთო... ერთი სიტყვით, სიმართლე პირში მიუხლია... მამაშენს ხომ კარგად იცნობ...

კრისტაპმა არ იცოდა, როგორ დაემშვიდებინა დედა, და არცა ჰქონდა ამის თავი. ილაჯგაწყვეტილი დივანამდე ძლივს მილასლასდა. დედამ ჩუწარი რომ გადააფარა, უკვე ეძინა.

— კრისტაპ... ერთი აქეთ მოდი! — დაუძახა დედამ კარგა ხნის შემდეგ.

კრისტაპმა ფანჯარა გააღო და გადაიხედა — ქუჩაში ორი ჯარისკაცი მოაბიჯებდა. მეკავშირეები იყვნენ, ზურგზე მავთულდახვეული კოჭი ეკიდათ.

მოსახვევთანაც რამდენიმე საბჭოთა ჯარისკაცი იდგა.

— ორმოცდაერთ წელს უკან რომ იხევდნენ, სხვანაირი ქუდები ეხურათ, — უთხრა აღელვებულმა დედამ. — როგორ ფიქრობ, საავადმყოფოში არ დამაწყებინებენ მუშაობას? პირველი მსოფლიო ომის დროს, სანამ მამაშენს შევხვდებოდი, მოწყალების დად ვმუშაობდი...

— ვიტა კი გერმანიაში წაიყვანეს, — ჩაიჩურჩულა კრისტაპმა. როიალთან მივიდა, სახურავი ახადა და შავ-თეთრ კლავიშებს დიდხანს დასცქეროდა.

* *

რაიონის სამხედრო კომისრის კაბინეტი. კაბინეტის შუაგულში მწვანე მაუდგადაფარებული მაგიდა იდგა, კუთხეში კი უზარმაზარი სეიფი, კედელზე მხედართმთავრების პორტრეტები, ლოზუნგები და პლაკატები, კედლის გასწვრივ კი სკამები ჩაემწკრივებინათ. კალენდარზე 1944 წლის ნოემბრის ფურცელი იყო გადაშლილი.

ნაადრევად გაჭაღარავებული პოლკოვნიკის სამხრეებიანი სამხედრო კომისარი ჩასუქებული, მაგრამ იმდენად მოძრავი კაცი გახლდათ, რომ საწერ მაგიდასთან ერთ წუთსაც ვერ ძლებდა. ლაპარაკისას ოთახში ისე დააბიჯებდა, თითქოს ადგილს არჩევდა, საიდან აჯობებდა ბრძოლის ხელმძღვანელობა.

კრისტაპი კართან იდგა. ლურჯი, ოპამდე შეკრული კოსტიუმი მხრებზე შემოტმასნოდა.

— მაპატიეთ, მაგრამ თქვენს განკარგულებაში ზუსტად ათი წუთია, — უთხრა პოლკოვნიკმა და კრისტაპს ანიშნა, დაბრძანდითო. — იქნება, თქვენ, მგონი არ გამოგვიძახებიხართ?

— მე პირადი საქმე მაქვს და გთხოვთ მომისმინოთ, — უთხრა კრისტაპმა.

— თქვენი განცხადება წავიკითხე, — პოლკოვნიკი ოთახში დააბიჯებდა და კრისტაპი იძულებული იყო თავი აქეთ-იქით ეტრიალებინა.

— მაშასადამე, გჯერათ, რომ ბანაკის კომენდანტთან ორდონანტის მოვალეობას იატაკქვეშელთა დავალებით ვასრულებდი? — კრისტაპის ხმა იმედიანად აჟღერდა.

— მისმინეთ, ახალგაზრდავ, პასპორტი მოგცეს, რიგაში ჩაწერის ნება დაგრთეს, სასურსათო ბარათები მიიღეთ და რაღა საფუძველი გაქვს, არ დაგიჯეროთ?

— იმის უფლებას რატომ არ მაძლევენ, ხელში შაშხანა ავიღო და ჰიტლერელებზე შური ვიძიო?

— ვიცი, თქვენ ფრონტზე გინდათ წასვლა, მაგრამ, სამწუხაროდ...

პოლკოვნიკმა ხელები გაშალა.

— სამედიცინო კომისიას ხვეწნანარ არც კი გავუსინჯივარ, — შეეცადა კრისტაპი.

— ძვირფასო მეგობარო, იმაში დასარწმუნებლად, რომ ფეხზე ძლივს დგახარ, ექიმი არ არის აუცილებელი. კომისიამ გადაწყვიტა, ფრონტზე კი არა, სანატორიუმში წახვიდეთ.

— ბანაკში ფძლური არა ვყოფილვარ! აი, ჩემი საომარი ტროფეი.

კრისტაპმა მაგიდაზე პისტოლეტი დადო.

პოლკოვნიკმა სერიოზული სახე მიიღო.

— ნება მომეცით, ბრძოლა განვაგრძო, — სთხოვა კრისტაპმა წუთიერი დუმილის შემდეგ. — კიდევ ბევრი ფრიცებთან ანგარიში გასასწორებელი.

— ფრიცებთან გასასწორებელი ანგარიში ბევრს ღირსა, მაგრამ ეს ჯერ კიდევ არ ნიშნავს... იარაღი უნდა დაგვიტოვოთ. — პოლკოვნიკმა პისტოლეტი სეიფში შეინახა. — ახლავე გავცემ ბრძანებას, რომ ხელწერილი მოგცენ.

— ამხანაგო პოლკოვნიკო... ამ პისტოლეტისთვის ბანაკში... თქვენ... თქვენ კი ქაღალდის ნაგლეჯს მაძლევთ. ჩემთვის დიდი მნიშვნელობა აქვს, ქვეყანამ გაიგოს, რომ ვიბრძოდი..

— ეს სურვილი განცხადებაშიც აღნიშნეთ, — პოლკოვნიკს მოთმინება ელეოდა. — მაგრამ როგორ უნდა დაამტკიცოთ? მოწმეები გყავთ?

— საქმეც ის არის, რომ არა მყავს. სხვა იატაკქვეშელები დახვრიტეს.

— არ შეიძლება ყველა დაეხვრიტათ. აი, თქვენ ხომ გადარჩით. იქნებ კიდევ გამოჩნდეს ვინმე.

— მანამდე ხალხს თვალებში როგორ ვუცქირო?

პოლკოვნიკმა კრისტაპს ზურგი აქცია და ფანჯარაში გადაიხედა.

— მინსკში, — უთხრა მან, — ცოლი და შვიდი წლის ბიჭი დამრჩა. ისიც არ ვიცი, სად არიან დამარხული. — მერე სტუმარს მოუტრიალდა და ცივად წარმოთქვა: — ფილტვები არა მაქვს, ავადმყოფი კაცი ფრონტზე გავგზავნო.

— იქნებ საერთოდ არა გჯერათ, რომ ბანაკის იატაკქვეშეთში?..

— მჯერა, მჯერა! სწორედ ამიტომ ჯანმრთელობა უნდა მოიკეთოთ.

— გთხოვთ, ამხანაგო პოლკოვნიკო, — კრისტაპს სასოწარკვეთილება ეუფლებოდა. — თქვენ რას იზამდით, ჩემს ადგილზე რომ იყოთ?

— მე? — ჩაფიქრდა სამხედრო კომისარი. — ერთბაშად ძნელი სათქმელია. ისწავლეთ, დაამთავრეთ საშუალო სკოლა, იმუშავეთ. ჯერ კიდევ წინ გაქვთ ყველაფერი.

* *

დიდი ხნის შემდეგ მიხვდა კრისტაპი, რომ პოლკოვნიკს მისთვის არაფერი უსაყვედურია, პირიქით, თანაუგრძნო. მაგრამ მაშინ ეჩვენებოდა, ყველაფერი დაიღუპა, რასზედაც ბანაკში ვოცნებობდი, რისთვისაც ვიბრძოდი და რამაც გადამარჩინა. ომის შემდეგ მისი კბილა ბიჭები ორდენებითა და მედლებით მკერდდამშვენებული რომ დაბრუნდნენ შინ, კრისტაპს ეს გრძნობა არასრულფასოვნების კომპლექსად გადაექცა. იმათ, ვინც ვერ დაბრუნდნენ, იგონებდნენ და პატივს სცემდნენ, როგორც გმირულად დაღუპულებს. კრისტაპს შეურაცხყოფას არავინ აყენებდა, სალანძღავ სიტყვებსაც პირში არავინ ახლიდა. მაგრამ მაინც ეჩვენებოდა, რომ მის გარშემო გამეფებულიყო სიცარიელე, რასაც რამდენადმე გიტას სევდიანი ხსოვნა ავსებდა მხოლოდ. თანდათანობით ეს ხსოვნა კედელივით აღიმართა კრისტაპსა და მის თანატოლებს, შემდეგ კი საერთოდ ყველა ქალიშვილს შორის, ვინც თანახმა იყო დამეგობრებოდა ამ ახოვან, თუმცა პირქუშ ჭაბუკს. ახლოს არავის იკარებდა, რადგან საკუთარ ფიქრებში მუდამ საკუთარი თავისადმი მიმართული კითხვა ჩაესმოდა: „როგორ გადარჩი ცოცხალი?" ესმოდა საყვედური, არავის რომ არ გამოუთქვამს: „რა უფლებით გადარჩი?"

მაგრამ კრისტაპი არ აპირებდა, ვინმესთვის ეთქვა ეს ამბავი. უნდოდა, ქალისათვის ეამბნა თავის პირველ ცდებზე, იმ მძიმე გზაზე, დღევანდელ დღემდე რომ მოიყვანა, როცა ბოლოს და ბოლოს, შეეძლო თავისი თავი ჩამოყალიბებულ, საკუთარი ხელწერის მქონე მხატვრად ეღიარებინა. უნდოდა იმ ხალხის მოგონება, ვისი მეგობრული დახმარების იმედიც ჰქონდა, პირველ დამოუკიდებელ ნაბიჯებს რომ დგამდა. დასაწყისი კი გიტაზე დარდით იყო დაკავშირებული — სწორედ გიტაზე ფიქრობდა კრისტაპი, კედელზე დასაკიდებელ ნიღბებს რომ ქმნიდა, რომელთაგანაც მოგვიანებით „მანიკელი გოგონა" იშვა...

* *

პიჩი დაბრუნდა. თავისთავად ესეც სასწაულს ნიშნავდა. ბიჭის ნაამბობი თავის სიკვდილმისჯელ ამხანაგებზე, საბჭოთა არმიის ძლევამოსილმა შეტევამ რომ იხსნა, ზღაპარს ჰგავდა. გიტას შესახებ მხოლოდ ის იცოდა, რომ ქალიშვილი დასავლეთ გერმანიის რომელიღაც სამხედრო ქარხანაში გაეგზავნათ. ნუთუ იგი ახლაც იმ ბანაკში იტანჯება?

კრისტაპი მთელ ღამეს წერდა ტელეგრამისთვის გამოსადეგ სიტყვებს. შლიდა, წერდა, ისევ შლიდა. გათენებისას კრისტაპმა გადაწყვიტა, რაც მთავარია, რომ გიტას გული გაუმხნევოს, ჩემი მისამართია ვიცნობო, ცოცხალი ვარ და გელოდებით.

ტექსტი დაიზეპირა და სტუდიაში წავიდა. მიკროფონთან მაგიდას მიუჯდა თუ არა, იგრძნო, რომ ყველაფერი დავიწყებოდა. კიდევ კარგი, გვერდით სანდომიანი, კეთილი დიქტორი ქალი იდგა.

— მშვიდად, — გაამხნევა ქალმა, რაკი შეატყო, კრისტაპი ღელავდა. — თავდაპირველად ცვილის ფირფიტაზე ვიწერთ და ეთერში მხოლოდ ამის შემდეგ ვუშვებთ. შეგიძლიათ გაიმეოროთ, რამდენჯერაც საჭირო იქნება.

მეორე ცდისას კრისტაპს მღელვარებამ გაუარა. მოწოდება დაზეპირებული ლექსივით რომ არ ჟღერებულიყო, იგი დიქტორს მიაჩერდა და დაიწყო:

— ...ამ ზაფხულს საშუალო სკოლა დავამთავრე, მინდა სამხატვრო აკადემიაში შევიდე. ვერ წარმოიდგენ, როგორ გამეხარდა, რომ ჩვენი პატარა პიჩი დაბრუნდა. ახლა იგი ისევ ჯანმრთელადაა, მხიარულია, ორივენი მოგელით შინ, სამშობლოში, გიტა, ჩაიწერე ჩემი მისამართი...

ლოყებაღაჟღაჟებულმა, ოფლში გაღვრილმა კრისტაპმა სკამი გვერდზე გასწია.

— აი, ხომ ხედავთ! — მოწონების ნიშნად უთხრა დიქტორმა ქალმა, — ერთხელაც არ შეცდომილხართ.

— გმადლობთ!

— იმედი მაქვს, დაბრუნდება, — გულკეთილად იღიმებოდა ქალი. — რა არის თქვენი — და თუ საცოლე?

სტუდიის მინის კედელზე ოპერატორმა დააკაკუნა და კრისტაპს ანიშნა, ჩემთან შემოდით.

— ჩაწერამ კარგად ჩაიარა, — დაამშვიდა ოპერატორმა, — კალნინშმა შემოიხედა და გთხოვთ, ჩემთან შემოიაროსო.

უფროსი რედაქტორის კაბინეტში მხოლოდ მაგიდის ლამპა ენთო, ამიტომ კრისტაპმა უცებ ვერ იცნო კაცი, თავი რომ დაეხარა და ხელნაწერს ფურცლავდა.

— მიპატიეთ, მობოდიშა კრისტაპმა. — მითხრეს... — სიტყვა ვეღარ დაასრულა, სიხარულით აღტაცებულმა ხელები გაშალა და ყოფილ ბანაკელ ამხანაგს მიაშურა:

— გრძელი ულდრიკ! საიდან სადაო?

ულდრიკმა კალნინი კრისტაპს თავშეკავებულად მიესალმა. ის ისე ჩამოყვითლებული აღარ იყო, როგორც სალასპილსში, ამიტომ გრძელიც აღარ ეთქმოდა.

— საიქიოდან, რომელსაც ბუხენვალდი ერქვა. შემდეგ კი სამი წელიწადი არმიაში ვმსახურობდი. გაგონილი მქონდა, შენც ცოცხალი იყავი. თუმცა, ცხადია, [illegible] ჩემთან მოსვლა.

კრისტაპი გაფითრდა.

— რაზე მელაპარაკებით?

— იმაზე, რის დავიწყებასაც თვითონ ისურვებდი: ბანაკში შენს საქმიანობაზე... ნუ ღელავ, დაჯექი და მიამბე, რა საერთო გქონდა კომენდატურასთან?

— განა არ იცით?

— თარჯიმნად რომ მსახურობდი, ყველამ იცოდა.

— ნუთუ თქვენც გგონიათ, რომ მათ ჩემი სურვილით ვეახლე და სამსახური შევთავაზე? ეს იატაკქვეშელთა დავალება იყო.

— ამას დამტკიცება უნდა.

— ექიმს არაფერი უთქვამს? თქვენ ხომ თან ახლდით, ის რომ წაიყვანეს.

— რასაკვირველია, მითხრა. მაგრამ ისეთი ვინმე რომ იყო, როგორადაც გინდა თავი გაასაღო, მაშინ ჩემთან გაცილებით ადრე მოხვიდოდი. დიახ!

— მე ბევრჯერ მოგაკითხეთ, მაგრამ თქვენ არც კი მომისმინეთ.

— იმიტომ რომ შენ გიტას სააღერსოდ მოდიოდი. — კალნინს ხმაში ყოყმანი დაეტყო. — მარგალიტის თვლები უნდა მოგეტანა...

— მარგალიტის თვლები? — ვერ გაიგო კრისტაპმა. — კი, მქონდა.

— მერე რა უყავი?

— გიტას მივეცი, ბავშვებს გერმანიაში რომ გზავნიდნენ.

კალნინი დუმდა.

— მათი გადაცვლა წამალზე შეუძლებელი გახდა, გაწყვეტილი იყო ყოველგვარი კავშირი და გადავწყვიტე, რომ აჯობდა... — კრისტაპი მიხვდა, წყალს ნაყავდა და გაჩუმდა.

— აი, თურმე რატომ ეპატიჟები ასე ხელგაშლილად შინ, — ჩაიცინა კალნინმა. — გინდა ქვეყანა დაარწმუნო, სიმართლის არ მეშინიაო.

— ყველა მიჯერებს, მხოლოდ თქვენ გეპარებათ ეჭვი!

— მხოლოდ მაშინ დაგიჯერებ, მარგალიტის თვლებს რომ ვნახავ. თუ დღეს არ წამოგიღია თან, ხვალ მოიტანე, გაიგე? — კალნინი ადგა. — მოიტა, საშვზე ხელს მოგიწერ.

* *

...გავიდა წლები. კრისტაპი დავაჟკაცდა. გრძელი თმა უკან გადაევარცხნა. ძალიან უნდოდა დამსგავსებოდა „გულგრილი ახალგაზრდა კაცის" მოდურ ტიპს, თუმცა აცახცახებულ თითებზე ეტყობოდა, რომ ძალიან ღელავდა. ჯერ კიდევ გუშინ სულაც არ ეეჭვებოდა, რომ სამხატვრო აკადემიაში მიიღებდნენ — ყველა გამოცდა ისე ჩააბარა, ერთი სამიანიც არ მიუღია, მაგრამ დღეს განცხადებათა დაფაზე თავისი გვარი ვერ აღმოაჩინა.

— დაბრძანდით, მიმღები კომისიის თავმჯდომარე ახლავე მოვა, — უთხრა მდივანმა ქალმა და წავიდა.

კრისტაპი ჩამოჯდა. აღარ იღიმებოდა. მობუზული, გულმოკლული კრისტაპი სიცარიელეს გასცქეროდა. უაზროდ და უიმედოდ ეჩვენებოდა მომავალი.

გაისმა ფეხის ხმა. კრისტაპი გრძნობდა, რომ თავდაჯერებულ, რწმენით აღსავსე ადამიანს უნდა დამსგავსებოდა, თორემ საკუთარ ნება-სურვილს სხვას ვერ მოახვევდა თავს, ვერ დაამტკიცებდა, მართალი ვარო.

აუდიტორიაში სამხატვრო აკადემიის მასწავლებელი შემოვიდა — შავგვრემანი, ჭაბუკური გარეგნობის ოცდაათიოდე წლის კაცი. ხაკისფერ გიმნასტურას ორდენების სამწკრივი ლენტი უმშვენებდა. ხელთათმანიან მარჯვენა ხელში კრისტაპის საგამოცდო ფურცელი ეჭირა. კრისტაპს ხელით ანიშნა, ნუ ადგებიო და გვერდით მიუჯდა.

— იმის გასაგებად მოვედი, რატომ არ მიმიღეთ, — კრისტაპი ცდილობდა ხაზგასმული სიმშვიდით, თავაზიანად ელაპარაკა.

— დიახ, თქვენ არ გაგიმართლათ, ამხანაგო აბოლტინო. ამჯერად ძალზე დიდი კონკურსი იყო და ოცდაჩვიდმეტქულიანი მხოლოდ მსურველთა ნახევარი მივიღეთ.

— კი მაგრამ, იმ მეორე ნახევარში მარტო მე შევდიოდი! — შეეკითხა კრისტაპი.

— ეს ელემენტარული მათემატიკა გახლავთ, რადგან ოცდაჩვიდმეტი ქულა სულ ორმა კაცმა მოაგროვა.

— ჩვენ ყველა საგანში ერთნაირი ნიშნები გვქონდა, — არ ცხრებოდა კრისტაპი.

— თქვენ ბავშვი აღარა ხართ, ამხანაგო აბოლტინო, და პირდაპირ გეტყვით, — წყნარად განაგრძო მასწავლებელმა, — სასწორის პინა მის სასარგებლოდ იმ ფაქტმა გადასწონა, რომ თქვენი მოწინააღმდეგე ყოფილი ფრონტელი გახლავთ.

— ფრონტზე მეც ვიყავი, ოღონდ სხვა ფრონტზე.

— ნუთუ არ გესმით? მითითება გვაქვს, რომ პირველ რიგში დემობილიზებული ჯარისკაცები მივიღოთ.

კრისტაპი დიდუმდა. მასწავლებელი რაკი დარწმუნდა, სტუმარი წასვლას არ აპირებს, საუბარი განაგრძო:

— ამ ომმა მხოლოდ თქვენი გეგმები როდი ჩაშალა. მეც მხატვრობაზე ვოცნებობდი და სადიპლომო სამუშაოს დაწყებაც მოვასწარი, მაგრამ ესთეტიკაში ვკითხულობ ლექციებს. ვიცი, რომ ბანაკში ხართ ნამყოფი. უნდა გიხაროდეთ, რომ ცოცხალი გადარჩით.

— იმიტომ გადავრჩი, რომ მიზანი მქონდა დასახული. მარტო გადარჩენა კი არ მინდოდა, ცხოვრებაში რაღაცის მიღწევასაც ვაპირებდი. ჰოდა, ახლა ამისათვის რაღაც უმნიშვნელო ქული არ მყოფნის...

— იცით, რა, — უთხრა მასწავლებელმა, — ხელოვნების ისტორიის ფაკულტეტზე იმდენი მსურველი არ ყოფილა, მე მოველაპარაკები რექტორს.

— გმადლობთ! — კრისტაპმა თავი გაიქნია. — სჯობია ერთ წელიწადს დავიცადო.

— სიმართლეა, სრული სიმართლეა! — გაეხარდა მასწავლებელს. — თუ თანახმა იქნებით, სამხატვრო კომბინატში მოგაწყობთ. ასე რომ, მომავალ წელს სამუშაოზე მიღებული რეკომენდაციით მოხვალთ. მაგრამ ფარ-ხმლის დაყრა არც იფიქროთ, თქვენი საკონკურსო ნამუშევარი ყველას მოეწონა!

გამოთხოვებისას კრისტაპს მარცხენა ხელი გაუწოდა. კრისტაპმა მხოლოდ მაშინ შენიშნა, რომ ხელთათმანიანი მარჯვენის მტევანი ხისა ჰქონდა.

* *

კრისტაპს არ ესიამოვნა პარტიული ორგანიზაციის მდივნის მიწვევა — სამუშაოს შემდეგ შემოიარეთ. წესად ჰქონდა, არ დახვედროდა უფროსებს — ან რამე საზოგადოებრივ დავალებას მომცემენ, ან რომელიმე კომისიაში ჩამრთავენ. ერთი სიტყვით წამართმევენ ძვირფას დროს, ქანდაკებაზე სამუშაოდ ძლივს რომ ვპოულობ. უარის თქმა მაინც ეუხერხულა.

აი, კრისტაპი დიზაინის განიერ კაბინეტში იჯდა, საუბრის დაწყებას ელოდა. მდივანიც დუმდა. მოხუცი ყალიონს აბოლებდა და კრისტაპს მოჭუტული თვალებით შესცქეროდა.

— კრისტაპ, მალე წელიწადი შესრულდება მას შემდეგ, რაც ჩვენთან მუშაობ, — დაიწყო ბოლოს იანის ვაიდარმა. — ჩემთან კი ერთხელაც არ შემოგივლია. თითქოს ახალგაზრდობაში მამაშენის მეგობარი არ ვყოფილიყო.

— სწორედ ამიტომ არ მინდოდა თავი მომებეზრებინა.

— თავაზიანობისათვის მადლობას მოგახსენებ... როგორც ხედავ, არც მე ვაპირებდი ძალით ჩაგძრომოდი სულში, არც ახლა მინდა ეს, მაგრამ მაწუხებს განდეგილივით საკუთარ ნაჭუჭში რომ ჩაიკეტე.

— რას ამბობთ? — კრისტაპს ისე ეჭირა თავი, თითქოს მდივნის სიტყვები პირდაპირი მნიშვნელობით გაიგო. — მე კომბინატის პინგპონგის წრეებში ვთამაშობ და ნოვუსის ტურნირშიც კი მივიღე მონაწილეობა. კინოსა და თეატრში კი მარტო სიარული მირჩევნია.

— შენ როგორა გაქვს საქმეები? — არ მეშვებოდა ვაიდარი. — დედა როგორა გყავს?

— გმადლობთ, არა უშავს რა.

— მოდი, პირდაპირ ვილაპარაკოთ... სანამ გინდა იარო და ამტკიცო, არმიაში სამსახურის უფლება არ მომცეს, აკადემიაში არ მიმიღეს, ყოვლად უხეირო სამუშაოს მაძლევენო? და თითქოს ყოველივე ეს შენი წარსულის ბრალი იყოს. მითხარი, ვისთვის რა სარგებლობა მოაქვს ამ ლაპარაკს?

— ვერ გავიგე...

— არ გინდა გაიგო... კარგი, პირდაპირ გკითხავ: რით ხარ უკმაყოფილო?

— მე მხოლოდ სიმართლეს ვეძებ.

— სიმართლე სხვადასხვანაირი შეიძლება იყოს. შენს ადგილას იმით ვიხარებდი, ცოცხალი და საღ-სალამათი ვარ-მეთქი. — ვაიდარმა სული მოითქვა და ისევ განაგრძო: — პირადად მე მჯერა, რომ ბანაკში ბევრი კარგი საქმე გაგიკეთებია, თვითონაც გებრძოლია და სხვებსაც დახმარებიხარ. მაგრამ პირველ რიგში — ეს სამუდამოდ დაიხსომე! — საკუთარ თავს უშველე. მხოლოდ ამ გზით შესძელი საკუთარი ღირსებისა და იმედის შენარჩუნება, მხოლოდ ამან გადაგარჩინა. ეს იყო ადამიანის ბუნებრივი მოვალეობა.

კრისტაპი გაფითრდა.

— დიდად გმადლობთ, რომ ასე გულახდილად მელაპარაკებით, — უთხრა მან წყნარად. — მე არც ძველი ჭრილობები, არც ის, რომ პიონერულ რაზმებს ჩემი სახელი მიანიჭონ, მაგრამ თუ ბანაკში არ შეიძლებოდა იმაზე აშკარა ლაპარაკი, რომ კომენდატურის შიკრიკად იატაკქვეშელთა ორგანიზაციამ დამნიშნა, ახლა მაინც მინდა ხმამაღლა ვამცნო ქვეყანას.

— ამიტომაა, წარსულში მტირალა დედაკაცივით რომ იქექები?

— ეს ჩემი წარსული გახლავთ და არ მინდა ლაქა აჩნდეს.

— შენ ცხოვრების უმკაცრესი სკოლა გამოგივლია, გინახავს ადამიანის გმირობა და იმის მოწმეც ყოფილხარ, რა დაბლა შეიძლება დაეშვას იგი. ჩემთვის გაუგებარია, ამდენი რამის მნახველმა მოთმინება რატომ ვერ ისწავლე.

— ხანდახან კომპრომისი მარცხზე უარესია.

ეროვნული

— კეთილი,— ამოიოხრა ვაიდარმა.— რაკი წარსულზე ჩვენი შეხედულებანი ერთმანეთს არ ემთხვევა, შენს მომავალზე ვილაპარაკოთ... ნიჭიერი კაცი ხარ და უნდა ისწავლო. ამაზე არ გიფიქრია?

— ვფიქრობდი.— უცებ გამოცოცხლდა კრისტაპი.— ღამეები თეთრად გამითენებია. ვფიქრობდი, ვოცნებობდი, გეგმებს ვაწყობდი.

— მერე?

— მერე ჩავფლავდი... ერთხელ სალასპილსში შოშიის სანახევროდ გაყინული ბარტყი ვიპოვე. ფრთა ჰქონდა დაზიანებული. ბარტყი ერთ ქალიშვილს ვაჩუქე. ქალიშვილმა ბარტყი განკურნა, პურის ნამცეცებით დააპურა და ბანაკში ცხოვრებას მიაჩვია. ქალიშვილი დასახვრეტად რომ წაიყვანეს, შოშია გაუშვა. მაგრამ მეორე დღეს იგი მაინც დაბრუნდა. ან ფრენას გადაჩვეოდა, ან ტყის ბინადარ თანამოძმეთ ვერ შეეწყო... ერთი სიტყვით, ფრთები ისე დამეფლითა, რომ გაფრენის მეშინია.

— შენ დაცემის გეშინია და არა გაფრენის,— ჩაიბუზღუნა ვაიდარმა.

— შეიძლება თქვენ მართალი იყოთ,— მიუგო კრისტაპმა და ადგომა დააპირა.— მაგრამ ეს საქმის არსს არ ცვლის. აღარ მყოფნის იმის გამბედაობა, რომ კიდევ ერთხელ მოვკიდო ხელი სახელმძღვანელოებს და ყველაფერი თავიდან დავიწყო.

— სისულელეა! დაგეხმარებით, რეკომენდაციას მოგცემთ, ოღონდ თქვი, სწავლა მინდა-თქო. შენზე მითხრეს, მშვენიერ ქანდაკებებს აკეთებსო.

— დიდი არაფერი, ტიპიური თვითმოქმედებაა.

— სწორედ ამიტომ უნდა ჩააბარო გამოცდები სამხატვრო აკადემიაში, თანაც ამ შემოდგომაზე. იცოდე, თუ სიჯიუტეს არ მოიშლი, მაგ გრძელ თმას ღერა-ღერა დაგაგლეჯ. სანამ უნდა იყო დამხმარე მუშა?

...გულის სიღრმეში კრისტაპი საკუთარ ხვედრს არასოდეს შერიგებია. თუმცა მექანიკურ ქარხანაში, სადაც ზეინკლად მუშაობდა, ხანდახან ავიწყდებოდა, რომ ხელოვნებაც არსებობდა, განსაკუთრებით თვის ბოლოს, როცა ათი კაცის მაგიერ უწევდა მუშაობა. თავისი გეგმაც უნდა შეესრულებინა და სხვებისაც. იმ დღეებში იმის გაგონებაც არ უნდოდა, მუშების სინდისზე შესავლებაო სამქროს უფროსი რომ წარამარა „კულტურას“ გაიძახოდა.

კრისტაპისთვის კულტურის სიმბოლო ხელოვნების ნაწარმოები იყო — ლამაზი ქანდაკება, სურათი, კარგი წიგნი, საინტერესო ფილმი. მოთმინებას კარგავდა, როცა კულტურის უწოდებდნენ მეოცე საუკუნის ცივილიზაციის გარეგნულ ნიშნებს — უზადოდ მომუშავე კანალიზაციას, მიმოსვლის თანამედროვე საშუალებებს, ზრდილობიანი ქცევის მანერებს.

ახალ ადგილზე უფრო დაუახლოვდა კულტურულ ფასეულობებს, თუმცა კომბინატ „ხელოვნების“ სავაჭრო ნიშნით ხალხს აქედანაც აწვდიდნენ სუროგატსა და ყალბ ნამუშევრებს. ამიტომ კრისტაპი სუვენირების სამქროს ახლოსაც არ ეკარებოდა, მუდამ მხატვრული ჭედურობის სახელოსნოში ტრიალებდა, სადაც ზეინკლის ალღო და ბავშვობისდროინდელი გამოცდილება დიდად გამოადგა. მთავარი კი ის გახლდათ, აქ ადგილი არ ჰქონდა იერიშობანას, ფარულ წუნს, გაბერილ ანგარიშგებას. ნახელავში ყველანი მთელ თავიანთ ნიჭსა და გემოვნებას აქსოვდნენ.

ზამთარ-ზაფხულ კრისტაპი კომბინატიდან სახლამდე ფეხით დადიოდა. სიამოვნებდა სუფთა ჰაერზე გასეირნება. ამგვარი გასეირნების შემდეგ ჭამის მადა ეხსნებოდა და დედა აღარ ებუზღუნებოდა, თუნდაც რამდენჯერმე დასჭირებოდა საჭმლის გაცხელება. დედა მხოლოდ იმას წუხდა, რომ კრისტაპი შინ გამთენიის ჟამს არასოდეს ბრუნდებოდა. ეს კი, მისი აზრით, იმას ნიშნავდა, რომ მის გულს ქალი ჯერაც ვერ დაპატრონებოდა და, მაშასადამე, დედის ოცნებას შვილიშვილებზე კიდევ დიდხანს არ ეწერა ახდომა.

მერე ისეთი დღეც დადგა, როცა აღარ იცოდა, გახარებოდა თუ დადარდიანებულიყო. სადაცაა თორმეტი საათი შესრულდებოდა, კრისტაპი კი არ ჩანდა. ჩვეულებრივ, თუ სადმე დაყოვნება უწევდა, დედას წინასწარ აფრთხილებდა. ქალმა კომბინატში დარეკა. მოხუცი დარაჯი დიდხანს უხსნიდა, კრისტაპი სამუშაოდან სხვებთან ერთად წავიდა, ყველანი გავისტუმრე და კარიც ჩემი ხელით დავკეტეო...

თვითონ კრისტაპს იმ წამს დედა სულ არ ახსოვდა. სამუშაოს რომ მორჩა, შემთხვევით რევოლუციის მუზეუმში შეიხედა, დიდ საგამოფენო დარბაზში მინის ვიტრინას შუბლით მიეყრდნო და სალასპილსის მემორიალური ანსამბლის მაკეტს თვალი ვეღარ მოსწყვიტა.

დიდი ხანი გავიდა მას შემდეგ, უკანასკნელი დამთვალიერებლები რომ წავიდნენ. კრისტაპს არ კი შეუმჩნევია, რომ მარტო დარჩა, თუ არ ჩავთვლით მუზეუმის ხანშიშესულ მოსამსახურე ქალს, ვისაც ვერ გაებედა დაგვიანებული სტუმრის შეწუხება და კუთხეში მიმჯდარი თვლემდა. გრძნობდა, რომ ეს კაცი ღელავდა.

კრისტაპი მართლაც ღელავდა. გაზეთში წაეკითხა, რომ სალასპილსში დასადგამი ქანდაკების საუკეთესო პროექტზე კონკურსი გამოეცხადებინათ.

მეორე დილას კრისტაპი ახალშენის უკანასკნელ სართულზე ვაიდარის სახელოსნოში შევიდა.

სახელოსნოს თმაჭაღარა პატრონი მოლბერტთან იდგა. კარისკენ ზურგი შეექცია, ყალიონს აბოლებდა და ხატავდა ქარხნის მილებს, სახლის ფანჯარაში რომ ჩანდა.

— გმადლობ! — ვაიდარს მუშაობა არ შეუწყვეტია.— მაგიდაზე დადგი, გაცივდეს.

ჩამოვარდნილმა სიჩუმემ ვაიდარი უკან მიახედა. სტუმარი იცნო, გაეღიმა:

— პალტო სადმე მიაგდე და აქ მოდი! — შემდეგ კი სადღაც გვერდზე გასძახა:— ერიკა, ორი ფინჯანი მოიტა, სტუმარი გვყავს!

— მაპატიეთ, რომ კვირა დღეს შეგაწუხეთ...— თავი იმართლა კრისტაპმა.— მაგრამ ტელეფონი არა გაქვთ და...

— დიდება ღმერთს, რომ არა მაქვს! ნამდვილი მეგობრები მეცხრე სართულზედაც მოახერხებენ ამოსვლას, ვაიმეგობრები კი მე არ მჭირდება. და საერთოდ თავი გაანებე ამ „თქვენ“-ს, თორემ ავდგები და მოვკვდები, მაგიდის ქვეშ ტიტლიკანა რომ იჯდე და ტიკტიკებდე... აქეთ, აქეთ! — მაგიდიდან გაზეთები გადახვეტა და ცოლს მიუთითა — [illegible] დაადგმევინა ხონჩა, რომელზედაც ყავადანი და ფინჯნები ელაგა. — გაიცანი! ეს ჩვენი კომბინატის მუშაკი, ნიჭიერი მოქანდაკე კრისტაპ აბოლტინში.

— არ დაუჯეროთ, ქალბატონო! — უთხრა დაბნეულმა კრისტაპმა. — [illegible], უნდა დამსაჯოს, მუშაობაში რომ ხელი შევუშალე.

— არა, ერთი მითხარი, განა უცნაური არ არის, რომ ჩვენს დროში ადამიანები აუცილებლად გამართლებასა და საბაბს ეძებენ, როცა უნდათ მეგობართან შეირბინონ, გაიგონ, როგორ აქვს საქმე, როგორ ჰყავს ცოლ-შვილი, — ვაიდარი სიცილით გულწრფელი ჩანდა, რამეთუ თავს დიდებულად მხოლოდ მაშინ გრძნობდა, გარს ნათესავები და მეგობრები რომ ეხვია. — სამწუხაროდ, როგორც წესი, ერთმანეთს იუბილეებსა და დაბადების დღეებზე, აგრეთვე გასვენებებსა და დღესასწაულებზე ვხვდებით, სადაც მესამე ჭიქის შემდეგ ერთმანეთის აღარ გვესმის, — სადღეგრძელოებსაც კი საერთო ღრიანცელი ახშობს. ყველანი ენად გავიკრიფებით. მოდი ერთ ყლუპ რამე მაგარს სასმელს დაგალევინებ, იქნებ ენა გაგეხსნას.

კრისტაპმა იუარა.

— სირცხვილი კია ამის აღიარება... მაგრამ რაც მართალია, მართალია, მეგობრები მხოლოდ მაშინ გვაგონდება, როცა რამე დაგვჭირდება. ეს წვრილმანებშიც კი ვლინდება. თანამედროვე ადამიანი წერილებს, დეპეშებსა და საქალაქთაშორისო სატელეფონო საუბარს ამჯობინებს. თეატრშიც იშვიათად დადის, რადგან სჯერა, ადრე თუ გვიან პიესას ტელევიზორით უჩვენებენ.

ვაიდარმა ცოლს ანიშნა, მარტო დაგვტოვეო, ყავა დაასხა და ფეხი ფეხზე გადაიდო.

— ჩავთვალოთ, რომ ოფიციალური ნაწილი დამთავრებულია. აბა, ამოთქვი, რა გიდევს გულში.

კრისტაპი კმაყოფილი იყო, გვერდით რომ ეს კაცი ეჯდა — თეატრალური დეკორატორი ძია იანისი, რომელიც მის მშობლებთან სამედიცინო რჩევა-დარიგების მისაღებად ან უბრალოდ კათხა ლუდის დასალევად დადიოდა. ცხადია, კრისტაპმა მაშინ არ იცოდა, რომ იგი იატაკქვეშეთში მუშაობდა, მაგრამ მაშინაც ცხადი იყო, რომ ძია იანისთან შეიძლებოდა ისეთ საკითხებზე საუბარი, რომელთა შესახებ მამის თანდასწრებით სიტყვის ჩამოგდებასაც ვერ გაბედავდა, — პირველ რიგში სასკოლო უთანხმოებებზე; სკოლა მათ ოჯახში ტაძრად მიაჩნდათ.

თავისუფლად მოაზროვნე ექიმი აბოლტინი, არც საეკლესიო და არც სახელმწიფო დოგმებს რომ არა სცნობდა, ცდილობდა. შვილი მკაცრი დისციპლინის მორჩილად გაეზარდა. დამოუკიდებელი აზროვნება რომ ისწავლო, ჯერ ცხოვრების სხვადასხვა სფეროდან რაც შეიძლება მეტი ცოდნა უნდა შეიძინოო.

კრისტაპს თვითონაც არ შეუნიშნავს, რომ ვაიდარს „შენობით“ მიმართა:

— თუ ღმერთი გწამს, ნუ დამემდურები ჩვენი ამასწინანდელი საუბრის გამო! შენ ჩემთან სერიოზული საუბარი გეწადა, მე კი ჯიუტობა დავიწყე. — ვაიდარისთვის თვალებში რომ არ ეცქირა, კრისტაპი პატარ-პატარა ყლუპებით ხვრეპდა ყავას. — მერედა მივხვდი, რომ ცამდე მართალი იყავი... უკვე მთელი წელიწადია ვსწავლობ — არა, აკადემიაში კი არა, მოსამზადებელ კურსებზე. ყველანი მეუბნებიან, პორტრეტები კარგად გამომდის, სხვა გამოცდებსაც ჩავაბარებ, თხზულებასაც შენს დაუხმარებლად დავწერ... — უცებ ენა დაება. — ალბათ, გაჭიანურებულად და არეულ-დარეულად ვლაპარაკობ. ერთი სიტყვით, ჩემი სწავლის გამო ნუ შეწუხდები. მაგრამ გუშინ სალასპილსში დასადგამი ძეგლის პროექტი ვნახე და ახლა შენ მოგმართავ თხოვნით: არ შეგიძლია მომიხერხო, იმ ჯგუფში ჩამრიცხონ, დაკვეთა რომ უნდა შეასრულოს? იქაც ხომ დასჭირდებათ დამხმარეები და შავი მუშები...

— აი, დალახვროს ეშმაკმა! შენ ხომ იმ ბანაკში იჯექი... — ვაიდარი უცებ ჩაფიქრდა, წამით შეყოყმანდა, მერე ძალით ჩამოფარცხნილი უხერხულობა ხუმრობით გაექარწყლებინა: — მოიცა. მე შენ რამეს ხომ არ შეგპირებივარ? არა? ჰოდა, კარგია, რომ არ ავჩქარებულვარ. აი, ჩემი პასუხი: არავითარ შემთხვევაში. ისინი წარსულის ფოტოგრაფიული სიზუსტით წარმოდგენას კი არ აპირებენ, მათი მიზანია შექმნან განწყობილება, თუკი მაკეტი ნახე, მიხვდები, რასაც გეუბნები. არ უნდა იყოს არც ერთი ნატურალისტური დეტალი, სწორედ ამით იქნება განსხვავებული სალასპილსის მემორიალი ყოფილი საკონცენტრაციო ბანაკების ადგილას დადგმული სხვა ანსამბლებისაგან. დრო გაქვს? ძალიან კარგი, ერთ შემთხვევას გიამბობ...

წამოდგა, კარადიდან კონიაკის ბოთლი გამოიღო და ორი ჭიქა შეავსო.

— კარგად იცოდე... ამ გაზაფხულზე ცოლ-შვილით ვესტუმრე ერთ დასავლეთგერმანელ ანტიფაშისტს. ომის დროს, ორი წელი ერთ ქვეგანაყოფში ვიბრძოდით. ჰოდა, მან დახაუში წამიყვანა. ყოფილი საკონცენტრაციო ბანაკი ამჟამად მემორიალად არის გადაკეთებული. მნახველთათვის დატოვებულია რამდენიმე ბარაკი და საწამებელი ადგილი. ჩვენი ბავშვები სადღაც სხვა მხარეს წავიდნენ, ჩვენ კი შევუერთდით ექსკურსანტებს, სამოციოდე წლის ჩასუქებული, თუმცა ჯერ კიდევ მაგარი აგებულების მამაკაცი რომ მიუძღოდა. მას არ უთქვამს, მაგრამ ეტყობოდა, რომ ყოფილი ტყვე იყო — ასე ზედმიწევნით იცნობდა ბანაკის საშინელ ცხოვრებას. გვაჩვენა ბანაკში მოთავსებული პატარა, თითქმის ცარიელი შენობა, გისოსებიანი ფანჯარა და ორი კარი რომ ჰქონდა. ერთ კარზე ეკიდა ფირფიტა „აინგანგი“, მეორეზე — „აუსგანგი“. ცხადია, ჩვენ პირველი კარით შევედით. გიდმა აგვიხსნა, ამ ბარაკში ტყვეებს ეგრეთ წოდებული „გენიკშუსის“ მეთოდით — კეფაში ტყვიის დახლით ჰკლავდნენ, ისინი გაწაფული გახლდნენ ამგვარ მკვლელობაში. სასიკვდილოდ განწირული ადამიანები ზაიბურ-

შიც არ იცნენ: ვერც ჯალათებს ხედავდნენ, ვერც ავტომატებს, კედელში გულდასმით შენიღბულ ხვრელებსაც კი ვერ ამჩნევდნენ. ჯალათიც ვერ ხედავდა თავის მსხვერპლს. მას მხოლოდ ჩახმახი უნდა გამოეშვა. მთელი პროცედურა დაწვრილებით იყო [illegible]... უცებ გიდმა საუბარი შეწყვიტა, სახე დაეღმიჭა. მის მზერას თვალი გავაყოლე და მარიტე და დაცე დავინახე, ჩვენი [illegible] იმ კარით შემოსულიყვნენ, „აუსგანგი" რომ ეწერა.

„ეშმაკმა დალახვროს, ამას როგორ ბედავთ" — დაუცაცხანა გიდმა [illegible]. — კითხვა ხომ არ დაგვიწყნიათ? ახლავე უკან გაბრუნდით!" — მერე [illegible] დაუმატა: „თუ ყველა ცინგლიანი ასე მოიქცა, როგორც მოეპრიანება, ღმერთმა უწყის, რით დამთავრდება ეს..." ჩემმა ცოლმა თავზე წაავლო ხელი, ბავშვებთან მიირბინა, ისინიც თან წაიყოლია და ბარაკიდან გავარდა. მეც უკან გამოვედევნე. თვითონაც არ ვიცი, კრისტაპ, რატომ გიამბე ყველაფერი, იქნებ მინდოდა დამემტკიცებინა, სალასპილსის მემორიალის ავტორები მხოლოდ წარსულში კი არ უნდა იყურებოდნენ, მომავალსაც უნდა უცქეროდნენ. თუმცა ეს შენ ჩემზე უკეთ მოგეხსენება. უფრო იმ დიდ პასუხისმგებლობაზე მინდოდა მოგლაპარაკებოდი, მათ რომ ეკისრებათ. არ კმარა გამოცდილება, ინტუიცია და ნიჭიერება, დიდი ცოდნაცაა საჭირო. ამიტომ შენ უნდა დაიწყო ანბანით, ყოველგვარი ვნების გარეშე. მე ვიცი, რომელ მოქანდაკესთანაც გაგგზავნი! — რაკი შეამჩნია, კრისტაპი წამოდგომას აპირებსო, ვაიდარმა აღუთქვა: — შენს ქანდაკებებსაც აუცილებლად ვნახავ, არ გაბედო მათი გადამალვა.

* *

კრისტაპმა გაუბედავად დააკაკუნა ცნობილი მოქანდაკის სახელოსნოს კარზე, თუმცა ვაიდარმა უთხრა, მოხუც პროფესორს დავურეკე და ასე გვიან თვითონ დაგიბარაო.

ხმა არავინ გასცა. კრისტაპმა კიდევ ერთხელ დააკაკუნა, შემდეგ კარი შეაღო და ზღურბლზე გადააბიჯა. ზღურბლი თავისი ცოდვილი ცხოვრებისა და ოცნების საზღვრად მოეჩვენა.

სახელოსნოში, დიდი ხნის შემდეგ მის მეორე სახლად რომ უნდა ქცეულიყო, მორცხვად შევიდა, თანაც მისი ყურადღება მასპინძლის გარეგნობამ მიიქცია.

ავგუსტ ბრუვერისი შთამბეჭდავი კაცი იყო. მიუხედავად იმისა, რომ ორმოცდაათი წლისა გახლდათ, კიბეზე შესაშური სისწრაფით მოძრაობდა. თიხაში გამოძერწილ ქალის ქანდაკებას სახეზე რაღაც შეუსწორა და დაბლა დაეშვა, რათა უცხო თვალით შეეხედა, მერე ისევ მაღლა აცოცდა.

მუსიკა ჟღერდა სახელოსნოში, რომლის კედლებშიც სტერეოფონური დინამიკები იყო ჩასმული და საოცარ ეფექტს ახდენდა. გეგონებოდათ, აქ დიდი ორკესტრის მუსიკოსებს მოუყრიათ თავი და ყოველი მათგანი რამდენიმე საკრავზე უკრავსო.

კრისტაპს ეგონა, რომ ბრუვერისი პატრიოტი ქალის ქანდაკებაზე მუშაობდა. ქანდაკებას სიმბოლურად უნდა გამოეხატა ბავშვთა თავისუფლებისა და ბედნიერებისათვის თავგანწირვა. ჩანაფიქრს რეალური შემთხვევა ედო საფუძვლად: ომი რომ დაწყებულა, წითელი არმიის მეთაურთა ბავშვებისათვის განკუთვნილ პიონერთა ბანაკის ორ ახალგაზრდა აღმზრდელ ქალს უარი განუცხადებია ოკუპანტებისათვის ბავშვების გადაცემაზე, სახელგანთქმული პოლონელი პედაგოგის იანუშ კორჩაკის ბედი გაუმეორებიათ.

— აბა, სტუდენტო, როგორ მოგწონს?..

— ვფიქრობ, ძირითადი აზრის გადმოცემა მოგიხერხებიათ, — მორიდებულად უთხრა კრისტაპმა. — მე მინახავს დედები, ჰიტლერელები ხელიდან რომ გლეჯდნენ შვილებს...

— მე მუსიკაზე გეუბნებით, — სიტყვა გააწყვეტინა კრისტაპს მოქანდაკემ. — თქვენი აზრი დაუმთავრებელ ნამუშევარზე არ მაინტერესებს. გესმით?

კრისტაპმა არ იცოდა, ოსტატის სიტყვები ხუმრობად ჩაეთვალა თუ სწყენოდა. მერე თავი დაუქნია.

— მაშინ ჩემი პალტოს ჯიბიდან სიგარები და სანთებელა ამოიღეთ... არა, არა, მარცხენა ჯიბიდან... მადლობა ღმერთს! ამოიღეთ მალე!

კრისტაპი კიბეს აჰყვა და მოქანავე კილონზე მოეწყო. ბრუვერისი ქალის მხარს მიეყრდნო, თამბაქოს კვამლი ბოლქვა-ბოლქვა გამოუშვა და მეგობრულად განუცხადა:

— ნუ გეშინიათ, მე თქვენ ორასორმოცდაათგრამიანის მოტანას არ დაგავალებთ. ძველ ოსტატთა ჯილაგს არ ვეკუთვნი, მაგრამ თუ მუსიკა არ გიყვართ, სჯობია აქედანვე გამოვეთხოვოთ ერთმანეთს.

— ვერ ვიტყვი, მუსიკა მესმის-მეთქი, — აღიარა კრისტაპმა. — მაგრამ ნაცნობ ნაწარმოებებს დიდი სიამოვნებით ვუსმენ.

— როგორც ეს დაუმუშავებელი სმენის ადამიანს ახასიათებს, — ჩაიცინა ბრუვერისმა. — რაკი ასეა, დაიხსომეთ: მუსიკა კი არ უნდა გაიგოთ, უნდა იგრძნოთ, როგორც ხელოვნების ნებისმიერი ნაწარმოები. მინდა იმას მივაღწიო, რომ ჩემი ქანდაკების მხილველმა ადამიანებმა ისევე იგრძნონ, რასაც მე ვგრძნობ, შოსტაკოვიჩის ლეგენდარულ სიმფონიას როცა ვისმენ! გესმით? მოითმინეთ, მოითმინეთ, ახლავე გიჩვენებთ, რის მიღწევაც მსურს.

ბრუვერისი ტრაპზე დაშვებული მეზღვაურის სისწრაფით ჩასრიალდა და ფირფიტა გამოცვალა. სახელოსნოში ბეთჰოვენის მეცხრე სიმფონიის ფინალი აჟღერდა.

— ამას არ მოელოდი, ხომ მართალს ვამბობ? — კმაყოფილად გაიღიმა მოქანდაკემ. — აბა, ერთი დააკვირდი, დააკვირდი! შეიწუხე თავი! მითხარი, ეს თემის ერთადერთი და სწორი გადაწყვეტა არ არის? ადამიანები უნდა დაძმობილდნენ, მხოლოდ მაშინ გაბატონდება მშვიდობა, სიხარული, რასაც ბეთჰოვენმა ეს მუსიკა უძღვნა. რა ფასი აქვს იმ ძეგლს, მხოლოდ წარ-

სულს რომ მოგვაგონებს. ყოფილხარ რომელიმე ბანაკში, ვთქვათ, სალასპილსში?—მან კრისტაპს არ აცალა პასუხის გაცემა. — ოკუპაციის დროს კი არა, ახლა-მეთქი... ჰოდა, სცადე წარმოიდგინო ეს ქანდაკება ტყის ფონზე, განსაკუთრებით ზაფხულის დილას, ნისლიდან რომ ამოცურდება და იქაური ბუნების განუყოფელი ნაწილი გახდება.

— გასაგებია, — გაუბედავად მიუგო კრისტაპმა. — თქვენ გინდათ მონუმენტურობით მიაღწიოთ გამომსახველობის სიძლიერეს. ხელოვნების სხვადასხვა სახეობათა ელემენტებიც იმიტომ გაგიერთიანებიათ...

— ვერაფერიც ვერ გაგიგია, — ამოიოხრა ბრუვერისმა. — თუმცა ჯერ შევთანხმდეთ: თუ გსურს ჩემთან იმუშაო, ისე არასოდეს ილაპარაკო, როგორც კრებაზე, და საერთოდ ერთმანეთს „შენობით" მივმართოთ. ახლა კი, როგორც ჩვენი კლასიკოსები ამბობენ, „ამხანაგებო, საქმეს შევუდგეთ, ხალხი დიადი ეპოქის შესაფერის ხელოვნებას მოელის ჩვენგან!"

* *

...განვლო ერთმა წელიწადმა. კრისტაპს საკუთარი კუთხე მიუჩინეს ეგრეთ წოდებულ შემოქმედებით ლაბორატორიაში, სადაც ფიგურათა ცალკეულ დეტალებს ქმნიან. თავისუფალ დროს იგი ძერწავდა თავის პირველ ნამუშევარს—„ბანაკელი გოგონას" თავს.

ზურგს უკან ნაბიჯების ხმა რომ გაიგონა, კრისტაპს უნდოდა ქანდაკების თავი ჩვრით დაეფარა, მაგრამ ვერ მოასწრო.

— დღეს მაჩვენებ შენს არალეგალურ თვითშემოქმედებას, — გულკეთილად აბუზღუნდა ბრუვერისი. — ვერ ვიტან იატაკქვეშელობას. ხელოვნებას საჯაროობის არ ეშინია...

ქანდაკების თავი კრიტიკულად შეათვალიერა, რამდენიმე ნაბიჯით გაშორდა და უკმაყოფილოდ მოიღუშა.

— დვინის ნაპირებიდან მოვლენილი ტიპიური მიქელანჯელო ხარ! გინდა ქორწინების გარეშე შობილ შვილს ხელოვნების საშუალებით უკვდავება მიანიჭო, არა? თუ ეს ომამდელი რომანია? — კრისტაპის სახის გამომეტყველება რომ შეამჩნია, ტონი გამოიცვალა. — მჯერა, რომ იმ გოგოს სწორედ ასეთი სახე ექნებოდა, მაგრამ საპასპორტო სურათი შეიძლება ბაზარში მომუშავე ფოტოგრაფს შეუკვეთო.

— ყოველ განზოგადებას კონკრეტული ცხოვრებისეული მასალა უდევს საფუძვლად, — ოდნავ შესამჩნევად გაიღიმა კრისტაპმა. — ვიმეორებ იმ ერთადერთი ავტორიტეტის სიტყვებს, შენ რომ სცნობ, — პირადად შენს სიტყვებს!

— მლიქვნელობაც რომ შეგძლებია... — ბრუვერისმა ნამწვი დააგდო და თიხის იატაკს ქუსლით დაასრისა. — ხელოვნებაში მთავარი ხასიათი გახლავს და არა გარეგნული მსგავსება!

კრისტაპი დათმობას არ აპირებდა.

— კი მაგრამ, რას ამბობს ამ შემთხვევაში შენი საყვარელი ბეთჰოვენი? გაიხსენე: „ნამდვილი ადამიანის უმთავრესი ნიშანი ის გახლავთ, რომ ნებისმიერი სიძნელისა თუ წინააღმდეგობის წინაშე ფარ-ხმალი არ დაყაროს".

— „ტანჯვით მოპოვებული სიხარული" — ვიცი, როგორ არა... — ბრუვერისი ჩაფიქრებით დააცქერდა ქალიშვილის თავს. იგი მუსიკით იყო მოჯადოებული. ჰანგებს სხეულის რიტმულ რხევას აყოლებდა. სახის გამომეტყველება თანდათანობით შეეცვალა.

— იცი, როგორღაც ჟღერს! თითქმის უდისონანსოდ. დიახ! მაგრამ მაინც უნდა გადაკეთდეს. მასალის ფაქტურა და ხედვის კუთხე არ გაგითვალისწინებია.

— შეიძლება? — მოისმათ ზურგს უკან.

არც ერთს არ გაუგია, როგორ შემოვიდა ვოლდემარ კალნინი სახელოსნოში.

— მე კალნინი გახლავართ ტელესტუდიიდან, — თავი გააცნო რედაქტორმა და ხელი გაუწოდა.

ბრუვერისმა პასუხად რაღაც ჩაიბუზღუნა, მაგრამ კალნინი ის კაცი როდი იყო, უსიამოვნო შეხვედრას რომ შეეკრთო.

— პატივცემულო პროფესორო, დავალებული მაქვს, გამარჯვების დღისთვის მოვამზადო გადაცემა ჩვენი მხატვრების იმ ნაწარმოებებზე, ამ ღირსშესანიშნავ თარიღს რომ ეძღვნება.

— ძალზე ნაადრევია. ჯერ საბოლოო ვარიანტი მზად არა მაქვს.

— მით უკეთესი, საზოგადოებრივი აზრი დაგეხმარებათ, — არ დაეთანხმა კალნინი, სახელოსნოს თვალი მოავლო და ქალიშვილის თავი შენიშნა. მაშინღა იცნო კრისტაპი, ფანჯარას რომ მიშტერებოდა.

— ეს ხომ გიტაა! — შესძახა კალნინმა და მიუახლოვდა. — რასაკვირველია, გიტაა! ხომ არ იცით, სად არის ახლა? — ჰკითხა ზურგშექცევით მდგომ კრისტაპს.

— რაკი გერმანიიდან აღარ დაბრუნდა, მაშასადამე, ცოცხალი არ ყოფილა, — ცალყბად მიუგო კრისტაპმა.

— იქნებ დასავლეთში დარჩა?

კალნინის შეკითხვა გამომწვევად ჟღერდა.

კრისტაპმა მხრები აიჩეჩა.

— გულახდილად რომ ითქვას, ვერ გამიგია, რა აზრი აქვს წარსულში ფუთფუთს? — თავისას არ იშლიდა კალნინი.

— თუ არ ვცდები, ეგ თქვენ დაიწყეთ წარსულში ფუთფუთი.

— ჰოდა, მევე ვაყენებ წინადადებას, რომ ერთხელ და სამუდამოდ მოვუღოთ ბოლო ამას... იქნებ როდისმე შემომიარო. დამწყებ მხატვრებზე გადაცემათა სერია გვაქვს დაგეგმილი.

— გმადლობთ! — ცივად უთხრა კრისტაპმა. — მე იმ დღეს მოვალ, მარგალიტის თვლების მოტანას რომ შეძლებ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

* *

...ასეთივე დაძაბული და პირქუში იყო კრისტაპი მაშინაც, აუსმა რომ გაიცნო. ადრე რამდენჯერმე შეხვედროდა აკადემიის დერეფანში, ერთხელ საერთო კრებაზედაც ნახა, სიამოვნებით გაიფიქრა კიდეც, რომ გრაფიკის ფაკულტეტის ამ პირველკურსელ გოგონას წერწეტი ტანი და ლარივით კანჭები აქვს, კარგი იქნება, ვინმე გამაცნობდესო. ახლა კი ვერ დაუვიწყნია, რომ დამწყები ჟურნალისტი ქალი ვოლდემარ კალნინშმა მიუგზავნა, შეურაცხყოფილად მიაჩნდა თავი. ბოლოს, როცა აუსმამ სპორტული ჩემოდნიდან ესკიზების რვეული და ნახშირიანი კოლოფი ამოიღო — მხატვარი მუშაობისას უნდა ჩავიხატოო, — კრისტაპი მიუტევებლად უხეში გახდა.

— შეგიძლიათ ჩემზე დაწეროთ ყველაფერი, რასაც ისურვებთ. ამას არავინ აგიკრძალავთ. თუ რედაქტორმა თქვენი თხზულება დაბეჭდა, გაიხარეთ, მე კრინტსაც არ დავძრავ. სერიოზული ხალხი ამგვარ სტატიებს მაინც არ კითხულობს. ნახატს კი ყველანი შეამჩნევენ, შეიძლება ზოგიერთმა მიცნოს კიდეც... რა ცოდვა ჩამიდენია, რომ ასე დავისაჯო?

აღშფოთებული კრისტაპი ალბათ უფრო მეტს იტყოდა, მაგრამ აუსმას შეხედა და შეამჩნია, — ღაწვებზე ცრემლი ღვარად ჩამოსდიოდა. ქალიშვილს არ უცდია მათი დამალვა, აცახცახებული თითებით ჩანთაში ჩატენა რვეული...

— დიდი იმედი მქონდა, — წაიჩურჩულა ქალმა, — მეგონა, ამჯერად ნამდვილი მხატვრის პორტრეტს დავხატავდი...

მიხვდა, უნდა დაეთმო, როგორმე უნდა დაემშვიდებინა, იქნებ ეკოცნა კიდეც. მაგრამ ცრემლები მუდამ აგიჟებდა. ბევრჯერ უნახავს ცრემლგამშრალი თვალები, როცა მათ ყველაზე უძვირფასეს განძს ართმევდნენ, უნახავს, რა მშვიდად იტანდნენ ჯოჯოხეთურ ტანჯვას. ნამდვილი ადამიანები ასე ადვილად არ ღვრიან თავიანთ გრძნობებს.

კრისტაპი გატრიალდა, სახელოსნოდან გავიდა და, თითქოს აუსმას გზას ანიშნებსო, კარი ნახევრად შეღებული დატოვა.

მერმე კი მთელ ნახევარ წელიწადს ნანობდა თავის საქციელს, რადგან ვერასგზით ვერ დაევიწყებინა ქალიშვილის თვალები.

* *

კრისტაპს უნდოდა საუბარი მახვილგონივრულად დაემთავრებინა და კომიკურად დაეხატა გამოსაშვები საღამო, რომელზედაც მათი გზები გადაიხლართა. მაგრამ უკანასკნელ წამს გადაიფიქრა. მათი ცხოვრების ამ მონაკვეთს აუსმაც კარგად იცნობდა. მას შემდეგ ისინი მუდამ ერთად იყვნენ.

სიჩუმე გაჭიანურდა. აუსმას ეშინოდა ლაპარაკის დაწყება — არ უნდოდა გულითადობის ატმოსფერო დაერღვია.

უეცრად სახელოსნოს კარი გაიღო და ოთახში პეტერისი შემოიჭრა.

— სალამი, პეტერის! — აუსმამ ვაჟს ხელი გაუწოდა. — დროულად მოხვედი. შენ და ილზეს დღეს საღამოს ბალზე გეპატიჟებით.

— დღეს?

— კრისტაპს ლატვიელ მსროლელთა ქანდაკებაზე ხელშეკრულება დაუდეს.

— მომილოცავს! — განსაკუთრებული აღტაცების გარეშე თქვა პეტერისმა.

— ახალი ხომ არაფერია? — ჰკითხა კრისტაპმა. — რაკი დილიდანვე ჩემზე ნადირობ, ალბათ, რაღაც მოხდა...

— განსაკუთრებული არაფერი... და მაინც...

— აუსმა, მგონი, შენ მზეზე გარუჯვას აპირებდი, არა?

აუსმა უხმოდ გავიდა ეზოში.

— ყავას დალევ? თუ ფული გჭირდება, ნუ გრცხვენია, მითხარი, სულ ერთია, გახვრეტილი შაურიანიც არ მომეძებნება.

— დღეს დილას რიგაში ჩამოვიდა ქალბატონი ელვესტადი.

კრისტაპმა ვერ გაუგო.

— ლიგიტა ელვესტადი... ჩვენი გიტა!

კრისტაპს ოხვრა აღმოხდა.

— ლიგიტას შენი ნახვა უნდა.

— დარწმუნებული ხარ?

— თვითონ შევხვდი პორტში.

— ოცდახუთი წლის შემდეგ...— წარმოთქვა კრისტაპმა. — აქვს თუ არა მკვდრეთით აღდგომის უფლება დამარხულ ადამიანს? მითხარი, პიჩ! აქვს თუ არა ამის უფლება?

— ლიგიტამ არ იცოდა, რომ შენ ცოცხალი იყავი.

— ასე დიდხანს ლოდინი და რწმენის შენარჩუნება მხოლოდ დედას შეეძლო... — კრისტაპს უჭირდა სიტყვების წარმოთქმა. — სად არის?

— სალასპილსში. შევპირდი, კრისტაპს მოვიყვან-მეთქი.

— წავიდეთ!

ეროვნული ბიბლიოთეკა

IV

როგორ არ ეცადა კრისტაპი, მაგრამ დღევანდელი გიტას წარმოდგენა მაინც ვერ შეძლო. გიტასთან გამოთხოვების წუთი კი დღევანდელივით ახსოვდა.

... შემოდგომის უღიმღამო დილა თენდებოდა, უჩვეულოდ წყნარი, არც ყვირილი ისმოდა, არც სროლის ხმა. ეს დროებითი მყუდროება კარგს არაფერს ნიშნავდა.

და სწორედ იმ დროს, კრისტაპი ბარაკიდან რომ გამოვიდა, ჭიშკართან ჩამწკრივებული ბავშვები დაინახა. ყველაფერს უცებ მიხვდა...

კრისტაპი ბავშვებთან მიიჭრა, გიტასკენ იდაყვებით მიიკვლევდა გზას, მაგრამ ვერ მიაღწია — წინა მწკრივები დაიძრა. საბედნიეროდ, იქვე ახლოს პატარა ბიჭი აღმოჩნდა. კრისტაპმა ხელში შეაჩეჩა ამ შემთხვევისთვის მომზადებული ფუთა.

ბავშვები ეკლიან მავთულს გასცდნენ და ესესელებმა ისინი რკინიგზისკენ წაიყვანეს.

ბიჭი კოლონის შუაგულში მარჯვედ შესრიალდა და გზა გიტას გვერდით განაგრძო. კრისტაპი მავთულის ბარიერის შიდა მხრიდან გაჰყვა კოლონას. უნდოდა საყვარელი ქალიშვილი რაც შეიძლება შორს გაეცილებინა, გამოსათხოვარი სიტყვა მაინც ეთქვა, დაემშვიდებინა. გიტა წამდაუწუმ უკან იცქირებოდა, მაგრამ მათ შორის ლობე აღმართულიყო. ასე ეგონა, ლობემ სამუდამოდ გაგვთიშაო...

და ახლა უნდა შეხვედროდნენ ერთმანეთს. იმ სახლიდან, ქალიშვილი ოდესღაც რომ შეიფარა, გიტა უნდა გამოსულიყო.

კრისტაპმა იმ ადგილას, სადაც მაშინ ბავშვთა ბარაკი იდგა, განმარტოებული ქალი დაინახა და იქით გაემართა. ფრთხილად მიაბიჯებდა, თითქოს წინ მოჩვენება ედგა და ეშინოდა, არ გაუჩინარებულიყო.

ლიგიტა პაწაწკინტელა ყვავილს უცქეროდა, ასკილის ბუჩქზე რომ გაშლილიყო.

კრისტაპი შედგა. აკანკალებული ხელები ვერაფრით დაემორჩილებინა. მერე ლიგიტას წინ ჩაიცუცქა და წაიჩურჩულა:

— ეს შენა ხარ?..

— კრისტაპ... ძვირფასო....

— აი თურმე როგორი გამოიყურები, ჩემო პატარა გიტა, — უთხრა ბოლოს კრისტაპმა.

— ნუთუ კიდევ შეიძლება ჩემი ცნობა? — ჰკითხა ლიგიტამ. — ასე მგონია, დღეს ხელახლა განვვლე ჩემი ცხოვრება.

— და სწორედ იმ ადგილას შეგხვდი!

ლიგიტა ფიქრმა მიიზიდა:

— უკანასკნელად შენ აქ მანანა მომიტანე. სხვა ყვავილი ამ წყეულ კუთხეში არც ხარობდა.

— ახლა კი არც ის ხარობს! ბევრი კი იწვალეს, ორი წელიწადი ზედიზედ რგავდნენ მანანებს მოედანზე, ქანდაკებათა გარშემო, მაგრამ არ დარწმუნდნენ, რომ იგი მხოლოდ ბუნებრივ პირობებში ხარობდა... წერილი რატომ არ მომწერე? ასე კი არ შეგხვდებოდი, ყვავილებს მოგართმევდი...

— არ ვიცოდი! მითხრეს, ყველანი...

— ჰო, ბიჭმა მიამბო. ვერც მე წარმოვიდგენდი, რომ ცოცხალი იყავი... და შენ არ დაბრუნდებოდი...

— ხომ მაინც ჩამოვედი და შევხვდით.

კრისტაპმა ქალს ხელზე ხელი შეახო, წვრილი თითები ფრთხილად მოიქცია ხელისგულში. უნდოდა მიალერსებოდა, მაგრამ ვერ გაბედა.

— იმ წლების წაშლა შეუძლებელია, — ამოიოხრა ლიგიტამ. — ყველგან საფლავებია...

— ასეთია ჩვენი საუკუნე.

— ძალზე მკაცრი საუკუნე კია!

— მხოლოდ მკაცრი როდია. ადამიანს ჯერ არ მიუღწევია ისეთი ზნეობრივი სიმაღლისთვის, როგორც იმ საშინელ წლებში...

— რომც გინდოდეს, ვერ დაივიწყებ.

— შენ გინდა დაივიწყო?

— მე ყველაფერი მახსოვს, კრისტაპ, — მიუგო ლიგიტამ. — რაც ძალიან მინდოდა, ისიც კი ვერ დავივიწყე. ასე მგონია, გუშინ იყო-მეთქი...

— არც შენ გამოცვლილხარ, — წარმოთქვა კრისტაპმა. — ოღონდ უფრო გალამაზებულხარ.

ლიგიტა გოგონასავით აილანძა.

— ეს ფიჭვები ომის დამთავრებისთანავე დავრგეთ! ხედავ, რამდენი გაიზარდნენ? — კრისტაპი ხეებს შეაცქეროდა და ჩაფიქრებით დასძინა: — ჩვენც გავიზარდეთ...

— ასე მალე გადის დრო, — დაეთანხმა ლიგიტა.

— წამო, — უთხრა კრისტაპმა და ხელით შავ კედელზე ანიშნა. — იქიდან მთელი ანსამბლი ჩანს.

გრძელ, ჩაბნელებულ დერეფანში შევიდნენ. კრისტაპმა ქალი გისოსებიან ფანჯარასთან მიიყვანა და ქანდაკებები დაანახა.

კრისტაპი სალასპილსში ხშირად დადიოდა, როცა საკუთარ თავთან ურთიერთობა ჰქონდა, აქ პოულობდა სულიერ სიმტკიცეს, აქ უკეთ ერკვეოდა თავის ჩანაფიქრს. მუდამ ერთი კითხვა აწვალებდა: სად გადის ის უჩინარი ზღვარი, კარგ ხელოსნობასა და ჭეშმარიტ ხელოვნებას რომ ჰყოფს.

კრისტაპი ლიგიტას შეაცქერდა. მის გარინდებულ სახეზე ვერაფერი ამოიკითხა. ამაზედაც მკრეხელურმა აზრმა გაუელვა: ლიგიტა დღეს პირველად რომ ენახა, შეამჩნევდა თუ არა ექსკურსანტების ჯგუფში, ისურვებდა თუ არა მასთან გამოლაპარაკებას, ჩაუკვირდებოდა თუ არა, და თუ კვლავ ამ მშვენიერ, მოვლილ სახეზე იმ განუმეორებელ სილამაზეს, ოცდაშვიდი წლის წინ ქალიშვილი რომ შეაყვარა და აგერ ამდენი წელიწადი მასზე დარდში გაათენებინა?

ამაო იყო ამ კითხვაზე პასუხის ძიება მის გარეგნობაში. მაშინაც, ბანაკში რომ იყვნენ, კრისტაპი გიტას სანდომიან სახესა და წვრილ ტანს კი არ მოუხიბლავს, იმ უსაზღვრო ნდობამ მოაჯადოვა, ქალიშვილის თვალებში რომ ამოიკითხებოდა.

— რას იტყვი? — ვერ მოითმინა კრისტაპმა.

— მე მგონია, ჩვეულებრივი სიტყვები აქ არ გამოდგება. მომწონს თუ არა, ლამაზია თუ უშნო, რა მნიშვნელობა აქვს? აქ ყველაფერი ჭეშმარიტია, აი, ერთადერთი, რისი თქმაც გულწრფელად შემიძლია.

— როგორ შეეწყვე აქაურობას?

— ჯერ ისევ უცხოდ ვგრძნობ თავს. ალბათ, ასე ემართება კოსმონავტს, რომელსაც გალაქტიკაში უმოგზაურია და, დედამიწაზე დაბრუნებულს, აღმოუჩენია, რომ საუკუნეებს ჩაუვლია, სოციალურად შეცვლილა ყველაფერი, რაზედაც მოგზაურობისას ოცნებობდა.

ქალი მოტრიალდა. დღეს ძეგლის კვარცხლბეკზე პიონერებმა ყვავილები მიიტანეს. ლიგიტამ ბავშვებს მზერა გააყოლა.

— რა შეიძლება ამათ განიცადონ სხვის საფლავებთან? — თავისთვის ამბობდა ქალი. — მათ ხომ არ უნახავთ, როგორ ართმევენ დედებს ბავშვებს. მე კი ეს სურათი ახლაც თვალწინ მიდგას.

ალაფებული მოედნის ცენტრში ტყვიამფრქვევებიანი საგუშაგო კოშკურა აღმართულიყო. ეკლიანი მავთულიდან წვიმის წვეთები ცვიოდა. შორს, ღობის გადაღმა, მიწაყრილის გასწვრივ, უწყვეტ ნაკადად მიიკლაკნებოდა ადამიანთა მწკრივი. ბანაკიდან ვერ გაიგებდი, რა ხდებოდა იქ, მხოლოდ ისღა ისმოდა, როგორ არყევდა ჰაერს ავტომატის ჯერი.

მოედანზე ასობით ფეხი ზელდა ტალახს. წუმპეს ძლივს აცილებდნენ ფეხს.

მიწაზე ქვის სატკეპნი მიგორავდა, შიგ თორმეტი ტყვე იყო შებმული.

ზეცისკენ შავი კვამლის ბოლქვები მიიწევდა.

სროლა არ წყდებოდა.

...თოვლით დაფარულ ბანაკს ქათქათა ფანტელები ეფარფატებოდა. ბავშვთა ბარაკის მახლობლად, ფიცრებისაგან შეკოწიწებულ ფარდულთან ძონძებიანი გოგონა იდგა. თმა მოკლედ შეეკრიჭა, ლოყები ჩაცვივნოდა, შეშინებული ბავშვის თვალები ჰქონდა, და მწარედ ტიროდა. მის ფეხებთან გადაბრუნებული ჯამი ეგდო.

გოგონას სამიოდე წლით უფროსი ბიჭი მიუახლოვდა და მცირე ყოყმანის შემდეგ თავისი ულუფა დაუთმო. გოგონამ მადლობის თქმა სცადა, მაგრამ ცრემლი ახრჩობდა და სიტყვის წარმოთქმაც ვერ შეძლო. ხარბად გადაყლაპა ერთი კოვზი ეგრეთ წოდებული სუპი, შემდეგ თავი გაიქნია და ჯამი ბიჭს გაუწოდა.

— ალბათ ახალი ხარ, არა? — ჰკითხა ბიჭმა.

გოგონამ თავი დაუქნია.

— უნდა მიეჩვიო, — დაარიგა ბიჭმა. — თორემ დაიღუპები.

გოგონამ კიდევ ერთხელ გადახედა და მტკიცე უარი განაცხადა:

— არ შემიძლია. მადლობელი ვარ.

ბიჭმა ჯამი არ გამოართვა.

— ბანაკის ექიმს მოუტანე და უთხარი, კრისტაპმა გამოგიგზავნა-თქო.

— მე ლიგიტას მეძახიან. უბრალოდ გიტას, — ნდობით აცნო გოგონამ.

კრისტაპს უნებურად გაეღიმა.

— შენ კიდევ ერთი რჩევა დაიმახსოვრე. უსაქმოდ არასოდეს გაჩერდე, როგორც ახლა დგახარ. იმოძრავე, თავი მოაჩვენე, თითქოს ჩქარობდე... თუნდაც ადგილზე ირბინე... ისე კი ყველას სჯობია, დედას არ მოშორდე.

— დედაჩემი შეიროტავაში დარჩა, — გიტამ თავი ჩაჰკიდა. — თქვენს გერმანიაში სამუშაოდ წაიყვანეს.

— მამა?

— მამაჩემი პარტიზანებს ინახავდა და დახვრიტეს... შენ რაღაზე ჩაგსვეს?

— მე? — ჩაიცინა კრისტაპმა. — იმიტომ, რომ ენას კბილი არ დავაჭირე.

— სპილვეს აეროპორტის მომსახურე რაზმი ჭიშკართან შეიკრიბოს! — გაისმა ბრძანება.

კრისტაპი იმწამსვე გატრიალდა.

— ხომ დაბრუნდები? — შეაჩერა გოგონამ.

კრისტაპმა მხრები აიწურა. ასეთი შეკითხვის დასმა მხოლოდ ახალბედას შეეძლო. მაგრამ ვაჟს არ უნდოდა ახალი მეგობრის განაწყენება და აღუთქვა:

— ერთი კვირის შემდეგ დავბრუნდები... შენ კი ექიმთან წადი, გესმის, გიტა... ნუ შეგრცხვება, იგი ჩვენი ოჯახის ძველი მეგობარია... და გახსოვდეს, აქ მთავარია სიცოცხლის შენარჩუნება.

ბიჭი გაიქცა, მაგრამ სანამ თვალს მიეფარებოდა, კიდევ ერთხელ მოიგონა:

— ექიმთან, გიტა! გაიგე?

გოგონა უკვე აღარ ჰგავდა უბედურ და უსუსურ არსებას. თვალებში იმედის ნაპერწკალი აუციაფდა.

... გავიდა ერთი კვირა, აპრილის მზის სხივებზე თოვლი დნებოდა.

საერთო ორომტრიალში უძრავად მხოლოდ ორი ადამიანი იყო — გიტა, ბანაკის ჭიშკარს თვალს რომ არ აშორებდა, და ახალგაზრდა ბოშა.

— ისევ ელოდები? — ისე ჰკითხა ბოშამ, გოგონასკენ არც მიუხედავს.

გიტამ უხმოდ დაუქნია თავი.

— დაელოდე, — ამოიოხრა ბიჭმა. — მე არც კი მეგონა, გაზაფხულს თუ მოვესწრებოდი. მაგრამ ხომ ხედავ, დადგა გაზაფხული. მერე ზაფხული დადგება, ელგავაში დღესასწაულზე ჩემი ნათესავები ჩამოვლენ, იცეკვებენ, იმღერებენ.

მისი მონოტონური ლაპარაკი კვლავ სევდიან, გულისმომკვლელ სიმღერად გადაიქცა.

მაგრამ გიტას აღარ ესმოდა. ჭიშკართან გამოჩნდა სპილვედან დაბრუნებული შრომითი კოლონის პირველი მწკრივები. ტუსაღები ჭიშკარში შემოვიდნენ. კოლონა გაირინდა.

— გაიხადეთ ყველამ!

ახალმოსულებმა ზედატანი გაიხადეს და ნახევრად შიშვლები ეზოში ჩამწკრივდნენ.

კრისტაპი პირველ რიგში იდგა, მასაც სხვებივით აღემართა ხელები, მაგრამ დანარჩენებისაგან მაინც რაღაცით განსხვავდებოდა. იქნებ იმით, რომ ხელჯოგები ფრთხილად ეჭირა მაღლა? არა, უფრო სახის გამომეტყველებით გამოირჩეოდა, უცნაური კი იყო, მაგრამ მის თვალებში ბედნიერების მოლოდინი ამოიკითხებოდა. გიტას სახეზედაც ამის მსგავსი რაღაც აღბეჭდილიყო. მათმა თვალებმა მოიდანი გადაჭკვეთეს და ერთმანეთს შეხვდნენ.

ხელთათმანიანმა თითებმა კრისტაპის მკერდსა და ზურგზე გაისრიალეს, ჯიბეებსა და შარვლის ნაკეცებში აფათურდნენ. ახლა ტუსაღს ხის ფეხზე უნდა გაეხადა, იქვე წაეყო შიგ ფეხები და მხოლოდ ამის შემდეგ ენიჭებოდა ბანაკში შესვლის უფლება.

კრისტაპი გიტასთან მივიდა, ყოყმანობდა, არ იცოდა, ხელი ჩამოერთმია თუ მოხვეოდა.

— დახე, რა მოგიყვანე, — ოდნავ უხეშად უთხრა და გოგონას ხელჯოგი გაუწოდა.

გიტამ ხელჯოგში ჩაიხედა, შიგ რუხი ფერის მოშავო შოშია იჯდა.

— თუ ნებას დამრთავ, მე ამას მორიცს დავარქმევ, — უთხრა გიტამ.

— ჯერ უნდა განკურნო. აეროდრომის მდელოზე ვნახე, ძლივსღა სუნთქავდა, გაგათბე და პარმაღზე დავსვი. ცოტა რომ გამოცოცხლდა, გაფრენა დააპირა, მაგრამ ვერ შეძლო. მარცხენა ფრთა აქვს ნატკენი.

— საბრალო! — ლაგიტამ შოშიას კანკრიხოზე აკოცა. — რამ აფიქრებინა ასე ადრე მოფრენა.

— ალბათ, სასიამოვნო ამბის მახარობლობა სურდა, — კრისტაპმა ხმას დაუწია. — წვენები მთელ ფრონტზე უტევენ.

— რიგიდან ჯერ შორს არიან. ჰო, მართლა, ექიმმა თქვა, დიზენტერიააო... საქმე ისე მოუწყვია, რომ შენ საავადმყოფოს ბარაკში გადაგიყვანონ. მაშინ ყოველდღე ვნახავთ ერთმანეთს. მამაშენს მართლა შეუძლია მედიკამენტები მოგვაწოდოს? ისეთი ავადმყოფები გვყავს...

ბოშამ სიმღერა მოულოდნელად შეწყვიტა.

ერთხანს ბიჭი უძრავად იჯდა. მის შავ თვალებში ჩამავალი მზის სხივები და აუტანელი, მომაკვდინებელი სევდა ირეკლებოდა. უცებ წამოხტა და ტყისკენ მოკურცხლა.

გზა მავთულმა გადაუღობა.

მაგრამ ბოშას არც კი უცდია მის ქვეშ გაძრომა. ბრმასავით პირდაპირ მავთულს მიაწყდა... სანამ ეკალი შეერჭობოდა, სადარაჯო კოშკურიდან სროლა გაისმა.

გიტამ სახე კრისტაპის მკერდში ჩამალა. კრისტაპმა გოგონა მოიშორა და ბოშის საშველად გაქცევა დააპირა.

— არ გინდა! — დააკავა გიტამ. — უკვე მკვდარია. აქედან ვერავინ დააღწევს თავს.

— ბოშამ განზრახ მოაკვლევინა თავი. მე და შენ კი გავიქცევით აქედან. ოღონდ ყველაფერი დაწვრილებით უნდა მოვიფიქროთ.

... საავადმყოფოს ბარაკის გისოსებიან ფანჯარაზე მკრთალი შუქი ციმციმებდა. ჭუჭრუტანებში ქარი უბერავდა, სახურავში წვიმა ატანდა.

კედლების გასწვრივ სამ სართულად გაეჭიმათ ნარები, რომლებზედაც ძონძებგადაფარებული ავადმყოფი ბავშვები იწვნენ.

ნარებს შორის გიტა დაანიჯებდა. ხელში წყლიანი დოქი ეჭირა. წყალს ალუმინის მათარაში ასხამდა და ბავშვებსასმევდა.

გოგონა იმ ნარზე ჩამოჯდა, პიჩი რომ იწვა. ბავშვს თვალები უცნაურად წამოგზნებოდა.

— უკეთ ხარ, პიჩ?

— უკეთ ვარ! — მიუგო ბიჭმა, მაგრამ ტკივილმა სძლია და აღიარა: — ისე მჭრის, თითქოს შიგნეულს კატები მიკაწრავდნენ.

— გულს ნუ გაიტეხ, — გიტამ ძლივს მოახერხა გაღიმება. — თუ კატები გკაწრავენ, დაუცაცხანე. წამლებს დაგალევინებ და ტკივილიც გაგივლის.

გიტამ ბიჭს მათარა გაუწოდა, მაგრამ შეამჩნია, რომ ჩასძინებოდა, და წყალი თვითონ დალია.

— სანიტარო, ექიმი სად არის? — გასძახეს კრისტაპს ავადმყოფებმა.

კრისტაპმა ექიმი იმ პატარა ოთახში იპოვა, აფთიაქს რომ ეძახდნენ. იგი სკამზე იჯდა, ხელებს დაყრდნობოდა და ფანჯარაზე აშხაპუნებულ წვიმას გასცქეროდა.

— ექიმო, ის ორნი გარეთ უნდა გამოვიყვანოთ, ფანჯარასთან რომ წვანან, — უთხრა კრისტაპმა. — ის ახალი ავადმყოფი, გუშინ რომ მოიყვანეს, ისევ ღრიალებს და ნემსს თხოვს.

ექიმი კრისტაპისკენ მოტრიალდა. სახეზე სასოწარკვეთილება აღბეჭდოდა.

— ყველაფერი გამოვცადეთ, — მცირე დუმილის შემდეგ უპასუხა ექიმმა. — ყველაფერი. ამ დილით კომენდანტმა წაიღო ყველა წამალი, მიმაშენმა რომ გამოგვიგზავნა...

კრისტაპმა მხოლოდ მაშინ მიაქცია ყურადღება, რომ განჯინის თაროებზე, სადაც მედიკამენტები ეწყო, დაეცარიელებინათ.

ოთახში გიტა შევიდა.

— პიჩი ვერ არის კარგად, — სხვებიც ჩივიან, მუცელი გვგვრემსო. არ ვიცი, რა ვქნა.

ექიმმა არ უპასუხა.

— იქნებ მართლა დიზენ...

მაგრამ ექიმმა კრისტაპს სიტყვა ბოლომდე არათქმევინა.

— გაჩუმდი! — თითქმის ისტერიული ჩურჩულით ჩაიკმენდინა ხმა, — ესესელები გაიგებენ და ბარაკს ავადმყოფებიანად გადაბუგავენ, სენი ჩვენც არ გადმოგვედოსო.

— მერედა ამ სენს არაფერი ეშველება? — იკითხა გიტამ.

— კი! — თქვა სახედაღრეჯილმა ექიმმა, მზერა ცარიელ განჯინას ესროლა, სწრაფად წამოდგა და ოთახიდან გავიდა.

გიტა და კრისტაპი თითქოს ამასღა ელოდნენ. ერთადერთ სკამზე ჩამოსხდნენ და ერთმანეთს ისე მიეკვრნენ, თითქოს ერთურთის გათბობა განუზრახავთო.

— მე ქალაქთან კავშირის დამყარება მოვახერხე, — უთხრა კრისტაპმა. — ხვალ მამაჩემს შევუთვლი, ისევ გვიშოვნოს წამლები.

— დავუშვათ, გვიშოვნა, მაგრამ ფრიცები რომ ისევ წაგვართმევენ?

— საიმედო სამალავს მოვნახავთ.

— უწინ სიკვდილის საოცრად მეშინოდა, მაგრამ ახლა... იქნებ ის ბოშა მართალიც იყო?..

— რას ამბობ, გიტა! — აღშფოთდა კრისტაპი. — ჩვენ სიცოცხლე უნდა შევინარჩუნოთ!

— რომ ასე ვიწვალოთ?

— სხვებს რომ დავეხმაროთ! — მტკიცედ მიუგო კრისტაპმა. — ამისთვის კი წამლები გვჭირდება.

ამჯერად გიტას დამშვიდება არცთუ ისე ადვილი გამოდგა.

— ვერ გამიგია, ღირს კი საერთოდ მათი გადარჩენა. ზოგი მათგანი ისეა მისუსტებული, ვერაფერსაც ვერ გაიგებენ — დაიძინებენ და აღარ გაიღვიძებენ. ახლა სხვებს რა მოელით ხვალ, ზეგ, ერთი თვის შემდეგ. ვერ გამიგია, რატომაა, რომ წიგნებში წერენ, პირველ რიგში ბავშვებს უნდა ვუშველოთ. მე მგონია, მათ ასაკში უგრძნობლად სიკვდილი გაცილებით ადვილია.

— მერედა კაცობრიობის მომავალი?

— ძალიან კეთილშობილად კი ჟღერს, — მწარე ღიმილით უთხრა გიტამ. — მაგრამ ბავშვების მდგომარეობას ეს ვერ ამსუბუქებს. მე შენ სერიოზულად გეუბნები: იმ დღეს, აქ მუშაობას რომ ვერ შევძლებ, როცა აღარ მექნება იმის ძალა, რომ ბავშვებს ტოლჩით წყალი მივაწოდო და მოვატყუო, ეს წამალია-მეთქი, მეც მავთულს მივაწყდები.

— სისულელეს ამბობ, — გააწყვეტინა კრისტაპმა. — მოდი, სხვა რამეზე ვილაპარაკოთ. მითხარი, გიტა, ომის შემდეგ ექიმის პროფესიას ხომ არ აირჩევ?

— არ ვიცი... მშობლები მაიძულებდნენ მუსიკაში მემეცადინა, როიალის დაკვრა მესწავლა. რომ იცოდე, როგორ მეზარებოდა მაშინ მუსიკის გაკვეთილები. სულ ერთი და იგივე მეორდებოდა. ახლა კი, — გოგონამ დახეთქილ ხელებზე დაიხედა, — ახლა უბრალო „ყიყლიყო, მამალოსაც" ვერ დავუკრავ.

— დაუკრავ, ნამდვილად დაუკრავ! ისწავლი და პიანისტი გახდები, — ღრმა რწმენით უთხრა კრისტაპმა. — მოვალ შენს კონცერტზე და ვარდებს მოგართმევ. უზარმაზარ თაიგულს. შენ თეთრი, კოჭებამდე კაბა გეცმევა. მერე სანაპიროსკენ ერთად გავემგზავრებით და სილაზე დავსხდებით. მხოლოდ ჩვენ ორნი ვიქნებით და ზღვა.

უეცრად ვიოლინოს გულში ჩამწვდომი ხმა შემოესმათ. კედელს მიღმა ოთახში მოხუცი ექიმი ნარებს შორის დააბიჯებდა და უკრავდა. მისი ქამანი სასოწარკვეთილებას აქარწყლებდა და შიშისგან გონდაკარგულ ადამიანებს რწმენას უბრუნებდა. ბარაკში გუშაგი შევარდა. ექიმს ვიოლინო გამოსტაცა და კედელს მიანარცხა.

* *

პატიმრები სალასპილსის რკინიგზის შტოს სათადარიგო ლიანდაგზე მდგარ საბარგო ვაგონებს ცლიდნენ. ხელიდან ხელში გადადიოდა ტყავის, ქსოვილის, ფანერის ჩემოდნები. ვაგონები დაიცალა, მოედანი კი აივსო პატიმრებით, ზოგი ორ-ორ, ზოგი კი სამ-სამ ჩემოდანს რომ მიათრევდა ახალაშენებული საწყობისკენ.

მათი გულმოდგინება მოჩვენებითი იყო. თვითეული შემთხვევას ეძებდა, როგორმე ჩემოდანში მოეფათურებინა ხელი. დარწმუნებულიყო, შიგ საკბილო ხომ არ დევსო.

კრისტაპი ბორცვს იქით პირქვე იწვა. თავის წამოწევა ეშინოდა, აცახცახებული თითებით ჩითავდა ორ დიდ ჩემოდანს.

ლურსმნები და სალანჩე ტყავი თეთრეულსა და ბავშვის ფეხსაცმელებში არეულიყო,

ფოტოაპარატი და თეოდოლიტი, რუსულ-გერმანული ლექსიკონი და ლოგარითმული სახაზავი, ინჟინრის დიპლომი და რამდენიმე ფირფიტა. ეს იყო და ეს.

უცებ ხელში ტარისკოხის კოლოფი მოხვდა, სადაც მარგალიტის გულქანდი ეხილა. მარგალიტის ყოველ მარცვალს ძველებური ოქროს ჰაჟმანი ჰქონდა შემოვლებული. კრისტაპი წუთით ჩაფიქრდა და სამკაული უბეში ჩაიდო.

გაისმა სროლის ხმა. კრისტაპი მოიკუნტა, მიწას კიდევ უფრო [illegible] ტყვია მისთვის არ იყო განიზნული. მისგან ოდნავ მოშორებით ქუთუმა, [illegible] კრისტაპივით ჩემოდანს რომ ათვალიერებდა, თავი მიწაში წარგო. მის ტანსაცმელზე [illegible] ლაქამ გამოჟონა.

კრისტაპმა, როგორც იქნა, სალამო ხანს მოახერხა გიტას ნახვა. ქალიშვილი საავადმყოფოს ბარაკს იქით, მოფარებულში ელოდა. ჩამობნელდა. ბანაკის ტერიტორიაზე ხანგამოშვებით პროჟექტორის შუქი გაელვებდა, მაგრამ მაშინაც ახალგაზრდებს ბარაკის ჩრდილი იფარავდა.

— პირმა მოიკეთა, — ახარა გიტამ. — დღეს ერთი ნაჭერი პური შეჭამა.

— აი, ხომ ხედავ, აქ გითხარი?.. — კრისტაპმა მოუშურველი სიამაყით დაიხვია თითზე გულქანდი.

— ღმერთო, რა ლამაზია! — წაიჩურჩულა გიტამ. — ასეთ რამეს ცხოვრებაში პირველად ვხედავ. ალბათ, ძვირფასი იქნება.

— ჰო, უნდა ვივარაუდოთ, რომ ნამდვილი მარგალიტია, — დაეთანხმა კრისტაპი.

— რაკი ასეა, ჩქარა უნდა მოვიშოროთ თავიდან! — შეწუხდა გიტა.

— ცხადია, თუ ვინმემ გამოიძია, უბედურება არ ავცდება, — კრისტაპმა გულქანდი ხელში ჩაუდო გიტას. — აიღეთ დამალე და პირველსავე შემთხვევაში გადაეცი ექიმს.

— მეშინია, ბანაკში რა ეშმაკად გვინდა?

— ქალაქში თითო-თითო მარცვალს გავგზავნით და ღუდა წამლებზე გადავცვლით.

— ღუდა... — ძლივს ამოიოხრა გიტამ. — კრისტაპ, გჯერა, რომ დედაჩემს გერმანიაში წაიყვანდნენ?

— რასაკვირველია. ეს ხომ ცხადზე ცხადია, ჰიტლერელებს ახლა უჭირთ და მუშახელი ოქროს ფასად უღირთ.

— თუ ასეა, მაშ რატომ არ გვიშვებენ აქედან?

— აქ დიდხანს არ მოგვიწევს დარჩენა. მე ყველაფერი მოფიქრებული მაქვს. გნახოთ, შეიძლება პარტიზანებთან ერთად წავიდეთ.

ძაღლების გააფთრებულმა ყეფამ და სროლის ხმამ საუბარი გააწყვეტინათ.

მოშორებით მდგარი ბარაკი ცეცხლის ალში გახვეა. ჩაბნელებული კუთხიდან, სადაც კრისტაპი და ლიგიტა იმყოფებოდნენ, ჩანდა, როგორ შემოერტყნენ ბარაკს შეიარაღებული გუშაგები, ძაღლებიც თან ახლდათ, რათა ცეცხლმოდებული შენობიდან არავინ გაქცეოდათ. ზედამხედველები წამდაუწუმ ისროდნენ.

კრისტაპი და ლიგიტა სამალავიდან გამოვიდნენ და ექიმს შეეჩეხნენ.

— ოი, როგორ ებრძვიან დიზენტერიას!

ავტომატების ჯერი მიწყდა, პოლიციის გააფთრებული ძაღლები კი არ მშვიდდებოდნენ. ექიმმა გიტას ხელი ფრთხილად ჰკრა და უთხრა:

— წადი, შვილო, დაიძინე, ხვალ მძიმე დღე მოგველის.

...დაფლეთილი ღრუბლები შავი ნაკუწებივით შემორტყმოდა მთვარეს, რომელიც თითქოსდა გახვრას დაკიდებულიყო საგუშაგო კოშკურის ზემოთ.

გიტა და კრისტაპი საავადმყოფოს ბარაკის ზღურბლზე იდგნენ.

— ექიმმა შემოგითვალა, ჯერ მარცხენა მხარეს იარე, მერე სამხრეთით ბარაკისკენ გადუხვიეო, — უთხრა გიტამ.

— მეტი არაფერი უთქვამს?

— გეშინია?

კრისტაპმა ხელი ჩაიქნია და წავიდა. იგი ცდილობდა ბარაკის კედელ-კედელ ევლო. უკან კიდაც აედევნა.

— გაჩერდი და უკან არ მოიხედო! — კრისტაპს მხრებში ორივე ხელით ჩააფრინდა და მობრუნების საშუალება არ მისცა. — ცნობ ჩემს ხმას?

— ვერა.

— კარგი. ჯერ იფიქრე, მერე კი მიპასუხე. ბანაკში არიან ისეთი ადამიანები, აქაც რომ არ წყვეტენ ფაშისტებთან ბრძოლას? გინდა ამ ბრძოლაში მონაწილეობა მიიღო?

— მინდა, — დაუფიქრებლად მიუგო კრისტაპმა.

— ნუ ჩქარობ... იცი, რა მოგელის, რომ ჩავარდე? მაშინ გვიანდა იქნება თითზე კბენა...

— მინდა, — გაიმეორა კრისტაპმა.

— ექიმია შენი თავდები, გიტაც მარგალიტი გადაეცი. ახლა მისი სილოცხლისთვის საკუთარი თავით აგებ პასუხს.

— როგორ უნდა მოვიქცე?

— კომენდატურის სჭირდება გერმანული და რუსული ენების მცოდნე შიკრიკი. არჩევანი შენ გერგო. დაქირავებულ მუშებს უნდა შეეკრა, მათი დახმარებით კი ქალაქის იატაკქვეშეთს დაუკავშირდები. დანარჩენს ექიმი გეტყვის. გასაგებია?

— და არავის ეცოდინება, სინამდვილეში ვინცა ვარ?

— არავის.

ექიმიც ასევე ულმობლად ექცეოდა.

— გიტას მაინც ვეტყვი, — შეევედრა ერთხელ კრისტაპი.

— თუ მართლა გიყვარს, არავითარ შემთხვევაში არ უთხრა.

— მე ყველაფრისთვის მზადა ვარ. მაგრამ ორლონანტი, ბანაკში ფკანასკნელ კაცად რომ ითვლება, ორზე უარესია.

— მაშინ ამოცანა გაკეთდა! — დაეთანხმა ექიმი. — მაგრამ მხოლოდ ასე შევძლებთ მარგალიტის მედიკამენტებზე გაცვლა, ბავშვებისთვის ბანაკში თეთრის ქურის შემოტანა.

— გაქცევის საქმე როგორ იქნება? — გაიხსენა კრისტამ.

— ჯერჯერობით უნდა გავაგდოთ. შესაფერისი კაცი არა გვყავს, რომ შენი ნათესაობა გასწიოს... — ექიმს მოაგონდა, რომ არავითარი მორალური უფლება არ ჰქონდა იძულებინა ეს ახალგაზრდა კაცი, სიცოცხლე საფრთხეში ჩაეგდო. — უთის თქმა ჭეშმარიტ... [illegible] გვინდა! საყვედურს არავინ გეტყვის, რამდენადაც შენი ცდილება, კრისტა, ძალზე საჭიროა. [illegible] საქმე ის არის, უწამლებოდ ხალხი ბუზებივით იხოცება.

ბიბ—ლიოთეკა

— მერე ჩემ მაგივრად სანიტარი ვინ იქნება?

ექიმმა კრისტას ხელზე ხელი მოჰკიდა, მოუჭირა და უთხრა:

— მისი პოვნა გაცილებით იოლი საქმეა.

...იმ დღიდან ექიმის სენაკი გახდა ერთადერთი, ასე თუ ისე, უსაფრთხო ადგილი, სადაც კრისტას შეეძლო გიტას ისე შეხვედროდა, რომ ეჭვი არავის აღძვროდა. ზედამხედველებს გადამდები ავადმყოფობის ტყვიასავით ეშინოდათ და საავადმყოფოს ბარაკში იშვიათად შეიხედავდნენ ხოლმე.

— სასიამოვნო ახალი ამბები მოგიტანე, — იქვე გახუცხადა კრისტამ. ვერც კი მოასწრო კარი ხეირიანად დაეკეტა.

— ფრონტიდან? — შეეხმიანა გიტა.

— ფრონტიდანაც... ქალაქიდან დღეს პირველი ამანათი მივიღე. ექიმი გეტყვის, რა უნდა დაუტოვო ავადმყოფებს. დანარჩენი ბავშვთა ბარაკში მიიტანე და დედებს ემას გადაეცი. ფრთხილად, არავინ წაგასწროს.

— მადლობელი ვარ შენის სწავლებისთვის, — გაეცინა გიტას.

— წამო, გაჩვენებ!

აიტაცეს ორხელი, რომელზედაც კრისტამ წინასწარ დაყარა სილა, გზისკენ გაიქცნენ — წინ კრისტა, უკან — გიტა. საკონცლაგერში ეს იყო მოძრაობის ყველაზე უსაფრთხო საშუალება, არც ერთ ზედამხედველს აზრად არ მოუვიდოდა იმის შემოწმება, სით ან რატომ მიდიანო.

ბანაკის მთავარ წრიულ გზაზე მათთან ერთად მიაბიჯებდა და ორხელი მიჰქონდა ორ პატიმარს. გზის ერთ მხარეს ორხელზე მიწას ყრიდნენ, რათა დაეცალათ საპირისპირო მხარეს მდებარე გორაკზე, არავის რომ არ უშლიდნენ.

სანაგვის იქით, სადაც ორი პატიმარი ძველ ლეიბებს წვავდა, პატარა ძელური სახლი იდგა.

— გუშაგთა ბანაკში? — ჰკითხა თავზარდაცემულმა გიტამ.

— აქ ქალაქიდან მოსული მუშებიც ბანაობენ, — უკანმოუხედავად მიუგო კრისტამ. — ყურადღებით დააკვირდი!

რაკი დარწმუნდა, ვერავინ გვხედავსო, კრისტამ მეორე სადგურის ფიცარი მარჯვედ ააგლიჯა, მოყვითალო სითხით სავსე ორი ნახევარლიტრიანი ბოთლი, ამდენივე თეთრი კოლოფი ამოიღო და სილაში სწრაფად ჩაფლა.

— ეცადე, აქ ყოველდღე მიხვიდე! — უთხრა კრისტამ.

— მარტო უნდა მოვიდე?

— ნაგვიანი ვედრო წამოიღე, სანაგვეზე დაცალე და იქიდან პირდაპირ აქეთ წამოდი, — დაარიგა კრისტამ. — ჩვენ აწი გაცილებით იშვიათად შევხვდებით ერთმანეთს.

უბიდან გერმანული სიგარეტების კოლოფი და ორი ცალი გაზეთი ამოიღო და სილაში ჩამალა.

— ექიმს გადაეცი წამლებთან ერთად.

— სანიტრად ახლა შენ ნაცვლად ვიღაც ვოლდისი მუშაობს.

— მასთან არაფერი წამოგცდეს! — გააფრთხილა კრისტამ და მოსახვევში გაუჩინარდა.

...ექიმი უსმენდა შესამჩნევად მოკვეთებულ პატარა პეტერისს, ტახტზე რომ იჯდა. იქვე იდგა მაღალი, ოცდაათიოდე წლის კაცი, გახუნებული თეთრი ხალათი რომ ეცვა. ეს იყო ვოლდემარ კალნინი.

— ჩვენი გიტა ხვდება ერთ ბიჭს, რომელიც კომენდატურაში მუშაობს. თქვენ კი ეს ფეხებზე გკიდიათ!

— სწორედ რომ პირიქითაა, — მიუგო ექიმმა. — მე მიხარია, ვოლდიც, როცა ქალ-ვაჟს ერთმანეთი უყვარს... მათ რომ უცქერი, კაცს სიცოცხლის რწმენა გიბრუნდება.

— ამ ჯოჯოხეთში? — ჩაიცინა კალნინმა.

— სწორედ აქ.

— მაგრამ ის ხომ ნამდვილი ეგვანდარაა.

— მიცმინე... — ექიმმა კალნინს დამცინავი მზერა შეავლო. — შემთხვევით ხომ არ ეჭვიანობ?

კალნინმა ხელი ჩაიქნია და ფანჯარასთან მივიდა.

ბლაფებულ მოედანზე გიტა მძიმედ მიაბიჯებდა. იგი სილით პირთამდე სავსე ვედროს მიათრევდა. გოგონამ უცებ მავთულის ხავლეჯს წამოსდო ფეხი, ვედროდან სილის ნაწილი გადაცვივდა და შიგ ჩაფლული ორი ბოთლი გამოჩნდა. გიტამ დაშინებული სილა შეშფოთებით ახვეტა და ისევ ვედროში ჩაყარა. უკვე თითქმის საავადმყოფოს ბარაკამდე იყო მისული, მაგრამ მიწაზე კანრთხმულმა ესესელის შავმა ლანდმა გადაუღობა გზა.

— ჰალტ! — გაისმა გამყინავი ძახილი.

გიტა გაიხაპე.
სწორედ ამ დროს ჩოლიდან ფეხი დაადგა კრისტაპმა. იგი გიტას ეცა, შეანჯღრია, ზურგში ხელი ჰკრა და რისხვით შეუძახა:
— როდის უნდა ისწავლო სიარული, შე ზარმაცო ძროხავ, შენა! აბა, ჩქარა გაიარე!
გიტა ბარაკისკენ გაიქცა, კრისტაპმა მას მუჯლუგუნით ააჩქარებინა ფეხი.
— გუტ, გუტ, ორდონანტ, — უთხრა ესესელმა და გზა განაგრძო.
კრისტაპმა სული მოითქვა. მან მხოლოდ ახლა შეამჩნია, რომ მის მიერ ნათამაშებულ სცენას ფანჯრიდან თვალს ადევნებდა კალნინი. კრისტაპი მაშინვე გაიმართა წელში და ქუს-ლები მედიდურად გაატკაცუნა.
ვოლდემარ კალნინსმა ზიზღით გადააფურთხა. მიტრიალდა, უნდოდა ექიმისთვის რაღაც ეთქვა, მაგრამ გადაიფიქრა, კარი გაიჯახუნა და შენობიდან გავიდა. თუ ექიმს ეს უმსგავსობა სიყვარულად მოაჩნია, აღარ ღირს მასთან დავა, მაგრამ გიტას მაინც უნდა შევახსენო, ქალი-შვილი თავის ღირსებას ბანაკშიაც კი უნდა გაუფრთხილდესო.
... ექიმი ფანჯარასთან იდგა და ალანძულ ხეთა კენწეროებს გასცქეროდა. კრისტაპის ფე-ხის ხმა რომ გაიგონა, უკანმოუხედავად უთხრა:
— შვილო, ყურადღებით მისმინე და სიტყვას ნუ გამაწყვეტინებ. შეიძლება უკანასკნელად ვხვდებოდეთ ერთმანეთს... ქვის სამტეხლოებში ჩვენი ერთ-ერთი მეკავშირეთაგანი ჩავარდა. იგი ახალგაზრდა, ჯერაც შეუმოწმებელი ამხანაგია. ვინ იცის, ეყოფა თუ არა ნებისყოფა, რომ არ გაგვცეს? ყოველ შემთხვევაში მზად უნდა ვიყოთ, შეიძლება ხვალ-ზეგ მეც წამიყვანონ და ზოგიერთი სხვაც უკან ჩამოყოლონ...
— მე იარაღის შოვნა შემიძლია, — მტკიცედ განუცხადა კრისტაპმა. — გავიგე, სადაც ინა-ხავენ, ამ დილით გასაღებების ასხმულა მოვიპარე. ასე ადვილად არ ჩავუვარდებით ხელში!
ექიმი შემობრუნდა.
— ყოველ ადამიანს თითო სიცოცხლე ეძლევა. თუმცა სისულელე იქნებოდა იმაზე ფიქრი, რომ იგი მხოლოდ მას ეკუთვნის. შენი ამბავი მხოლოდ ორმა კაცმა ვიცით და ჩვენ კრინტსაც არ დავძრავთ. შენ უნდა იცოცხლო, გესმის თუ არა, რომ ჩვენ მიერ დაწყებული მუშაობა ვიღაცამ განაგრძოს. ეს პარტიის ბრძანებაა. იარაღის თაობაზეც იფიქრე, მაგრამ უფრო მო-გვიანებით, როცა წითელი არმია რიგას მოუახლოვდება.
... დილის ბინდბუნდში ძაღლების ყეფა და საბარგო მანქანის მოტორის ხმაური ისმოდა. ექიმს მთელი ღამე თვალი არ მოუხუჭავს. წამოდგა, ფანჯარა გამოაღო, ხმაურს ყური მიუგდო, ბნელში გადაიხედა და სასწრაფოდ ჩაცმას შეუდგა.
— გიტა! — გასძახა გოგონას.
არავინ უპასუხა.
წამლების განჯინა შეათვალიერა, ზედა თაროდან ამპულებიანი კოლოფი ჩამოიღო და ჩაფიქრდა.
— გიტა! — ისევ დაიძახა. — ეშმაკმა დალახვროს, სად გადაიკარგეთ ყველანი?
კარი გაიღო და ოთახში ვოლდემარ კალნინი შემოვიდა.
— შენა ხარ?
— გიტა არა ჩანს, ალბათ, ისევ კრისტაპთან ზის სადმე... სასწრაფო საქმე ხომ არ გაქვს?
— ძალზე სასწრაფოა... ყოველ წუთს მოსალოდნელია გესტაპოს მოსვლა.
კალნინმა შენიშნა, რომ ექიმს ხელში ამპულებიანი კოლოფი ეჭირა.
— მორფი!... — მიხვდა იგი. — გაიქცევით... ანუ ვთქვათ, უკანასკნელი ტყვია საკუთარი თავისთვის.
მცირე ყოყმანის შემდეგ ექიმმა ამპულები კალნინს გაუწოდა.
— არა, არა, არ შემიძლია! — კალნინმა ხელზე ხელი აუკრა.
— საიმედო ადგილას შეინახეთ.
— რაო, თქვენ ჯერ კიდევ გაქვთ იმედი? — გაუკვირდა კალნინს. — მას შემდეგ, რაც აქ ასეთი ამბები ხდება?
— მე ექიმი ვარ, ვოლდი, ამ ამპულებს კიდევ შეუძლიათ რამდენიმე სიცოცხლის გა-დარჩენა. ამპულები იმ კაცს მიეცით, მარგალიტს რომ მოიტანს, ნამდვილ მარგალიტს, დაიხ-სომეთ, ვოლდი! — უთხრა ექიმმა და თვალებში ჩააშტერდა.
ქვევით მანქანა გაჩერდა.
კალნინი ფანჯარასთან მივიდა. ბარაკის შესასვლელთან საბარგო მანქანა იდგა. ორივენი სმენად იქცნენ. დერეფანში რკინით დაჭედილი ჩექმების ბრახუნი გაისმა.
— გიტა მომიკითხე, — ჩუმად უთხრა ექიმმა. — და ისიც, მარგალიტის თვლებს რომ მო-იტანს, იგი ჩვენი კაცია...
... კრისტაპი კომენდანტის კაბინეტის მისაღებში იჯდა. თავი ისე ეჭირა, თითქოს საბუთებს ფურცლავდა, სინამდვილეში კი აბრეშუმის ქაღალდის ნაკუწზე ბარათს წერდა.
კარი გაიღო. გერმანელმა ოფიცერმა ოთახი ისე გადაკვეთა, შიკრიკს ზედაც არ შეხედა.
სიჩუმე ჩამოვარდა. სადღაც, კედლის მიღმა საბეჭდი მანქანის კაკუნი ისმოდა. კრისტაპმა
ხის მაშიები გაიხადა, ხელში დაიკავა და კიბისკენ ფრთხილად გაემართა. მეორე სართულზე აიპარა. წინ იდო გრძელი დერეფანი, უამრავი კარ-ფანჯარა რომ ჰქონდა, იმის იქით კი ქარი ბანაკის ორ დროშას აფრიალებდა: სვასტიკიან წითელ დროშასა და შავს. კრისტაპი ბოლოს-წინა კართან შეჩერდა. ყური მიუგდო. ჩამიჩუმი არ ისმოდა.
ჯიბიდან გასაღებები ამოიღო და ბოქლომს მორგება დაუწყო... დიდხანს იჯახირა, რო-გორც იყო, კარი გააღო და საწყობში შევარდა, სადაც იარაღი ინახებოდა: შაშხანები, ავტო-მატები, ართწინალები, ხელყუმბარებით სავსე ყუთები, „ვალტერის“ ტიპის ტყავისბუდიანი პისტოლეტები.

კრისტაპმა ერთ პისტოლეტს ხელი დასტაცა და ჯიბეში ჩაიდო, ცარიელი ბუდე კი უეცრად თეზს იქით გადააგდო, ბნელ კუთხეში. ერთ წუთსაც არ გაევლო, რომ იგი დერეფანში იყო და კარის დაკეტვას ცდილობდა. მაგრამ არაფერი გამოსდიოდა. შუბლზე ცივმა ოფლმა დაასხა.

— ორდონანტო! — აყვირდა ვიღაც პირველ სართულზე. პირველს მეორე, უფრო სულ-წასული ძახილი მოჰყვა, — ორდონანტო, ფერფლუხ ნოხ აინმალ, ვო შტეკ დერ შაისკერლ! (ეშმაკსაც წაუღია, სად გადიკარგა ეს არამზადა!)

ფეხის ხმით გრძნობდა, ოფიცერი კიბეს უახლოვდებოდა. აი, საფეხურმაც დაიჭრიალა. კრისტაპმა აკანკალებული თითებით პისტოლეტი ჯიბიდან ამოიღო და დაძაბული გაირინდა. იმ წამს დაბლა ტელეფონმა დარეკა, ვიღაცამ ყურმილი ჩამოხსნა და დაიძახა:

— ჰერობერშარფიურერ! ცუმ ტელეფონ, ბიტე! (ბატონო ობერშარფიურერო! ტელეფონთან მობრძანდით!)

ოფიცერი უკან გატრიალდა. გაისმა კარის მოჯახუნების ხმა.

ამ რამდენიმე წამში კრისტაპმა ყველაფერი განიცადა, რაც სიკვდილისწინა წუთში შეიძლება ადამიანმა განიცადოს: მღელვარება, ელდა, გულისტკივილი ბედის უკუღმართობაზე, სიძულვილი და ბოლოს შვება...

...მას შემდეგ, რაც ექიმი წაიყვანეს, ვოლდემარ კალნინმა სიმშვიდე დაკარგა. პირველ დღეებში ჯერ კიდევ ჰქონდა იმედი, სადაცაა გამოცხადდება მარგალიტის გულქანდის პატრონი, რომელიც პარტიზანთა კბილებამდე შეიარაღებულ და უშიშარ ბელადად წარმოედგინა. მაგრამ დრო გადიოდა და არავინ ჩანდა, არავინ ეუბნებოდა, რა უნდა ეკეთებინა.

თუმცა კალნინმა ერთი რამ კარგად იცოდა — ექიმად არ უნდა გამჟღავნებულიყო! იატაკქვეშა კომიტეტი გაანადგურეს, საუკეთესო ამხანაგები დახვრიტეს ან რიგის ციხეში სტანჯავდნენ. მაშასადამე, ესტაფეტა ვიღაცას უნდა მიეღო, განეგრძო საიატაკქვეშო მუშაობა, რათა ფრონტის მოახლოებასთან დაკავშირებით, პატიმრები ასაჯანყებლად ან თუნდაც მასობრივი გაქცევის მოსაწყობად დაერაზმა. რატომ არ შეიძლებოდა, რომ ასეთი კაცი ვოლდემარ კალნინი ყოფილიყო? უბედურება მხოლოდ ის გახლდათ, რომ ვერ წარმოედგინა, როგორ ემოქმედნა.

ახლა მეოთხე საღამო იყო, ვოლდემარ კალნინი ექიმის სენაკში მაგიდას უჯდა და ჭრაქის შუქზე წერდა:

„ხ ა ლ ხ ი  ა რ  დ ა ი ვ ი წ ყ ე ბ ს...“

ფეხის ხმა რომ გაიგონა, კალნინმა ქაღალდი სასწრაფოდ დამალა.

შემოვიდა კრისტაპი. კალნინი მაგიდას ზურგით აეფარა და ზიზღით აღსავსე ხმით ჰკითხა:

— მოხვედი, რომ რაიმე იყნოსო, არა?

კრისტაპი ისე მოიკრუნჩხა, თითქოს სახეში მიეფურთხებინოთ. რა ჯოჯოხეთურად ძნელია იმის შეჩვევა, რომ ადამიანებისათვის შენ ოკუპანტების ლაქია ხარ!

— სად არის გიტა?

— ეს შენს უფროსებს ჰკითხე, — მიახალა პასუხად კალნინმა. — ერთი საათის წინ წაიყვანეს.

კრისტაპი მაშინვე გატრიალდა და ოთახიდან გავარდა.

ღამით ზარაკი ვოლდემარ კალნინსაც დატოვა.

* *

...ბავშვთა ბარაკის კუთხეში, თუჯის პატარა ღუმელთან, ტახტზე გიტა იწვა.

— რა მოგივიდა, რატომ ხარ ასე ფერმკრთალი? — ჰკითხა კრისტაპმა.

— ღრძილებმა სისხლი ამიღეს, — წასჩურჩულა გოგონამ.

კრისტაპს უნდოდა შუბლზე ეკოცნა, მაგრამ ვერ გაბედა.

— ცოტა მოვიკეთე. ხვალ ისევ ფეხზე დავდგები... შენ როგორა ხარ?

კრისტაპმა თავი ჩაჰკიდა.

— გუშინ ყველანი დახვრიტეს. ჩვენი ექიმიც...

გოგონა უხმოდ ტიროდა. ცრემლი თვალის კუთხეებში უგროვდებოდა და საფეთქლებზე ჩამოსდიოდა.

— დღევანდელი დღე ჩემთვის ბედნიერი გამოდგა, — თქვა კრისტაპმა. — მას შემდეგ, რაც კომენდატურაში მუშაობა დავიწყე, პირველად გამომიცხადეს ნდობა...

— მოვიდა ის კაცი, მარგალიტის თვლები რომ უნდა მოეტანა?

კრისტაპმა ყურები ცქვიტა.

— შენ ვინ გითხრა?

— ვოლდიკმა. ჩქარა მითხარი!

შორს საჰაერო სირენა აწივლდა. ისმოდა თვითმფრინავების გუგუნი და ბომბების აფეთქების ხმა.

— ჩვენები არიან, — დაამშვიდა კრისტაპმა გიტა. — რკინიგზას ბომბავენ.

— მითხარი-მეთქი! — აჩქარებდა გიტა.

— მხოლოდ იმ შემთხვევაში გეტყვი, თუ ჩემს რჩევას მიიღებ.

— რასაკვირველია, მივიღებ.

— თუ მთვარემ ხელი არ შეგვიშალა — ამაღამ, თუ არადა ხვალ ბანაკიდან ათი ბავშვი გაიქცევა. მე ელექტრობას დავაზიანებ და ამ დროს ისინი ეკლიან მავთულს გადაჭრიან...

— შენ გაიქცევი?

— ჩემი გაქცევა შეუძლებელია. მაგრამ შენ კი გაჰყვები მათ. დედაჩემი მეთევზეებთან

დაემალოს. — კრისტაპმა ჯიბიდან პისტოლეტი ამოიღო და საბანქვეშ შედო. — გქონდეს ყოველი შემთხვევისათვის.

— უშენოდ მე არსადაც არ წავალ, — წყნარად, მაგრამ მტკიცედ უთხრა გიტამ.

— გიტა, შენ ხომ პირობა მომეცი, — კრისტაპი გოგონას გამჭვირვალე თითებს ელერსებოდა.

— მხოლოდ შენთან ერთად.

ეროვნული ბიბლიოთეკა

* *

კრისტაპი და გიტა დერეფანში იდგნენ და გასცქეროდნენ მემორიალის მოედანს, მზე რომ დასჩახჩახებდა. ისინი ზიარმა მოგონებებმა დააახლოვეს. დუმილმა, რომელიც მხოლოდ საუკეთესო მეგობრებს შორის არის შესაძლებელი, სიტყვებზე უკეთ დაუდასტურა მათ, რომ წლებს არ ძალუძთ განცდის წაშლა. მაგრამ ახლა რაღაც უნდა ეთქმულიყო და უწინ ლიგიტამ დაიწყო:

— შენ ახლა ცნობილი მოქანდაკე ხარ, ხომ ასეა?

— ჯერ კიდევ უნდა ვისწავლო, — თავშეკავებულად უთხრა კრისტაპმა.

— ხელოვნებაში მთელი სიცოცხლის მანძილზე უნდა სწავლობდე — ეს მეც კი მესმის. მაგრამ შენ ხომ ქანდაკებებს ჰყიდი, საკუთარ გამოფენებს აწყობ. პაჩმა მითხრა, „ბანაკელი გოგონა“ გამოგიქანდაკებია.

— ჩემი პირმშო, — ჩაიცინა კრისტაპმა. — ამ დილით გადავწყვიტე, შეიძლება-მეთქი მისი გამოფენა. ახლა კი ვგრძნობ, ამ თემას კიდევ ერთხელ უნდა დავუბრუნდე.

— ესე იგი, მთელი ამ ხნის განმავლობაში სულ ჩემზე გიფიქრია! — შესძახა ლიგიტამ. — მომელოდი, არა? თქვი, კრისტაპ, მითხარი რამე!

კრისტაპი დაფიქრებით შეაცქერდა.

— შენზე? — დაბნეულად გადააქნია თავი. — პატარა გიტაზე ვფიქრობდი. იმის წარმოდგენაც ვერ გამებედა, რომ...

— იმედი გაგიცრუვდა, არა? ოცნებაში ქალიშვილი წარმოგედგინა, სინამდვილეში კი ხანშიშესული ქალი გამოგეცხადა.

კრისტაპმა არ უპასუხა.

ლიგიტამ შეამჩნია, რომ კრისტაპს სიგარეტი ჩაქრობოდა, პატარა ჩანთიდან გაზის სანთებელა ამოიღო და გაუწოდა.

— მოგწონს? — ჰკითხა ქალმა.

კრისტაპმა დაბნეულად დაუქნია თავი.

— აუცილებლად გამოგიგზავნი. მიამბე რამე შენი მუშაობის შესახებ. რას განიცდიდი, როცა ჩემს... ჩემს სახეს ძერწავდი.

— რამდენ ხანს შეუძლია ადამიანს განუხორციელებელი ოცნებით იცოცხლოს? რაც დრო გადიოდა, სულ ვცდილობდი თავიდან მომეშორებინე... როგორც...

— როგორც ხიწვი, — ღიმილით უკარნახა ლიგიტამ.

— არა, როგორც სხეულში ჩარჩენილი ტყვია. სხვა პროფესიაც რომ ამერჩია, შენ მაინც უნდა დამებრუნებინე, თიხისაგან გამომეძერწე... სულ ჩემზე ვლაპარაკობთ! — მან მხრები შეარხია. — თავად როგორა ხარ, ლიგიტა? გახდი პიანისტი?

ლიგიტამ თავი უხმოდ გაიქნია.

— ექიმი?

— მე ის გზააბნეული ადამიანი ვარ, აღარაფერზე რომ აღარ ოცნებობს. ორი შვილის დედა ვარ, განა არ კმარა? — გამომწვევად უპასუხა ლიგიტამ და სულ სხვა ტონით დაურთო: — მეგონა, ცოცხალი არ იყავი.

— რომ გცოდნოდა?

— ფეხით ჩამოვიდოდი! თურმე არაფერს ვკარგავდი.

— მერმე რა მოხდა?

— ოჯახი მაქვს.

გიტას ოჯახი ჰქონია: ჰყოლია ქმარი და ორი ბავშვი. მის გიტას... ეს თავში ვერ თავსდებოდა. და უცებ იგრძნო, რომ მის შეგნებაში გიტა და ლიგიტა ელვესტადი ცალ-ცალკე არსებობდნენ. ბანაკელმა ქალიშვილმა, შეხვედრისას ქალბატონ ელვესტადს რომ შეუერთდა, უკან დაიხია და თან წაიღო ყოველივე ის, რითაც კრისტაპი მთელი ამ წლების განმავლობაში ცხოვრობდა. მან თავისი ორეული მარტოდმარტო, სინამდვილესთან პირისპირ დატოვა და წარსულს დაუბრუნდა. ამ ორ ქალს ერთმანეთთან მხოლოდ ხასიათი აკავშირებდა. ხასიათი კი თითქოს უცვლელი ჩანდა. კრისტაპი ლიგიტა ელვესტადში სცნობდა უწინდებურ მზადყოფნას სხვის ნება-სურვილს დამორჩილებოდა, ეცხოვრა არა თავისი, არამედ სხვისი ჭკუით. ალობით უცხოეთშიც ამიტომ დარჩა: არავინ დაუძახა, ხელი არავინ ჩაჰკიდა და შინ არ წამოიყვანა. კაცი რომ დაფიქრდეს, ბანაკშიაც ასეთი იყო.

კრისტაპს რომ ყოყმანი შეეტყო, ლიგიტამ სცადა თავისი ნათქვამი ხუმრობაში გადაეტანა:

— იქნებ არც ისე ცუდია, რომ ერთურთს ოცდახუთი წლის წინათ არ შევხვდით. მოგვეწყინდებოდა ერთმანეთი...

— ჰო, დრომ ყველაფერს თავისი ადგილი მიუჩინა.

— და არ გინდა იცოდე, როგორ ვცხოვრობდი ამდენი ხნის განმავლობაში?
— მინდა.
— მაშინ ჯერ მდინარისკენ წავიდეთ, — სთხოვა ქალმა. — სალასპილსში ერთ წელიწადზე მეტი ხანი დავყავი, მაგრამ წარმოდგენაც არ მაქვს, როგორია აქ დაუგავა.
მოედანზე გავიდნენ. ლიგიტამ ძველი ჩვეულების თანახმად მარჯვნივ გაუხვია.
— ჩვენ სხვა მხარეს უნდა წავიდეთ, — უთხრა კრისტაპმა.
— რა სიწყნარეა! — თქვა ლიგიტამ. — ღმერთო ჩემო, რა სიმშვიდეა! თითქოს რა საამო სუნი ასდის...
— როგორ იმგზავრე! — შეეხმიანა კრისტაპი. — დიდი რყევა ხომ არ გიგრძვნია?
— მშვენიერი კაიუტა მეჭირავს. ამასთანავე თქვენს გემს ძალზე კეთილი და ალერსიანი ეკიპაჟი ჰყავს.
— ალბათ გემს სტოკჰოლმიდან აქამდე ორი დღეც არ დასჭირდა, — კრისტაპაც მაღალი საზოგადოების მანერაზე ალაპარაკდა.
ლიგიტა შედგა და კრისტაპი თავისკენ მოაბრუნა.
— კრისტაპ, რას მიედ-მოედები?.. ნუთუ ამდენი წლის შემდეგ „გამარჯობას“ მაინც არ მეტყვი?
ერთმანეთი გადაჰკოცნეს — გეგონებოდათ, ვნება და სინაზე წლების განმავლობაში ამ წუთისთვის უგროვებიათო. წამით ერთმანეთს მოსწყდნენ, რომ ერთმანეთისთვის შეეხედათ და მერე ისევ ხელახლა ეკოცნათ.

V

აუსმა გახარებული იყო, რომ მამაკაცები ასე ადვილად მოიშორა თავიდან. უნდა გადაეწყვიტა... თუმცა უკვე გადაწყვეტილი ჰქონდა — საღამოს უნდა გაეშალა სუფრა, რომელზედაც სტუმრების დაუფიქრებლად დაპატიჟებაც მოასწრო. რატომაა, რომ ჯერ რამეს ჩაიდენს ან იტყვის და მერეღა დაფიქრდება? გამოსავალი უნდა ეძიოს. რა ეშმაკმა დაპატიჟებინა ასეთი ზარ-ზეიმით პეტერისი და ილზე? ნუთუ გულის სიღრმეში იმის იმედი ჰქონდა, რომ კრისტაპი დღეს იტყოდა: „თან ჩვენი შეუღლების სადღეგრძელოც დავლიოთო“. სწორედ ისე, როგორც სატრფიალო რომანში ხდება! და ეს იმიტომ ჩაიდინა, რომ მისმა ენაძვირმა მეგობარმა რამდენიმე საალერსო სიტყვა აღირსა...
აუსმას მუდამ სჯეროდა, რომ კრისტაპთან ურთიერთობაში უმთავრესი იყო დამოუკიდებლობის შენარჩუნება, იმის შეგნება, რომ ნებისმიერ მომენტში შეეძლო წასვლა და დამოუკიდებლად ცხოვრება, თუმცა ბოლო დროს თანდათან უფრო უძნელდებოდა მასთან განშორება. უნდოდა, არა მხოლოდ ჰყვარებოდა კრისტაპი, ეზრუნა კიდეც მასზე, ეცხოვრა მასთან ერთად, როგორც ცოლ-ქმარი ცხოვრობს.
აუსმას დიდხანს ფიქრი არ უყვარდა. ახლა გაცილებით უფრო მნიშვნელოვანი იყო არეულ-დარეული სახელოსნოს მილაგება, მტვრის გაწმენდა, რაიმე სანოვაგის ყიდვა. «მერმე კი ყველაფერი გაირკვეოდა. ილზე მოულოდნელად რომ გამოჩნდა, შარვალგადაცმული აუსმა ნექით ენერგიულად საქმიანობდა.
— ნუ გეშინია, არ ვაპირებ აქ სამუდამოდ დარჩენას, — გადაიხარხარა ილზემ, შეცბუნებულ სახეში შეაცქერდა და ჩანთა სკამზე დადო. — პეტერისმა მითხრა, რომ თურმე ამაღამ ვახშამი გქონია, ვიფიქრე, იქნებ რამეში გამოვადგე-მეთქი. ერთად ორ საათში მოვრჩებით ყველაფერს.
— განსაკუთრებულს არაფერს ვაპირებ, მხოლოდ ცივი საჭმელი მექნება, როგორიც ახლაა მოდაში.
— თუკი ასეა, ჩათვალე, რომ ყველაფერი მზად გქონია. — ილზემ ჩანთა გახსნა და მაგიდაზე თევზისა და ხორცის შეჭამანდიანი ჯამების ამოლაგებას შეუდგა.
— ეტყობა, ვიღაც ერთობ საპატიო ვინმე გწვევიათ, თავი რომ ასე გამოგიდვიათ. შენი პაჩი ვერ იტანს მდიდრულ მიღებას.
— მე მას წარსულიდან მოვლენილ სტუმარს ვეძახი. რომ შეხედავ, ვერ იტყვი, პეტერისზე შვიდი წლით უფროსი იქნებაო. კოხტა ახალგაზრდა ქალია, ეტყობა, კოსმეტიკური ოპერაცია აქეთ გამომგზავრების წინ გაიკეთა, — ჭრიჭინებდა ილზე.
— იქნებ მითხრა, ვის აქიაქებ ასე დაუნდობლად? უცხოეთიდან ვინმე სწავლული ხომ არ ჩამოსულა?
— ნუთუ პეტერისს შენთვის არაფერი უთქვამს? ეს ხომ მათი ლეგენდარული გიტაა! ჩემი პეტერისის მფარველი ანგელოზი და შენი კრისტაპის პირველი სატრფო... — ილზე განზრახ ისეთ სიტყვებს არჩევდა, რომ აუსმასთვის შეურაცხყოფა არ მიეყენებინა.
— გიტა?! შეუძლებელია! კრისტაპმა მითხრა, რომ...
— შეგიძლია დამშვიდებული იყო, — დაიმედა ილზემ. — მას ქმარი და ორი ბავშვი ჰყავს.
— მე ჩემი თავი კი არ მადარდებს, კრისტაპის გამო ვწუხვარ, — აღნიშნა აუსმამ. — კაცმა თავისი შემოქმედებითი „მე“ იპოვა, აღიარება დაიმსახურა. როგორც იქნა, წარსულს თავი დააღწია და ახლა ვინღაც გზას აცდენინოთ, თან წინასწარ არც კი გაგვაფრთხილებიათ.
აღშფოთებული აუსმა მშვენიერი სანახავი იყო, მაგრამ ილზეს არ შეეძლო მისი შიში გაეზიარებინა. მისთანა გოგონებს ჭკვიანი მამაკაცები არასოდეს ტოვებენ.
— თვითონ ამბობ, წარსული დაივიწყაო, — წინდახედულად უთხრა მან. — და კარგადაც

მოქცეული, არ შეიძლება სივრცისა და დროის გარეშე, ასე ვთქვათ, ილუზიით წარმოსახულ სამყაროში ცხოვრება.

— მაგრამ ხომ მოგეხსენებათ, რომ ყველაზე ღრმა მორევი წყნარმა წყალმა იცის. კრისტამმა დღეს მთელი თავისი თავგადასავალი მიამბო, იმ ქალზე კი კრინტიც არ დაუძრავს. საუკუნის მეოთხედმა ისე განვლო, არავინ იცოდა, ცამ ჩაყლაპა თუ მიწამ. და უცებ: „დილა მშვიდობისა. აი, მეც აქ ვარ!“ ალბათ ნასიამოვნები უნდა ვიყო. ... მთელი რესტორანი გაოცდა, კრისტაპი კი თავპირისმტვრევით სალაპარაკოში გაიქცა.

— დამშვიდდი, აუსმა! სწორი ტაქტიკა გამოიყენე და ყველაფერი კარგად დამთავრდება.

— მე და კრისტაპი ჯერ კიდევ არა ვართ... — სახელოსნოს კარი გაიღო...

— დამშვიდდით, გოგოებო, — ყვიროდა ზღურბლზე მომდგარი აუგუსტ ბრუვერისი. — მე აქ არა ვარ, არასოდეს ვყოფილვარ და ამიერიდან სამსჯავრომდეც არ ვიქნები. მესამე დღეა მოსვენება არა მაქვს!

მოხუცი მოქანდაკე თვალებს აცეცებდა და მძიმედ სუნთქავდა.

ეზოში ძაღლის წკმუტუნი რომ გაიგონა, თითი ტუჩებზე შეთქმულივით მიიდო და სახელოსნოს ყველაზე ბნელ კუნჭულში მიიმალა.

აუსმა ეზოში გავიდა. ტელესტუდიის ავტობუსიდან კალნინი გადმოვიდა.

— პროფესორი შინ არის? — ჰკითხა მან აუსმას და შემდეგღა მოაგონდა: — გამარჯობათ!

— დღეს არ გვინახავს, — იცრუა აუსმამ. — მოგვიანებით დარეკეთ, შეიძლება საღამოხანს შემოიხედოთ.

— სიგანგებოდ გავაფრთხილე, დღის სინათლეზე უნდა გადავიღოთ-მეთქი, — გულისტკივილით უთხრა კალნინმა.

— მაშინ ამაოდ დაეძებთ, — გაიცინა აუსმამ.

— მე კრისტაპიც მჭირდება.

— გამოფენასთან დაკავშირებით? — ყურები ცქვიტა აუსმამ. — შემიძლია ყველა ექსპონატი გაჩვენოთ. პლაკატიც თითქმის მზადა მაქვს.

კალნინმა სიტყვა ბანზე აუგდო:

— შემდეგ, შემდეგ. თვითონ სადაა? დღეს დიდი ზეიმი აქვსო.

— აა, თქვენ შვეციიდან ჩამოსული ქალი გყავთ მხედველობაში?.. ამ საღამოს ჩვენსას იქნება. ახლა კი კრისტაპი სალასპილს ათვალიერებინებს.

— ეს გრანდიოზული იდეაა! — გაეხარდა კალნინს და შოფერს შესძახა: — იანკა, ნათურები აქ დატოვეთ. აბა, ჩქარა გადმოსცალეთ და სალასპილსში მოვუსწროთ!

— სწორია, — გაისმა პროფესორის ბოხი ხმა. მან თავი ვერ შეიკავა და სამალავიდან გამოვიდა. — მოვლენათა მონაწილეები უნდა გადაიღოთ, თორემ მშვიდობიანი ხალხის დაწიოკება რა საჭიროა.

— კი მაგრამ, პროფესორო, ხომ გამოგიგზავნეს ჩემი სცენარი. ხალხს ავტორიტეტების აზრი აინტერესებს. თქვენი შეხედულება გამოთქვით, მერმე კი შემოქმედებით გეგმებზე ილაპარაკეთ, როგორც ჩვეულებრივ ხდება.

— მთელი უბედურებაც ის არის, რომ ისე გინდათ, „როგორც ჩვეულებრივ ხდება“. თუ მეხსიერება არ მღალატობს, გადაცემის ბოლოს საზეიმო მიტინგი გაიმართება, როგორც ჩვეულებრივ ხდება. არ დაივიწყოთ, რომ მოხუცებს, „როგორც ჩვეულებრივ ხდება“, ავი ენა აქვთ. ამიტომ მოუშვით მათ და ახალგაზრდების გადასაღებად წადით.

...ისინი ნავში ისხდნენ, წანწალისთან ჯაჭვით დაბმული თანაბრად რომ ირხეოდა. წყალი წყნარი შრიალით ევლებოდა სანაპიროზე ამოსულ ბალახს და კენჭებზე მიგორავდა. იშვიათად კატარღა ჩაუქროლებდათ. ჯაჭვი ჟღარუნობდა და ფსკერის ტალღა ყრუდ ეტყლაშუნებოდა. ქვეყანა მზით, ზაფხულის სურნელითა და ბუნების მშვიდობიანი ხმებით ავსებულიყო.

— შინ, შინ... კრისტაპ, მე ისევ შინა ვარ! ალბათ, ქვეყნიერებაზე არ მოიპოვება ისეთი მდელო, როგორც ჩვენთან იცის, დაუგავის ნაპირზე. რომ იცოდე, როგორ მომძულდა ასფალტი.

— ჩვენ აქ ჰიდროსადგურს ავაგებთ და ამ იდილიისგან არაფერი დარჩება. ხე-ტყის დაცურებაც შეუძლებელი იქნება... ხომ არ გცივა?

— დაუგავის წყალი არ შეიძლება ცივი იყოს. ბანაობაც კი მომინდა.

— ფილტვების ანთებას აიკიდებ, — გააფრთხილა კრისტაპმა.

— მაშინ საავადმყოფოში დავწვები და შენ ისევ მომიტან ბანანებს, — უთხრა ლიგიტამ. — ხომ მინახულებ, კრისტაპ, ჰა?..

ქალმა სწრაფად გაიხადა ფეხსაცმელები, წინდები, გაიძრო ტანსაცმელი და ფეხი წყალში შედგა. ცურვით თითქმის მდინარის შუაგულამდე რომ მიაღწია, შეჩერდა და უკან მოიხედა:

— რა დიდებული რამ არის! ჩამოდი შენც!

კრისტაპმა გაიღიმა და ნავი ქალისკენ დააცურა.

ლიგიტა ნავზე აფორთხდა და მაშინვე თავის თბილ კოფთას მისწვდა, მაგრამ კრისტაპმა მაინც მოასწრო ქალის მკერდზე აბრჭყვიალებული მარგალიტი შეენიშნა.

— ნუთუ ეს ის მარგალიტია?..

ლიგიტა მოიბუზა, თითქოს უმძიმეს საქციელში ამხილესო.

— არა, არა! — თითქმის შესძახა ქალმა და სამკაული კოფთის ქვეშ შემალა. — მომისმინე და შეეცადე გაიგო. ყველა ბანაკი რომ მოვიარე, სიკვდილი ერთადერთ რეალობად მეჩვენებოდა, სიცოცხლე კი — ხელმიუწვდომელ საოცრებად. მაგრამ სიცოცხლის რწმენა დამიბრუნდა და ამიტომ გამოვიყენე შენს სიძვირად.

* *

ხალხის ნიაღვარს შესახვედრად მოქროდნენ ამერიკული ჯარისკაცებით სავსე საბარგო მანქანები, წითელი ჯვრის ფურგონებით მიჰყავდათ ისინი, ვისაც ფეხზე დგომა აღარ შეეძლო.

საველე სამზარეულოებთან, სადაც ჯარისკაცები განთავისუფლებულ პატიმრებს სუპს აწვდიდნენ და თამბაქოს არიგებდნენ, ქუჩა გაჭედილი იყო. ყველანი მოთმინებით ელოდნენ საკუთარ რიგს, ძალა აღარ ჰყოფნიდათ, აბოლებული ქვაბებისკენ იდაყვებით გაეკვლიათ გზა.

ლივიტა ყოფილ პატიმართა რაზმში მილასლასებდა, ისიც ისევე სუსტი და გატანჯული ჩანდა, როგორც სხვები. გოგონა ადამიანებს აკვირდებოდა, მაგრამ თავის მეგობარს ვერ პოულობდა.

... ზაფხული ახლოვდებოდა. უსასრულოდ გრძელი კოლონა გზატკეცილზე მიიწელებოდა. აქეთ-იქით დაქროდნენ ამერიკული ვილისები, მაგრამ იმათ, შიგ რომ ისხდნენ, ფრანგული ფორმა ეცვათ.

მანქანამ მკვეთრად დაამუხრუჭა, შოფერმა თავაზიანად მიიწვია გოგონა, დაბრძანდითო. ლივიტამ თავი გაიქნია. გამშრალი ტუჩებით ძლივსღა წარმოთქვა:

— კრისტაპი?

შოფერმა მხრები აიჩეჩა და მანქანა დაძრა.

„კრისტაპი?.. კრისტაპი?.. კრისტაპი?...“ რამდენჯერ დასვა ეს კითხვა, რამდენ ადამიანს მიმართა, რამდენი ჯგუფი მოიარა, რამდენჯერ ჩაიკეცა მიწაზე ღონემიხდილი. აი, ახლაც მოლზე იჯდა. თვალები დაეხუჭა, იქვე, ახლოს ბანაკში შესასვლელი ჭიშკარი ჩანდა.

ჭიშკრიდან კაფანდარა ბიჭი გამოვარდა და ლივიტას მიაშტერდა. წამით შეყოყმანდა, მერე გოგონის სახელი ენერგიულად დაიძახა.

ლივიტა შეკრთა, გამოფხიზლდა და თვალები დაჭყიტა.

— არის? — თითქმის შეჰყვირა.

— შენ მე შემპირდი, მოსაწევს მოგცემო, — დაჟინებით მოაგონა ბიჭმა.

ლივიტამ ორი ცალი დაჭმუჭნილი სიგარეტი გაუწოდა.

— ჩვენს ბანაკში რიგელი კრისტაპი არ არის. მთელი სია გადავათვალიერე. ელბის გაღმა მხარესაც არიან ლატვიელები...

ლივიტამ წელი ძლივს აითრია.

იგი ნელა გაუდგა გზას.

შემოდგომის ცივი წვიმა მოცრიდა, მაგრამ „ტილიანთა ბაზარზე“ ასობით ადამიანი ირეოდა. შემოდგომის სუსხი ვაჭრობას ხელს ვერ უშლიდა.

ჭიანჭველებივით მოფუსფუსე ადამიანთაგან მოშორებით, კედელთან, საზიდრები ჩამწკრივებულიყო. აქაც გახურებული საქონელბრუნვა წარმოებდა.

ლივიტამ თავისი საქონელი მუსიკალური ინსტრუმენტების მაღაზიის მფლობელს უჩვენა. მან ქალიშვილის ნახევრადგაღებულ მუჭს დახედა და თავი გაიქნია.

სამმა კარგად ჩაცმულმა კაცმა, გვერდზე გამდგარნი რომ საუბრობდნენ, ვაივაგლახით გააღწია ბრბოში და ლივიტასთან თითქო შემთხვევით მივიდნენ. იმან, მათ შორის უფროსი რომ ეთქმოდა, ქალიშვილს ჰკითხა, რას ჰყიდიო.

ლივიტა წამით შეყოყმანდა, მაგრამ შემდეგ მაინც აჩვენა თავისი სიმდიდრე — ოქროთი მოჭედილი მარგალიტის თვალი. კაცმა იგი მაშინვე პირში ჩაიდო, თითქოს კბილით უნდა გასინჯოსო, შემდეგ ხელი ზიზღით ჩაიქნია, მაგრამ თვალებში გაელვებულმა სიხარბის ნაპერწკლებმა მისი ჭეშმარიტი მიზანი გამოავლინა.

ლივიტა რაღაცაზე არ დაითანხმა. კაცმა მოწმეებად თავისი ამხანაგები მოუხმო და თვითონ განზე გადგა. მეორე კაცმა მარგალიტი მესამეს გადასცა, ქალიშვილის გარშემო ერთი ჯგლეთა შეიქნა, მარგალიტის თვალი კი ხელიდან ხელში გადადიოდა. და უცებ მყიდველები შემოეცალნენ. მათთან ერთად გაქრა მარგალიტის თვალიც.

გაძარცვული ლივიტა ატირდა.

აქეთ-იქით წანწალის შემდეგ ლივიტა მოხვდა ჰამბურგში. ამ ქალაქზე განსაკუთრებულ იმედებს ამყარებდა, რამეთუ აქ იყო საერთაშორისო წითელი ჯვრის რეზიდენცია.

ამ ორგანიზაციის კანტორამ მოხიბლა იგი თავისი ბრწყინვალებით. თითქოს ფირმის ემბლემააო, კედლებზე წითელი ჯვრები მიეხატათ. ასეთსავე ჯვრებს დაემშვენებინა უამრავი ბლანკი და ანკეტა. ლივიტა დაბნეული დასცქეროდა მათ. ახლაღა მიხვდა, რა ცოტა რამ სცოდნია კრისტაპზე. როგორ არ ეცადა, როგორ არ დაჭიმა მეხსიერება, მაგრამ მხოლოდ სამი გრაფის შევსება შეძლო — სახელი, გვარი და ადგილი, სადაც უკანასკნელად ნახა. ოდნავი წარმოდგენაც კი არ ჰქონდა იმაზე, სად და როდის დაიბადა, რომელ ეკლესიაში მონათლეს, რა ერქვა მის უახლოეს ნათესავებს.

თანამშრომელი, ქალიშვილის საქმეს რომ აწარმოებდა, ლივიტაზე ათიოდე წლით უფროსი გახლდათ. ეს იყო კოხტად ჩაცმული ქერა ახალგაზრდა კაცი. ზედაც ეტყობოდა, რომ ჩრდილოელი გახლდათ. იგი თავშეკავებული თავაზიანობით მოემსახურა და ქალიშვილი მისდამი სიმპათიურად განეწყო. ლივიტამ მისი მოწვევაც კი მიიღო, როგორმე სამუშაო დღის დამთავრების შემდეგ შევხვდეთ, ერთად ვისადილოთ და ვიმსჯელოთ, კიდევ რის გაკეთება შეიძლებაო.

რატომ არ უთხრა უარი ლივიტამ ამ სრულიად უცხო კაცს? ისეთი გულუბრყვილო როდი იყო, რომ ვერ გაეგო: ეს ახალგაზრდა დახმარებას რომ სთავაზობდა, უკეთეს შემთხვე-

გაში ბუნდოვნად, ახლა შეიძლება სავსებით გარკვეულადაც იმედოვნებდა, სამარცხვინოდ იმას მიიღებდა, რითაც ქალიშვილს ვალი ჯერ არასოდეს გადაეხადა. მაგრამ რომელიმეც დღეს ეს ლიგიტას აღარ აშინებდა. ეტყობა, გაწყდა უკიდურესობამდე მიმართული ქვეცნობიერის ზამბარა. მისი ცხოვრებისეული სიბრძნის მარაგი ამოიწურა, არ იცოდა, ხვალ რა უნდა ექნა. აქამდე მას წინსვლის ძალას აძლევდა კრისტაპის სახე, გულუბრყვილო [illegible] მეგობრისადმი, რომელმაც ყველაფერი იცოდა, ყველაფერი შეეძლო [illegible] ქალიშვილის ნაცვლად გადაწყვეტდა, როგორ უნდა იცხოვრათ მომავალში. ახლა კი გაირკვა, პირველად მიხვდა, რომ კრისტაპს ვერ აპოვიდა, და რაღა უნდა ექნა? ნუთუ საკუთარი თავის იმედზე უნდა დარჩენილიყო და თვითონ შექმნა თავისი ბედი?

ლიგიტას აღარ შეეძლო ბედთან ყაზარი ბრძოლის გაგრძელება. დაცინვისთვის უნდა ეცნო თავი, შეეჯამებინა ამაოდ დახარჯული ერთი წლის ცხოვრება, დაბრუნებოდა საწყის წერტილს და ეცადა ყველაფერი თავიდან — იმ მომენტიდან დაეწყო, სამზე მეტი წლის წინ მამამისის სახლში შუამავლები რომ შეცვივდნენ. ეს ნიშნავდა, რომ სასკოლო მერხს უნდა მისჯდომოდა ან სამუშაო მოეძებნა. მაგრამ სად ჰქონდა საამისო ფული ახლა რომელ ენაზე უნდა ესწავლა? მეორე მხრივ, ვინ რა თავში იხლიდა გაუნათლებელ წინამოსადგამობ, არც ერთი ხელობა რომ არ იცოდა? გამყიდველადაც არავინ აიყვანდა ასეთ ქალიშვილს, ვინც მარტივად სიტყვას სიტყვაზე ძლივს რომ აბამდა. ან რა უნდა ვეყიდა იმ ღარიბულ ქალაქში? ერთადერთი საქონელი, რაც ქალიშვილს შეეძლო შეეთავაზებინა ნებისმიერ დროს ან ნებისმიერ კუთხეში, ეს იყო სიყვარული ერთი, ორი საათით ან მთელი ღამით.

ცხადია, სამშობლოში გასამგზავრებლად გზა ახლაც უწინდებურად გახსნილი იყო. მაგრამ სამშობლოში არც იქ ცვიოდა ზეციდან. იქაც საკუთარი ოფლით უნდა მოეპოვებინა ლუკმა პური, უნდა ეწვალა, რომ ცხოვრებაში გზა გაეკვლია. მაგრამ ყოვლად ემიგრანტობა სათავეში მდგომნი რომ ყბედობენ, უკან დაბრუნებული ლტოლვილები დატყვევებული მატარებლებით ციმბირისკენ მიჰყავთ. ქვრადლი ლიტერატურა არ გამოდგის?

ძალა აღარ ჰქონდა. ღიდესი ბედნიერება იქნებოდა, ჩასძინებოდა და მანამ არ გამოეღვიძებოდა, სანამ ყველა საკითხი არ გადაწყდებოდა. მაგრამ ასეთი რამ მხოლოდ ზღაპრებში ხდება. სინამდვილეში კი შემთხვევის იმედით უნდა ყოფილიყო, ვიდრე რომ გამოიგზაგნოდა, ვინც მზად იქნებოდა სხვისი სიცოცხლისთვის პასუხისმგებლობა ეკისრა.

წინათგრძნობა უკარნახებდა, ნისლი საბედისწეროდ, უკვე შემოვიდოდა ასეთ კაცს! თითქოს, წითელი ჯვრის თანამშრომელი, ვერას გაბედავდა, აღარ სხვა აღარაფერი დარჩენოდა, შეიგნებოდა იმ აზრს, რომ კრისტაპი ჩემთვის სამუდამოდ დაკარგულია ისევე, როგორც დაჩამოსულიათ.

სხვა ჯულდასაწყვეტი აღარაფერი ჰქონდა. ლუქნის კოშკი პატრონი უკვე რამდენჯერმე წაფეხუცდა საწყობში და დაბრუნდა უკან. გაეცვეთილ დივანზე კაბა კაბაზე ეფინებოდა. წავიყო. შინაკან წინააღმდეგობას სძლია და თქრიალუკრული მარგალიტის მძივი მაგრა და საწყობში შეიწვია, სამეულება ნისლი თვითონ იყრდა. ლიგიტას თავი მდაბლად დაკ...

ტანზე შემოსხლეტილი შავი კაბა ლიგიტას ახალ მატებია. მისი ქალწულური მოკრძალების ნაკვალევიც აღარ დარჩენილიყო. წითელი ჯვრის თანამშრომელს ხელკავი გაუყარა და იხილა, მოიმინებამ ულალატა. ბაღშეუერად დაბარბაცებული თვალები მაგიდაზე დახედავებული ხორავისთვის ვერ მოიწყვიტა. ისე მაგრად შიოდა, ხელები დამუშტა, რომ მაგიდისკენ ზურგიდ არ გაქცეოდა.

მის ახალ ნაცნობს, ქალიშვილის გვერდით ჯდომას რომ აპირებდა, გაახსენდა, ჯერ არ გაეცნობოდა, თავი მდაბლად დაუკრა და თავისი სახელი უთხრა:

— ივარ ბლუმენფელდი.

ღვინო აუჩქარებლად დაასხა და ლიგიტას სარეცხიც მიაწოდა.

ქალმა თეფშზე ჩამოართვა და ცალად შენიღბული სიხარბით მაგიდას საჭმელს.

ქალიშვილს მისი დიმილი რომ არ შეემჩნია, ივარმა ლეიმიანი ჭიქა აიღო. შემდეგ თავაზიანად და მოთმინებით დაუწყო ახსნა, რომელი დანა ეხმარა კალმახის ჭამისას, რომელი კოვზით უნდა ეჭამა ბულიონი, კისელი. თვალები ებლიტკობოდა, რადგან ღვინო დალია და ლიგიტა მიხვდა, ლაპარაკის გაგრძელება უკვე აღარ შეეძლებოდა.

— დამიჯერეთ, ჩემს ყველაფერი გავიგეთ, რაც შევეძლო. ძმენში მონაწილეობა მიიღეს ევროპის სხვადასხვა ქალაქების განყოფილებებმა. რიგული კრისტაპ აბოლინი არ არის ცხებულ არც ერთ შარაგში. ისევე უნდა ვიფიქროთ ლატვიიდან მიღებული ცნობებიც. საინტერესოს ბანაკი დაცულობისთვის იქნა რუსების მოსვლამდე რამდენიმე დღით ადრე, დახვრეტილთა სიების დიდი ნაწილი კი გერმანელებმა მოასწრეს.

— შეიძლება... — ლიგიტამ სიცილი შეიკავებოდა.

ცხადია, გაცილებით სასიამოვნო და ადვილი იქნებოდა, თუნდაც მცირე იმედი დაეტოვებინა მისთვის. მაგრამ ივარს ესმოდა ადამიანები, თავს რომ იტყუებდნენ და ილუზიების სამყაროში ცხოვრობდნენ. ამ ქალიშვილს იმედის გადაწყვეტა და ამ ერთ დარტყმასაც გაუძლებდა. სამაგიეროდ რეალურ სინამდვილეზე დაყრდნობით მომავალს აშენებდა.

— მოუსმინეთ ქალბატონო, — გაღიმებით ამცნო მან. — თქვენ კი შეეცადეთ დაივიწყოთ, ჩვენს კლინიკაში აქ დაიღუპებით.

* *

ნავი ისევ ისე ირხეოდა დაუგავას მსუბუქ ჭავლზე.

ლიგიტამ ჩაცმა მოასწრო, მხოლოდ კოფთა არ შეუკრავს და მედალიონი უჩანდა.

კრისტაპმა სამკაული კიდევ ერთხელ შეათვალიერა, მაგრამ კითხვა არ გაუმეორებია.

— ასე გავიცანი ჩემი ქმარი, — მორჩა თხრობას ლიგიტა. — ინგებორგი რომ უნდა დაბადებულიყო, ივარმა სტოკჰოლმში წაიყვანა.

— შვეციაში წასასვლელი ძალა გქონდა, შენ გამოსამგზავრებლად კი [illegible] არ აღმოგაჩნდა, — ჩაფიქრებით უთხრა კრისტაპმა.

— მე შენ ყველაფერი გიამბე. — ლიგიტას მოთმინება ელეოდა. — მითხრეს, რომ ცოცხალი აღარ იყავი!

— სამშობლოს?..

— კრისტაპ, მე მაშინ სულს ვღაფავდი... მადლიერი ვიყავი ყოველი თბილი ღიმილის... ყოველი კეთილი სიტყვის. შენ წერილში თქვი: „ძალა არ აღმოგაჩნდაო“.

— და ახლა კარგად ცხოვრობ?

— არ შემიძლია საჩივლელი ვიქვა — ივარი უყოყმანოდ იხდის ჩემს ხარჯებს. შვილებიც მყავს.

— მე ამას არ გეკითხები, გეტა. მე გეკითხები, ბედნიერი თუ ხარ-მეთქი? — სევდიანი ღიმილით ჩაეძია კრისტაპი.

— ჰო, მართლა, მე შენთვის არ მითქვამს, რომ ეგერ რვა წელიწადია ქმართან არ ვცხოვრობ. თუმცა ოფიციალურად გაყრილი არა ვართ. საკმაოდ დიდი დრო საჭირო, რომ შევჩვეოდი.

— შეჩვევით შეიძლება ყველაფერს შეეჩვიო, მაგრამ ცხოვრებით კმაყოფილი თუ ხარ? — თავისას არ იშლიდა კრისტაპი.

ლიგიტამ მხრები აიჩეჩა.

— მე სულიერი წონასწორობა დავიბრუნე. სალასპილსის შემდეგ კი ეს არც თუ უმნიშვნელო რამ არის. ახლა კი, აი...

— რათ ახლა?

— ახლა კი მლოცველივით ვარ ჩამოსული, მე უკვე აღარა ვარ ჩვიდმეტი წლის. კრისტაპ, ცხოვრებაში დგება ისეთი წამი, როცა დაგროვილი ცრემლი უნდა დაიღვაროს.

— [illegible] მიცვალებული კი ცოცხალი გამოდგა და უსაშველოდ კითხვებსაც იძლევა, — ჩაიცინა კრისტაპმა. — შეგვიძლია თუ არა რამდენიმე წუთით მაინც შევიკავოთ თავი და წარსულზე არ ვილაპარაკოთ?

ლიგიტა წამოდგა, მზისგან დასაცავად ხელი თვალებზე აიფარა და გაღმა ნაპირს გახედა.

— ეს კუნძული ხომ არ არის? იქით წავიდეთ, კრისტაპ!

კრისტაპმა თავაზიანად ამოისუნთქა და ნიჩაბი მოუსვა.

ნავი სილაზე ამოათრიეს და ნაპირს გაჰყვნენ.

ლიგიტა ფეხშიშველი ქვიშზე ნელა ადგამდა ფეხს, მორჩენ მიმავალი ლინების მწკრივს იცქირებოდა წამდაუწუმ, თითქოს იქიდან ტიპები უნდა გამოჩენილიყო.

კრისტაპი შეეცადა, მორები ძლიერი ბიძგით მოეშორებინა ნაპირისაგან.

— ნუ შვრები, კრისტაპ!

ლიგიტა შეირხა და წონასწორობა დაკარგა, მაგრამ კრისტაპმა მოასწრო და დაიჭირა. ერთხანს ერთმანეთს ჩახუტებულნი იდგნენ და შემჭიდროებულ მორებს უხმოდ დასცქეროდნენ.

კრისტაპი არც კი ცდილა გარკვეულიყო, რა მოუვიდა. მან იცოდა: საკმარისი იყო საკუთარ გრძნობათა ტეხილი ანალიზი და ნათელი გახდებოდა, რომ ლიგიტაში ის სატრფოს იტაცებდა, რომელზედაც მარტოდ გატარებულ ომის შემდგომ წლებში ოცნებობდა. ფიქრობდა და შიშის ჟრუოლა უვლიდა, რადგან არ იცოდა, რა მოელოდა: წუთიერი ტკბობა თუ ხანგრძლივი ბედნიერება. მაგრამ ბედნიერება განა შესაძლებელია? შეიძლება კი ხელის ერთი მოსმით წაიშალოს ყველაფერი, რაც მანამდე იყო, — დაფერფლილი ოცნებები, მწარე სასოწარკვეთილებანი, უერთგულო გულუბრყვილობა, იმედის მოკრძალებული გაელვება, სიყვარულის წინათგრძნობა და [illegible]? შეიძლება კი დიდი ხნის წინანდელი სიახლოვე საერთო მომავლის საძირკვლად იქცეს? პასუხი მხოლოდ აწმყოში უნდა ეძიოს. მხოლოდ აწმყოში. და მისი გულისთვის არც თავისი თავისა და არც ლიგიტას დაზოგვის უფლება არა აქვს.

— მე იმ დილასვე შემიყვარდი, შენ რომ მაძალებდი სუპი შეგეჭამე, — წყნარად უთხრა ლიგიტამ და შეეცადა კრისტაპისთვის თვალებში ჩაეხედა. — შენ?

კრისტაპი დუმდა.

— ხომ გიყვარდი, კრისტ?.. გახსოვს, როგორ ვოცნებობდით მომავალზე?

— ის მომავალი ცოტა ხანია წარსულად იქცა. იქნებ მაინც უნდა გავერკვეთ, ვინა ვართ ამჟამად.

— გინდა, მოთვლად დაგითვლები? — შესთავაზა ლიგიტამ. — კიდევ ერთხელ გამომძერწავ, შემდეგ კი შეადარებ ერთმანეთს შედეგებს.

— პორტრეტი? — თავი გაიქნია კრისტაპმა. — თემის გარეშე პორტრეტი რას მაქნისია. რა უნდა დავარქვა — „დაკარგული სამშობლო“? თუ მიბრძანებ, „დაბრუნებული სამშობლო“ ვუწოდოთ?..

როგორც იქნა, მოახერხა მრავალსიტყვაობის გარეშე გამოეთქვა თავისი უმთავრესი შეკითხვა — სტუმრად ჩამოხვედი, თუ სამუდამოდ აპირებ აქ დარჩენას.

ლიგიტამ იმწამსვე იგრძნო ხუმრობით დასმული შეკითხვის სერიოზული ქვეტექსტი.

ადრე იქნებოდა თუ გვიან, მას უნდა გაეცა პასუხი ამ კითხვაზე. მაგრამ იგი უკვე ორმოცზე მეტი წლისა გახლდათ და წინდაუხედავი მოქმედების უფლება არ ჰქონდა.

კრისტაპი გვერდით მიუჯდა.

— არ გამიბრაზდე, მაგრამ მე მეგონა, პასუხის მისაღებად ჩამოხვედი.

— როგორ გითხრა... მუდამ ვგრძნობ, რომ მთელმა საუკუნემ განვლო. მიჭირს მისი გადალახვა. ყველაფერი ძალიან შეცვლილია... შენც გამოცვლილი ჩანხარ.

— დიდი ხანია შენც აღარა ხარ ის პატარა გოგო, მარტო დარჩენის რომ ეშინოდა!

— განა ამის დაჯერება შეიძლება?!

— მაპატიე... ახლა ყველაფერი შენს ხელთაა!

— სიტყვები, სიტყვები... სიტყვებით ვერ ამოავსებ გულის იმ კუნჭულს, ბედნიერებისთვის რომ არსებობს. მაინც დარჩება სიცარიელე, ისეთი სიცარიელე, რომ საფიქრებლადაც შემაძრწუნებელია... მეშინია, კიდევ ერთხელ არ მოვტყუვდე-მეთქი. რომ მცოდნოდა... მე შენ წინ აღვდგებოდი...

კრისტაპი ლიგიტას ხელზე ეალერსებოდა. ახლა იგი მხოლოდ და მხოლოდ უსაზღვრო სინაზეს გრძნობდა ამ უბედური ქალის მიმართ.

— შეუძლებელია ცხოვრებაში ყველაფერს მიაღწიო. მაგრამ ადამიანი, ამ მიზეზით ოცნებაზე საკუთარი ნებით რომ ამბობს უარს, თავს უბედურებისთვის სწირავს.

კრისტაპი თვითონაც გრძნობდა, რა უხეიროდ ჟღერდა მისი ნუგეში. კიდევ კარგი, რომ ლიგიტა ფიქრებში ჩაიძირა და მისი სიტყვები არ გაუგონია.

— რაზე ფიქრობ?

— შენზე და ჩემზე, ორივეზე — ცალ-ცალკე და ერთად. მაგრამ ვერაფერი მომიფიქრებია... შენ?

— ომის შემდეგ რომ დაბრუნებულიყავ და ვერ გეპოვე... ის რომ მომხდარიყო, რაც წითელ ჯვარში გითხრეს... როგორი იქნებოდი დღეს?

— გასაგებია, — მიბნედილი ხმით უთხრა ლიგიტამ. — მე შენ არ გჭირდები! მერე რა ვუყოთ. სტუმართმოყვარეობა მაინც გამოიჩინე და კუნძული დამათვალიერებინე.

კუნძული მდინარეს ორ ტოტად ჰყოფდა. ერთი მათგანი სალამურასთვის დაგებულ ფაცერს ჩაეკეტა. სარებს შორის წყალი დგაფუნით მიედინებოდა. ქორომხ ქვემოთ იგი წყნარდებოდა და მშვიდობიან დინებას განაგრძობდა.

ლიგიტა და კრისტაპი ვიწრო ხიდზე იდგნენ, მოაჯირს დაყრდნობილნი და მდინარეში იცქირებოდნენ. ისინი ერთმანეთს მჭიდროდ მიეკროდნენ, მაგრამ ერთმანეთისგან მაინც შორს იყვნენ, თითქოს მათ შორის ვიღაცის შავი აჩრდილი ჩადგარიყო.

— ცეცხლსა და წყალს საათობით შემიძლია ვუცქირო, — ფიქრიანად წარმოთქვა კრისტაპმა. — რომ დავბერდები, სადმე მდინარის სანაპიროზე ქოხს დავიდგამ, შიგ აუცილებლად ბუხარსაც ამოვიყვან.

— მე კი არ მიყვარს! იქნებ იმიტომ, რომ წყალი მაგონებს, რა სწრაფად გარბის დრო.

— მდინარეებს უნდა გაჰყვე... ოციოდე წლის წინ ერთმა ჭკვიანმა კაცმა მითხრა: „რა გმირი შენა ხარ, თუ ადამიანის ელემენტარულ მოვალეობას ასრულებდი!“ მე ეს დავიხსომე. ხშირად ვამაყობთ ხოლმე იმით, რომ არამზადებივით არ ვიქცეოდით.

— შეიძლება. ეს ჩემი სურვილია, ყოველი ადამიანი კარგად იყოს.

— მე კი მგონია, უფრო მნიშვნელოვანია ხალხი იყოს კარგად. მაშინ ყოველი ადამიანიც უთუოდ ბედნიერი იქნება, — მიუგო კრისტაპმა.

ქალი სწრაფად გატრიალდა და ნაპირისკენ წავიდა. იქ, სადაც სალამურას ფაცერი კუნძულს ებჯინებოდა, სათევზაო ხელსაწყოების ჯიხური იდგა. ზღურბლზე ჭაღარა მერიკალი იჯდა და ტირიფის წნელისგან სალამურებისთვის კალათს წნავდა.

— გამარჯობათ, — მიესალმა ლიგიტა. — როგორ მიდის თევზის ჭერის საქმე?

— ახალგაზრდობაში უფრო მარჯვედ თევზაობდით, ხომ მართალია? — ღიმილით ჰკითხა კრისტაპმა.

— სასაცილო არაფერია, — ჩაიბუზღუნა მოხუცმა. — ჩვენს დროში მდინარეებს არ ხურავდნენ. ცხადია, თქვენ იტყვით, თევზებს ლიფტი დავუდგითო. დაიხსომეთ ჩემი ნათქვამი: ორაგულს თქვენს კურსებზე არ უსწავლია. არც სალამურას. ჰოდა ეს გაუნათლებელი არსებანი პირდაპირ თავით ეხლებიან ბეტონს.

— როგორც ზოგი ჩვენთაგანი, — წყნარად უთხრა ლიგიტამ.

— რასაკვირველია, — განაგრძობდა მეთევზე, — ძალიან თუ მოინდომებ, რაღაცას მაინც დაიჭერ. ოღონდ თბილმა წყალმა ილოს.

— მე მგონია წყალი თბილი აღარ არის, — მოიბუზა ლიგიტა.

— ნუ ჭმუნავ, ძიაკაცო, — ჩაერია საუბარში კრისტაპი. — მოგვეცი რამდენიმე თევზი!

— მერედა ბევრი გინდათ?

— გაგვასინჯე. — კრისტაპმა მეთევზეს ხუთმანეთიანი შეაჩეჩა. — განა შეიძლება კუნძულიდან ისე წახვიდე, რომ სალამურა არ იგემო? ეს იგივეა, საქართველოში ჩახვიდე და ღვინო არ დალიო.

ეტყობა, მეთევზე დიდი მოლაპარაკე არ იყო, პასუხად მხრები აიჩეჩა და წავიდა.

— მაინც გაგვიმართლა, — მიუბრუნდა კრისტაპი ლიგიტას.

— რაში გაგვიმართლა?

— თევზს გარეშეებზე არ ჰყიდიან.

ქალმა ვერ გაიგო, რატომ არ უნდა მიეყიდათ თევზი გარეშეთათვის.

— რომ გითხრა, დაჭერილი თევზი ფაბრიკას უნდა ჩააბარონ-მეთქი, ისევ შემეკითხები, რატომო... დროთა განმავლობაში თვითონ მიხვდები.

კრისტაპი მიუახლოვდა და ქალი თავისკენ მიიზიდა.

— არ გინდა! — ათრთოლებული ხმით სთხოვა ლიგიტამ. — მერე უფრო გამიჭირდება უკან გაბრუნება.

— შენ არსადაც არ წახვალ.

— მე შინ მიცდიან, — ლიგიტა თითქმის ტიროდა. — მე შვილები მყავს, გესმის, კრისტაპ.

— შენი სახლი აქ არის, — მშვიდად და მტკიცედ უთხრა კრისტაპმა.

თავისი სხეულის ყოველი უჯრედით ქალი კრისტაპს ელტვოდა, მაგრამ ხელიდან მაინც გაუსხლტა. შეყვარებაში წუთითაც არ შეყოყმანდებოდა, მაგრამ ახლა სხვა იყო, კრისტაპთან დაბრუნება არ შეიძლებოდა. გრძნობდა, რომ იგი თავის ერთადერთ გოგოს კი არ ეძებდა, არამედ საერთოდ ქალს. ლიგიტამ იცოდა, საკმარისი იყო ახლა ვნებას აჰყოლოდა, რომ მერმე კრისტაპი თვალებს ვერაფერს მოუხერხებდა, ვერ დამალავდა იმედგაცრუებისა და სინანულს.

მედალიონი მოიხსნა და კრისტაპს გაუწოდა.

— წლების განმავლობაში მქონდა იმედი, იმას მოვესწრებოდი, ეს შენთვის მეჩუქებინა. ესლა შემომრჩა და შენ შეგინახე.

კრისტაპს აკანკალებულ ხელში ფრთხილად ეჭირა მარგალიტი.

— თუ მოგანიჭა ამან ბედნიერება?

— პურის ნატეხში ექვსი ცალი მარგალიტის თვალი იდო. პირველი დიასახლისს მივეცი, ვინაც ბიჭი სოფელში სამუშაოდ წაიყვანა, მეორე თბილ კოფთაში გადავცვალე, რადგან სამხედრო ქარხანას, სადაც მე ვმუშაობდი, არ ათბობდნენ. უკანასკნელი ოთხი კი ომის შემდეგ...

— კმარა! — შესძახა კრისტაპმა. — ანგარიშს არავინ გთხოვს.

— რა მოგივიდა?

— მაპატიე, — კრისტაპმა თავს ძალა დაატანა და უფრო მშვიდად განაგრძო: — მაგრამ ვერ გამიგია, როგორ შეგიძლია ეს ატარო. ეს ხომ ჩვეულებრივი ნივთი არ არის. თითოეულ თვალს, მითხარი, ამათ სისხლი აცხია და ცხოვრებაში მხოლოდ ზიანის მოტანა შეუძლიათ...

— შეხე! — მკვახედ გააწყვეტინა ლიგიტამ. — ეს რომ არასოდეს დამევიწყებოდა, ავგაროზი დავაკეთებინე.

— მოგონებებს ინახავენ გულში და არა კაბის ჭრილში. უამბე შენს შვილებს ამ ნივთის ისტორია?

— ეს მათ არ უნდა იცოდნენ!.. ვიცი, კრისტაპ, თქვენ გეჯავრებათ ის ადამიანები, თავს სილაში რომ მალავენ. მაგრამ დამიჯერე, ისედაც არაფერი შეიცვლება, ქუჩაში პლაკატით რომ გავიდე. ქვეყანა მხოლოდ გმირებისა და არამზადებისაგან როდი შედგება. ადამიანთა უმრავლესობას უნდა მშვიდად იცხოვროს, მორჩა!

კრისტაპმა ვერ მოასწრო პასუხის გაცემა — მეთევზე დაბრუნდა.

— დაჩხვერილი თევზია! — ამაყად აცნო მან, პაკეტი მაგიდაზე დადო და ლიგიტას გაუღიმა: — თქვენ ძალზე ახალგაზრდა ხართ, თქვენს ქმარს კი, ალბათ, ჯერ კიდევ ახსოვს, რომ ომამდე ერთი ფუნტი ასეთი თევზისთვის დამატებით ოც სანტიმს იხდიდნენ. — მეთევზემ სურნელოვანი სოფლური პური დაჭრა, ჯიბიდან ორასორმოცდაათგრამიანი ბოთლი ამოიღო და თვალი ჩაუპაჭუნა.

— ჩვენი სადღეგრძელო დალიეთ! — სთხოვა ლიგიტამ.

— მეორე წელიწადია არ ვსვამ. მას შემდეგ, რაც ნახევარი კუჭი ამომაცალეს. და მაინც მიყვარს, როცა ვხედავ, სხვები რომ სვამენ.

სადღაც წავიდა, მაგრამ მალე დაბრუნდა, ჯვარედინი ორი დიდი ფოთოლი მოიტანა და წინ- წაზე სუფრასავით დააფინა. რაკი ქეიფი თვითონ არ გამოუვა, სხვებმა მაინც იქეიფონო.

— ჭიქები არა გვაქვს, — უთხრა კრისტაპმა, — ამიტომ ისე მოვიქცეთ, როგორც ბავშვებმა იციან — რაც ხელში მოგვყვება, პირშიც ის ჩავიდოთ. — მან არაყი პირდაპირ ბოთლიდან მოწრუპა და ლიგიტას მიუტრიალდა: — მადლობელი ვარ, გიტა!

— მეც მადლობელი ვარ, — გრძნობამორეული უთხრა ლიგიტამ, ბოთლს ყელი მოსწმინდა და დალია. — ყველაფრისთვის მადლობელი ვარ!..

— ჩვეულებრივ მომავლის სადღეგრძელოს სვამენ, — კრისტაპი ქალს კითხვის გამომხატველი თვალებით შეაცქეროდა, და ისე შესთავაზა, პასუხს არ დალოდებია: — კიდევ ხომ არ მოგიწყო საღამურა?

— შენ ჩემი დალუპვა ხომ არ გინდა... — შეჰყვირა ლიგიტამ. — იცი, როგორია რიგაზე ჩემი პირველი შთაბეჭდილება? ლამაზი ქალები გყავთ, მაგრამ ერთობ მსუქნები არიან.

— თავისუფლების ბრალია! — დაუდასტურა კრისტაპმა. — მაგალითად, დედაჩემი აუსმას სულ ეჩიჩინება, ჭამე და ჭამეო.

— აუსმას? — ჰკითხა ლიგიტამ. — რაო, ცოლიანი ხარ? რატომ არაფერს მეტყვი მის შესახებ?

— ერთმანეთის გაცნობასაც მოასწრებთ, — კრისტაპმა პირდაპირ პასუხს თავი აარიდა. — დღეს საღამოს...

* *

...სილასპილსის მემორიალთან, სადაც სიდღესასწაულო ცერემონიები ტარდება, ხალხი ისე საქმიანად ფუსფუსებდა, ჩვეულებრივ მრავალრიცხოვან მიტინგის დაწყებამდე რომ ხდება ხოლმე: მონტიორები მიკროფონებს დგამდნენ, მავთულს ჭიმავდნენ, [illegible] ოპერატორები სატელევიზიო კამერებისთვის მოსახერხებელ ადგილს [illegible] ესტრადას აკეთებდნენ. საორგანიზაციო კომიტეტის წევრები გზაზე გამოდგარიყვნენ და განაწესს ასრულებდნენ.

ვოლდემარ კალნინი ვერაფრით ვერ დამშვიდებულიყო. ყოველ შემთხვევითობას საკუთარ შეურაცხყოფად, ხან კი დივერსიად მიიჩნევდა. მას ცხოვრება ვერ წარმოედგინა გრაფიკის რკინის ჩარჩოს გარეშე, თითქოს ჯიბრზე დღეს იმ გრაფიკის შესრულება სხვებს ევალებოდათ, ისინი კი სულაც არ ფიქრობდნენ იმ საქმის დამორჩილებოდნენ, მხოლოდ კალნინისთვის რომ იყო ცნობილი.

ეს მის მიერვე აღმართული კედლები ვოლდემარ კალნინს ჯალოფერში ხლოდნენ და ამის ბრალი იყო, რომ ვერც მწერალი გახდა და ვერც სერიოზული ტელეკომენტატორი. ახალი ორიგინალური იდეა დაებადებოდა თუ არა, შინაგანი ცენზორი მაშინვე თითის დაქნევით დაემუქრებოდა. მას ეჯავრებოდა ის ავტორები, იმპროვიზაციებსა და ადგილობრივ რეპორტაჟებს რომ აჰყვებოდნენ თავს. რისკისაც ეშინოდა და უარის თქმისაც, რამეთუ არ იცოდა, რა მოემიზეზებინა — ვაითუ საჭირო ხელახლა [illegible]. ამის შემდეგომ წლებში საქმისადმი ასეთი მიდგომა იძლეოდა საფუძვლის შენარჩუნების საშუალებას და საკუთარი უპირატესობის შეგრძნებით მაღლიდან დასცქეროდა კრისტაპსა და მისთანა ხელმოცარულთ, გულუბრყვილოდ გზებს რომ ეძებდნენ. ძრითა გახმაურებაში კი გამოირკვა — და კალნინი იძულებული იყო, ეს ეღიარებინა, — რომ რუტინის ციხის კედლების გარღვევა და წინ გაჭრა სწორედ იმათ შეძლეს. იღბლიანებიც გახდნენ. მთავარი რედაქტორის პოსტზე უარი უთქვა. მაგრამ რედაქციის გამგის სამუშაოც მისი ხასიათისა და ასაკისთვის ძალზე შეუფერებელი გამოდგა: გაუთვალისწინებელი შემთხვევითობანი წამდაუწუმ აკარგვინებდნენ წონასწორობას.

— ეს რა უბედურებაა, — დაიწუწუნა პეტერისის მანქანასთან მისულმა კალნინმა, — პროფესორს ვერ მივესწარი და კრისტაპის კვალსაც ვერსად მივაგენი. ამინდი კი ისეთია, უკეთესს ვერც ინატრებ — მზე, მოძრავი ჩრდილები... რა უნდა გადავიღოთ?

— ისინი დიდი ხნის წინ უნდა მოსულიყვნენ, — პეტერისმა საათს მოუთმენლად დახედა, — ვოლდიკ, რა იქნება, ცოტა ხანს აქ რომ დაიცადოთ?

— მეხუმრები? — აღშფოთდა კალნინი. — გგონია, დრო ლატარიის ბილეთით მაქვს მოგებული?

— სულ ნახევარი საათით, — ელაჯიებოდა პეტერისი, — სანამ რედაქტორამდე მივფრინდები და დავბრუნდები.

კალნინი უარზე იდგა.

— შენ მომავალი თაობებისთვის იღწვი, ჩემი გადაცემა კი ეკრანზე ხვალ უნდა გავიდეს. საღამოს შეხვედრებით. წავიდეთ, თინკა!

ის იყო კალნინი ავტობუსში შევიდა, რომ პეტერისმა მოასწრო სახელოში ჩაევლო ხელი.

— მოიცა! შენი გუშინდელი იდეის საქმე როგორ იქნება? შენვე გავაგზავნე ლიგიტას. მე მას რაღაც უნდა ვუთხრა.

— რას გადამეკიდე! — გაბრაზდა კალნინი. — რამდენჯერ უნდა გითხრა, აქ მე უფროსი არა ვარ-მეთქი!

— კი მაგრამ შენ ხომ ლიგიტას კარგად იცნობდი! მოელაპარაკე მიტინგის ორგანიზატორებს, გინდ თუ რა?

— ჩემ ხელის ერთი დაკვრით არ შეიძლება, ბავშვი ხომ არა ხარ! — შეუღრინა კალნინი. — ერთიც ვნახოთ, რამე წამოროშოს? რაც უნდა იყოს, უცხოელია და ისიც აქიდან! — მან თითი ჩრდილოეთისკენ გაიშვირა. — საერთოდ შეუთანხმე ვინმეს ეს საქმე?

— იქნებ ყოველის საწინააღმდეგო ლექსის ცნობაც მოითხოვო! ილაპარაკოს სილასპილსის შესახებ, შენ ამით რა დაგიშავდება?

— შენა გგონია, მე არ შემიძლია სილასპილსზე ველაპარაკო? — კალნინი აღრენილი გახდა. — რა საჭიროა ძველ ამბებში ფუთფუთი, ჩვენს დროში ისინი არავის აღარ აღელვებს.

— არც კრისტაპს?

— რა ვალია ახლა კრისტაპს?

— მართალი ხარ, მხოლოდ მოგონებებით ცხოვრება არ შეიძლება. ამიტომ არსებობს ისეთი ცნება, როგორიცაა მომავალი. მაგრამ კიდეც კარგად რომ დაუფიქრდე, აწმყო საერთოდ არ არსებობს. ყოველივე ის, რაც ახლახან მოიხარე, უკვე წარსულს ეკუთვნის.

— იცი თუ არა, რომ თქვენი მეცნიერული პარადოქსებით შორს ვერ წახვალ, — როგორც იქნა, კალნინმა პეტერისს ხელი გააშვებინა.

— ვნახოთ!

პეტერისი მანქანიდან ჩავიდა და საორგანიზაციო კომიტეტის თავმჯდომარისკენ გაემართა. ლიგიტა და კრისტაპი ნელა მიუყვებოდნენ მემორიალისკენ.

— სისულელეა ამდენი წლის განშორების შემდეგ იმისთვის შეხვედრა, რომ მდინარის ნაპირას ერთი საათით ილაყბო. — კრისტაპი მწარედ გულნატკენი იყო. — ჩვენ იმ ცოლ-ქმარს ვგავართ, ვერცხლის ქორწილის დღეს თავიანთი ცხოვრების უმნიშვნელოვანეს მომენტებს რომ იხსენებენ... ღირდა კი?

— ისევ ოცნება ბედნიერებაზე? მომავალზე იმედის დამყარება? მეორედ მე ამას ვეღარ შევძლებ, — მიუგო გიტამ. — დრო აღარ დამრჩა.

— თუნდაც ამიტომ არ შეიძლება ნამცეცებით დაკმაყოფილება. ისე უნდა მოიქცე, რომ შეეცდნოს შვილებს თვალებში ჩაჰხედო. ისე უნდა ილაპარაკო, რომ ყოველი შენი სიტყვით ამაყობდნენ.

— ისინი ვერაფერს მიხვდებიან, — ლიგიტამ მისი სიტყვები პირდაპირი მნიშვნელობით გაიგო. — ჩემი ბავშვები ლიტვურადაც არ ლაპარაკობენ.

— არ იციან დედის ენა?

— შვეიცარიაში ლიტვური არავისა სჭირდება, ემიგრანტებს კი ბევრი არ ცხოვრობენ... — ლიგიტა კრისტაპს დაჟინებით მიაჩერდა. — იქნებ შევცდი, რომ კუნძულზე ჩამოვიშორე... მაშინ ასე ეცხოვრებიეთ არ ვივლიდით ერთმანეთის მხარდამხარ.

კრისტაპი ასეთ კულაპილობას მიუჩვეველი იყო და დუმდა.

— მეტი მე არაფერი გამაჩნია, კრისტაპ. სხვებს რომ რამე უზიარო, თვითონ უნდა იყო დიდი სიმდიდრის პატრონი.

— მაშინ ის მაინც წაიღე, რისი გაცემაც სამშობლოს შეუძლია — დაუგავა, ვილმინდვრები, შენ რომ ალტაცებაში მოგიყვება, შენს ენაზე მოსაუბრე ხალხი.

— სიტყვებია, კრისტაპ, ისევ და ისევ სიტყვებია, — ლიგიტამ ხელი უიმედოდ ჩაიქნია და ნაბიჯს აუჩქარა.

ქალი მიხვდა, რომ ამაოდ ელოდა კრისტაპისაგან მამაკაცურ თანაგრძნობას. მისთვის სამშობლოს ცნება მჭიდრო კავშირით იყო დაკავშირებული და არა მშობლიური ბუნების სანახებთან, სოციალურ მოვლენებსა თუ კულტურულ ღასებულობებთან. კაცი თავისკენ რომ უხმობდეს, სიყვარულს მპირდებოდეს, ასე ვთქვათ, ხელსა და გულს სთავაზობდეს, შეიძლება სერიოზულად დაფიქრება.

პეტერისმა რომ დაინახა, შორიდანვე დაუწყო ხელის ქნევა.

— შეძლეთ მოლაპარაკება! — აღტაცებით გაიძახოდა იგი. — გიტას სიტყვას მოვცემენ. მართალია, თავიდან არა, მაგრამ ეცხოველი სტუმრები რომ დაიწყებენ გამოსვლას, მაშინ მისცემენ.

— ტრიბუნაზე გამოსვლას ამირებ? — კრისტაპი ყურებს არ უჯერებდა.

— მიაში შემაგულიანა, მხოლოდ სამწუხაროა, რომ წინასწარ წამოაყრანტელე: მე შენთვის სიურპრიზს ვამზადებდი.

— ჩემთვის? მოიცა! რა გინდა თქვა?

— ყველაფერი, რა იყო, როგორ იყო. ოლოქვაშეთის ამბავს მოვყვები, იმასაც ვიტყვი, შენ რა როლს ასრულებდი. ცხადია, მარგალიტის თვლებსაც გავიხსენებ, წამალზე რომ გაცვალე.

— დიდებულია! — სიტყვა ჩამოართვა პეტერისმა. — რაც შეიძლება მეტი კონკრეტული დეტალი მოიგონე. აქ ჩამოვლენ ყველა რედაქციის წარმომადგენელი ჟურნალისტები, მოსკოვიდანაც კი. კრისტაპზე ისეთ ამბავს დაწერენ...

— მოვითხოვ არ ვიყო, ოპერა და ბალეტი არ იქნება! — მოიღრუბლა კრისტაპმა. — მე რეკლამა არა მჭირდება, მით. ახლა სხვა დროა...

პეტერისს არ შეეძლო ამაზე დათანხმებოდა. მისი აზრით, დიდებას ხიანი არავისთვის მოუტანია. პირიქით, მეუღლე ხელს უწყობდა: ეფროსაკლასთვის დეტალების გამოვლენაში, სპეციალური ფონდიდან აპარატურის მიღებაში, განა ცოტა რომ ჭირდება კაცს, საქმეც რომ აკეთოს? იგი არ ყოფილა სამუშაოზე საყვედურის ამოღებების წინააღმდეგი. მაგრამ სწორედ ამიტომ უნდოდა, რომ მისი მიღწევებიც აღენიშნათ. ამავე დროს იმედგაცრუებდა მეცნიერების, რომელსაც იგი ემსახურებოდა, რომ სხვა მოკვდავებთან მის დამოკიდებულებაში ხანდახან ერთგვარი უპირატესობის გრძნობაც კი გამოსჭვიოდა. აი, რატომ მოინდომა, უფლებამოსილი ვარ, დიდების ოლიმპზე ვირების ამწევი რეკორდსმენისა და ფიგურული სრიალში მოთამაშის გვერდით ვიჯდეო.

ლიგიტამაც ვერ გაიგო, რატომ იყო კრისტაპი წინააღმდეგი.

— არ დაივიწყო, კრისტაპ, როგორ სამყაროში ვცხოვრობთ. შენ დამსახურებულ აღიარებაზე ამბობ უარს, არამზადები კი მაღალ თანამდებობებს იკავებენ და გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის მთავრობისგან პენსიას იღებენ. თან შურისძიებაზედაც ოცნებობენ. ასეთი ბევრი მინახავს...

— პოლა, ტრიბუნიდანაც ამის შესახებ ილაპარაკე, — მშრალად გააწყვეტინა კრისტაპმა. — წარსულზე კი არა, ახლა იმაზე უნდა გავაკეთოთ, რა გავაკეთოთ, რომ წარსული არ განმეორდეს.

— კი მაგრამ ეს ხომ პოლიტიკაა? — შეძრწუნდა ლიგიტა.

— ეს არის შენი შვილების მომავალი.

— ჩემი ბავშვების დარდით თავს ნუ შეიწუხებთ. მთელი ამ ხნის განმავლობაში სწორედ მათთვის ვაკეთებდი იმას, რაც არ მინდოდა. რამდენი წლის ვიყავი მაშინ? — ჩაეცინა ლიგიტამ. — ნუთუ თქვენ აქამდე ვერ დაიზარდეთ?

* *

პეტერისმა მანქანა ხიდთან გააჩერა. ხიდქვეშ, ღრმა ხევში, მიედინებოდა მდინარე, რომელიც დაუგავას ერთვოდა. გზატკეცილის ჩანასავით კეტავდა ძველი შარაგზა, მდინარის შესართავთან რომ ეშვებოდა, სადაც დაუგავაზე ოდესღაც მოძრავი ბორნის ძველ მისაბმელთან ადამის ხნის პატარა ბუქსირი იყო დამაგრებული.

„დილამდე მაინც არ დარჩებოდეს აქ, — ფიქრობდა პეტრისი და ძლივს შესამჩნევ ბილიკზე მიმავალ ლიგიტას გასცქეროდა. — რას ეძებს აქ? დარდის ელექსირს ხომ არა? იმედი ხომ არა აქვს, წინაპართა ძახილს გაიგონებს? ეს ხოლო და მიტოვებული... თითქოს უკან გასაბრუნებელი ბილეთი ჯიბეში არ ედოს...“

ბუქსირის გემბანზე მოხუცი იჯდა და ხელში თხილის ჯოხი ეჭირა. ლიგიტა ქვიშიანზე დაეშვა და მოხუცისკენ გაემართა.

— გამარჯობათ, — შორიდანვე მიესალმა ქალი და იმწამსვე მთელი მისი ფიქრი მეთევზეთა სოფლის საძულველი შეკითხვა დაუსვა: — არის თევზი?

— ამ პაპანაქება სიცხეში მხოლოდ სულელები ირთობენ თავს თევზაობით, — ისე ჩაიბურტყუნა მოხუცმა, მისკენ თავიც არ მიუბრუნებია. — მთელი თევზი სიღრმეშია წასული, სადაც გრილა.

ერთხანს ლიგიტამ ტივტივას უცქირა, მერმე ჯაგნარით დაფარულ დიუნებს გაღმა ნაპირს გახედა.

— იქ სახლი ხომ არასოდეს მდგარა?

— აქ ერთ დროს ბევრი რამ იდგა. მაგალითად, იყო ბორანი და ლუდის დუქანი. მეტივის სახლი კი ჯერ კიდევ ომის დროს დაიწვა.

— იმ ხალხს რაღა მოუვიდა, აქ რომ ცხოვრობდა? — ჰკითხა ლიგიტამ, სიტყვებს ძლივს რომ პოულობდა. გულახდილ ლაპარაკს სირცხვილის აუხსნელი გრძნობა უშლიდა ხელს.

— დაიღუპნენ. თავად ელგარი შეცმანებმა მოკლეს, ელდა-მეული კი ბანაკში წაიყვანეს. ალბათ იქვე დარჩნენ... აქ რომ არ იყოს, დიდი ხნის წინ დაბრუნდებოდნენ.

გულმოკლული ლიგიტა დუმდა. თავი რომ არ გაეცა, მოხუცს სახე აარიდა. ელდისაპურდისტების გრძელი მწკრივი მიჰქროდა. ბარტანი მანქანიდან გადმოვიდა და მზით გახურებულ საბურავებს ხელი შეუსვა. რაკი შეამჩნია, რომ ლიგიტა მისკენ იცქირებოდა, ხელი ენერგიულად დაუქნია.

უფრო მკვიანური იქნებოდა, უცებ დამშვიდობებოდა და უკან გაბრუნებულიყო, რადგან მაგრამ მოხუცის ლაპარაკის სიდინჯე აშლიდა. ანკესი წყლიდან ამოიღო და გაიაგრძო:

— მე ვიცნობდი მათ. ელგარი ამ ფესვმოკლებს კი არ ჰგავდა, — მოხუცმა ელდისაპურდისტებზე მიუთითა, — წყლებზე ფეხს იდგამდა და ლუკმას ისე შოულობდა. ამიტომ იყო, რომ ადრე დაიღუპა. მე მასთან დამხმარედ ვმუშაობდი, დაუვლიანებ ტივებს ერთად ვაცურებდით...

— ელდისებიეთ?.. განა ამ ბუქსირით არ იქნებოდით?

— როგორ არა, მაგრამ მხოლოდ მაშინ, ეზეში რომ შევდიოდით. ახლა უნდათ ეს ნავი რიგის ეთნოგრაფიულ მუზეუმში წაიღონ. ერთი ძალიან დიდი გასაკვირი რამ კი არის... ბარემ მეც წამიყვანონ, პენსიონერი, თორემ აქ საშემოდგომო ლიწვეზე მისახმარებლადაც აღარავინ მეძახის.

— დიდილი სტრატინი ცოცხალია?

ელდანაკრავი მოხუცი ლიგიტას ხანგრძლივად მიაჩერდა.

— თქვენ ქალი ხართ, ასე რომ ეცნობით აქაურობას?

— არაფერ... ისე გკითხეთ, უბრალოდ. გმადლობთ, — ლიგიტამ ზურგი აქცია და ფეროზს უკანმოუხედავად შეჰყვა.

* *

სად უნდა წასულიყო, როცა საკუთარ ფიქრებთან განმარტოება მოესურვებოდა? ზოგი ზღვის დაცარიელებულ სანაპიროზე დაეძებს სიმშვიდეს, ზოგი თავის საყვარელ ჩიხებში ქალაქის ქაფეში ქეიფობს, ზოგი საათობით დაყიალობს ხმაურიან ქუჩებში. კრისტაპს ყველაზე ნაყოფიერი აზრები ჩვეულებრივ პირობებში მოსდიოდა, სადაც არაფერი სიახლე არ უშლიდა ხელს ოცნებაში. მაგრამ სახელოსნოში წასვლა ჭერჭერობით მაინც არ უნდოდა...

კრისტაპს თავი ისეთ ადამიანად არ მიაჩნდა, უეცარი გადაწყვეტილებებს მიიღებს რომ შეეძლო, მას მოქმედების გულდასმით აწონა და ყოველმხრივი ხასიათის განსაზღვრა უყვარდა. და როცა საამისოდ დრო არა ჰყოფნიდა, ინტუიციით არჩევდა სვლებს, შემდეგომში, როგორც წესი, ერთადერთი და ჭეშმარიტი რომ გამოდიოდა. ეს ისეთ წვრილმანებშიც კი ვლინდებოდა, როგორც რაიმეს ყიდვაა. თუ ქურთუკი ან ფეხსაცმელი პირველ შეხედვისთანავე მოეწონებოდა, არასოდეს დაინტერესებულა კარგი ხარისხისაა თუ არაო, არც ფასს კითხულობდა, პირდაპირ სთხოვდა, შემოხვიეთო. მაგრამ დიდის ან აგზმას შემოძენისას პრაქტიკული მოსაზრებით ნაყიდ ტანსაცმელს ყოველგვარი სიამოვნების გარეშე ატარებდა. შეიძლება, სიცილიც იქნებოდა, გიტას იმ ნივთებთან შედარება, ფულით რომ იყიდება, თუმცა ალბათ ინსტინქტს არც ამ შემთხვევაში მოუტყუებია. თუ შეხვედრის პირველ წუთებში არ მოსწონებია, უცნაურ წლებში ჩემს მიერ აღმორთული სამყარო იმახვრევა, ქვიშის პარტოსა და შავი პერის ნატებს ხელი უნდა დაეხატათ და დაუყოვნებლივ გიტასთან გაეცნო, მამასადამე, გამოდის, რომ მას ყანმთლიანი პირველი სიყვარულის მოგონება და ოცნება სტანჯავდა, რომელიც გულს უჩქროლებდა. ყოველგვარი ჯანსაღ ოპტიმიზმი იყო, აქ რამე შეეცვალა. ის არ გამოდგებოდა იმ რაინდის როლში, რომელიც მზად იყო უკანასკნელ ამოსუნთქვამდე დაეცვა ოდესღაც მიცემული სიტყვა და ამით თავიც ჩაეგდო საფრთხეში და სხვებიც.

„აუსმა რომ არ მყოლოდა, — გაუელვა კრისტაპს თავში. — არ ეტყოდი გიტას, შეილებმა დატოვე და საცხოვრებლად ჩემთან დარჩი-მეთქი? მაგრამ ფიქრი იმწამსვე წილმა შეაბრუნა:

საქმეც ის არის, რომ აუსმა არსებობს და მუდამ იარსებებს. და არ შეიძლება ამ ორი ქალის შედარება, არ შეიძლება რომელიმეც ფიზიკურ თუ სულიერ ღირსებათა ტაბელის გამოყენებით მათი ამა თუ იმ რანგისთვის მიკუთვნება. საქმე ის არის, რომ აუსმა კრისტაპის ცხოვრებაში შევიდა, როგორც ცოლი, როცა პირველი ცოლის სიკვდილით გამოწვეული ტკივილი ოდნავ დაუამდა. და მათს მომავალ ურთიერთობაში აუსმა უნდა შეურიგდეს იმას, რომ გიტა მის ცხოვრებაში სადღაც განცალკევებით განაგრძობდა არსებობას. მისი გიტა და არა ორი შვილის დედა, მდიდარი „შვედი" ქალი ლიგიტა ელვესტადი.

თუმცა რა უნდა ექნა გამოუვალ მდგომარეობაში მოყოლილ უბედურ ქალს? რა უფლება, კრისტაპი ამ ტრაგიკულ მომენტში ჩაერიოს მის ცხოვრებაში, რათა შეახსენოს თავისი გადაწყვეტილებანი? თუ მან სამშობლოს გულისთვის მეთოხედი საუკუნის წინ ვერ იქვა უარი მატერიალურ კეთილდღეობაზე, ამაზე ახლა ფიქრიც აღარ ღირდა. სხვა დანარჩენი იყო წარმოსახვის თამაში, კეკლუცობა, მოდური ნოსტალგიის ხარკი, ძალიან რომ უბედურ ბათ სერიოზული საზრუნავისგან თავისუფალ ადამიანებს. კრისტაპი გრძნობდა, სადღაცას განზრახ ამუქებდა, მაგრამ არ ეეჭვებოდა, რომ მთავარი აზრი გაგებული ჰქონდა.

სწორედ ამ დროს მიხვდა, რომ გზაჯვარედინზე იდგა, სადაც იგი პეტერისმა ჩამოსვა. რიგის მხარეს მიმავალი ტაქსის მწვანე შუქი შენიშნა, გზისპირას გავიდა და ხელი აუწია.

...კარი რომ გაიღო და სახელოსნოში კრისტაპი შევიდა, აუსმას ბუტერბროდებიანი თეფში ხელიდან გაუვარდა. თურმე კრისტაპის გამოჩენა მისთვის ხამდვილ საოცრებას ნიშნავდა. სანამ ქურქელს აგროვებდა, პურს ჭრიდა თუ სუფრას შლიდა, მისი გონება ერთადერთ კითხვას მოეცვა: „როგორ წავა ჩემი საქმე? თუ კრისტაპი თავის გიტასთან წავიდა, უჩემოდ როგორღა უნდა ვიცხოვრო? კრისტაპს არასოდეს დაუმალავს, რომ პირველი სიყვარული ახსოვდა, **ამ მხრივ არაფერი ესაყვედურებოდა.** მაგრამ ეს ქალის მდგომარეობას სულაც ვერ ამსუბუქებდა. რატომ არ უნდა შეეცადოს დაიცვას თავისი ბედნიერება და უფლებები, მათი ერთად ცხოვრების წლებმა რომ მიანიჭეს? ეს რა სისულელეა? თითქოს თვითონ მსხვერპლს იღებდა, თითქოს მეტს იძლეოდა და ნაკლებს ღებულობდა? თითქოს სიყვარულში შეიძლებოდეს სასწორის პინაზე დადოს სინაზე და ვნება, პატივისცემა და მეგობრობა, თითქოს საბუღალტრო ანგარიშივით შეიძლებოდეს შემოსავლისა და გასავლის აღრიცხვა, რათა, ყველაფერს რომ დააჯამებ, კომპენსაცია მოითხოვო... არა, იგი ამას არ იზამს! არ იზამს, თუნდაც უპრობლემოდ მოუხდეს კრისტაპზე ქარის თქმა.

— მისმინე, — უთხრა კრისტაპმა. — ჩვენ დღეს კიდევ ერთი სტუმარი გვეყოლება...

— ვიცი, — აუსმას არ უნდოდა მისი ახსნა-განმარტების მოსმენა. — იქნებ სურდეს, დიასახლისობა დედამენმა გასწიოს?

— კარგ გაიგე.

— იქნებ მე აღრევე უნდა წავსულიყავი. მაგრამ შენ დანაშაულის გრძნობა დაგტანჯავდა. მე ხომ ვიცი შენი ხასიათი.

ბოლოს კრისტაპი მიხვდა, რაც ედო აუსმას გულში. მისი ექვიანობა იმდენად უსაფუძვლო ეჩვენა, გაბრაზდა კიდეც.

— და ამიტომ გადაწყვიტე მცირე მელოდრამატული სცენის გამართვა? — გესლიანად დააზუსტა კრისტაპმა.

— კრისტაპ! — შეევედრა მას აუსმა. — მე უამისოდაც მიჭირს. ჩვენ ხომ გრძნობებზე არასოდეს გვილაპარაკნია. შენ დუმდი და ნებას მაძლევდი, მყვარებოდი. მე ეს მართებულად მიმაჩნდა. რომ მივეჩვიე, თავს მშვენივრად ვგრძნობდი. ახლა წინდა. სავსებით თავისუფალი იყო, რომ იღონდე...

— მხოლოდ უმსხვერპლოდ! — თეატრალურად აჩურჩულდა კრისტაპი და საფეთქლებზე ხელი მიიდო. — და დაიხსომე, — სერიოზულად გახედოდა მას: — არ გეპარებ თავი კეთილშობილ რაინდად გავასაღო და არც შენ მიხდა სიცოცხლე მოგიწამლო. არც მასა და მათ უფლების არც ჩემს თავს. თუ ჩემი დახმარება გინდა, ნუ მაწვალებ, თავი ისე დაიჭირე, თითქოს არაფერი ხდებოდეს. — კრისტაპმა ფანჯარაში გადაიხედა. — და ჩემთან ერთად გაიხარე რომ ქვა მოგვიტანეს. — აუსმას ცხენთის წვერზე ეამბორა და ეზოში გაიჭრა.

...კრისტაპმა მაწმილი თვალით მოზომა და ხელი აიქნია:

— წავიდა!

ამწის ისარი, დაჭიმული ბაგირებით გრანიტის უზარმაზარი ლოდი რომ ეჭირა, მაღლა აიწია. დაძაბულობისგან კრისტაპი თვალად გაილვარა და პერანგი გაიხადა. ჰაერში დაკიდებული ლოდი ოდნავ ირხეოდა, შემდეგ კი თითქოსიდა შეჩერდა.

— ფრთხილად! — შესძახა კრისტაპმა და მეამწეს მიაშურა.

— ყველაფერი კარგად იქნება, ბატონო, ოღონდ ამწის ქვეშ ნუ შედგებით. — დაამშვიდა მეამწემ.

ლოდი ისევ შეირხა.

— წუნარად, — თავი ვერ შეიკავა კრისტაპმა. — ავერი ხომ არ გგონია... მარცხნივ, კიდევ ცოტა!

ლოდი ნელა შემოტრიალდა მარცხენა მხარეს, შემდეგ აქეთ-იქით დაირწა, დაბლა დაეშვა და მიწაზე მძიმედ გაითო ზღართანი.

კრისტაპმა ნიღაბინა და ბაგირები შემოხსნა.

— სახლს მიხედე! — დაუძახა კრისტაპმა აუსმას, რომელიც ზღურბლზე იდგა და ფუთვალთვალებდა, როგორ ჩამოტვირთეს ქვა. — ბიჭებს მაღაზიაში გავცევები.

და კრისტაპი მეამწის კაბინაში აძვრა.

აუსმა ღიმილით უცქეროდა, რა დაძაბული ღრიალით მიათრევდა ამწე ტრაილერს ეზოდან. ტექნიკის მბდღვინავი საოცრება კუთხეს რომ მიეფარა, ქალი გატრიალდა, სახელოსნოში შევიდა და ლიგიტას პირისპირ შეეჯახა.

მცირე ხანს ქალები უხმოდ სწავლობდნენ ერთმანეთს.

— მე თქვენ უცებ გიცანით, — წარმოთქვა ბოლოს აუსმამ, — თუმცა საღამოს კი მოველოდით. ძალიან უხერხულად ვგრძნობ თავს, — მან შენობაში არსებულ არეულობაზე თავით ანიშნა. — კრისტაპი ეს წუთია წავიდა.

— მით უკეთესი, თუ ნებას მომცემთ, მეურნეობაში მის მაგივრობას გავწევ... — ლიგიტა მაგიდისკენ მტკიცე ნაბიჯით გაემართა, სადაც ჭურჭლეულობა იყო დახვავებული, მაგრამ შუაგზაზე შეჩერდა. მისი ყურადღება მიიპყრო ბიუსტმა „მანიაკალი გოგონა". — ნუთუ მართლა მგავს? — ვერ გაიგებდით, ეს ეკითხებოდა, აუსმას თუ საკუთარ [illegible] — მე [illegible] გზით ვერ ვიცნობდი თავს.

სარკესთან მივიდა და თავის გამოსახულებას ყურადღებით დააკვირდა.

— ნუ იტყვით, — აუსმა ლიგიტას გვერდით ამოუდგა. — ზუსტად ერთნაირი ნაკვთები გაქვთ.

— კი მაგრამ გამომეტყველება? — ნაღვლიანი ჟესტით გააწყვეტინა ლიგიტამ. — ამ ცხოვრებაში ვერასოდეს შევძლებ ქვეყანას ასეთი სიჯიუტით შევხედო.

— გთხოვთ, ამას კრისტაპს ნუ ეტყვით! მას ძალიან უყვარს თავისი პირველი ნამუშევარი.

— ვიცოდები, რომ ის გოგონა აღარა ვარ, — მისი ხმა დაგვიანებული და ამიტომ ფუჭი სინანულით გაისმა. — არც ვიქნები არასოდეს, თუმცა გულდასაწყვეტი კია. სილამაზის შემორჩენილ ქანდაკებებსაც იგივე ბედი ეწევა, თითქოს ისინი ჩემთვის უცნობი ადამიანების სახსოვრად აღემართოთ.

— უმართლო ორიგინალი! ჩვენთან ეს დიდი ფული ღირს!

— სიკეთითაც.

ორივეს გაეცინა.

— ხომ არ მოგშივდათ? — შესთავაზა აუსმამ.

— ძალიან დაგიმადლით, დიდი მადლიერების მიუხედავად, დღეს წელის მეტი მაქვს.

— ახლავე ყავას დავდგამ, — წამოდგა აუსმა.

ლიგიტამ საათს დახედა და თავი გაიქნია:

— არა, ჯობია. ვცდილობ, დღის მეორე ნახევარში ყავა არ დავლიო, თორემ ღამე ცუდად მძინავს.

— კრისტაპი კი ღამითაც ბევრს სვამს.

— კიდევ რა მოსწონს? — ჰკითხა ლიგიტამ. — მიამბეთ! — მე ხომ ძალზე ცოტა ვიცი მის შესახებ.

კრისტაპს ყველაზე მეტად ზღვა უყვარს. ყოველ თავისუფალ საათს მეთევზეთა დაბაში ატარებს, თავის მორეულ ნათესავებთან. ფარდულში იძინებს, ნახევრად გატიტვლებული დადის, [illegible] და როგორც კი შემთხვევა მიეცემა, მეთევზეებს დაჰყვება ზღვაში ბადეების შესამოწმებლად.

— [illegible]? — დაინტერესებით შეეკითხა ლიგიტა. — თქვენც იმ ფარდულში ცხოვრობთ?

აუსმამ ვერ მოასწრო პასუხის გაცემა, სახელოსნოში კიდევ ერთი მოულოდნელი სტუმარი შევიდა.

— [illegible] მომიყვანა, — აუხსნა მათ კრისტაპის დედამ. მან მოხუცებული ადამიანისთვის დამახასიათებელი პირდაპირობით მიაშტერდა ლიგიტას, ცრემლებს იწურავდა და [illegible]: — ზუსტად ასე მშვენიერი წარმომედგინე, შვილო. კრისტაპი შენზე ბევრს მიამბობდა!

— ნუ სტირით, ქალბატონო აბოლტინ! გილოცავთ, რომ ასეთი სახელგანთქმული შვილი გყავთ.

— განა მე რამეს ვამბობ? — სიტყვა ჩამოართვა მოხუცმა. — უფრო ალღოსიანი რომ იყოს, მთლად კარგი იქნებოდა. ისე კი [illegible] ჩამოთვლება. — ქალი [illegible] და ისევ იმავე თემას დაუბრუნდა, მას რომ აღელვებდა: — დარწმუნებული ვიყავი, რომ ადრე თუ გვიან ღმერთი შეგახვედრებდათ ერთმანეთს.

— თქვენ გწამთ ღმერთი? მაშ როგორღა უშვებს, რომ ადამიანები იტანჯებოდნენ?

— რაც მართალია, მართალია, ჩემს დროს ღმერთი სიკეთეზე ასე ძუნწი არ ყოფილა, — დაეთანხმა დედა. — მაგრამ არაფერია, აწი ყველაფერი კარგად აეწყობა, ყველაფერი დალაგდება. შენ ხომ სამუდამოდ ჩამოხვედი?

— მე იქ სახლი და ოჯახი მაქვს. მაგრამ კიდევ ჩამოვალ აუცილებლად.

— კრისტაპის საქმე როგორღა იქნება? — შეცბუნდა მოხუცი. აუსმას შეაცქერდა და მთლად დაიბნა: — ნუ გაიწყრებით, შვილო, მაგრამ მე მის მეტი არავინ გამაჩნია... [illegible] შვილიშვილები უნდა მყავდეს... ჯერ კიდევ შემიძლია მათი მოვლა. ორი პარასკევი დამრჩენია... — ქალს თავბრუ აერია და გაჩუმდა.

ზუსტად ამ დროს კრისტაპი დაბრუნდა. მან ლიგიტა შეამჩნია და ბოთლებით გატენილი ზურგჩანთა კარს უკან დამალა.

— კარგია, რომ უკვე გაიცანით ერთმანეთი...

— დაემშვიდობეთ კიდეც, — დააზუსტა ლიგიტამ. — აუსმა ძილისფერი გოგო ყოფილა, დედაც გულკეთილი ქალი გყოლიათ. სამწუხაროდ, დროა შხაპი მივიღო და ფეხსაცმელი გამოვიცვალო, თორემ ზეიმს ჩავამწარებთ. შეგიძლია გემამდე მიმაცილო?

სტუმრის ზურგსუკან მდგომმა აუსმამ კრისტაპს თავი დაუქნია, აგრძნობინა, საქმეს შენ დაუხმარებლადაც ავუვლიო.

...კრისტაპმა ყურადღება მიაქცია, რომ ლიგიტას კაიუტაში იდეალური წესრიგი სუფევდა. მის არტისტულ ბუნებაზე უსახურმა სიმყუდროვემ მძიმე შთაბეჭდილება მოახდინა. აქ აღარ იყო რაიმე პირადულის ადგილი, მისი საკუთარი ჩვეულების ან გატაცების ნაკვალევი — არც გადაშლილი წიგნი, არც სკამის საზურგეზე მიგდებული კოფთა, არც [illegible] ბროლის ვაზაში ან თუნდაც გადაადგილებული რაიმე ნივთი. სარკის წინ დალაგებული შუშები და

ნაირნაირი ფორმისა და ზომის კოლოფები საპარფიუმერიო მაღაზიის ვიტრინას მოგვაგონებდათ.

— ისე მოიქეცი, თითქოს შინ იმყოფებოდე, მე მხოლოდ ოდნავ გავგრილდები, — უთხრა ლიგიტამ და აბაზანაში მიიმალა, მაგრამ იმწამსვე გარეთ გამოჰყო თავი: — სანამ დავიბანდე, იქნებ რაიმე გამაგრილებელი სასმელი მოამზადო, ბარში კარგი ვისკი აღმოაჩინე. — ქალმა დაბალ საჟურნალო მაგიდაზე მიუთითა, სადაც ბოთლი, სიფონი და ორი მაღალი ჭიქა იდგა. იქვე იყო ტყავის ლამაზი საფულე, რომლის ცელოფანის ჯიბეებში ფერადი ფოტოსურათები ეწყო. კრისტამ სურათებს დაუწყო თვალიერება. პირველ სურათზე აღბეჭდილი იყო თვრამეტიოდე წლის ქერათმიანი ქალიშვილი. ლიგიტას ალიკვალი გახლდათ, თუმცა სილამაზით ბანაკში ხამყოფ ქალიშვილს მაინც არაფრით აგონებდა. მეორე სურათიდან ქალიშვილზე ოთხიოდე წლით უმცროსი ბიჭუნა უცქეროდა. სხვა სურათებზე აღბეჭდილი იყო ქალბატონი ელვესტადი მანქანის საჭესთან, წყლის თხილამურებზე, მთის ხეობაში, სახლთან კურორტზე.

სანამ კრისტა ფოტოსურათებს ათვალიერებდა, ოხშივარადენილი ლიგიტა გაორთქლილ სარკეში იცქირებოდა. მის ჩაცვივებულ მზერას არ გამოპარვია, რომ დაღლილად და რამდენადმე დაბერებულად გამოიყურებოდა. თუმცა გასაკვირი არაფერი იყო. ის ცოცხალი ადამიანი გახლდათ. ყოვლად წარმოუდგენელი იყო, რომ კრისტას იპოვიდა, იგი ცოცხალი და საღ-სალამათი იქნებოდა, მაგრამ მაშინვე ისევ დაკარგავდა. მართლა, რამდენი ხანი გავიდა მას შემდეგ, გამოსათხოვარ მეჯლისზე ზეიმურად სარკის წინ რომ ტრიალებდა? ჯერ ოცდაოთხი საათიც არ გასულიყო, ხვალ განთიადისას, ხომალდი ლენინგრადისკენ აიღებს გეზს, იქ ორ დღე-ღამეს გაჩერდება და მერე ისევ სტოკჰოლმისკენ გაემართება. თავდაპირველად ფიქრობდა, ეს დღეები რიგაში გაეტარებინა, ნევის ნაპირებისკენ კი თვითმფრინავით გაფრენილიყო. ახლა კი ეჭვმა შეიპყრო. თუ პირველმა დღემ თვალებთან ნაოჭი გაუჩინა, რას მოუტანს სალონებში გამართულ მიტინგზე წარმოთქმული საზეიმო სიტყვები, სამგლოვიარო მუსიკა?.. ალბათ, პაწი მართალი იყო: სამშობლოს უნდა შესწირო ყველაფერი ან არაფერი. კომპრომისები მისთვის უცხოა. ერთი დღეც საკმარისი იყო იმისათვის, რომ ეს მწარე სინამდვილე შეეგნო, დაუყოვნებლივ უნდა გაემგზავროს ან სამუდამოდ დარჩეს. მაგრამ შესძლებს კი ლიგიტა ამ მიწაში ფესვი გაიდგას? რომელიღაც ავბედითი საათის მისი და კრისტას გზები გრადუსის უმცირესი ნაწილაკით აცდნენ ერთმანეთს და ერთთა მსვლელობაში თანდათანობით უფრო დაშორდნენ. ახლა მათი შეერთება მხოლოდ ძალას შეეძლო. თუმცა ეჭვობდა, რომ კრისტას ეს არ აინტერესებდა. ეტყობა, მისი დარდიანი მსვლელობა ერთადერთ მიზანს ისახავდა: საკუთარი თავისთვის დაემტკიცებინა, რომ მათი განშორება მოვლენათა ტრაგიკული დამთხვევის შედეგი კი არა, ლიგიტას ბრალი იყო. თავის მხრივ ქალიც დარწმუნდა, რომ აქ ყველასთვის კარგად გრძნობდნენ თავს. იგი უცხოეთში არ დაღუპულა, შეეგუა იქაურობას. ორმა პარალელმა შეიძლება ოდესღაც კოსმოსურ სივრცეში მაინც გადაჰკვეთოს ერთმანეთი, მაგრამ სამკუთხედის ორი გვერდის ერთ ხაზად გაერთიანება ყოვლად შეუძლებელია.

ყოველივე ეს სულაც არ უშლიდა ხელს, კარგ მეგობრებად დარჩენილიყვნენ. რიგაში გატარებული ერთი დღის განმავლობაში ქალმა გაიცნო ბევრი მეგობარი შეიძინა, ვინც მთელი ამ ხნის მანძილზე ჰყავდა სტოკჰოლმში. რამდენიმე გულწრფელად ხაზგასმით იტყვის საკმარისია, რომ უცებ დამყარდეს უბრალო და კეთილი დამოკიდებულება, როგორიც მყარდება ერთნაირი წარმოშობის, კულტურისა და მრწამსის მქონე ადამიანებს შორის. ხალხთან ერთსულოვნობა — აი, რა დაკარგა, შვეციაში სამუდამოდ დარჩენა რომ გადაწყვიტა.

თუკი ასეა, რატომ არ უნდა დაწყვიტოს ის ბორკილები, რომლითაც კომფორტაბელურ, მაგრამ ცივ ცივილიზაციას არის მიჯაჭვული, რატომ არ უნდა დაბრუნდეს სამშობლო ლატვიაში და არ დაიწყოს ცხოვრება, რომელზედაც ასე ბევრს ოცნებობდა? არც ისე მოხუცებულია, რომ ცვლილებები აშინებდეს. რომ შეეძლოს ბავშვების წამოყვანა, ბევრს არ იყოყმანებდა. მაგრამ ცხადია, რომ იგორი ბავშვებს არ დაანებებს, ამაზე კრინტის დაძვრაც არა ღირს. ერთადერთი, რაც მას შეეძლო, ის გახლდათ, რომ სახეზე ღიმილი ეკრა და სხვებისთვის განწყობილება არ წაეხდინა... საღამოს კაბა ჩაიცვა, კაიუტაში დაბრუნდა და დაინახა, რომ კრისტას ხელში ფოტოსურათები ეჭირა.

— რომელი გირჩევნია — დედა თუ შვილი? — უტიფრად ჰკითხა და კრისტას კოკობზიკურად დაუტრიალდა წინ. — იქნებ უფრო უბრალო რამ ჩამეცვა?

— თუ არ გეშინია, რომ დაგესვრება, ეს კაბა გეცვას, — გულგრილად მიუგო კრისტამ.

— იმედი მაქვს, შენი დედიკო არ მიწყენდა, რომ თვითონ ვერ მივაკითხე, მაგრამ მასთან ხელცარიელი ვერ მივიდოდი... — ჩემოდნიდან გამჭვირვალე პაკეტი ამოიღო, აქედან ძვირფასმაქმნიანი სალომური პერანგი ამოიღო და თითქოს თამაშობსო, მოიზომა. — როგორ გგონია, დედას გაახარებდა ასეთი საჩუქარი?

კრისტამ არ უპასუხა. ლიგიტა მის გვერდით მაგიდის კიდეზე დაეშვა და კაცს მიეხუტა:

— მაკოცე, კრისტა.

სახეები ერთმანეთს მიუახლოვდა: მათი ტუჩები აგერ-აგერ უნდა შეხებოდნენ ერთმანეთს, მაგრამ უცებ ლიგიტამ ჩაიცინა და განერიდა.

— ისე გამოიყურები, თითქოს გეშინოდეს, არ შემაცდინოს და შვეციაში ძალით არ წამიყვანიო.

— შეამოწმე: საჩემო ჩემოდანი არა გაქვს — ყველა პატარაა...

ქალმა ვისკი დაასხა, სოდიანი წყალი გაურია, თავისი ჭიქა ასწია და კრისტას ფიქრიანად შეაცქერდა:

— დღესაც მასწავლიდი, მთავარია სიცოცხლის შენარჩუნებაო. მაშ გაუმარჯოს იმათ, ვინც სიცოცხლე შეინარჩუნა.

— არა, გიტა. მაშინ მე არ შემეძლო ყველაფერი მეთქვა. მთვარიან ცისკალი გადარჩე-
ილოცნილი შენს სამშობლოში, იმ გამოძახილში, შენს შემდგომაც დიდხანს რომ იხმიანებს...
მოიჩვენა, ჩემი სიტყვები მის შეგნებამდე ვერ აღწევდნენ, და გაჩუმდა.
— სადღეგრძელოს დალევაც შეიძლება, — ლიგიტამ თავისი ჭიქა დაცალა. ჩანთიდან
სიგარეტები და სანთებელა ამოიღო და გააბოლა. მერე ლეიკანის საზურგეზე გადაწვა და მი-
რიდან ბოლის ვიწრო ზოლი ამოუშვა. — რა უჩვეულო დღეა! გულწრფელად რომ ითქვას,
აღარ ვიცი, სად ვიმყოფები, სტუმრად თუ შინ.
— შენი სამშობლო აქ არის!
— სამშობლო... — გაიმეორა ლიგიტამ. — კარგად ჟღერს... ის მაინც ვიცოდე, ჩემი დიდ-
მამის სამარე სად არის. რა გულუბრყვილო ვყოფილვარ, რომ ჰაეროვან კოშკებს ვაგებდი,
ვფიქრობდი, აქ მანანების თაიგული მომელის-მეთქი... ერთი მითხარი, რა არის სამშობლო?
კრისტაპი დიდხანს ფიქრობდა. მძიმე წუთებში მუდამ იმ სიკეთეს იხსენებდა, რაც მის-
თვის სამშობლოს ებოძებინა. მისთვის სამშობლო უკვდავების წყაროს წარმოადგენდა. მას,
მოქანდაკე კრისტაპ ებოლტინს, ჰქონდა მთელი ქვეყნისათვის სათქმელი, იმიტომ, რომ ის
ყოველდღიურად ეწაფებოდა ამ წყაროს.
ალბათ ლიგიტა აქ სხვებივით ვერ იცხოვრებდა, ვერ გაიხარებდა იმით, ჩემიანებთან ვარო.
ან რა უნდა გაეკეთებინა აქ? იმ ამანათებით ხომ ვერ იცხოვრებდა, ყოფილი ქმარი რომ გა-
მოუგზავნიდა?
— სამშობლო ის არის, რასაც მამაჩემმა სიცოცხლე შესწირა, — მიუგო ბოლოს კრის-
ტაპმა, — რაღაც იმის მსგავსი, რისთვისაც შეგეძლო შენი გეწოდებინა, რომ გაიგო — იგი
მხოლოდ წარსულში კი არა, მომავალშიც არსებობს.
— ეს რაო, გაგრძელება? — ლიგიტამ ნაძალადევად გაიღიმა, მაგრამ თვალებზე ცრემ-
ლები უბრწყინავდა. — გვიანღაა, კრისტაპ. იმ დღეებში, როცა რადიოთი მეძახდი, შენი ხმა
ვერ გავიგონე. ახლა კი... შენს გარდა აქ მე არავინ მყავს.
— ისიც კი არ ვიცი, როგორ დაგეხმარო...
— ჩემი მხოლოდ შებრალება შეიძლება, — ლიგიტამ ცრემლები მოიწმინდა. — და მაინც
იმაზე უფრო მდიდარი ვიქნები, აქ ჩამოსვლამდე რომ ვიყავი. ბოლოს და ბოლოს მარტოობის
ჟამს მოსაგონარი მაინც მექნება... ესეც სამშობლოს ნაწილია...
— შეიძლება მართალი იყო, — ყოყმანით დაეთანხმა კრისტაპი.
— თუ ძალიან გამიჭირდა, თვითმფრინავში ჩავჯდები და ერთ საათში თქვენთან გავჩნდე-
ბი. ხომ მართალია, კრისტაპ?
კრისტაპმა ჯიბეში მარგალიტის ძეწკვი მოიძია და ლიგიტას დაუბრუნა.
— შენ გქონდეს ან ქალიშვილს აჩუქე. მე სუვენირებს არ ვაგროვებ. — ამ სიტყვებში
მწარე ნაღველი ჟღერდა და არა ბრალდება. — ახლა კი წასვლის დროა. ისედაც ძალიან და-
ვიგვიანეთ.

* *

კრისტაპის სახელოსნო ისე შეცვლილიყო, ვერც კი იცნობდით. სამშვენებლო ხარაჩო
ქანდაკებისკენ მიეწიათ, საუზმიანი თეფშები ფიცრებზე ჩაემწკრივებინათ. გახარებული, წითურ-
ლოყებიანი აუსმა პირველ სტუმრებს — კალნინსა და მოხუც მოქანდაკეს შეეგება.
— ჯერ თავისი ფარნები მოამზადოს ეკრანთან, — მრისხანედ შეუძახა აუსმას და პროექ-
ტორზე ანიშნა. — წინააღმდეგ შემთხვევაში წვეთსაც არ დავლევ.
— მე ხომ თან აპარატი არა მაქვს, — კალნინი ცდილობდა დაემშვიდებინა მოხუცი.
— სულ ერთია! ერთხელ დახურული კამერა დამიდგა და სასაცილოდ მაქცია, მთელი
კვირა ვერ გამოვჩნდი აკადემიაში.
— პატიოსან სიტყვას გაძლევთ! — შეჰფიცა კალნინმა.
— მაშინ სულ ჩვენს გვერდით იჯექით, — დაუთმო ბერიკაცმა და როგორც იქნა, ჭიქა მო-
იყუდა.
აუსმამ კარი გააღო და სახელოსნოში ილზე და პეტერისი შემოვიდნენ.
— ინანებ, რომ დაგვპატიჟე! — იძახდა პეტერისი. — დაუგავაში ბანაობის შემდეგ მგლის
მადა მომდგა.
— მეშინია, ახლავე არ გადაიფუჭო მადა, — უთხრა აუსმამ. — შენმა ასისტენტმა დარეკა...
— რაო, დარეკა? — პეტერისი გასასვლელისკენ მიტრიალდა. — ბუტერბროდი მაინც მო-
მეცი, გზაში შევჭამ, — სთხოვა აუსმას.
— ისევ მთელ ღამეს დარჩები ლაბორატორიაში? — შეწუხდა ილზე. — ნუთუ გადადება არ
შეიძლებოდა?
— მაშინ ის არ დარეკავდა.
კარებში პეტერისმა ლიგიტასა და კრისტაპს აუარა გვერდი. კალნინმა ახალმოსულნი შე-
ამჩნია, და უნდოდა მათ შეუმჩნევლად წამომდგარიყო, მაგრამ პროფესორმა მაგრად ჩასჭი-
და ხელი სახელოში:
— სად, ძვირფასო!
რაკი დარწმუნდა, ჩემი ეჭვი უსაფუძვლოაო, მშვიდობიანად შეუშვა ხელი.
— მოგესალმებით, ქალბატონო ლიგიტავ!.. ცხადია, თქვენ ვოლდემარ გეხსომებათ.
ლიგიტამ სიხარულით დაუქნია თავი.
— მე არავინ მიჯერებდა, — განაგრძობდა კალნინი, — მაგრამ სულ გავიძახოდი, არ შეიძ-
ლება, ის გოგო გაქრეს-მეთქი.
— ძველი ანდაზისა არ იყოს: „სარეველა ბალახი ყველგან ხარობს“, — გაიცინა ლიგი-
ტამ.

— როგორ შეიძლება! თქვენ ყვავილობაში შესული ქალი ხართ.

— გმადლობთ ქათინაურისთვის! მეც მსიამოვნებს, რომ ცოცხალსა და საღსალამათს გხედავთ. გარდა ამისა, რაღაც უნდა გაჩვენოთ. — ლიგიტამ ხელი ჩანთისკენ გაიწვდინა.

— კარგი ამბავი დაუყოვნებლივ ვრცელდება. მე უკვე გავიგე.

— არ გნებავთ საკუთარი თვალით იხილოთ?

— დაგვაგვიანდით, — ხელი ჩაიქნია კალნინშმა. — მარგალიტის თვლები შეიძლება ყალბიც იყოს. ყველაზე საიმედოა, ხალხის გჯეროდეს. — რაკი შეამჩნია, რომ ლიგიტას სახეზე ფერი გაუკრთა, საუბრის თემა შეცვალა: — გნებავთ, ჩვენს უხუცეს მოქანდაკეს გაგაცნობთ?

— დიახ, მაგრამ ბიჭი სად გაიქცა?

— ბოდიში მოგიხადით, — მასთან ილზე მივიდა. — ხომ მოგეხსენებათ, მამაკაცებისთვის მთავარია საქმე.

— სამწუხაროდ ასეა...

სანამ ლიგიტა კალნინსა და ილზეს ესაუბრებოდა, კრისტაპმა თავის მასწავლებელს მიესალმა და ვისკი იმ ბოთლიდან დაუსხა, თვითონ რომ მოიტანა.

— ხაჭუილი რახია, მაგრამ მაინც მაგარია, — თქვა ბრუვერისმა და დაიჭყანა. — მგონი ხალხში გამოგიყვანე. — მან თვალი მოავლო პლაკატს, პროჟექტორს, ლიგიტას, კალნინს. — მაგრამ ადამიანად დარჩები თუ არა, ეს მხოლოდ შენზეა დამოკიდებული.

აუსმამ ოსტატს ბუტერბროდიანი თეფში მიართვა და კრისტაპს გაუღიმა.

— ალბათ ყავა გინდა, ახლავე...

— მე თვითონ.

სახელოსნოს კუთხეში გამართულ იმპროვიზირებულ სამზარეულოში კრისტაპმა აუსმას მხრებზე მოხვია ხელი და წყნარად უთხრა:

— დღეს შენთვის მძიმე დღე იყო. მე კი არ მეცალა, რომ დაგხმარებოდი.

— ყველაფერი კარგადაა, — წასჩურჩულა აუსმამ და ხელი ლოყაზე მოუსვა. — მთავარია, რომ ბოლოს და ბოლოს ქვა შინა გვაქვს.., ახლა კი მოხუცისკენ მიტრიალდი, თორემ ხელს ისე გიქნევს, შეიძლება იღრძის.

— ჯერ კიდევ დღისით შევამჩნიე, რომ მოიტანათ, — ხმაურობდა ავგუსტ ბრუვერისი. — ცრუმორწმუნე არ გახლავართ, მაგრამ, ჩემი აზრით, ზედმეტი არ იქნებოდა..

კრისტაპმა ორი ჭიქა შეავსო და მოხუცთან ერთად ეზოში გავიდა, სადაც მთვარის შუქზე უზარმაზარი ლოდი ბრიალებდა.

— შენი ახალი ნამუშევრის სადღეგრძელო იყოს! „მფრინველთა" სადღეგრძელო! — თქვა ბრუვერისმა და ჭიქა ლოდს მიუჭახუნა. — რეკავს! — ამბობდა კმაყოფილი. განათებულ ფანჯარაში „გოგონას" ფიგურის წინ მდგომი ლიგიტა და ილზე დაინახა და შენიშნა: — შენი ვარიაცია ამ თემაზე ცუდი არ არის, მსგავსება კარგად გამოგიჭერია.

— ეს მსგავსება გარეგნულია, მეხსიერებით აღდგენილი. ხასიათი კი... ჩემს გამოფენაზე „მანაკელი გოგონა" არ იქნება! — წყნარად უთხრა კრისტაპმა.

— ასე უცებ რატომ შეატრიალე? ვალდებული ხარ, ასე ვთქვათ, შთაგონების წყარო გამოფინო.

— არ შემიძლია! მე მაშინ არ ვტყუოდი: გოგონა, ვისთვისაც ძეგლი მინდოდა დამედგა, მკვდარია. ეს კი, — ფიქრიანად თქვა კრისტაპმა, ლიგიტას რომ მისჩერებოდა, — უბედური ადამიანია. უცხოელი ტურისტი. დღეს ჩამოვიდა, ხვალ კი მის ნაკვალევსაც ვერ იხილავ.

□

# გრიგორი გორინი

## მე რექსი ვარ

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოთხრობა

რუსულიდან თარგმნა ჯილდა გორდაძემ

1

მე რექსი ვარ, რექსი, წლინახევრისა, ოთხმოცდაათი სანტიმეტრი სიმაღლის. ბეწვი ღია ფერის მაქვს, თვალებიც, დრუნჩი წაგრძელებული. გვერდებსა და ზურგზე პატარ-პატარა ფორეჯები მაყრია. ინტელიგენტური დრუნჩი გაქვსო, მეუბნება ჩემი პატრონი, პენსნე რომ გაგიკეთო, ვინმეს მეცნიერების კანდიდატი ეგონებიო.

დავდივარ დინჯად, ცოტა არ იყოს მედიდურადაც. ხტუნვა და წრიალი არ მიყვარს. ამას ამპარტავნობაში ნუ ჩამომართმევთ. აბა ეზოს ძაღლივით ხომ არ ვიძუნძულებ.

მე რექსი ვარ, ძარღვებში ნაგაზის წმინდა სისხლი მიდუღს. ჩემი წინაპრების სისხლი უჯიშო ძაღლებს ჩვენი გვარი არასოდეს არ წაუბილწავს.

პაპაჩემი საზღვარზე მსახურობდა. კვალის დევნისას სადღაც მთებში ზვავმა ჩაიტანა.

მისი პირმშო, ანუ მამაჩემი ქალაქში რომელიღაც საწყობის დარაჯი გახლდათ. იგი ამხყართული, ლამაზი ნაგაზი იყო, ყურებდაცქვეტილი, კუდზუთქუნა. ალბათ ამ თვისებებმა და კიდევ მამაჩემის თანამდებობამ თუ მოხიბლა დედაჩემი, რომ სამი ლეკვი დაუყარა.

ორი ლეკვი დაიკარგა, მე კი ჩემმა პატრონმა წამომიყვანა. იგი მაღალი, ხმელ-ხმელი კაცი გახლდათ, შავი ხუჭუჭა თმა და შავი თვალები ჰქონდა. ამ ქვეყანას მრგვალი სათვალით გასცქეროდა.

მართალი გითხრათ, არც კი ვიცი, რად უნდოდა ამ კაცს ძაღლი. საქმე არაფერი მქონდა. ვცხოვრობდი მის ჭერქვეშ, ვჭამდი მის ლუკმას და მეძინა პატარა, ვიწრო ოთახში; კვირაობით დავყავდი ძაღლების მოედანზე, სადაც გვასწავლიდნენ ზღუდეზე ხტომას, „გვერდზე" გაყოლას, გადაგდებული ჯოხის მოტანას, უბრალო ბრძანებების შესრულებას, ერთი სიტყვით, არცთუ ისე ძნელ ძაღლურ სიბრძნეს. სხვათა შორის, ამ მოედანზე გავიცანი ჩემი პირველი სიყვარული — მაღალ, გამხდარ, საოცრად ლამაზსა და საოცრად ჩერჩეტ ძუკნა დინკას, ყველაფერზე რომ კბილებს კრეჭდა. მესამე შეხვედრაზე უკვე თავი მომაბეზრა. გავუბედავდი თუ არა საუბარს, მაშინვე მანჭვა-გრეხვას მოჰყვებოდა, კეკლუცად მიღრენდა, ნაზად მკბენდა ყურზე და მყის ზურგს მიშვერდა... რა პირუტყვობაა!

მართალი გითხრათ, ასეთი სიყვარული არც შემიძლია და არცა მსურს.

თუმცა არ ღირს ამაზე ლაპარაკი. სხვა რამ მინდა გიამბოთ, უფრო სწორად, ჩემი ხანმოკლე ცხოვრების ამბავი მოგიყვეთ. ის ბევრად უფრო გაგიტაცებთ, ვიდრე ჩემი და დინკას სიყვარული...

2.

ეს ამბავი მერე გადამხდა თავს, რაც ჩემმა პატრონმა გამყიდა. გამყიდა ისე, როგორც იყიდება ხოლმე ძაღლი — ოცდახუთ მანეთად. ძალიან უნდოდა ოცდაათ მანეთად გავეყიდე, მაგრამ მუშტარი გაუჯიუტდა და ოცზე მეტი არ შეაძლია. ერთი სიტყვით, იმდენი ივაჭრეს, თავი მომაბეზრეს... კართან, ხალიჩაზე ვიწექი. დრუნჩი თათებში მედო და გულგრილად ვუსმენდი მათ საუბარს.

— გამიგეთ, ბატონო ალექსი, — ეუბნებოდა ჩემი პატრონი, — საბინაო კოოპერატივში რომ არ შევდიოდე და უფულოდ არ ვიყო, რექსს ვერა და ვერ შევეელეოდი, ეს ჭკვიან-სინდისიერად და ერთგულად მემსახურება... სინდისი შემაწუხებს, ოცდაათ მანეთზე წლები რომ გამოვცვალოთ.

— არაფრით არ შემიძლია, ბატონო ჩემო, — უწკიცებდა მუშტარი, — რა ამბავია ოცდაათი მანეთი... ძალზე ძვირია... უკაცრავად და ოცდაათ მანეთად ახალ საზღვარგარეთულ ფეხსაცმელს იყიდის კაცი.

— როგორ გეკადრებათ, ამას რომ ამბობთ! — აღშფოთდა ჩემი პატრონი, — სად ძაღლი და სად ფეხსაცმელი! ის ნივთია!.. ეს კი ცოცხალი არსება...

— საქმეც ეგაა, — ბურტყუნებდა მუშტარი, — ცოცხალ არსებას გამძლეობა ვინ მისცა... ფეხსაცმელს ხანდახან ხუთ წელიწადსაც ატარებ კაცი, ძაღლი კი იქნებ გადატრიალდეს და ხვალვე გაფშიკოს ფეხები.

ბოლოს და ბოლოს ოცდახუთ მანეთზე მორიგდნენ. პატრონმა ბუფეტიდან არყის ბოთლი გამოიღო. გადაკრეს. მთლად კარგად არ მესმოდა, რა ხდებოდა, ოღონდაც ეს ამბავი რატომღაც არ მსიამოვნებდა. არც ის მომწონდა, ჩემი პატრონი რომ მუშტარს ეპირფერებოდა, არც მუშტარი მომდიოდა თვალში. ერთი ტლანქი სახეშეშუპებული კაცი იყო, მრგვალი თვალები და დიდი მსუქანი ტუჩები ჰქონდა. პირწავარდნილი ბულდოგი გახლდათ — ეს მოდგმა კი ჭირის დღესავით მეჯავრება. არც ის მეჭაშნიკა, არაყს რომ სვამდნენ. ეს გამჭვირვალე სითხე მუდამ წონასწორობას მაკარგვინებს. სპირტის მძაფრი სუნი ცხვირში მეცემა ხოლმე და მაბრუებს. ახლაც მგონია, ტვინზე თითქოს ბინდი გადამეკრა, ლამისაა ყმუილი დავიწყო.

სურა რომ გამოცალეს, პატრონი მომიახლოვდა, კისერზე ხელი მომითათუნა, მერე უცნობთან მიმიყვანა და ჩუმად მითხრა:

— რექს, ეს ჩვენი კაცია!

დავყნოსე. ამ კაცს მიწისა და არყის სუნი ასდიოდა. მისი ჩექმები კი ნაკელით ჰყარდა. ჩუმად დავიღრინე.

— ჩვენი კაცია! — გაიმეორა პატრონმა, — გესმის, ჩვენი-მეთქი!

— ღრინავს ეგ ოხერი! — მხიარულად თქვა უცნობმა.

მერე მაგიდიდან ძეხვის ნაჭერი აიღო და გამომიწოდა:

— აბა, ჭამე, ბოლკან!

გაკვირვებით ავხედე. ჯერ ერთი, რად თავხედობს და სხვის ძაღლს რად აჭმევს, მეორეც, მე, ჭკვიან ძაღლს, ბოლკანს როგორ მეძახის და შეურაცხყოფას როგორ მაყენებს მეთქი...

— მე ამას ბოლკანს დავარქმევ, — თითქოს ფიქრს მიმიხვდაო, თქვა უცნობმა, — ჩვენს გვარში ყველა ბოლკანს არქმევდა ძაღლს. პაპაჩემს ბოლკანი ჰყავდა, მამაჩემს ბოლკანი ჰყავდა და მეც ბოლკანი მეყოლება... ესეც ერთგვარი ტრადიციაა... — გაიცინა მან.

— მიმაფურთხებია ეგეთი ტრადიციებისათვის, — წავიღრინე ჩემთვის, — მე რექსი გახლავარ!

— როგორ იღრინება ეგ სამგლე, ეგა, — თქვა უცნობმა, — არა უშავს რა, შემეჩვევა...

პატრონს შევხედე. მზერას არიდებდა მაგიდიდან და თითქოს ვერც მამჩნევდა. როგორც იქნა, კარადა დახურა. მერე მომიახლოვდა, ყურები მომფხანა და უცებ ალიკაპი ჩამომაცვა. სეირნობისას ყოველთვის ალიკაპს მიკეთებდა. ეს არც მაწუხებდა, რადგანაც ლამაზი ალიკაპი, თანაც, ძალიან მშვენოდა.

მერე პატრონმა საყელურს თასმა გამოაბა და მისი ბოლო უცნობს გაუწოდა.

— აბა, ბატონო ალექსი, წაიყვანეთ, — უთხრა ოხვრით.

ახლადა მივხვდი, რაც ხდებოდა. დავიღრინე და თავი გავაქნიე.

მაშ ასე, ხომ?! მაშ თავდადებული სამსახური, სიყვარული, ერთგულება ასე დამიფასეს! მაშ ეს ყველაფერი ოცდახუთი მანეთი ღირს, მეტი არა?!

ისეთი ძალით გავიქაჩე, უცნობი არ მოელოდა და თასმას უცებ ხელი უშვა.

პატრონს ვეცი, აფორიაქებულმა ფეხებზე მივეალერსე. ასე მეგონა, ჯერ კიდევ არ იყო გვიან, კიდევ შეიძლებოდა საქმის შეტრიალება.

„დაუბრუნე ფული, ჩემო პატრონო! — ვემუდარებოდი გუნებაში, — დაუბრუნე ეგ თის-ფერი დაჭმუჭნილი ქაღალდი! ეს რა მოგსვლია აზრად? რა შესაქმეა ამ აყროლებულ არ-

სებასთან? თუ მაგისი გეშინია, მე გამოგექომაგები. აბა, მომაშორე ალიკაპი და ნახავ, რასაც ვუზამ მაგ ჩექმებიან ბულდოგს..."

მაგრამ პატრონმა ვერაფერი გაიგო. ერთი დამიბღვირა, მერე აიღო თასმა და ზურგზე ოდნავ გადამიჭირა.

შევკრთი. კი არ მეტკინა, მეწყინა. ახლაღა მივხვდი, რომ საქმეს ვეღარაფერს ვუშველიდი, ხოლო ხვეწნა-მუდარა ან კიდევ ცოფების ყრა სისულელე იქნებოდა.

თავი ჩავღუნე და სულერთიანად მოვკუშვი. უცნობმა თასმა ჩაბღუჯა და კარისაკენ გამწია.

— ეე, ჯანდაბას თქვენი თავი, — დავიღრინე, — გამყიდეთ ხომ... ჩემთვის სულ ერთია!

კარებში შევჩერდი, მოვბრუნდი, უცნობმა მაგრად მოქაჩა თასმა. არც გავნძრეულვარ, პატრონს შევცქეროდი. ისიც მიყურებდა. ჩვენი თვალები ერთმანეთს რომ შეხვდნენ, უცებ აფუსფუსდა, სათვალე გაისწორა, მერე უხერხულად დამიქნია ხელი.

შემრცხვა მისი და ჩემი თავისაც.

— ვაი, სირცხვილო! — ერთი კი ამოვიღრინე და კარში გამოვვარდი.

3.

ახალმა პატრონმა ტაქსში ჩამსვა, დიდხანს მივდიოდით სადღაც. პატრონი მძღოლს უჯდა გვერდით, მე უკან ვიჯექი. ფანჯარაში ვიცქირებოდი და ხანდახან ყრუდ ვიღრინებოდი. ბოლომა მახრჩობდა. მაღიზიანებდა ეს ჩახუთული მანქანა, ოღროჩოღრო გზებზე რომ მიმაჯანჯღარებდა, ეს ჩემი ლამაზი ალიკაპიც. მისი წყალობით ვერც ფართოდ დამეღო პირი და ვერც ენა გამომეყო, რომ მწარედ ამომეოხრა. როგორც იქნა მივედით. პატრონმა მანქანის კარი გამოაღო და თავისკენ გამქაჩა. ზანტად გადმოველ და მიმოვიხედე.

უმალ მივხვდი, სადღაც ქალაქგარეთ ვიყავ, ისეთი სუფთა და სურნელოვანი ჰაერი იყო. ირგვლივ ბალახის, ყვავილებისა და რძის სუნი ტრიალებდა. ჩემ გარშემო, მარჯვნივ და მარცხნივ, მესრებით შემოღობილი ეზოები და დაბალი ხის სახლები ჩანდა შავად. პატრონმა ერთ-ერთ მესერთან მიმიყვანა, ჭიშკარი გამოაღო და ბაღის ვიწრო ბილიკზე გამატარა. ბილიკის აქეთ-იქით წითელი ყვავილები ხარობდა.

პარმაღზე დაბალი, ფაშფაშა ქალი შემოგვეგება. ჭრელაჭრულა ულაზათო სარაფანი ეცვა. ეტყობა, ჩემი ახალი პატრონის ცოლი იყო. შემათვალიერა და მკაცრად ჰკითხა ქმარს:

— ალექსეი, ძაღლში რა მიეცი?

— ოცდახუთი მანეთი, — მოუჭრა პატრონმა.

— ძვირია, — გული მოუვიდა დიასახლისს. მერე დაიხარა და ყურების მოფხანა დამიპირა. დავიღრინე. ხელი გასწია და მოწონებით თქვა:

— ავია ეს ოხერი.

ამ დროს ზღურბლზე ჭაბუკი გამოჩნდა, მოთეთრო პერანგიანი. უმალ მივხვდი, პატრონის ვაჟიშვილი იქნებოდა. მამასავით მრგვალი პირისახე და მსხვილი ტუჩები ჰქონდა, მაგრამ ბულდოგს უფრო ნაკლებ ჰგავდა.

— ოჰ, ჩამოიყვანე, მამი? — გაუხარდა ჭაბუკს და დამხედა თუ არა, მაშინვე იკითხა:

— ძუკნაა თუ ხვადი?

— ხვადია! — თავმომწონედ უთხრა დიასახლისმა.

გამეცინა.

— ავია? — იკითხა ვაჟიშვილმა.

— ავი უნდა იყოს, — უპასუხა პატრონმა.

— ძვირი მიეცი?

— ოცდახუთი.

მომწყინდა. თასმა მოვქაჩე.

— ჰო, ჰო, ახლავე წაგიყვან, — მითხრა პატრონმა და სადღაც ბაღის სიღრმეში წამიყვანა.

იქ ხულა იდგა, ჩვეულებრივი, ძველი ყაიდის ხულა. მის თავზე მსხვილი მავთული გაებათ, ზედ კი ჯაჭვი მიემაგრებინათ. პატრონმა ამ ჯაჭვს თასმით მიმაბა, მერე ალიკაპი მომხსნა და გულკეთილად მითხრა:

— აბა, ინავარდე, პოლკან!

ნავარდობის გუნებაზე სულაც არ გახლდით, ჯერ ერთი, ვერა და ვერ მომენელებინა, ჩემმა ძველმა პატრონმა როგორ გამყიდა-მეთქი. თანაც ჯაჭვზე გამობმულს ნეტა როგორ უნდა მენავარდა!

შევყავ თუ არა თავი ჩემს ბინაში, ძირს დაგებულ ჩალაზე მივეგდე და თვალები დავხუჭე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

4.

დაღამებამდე არ გამოვსულვარ ხულადან. დიასახლისმა ჯამით სალაფავი მომიტანა, თუმცა ღმერთმა იცის, შიგ რა უბედურება ესხა. პირიც არ დამიკარებია. გულმოსულმა შიმშილობა გამოვაცხადე.

პატრონმა გვიან საღამოს მომაკითხა, თითი დამიქნია, მოდით. არ გავნძრეულვარ.

— ნუ დარდობ, პოლკან, — მითხრა პატრონმა, — შეეჩვევი! მე შენ, ძმაო, ადამიანად გაქცევ.

არც გამიცინებია ამ ხუმრობაზე.

პატრონი წავიდა. ჩამოღამდა. ხულადან ვხედავდი, როგორ მიცურავდა მთვარე ვარსკვლავებით მოჭედილ ცაზე. ეს გალეული ნაჭერი მთვარე გამოხრულ ძვალს მივამგვანე და ჭამის საღერღელი ამეშალა. მაგრამ დილამდე შიმშილობა მქონდა გადაწყვეტილი და არც მიფიქრია ამ განზრახვაზე ხელი ამეღო.

დიდხანს წოლით ფეხები დამიბუჟდა. ვიფიქრე, ცოტათი წელში გავიშლები-მეთქი, გამოვძვერი ხულადან და ბაღს ავუყევი.

უკან ჯაჭვი მომთრეოდა და მისი სამგლოვიარო ჟღარუნი გულს მიწუხებდა.

მესერთან შევჩერდი; ფრთხილად გავყავი დრუნჩი ფიცრებს შუა. მესრის გადაღმა ბრაზიანი ღრენა გაისმა და უზარმაზარი, ბანჯგვლიანი ძაღლი გადმომიხტა. არც ვიცი, რა ჯიშისა ბრძანდებოდა.

არ შევშინებია. მხოლოდ გვერდზე გავდექი და თავაზიანად მივესალმე:

— საღამო მშვიდობისა-მეთქი!

— არ მომიახლოვდე! დაგღრრ-ნი! — დამიღრინა პასუხად.

— რას ღრინდებით? — გავიკვირვე მე, — მგონი, არა დამიშავებია რა თქვენთვის.

— უსაქმურო! წურბელავ! — ფრუტუნებდა და იფურთხებოდა იგი, — რატომ არ დარაჯობ? რატომ არ იღრინები?

— რად უნდა ვიღრრინო? — გამოვეჯავრე მე.

— ასეა წესი!

— იცი, რას გეტყვი, ჩემო კარგო? ჩერჩეტი ყოფილხარ და მეტი არაფერი, — მივახალე და მოვშორდი.

ერთი გემრიელი ძაღლური გინება დამადევნა.

კვლავ ჩავუარე ბაღს. ამ ბოროტმა ძაღლმა მთლად მომიშხამა გუნება. ერთი კი გავიფიქრე: მოდი, გემოზე მივბერტყავ-მეთქი, მერე გადავწყვიტე, რომ ასეთ ტუტუცთან თავის გაკადრება არც ღირდა. მოპირდაპირე მხარეს ჩუმად ჟღარუნდა ჯაჭვი, ვიგრძენი, ვიღაც მიუახლოვდა მესერს, შევდექი და სიბნელეს მივაშტერდი.

მესრის ღრიჭოებში უზარმაზარი, გრძელყურა ნაგაზი დავინახე.

— გაიმარჯობათ, — წაიჩურჩულა ნაგაზმა. — მე პირატი ვარ. მგონი, მე და თქვენ ერთი ჯიშისა უნდა ვიყოთ. სასიამოვნო იქნებოდა გავცნობოდით.

— რექსი გახლავართ! — წარვუდგინე ჩემი თავი.

— მაგ ჩერჩეტ შარიკთან თქვენს საუბარს მოვკარი ყური, — განაგრძო პირატმა. — ყურადღებას ნუ მიაქცევთ. ტვინი აქვს გათხელებული მაგ საცოდავს!

— ასეც ვფიქრობ, — ვუპასუხე მე.

მერე ვკითხე:

— დიდი ხანია აქა ხართ?

— სამ წელზე მეტია, — ნაღვლიანად მიპასუხა პირატმა, — სამი წელია ერთგულად ვემსახურები კერძო მესაკუთრეს.

— კერძო მესაკუთრე რაღაა? — ვკითხე გაკვირვებით.

— მესაკუთრე მეპატრონეს ნიშნავს, — ამიხსნა პირატმა. — მესაკუთრეა ჩვენი პატრონიც.

მესაკუთრეა ის, ვინც წამოჭიმა საკუთარი ორსართულიანი ხულა, ბაღი შემოუშენა და მესრით შემოღობა თავისი ვაშლი და ქლიავი. ჩვენ ამ დიდი ხულის დამატებანი ვართ. ქუჩაში სასეირნოდ რომ წაგიყვანენ, ყურადღება მიაქციეთ, ჭიშკარზე გაკრულ აბრებს რა აწერია: „ფრთხილად! ეზოში ავი ძაღლია!“.

— იქნებ არა ვარ ავი... — ჩავილაპარაკე მე.

— ნუ გეშინია, პატრონი გაგაავებს. პატრონთან რომ მოვხვდი, მეც მხიარული, უზრუნველი ძაღლი ვიყავი. მხოლოდ კატებს ვუყეფდი. მაგრამ ავი გამხადეს. ყოველ წვრილმანზე ვიყეფები. ყოველი გამვლელი მძარცველი მგონია. მერწმუნეთ, ძალზე მრცხვენია, მაგრამ რა ვქნა?.. ხომ გაგიგონიათ, ხარი ხართან დააბი, ან ფერს იცვლის ან ზნესაო.

— მაშ, საშიში პატრონი გყოლიათ?

— სულაც არა! პირიქით, ინტელიგენტიც კია... რამდენადაც ვიცი, რომელიღაც ინსტიტუტის დოცენტია. კეთილი და უანგარო კაცია. მაგრამ როგორც კი აქ ჩამოვა და თავის მწვანეზოლიან პიჟამოს გადაიცვამს, ვეღარ იცნობ. ერთი მჟავე ვაშლისთვის მოყვასს ყელს გამოღადრავს... ჩემი ამბავი რაღა გასაკვირია.

— ჩემს პატრონზე რას მეტყვით? — შევეკითხე მე.

— დიდი უქმური ვინმეა, — მითხრა პირატმა, — როგორც ამბობენ, მაგის საქმეებისას კაცი ვერაფერს გაიგებს. სადღაც, ოდესღაც რაღაცაზე მუშაობდა... ახლა მებაღეობას მისდევს.. ძვირფას ფლოქსიებსა და გეორგინებს აჯანებს. თუ ხელში მოგიგდო, ვერ დაუსხლტები. შემჩნიეთ როგორი ჰყავს ბოლოთია? ვერც ერთი ბულდოგი ვერ მოვა მაგასთან. სულ მალე მთლიად ჩავიკლავთ ძაღლურ ჰუმანიზმს...

— ეგ არასოდეს არ მოხდება! — განვაცხადე მტკიცედ, — გესმით? არასოდეს.

— აბა, აბა, — გაეცინა პირატს, — მაგასაც ვნახავთ.

მითხრა და ჯაჭვის ჟღარუნით გამშორდა.

5.

დღე დღეს მისდევდა ამ ჩემს ახალ ყოფაში და ერთი ძაღლის ლეკვებივით ჰგავდა ერთმანეთს.

ვისაუზმებდი და მერე ბაღში ვსეირნობდი; ვისადილებდი და ისევ ბაღში ვსეირნობდი, ვისამხრებდი — და კვლავ ბაღში დავსეირნობდი...

ცუდად არ მაჭმევდნენ, თუმცა არც ნაირ-ნაირი საჭმელებით მანებივრებდნენ.

ქუჩაში სასეირნოდ ჯერჯერობით არ გავუყვანივარ. ერთი სიტყვით, პატრონები მაინცდამაინც დიდ ყურადღებას არ მაქცევდნენ. დილიდან საღამომდე ბაღში საქმიანობდნენ: რაღაცას თხრიდნენ, ღუთავდნენ, თესდნენ. ზოგჯერ ყვავილებს კრეფდნენ და კალათებში აწყობდნენ; მერე დასახლების სადღაც მიჰქონდათ ეს კალათები და საღამოს ცარიელი ბრუნდებოდნენ.

მოწყენილობისაგან ლამის ქვაზე მიხალა თავი. მუქთახორა არასოდეს ვყოფილვარ და ლუკმა-პურიც ყოველთვის შრომით მიშოვნია. ამასობაში თითქოს მიეეჩვიე პატრონსა და მის ოჯახს. მათი გამოჩენისას ზოგჯერ კუდსაც კი ვაქიცინებდი.

მაგრამ ისინი მკაცრი ადამიანები იყვნენ და საპასუხოდ ალერსს ადვილად არ იმეტებდნენ.

მეშვიდე დღეს აი რა მოხდა: პატრონმა ხულისთან სამი კარგა მოზრდილი ხორცის ნაჭერით სავსე ჯამი დამიდგა.

— ჭამე, პოლკან! — მითხრა მან.

ასეთი ნუგბარით აქამდე არ განუნებივრებივარ, ამიტომ ყურები ცქვიტე. ხორცი თავბრუდამხვევ სურნელებას აფრქვევდა; რატომღაც მიახლოვებისა მეშინოდა.

— ჭამე, სულელო! — კეთილად გამიმეორა პატრონმა და ჯამი ახლოს მომიჩოჩა.

სიფრთხილეს თავი არა სტკივაო, ნათქვამია, მაგრამ მეც ხომ ცოცხალი არსება ვარ. ისეთი სურნელოვანი ხორცი იყო, სულმა წამძლია. ნაზად შევახე ტუჩი თუ არა, ღოჯები თავისთავად ჩაესო ცვრიანი წითელი ხორცის რბილ ნაჭერში.

უცებ რაღაც ჰაჩუნი გაისმა და ვიღაც უცნაური, დიდხრეწილქურქიანი არსება ჩემკენ წამოვიდა. ყურებიანი ქუდი თვალებზე ჩამოეფხატა, ფეხებზე რეზინის ჩექმები ეცვა.

— უცხოა! — დაიყვირა პატრონმა. — ეცი, პოლკან, უცხოა!

პირიდან ხორცი გავაგდე და შევდრინე.

— ეცი! — კვლავ დამიყვირა პატრონმა, — დაგლიჯე!

— ნუ მასწავლი! — ჩავიბურტყუნე. — დამაცა, ახლოს მოვიდეს...

უცნობმა კიდევ რამდენიმე ბიჯი გადმოდგა ჩემკენ და ხელი მომიქნია.

იმავ წამს ვისკუპე.

ასეთ დროს კამარა უნდა გააკეთო. ჯერ უკან თათებზე ჩაჯდე, [illegible] ჰაერში იფარდე, მთელი სხეული ლარივით დაჭიმო, — ერ-რთი და დაბამბულ ჯუბას ჩაეფრინდი.

უცნობი ამას არ მოელოდა და უკან გახტა, მაგრამ ტოტს წამოედო და მიწაზე გაიშხლართა.

აბა ახლა კი ყრონტში უნდა ვეცე! სწრაფად!

უცნობმა შემაზრზენად დაიბღავლა. მაშინღა დავუნახე სახე და ვიცანი... თურმე პატრონის ვაჟი გახლდათ.

უმალ გაჩვე გავხტი, სხეული მოშიდუნდა. ქოშინისაგან ენა გამომივარდა.

სიბრაზემ და დაძაბულობამ გამიარა; სიცილ-ტირილი მომინდა.

პატრონის ვაჟი მიწიდან წამოდგა და უკან დაიხია. ხელები უკანკალებდა.

— ლამის არ გამგლიჯა მაგ ოხერმა, — ჩაილაპარაკა ნირწამხდარმა ათრთოლებული ხმით, — ამისთანა წვრთნისაც რა ვუთხარი...

— არა უშავს რა, — თქვა პატრონმა, — მაშასადამე, სიავე ჰქონია. კარგია, კარგი. აბა ახლა ისევ სცადე ხორცი წაართვა...

გაკვირვებულმა ავწიე თავი. ნეტა ამათ მართლა ჩერჩეტი ხომ არა ვგონივარ?

ნელა-ნელა წავედი ხულასკენ.

— უცხოა, პოლკან! — დამიყვირა პატრონმა. — ეცი!

— ვიცი, რა უცხოც ბრძანდება, — ჩავიბურტყუნე ჩემთვის.

— ეცი! — იჭაჭებოდა პატრონი. — ეცი, პოლკან!

— ნუ გამიწყალებთ გული! — ვთქვი და ჩრდილში მივწექი.

— აბა, ალიოშა, მიდი ერთი, ხორცი გადაუგდე, — ურჩია შვილს პატრონმა.

პატრონის ვაჟი ფრთხილად მიუახლოვდა ჯამს, თან შიშით შემომცქეროდა.

— პოლკან, ეცი, უცხოა-მეთქი! — არ მეშვებოდა პატრონი.

მე ენა გამოვუყავი.

უნდა გენახათ, რა სეირი გაიმართა.

პატრონი ღრიალებდა და ილანძღებოდა. გათამამებული ალიოშა ჯოხს ურახუნებდა ჯამზე, მერე ზიწზე გადმოაპარქვავე. ბოლოს მთლად გაგიჟდა, ჩაცუცქდა და ძაღლივით მოჰყვა ყეფას, გულში გამეცინა, — ისე უბადრუკად და უნიჭოდ ჰყეფდა.

— ოჰ, შე ლაჩარო, ტუტუცო! — დამიყვირა მოთმინებიდან გამოსულმა პატრონმა. — აბა ერთი ჯოხი დაუშვი მაგას, ალიოშა!

შვილმა ჯოხი შემოჰკრა ხულაში, ხან სად და ხან სად არ მტაკა.

ეს კი მეტისმეტი იყო. ჯოხს კბილებით ჩავაფრინდი და გადავწყვიტე არამც და არამც არ დამენებებინა.

— ღ-ღ-ღ! — დაიღრინა პატრონის ვაჟმა.

თვალი თვალში გავუყარე.

„შე სულელო, — გულში ვამბობდი, — რომ მოვინდომო, თვალის დახამხამებაში დაგამახრჩობ. ოღონდ არ ვიზამ, იმიტომ რომ ჩემს ძაღლურ ღირსებას პატივსა ვცემ და არც არავის გავაპამპულაკებინებ თავს. გაეთრიე აქედან შენს მამიკოსთან ერთად! რა მენაღვლება სულაც აღარ გამიცვალ, ისეც გიქნიათ, თავდაყირა დამდგარხართ...

პატრონის ვაჟი ეტყობა, მიმიხვდა.

— გეყოფა, მამი. — ჩაიბურტყუნა. — ხომ ხედავ, აღარ უნდა...

— ჰმ, აღარ უნდა, — ბუზღუნს მოჰყვა პატრონი: — ისღა მაკლია, მაგას დავეკითხო, უნდა თუ არ უნდა... ძაღლი კი არა, ჩვარია... — და უცებ, გაბრაზებულმა, წიხლი თხლიშა ხულას.

გავცეცხლდი, მაგრამ თავი შევიკავე.

„არა, არ უნდა ავღელდე," — გავიფიქრე და დრუნჩი თათებზე ჩამოვდე.

6.

იმ დღიდან პატრონმა ხელი აიღო ჩემზე, აღარაფრად მაგდებდა.

ესეც კია, საქმე ყველამდე ჰქონდა: დილიდან დაღამებამდე ბაღში დაფუსფუსებდა:

თოხნიდა, ბარავდა, ხეებს ფუთავდა, ქვეყნის სასუქი მოჰქონდა. ისე აიქოთა იქაურობა, სულ თავი მტკიოდა. ნიადაგ მესრის შეკეთებაში იყო, ძველ ფიცრებს ახლით ცვლიდა, თანაც ისეთი წოწოლიკა ფიცრებით, რომ შუქი ღრიჭოებში ძლივს ატანდა. ამ მესრის გამო ხშირად ჩხუბობდა მეზობელთან, პირატის პატრონთან.

— ეს რა თავხედობაა! — გაჰყვიროდა თავისი აგარაკის კარებში ჩამდგარი პირატის პატრონი. ისეთი მწვანეზოლიანი პიჟამო ეცვა, კაცს თვალებს აგიჭრელებდა. — ვინ მოგცათ უფლება მესერი ჩემს მიწაზე გადმოგეწიათ.

— ხმა ჩაიკმინდე! — უხეშად აწყვეტინებდა ჩემი პატრონი. — რა ოხრად მინდა შენი მიწა!

— სამიოდე სანტიმეტრი მაინც ჩამომაჭერით! — ბრაზობდა მეზობელი. — აი, სახაზავს მოგიტანთ და დაგიმტკიცებთ...

— მოიტა, მოიტა სახაზავი! — ყვიროდა პატრონი, — შენი გვერდების გასაზომად გამოგადგება...

მე და პირატი გულგრილად შევცქეროდით მათ ჩხუბს, მაგრამ თანდათან უნებლიე შიში შემეპარა გულში, ვაითუ პატრონების მტრობამ ჩვენც ერთმანეთს გადაგვამტეროს-მეთქი.

პირატს ყურში ვეტყოდი, მასაც ამისა ეშინოდა.

ხანდახან ცოლებიც ჩაერეოდნენ ხოლმე ჩხუბში.

— ვითომ პროფესორი ჰქვია, — გაჰკიოდა ჩემი დიასახლისი. — ერთი გოჯი მიწისთვის ლამის ღრიალით აგვიკლოს!

— მიწა რა არის, — უმალ გამოეპასუხებოდა პროფესორის ცოლი. — თავი და თავი პრინციპია, ჩვენ აგრესია გვაბრაზებს.

— აგრესია, მაშ! — გამოაჯავრა ჩემმა დიასახლისმა. — დაუზეპირებია უცხო სიტყვები, ჭკუის ნატამალი კი არ გააჩნია!

არა, ეს ამბავი კარგად არ დამთავრდებოდა. ისეც მოხდა. ჩემმა პატრონმა საზღვარზე ახალი ბოძი წამოჭიმა. იმავ საღამოს მეზობელი გამოვიდა და ბოძს ცულით ჩეხვა დაუწყო. ავყეფდი. კანონიერი იყო თუ არა მისი საქციელი, მე ვერ განვსჯიდი, მაგრამ არც გაჩუმება შემეძლო. ის ხომ ჩვენს ბოძს ჩეხავდა. ჩემი ყეფა და პატრონის გარეთ გამოვარდნა ერთი იყო.

— უჰ, შე არამზადავ! — დაიღრიალა წინ პარმაღიდან და მეზობლისაკენ გაქანდა.

— ნებას არ მოგცემთ ჩემს სამფლობელოში შემოიჭრეთ! — წამოიწრიპვინა მეზობელმა და პატრონს ცული მოუღერა. — არ მომეკაროთ!.. ნაბიჯი არ გადმოდგათ, თორემ მე აღარ დამაბრალოთ, რაც მოხდება!

— მე შენ გიჩვენებ სეირს! — იბღავლა პატრონმა, ცული ხელიდან გამოსტაცა და გვერდზე ისროლა. მერე ისე ჰკრა ხელი მეზობელს მკერდში, მიწაზე ზღართანი მოადენინა.

ატყდა ერთი ვაი-უშველებელი. გამოვარდა მეზობლის ცოლი. სულ კივილით დააქცია იქაურობა, მერე ჩემი დიასახლისი მოვარდა. ხელებს იქნევდნენ და ისე ღრიალებდნენ, პირიდან დუჟი გადმოსდიოდათ.

აქეთ მეზობლები გამოცვივდნენ სახლებიდან და ცნობისმოყვარედ შეაცქეროდნენ ამ სეირს, მეძღვარივით ძაღლებმაც გადმოგვხედეს. რა თქმა უნდა, პირველად შარიკი ამოუვლდა, ჯაჭვზე ეხეოდა და სისხლს მოწყურებულივით წკავწკავებდა.

მე და პირატიც ავფორიაქდით და ავყეფდით. ვგრძნობდი, როგორ ამიტანა სიავემ უნებურად და კუნთები ისე ამითამაშდა, როგორც ჩხუბის მოლოდინში იცის ხოლმე.

ამასობაში მეზობელიც წამოდგა და პატრონისკენ წაიწია. ის კი წარბშეუხრელად იდგა და სახეზე თავხედური ღიმილი დასთამაშებდა, მეზობელი ალბათ მიხვდა, ამ კაცის ასეთთან მუშტით ვერას გავხდებით, და ცოლს გასძახა:

— მაშა, პირატი აუშვი!

მაშინ, ეტყობა თვითონაც ისე გადაეწყვიტა, პირატს ეცა და ჯაჭვი ახსნა.

— ვაიმე, ხალხნო! — დაიწრიპვინა ჩემმა დიასახლისმა. — ეს რა ხდება?! ძაღლები უნდათ მიუსიონ ადამიანს! — და სწრაფად წამობაჯბაჯდა ჩემკენ.

და აი, მე და პირატი გავრბივართ ერთმანეთისაკენ. პირატიც ჩემსავით ლამაზად მორბის, ლომივით გაჭიმული, თათებს თითქმის არ აკარებს მიწას. რაღაც მხეცურმა, მგლურმა გრძნობამ დაგვიარა ძარღვებში. პირი დუჟით აგვევსო და სუნთქვა შეგვეკრა.

უნებურად ველარ მოვზომე ნაბიჯი და პირატს გავცდი, პირატმა კი იხელთა, მოტრიალდა და მწარედ ჩამავლო კბილი ყურში.

— ვაი! — დავიხრიალე მე, უკანა თათებს დავებჯინე და თავი ღონივრად ავიქნიე.

პირატმა უცებ კბილი უშვა ჩემს ყურს, კუდი ამოიძუა და ლაჩარივით უკან მოუსვა. გამოვუდექი. თავი მოატრიალა, შემომიღრინა და ისეთი ზიზღით შემომხედა, ადგილზე გავშეშდი. მერე აქოშინებული მიწაზე გავწექი და დრუნჩი თათებში ჩავრგე.

— ლაჩრებო! — იჭაჭებოდა შარიკი. — არამზადებო! ქლაჩუნებო!

მაგრამ მე უკვე დავმშვიდდი. ავდექი და ზანტად გავემართე ხულასკენ. ამ ამბავმა ყველა გაართო.

ჩემმა პატრონმა თვალები გადმოკარკლა, უხმოდ გამომაყოლა მზერა; წამით სიჩუმე გამეფდა. მერე ერთი ბრაზიანად შეიგინა და თავჩაღუნული გაემართა შინისკენ...

7.

ღამით მე და პირატი მიწაზე ვიწექით, შესერთან, და ამოთხრილი ბოძის ალაგას დარჩენილ კარგა დიდ ხვრელში ვეჩურჩულებოდით ერთმანეთს.

— მომილოცნია! — მეუბნებოდა პირატი, — ამ ნახევარ თვეში, რაც აქ ჩამოგიყვანეს, ძალიან შეგვეცვალეთ ეგ კეთილშობილი ხასიათი. დღეს პატრონის ლიბეს ისე გააფუჭებდით ილაჯით, სწორი გითხრათ, შიშმა შემიპყრო...

— გამოგიტყდებით, ძალზე მრცხვენია... — ჩავიბუტბუტე მე.

— ნუ გრცხვენიათ, — მითხრა პირატმა. — გასაკვირი არაფერია. ინსტინქტი ინსტინქტია. ხომ გაფრთხილებდით, ადრე თუ გვიან ყველას მიახრჩობთ, ვინც ვაზეღავს და თქვენს საკუთრებას შეეხება-მეთქი.

— სულაც არა, — შევეკამათე, — მიზიფერიახებია იმ ბოძისთვის... მერწმუნეთ, ჩემი პატრონისთვისაც რომ გეკბინათ, არაფრად ჩავაგდებდი. მეც სიამოვნებით ვიქმოდი ამას. მაგრამ რას იზამ — სამსახური სამსახურია, ხომ არ შეიძლება მართლა ანარქია გავამეფოთ.

— კარგი, დავივიწყოთ ეგ ყველაფერი, — თქვა პირატმა. — მადლობა ღმერთს, თავი არც ერთმა არ შევირცხვინეთ.

— თქვენი პატრონი ალბათ ფიქრობს, რომ შეგეშინდათ, — ვუთხარი მე.

— შესაძლოა, — თქვა პირატმა, — მაგრამ არა ღირს აზრი შევაცვლევინოთ. ჩვენ ხომ ვიცით, რომ ასე არაა.

— რა თქმა უნდა, — ვუთხარი, — თქვენ ძალზე კეთილშობილურად მოიქეცით. რა სახეცილოდ გამოვიყურებოდი ალბათ, დორბლმორეული რომ მოვქროდი თქვენკენ.

— ჰოო, — ჩაეცინა პირატს. — არც ისე ლამაზი სანახაობა გახლდათ.

— ძმი თქო, ერთი ლაზათიანად მიგვებერტყეთ!

— მართლაც კი, — მიპასუხა პირატმა, — ოღონდ მერმე სინდისი შემაწუხებდა. ოდესმე თუ შეუწუხებიხართ სინდისს?

— როგორ არა!

— არა, ვატყობ, არ შეუწუხებიხართ, — მითხრა ჩაფიქრებით პირატმა.

— როგორ არა, — ვიწყინე მე, — ერთხელ ჩემს ძველ პატრონს მაცივარი ღია დარჩა, შევძვერი, მოვიპარე ერთი ნაჭერი ძეხვი და წვნიანი სავსე ქვაბი გადმოვაპირქვავე... თუმცა პატრონს თითიც არ დაუკარებია ჩემთვის, მე მაინც ძალიან ვიტანჯებოდი ჩემს გულში...

— არა, ეგ სულ სხვაა, — გამაწყვეტინა პირატმა. — ამ სულიერ ტანჯვას ყოველდღე განიცდით... ლუკმას კი, სახლს თუ წაბილწავს, მერე დარდობს და აღარ იცის, რა ქნას. მაგრამ ამას არ ჰქვია სინდისის ქენჯნა. სინდისის ქენჯნა თითქმის ფიზიკურ ტკივილს გვგრის: ფეხები გიკანკალებს, თავბრუ გესხმის, გულზე რაღაც გაწვება მძიმე ლოდივით... სწორედ ასეთი რამ შემემთხვა მარწან...

— რა იყო მიზეზი?

— ერთ პატარა, ასე ცხრა წლის ბიჭუნას ვუკბინე. ბაღში შემოიპარა, ვიცი, წავაქციე და მხარში ჩავიჭირებდი კბილებით... ახლაც რომ გამახსენდება თავბრუ მეხვევა. საშინელებაა. ღმერთმა დაგიფაროთ, მსგავსი რამ გადასცადოთ. ბავშვი ყველა ძაღლს უყვარს, მაგრამ ყველა როდი განიცდის, თუ რამეს დაუშავებს. იმ ამბის შემდეგ მთელი ერთი კვირა საჭმელს არ გავკარებივარ. ასე მეგონა, საჭმელსაც იმ ბიჭუნას სისხლის გემო დაჰკრავდა.

ყურებშიც განუწყვეტლივ ბავშვის კივილი მესმა. საშინელებაა... მეგონა, მოვკვდებოდი ან გავგიჟდებოდი...

— სულაც მოიგონებ, არა ღირს, — დავამშვიდე მე.

— ასე ღირს, — დაეთანხმა პირატი.

სიბნელეში მესმოდა მისი გაბზარებული სუნთქვა და ვგრძნობდი, როგორ უკანკალებდა მთელი ტანი.

— ხანდახან შარიკასი მშურს, — ცოტა ხნის სიჩუმის შემდეგ თქვა მან. — საოცარი ძაღლია. რაც არ უნდა ცუდი ხდებოდეს, მაინც მშვიდადაა, სინდისის ქენჯნა არასოდეს აწუხებს! ასეთები დიდხანს ცოცხლობენ... პატრონიც არ ეპარებათ.

პირატმა მოულოდნელად თავი ასწია და ხმამაღლა დაიყვირა:

— შარიკ! შე, სულელო, შენა!

— აჰ! აჰ! — დაიღრიალა განაწყენებულმა შარიკამ. — თვითონ სულელო! დაგღრღნი!

დიდხანს ვიცინოდით ჩუმად მე და პირატი. გაღვიძებული შარიკა კი მოუსვენრად დაქროდა ბაღში და ჯაჭვს აჟღარუნებდა.

5.

დადგა აგვისტო. ისე ჩამოცხა, ენის პირში ველარ ვიმაგრებდი, კანიც თითქოს გაოფლიანებულ კუნთებზე მეწებებოდა. ღამღამობით გრილოდა. მხოლოდ მაშინ შეიძლებოდა ბაღში გასეირნება და ვარსკვლავებით მოჭედილი ცით დატკბობა. ვარსკვლავები ისე კამკამებდნენ, ზოგჯერ მეგონა, ათასობით უზარმაზარი კატა დამცქერის-მეთქი ბრდღვიალა თვალებით. ეს ფიქრები მზარავდა და ყმუილი მინდოდა.

ნაყოფით დახუნძლული ვაშლის ხის ტოტები სიმძიმისაგან იზნიქებოდნენ. პატრონი მიწაში არჭობდა პატარა ჯოხებს და ზედ ამაგრებდა დამძიმებულ ტოტებს. მალე მთელი ბაღი ისე გაივსო ამ ჯოხებით, სიბნელეში მოძრაობა ჭირდა.

გამოედები უცბად ჯოხს, ტოტი შეირხევა და შენს თავზე ტყაპანს მოადენს მწვანე ნაყოფი.

ხანდახან გაბოროტებით გავკბეჩდი ვაშლს და მერე დიდხანს მედგა პირში საზიზღარი მჟავე გემო.

ამ ბოლო დროს ჩვენი ბაღი ანდამატივით იზიდავდა ბიჭუნებს. საღამოობით ხშირად ვხედავდი მესრის ჭუჭრუტანებში სიხარბით ანთებულ მათ თვალებს.

ვერ გამეგო, რად ხიბლავდა ბიჭუნებს ეს მჟავე საწამლავი.

მეც კეთილად ვუღრენდი, ვაფრთხილებდი, არ შეეცადოთ, ხეირს ეს ცოდვები არ დაგაყრით-მეთქი. როცა ერთხელ, დღისით-მზისით ვიღაც ბიჭუნა მესერზე აძვრა და უახლოეს ტოტს წაეტანა, გავექანე და გაბრაზებით შევუყეფე.

შეშინებული ბიჭი მესრიდან ჩამოვარდა და, მგონი, მაგრადაც დაენარცხა მიწას.

შემეცოდა და დავიწკავწკავე. ამ დროს გამოვარდა დიასახლისი, მესერს ეცა და ერთი წივილ-კივილი და წყევლა-კრულვა ატეხა. ბიჭი გაიქცა, მაგრამ პატრონის ცოლი მაინც მესერთან იდგა და ილანძღებოდა. ზონზროხა ტანი, განსაკუთრებით კი უზარმაზარი ღაბაბი ჰაერში უთამაშებდა.

საოცარმა სურვილმა შემიპყრო, კბილებით ჩავფრენოდი იმ ღაბაბს, მაგრამ თავი შევიკავე.

ჩემს პატრონს დღითიდღე ექუშებოდა პირისახე. მესერს მავთული შემოავლო. საღამოობით დიდხანს იდგა იქ და რაღაც უცნაურად მიშტერებოდა დაჭიმულ მავთულებს. ხშირად ასდიოდა სპირტის სუნი, რაც არ მომწონდა. ერთხელ, გვიან საღამოს, ხელს მიფათურებდა და მიწაზე უზარმაზარი ძეხვის ნაჭერი დამიგდო.

ვიფიქრე, ახალ გამოცდას მიწყობს-მეთქი. მაგრამ ჰაერი რომ შევყნოსე, მივხვდი — პატრონი შექეიფიანებული გახლდათ.

— ჭამე, სულელო, — კეთილად ჩაიბურტყუნა. — ჭამე, ბოლომდე! ხრამე, ძმობილო! შენ ახლა დიდი საქმე გაკისრია... შენ უნდა უდარაჯო... ჩემი შრომის ნაყოფს! ეს ყველაფერი, — პატრონმა ხელი შემოავლო ბაღს, — ჩემი დარგულია, ჩემი გაზრდილი! სულელო, იქნებ გგონია, ხეს ვაშლები და მსხლები ასხია?! არაფერი შეგეშალოს! ხეს ფულები ასხია... გინდა შაურიანი შევჭამო? გინდა? — მან ვაშლი მოსწყვიტა და ჩაიხრამუნა. ამ წუთს

ძისი სახე უდიდეს ნეტარებას გამოხატავდა. — რით, პოლკან, შენც გინდა? აჰა, ჭამე!

ხახაში ჩაყლაპილი ვაშლის ჩატევა მომინდომა, თავი ავიქნიე და უკან გავხტი.

— არ გინდა? — მასაყვედურა პატრონმა. — არ გინდა და ნუ გინდა! მაძღარი ხარ და რა იცი პირის გემო... ადამიანმა კი იცის! აიტომაც შენ სულელი ძაღლი ხარ, მე კი შენი ბატონ-პატრონი — ადამიანი! გესმის? ვერაფერიც ვერ გაიგე. შე ძაღლო, მართლა! — ვაშლი მთლად შეჭამა და წინსვლით წავიდა.

შევცქეროდი, როგორ მიბარბაცებდა და დავიწკმუტუნე.

რატომღაც ცოტათი შემეცოდა პატრონი, მოიკუნტება, თითქოს რაღაც იდუმალი საშინელების მოლოდინში იყო.

9.

ერთ ღამეს ბაღში გავისეირნე. რაღაც ლირიკულ განწყობაზე ვიყავი. ვფიქრობდი ცხოვრებაზე, სიყვარულზე. ორ აგარაკს იქით ერთი ძაღლი ცხოვრობდა, როზა. იგი სეირნობისას ვნახე და ძალზე მომეწონა. ჩამოქნილ, სწორ ფეხებს საოცრად ნარნარად ადგამდა მიწაზე.

გონებაში ჩემს პირველ სიყვარულს — დინკას შევადარე. სად როზა და სად დინკა! როზა დინკას ასჯერ იყიდის და გაყიდის. როზას ჭკვიანური, ნაზი დრუნჩი აქვს. განსაკუთრებით დამამახსოვრდა მისი შავი, სქელი, ალბათ ძალზე გრილი ცხვირის წვერი.

წარმოვიდგინე, ვითომ ამ ცხვირის წვერს შევეხე და სიამოვნებისაგან ავწკავწკავდი.

გასაოცრად კარგ გუნებაზე დავდექი. ცას ავხედე და აგვისტოს ვარსკვლავები კატის ნაკვერჩხალივით ბრდღვიალა თვალებად აღარ მომჩვენებია. სულ ტყუილად არ მეპრიანებოდნენ-მეთქი, გავიფიქრე, მით უმეტეს, ერთხელ ჩემი ყურით გავიგონე, ვიღაცამ რომ თქვა, ცაზე მეძებარ ძაღლთა მთელი თანავარსკვლავედი არსებობსო.

ნეტა მარტო მეძებარი ძაღლები ცხოვრობენ იქ თუ სხვა ჯიშის ძაღლებიც არიან?..

ვარსკვლავებიდან ფიქრით მთვარეს გადავწვდი, მერე რატომღაც თხა მომაგონდა, მოპირდაპირე აგარაკზე რომ ცხოვრობდა და საოცრად გულის გამაწვრილებლად და საცოდავად კიკინებდა დილდილაობით...

მერე ფიქრები აირ-დამერია და თავში იმისთანა ღომხალი დამატრიალდა, ადამიანები სამართლიანად „ძაღლურ ბოდვას“ რომ უწოდებენ.

უცებ ვიგრძენი, ვიღაცა მოძვრებოდა მესერზე, ლიან, ლიან, კი არ გავიგონე, ვიგრძენი. ასეთ რამეებს ძაღლები მანამ ვიგრძნობთ ხოლმე, ვიდრე თვალს მოვკრავდეთ ან გავიგონებდეთ.

გავისუსე და სიბნელეს მივაშტერდი.

იმავ წამს ვიღაც პატარა კაცუნა გადმოძვრა მესერზე და ვაშლის ხეს მივარდა. გაბრაზებით შევყეფე და ვეცი. კაცუნამ წამოიყვირა და გაიქცა. გზადაგზა ტოტებს აცლიდა, დამწიფებული ვაშლები ტყაპატყუპით ცვიოდა ძირს.

ზედ მესერთან დავეწიე.

პირზე ხელები აიფარა და შიშისაგან აკანკალებული ზურგით მესერს გაეკრა. მინდოდა შევხტომოდი და თათები მკერდზე დამედო, მაგრამ ისე უსუსური და ბეჩავი მომეჩვენა, გადავიფიქრე.

შემოვურბინე და დავყნოსე. პატარა, ათიოდე წლის ბიჭი იყო. ერთიანად კანკალებდა და შიშისაგან დაჭყეტილ თვალებს ახამხამებდა.

ფეხებთან ჩავცუცქდი და ავქშინდი.

„ეშმაკმა დალახვროს, — გავიფიქრე. — ნეტავ შენი მშობლები რასა ფიქრობენ? გაგონილა, ბავშვების ასე თავის ნებაზე მიშვება“.

გულში თითქოს მომწონდა კიდეც ეს ამბავი; მსიამოვნებდა, თითი რომ არ ვკარი, არ ვუკბინე, მხოლოდ მშვიდად ვიწექი მის ფეხებთან. ასე გასინჯეთ, ჭკუის დარიგებაც კი მომინდა მისთვის და ავბურტყუნდი:

— რამ გადაგრია, სულელო! ეს რა ჩაიდინე? რომ დამეგლიჯე, რას შვრებოდი მერე? განა არ შემეძლო დამეგლიჯე... უპატიოსნო კაცი ხომ სწორედ ამის ღირსია. შენგან კი ნამდვილად უსინდისო კაცი გამოვა, თუ სხვის ბაღებში ძვრები, მკვახე ვაშლისათვის იძრომიალებ. ფუჰ!!!

ასე ზიზღით დავიფრუტუნე, ბიჭუნას ეგონა, შემუქრებიო, და აღრიალდა:

— დედი!!!

— ჩუ! — დავუყვირე, — რა გაღრიალებს, სულელო! მთელი სახლი გინდა გააღვიძო?

გვიანი იყო. გავიგონე, როგორ გამოვარდა შინიდან პატრონი — და [illegible] ჩექმების ბრაგაბრუგით გამოიქცა.

— ჰაიტ, შე ყაჩაღო, შენა! — დაუყვირა და ბიჭუნას პერანგში [illegible]

— აი, ესეც შენო! — მთელი ძალით ჩასცხო ბიჭს კისერში ხელი, [illegible] მუხლები ჩაეკეცა და მიწაზე გაიშოტა.

პატრონი ერთხანს ზემოდან დასცქეროდა, მერე უცებ ვაშლის ტოტი მოტეხა, ნაყოფი მოაცილა და ბიჭუნას თავზე გადააწნა.

— ვაიმეე! — იწივლა ბიჭუნამ.

— ესეც შენ, ესეც შენ! — ღრიალებდა პატრონი და წკეპლას უტყლაშუნებდა და უტყლაშუნებდა პატარას.

თავზარი დამეცა, როგორღაც მოვეშვი, — უკან-უკან გავხოხდი, პატრონის თეთრი ხელი კი ხან შეიმართებოდა და ხან დაეშვებოდა, რაღაც დამემართა, რაღაც საზარელმა გრძნობამ შემიპყრო. გული თითქოს ყელში მომებჯინა... სული შემეხუთა.

არც ერთ ძაღლს არ შეუძლია გულგრილად უცქიროს, ბავშვებს რომ სცემენ. პატრონმა ეს არ იცოდა.

არც მე ვიცოდი, იმიტომ რომ მსგავსი რამ ჩემს სიცოცხლეში არ მინახავს. მხოლოდ იმ წუთას მივხვდი, მივხვდი მთელი ჩემი არსებით, მივხვდი მაშინ, როცა რაღაც უჩინარმა ძალამ ჰაერში ამისროლა და პატრონს ხელში ჩავაფრინდი.

მან დაიღრიალა და უკან დაიხია. ეტყობა, ძალიან ეტკინა. ადამიანის მლაშე სისხლმა ენა ამიწვა და თავში ამივარდა...

მერე რა მოხდა, აღარ მახსოვს... თითქოს ბურანში ვხედავდი, როგორ გამორბოდა ჩვენი ბაღისაკენ ხალხი... პატრონის ვაიი... მეზობელი... ქალების კივილი ცასა სწვდებოდა. ვიღაცამ გამეტებით დამცხო თავზე რკინის ნაჭერი. ძვალმა დაიტკაცუნა და მთელ ტანში აუტანელმა ტკივილმა დამიარა. დავიღმუვლე. მთელი ღამე მწარედ მტკიოდა თავი. ცალკე ამ ტკივილისა და ცალკე რაღაც საშინელი წინათგრძნობის გამო იმ ღამეს ყმუილი არ შემიწყვეტია.

10.

მთელი ღამე ვყმუოდი. რაც ძალი და ღონე მქონდა, გაბმით, შეუწყვეტლივ. მალე სხვა ძაღლებიც შემომიერთდნენ. პირველად პირაპი გამოეხმაურა, ჯერ ჩუმად და გულსაკლავად, მერე, თითქოს ეშხში შევიდაო — ხმამაღლა და გაბმით. ხრინწიანად აღმუვლდა ნაცარა, ქუჩის მოპირდაპირე მხარეს რომ ცხოვრობდა, მას სხვებიც აჰყვნენ.

მალე მთელი გუნდი ახმიანდა. ხმები, მართალია, არ ერწყმოდა ერთმანეთს, მაგრამ მაინც ისე ჰარმონიულად ჟღერდა, თითქოს ვიღაც დირიჟორობსო.

ეს იყო ისეთი შემაზრზენი ყმუილი, რომ მეც კი უსიამოდ მბურძგლავდა ტანში.

დილით ცოტათი დავწყნარდით. შევეცადე დამეძინა, მაგრამ მოტეხილი ფეხი საშინლად მტეხდა და ძილი არა და არ მეკარებოდა.

ოჯახის პატრონი თავისი ჯალაბობით ღია აივანზე სვამდა ჩაის. გაბოროტებული, მოქუშული სახეები ჰქონდათ, ხმამაღლა გაჰყვიროდნენ და ერთმანეთს ლაპარაკს არ აცლიდნენ. თითო-ოროლა სიტყვა თუ აღწევდა ჩემამდე და ეს სიტყვები სრულიად უცნაური და გესლიანი იყო.

პატრონი ხელშეხვეული უჯდა მაგიდას და ნელ-ნელა ურევდა კოვზით ჩაის. ჩემკენ არც ერთს არ გამოუხედავს. სადილადაც არ დამიძახეს, თუმცა შიმშილით კუჭი მეწვოდა.

მზე ამოვიდა. მალე ძალიან დაცხა და ამ სიცხემ მთლად მომადუნა... თავი დამისივდა. თავბრუ მეხვეოდა და გულიც მერეოდა. თავს ისე სუსტად ვგრძნობდი, ასე მეგონა, საცაა სახსრებში დავიშლები-მეთქი.

როგორც იქნა ჩამეძინა. ოღონდ ცუდად მეძინა, თან საშინელი რამ მესიზმრა. თითქოს საზღვარზე ვმსახურობდი და მესაზღვრეს კვალის საძებნელად მივყავდი...

საზღვარი და მესაზღვრე არასოდეს მენახა, არც არასდროს ვყოფილვარ დასაზვე-

რად — ამის თაობაზე სხვა ძაღლებისაგან თუ მსმენია მხოლოდ. ამიტომაც ძილში ყველაფერი გაურკვეველი და ბუნდოვანი იყო.

საზღვარი ვითომ ჩვენს აგარაკზე გადიოდა, კვალი კი მესერს მიჰყვებოდა. მეც გავრბოდი და გავრბოდი, თან უცხო სუნს ვიყნოსავდი. უკან მესაზღვრე მომდევდა, ის მრგვალთვალება ბიჭუნას რომ ჰგავდა, ვინც წუხელ შემოეპარა ჩვენთან. ოღონდ სიზმარში ბიჭუნა არ ყვიროდა, ჩუმად შემომცქეროდა და არ კანკალებდა. მე კი [illegible] მივსდევდი კვალს, უფრო და უფრო მძაფრად ვგრძნობდი უცხო სუნს. ეს ამჯერად ადამიანის სუნი იყო, თუმცა თვითონ ადამიანი არსად ჩანდა.

უცებ ვიგრძენი, რომ ის უცხო ადამიანი ჩემ უკან იდგა. მინდოდა მოვტრიალებულიყავი და კბილები დამეკრიჭა, მაგრამ განძრევის თავი აღარ მქონდა, კისრის ძარღვები თითქოს გამიშეშდა.

ავკანკალდი და თითით შევეცადე გაშეშებული თავი მომეტრიალებინა, მაგრამ თავის აწევაც ვერ მოვასწარი, რომ ამ კაცმა მთელი ძალით თათში გავარვარებული ლურსმანი ჩამასო...

11.

ტკივილისაგან შევღმუვლე და გამეღვიძა. ჩემ პირდაპირ პატრონის ვაჟი იდგა. ეტყობა, ახლახან ესადილა, ვინაიდან საჭმლისა და არყის სუნი ასდიოდა. თავი ისევ სიზმარში მეგონა და დავიღრინე. პატრონის ვაჟმა უკან დაიხია. იმ ჩემი გაკვეთილის შემდეგ ცოტა არ იყოს მეფრთხოდა. ახლა კი მტკივანმა თათმა უსუსური გამხადა. თუმცა ვერ ვიტყვი, თვითონ იცოდა თუ არა ეს ამბავი.

— შენ რაო, პოლკაშა? — მითხრა ალერსიანად და ხელი გამომიწოდა, — პოლკაშენკა! ცუგრი, ცუგრი...

ეტყობა, კეთილად იყო განწყობილი. და თუმცა არყის სუნს ვერ ვიტანდი, თავი მაინც მივუშვირე. „ჯანდაბას შენი თავი, — გავიფიქრე, — აჰა, მომეფერე! ძალად თუ ისე, მოფერება მაინც კარგია...“

გაუხარდა, ხელი კისერზე მომითათუნა და ყურს უკან მომფხანა.

მძულს სულელური მოფერება, მაგრამ ამჯერად, სწორედ გითხრათ, მესიამოვნა.

იგი მთლად გათამამდა, დაიხარა და საყელურზე ჯაჭვი მომხსნა.

— პოლკაშენკა... სასეირნოდ წავიდეთ, ჩემო კარგო! — ჯიბიდან ალიკაპი ამოიღო და გამიკეთა.

არ გავძალიანებივარ, თუმცა ისე ცხელოდა, საყელური სუნთქვას მიშლიდა. როგორც იყო, საყელურზე თასმა მიამაგრა და თავისკენ გამწია.

— წამო!

მეც მივყევი, მაგრამ მაშინვე დავიწკმუტუნე, ისე მეტკინა თათი. ახლაღა შეამჩნია პატრონის ვაჟმა მოტეხილი თათი და თვალებში თითქოს თანაგრძნობა გაუკრთა.

— საბრალო პოლკაშა, თათი გტკივა განა? — ენა მომიჩლიქა და თასმაზე მომქაჩა. კარგი, კარგი. წავიდეთ.

ცუდ გუნებაზე ვიყავი... ტკივილისა და უძილობისაგან თავბრუ მესხმოდა. მაინც გამოვძვერი ხულადან და წავიჩანჩალე. სამ თათზე მივკოჭლობდი, მეოთხე — გადამტვრეული — ჰაერში მეკიდა. ძველი პატრონის ტელევიზორში ხშირად მინახავს ცირკის გაწვრთნილი ძაღლები, ორ თათზე რომ ხტუნავდნენ. მათი მაცქერალი ვფიქრობდი, ეს რა სისულელეა-მეთქი. ახლა კი ვნანობდი, რატომ მეც არავინ მასწავლა ასეთი ოინები.

ბაღიდან გამოვედით და გრძელ მესერს გავყევით. ნელ-ნელა მივდიოდით, იმიტომ რომ იძულებული ვიყავი დროდადრო შემესვენა.

ახლა ბეჭიც ამტკივდა, კისერი და სხეულის მთელი მარცხენა მხარე გამიკავდა. ჩავუარეთ მას, მაღაზიას, სადგურისკენ მიმავალ გზატკეცილზე გავედით და ბოლოს სადგურსაც მივაღწიეთ.

პატრონის ვაჟმა გაზიანი წყალი დალია, პაპიროსი მოსწია, დამასვენა, მერე კვლავ გზა განვაგრძეთ.

ჩავიარეთ ბაქანი, ლიანდაგი გადავკვეთეთ და ძირს ჩამოვედით. აქ უკვე ხშირი ბალახი ბიბინებდა და უკანა თათებზე ხტომა ძალიან მიჭირდა.

— გადავწყვიტე, ბიჭი არ გამეღვიძებინა და თითქოს ადგილს მივაშურე. მაგრამ საქმეში ხარ? პატრონის ვაჟმა ლონივრად მომქაჩა თასმაზე და ბრაზიანად მითხრა:

— ნუ ჯიუტობ, პოლკან, საცაა მივალთ!

გავიარეთ არყის ტყე და ნათელ მდელოზე გამოვედით. პატრონის ვაჟმა ბუჩქებს მიმავალ თითოეულ ბორცვზე ჩამოჯდა და გააბოლა.

მე ბალახზე გავწექი. ტყის გრილი ბალახი სასიამოვნოდ მიღიტინებდა ცხვირზე.

თვალები მივლულე და ჩათვლემა ვცადე. გავიდა ნახევარი საათი. პატრონის ვაჟი პაპიროსს პაპიროსზე ეწეოდა და, აფორიაქებული, აქეთ-იქით აცეცებდა თვალებს.

თვალები დახუჭული მქონდა, მაგრამ წინაც გრძნობდი, ვიღაცას ელოდა. ბოლოს ხაბიჯის ხმა მომესმა. კიდეც რომ მეძინებოდა, მაინც ვიცნობდი, რომ ეს ჩემი პატრონის ფეხის ხმა იყო. მაგრამ არ მეძინა: ამიტომაც პატრონის ნაბიჯების გაგონებაზე უმალ აფორიაქებული წამოვხტი.

პატრონი თავჩაღუნული მოაბიჯებდა. იმ წუთას მართლაც საოცრად ჰგავდა ბულდოგს.

შეხვეულ ხელში რაღაც შავი ლითონის საგანი ეჭირა.

ამ შავ საგნისა და ჩემი პატრონის დანახვაზე გულმა უსიამო რეხზე მიყო. შეშფოთებულმა დავიღრინე.

— დიდი ხანია აქა ხარ? — შეეკითხა შვილს.

— ნახევარი საათი მაინც იქნება, — უპასუხა ვაჟმა და ჯირკვიდან წამოდგა. მერე შემომხედა და უცებ რაღაც საწყალობლად დაეკითხა მამას:

— მამა, იქნებ არ ღირდეს, ჰა?! დავაგდოთ აქ, მორჩა და გათავდა.

— თუ ღმერთი გწამს, ნუ ღნავიხარ, — დაუტატანა მამამ. — მაგას სჯობია, ალიკაპი და თასმა შეხსნა... ტყუილა არ დავკარგოთ.

— ადექი და შენ მოხსენი! — დაუღრინა შვილმა ბოროტად.

— სულელო, ხომ იცი, მე არ მენდობა! — დაუყვირა პატრონმა, — ვის ეუბნებიან, მოხსენი-მეთქი!

კარგად არ მესმოდა, ჩემს თავს რა იყო, ამიტომაც სიამოვნებით შევახსნევინე საყელური და ალიკაპი, სულ თქვას რომ მაშლიდა.

— ახლა გვერდზე მიდექ, — უხეშად უთხრა პატრონმა ვაჟს და ის შავი გრძელი საგანი დამიმიზნა.

პატრონის სახეს ახლა ვეღარა ვხედავდი. მისი თავი და ის გრძელი შავი საგანი ერთმანეთს შეერწყა და ერთ უცნაურ წაგრძელებულ თავად იქცა, თვალების მაგიერ შავი ნახვრეტები რომ ჰქონდა. მხოლოდ იმ წუთას მივხვდი ყველაფერს, მაგრამ არ შემშინებია. პირიქით, რატომღაც თითქოს გულზე მომეშვა...

ქუხილმა და ყრუ დალოცვილობამ გამიარა. სამარადისოდ სულისშემხუთავი. ... სიმძიმილი დამეუფლა და მთელ ტანში ჟრჟოლივით დამიარა. დავიღრინე. დავიძაბე, როგორც ლონიერ, ძარღვიან ცხოველს შეშვენის, და პატრონისკენ გავიწიე. მისი გრძელი თავისა და კედლის ორი ცეცხლოვანი თვალისკენ, ელვისებურად რომ გამოხტნენ შავი ნახვრეტებიდან...

□

გრივერ ფარულავა

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ფერისცვალება პოეტური სიტყვისა

ორმოცი წლის უკან განსვენებულმა ი. აბულაძემ „შუშანიკის წამების" ქართული და სომხური რედაქციების დეტალური ტექსტობრივი ურთიერთშედარება, ერთმანეთის გვერდით დაბეჭდა წამების ქართული და სომხური ვერსიები, იქვე მოათავსა სომხური ტექსტის ძველ ქართულად სანიმუშოდ შესრულებული თარგმანი (იაკობ ცურტაველი, მარტვილობაი შუშანიკისი, 1938 წ.). ფაქტებისა და საბუთების მთელმა წყებამ თვალსაჩინო გახადა ის გზა, რომელიც ქართულმა ნაწარმოებმა გაიარა სომხურ ენაზე გადათარგმნა-გადაკეთების რთულ პროცესში. ამ ნაშრომით, ივ. ჯავახიშვილისა და კ. კეკელიძის სათანადო გამოკვლევებით, სრულად გამოიკვეთა უძველესი ქართული თხზულების ლიტერატურული ბედის მწყობრი, ლოგიკური სურათი. ჩვენი წერილის მიზანია: ნაწარმოების ერთი კულტურული გარემოდან მეორეში გადატანის ისტორიულ-ფილოლოგიურ საბუთებს მიუმატოს სხვაგვარი მოტივებიც, ორი ტექსტის მხატვრულ-ესთეტიკური შედარების გზით მოპოვებულნი.

„შუშანიკის წამების" სომხური ვერსიის ტექსტი დღეს ყველასათვის ხელმისაწვდომია არა მხოლოდ ი. აბულაძისეული ქართული თარგმანით, არამედ რუსულ ენაზეც (Памятники армянской агиографии, Ереван, 1973, стр. 194–215. თარგმანისადმი დართულ კომენტარებში მთარგმნელი კ. ს. ტერ-დავითიანი ყოველგვარი საბუთის გარეშე იგნორირებას უკეთებს სომხურ მწერლობაში ამ ნაწარმოების შემოსვლის მეცნიერულად დადგენილ ისტორიას და აცხადებს: „Мученичество св. Шушаник является жемчужиной древнеармянской агиографии"), როგორია „შუშანიკის წამების" სომხური ვერსიის მხატვრულ-ესთეტიკური ღირსება? დედნისა და თარგმანის ერთი გადაკითხვითაც ცხადდება, თუ რამდენად აღემატება ამ მხრივ პირველი მეორეს. ხოლო ეს გამოწვეულია იმით, რომ ნაწარმოების, რომელიც საოცარი ხელოვნების შედევრების დონეზე დგას, სომხურ ენაზე გადაღება განაპირობა სრულიად არა მხატვრულ-ლიტერატურულმა ინტერესებმა. ზემოხსენებულ მეცნიერთა ნაშრომებში ცხადყოფილია, რომ „შუშანიკის წამების" სომხურს როგორც ვრცელს, ისე მოკლე რედაქციას ქრისტიანულ-ეკლესიური დაღი აჩნევია. ეს თვალსაჩინოა უპირველესად სომეხი რედაქტორებისათვის. ასეთ რამეს იაკობის სახელით ცნობილი ქართული მარტვილობა არ იჩენს და ესეც ერთი იმ საბუთთაგანია, რომლითაც ქართულის დედნობა და პირველობა მტკიცდება. „ქრისტიანულ-ეკლესიური თვალსაზრისის შესამჩნევი გამომჟღავნება ქართულთან დაპირისპირებით სომხურ ლიტერატურაში ქართულ-სომხური საეკლესიო განხეთქილების შემდეგ იწყება, ე. ი. VII ს-დან" (ის. ი. აბულაძის გამოკვლევა, დართული ზემოხსენებული გამოცემისათვის „შუშანიკის წამებისა", გვ. 037). ხოლო კ. კეკელიძე ამბობს: „ქართულ რედაქციაში არსად ნაციონალური კვალი არ ჩანს; სომხური თავიდან ბოლომდე გაჟღენთილია ნაციონალური ტენდენციით. ეს მიუთითებს იმაზე, რომ იაკობის შრომა დაწერილია სომეხ-ქართველთა საეკლესიო ცხოვრებაში ნაციონალიზაციის პროცესის დაწყებამდე, ხოლო სომხური ამის შემდეგ" (ქართული ლიტერატურის ისტორია, 1, 1960, გვ. 120–121. ვფიქრობთ: უთვალსაჩინოეს ისტორიულ-ფილოლოგიურ საბუთებს ამგვარი დასკვნისათვის სამივე მეცნიერი უხვად უდებს ჭეშმარიტების მაძიებელს).

სათარგმნი მასალისადმი ქრისტიანულ-ეკლესიური ტენდენციებით მიდგომამ განაპირობა ის, რომ თარგმანში დედნისაგან განსხვავებულად გამოიყურება ბევრი რამ. „ორი ძირითადი მხარე არის შესამჩნევი სომხურ წამებაში. ერთი — ფაქტობრივი, ამჟღავნებს ქართულთან დამოკიდებულებას, მასთან თანხვედრობას არა მარტო თხრობის მიმდინარეობის გზით, არამედ მისი ზოგიერთი ადგილის გადატანითაც კი. მეორე მხარე — არა-ფაქტობრივი, რომელიც მთავარი

პირის მოწამეობას ეხება (ლოცვა-ვედრება, მოთმინება და სხვა), სხვაობს ქართულისაგან. სომხურში ეს ნაწილი ჩრდილავს პირველს, როცა ქართულში პირუკუ ვითარებაა (ი. აბულაძე, ზემოხსენებული გამოკვლევა, გვ. 036—039). როგორც ა. ჯავახიშვილმა, ისე ი. აბულაძემ ზოგადად აღნიშნეს, რომ არა ერთი და ორი მხატვრული სურათი დედნისა არ მოულობს შესატყვისს თარგმანში.

საგანგებო დაკვირვებით კი გროვდება ფრიად საინტერესო მასალა იმის გასათვალისწინებლად, თუ როგორი ტრანსფორმაცია შეიძლება განიცადოს მხატვრულმა მთელმა, როცა ლიტერატურულ ურთიერთობებში სხვა, არაპოეტური კულტურულ-ისტორიული ფაქტორები და ინტერესები ჭარბობენ. მხატვრულ-ესთეტიკური ინდიფერენტიზმის და, როგორც ი. აბულაძე ამბობს, „სომხური ეროვნული თვალსაზრისის მომარჯვების — ნაყოფია“ (დამოკიდებულების კვალი იმლება) ის ამბავი, რომ მთარგმნელს სავსებით უყურადღებოდ დაუტოვებია პოეტური სიმაღლით ყველაზე გამორჩეული ადგილები დედნისა: 1. მხატვრული ანტითეზის საუკეთესო ნიმუში, შუშანიკის პასუხი ვარსქენისადმი: „არა თუ მე აღმემართა ხატი იგი და მემცა დღემჭუხოლო მამამან შენმან აღმმართნა სამარტვლენი და ეკლესიანი აღაშენნა, და შენ...“; 2. პლასტიკურობით აღბეჭდილი სურათი: „...შევიდა შუნ შინა სამწარითა სახლსა და მიეყრდნა ყურესა ერთსა და მწარითა ცრემლითა ტიროდა“; 3. სცენა, როცა „ცრემლოოდეს ყოველნი და ჯოჯოხეთის აღდგა და ცრემლითა გარე განვიდა“; 4. ფსიქოლოგიურად შთამბეჭდავი სცენა, როცა პიტიახშის შემოსვლით დამფრთხალ დიაკვანს შემართული ფრაზა გაუწყდება: „მტკი...“; 5. ფრაზით გმირის ხატის საუკეთესო მაგალითი: ციხეში რომ მეყავი, მარტვილი ღმთონტრადიციულად ტანჯვას ხანაცვლოდ, იმ ქვეყნადი განვისვენებთ. ვარსქენი უპასუხებს: „მე, ძე, განისვენე!“ 6. იმ გარემოს პოეტური სურათი, სადაც შუშანიკი იტანჯებოდა: „ვამსა ნიფხულისასა ცეცხლებრ შემწუელი იგი მეურვალეებაა მზისაა...“; 7. ფსიქოლოგიური მხატვრობის დახვეწილი სცენა, პიტიახში ცოლს რომ ჩორდს გაგზავნით ემუქრება და პასუხი ქალისა; 8. ანალოგიური ოსტატობის ნიმუში, როცა ვარსქენი ღედოფალს ძუძუმტეს მოუგზავნის და პასუხი შუშანიკისა.

სხვა შემთხვევაში მთარგმნელს მხატვრულად და ფსიქოლოგიურად მდიდარი სცენის მხოლოდ ფაქტობრივი მოკლე შინაარსი გამოუკრიბავს, სტატისტიკური ინფორმაცია მოუცია ამის შესახებ, თუ „რა მოხდა“ და ხელი აუღია ფაქტის მხატვრული ხილვადობის („როგორ მოხდა“) მეორე ენაზე გადატანის რთულ საქმეზე. მრავალთაგან მოვიტანთ რამდენიმე ნიმუშს 1. სპარსეთიდან დაბრუნებული პიტიახში ეკლესიის მსახურს ეუბნება: „რაისა ჭალ-იქიფა ჩემზედა ცოლმან ჩემმან ეხლვითარისა საქმედ? აწ მივედით და არქუთ ვითარმედ „შენ ჩემი ხატი დაამჭუ, და სავებელსა ჩემსა ნაცარი გარდაასხ, და შენი ადგილი დაგიტევებიეს, და სხუად წარსულ ხარ“. სომხურ თარგმანში იგივე ადგილი ასეა „გაპროზაულებული“: „შესთუალნა მცნებანი დედოფლისა მის მიმართ მოქცევად თჳსით მათ ნებათაგან და დამორჩილებად ნებათა მისთა და მეუღლად დიდებისა (შინა) სოფლისისა უფროის პირველთასა“ (აქ და სხვაგან სომხური ვერსიის ტექსტი მოგვაქვს ი. აბულაძის ზემოხსენებული თარგმანით. იხ. გვ. 14). 2. ვარსქენისაგან ცოლის გვემის პლასტიკური სურათი, — „მაშინ იწყო უჯეროსა გინებად ვარსქენ და ფერჴითა თჳსითა დაჰთრგუნვიდა მას; და აღიღო ახტამი, და უხეთქა მას თავსა, და ჩაპფლა, და თუალი ერთი დაუბუშტა; და მჯიღითა სცემდა პირსა მისსა უწყალოდ და თმითა მოითრევდა; ვითარცა მგელი მძჳნვარე ყიოდა და იხახდა ვითარცა ცოფი“, — თარგმანში მკრთალად გამოიყურება: „და სცემდა მას კუერთხითა სასტიკად ფრიად, და არა ვის ექმნა დამრტობ რასხუისა მის კაცისა. და ურიდად და უწყალოდ გუემათა განაფიცხებდა, ვიდრე არა დაშთა მას ზედა ადგილი მრთელი კუერთხისა ცემისაგან“ (გვ. 20); 3. დედნის „დავარდა იგი (შუშანიკი) ქუეყანასა ზედა და თავსა დამარი სცემდა და ცრემლითა მწარითა იტყოდა: „საწყალობელ იქმნა უბადრუკი ვარსქენ, რამეთუ უვარ ყო ჭეშმარიტი ღმერთი და აღიარა ატროშანი და შეერთო იგი უღმრთოთა“, — სომხურ რედაქციაში ასე გამოიყურება: „დავარდა ქუეყანასა და ტიროდა მწარედ და ჰგოდებდა ქმარსა მას უვარის მყოფელსა ღმრთისასა და კერპთა მვალთა“ (გვ. 6). 4. საკვდილის წინ დედოფალს მოინახულებს ჯოჯიკი. იაკობი ნატიფი პოეტური დეტალებით შეზავებულ დიალოგის ხატავს. გავიხსენებთ მხოლოდ მხატვრულ კულმინაციის სცენისა. დედოფალი გოდებს: „მან (ვარსქენმა) უჟამოდ წაყოცხა ჩემნი მოისთულნა და სანთელი ჩემი დაშრიტა და ძუძგალი ჩემი დააშნო, მუენიერებაა სიკეთისა ჩემისაა დაამხნელა და დიდებაა ჩემი დაამდაბლა“. თარგმანის შესაბამის მონაკვეთში არც ერთი მხატვრული სახე არაა, მარტო ინფორმაციაა. ხოლო შუშანიკის მეტყველება მხოლოდ ასეთ ლამობლურად წარმოგვიდგება: „ყოველი საქმე კეთილი, რომელი წინაღმდგომ (ათდევათ არს, ალიხრულე, რო-

შელი შემწყნარებელ არს ღმრთისა, რომელ არს ნაყოფი სამართლისა" (გვ. 41); იაკობ ხუცესი ჭეშმარიტი რომანისტის გულთამხილველობით გადმოგვცემს ადამიანის ხულის მოძრაობის ფსიქოლოგიურ ნიუანსებს. აი, ერთი ნიმუში: ცოლის ფიზიკური მშვენიერებით რომ პიტიახში მაჩანს ვერ მიუახლოვდა, ახლა მეუღლეობრივი ეჭვის ალმურის გზით ხერხს ვარსქენს ამის გაკეთება. იაკობს აქვს: „ჩემი სამკაული მას არა დაუტევე, რამეთუ არა არს ჩემი ცოლი არს, — იპოვოს ვინმე, რომელმან განკაფოს (გაცვეთოს) იგი". ხოლო როცა ხუცესმა სამკაულები მიუტანა, ვარსქენმა კვალად თქუა: „მერმეცა იპოვოს ვინმე, რომელმანცა შეიმკოს". სომხური ვერსიის შემქმნელს ჟანრის ეს ინტიმური თემა სულ არ აინტერესებს (სხვას ეწრაფვის, აქცენტებსაც აქეთ აკეთებს) და ლიტერატურულ-დრამატული სიცოცხლე პასაჟისა ახლა დამცხრალი და გაუბრალოებული: პიტიახშს სიტყვა აქვს შემოკლებული, ამეტყველებულია შუშანიკი, რომელმაც „სამკაულნი იგი და სამეფოდ სამოსელი თვისი მიუძღვანა პიტიახშსა მას და შესთხოვა, ვითარმედ: რაჲ ნაწილი უც მორწმუნესა ურწმუნოისა თანა და რაჲ ზიარება არს ნათლისა და ბნელისა, და რაჲ შეერთებაჲ არს ტაძრისა ღმრთისაჲსა როკპთა თანა?" და ა. შ. (გვ. 25). ზოგადი ხასიათის ტრაფარეტული მსჯელობა გრძელდება კარგა ხანს.

რაკი უძველეს ქართულ თხზულებასთან სომეხი მწერლის მიხვლა სომხურ ეროვნულ-სარწმუნოებრივი ტენდენციებს განუპირობებია, მოსალოდნელი იყო, რომ თარგმანში დედანთან დამოკიდებულების კვალის წაშლას ცდილიყვნენ. ასეც მომხდარა, როგორც ეს ი. ჯავახიშვილმა, კ. კეკელიძემ და ი. აბულაძემ გამოარკვიეს თავიანთ ნაშრომებში. ი. ჯავახიშვილი ამბობს: „ქრონოლოგიური ცნობების გამოტოვების გარდა სომხური წამებაში წარხოცილია მოქმედ პიროვნებათა შესახები ისეთი ხელმოსაწვდენი ცნობები, როგორც საკუთარი სახელებია. მაგ. არც პიტიახშის სახლის ეპისკოპოსის და არც შუშანიკის ხუცესის სახელები სომხურ წამებაში მოხსენებული არ არის. სომხურს ვრცელ ცხოვრებაში არა ერთი და ორი ისეთი ცნობაა გამოტოვებული, რომელიც მაშინდელი საქართველოს ისტორიისა და გეოგრაფიას ეხება. მაგ. ვარსქენის სპარსეთიდან საქართველოში დაბრუნების ამბავი ისე უფერულად და შემოკლებით არის აღწერილი, რომ ერთ წინადადებად ქცეულა, და ყველაფერი, რაც-კი ჩვენი ქვეყნის საისტორიო გეოგრაფიისა („საზღვართა ქართლისათა, ქუეყანასა მას პერეთისასა", „დაბასა ცურტავს"-ს) და იმდროინდელი წესწყობილების შესანიშნავად ძვირფასი იყო („წინა მიეგებნეს მას აზნაურნი... და მსახურნი", „წარჩინებულთა საღმრთისმსახურთა ცხენითა მოსლვა" და სხვა), ამოშლილია" (ძველი ქართული საისტორიო მწერლობა, 1945, გვ. 52).

მხატვრულ სამყაროზე დაკვირვებაც იმავეს გვიდასტურებს. დედნის ზოგიერთი მხატვრული მონაკვეთი, ერთი პასაჟი, ერთი მთელი მთარგმნელს დაუშლია, დაუკუწავს და პირდაპირ თუ ვარიაციებით გადაუტანია სხვაგან, ერთი დეტალი — ერთგან, მეორე — სულ სხვა ადგილას. მაგალითისათვის ავიღოთ შუშანიკის პირველი მონოლოგი სომხური რედაქციიდან. იგი საკმაოდ ვრცელია და ძირითადად ღვთისადმი ძლევამოსილებისა და სიკეთის მქონეთა ზოგადი მოთხრობაა, ფაქტობრივად და სიტყვასიტყვით მონოლოგის ბოლოსაა: „და აწ, უფალო იესუ ქრისტე, შენ შეგვედრებ თავსა ჩემსა და ამათ, რომელნი ვყავ ხორციელ უფალ და ღმერთ, ხოლო მე მზადა ვარ შეწყნარებად ტანჯვათა და მოხიარულდე სახლისა მისგან შენისა წმიდისათვის. და არა ვეზიარო ნებათა უკეთურისა მეუღლისა და ბილწისა მის თანამეცხედრისათა" (გვ. 7). ხაზგასმული სიტყვები მოგონებულია შუშანიკის პირველი დიალოგიდან: „მოძღვრის გაფრთხილებას, დიდი განსაცდელი გელისო, ქალი ასე უპასუხებს: „ხუცესო, და მეცა ვიცი, ლუაწლსა განმზადებულ ვარ". იქვე, ხუცესის შეკითხვაზე: „მტკიცედ ხდგაო?" — დედოფალი მიუგებს: „ნუ იყოფინ ჩემდა, თუმცა ვეზიარე საქმეთა და ცოდვათა ვარსქენისათა" (სომეხი მთარგმნელი კიდევ ორ სხვა შემთხვევაში გამოიყენებს შუშანიკის ციტირებულ სიტყვებს, შემართებაზე მეტყველს, იხ. გვ. 12, 25). რაც დედანში დიალოგშია, თარგმანში მონოლოგშია. დიალოგი კი, განსაკუთრებით საქმიანი და კონკრეტული გარემოს გამთვალისწინებელი, თითქმის მთლიანად გამოტოვებულია მთარგმნელის მიერ სწორედ კონკრეტულობის გამო; აი, რა ხდება: დედნის ამ მონაკვეთში იაკობ ხუცესი ეუბნება დედოფალს: რას აპირებ, „მითხარ მე, რაჲთა უწყოდი და აღვწერო შრომაჲ შენი". თარგმანში იაკობის სახელი საგანგებოდაა ამოკვეთილი და უსახელოდ მოქმედი „კარისა ხუცესი" მოხმობილ ფრაზას ასეთი ვარიაციით ეტყვის მოწამეს: „რაჲ დაიდევ გონებასა და რაჲ ვეგულების ქმნად აღდგინებულთა შენ ზედა ბრძოლათა (შინა) უარის მყოფელისა მის პიტიახშისაგან, მრავალთა მით უკეთურებათათვს, რომელ არიან ქმნად?" (გვ. 9—10). როგორც ვხედავთ, დედოფლისადმი ხუცესის მიმართვიდან ყველაზე

მნიშვნელოვანი, პრინციპული დეტალი („რამეთუ უწყოდი და აღუწერო მრომაჲ შენი") სრულიად კანონიკური მიზნით ამოკვეთილია.

იაკობ ხუცესი მოგვითხრობს: ეპისკოპოსის, ჯოჯიკის, ჯოჯიკის ცოლის მეფარის შემდგომ შუშანიკი სახახლეში დაბრუნდა, ხენაკში განმარტოვდა, აღაპყრნა ჴელნი და თქუა: „უფალო ღმერთო, არცა მღდელთაგანი ვინ იპოვა მოწყალე, არცა ერისა კაცი ვინ გამოჩნდა შორის ერისა ამას, რამეთუ ყოველთა მე სიკუდილად მიმათუალეს" („ტქრთა ღმრთისასა შუშანიკის პირველი საუბარი) გადაიტანს მთარგმნელი. ბა: „არა სადაით არს ნუგეშინისცემაჲ ღმრთისაგან. არცა ჴელმძღუანელნი, არცა მოყუასნი, არცა საყუარელნი, არცა მონანი, არცა მჴევალნი, არცა სახლეულნი, არცა უცხონი; არცა მწირნი მეორედაც გამოიყენებს ამ სტილისტურ ფორმას (გვ. 18), ხოლო მესამედ მის ვარიაციას (თარგმნ-ქმართაგანნი" (მთარგმნელი მართავს (გვ. 25).

ვარსქენისაგან შუშანიკის გვემის მასალში იაკობი მოგვითხრობს, რომ ქალს „მუცლად ილევა ჯოჯიკა და აბრაჰადეს... და ჭირით, ვითარცა კრავი მგელსა, გამოუღო ჩვენებაზე ხაზგასმული მხატვრული დეტალი არ მოიპოვება. როცა მასალში მხატვრული ფაქტობრივად, სამართლიანად მარჯვენა განაბად ხელი ძალისა. მაგრამ მთარგმნელი ამ პოეტურ დეტალს მაინც ვერ შეელევა და იგი ხელახალ გადაუტანია, ქალის ვარსქენისაგან შუშანიკის გვემის სხვა ეპიზოდში: „და ვერ ჰპოვა კლდე-ალყითა ვერიდან მგმინავ და განყრად მგლისაგან კრავისა მის ქრისტესისა". სომხური რედაქციის ამ სცენაში ჯოჯიკი ხუცესის ანა ჩანს, რაც ხაზგასმული მხატვრულობისაგან გამომდინარე წყაროთი მიზნის დამთხვევისა და ზოგადად ფაქტობრივ ხდის, მაგრამ ეს გაუმართლებელია და თავისებურად ხელმოწერი აქვს მთარგმნელის კოდექსის მხატვრულ სიცოცხლესა და ემოციურობას ახუნდებს. ლეონის პოეტური ტონუსის და უშუალობის შესუსტებისა და დამრღვევის იერით საერთოდ ამოქმედებულია მთარგმნელ-რედაქტორთაგან შეტანილი ეს ცვლილება. მაგალითად, თუ ამის წინ მოხსენიებულ ქართული ტექსტის განმეორებითი გრადაცია („...არცა მღდელთაგანი... არცა ერისა კაცი...") კლასიკურად სიმეტრიულია, თარგმანში იგი აშკარად განზავებულია და მოსაწყენი (თარგმანელობის მეორედება „არცა").

როგორც ვხედავთ, ლეონის დამოკიდებულებაში კეთილ წარმოსახვაზე თარგმნელი ვერ დაიცავს ამ შემთხვევაში: აქცენტს ხაზგასმულ დეტალებს, აქცევს ჩვეულ დეტალებს, ერთი დოკუმენტის ხასიათდება ქმნის მხოლოდ ელემენტთა წყობისა და ვარიაციის, შიდა და ტრადიციული ფოლკლორული ტრანსფორმაციის შემოაქვთ ვრცელი მონაკვეთები. კეთილ იქცევა არა მარტო გამოკვლევით, არამედ გულუხვად შემატებითაც; საქმეში საგანგებოდ ჩიუხედავ მეორე ფაქტის სიუჟეტის ილუზია ქართულისაგან სომხური ვერსიის დამოუკიდებლობისა, ვინაიდან მეორე თითქმის ორჯერ აღემატება პირველს მოცულობით.

ლეონის მიხედვით, მომაკვდავი შუშანიკის ერთ ფრაზას (12 სიტყვა) იქცევს. სომხური რედაქციის მიხედვით, მომაკვდავი ლოცულობს 144 სიტყვისაგან (სტატისტიკა ძველ სომხურ ენას, ტექსტს ეკუთვნის) შედგენილ ვრცელ მონოლოგს წარმოთქვამს. სადაც არც ზოგადი სიმბოლიზმით დემეგლებულია დაუწყვეტელი, არც ერთგვაროვან-სახელწოდებით იდეალიზირებული მომაკვდავის წინაშე, „საყუარელნი" ლეთარგიული (გვ. 44—45). მუნებრივია ალოგიზმის გარეშე სიკვდილის წინაშე ასეთი მრავალსიტყვაობა ესთეტიკური ალოგიზმია შუა საუკუნეების მოაზროვნეების მკითხველთათვის. ლუმილი და მჭევრმეტყველებაზე ხელის აღება, როცა სიკვდილის პირისპირ ვდგავართ, ეთიკური და ესთეტიკური ნორმაა ბიბლიაში (ისაია, 53, 7; მათე, 26, 62—63; მარკოზი, 14, 61) და მთელს ქრისტიანულ ლიტერატურაში (ორიგენე, რომანოზ მელოდოსი, თეოფილაქტე ბულგარელი; შდრ. С. С. Аверинцев, Поэтика ранневизантийской литературы, М., 1977, стр. 71).

ხანმოკლეობის სულიერების თვალსაზრისით აღქმა, ყველგან რომ შეიგრძნობა ლეონში, თარგმანში ხშირადაა გამოთიშული. იხრობის დრამატულ ორიენტაციას მრავალგზის კვეთს ასეთი ტირადა: „შემიწყალე, რომელ ეგე შემწე ხარ უმწეოთა, წარწარულთა იმედი, უგანცითა განცდა და მელოდვარეთა ნუგეშინის ცემა, აღშფოთებულთა შუება, შეჭირვებულთა ლხენა, ბრმებულთა სამართალი და ძართლისა მოქმედი, სნეულთა სამკურნალო..." (და ა. შ. წყვილეულ სიტყვათაგან შედგენილი 23 ეპითეტი). შუშანიკი ასეა ერთგან წარმოდგენილი: „წმიდაი, უბიწოი, შეუგინებელი, ცოდვათა მოშული, მართალი, ჭეშმარიტი, წრფელი, სიწმიდისა მო-

ყვარს, ქველისა მოყვარე, ძვირფასი, მშვიდ, მორჩილი, ყუდროთ, მოწყალე...“ (და ა. შ. 40 ერთმანეთს მიჯრილი ეპითეტი). ქალის მოწამეობრივი ღვაწლის წარმოსაჩენად თარგმანში დედნის კვალობაზე ნათქვამია: „საზრდოდ პური ერთილისაი და სასუმელად წყალი აქუნდა“ — ეს ფრაზა აქ ხუთჯერ მეორდება (გვ. 21, 22, 29, 33, 39). სომხური ვერსიის მიხედვით, შუშანიკი მიუთითებს, რომ იგი ტანჯვის გზით განიწმინდება „არაწმიდისა ხარჭისა და ქმრისა უშჯულოისა“. ეს დეტალი აქ მრავალჯერ შეგხვდება (გვ. 22, 25, 31). [illegible] რიცხვი კიდევ უფრო მეტია. ცდილობდნენ რა შეევსოთ და გაეზარდათ ტექსტი, გადამკეთებლებმა ზოგი რამ საკმაოდ უხერხულად გადაუკეთებიათ. მაგალითად, ნაწარმოების დასაწყისში მოთხრობილია იმის შესახებ, თუ როგორ მიატოვა შუშანიკმა ქმრის სარეცელი და ეკლესიაში გადავიდა. ცოლ-ქმრის მწუხარების თურმე „მოწყსენი მის ეკლესიისანი ყოველნი თანამგლოვარე ეყვნეს და ეკრძალვოდეს თქუმასა სიტყჳსასა მისთჳს“ (ასეთი რამ დედანში არ არის). იქვე, სწორედ მომდევნო წინადადებაში, ვკითხულობთ: „...არა რაისა ჯერ იხილა და ქერცა ვინ ჴელ-იწიფა მახლობელთაგან კადრებად და თქუმად რაისამე სიტყჳსა“ (გვ. 7—8). მეორეგან „უსახელო“ კარის ხუცესი ურჩევს ქალს: „მოიჴსენე ღმერთი და მისითავე სახიერებითა თავსა შენსა ნუგეშის ეც...“ (ესეც მთარგმნელის შენამატია). მომდევნო ფრაზა კი ამეორებს: „აწ თავით თჳსით თავსა შენსა ნუგეშინის ეც ქრისტესითა...“ (გვ. 8).

საერთოდ, „ქართულით ორიოდე სიტყვით გამოთქმული შუშანიკის ლოცვა სომხურში მთელ ლოცვანად არის წარმოდგენილი. მოწამის პასუხი სხვა მოქმედ პირთან, კერძოდ წინ მთავართან, რაც ქართულში საქმიანი კილოთია მოცემული, ერთის გრძელ დამოძღვრით და მეორის მასზე შესრულების ასევე გრძელ აღთქმად არის წარმოდგენილი სომხურში“ (ი. აბულაძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 034).

განსხვავებანი სავსებით ცხადს, რამდენადაც მოსალოდნელი იყო, არამხატვრულობისა და არალოგიკურობის იერი მიეცა ზოგიერთ სცენას. დედნის მიხედვით, იაკობ-შუშანიკის პირველი შეხვედრის სცენაში ქალი შეჰჩივის ხუცეს მამას: „ჩემდა მართლისა არიან ჭირნი ესე“. ხუცესი ანუგეშებს: „ჭირი შენი ჭირი ჩუენი არს და სახარული შენი სიხარული ჩუენი არს. ჩუენ არა ხოლო თუ ვედრებული ოდენ იყოს, არამედ ჩუენ ყოველთა ვითარცა შვილთა მოგუმადლოდ“. იმავე სცენაში, თარგმანის მიხედვით, ხუცესი ასეთი სიტყვებით „განამტკიცებდა და ნუგეშინის სცემდა ნეტარსა მას“: „მოითმინე დუაწლი იგი კეთილი“, რათა „მიიღო მადლი ღმრთისა, რომელი შემძლებელ არს ყოვლისა, ლოცვათა არავინ გიგის ერისხუელი, რომელმან გულითად აურჩევს შენთჳს“ (გვ. 9). ვერაფერი ნუგეში და განმტკიცება!

ახლა გავიხსენოთ იაკობ ხუცესის მიერ ფსიქოლოგიური სიზუსტით მოთხრობილი ამბავი, თუ როგორ ჩაუშალა პიტიახშს ცოლის მემორეობილი? სამზადისი მეფურად მოწყობილი სცენა შერიგებისა: შუშანიკი გაჯიუტდა და მასლის უდანაშაულო ცოლიც შეურაცხყო. წინაწყრომილობით კარებულმა პიტიახშმა ხანჯლით სცემა დედოფალს. სომხური ვერსიიდან დედნის დახვევისა და ჭიქის სახეში შეტყნევის ყოფით დასამახსოვრებელი დეტალი ამოჭრილია: შუშანიკმა ხელი არაფერს ახლო და სკრიპის დაზარებული ღვინით მოამერა თავის სრიაქი. ვარსქენს მერე მოსულის გული, „აღიმღვრია რისხვითა“, წავიდა და სასტიკად სცემა ჯოჯოხეთურ ცოლსაო (გვ. 19). ცხადია, რომ ცხოვრება თავის თავს ნაკლებად ჰგავს ასეთი ვარიანტის მიხედვით. საერთოდ, თარგმნილი ვერსიის პერსონაჟებს ცხადად აკლიათ ნამდვილობის იერი, სქემატურად გამოიყურებიან, იაკობ ხუცესის გმირები სისხლხორცეული, მძაფრი ადამიანური ვნებებით ავსებული პიროვნებები არიან.

ჩვენ უკვე ვთქვით, რომ, მაგალითად, განცდების სიცხოველით და ენხტოვანი რეალისტურობით აღბეჭდილი სცენა ორიგინალისა, — „დავარდა იგი (შუშანიკი) ქუეყანასა ზედა და თავსა დიაცთა სცემდა...“ — თარგმანში მშრალ სათქმელ სტატისტიკამდე დადის. შემდეგში კი ასე გრძელდება: მოწამე „ცხრით აღჴუდა: „უფალო ღმერთო, ყოვლისა მპყრობელო, შემოქმედო ცისა და ქუეყანისაო და რომელნი მათ შინა არიან ქმნულნი; შენ დაამტკიცე ეხლუთარი წყლისა ანაგურებისაა სიტყჳთა კურთხევასა მხოლოდ-შობილისა შენისაათა, მოსათა შენთა თანამზრახველთა მიერ, ბეჭდითა მათ ცხოვრების მომცემისა ემბაზისაათა, ახლითა და მეორითა შობითა, წყლითა და სულითა ყოფად ძედ ღუთისა და განწმედად ბნელისა...“ და ა. შ. (გვ. 6—7). ამ ლოცვაში მოცემული ზოგად თეოლოგიური საკითხების დალაგებაში ისე შორს მიდის, რომ მკითხველს შეიძლება დაავიწყდეს ცხოვრებისეული ფაქტი, ლოცვას რომ ბიძგი მისცა.

ტექსტის ასე გაზრდა-შეხავება თეოლოგიური მსჯელობებით, ლოცვა-ვედრების გრძე-

ლა პერიოდებში, როგორც ცნობილია, ტიპიური ნიშნები გადაკეთება-გარდაქმნების იმ პო-
პულარული ტენდენციისა, რაც X საუკუნიდან ყველგან გაიშალა მეტაფრასტულის სახით.
IV—VII საუკუნეების ბიზანტიური ჰაგიოგრაფიის ნიმუშები კი სხვაგვარად გამოიყურება (ას
Т. Попова, Античная биография и византийская агиография. Сб. «Античность и Виза
нтия», М., 1975). ღვთაებისა და შუშანიკის ეპითეტალური დახასიათების [illegible]
მობილი ორი მწკრივის (23 და 40 ეპითეტისაგან შედგენილი) სტილს დავაკვირდეთ, კარგად [illegible] მთხ-
ზრობის ამგვარი მოდელი, ფრაზის ასეთი წყობილება და სტილი უცხოა V—VII საუკუნეების
ქრისტიანული ლიტერატურისათვის, ბუნებრივია შემდგომ საუკუნეთა მწერლობაში.

სომხურ ვერსიას ნებსით თუ უნებლიედ ერთგვარი განცხადებითაც ადასტურებს კიდეც
გამოკვეთა-გადაკეთების ამ თავისებურების ფაქტს. ამ ტექსტს, ნამეტნავად იმ ადგილებში, სადაც
იგი ორიგინალს სცილდება და ქმნის, ასეთი ფრაზები შემოუნახავს: „და სხვათაცა მრავალთა
[illegible] ცრემლითა შესწირვიდა უფალსა" (გვ. 7); „და სხვათა მრავალთა
ცემდა" (გვ. 9); „და სხვათა მრავალთა სიტყვითა მგოდებდა" (გვ. 13). ეს ფრაზები რთული ფი-
ლოლოგიური ხელმძღვანელობის ანარეკლია, მოგვაგონებს მეხოტბეთა [illegible] ნიშნების გამხელას
მორიგეობა (თუმცა, როგორც ეს ი. აბულაძემ აჩვენა, სომხური ვერსია, პირდაპირ იმეორებს
ძველის ბევრ მონაკვეთს).

ყოველივე ამის ლოგიკური კვალი დღემდე ნახული თარგმნილი თხზულების არქიტექტონიკაზე
კომპოზიციური ნახაზი აქ გამოუკვეთელია. მთელი და ცალკე არაბუნებრივია ზომასაა, სიუჟე-
ტური მონაკვეთები ხშირად ავტონომიურად გამოიყურებიან ერთმანეთის მიმართ. [illegible] ხუ-
ცესის ნაწარმოების მონაცემი თანაზომიერება და კლასიკური მთლიანობა ხუთი მხატვრული კომ-
პონენტებთან ერთად შესამჩნევად [illegible] ასეთ დამოკიდებულებას, რომელსაც უფრო
გადაკეთება უნდა დავარქვათ, ვიდრე ჩვეულებრივი თარგმნა. მიგვაჩნია რომ, როცა თარგმნისა და
გადაკეთების პროცესში ნაწარმოების მხატვრული ღირებულება იკლებს, ლიტერატურის ის-
ტორიაში ბუნებრივია. საპირისპირო მოვლენა კი [illegible] უცნობია.

P. S. ერთი შეუსაბამობაც შევნიშნეთ „შუშანიკის წამების" სომხური ვერსიის რუსული გა-
მოცემის კომენტარებში. ქვემო ქართლის შესახებ, სადაც იმყოფება მოქმედება [illegible] ხუცესის
თხზულების მიხედვით, კ. ს. ტერ-დავთიანი ამბობს: «Население Гугарка было сме
шанным, с преобладанием армянского этнического элемента и языка. Известно,
что Шушаник ввела в Цуртавской церкви богослужение на армянском языке,
что превратило Цуртав в один из центров армянской культуры» (Памятники
армянской агиографии, Ереван, 1973, стр. 195). რომ ქვემო ქართლში სომხური
ეთნიკური ელემენტი და ენა კი არა, ქართული იყო განმსაზღვრელი, ეს სხვა საისტორიო წყა-
როებს რომ თავი დავანებოთ, არც „[illegible] წიგნის" ამ ცნობით მტკიცდება, რომელსაც
კომენტატორი აქ ემყარება: სწორედ ის, რომ შუშანიკმა შემოიტანა ამ კუთხეში ღვთისმსახუ-
რება სომხურ ენაზე, ადასტურებს, რომ აქ ცხადად და გამოკვეთილად სჭარბობდა ქართული
ეთნიკური ელემენტი და ენა, და კულტურულ-ისტორიული განვითარება-დახვეწის კვალო-
ბაზე ღვთისმსახურება მშობლიურ ენაზე ეროვნული უპირატესობის იმ პირობებისაც შემო-
ვლაში, რომლებიც აქამდე ქართულ კვლევაში მოლოდინს [illegible] საკულტო საჭიროებისათვის.

კომენტატორის ამ შენიშვნის ჭეშმარიტებას „შუშანიკის წამების" სომხური ვერსიაც არ
ადასტურებს. აქ მოთხრობილია, რომ ციხეში გამომწყვდეულ დედოფლის სანახავად და სა-
ლოცავად მოდიან ქართველი მღვდელმთავრები, „თვეიცა იყო ეპისკოპოსითა სამთელ და
ანიცა ზემოურნი სოფლისა მის ქართლისანი" (გვ. 42). როგორ მოვარიგოთ ყოველივე
ეს კ. ს. ტერ-დავთიანის ისტორიულ-გეოგრაფიულ კომენტართან? ციხეში იტანჯება სომეხი ერის
შვილი, მხარეში სჭარბობს სომხური ეთნიკური ელემენტი და სახელგანთქმული დედოფლის
სანახავად არავინ მოდის სომხეთიდან?! ნაწარმოების თარგმნილი ვერსიის შემქმნელიც კი,
რომელსაც ხშირად ეროვნული ტენდენციების კვალობაზე უცვლია ძველი, კრინტს არ ძრავს
ქვემო ქართლის მცხოვრებ სომხეთა შესახებ. ჩანს, იგი ფიქრობდა, რომ გადაკეთება-გამოგო-
ნებაც არ შეიძლება იყოს უსაზღვრო.

□

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მურმან თავდიშვილი

# რაბლე ლაპარაკობს ჭეშმარიტ ქართულს

იმიტომ ვიცინით, რომ არ ვიტიროთ — ამ ძველი გამოთქმის მთელი საცხადით წარმოდგენა სწორედ ფრანსუა რაბლეს შემოქმედების გაცნობისას ხდება. და თუ შექსპირის პიესებში მიმობნეულ სიცილს ხშირად ცრემლი ახლავს, ფრანგი მწერლის თხზულებებში უშრეტი იუმორი ისე ბუნებრივად ერთვის დედააზრს, როგორც თაკარა, წყალმარჩხი ნაკადული — დედამდინარეს. რაბლე აღორძინების კიდევ ერთ ფიგურას ემსგავსება — ეს არის სულხან-საბა ორბელიანი, ვისი მოღვაწეობაც სწავლა-აღზრდაზე მრავალ წერტილში თანხვდება „გარგანტუასა“ და „პანტაგრუელის“ ავტორის დიდაქტიკას. ოღონდ რამდენადაც ამ ორი მოაზროვნის მოღვაწეობა ერთიანობას ამჟღავნებს აზრობრივი თვალსაზრისით, იმდენად განსხვავებულია მათი სტილი. სულხანი — მკაცრი სტილისტი, ლაკონიური, ლაპიდარული, დახვეწილი ენის პატრონია, ყველა ხელოვანზე უკეთ რომ ფლობს ერთ დიდ ხელოვნებას — წერტილის დროზე დასმის ხელოვნებას (ა. გაწერელია); ფრანსუა რაბლე კი უხვადმეტყველი მჭევრია, ოღონდ მდორე, მსუყე და შედედებულია მისი ენობრივი ფენომენი, ბარაქიანი, ჭარბლიანია მისი ფრაზა. „რაბლეს ენა ბუნების ისეთივე გაბედული ქმნილებაა, როგორც მისი რომანი“ (გ. მუჩაიძე). აქედან ამ ორი ოსტატის თხზულებათა თარგმნის პრობლემაც: თუ შედარებით ადვილი საქმეა „სიბრძნე სიცრუისას“ სხვათა ენაზე გადატანა, ძალზე ძნელია ფრანგი შემოქმედის სიტყვებში მოქცეული პოეზიის ადეკვატურად გადმოცემა. მით უფრო, რომ რაბლე ამბის მონა კი არ არის, არამედ შემოქმედებითი თავისუფლების ტყვეა და სწორედ ამგვარ თავისუფლებას ახასიათებს „სწორი უსწორმასწორობა“ (არისტოტელე), რომლის უზადოდ და უდანაკარგოდ გადმოქართულებაც დიდი პრობლემაა. გავიხსენოთ ილია ჭავჭავაძის მკაცრი პოლემიკა ი. კოზლოვის „შეშლილის“ თარგმანის ირგვლივ. ქართველთა შორის ფრანსუა რაბლეს დიდი და პირველი დამფასებელი ხომ სწორედ შეშლილის სიტყვების („სწორი უსწორმასწორობის“) უჯეროვნოდ გადმოღებას უსაყვედურებდა რევაზ ერისთავს.

რაბლეს „გარგანტუა“ სწორედაც რომ უცნაური და უცხოყური ნაწარმოებია, რადგან როგორც პერსონაჟთა შორის, ისე თვით მხატვრულ მეტყველებაშიც ვამჩნევთ იუმორის, გროტესკისა და ეროტიზული მიჯნურობის ისეთ ნაზავს, სადაც თვით სავსებით რეალურსა და დამაჯერებელსაც „უცნაური“ ელფერი ადევს, როგორც ნეონის შუქზე აბრწყინებულ სრულიად ჩვეულებრივსა და ყოველდღიურ საგნებს. ამ მხრივ დაუძლეველად რთული გვეჩვენება მაგისტრის სიტყვა გარგანტუას მამართ, თამაშობანი გარგანტუასი და სხვა. საჩინოა მთარგმნელის— ზურაბ გოგიაშვილის ხელოვნების მეთოდის სიზუსტეც. ჯერ კიდევ არისტოტელე იტყოდა თურმე: „განსხვავება გაბატონებული ლაპარაკის ჩვეულებრივი ფორმისაგან მოაშორებს ნათქვამს სიტლანქესო“ („პოეტიკა“). ამ სიტლანქის წინააღმდეგ გამოდის ზ. გოგიაშვილის მიერ არჩეული ოდნავ არქაიზებული სტილი. ამგვარი მეტყველება, მეორე მხრივ, რაბლეს ეპოქის ენობრივი კოლორიტის განცდასაც ქმნის. შესაშური სიზუსტით გამოურჩევია ძველქართული სიტყვები და გამოთქმები მთარგმნელს (სილოდა, გარნა, რამეთუ, ვითარცა...) და ფაქიზად, რაბლეს მხატვრული მეტყველების, სტილის გათვალისწინებით ჩაურთავს ტექსტში. ჯერ ქართულ თამაშობათა დასახელებანი რადა ღირს. მათ უნდა დავაჯგუფოთ ორლესული სიტყვა-ზმათა მარულა წიგნის 51-ე გვერდზე და კიდევ ერთი — ფრანსუა რაბლე დიდებული პოეტიცაა, მისი სტროფები შესაბამისი ოსტატობით აუჟღერებიათ.

სანიმუშოდ ერთი პროზაული ადგილი გავიხსენოთ, რომელიც აკლდამაში გარგანტუას საგვარტომო ნუსხის პოვნას ეხება: „ბევრი უარეს თუ ცოტა უარეს, ბოლოს ადგნენ და ზედ იმ ადგილს შეტეხეს, სად სახმისი იყო გამოსახული და გარშემო კი ეტრუსკულ ასოთა დასხმით

უწერა: აქა ღლავენ მეტეხეს და ცხრა ჭინჭილა ერთიმეორეზედ ისერიგად მიწყობილი ნახეს, ვითარ გასკონელთ კეგლთა ჩარიგება იციან. შუალა ჭინჭილისა ქვეშე წიგნი რამ იდო მეპერ-ოულა, თვალთმიმზიდველი, ქვედამზიდველი, მწვირიანი, კოხტა, კოკრობჭანა და [illegible], ხუნ-ვარდის უმეტესად ხდიოდა, ოღონდ, ვაგლახ, ვარდისა სუნი არ იყო“.

და კიდევ ერთი პროზაული ნაწყვეტი, ბახუსის სადიდებლად რომ დაუქარგავს რაბლეს:

— „რაც მეტს დავლბებით, უფრო ჩავტკბებით!

— თეთრი დაასხი, თეთრი! სულ ჩამოასხი, გულ-მუცელი მეწვის, გაალიცლიცე!

— ჰა, არ მივუჭახუნოთ, რას იტყვი, მოსაგრევ?

— მივუჭახუნოთ და მივუჭახუნოთ! შენი გამარჯვებისა იყოს!

— ღმერთივით ღვინოა!

— ღვინო კი არა, ნამდვილი ხავერდია!

— ოჰ, ოჰ, ოჰ, ამისთანა ტყუილია! ჩადის, მაგრამ რა ჩადის! ცალყურამი ჩამოასხა, იმას ბევრი ჩადის!

— მსმელნო, ძველნო, მწყურვალნო, მაგ წყურვილში გენაცვალეთ!

— აბა, ჰა, აზნაურიშვილო, ისე ჩამოუშვი, ხასმურსა გვირგვინი დაადგეს!

— კარდინალის სკარამანგსავით წითლისა დაასხი!

— ურჩხილზედ დავიწურე, ახლა შევსვი, მეტი რაღა ექნა!

— ეგრე, ეგრე, ბრეტონულადა ვყლურწოთ!

— მოყუდება და დალევა ერთი იყოს!

— ლალიე, ლალიე, პირდაპირ მალამოა!“

თავისთავად იგულისხმება: მთარგმნელი ამ შემთხვევაში არაა პწკარედივით ერთგული. ხალხური ცხადი, მკაფიო ქართულის დვრიტასთან თანაზიარია და სულ ერთთავად იმის ცდაშია, სამეტყველო ერთეულთა შორის უფრო ფაქიზი, კონტექსტურად ესთეტიკური მოიძიოს და მიაგნოს, რითაც ესოდენ უხვად არის მომადლებული ქართული „გარგანტუა“. ეს შედარებაც მხოლოდ იმისთვის იქნება ცხადი და თვალნათლივი, ვისაც მანდარინის ხე საკუთრივ გაუკრეჭია: დახარ ციტრუსოვნის ირგვლივ, უჭრატებ მწვანედ ახასხასებულ ტოტებს, ფოთლებს. სუფთად გაკრეჭილია. არც ერთი ნაყოფი არ ჩანს. მაგრამ საკმარისია ხელი შეახო რომელიმე ხომთარ რტოს, მიგრძო ფოთოლი ხრამაგრუშით გადაიწიე და აიქვითებულ ყვითელ ბულ-მქერდს გიჩენებს ოქროს ნაყოფი — ყველაზე უკეთესი დაკრეფილთა შორის. ასეთია „გარგანტუას“ ქართული თარგმანი. რაც უნდა გულდასმით წაიკითხო და მოიხილო მისი ენობრივი სიღრმენი, თუ ერთხელ კიდევ დაუბრუნდები, მასში უცილოდ აღმოაჩენ აქამომდე მიმალულ ოქროსფერ ნაყოფს — ხიბლიან ენობრივ მოხაქცევს, შაკვეთ ფრაზას, ხსიგიან თქმას...

გასტონ ბუაჩიძე წერს: კინოიდან შექსპირისეული ტარიელის ღირსეული მოპასუხე სხვაზე უფრო მეტად ისევ და ისევ რაბლეს სიცილია. ამიტომ შესანიშნავად გადმოქართულებული შექსპირის გვერდით რაბლეს ქართულ ენაზე ამეტყველება უკანასკნელ დრომდე არსებული ერთგვარი დისპროპორციის თავიდან აცილებასა და ჰარმონიის აღდგენას მოასწავებს. ეს კი [illegible]: ჰარმონია აღდგა თარგმანთა ენობრივი ღირსებების თვალსაზრისითაც.

□

ირინე ლოლობერიძე

# ელექტრას მითი ჟან ჟიროდუს დრამატურგიაში

პირველი მსოფლიო ომის შემდეგ დრამატურგიაში გაჩნდა ახალი მიმართულება, რომელმაც ზუსტი სახელწოდება გაცილებით გვიან, 50-იან წლებში მიიღო. ვგულისხმობთ „ინტელექტუალურ დრამას“, რომელიც ცნობილია „იდეათა“ ან „მითების“ დრამის სახელწოდებითაც. როგორც ფრანგული თეატრის ერთი მკვლევარი ამტკიცებდა, „ინტელექტუალური დრამის“ ჩანასახი მოგვცა ჯორჯ ბერნარდ შოუმ; ჯერ კიდევ XIX საუკუნის დასასრულს მან ჩამოაყალიბა თეზისი, თანამედროვე დრამის ერთადერთი სწორ ფორმას „დრამა-დისკუსია“ წარმოადგენს, სადაც მოვლენა-მოქმედება ერთგვარი საბაბია საზოგადოებაში მომწიფებულ სხვადასხვა პრობლემაზე მსჯელობისათვის. XIX საუკუნის „ინტელექტუალურმა დრამამ“ პოლიტიკის, მორალისა და ფილოსოფიის სფეროში წარმოშობილი შეხედულებები დაუპირისპირა ერთიმეორეს. საფრანგეთის „ინტელექტუალური დრამა“, რომელიც ჩვენი საუკუნის 20—40-იან წლებში წარმოიშვა, მთლიანად მორალურ კონტრასტებსა (გავიხსენოთ თუნდაც ჟ. ანუის „შავი“ და „ვარდისფერი“ პიესები) და იდეურ წინააღმდეგობებზეა აგებული.

პირველი „ინტელექტუალური დრამების“ ავტორი გახლავთ ჟან ჟიროდუ, დახვეწილი სტილისტი და დისკუსია-დიალოგის უბადლო ოსტატი. მისი პიესები „ამფიტრიონ, 38“ (1929); „ტროის ომი არ იქნება“ (1935); „შეშლილი შაიოდან“ (1945) — ამგვარი დრამის კლასიკური ნიმუშებია. „ინტელექტუალური დრამის“ განვითარებასთან ერთად საფრანგეთის 20—40-იანი წლების დრამატურგიაში იწყება ანტიკური მითებისა და სიუჟეტების აღორძინება.

ჟან ჟიროდუ ერთი პირველთაგანია, ანტიკური სიუჟეტები რომ გამოიყენა და თავის ტრაგედიებში ძველი მითები სრულიად ახლებურად ააჟღერა. მითი, ჟიროდუს აზრით, მუდმივად ცოცხალი საწყისი და უნივერსალური სიმბოლური სქემა ან სტრუქტურაა, რომელსაც თანამედროვეობის დამახასიათებელი აზრობრივი დატვირთვა და ფორმა აქვს მიცემული. მ. მელეტინსკი, „მითის პოეტიკის“ ავტორი, თავის წიგნში წერს: „მითოლოგია პირადული და საზოგადოებრივი ქცევის მუდმივი მოდელების აღწერას საკმაოდ მოხერხებულ ენად იქცა“. ცხადია, ყოველი ავტორი ამ „მოხერხებულ ენას“ მეტად თავისებურად აღიქვამს და მითის, როგორც „მუდმივი მოდელის“, მიხედვით ქმნის თავისი მსოფლმხედველობისა და ესთეტიკურ-პოლიტიკური იდეალების შესაბამის „პერსონალურ მითს“. სწორედ ასეთ „პერსონალურ მითთან“ გვაქვს საქმე ჟან ჟიროდუს შემოქმედებაში და კერძოდ „ელექტრაში“, რომელიც პირველად 1937 წელს დაიდგა „ათენეს“ თეატრში (რეჟისორი ლუი ჟუვე). ჟან ჟიროდუს „ანტიკური“ პიესებიდან „ელექტრას“ ყველაზე უფრო ბერძნულს უწოდებენ. მართლაც, ამ პიესაში ვხვდებით ანტიკური ტრაგედიისათვის დამახასიათებელ ტრაგიკულ ატმოსფეროს, ცოდვებს, მკვლელობებსა და ოჯახურ კონფლიქტებს. პიესაში, ავტორი სამი ერთიანობის კანონსაც იყენებს, მაგრამ ანტიკური კოლორიტის მიუხედავად, მასში მაინც ჟიროდუს „პერსონალურ მითს“ უფრო ამოვიცნობთ, ასევე მოქმედ პირთა სიტყვაცა და მოქმედებაც თვით ავტორის მსოფლმხედველობისა და იდეათა ანარეკლად წარმოგვიდგება.

საინტერესოა, გამოვარკვიოთ რამდენად გაჰყვა ჟიროდუ ბერძნულ მითს, რა ცვლილებანი განიცადა ელექტრას სახემ მის პიესაში და რით გამოიხატა ელექტრას მითის ხელახალი აღმოჩენა, ხელახალი ხედვა.

ჟიროდუს დრამის განვითარების ძირითადი პერსპექტივა ისეთივეა, როგორც ესქილესთან, დრამატული სიტუაციაც ესქილედან არის გადმოღებული, ოღონდ ეს კია, შურისძიების გრძნობით შეპყრობილი ჟიროდუს ელექტრა სოფოკლეს გმირს უფრო წააგავს. ბერძნულ ტრაგედიებში მომხდარ მკვლელობის უტყუარ დასაბუთებას (კლიტემნესტრას წინასწარმეტყვე-

ლურ სიზმარს, აგამემნონის სახლის მოხსენიება და ა. შ.) ჟიროდუსთან არ ვხვდებით. დანაშაული მასთან იმთავითვე არ არის ცნობილი, დრამის დასაწყისში ავტორი მას შემთხვევითობას მიაწერს, რის გამოც ჟიროდუს დრამა ძალზე უჩვეულოდ ვითარდება: მოქმედება, რეპლიკები, სიტყვათა თამაში ერთმანეთში იხლართება და საკმაოდ ორაზროვანი სურათი იქმნება.

ძირითადი პერსონაჟების გარდა ჟიროდუმ თავის დრამაში ახალი პერსონაჟები შემოიყვანა: მაგ. თეოკათოკლესების წყვილი, რომელიც კლიტემნესტრა-ეგისთეს გროტესკულ პაროდიას წარმოადგენს. საინტერესო ფუნქცია მიანიჭა ჟიროდუმ მათხოვარს და შთამბეჭდავად დახატა მისი სახე. ფაქტიურად ამ გმირს ანტიკური ქოროს როლი აქვს დაკისრებული, რადგან, ანტიკური ქოროს მსგავსად, იგიც გზადაგზა განმარტავს დრამაში მომხდარ ამბებს, წინასწარ ამზადებს და ამძაფრებს გარკვეულ ეპიზოდებსა და სიტუაციებს. ეს მხატვრული სახე ისე უნიკალურია, რომ ყველას ეჭვი ეპარება, მათხოვარია ეგა თუ „ღმერთების მიერ ელექტრას ქორწილზე გამოგზავნილი დელეგატი". მიუხედავად ასეთი აზრობრივი დატვირთვისა, მოქმედების განვითარებაში მათხოვარი უშუალოდ არ მონაწილეობს, რითაც იგი ევრიპიდეს ქოროს უფრო მოგვაგონებს, ვიდრე ესქილესა და სოფოკლეს მოქმედ ქოროებს. ჟიროდუმ ერთი ადამიანი აღჭურვა ყველა იმ თვისებით, ბრძნული ქოროს სხვადასხვა პერსონაჟებს რომ ახასიათებს და ამრიგად სავსებით ორიგინალური და დასრულებული მხატვრული სახე შექმნა.

ევრიპიდეს მიწისმოქმედის მსგავსად, ჟიროდუმ მებაღე შემოიყვანა. ოღონდ მებაღე ჯერ არ არის ელექტრას მეუღლე. განცდის სიღრმით გამოირჩევა მებაღის ჩივილი პირველსა და მეორე მოქმედებაში. მებაღის ლამენტო ჰგავს მძაფრი ტკივილით აღსავსე სიმღერას, რომელიც მოახლოებულ ბრძოლის გვაუწყებს და ერთგვარი ლირიულობით ემიჯნება საერთო ტრაგიკულ ატმოსფეროს. მებაღის პირით თვით ჟიროდუ მეტყველებს და ცხოვრებისეულ მრწამსს გვიზიარებს:

„სიხარული და სიყვარული სჯობს სიმკაცრესა და სიძულვილს"[1], ასე გვაუწყებს მებაღე, რომ ცხოვრების ერთადერთი მიზანი და ბოლო სიყვარულია. საინტერესოა ტრაგედიის დანიშნულების მებაღისეული განმარტება. ტრაგედიის დანიშნულება ის არის, ადამიანი ყოველდღიურობისაგან გაათავისუფლოს და ამაღლებულისაკენ მიუწოდოს,— ამბობს იგი. ჟიროდუს აზრით, ტრაგიკული სიტუაცია იქმნება სწორედ სიწმინდისაკენ, ჭეშმარიტებისაკენ სწრაფვისა და რეალურად არსებული მტრული ძალების დაპირისპირების შედეგად.

ერთ-ერთ ინტერვიუში პრემიერის წინ ჟიროდუმ ელექტრას შესახებ განაცხადა:

„გულმავიწყობისა და გართულებების შიშით" კაცობრიობას დიდი ბოროტმოქმედებების დავიწყებისა და მიჩქმალვის უნარი ახასიათებს. მაგრამ ყოველ ეპოქაში ჩნდებიან სპეტაკი არსებანი, რომელთაც არ სურთ, დიდი ბოროტმოქმედება დავიწყებას მიეცეს და ხელსაც უშლიან ასეთ დავიწყებას. ისინი ზოგჯერ თავად მიმართავენ ისეთ საშუალებებს, თავისთავად რომ იწვევენ სხვა დანაშაულსა და უბედურებას. ელექტრა ასეთ არსებათა რიცხვს მიეკუთვნება. მას სურს მიზანს მიაღწიოს თუნდაც საშინელ კატასტროფათა ფასად"[2].

ეს სიტყვები ფაქტიურად პიესის დედააზრს გამოხატავს: არც ერთი დანაშაული დაუსჯელი არ უნდა დარჩეს, სიმართლემ ყოველთვის უნდა გაიმარჯვოს, რადგან ადამიანის არსებობა ბოროტისა და სიცრუის გარემოცვაში მისი პიროვნების დაღუპვას უდრის.

ჟიროდუს აზრით, ადამიანის ცხოვრება რთულ და ზოგჯერ შინაგანად წინააღმდეგობრივ მთლიანობას წარმოადგენს. ეს ასეც არის, ვინაიდან ადამიანის ცნობიერება მრავალფეროვანია. ყოველი ადამიანის ბუნების ღრმა ფენებში ცოცხლობენ გარკვეულ წუთამდე თვით მისთვისაც კი დაფარული და უცნობი თვისებები. რაიმე ბიძგის შედეგად, ეს დაფარული გამოაშკარავდება. სწორედ ის წარმართავს ადამიანის პიროვნებად ქცევის პროცესს, მის, როგორც პიროვნების, თვითრეალიზაციას, თვითდამტკიცებას. აშკარა ხდება, რომ სწორედ ეს „დაფარული" შეადგენს მისი პიროვნების არსს და პიროვნულ საწყისს, რომლის განხორციელება მისთვის შინაგან მოთხოვნილებას, მის მიზანს წარმოადგენს. ელექტრას პრობლემა ჟიროდუს პიესაში სწორედ ამ „დაფარული" მე-ს აღმოჩენას, მის გაცნობიერებასა და ამოქმედებას ემსახურება. დრამის დასასრულს ელექტრა თვით ჭეშმარიტების ხორცშესხმად გადაიქცევა. მისი ძირითადი მიზანი, მისწრაფება და სურვილი დანაშაულის გამოაშკარავებაა, ამ დანაშაულის დასჯა და ჭეშმარიტების აღდგენაა. სწორედ ეს არის გმირის ე. წ. „დაფარული" ბუნება. დაფარულის გამოაშკარავებას მნიშვნელოვანი ადგილი უთმობა დრამის განვითარებაში. „დაფარულის"

1 Electre, antr'acte, p. 114; P., 1937.

2 Е. Финкельштейн «Картель четырех», стр. 176; М., 1974.

ამჟღავნებს კლიტემნესტრა, რომელიც სიმართლეს აღიარებს აგამემნონის სიკვდილის შესახებ. აშკარავდება ეგისთეს ნამდვილი ბუნებაც: მას სურს სწორედ ელექტრას უბიწო სულმა აკურთხოს იგი მეფედ. ასევე აშკარავდება დაფარული ევმენიდების ხასიათიც, რომლებიც დრამის დასაწყისში პატარა აბეზარ გოგონებად წარმოგვიდგებიან, დასასრულში კი შურისმაძიებელ ერინიებად იქცნენ.

ადამიანში პიროვნული საწყისის გამოღვიძება და გამოაშკარავება, უსამართლობასთან ბრძოლას, შეურიგებლობის გამარჯვებისათვის შესაძლებელი გზების ძიება, დიდებულის გამოაშკარავება. — აი, ჟიროდუს დრამატურგიის მთავარი პრობლემები და მიზანი. სწორედ ეს არის მისი „პერსონალური მითის" არსიც, მაგრამ ამ კარდინალურ საკითხთა სირთულე ზოგჯერ თავად ჟიროდუს აყენებს გადაუჭრელ პრობლემათა წინაშე. მის დრამებში გვხვდება წინააღმდეგობანი და სიტყვათა ისეთი თამაში, რომლებიც ორაზროვან შთაბეჭდილებას ქმნიან. ამიტომაც უწოდებენ ჟიროდუს XX საუკუნის „პრეციოზულ პოეტს". გადაჭრილ პასუხს ჟიროდუ არ იძლევა, იგი ხშირად კამათობს, ერთი და იმავე მოვლენის სხვადასხვაგვარ ვარიანტს სთავაზობს მკითხველს და პასუხის არჩევანის საშუალებას აძლევს მას. „ელექტრა", ჟიროდუს თქმით, „რომანად ქცეული დრამაა", რასაც უბრალო სტატისტიკაც კი ადასტურებს: სოფოკლეს „ელექტრაში" შვიდი პერსონაჟია, ქორო და ათასს თერთმეტი რეპლიკაა; ჟიროდუს დრამაში კი — თცდაერთი პერსონაჟი, მუსიკა და ათას ას სამოცდათვრამეტი რეპლიკა. დრამის რომანად ქცევა, მისი დიდი მოცულობა, სიტყვათა თამაში და „პრეციოზული" სტილი ერთგვარად აფერხებენ მოქმედების განვითარებას. თუმცა თვითონ ავტორი ყოველივე ამას თანამედროვე და ანტიკური ეპოქის შემაკავშირებელ ხიდს უწოდებს.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, ჟიროდუს დრამაში ელექტრას სახე თანდათან ვითარდება. ბერძნულ ლიტერატურაში კი იგი სტაბილურია, თავიდანვე დასრულებული, ჩამოყალიბებული და მთლიანი. ჟიროდუს დრამის დასაწყისში ელექტრა თითქოს წინასახეა II მოქმედებაში ნაჩვენები ელექტრასი, მას ჯერ ვერ გაუცნობიერებია, ვერ დაუდგენია სასახლეში გამეფებული სიყალბისა და ორპირობის მიზეზი და, საზარელი ეჭვებით შეპყრობილი, ყველას უთვალთვალებს. მთელი ქალაქი გრძნობს მისი აფორიაქებული სულის მოუსვენრობას:

„ოჰ, ღმერთო ჩემო, აი ელექტრაც, რა მშვიდად ვიყავით აქამდე..."[1], ამბობენ მოქალაქენი. ხოლო მათხოვარი ამბობს: ელექტრა „ჩირაღდანია საწვავის გარეშე, პატრუქს მოკლებული სინათლეა."[2]

ევრიპიდეს ელექტრა თავისი ოჯახის და დამცირებული თავმოყვარეობის მოსარჩლეა, ჟიროდუს დრამაში კი ეგისთე ახასიათებს მას, როგორც ქალაქ არგოსის სინდისს:

„ელექტრას დანახვისას ვგრძნობ, როგორ ვინანიებ აკვანში ჩადენილ ცოდვებს. მისი მზერა ხამოხა ცოცხლებისადმი გამოწვევა და მუქარაა". 3.

ელექტრამ საკუთარი მამის კულტი შექმნა და მთელ დღეებს მის გაუთავებელ გლოვაში ატარებს, რითაც ჟიროდუს გმირი იუჯინ ო' ნილის ტრილოგიის — „ელექტრას ძაძები შეეფერება" — მთავარ გმირს ემსგავსება. თანამედროვე ფრანგული თეატრალური მკვლევარი ა. გოზენპუდი წერს: „ელექტრას მითისადმი ინტერესი XX საუკუნეში უდაოდ ფროიდის მოძღვრებამ გამოიწვია. ბევრი დრამატურგი მიიზიდა ძველბერძნული მითისა და ფსიქოანალიზის შერწყმის შედეგად ტრაგედიის შექმნის იდეამ. ელექტრას უჩვეულო სიძულვილს ადვილად ხსნიდნენ მამისადმი ავადმყოფური სიყვარულით."[4]

ო'ნილის ტრილოგიაში ეს მოტივი დრამის განვითარებას საკმაოდ მძლავრ ხაზად წარმოგვიდგება. ჟიროდუც მიანიშნებს ელექტრას სიყვარულზე მამის მიმართ, უფრო მეტიც, იგი ხაზგასმულიც კია, მაგრამ ხაზგასმულია — ხელოვნურად და ამიტომ ორგანულად ვერ ერწყმის დრამის საერთო განვითარებას. ჟ. ჟიროდუ თითქოსდა ხარკს უხდის ფროიდიზმით საყოველთაო გატაცებას, ელექტრას მიერ დედის მოძულებას კი სხვაგვარად ხსნის. აღსანიშნავია, რომ ო'ნილისაგან განსხვავებით ჟ. ჟიროდუს გმირს ეს გრძნობა (სიძულვილისა) თავდაპირველად გაცნობიერებული არცა აქვს. „მე მძულს იგი სიძულვილით, რომელიც მე არ მეკუთვნის"[5], — ამბობს ელექტრა. იქნებ ეს გრძნობა ელექტრას ღმერთებმა შთააგონეს, როგორც ესქილესთან, ანდა იგი ბედისწერის გავლენით ვითარდება, როგორც ევრიპიდესთან? ჟიროდუს ტრაგედიაში

[1] Electre, acte I, p 33; P 1937.
[2] ilid, acte I, p 108.
[3] ilid, acte I, p. 127.
[4] Гозенпуд А. «Пути и перепутья», стр. 200, Л. 1967.
[5] Electre . acte II. P. 1937.

ღმერთები საერთოდ არ არსებობენ, ელექტრას აზრით, ის, ვინც ღმერთებს მიმართავს, დედამიწას ღალატობს. რაც შეეხება ევრიპიდესეულ ბედისწერას, ჟიროდუ მას შემთხვევითობით ცვლის და ამ შემთხვევითობას „ღმერთების ჰარმონიობას" უწოდებს. ელექტრას სიძულვილის მამის სიყვარულის კულტი კი არ უდევს საფუძვლად, როგორც ო'ნილთან, ეს მისი შინაბუნებაა, ჭეშმარიტებას რომ დაიცავს და მის დასამკვიდრებლად იბრძვის.

ელექტრა უკვე აშკარად გრძნობს, რომ მას სწორედ კლიტემნესტრას ყალბი ბუნება სძულს, ვერ ეგუება კლიტემნესტრასა და ეგისთეს ყალბი სიმშვიდით აღსავსე ცხოვრებას. ელექტრას აზრით, კლიტემნესტრას ყოველი მოქმედება ყალბია; ყალბი იყო მეუღლის მიმართ, ყალბია ეგისთეს სიყვარულშიც. მის მიერ ჩადენილი მკვლელობა მხოლოდ მაშინ იქნებოდა გამართლებული, თუ არ დამალავდა ამ ბოროტმოქმედებას და ისე სიცრუეში არ განაგრძობდა არსებობას. სწორედ ადამიანის ბუნების ეს ორი შეუთავსებელი თვისება: სიცრუე და ჭეშმარიტება წარმოშობს დედა-შვილს შორის ჯერ გაუცხოებას, შემდგომ კი სიძულვილსაც.

ჟან ჟიროდუს ადრინდელ პიესაში „ტროას ომი არ იქნება", გაუცხოება სუფევს ანდრომაქესა და ელენეს ურთიერთობაში, მაგრამ ისინი არ ნიღბავენ მტრულ ურთიერთდამოკიდებულებას და გარკვეულ დრომდე გულახდილნიც კი არიან. „ელექტრას" დედა-შვილი კი ამ უმნიშვნელო გულახდილობასაც მოკლებულნი არიან და ერთმანეთს დაუნდობლად ებრძვიან.

ელექტრა მოუთმენლად მოელის ორესტეს. ძმას მოლოდინი ელექტრას ბუნებასა და გრძნობებს „ადუღებს ისე, როგორც ღვინლები ღვინოს". ელექტრას ჰგონია, ძმის სიყვარული მის სულს სიძულვილისაგან გაათავისუფლებს და ამ სიყვარულის მეშვეობით თვით სინაზედ და სათნოებად გარდაიქმნება. ელექტრას ეს იმედიც უცრუვდება. ორესტეს ჩამოსვლამ, მისმა სიახლოვემ სიძულვილი გაუძლიერა ელექტრას; სიძულვილის „სუნიც" აგრძნობინა და ფიზიკურადაც შეაგრძნობინა მისი სიძნელება. ამრიგად, ორესტეს ჩამოსვლა სიმართლის დადგენის სურვილს უძლიერებს ელექტრას. შეგნებული სწრაფვა ჭეშმარიტებისაკენ კი უკვე „გამოფხიზლებულ" ელექტრას ეკუთვნის, იმ ელექტრას, რომელმაც თავისი დაფარული ბუნება გამოავლინა და განამტკიცა. აღსანიშნავია მათხოვრის რეპლიკა I აქტის დასასრულს: ორესტეს და ელექტრას ხელიხელგადახვეულთ ხედავს, მათხოვარი უყურებს მათ და სინანულით დასძენს: „ეს ელექტრას პირველი დასვენებაა და ორესტეს უკანასკნელი სიმშვიდე".[1] ამით მათხოვარი გვამცნობს, რომ ელექტრამ „ძიება" დაასრულა, მან სიმართლე დაადგინა და თავისი მოწოდება მის (ჭეშმარიტების) გამარჯვებაში ჰპოვა. სწორედ ამიტომ სძინავს ელექტრას ასე მშვიდად.

მეორე მოქმედებაში ეჭვებისაგან განთავისუფლებულ, სიმართლეს ნაზიარებ ელექტრას ვხედავთ. მან უკვე იცის, რა უნდა მოიმოქმედოს ჭეშმარიტების აღსადგენად და ჩადენილი ბოროტმოქმედების დასასჯელად. ამ თვალსაზრისით საინტერესოა მათხოვრისა და ელექტრას დიალოგი:

მათხოვარი — ის უკვე შორს აღარ არის, ხომ ასეა, ელექტრა?
ელექტრა — არა, ის აღარ არის შორს.
მათხოვარი — მე ვთქვი ის, მე დღე მაქვს მხედველობაში.
ელექტრა — მე კი ნათელი.
მათხოვარი — ნუთუ არ გგონია, რომ მატყუარების სახეები მზით არის განათებული, რომ მოღალატეებს და მკვლელებს ცის ფერი ჰფენს ნათელს? აი ეს არის დღე და ეს უკვე სანუგეშოა.
ელექტრა — არა, მე მსურს, რომ მათი სახეები გაშავდნენ შუადღისას, ხოლო ხელები გაალისფერდნენ. აი ეს იქნება ნათელი.[2]

ელექტრას თვითრეალიზაცია სხვა გმირთა არსსაც ააშკარავებს. ელექტრას მოწინააღმდეგე ეგისთე მოქნილი, გაიძვერა კარიერისტია, იგი მეტად კმაყოფილია თავისი რეგენტობით. ეგისთეს ჰგონია, რომ სწორედ მან მოუტანა არგოსს სიმშვიდე და ასე ხნის ქალაქის მაჩვენებლები ეგის კეთილდღეობას; უკვე ოცი წელია „ღმერთებს სძინავთ" და არც იხსენებენ არგოსს. ეს კი თურმე იმიტომ მოხდა, რომ მან, ეგისთემ, ულმობელი ბრძოლა გამოუცხადა ყველას, ვისაც შეეძლო „ღმერთებისათვის ნიშანი მიეცა. ეგისთე დაუნდობლად ებრძოდა ისეთ პიროვნებებს, რომლებიც მისას გამოარჩევდნენ, დროშას აფრიალებდნენ და ფარებს აანთებდნენ". ელექტრას

---

1 Electre, acte I., p. 109; P., 1937.

2 Electre, acte II., p. 123; P., 193.

სასახლიდან მოცილებისაც ამისთვის ლამობდა, რომ „უფერულ ქმარში" ვერით იგი და მისი სიტყვებისათვის და მოქმედებისათვის გამბედაობა და ბრწყინვალება მოუკლავს. ასეთია ეგისთე დასაწყისში, ხოლო დრამის დასასრულს ჩვენს წინაშე მეფეა, რომელსაც შეგნებული აქვს, რომ ქალაქის გადარჩენა მხოლოდ მას, ძლიერ პიროვნებას, შეუძლია. მაგრამ ამავე დროს ეგისთეს სურს, რომ სწორედ ელექტრამ თავისი უბიწო სულით აკურთხოს იგი მეფედ და თავისი ხელით გადასცეს მეფის გვირგვინი. მათხოვარი ყურადღებით ადევნებს თვალყურს ელექტრასა და ეგისთეს მეტამორფოზებს. მას აინტერესებს, ერთის მხრივ, ვინ უფრო ადრე გამოაამჟღავნებს თავის თავს და, მეორე, რა გაიმარჯვებს: ადამიანური სინდისი ელექტრას სახით, თუ სახელმწიფოებრივი პრინციპი, ეგისთეს სახეში რომ ცნაურდება.

„ყველაფერი ცხადდება ბუნებაში, — ამბობს მათხოვარი,
შეჯიბრიც კი! და დღეს, თუ დამიჯერებთ, საჭიროა
მხოლოდ ერთი რამ გაირკვეს: ვინ უფრო ადრე გაიმარჯვებს:
მეფე ეგისთეში, თუ ჭეშმარიტი ელექტრა ელექტრაში"[1].

აღსანიშნავია ამ ორი ანტიპოდის, ორი საწინააღმდეგო ძალის: ელექტრასა და ეგისთეს დიალოგი:

ელექტრა — მხოლოდ ჭეშმარიტებაა დასაცავი და ყურადღების ღირსი.
ეგისთე — არსებობს ჭეშმარიტება, რომელსაც ხალხის დაღუპვამდე მიყვანა ძალუძს.
ელექტრა — დაღუპული ხალხის აზრი და გონი საუკუნეების მანძილზე ციმციმებს. სამშობლოს გადარჩენა კი შეუძლია მას, ვისაც სუფთა ხელები აქვს[2].

ელექტრა სპეტაკი, ტრაგიკული გმირია, მას ბოროტმოქმედების მიჩქმალვა და პატიება არ შეუძლია.

„ყველაფერი, რასაც ელექტრა ამბობს, კანონიერია, ყველაფერი, რასაც იგი მოიმოქმედებს უდაოა. ასე რომ, თუ ელექტრა მშვიდობიან და ბედნიერ არსებობას უარყოფს, ეს იმიტომ, რომ იგი მართალია",[3] ამბობს დასასრულს მათხოვარი და იქვე ელექტრას სიტყვებიც:

„მე სამართალი მიპყრია ხელთ, მე ყველაფერი გამაჩნია"[4]

ჟან ჟიროდუმ ელექტრა სრული მორალური უფლებებით აღჭურვა. ელექტრა თავისუფალია, რათა განსაჯოს და დასაჯოს. ბერძნულ ტრაგედიებში არც ერთ ავტორს ელექტრასათვის ამდენი უფლება არ მიუნიჭებია და ამ უკომპრომისო გმირის სიმართლის მოპოვების სურვილი აბსოლუტურ მიზნად არ გადაუქცევია.

ჟან ჟიროდუს ელექტრას დაუცხრომელი ძიება, რომელიც, მათხოვრის ზუსტი დახასიათებით „პოლიციურ ძიებას" ჰგავს, პირდაპირ უკავშირდება საფრანგეთის 30-იანი წ. პოლიტიკურ მდგომარეობას, როდესაც აფორიაქებული ქვეყანა ორმაგი საშიშროების წინაშე იდგა: ერთი მხრივ მას უცხოური ინტერვენცია ემუქრებოდა, მეორეს მხრივ — სამოქალაქო ომი.

ელექტრას მითის ახალი გააზრება, მისი ახალი ინტერპრეტაცია, განაპირობა ჟიროდუს მისწრაფებამ, მიეცა კონკრეტული ორიენტაცია მტრულ ძალებთან პირისპირ მდგომი თანამედროვე საზოგადოებისათვის. ელექტრას პრობლემა სულიერ ღირებულებათა შენარჩუნებისათვის ბრძოლაა. ჟიროდუს დრამის შექმნა ორმა ფაქტორმა განსაზღვრა: 30-იანი წლების მსოფლმხედველობამ და ამავე ხანის პოლიტიკურმა სიტუაციამ.

საფრანგეთის თანამედროვე თეატრის ცნობილ საბჭოთა მკვლევარს ელენე ფინკელშტეინს ელექტრას შესახებ შემდეგი სიტყვები აქვს მოყვანილი:

„1937 წ. ეგისთეს ზურგს უკან მოახლოებული მეორე მსოფლიო ომის შავი აჩრდილი იდგა. ამ აჩრდილმა მსოფლიოსა და ფაშისტური ქვეყნებით ალყაშემორტყმულ საფრანგეთს უკვე გადააფარა შავი სამოსელი და ამ დროს ის „სპეტაკი არსებანი", უსამართლობის მორჩილებაზე უარს რომ აცხადებდნენ, რასაც ესპანეთის მიწა-წყალზე იბრძოდნენ".

□

[1] Electre, acte II, P. 1937.
[2] Electre, acte I, p. 52. P., 1937.
[3] ilid, acte I, p. 108.
[4] ilid, acte II, p. 218

ეროვნული ბიბლიოთეკა

## პ. სევაკი, „იქმენინ ნათელი“, „მერანი“, 1979

პარუირ სევაკის ერთ ლექსს „უსაქმურობა“ ჰქვია. ეს არის ფიქრები უსაქმურობის გამო, ანუ — საქმიანი უსაქმურობა. სულიერი მდგომარეობის ეს აქტი ორგანული ნიშანია სევაკის პოეტური შთაგონებისა. ეს ის უსაქმურობაა, რაც აუცილებელია შთაგონებისათვის. მაგრამ აქ ლექსის სათაური სარკასტულია და პარადოქსული ხასიათის მანიშნებელი. ეს ის უსაქმურობა როდია, როცა კაცი უმზერს ციურ სამყოფელს უზენაესის სახილველად, არამედ საშინელი ტკივილებითა და დამტანჯველი ფიქრებით აღვსილი უსაქმურობაა. ამ უსაქმურობით ცხოვრობს თავის ლექსებში პარუირ სევაკი, როგორც პოეტი და როგორც პიროვნება.

სევაკი რთული პოეტია. იგი სხვანაირ წაკითხვას მოითხოვს. სხვანაირ წაკითხვას მოითხოვს არა მისი ვერსიფიკაციული მხარე, არამედ მხატვრული აზროვნების სტილი. სწორედ მისი პოეტური აზროვნების სტილია თავისებური და არა ლექსის გარეგნული ფორმა. მისი ლექსები შემეცნების შედეგებს კი არ წარმოადგენენ (როგორც ეს ჩვეულებრივ ხშირად ხდება ხოლმე), არამედ შემეცნებისა და თვითშემეცნების პროცესებს, უშუალოდ დროის ამ მომენტებს, როცა ფიქრი მიმდინარეობს. ეს ურთულესი გზაა პოეზიაში. ადვილი შესაძლებელია მარცხი, თუ პოეტს ძლიერი გონება და ზომიერების გრძნობა არა აქვს. ზომიერების გრძნობა კი განვითარებული აქვს სევაკს, მიუხედავად იმისა, რომ იგი ძლიერი ვნებათაღელვის პოეტია, სულის ყოველი მოძრაობა და ყველა ირაციონალური მომენტი, რაც მის შეგრძნებებში ბუდობს, ღრმად აქვს გაცნობიერებული და გონების სიღრმეში გადატანილი. ამიტომ არის მისი პოეტური აზროვნება რაციონალური და ლოგიკური. აქ ყველაფერი კანონზომიერებით სუნთქავს, შემთხვევით არაფერი ხდება; მაგრამ სწორედ აზრის ეს რაციონალიზმი და ლოგიკურობა იწვევს მძლავრ ემოციასა და შინაგან დაძაბულობას.

„იქმენინ ნათელი“ მთლიანად იმის ამეტყველებაა (თუ ფსიქოლოგიურად მოვახდენთ ლექსების პროექციას პიროვნებაზე), თუ რა რთულ და ტკივილებით შემოსაზღვრულ პიროვნებასთან გვაქვს საქმე. ჩვენ წინ დგას კაცი, რომელსაც მთელი თავისი შესაძლებლობანი თვითშემეცნებისაკენ წარუმართავს და მხოლოდ იმ კანონზომიერებებს უშვებს თავისი სულის წიაღში, რაც აუცილებელია ყოფიერებისა და ჭეშმარიტების მოსაძიებლად. ეს კი უმძიმესი გზაა ცხოვრებისა: „...მე ჩემს ტვირთს აუტანელს, ვეწევი მაღლა, ჩემი თავის და ჩემი გულის ტვირთს, რომლის ქვეშაც ორმაგად ვათრევ მუცელხოხიავით ჩემს სხეულს ახლა.“ ყველა კავშირი, რასაც იგი ამყარებს ნივთიერი სინამდვილის მოვლენებთან, არსებობს მხოლოდ თავის თავში და თავისთვის, სხვა ფორმალური კავშირები მას არ აინტერესებს; მთავარია, რასაც თვითონ გრძნობს და განიცდის. „აღსარება საკუთარ თავთან“,— ასე შეიძლება ეწოდოს მის ლექსებს. ამ ლექსების კითხვისას ისეთი შეგრძნება გეუფლებათ, თითქოს დახშულ კამერაში მოხვედრილიყავით, სადაც გარესამყაროს ვერც ერთი ბგერა და ფერი ვერ აღწევს ნატურალური სახით. სევაკის პოეტურ სამყაროში საგნებს თითქოს დაკარგული აქვთ საკუთარი სახე და ისეთი დეფორმირებული გზით შემოდიან ჩვენში, თითქოს უწონადობის გარსში მოქცეულიყვნენ. ამ უწონადობის გარსქვეშ ყოფნა ძნელია, ძნელია თვით პოეტისათვისაც. მაგრამ სხვაგან და სხვანაირ მდგომარეობაში ყოფნა უფრო ძნელი იქნებოდა მისთვის. იგი უარყოფს იმას, რაც საშინლად უყვარს და ამ უარყოფით იტანჯება. მაგრამ კიდევ უფრო მეტად დაიტანჯებოდა, რომ არ უარყოფდეს. ესაა მისი ცხოვრების პარადოქსი. მისი აღსარება მიემართება არა სხვისკენ, არამედ საკუთარი თავისკენ, გარედან შიგნით. რამდენადაც ღრმად შევყვებით ამ სპირალურ საფეხურებს, იმდენად უფრო გვიტაცებს წიაღ-

სჯულა სანახაობა. გვაოცებს, რადგანაც მარტოსულობის გარსით არაა შემოსილი მისი სული: „ჰე ყოფილიყავ, იტირებდა შენავე ცრემლით... და მოირჩენდი შენს საკუთარ ქარქაშივე ტკივილს. მაგრამ ცრემლები შენი შენვე გღრღნის... სინდისივით! შენ ამა ქვეყნის ტკივილე-ბის წინაშე სე ხარ, — ქერქატკეჩილი! ადამის ძის ფორმა გაქვს მხოლოდ! და [illegible] მაგ შენს ხეზე, ცოტად თუ ბევრად, ახლა ჯანმრთელი თუა რამე — არის თვალები!" და მარ-თლაც, სევაკისათვის განიადაგებული მზერა არის ის მდგომარეობა, სადაც [illegible] ფიქრი და თვითშემეცნების ღრმა და მტანჯველი პროცესი. იგი ისე ღრმად შედის [illegible] ქარქვებში, ისე დამაჯერებლად წარმოიდგენს მსოფლიოსთან მისასვლელ გზებს, თვითონ ხდება ცენტრი შემეცნებისა, საიდანაც ყველაფერს წვდება მისი გონების თვალი. ამიტომ გაისმის ხოლმე მის ლექსებში კატასტროფიულობის ტონები; ბუნება და ადამიანი მექანიკად იქცა, ყოველივე ასუსხელ ანალიზს დაექვემდებარა: მსოფლიო უფორმო, ქაოსურ სახედ იქცა, სადაც ყველაფერი გაქვავებულია, გათელილია და აზომილია საშინელი მანქანიზმით. ასეთ დროს, მისი სატირა ისეთი მწარეა და ისეთი ტრაგიკული, ღიმილის ნასახიც კი არ საჩინოვდება მის სახეზე: „თქვენ მწუხარების ანალიზსაც მოახერხებდით და მისგან, ალბათ, ამ უხილავ კამლს მიიღებდით, რომელსაც სწორედ მწუხარება გამოჰყოფს მუდამ და სად და როგორ ქრება ხოლმე, კაცმა არ იცის!.."

მისი პოეტური პიროვნება ორსახოვან თვისებას ითავსებს: ერთია კრიტიკული შემეცნე-ბის უნარი, მეორეა გულუბრყვილო წვდომა ცხოვრებისა. ზოგჯერ კი გულუბრყვილობა ისეთ ხარისხში გადადის, პოეტური აზროვნება ტოვებს სურეალისა და ოცნების საზღვრებს და ასეთნაირ გარემოში გადავყავართ, რომელიც ჰგავს კიდეც ფანტასტიკურს და არც ჰგავს. ერთი კი ცხადია, მას თავისი გულის მიყრუებულ კუნჭულში მოუძებნია ადგილი, სადაც ჯერ კი-დევ არ ჩამქრალა იმედის ნასახი. მაგრამ ამ გულუბრყვილო ოცნებებსაც იმდენი ფიქრი და განსჯა ახლავს, ნებისა კრიტიკული თვითშემეცნების დროსაც არ კარგავს თავის ძირითად პოეტურ სახეს. და ეს არის მისი პოეტური ამპლუაც. მისი საფიქრალი გლობალური ხასი-ათისაა და ცხოვრების საჭირბოროტო საკითხებით არის გამსჭვალული. იგი ღრმად სოცი-ალური პოეტია (ამ ცნების უფართოესი გაგებით), — მიუხედავად იმისა, რომ ეს სოციალუ-რობა მის უღრმეს სულიერ წიაღშია ჩაწაფლული და ჩაბარქვავებული.

სევაკი არის კაცი, რომელმაც გაიარა რთული გზა შემეცნებისა, ამ გზაზე ისილა ბოროტიცა და სიკეთეც ამქვეყნიური და მაინც მის სულს რაიმე ბიწი არ შეხებია; პირიქით — მისი სუ-ლი კანმტკიცდა და გამოიწრთო. ამ ნაწრთობი სულით უკავშირდება ქვეყნიერებას, უკავშირ-დება მარადიულ სინათლეს. მაგრამ ეს სინათლე უკეთურთათვის მიუღწეველიცაა და დაფა-რულიც. თუმცა ორივე დასაბამი ამქვეყნიურია: სიკეთეც და უკეთურებაც, სიწმინდეც და უწმინდურებაც: „ქვეყანას ჩვენში სიწმინდე უნდა, სწორედ ამ ბავშვის, ყოველ ცისმარე ამ ქვეყანას რომ მოუვლენენ აგრეთვე ქვეყნის... უწმინდურება, წარმოიდგინეთ, უწმინდუ-რებაც, რადგან... ქვეყანას სიწმინდე უნდა!"

პოეტს აშფოთებს ის, რომ ადამიანებმა დაკარგეს რწმენა და თვითკმაყოფილებას მიეც-ნენ, რომ ისინი ისე არიან ატროფირებულნი, ვეღარც კი გრძნობენ ამ ტანჯვისა და მწუ-ხარების მიზეზს, რაც მათ არსებობას თრგუნავს და ზღუდავს. ქვეყნად საშინელი სენი გამე-ფებულა: თვითკმაყოფილება, გულგრილობა, აბსოლუტური ინდიფერენტიზმი. ყოველივე ეს კი უპირველესი ნიშანია ადამიანის დაცემა-გადაგვარებისა („კმაყოფილება კარგია კია, მაგრამ თუ იგი ზომაზე მეტად მოგვცდა, — ფათერაკია, რაიც ჩვენს საწყალ თავს გარშემო კი არ ველება, არამედ ჩვენში, შიგნიდან, ფესვს იდგამს კიბოდ!.."). ყოველივე ინერციას მოუცავს და ადამიანიც ამ საშინელ ინერციას ექვემდებარება, დროის ინერციას; მას საკუთარი მო-თხოვნილებანიც კი აღარ აქვს, ყოველივე მანქანიზმის დამორჩილებია. მანქანიზმსა და სუ-ლიერ სიბერწეს: „ისე გავიდა ეს ცხოვრება, სულ ვწუწუნებდი: „დრო რომ მექნება"... ახლა ხომ მაქვს — დრო მქვია ამის? ეს — საქმის წყურვილს და მოწყვეტილ მეცელს ჰგავს დროსი!.." ამ სიცარიელეში გაისმის მისი ქვეტექსტებიდან კითხვები: მაშ სად არის ხსნა? სად ჰპოვოს ნავსაყუდელი კაცმა, გადაკარგულმა სამყაროს უსასრულობაში? გაურკვევლობა, — აი, ყველაზე გაურკვეველი ნიშანსვეტი ტკივილებისა, ტკივილისა, რაიც სანთელივით ანთია და მიაკვლევს გზას სიწყვდიადეში: „არსებობს ერთი გარკვეული გაურკვევლობა. და კვალდაკვალ არის იგი თრგარსხავი!.. როგორ უცხოვრებ ამ შხამიან და მყარ ფორმებში? ასე უსულო ფორმებს შორის როგორ იცხოვრებ?".

შემეცნებისა და თვითშემეცნების ამ ურთულეს პროცესში პოეტი მრავალ გზას ეძიებს კაცის სახსნელად, მრავალნაირი მიმართულებით წარმართავს თავის ფიქრებს, მრავალგვარ-

აზრს უღებს გულსა და გონებას. ეძიებს იმ ტკივილების წარმომშობ მიზეზებს თუ შედეგებს, ყველა ადამიანს რომ ერთი განსაცდელით აერთიანებს, და ეს განსაცდელი გარდუვალი სიკვდილის შიში კი არ არის (ეს თავისთავად იგულისხმება), არამედ რწმენადაკარგული კაცის შიშია, რომელსაც ბოლომდე არ დაუკარგავს იმედის სხივი, მაგრამ მაინც ეგზისტენციალისტური განწყობილებებით არსებობს („სარწმუნოება მცდარი თუა, ეს ჩვენ ვიცით, მაგრამ თვით რწმენაც ხომ არ არის მთლად შეუძლებელი?! რადგან შეცდომა ჭეშმარიტების [illegible] ხილვას, რაღაც ჭეშმარიტს ვარქმევთ, შემოწმებას მოითხოვს ისიც!") ასეთი თვალსაზრისი წამიერი განწყობილებით მოტანილი როდია, არამედ ხანგრძლივი ფიქრისა და ცხოვრების შედეგია და ერთ-ერთი მთავარი ადგილი უჭირავს ყოფიერების შემეცნებაში. მაგრამ მას უპირისპირდება სხვა თვალსაზრისი, ამ თვალსაზრისს კიდევ სხვა და ასე იქმნება ის მანკიერ-შეუცნობადი ჯაჭვი, რასაც კაცის ცხოვრება ჰქვია. ეს თვალსაზრისები ხშირად ერთმანეთის საპირისპირონიც არიან და ერთმანეთის გამომრიცხავნიც და სწორედ ეს არის მისი სატანჯველიც, რადგან ცხოვრება ასეთია და არ შეიძლება მისი გალამაზება და გაერთმნიშვნელიანება. და სწორედ ამიტომ არის ცხოვრება მარად მშვენიერი სახე. მშვენიერია თუნდაც იმის გამო, რომ შეგიძლია კიდევ მოულოდნელი ამქვეყნიური სიკეთე. ეს არის მისი მისია: „... და არც წყალობის სათხოვნელად მოვსულვარ ქვეყნად, მოვედ რომ თავად სიკეთე და წყალობა გავცე..."

მის წინაშე ორი მარადიული სვეტია აღმართული: სვეტი სიკეთისა და სვეტი ბოროტისა. მაგრამ სევაკის ლექსებში გამორიცხულია ამ ორი კატეგორიის მოძველებული და გაცვეთილი დაპირისპირება, რაც ხშირად სიტყვების პოეტიკაში ვლინდება ხოლმე. მის სპირალისებურ აზროვნებაში ისინი ისეა ერთმანეთს შერწყმული, გაგიჭირდებათ მათი დაშორება; და ეს მართლაც ასეა: ხშირად ძნელი გასარჩევია ცხოვრებაში, სად იწყება სიკეთე და სად თავდება ბოროტება. ისინი არ არსებობენ ცალ-ცალკე აბსოლუტური სახით; ერთიმეორის გამოვლენას უწყობენ მხოლოდ ხელს. მაგრამ მთელი სიმწვავით იგრძნობა: თქვენს წინ დგას კაცი, რომელიც მთელი თავისი ორგანულობით ვერ ურიგდება ყოველგვარ უწმინდურობასა და სიავეს, თითქმის ავადმყოფურად განიცდის ყოველნაირ ბოროტულ გამოვლინებას. და ეს სიმძაფრე ბადებს მასში საგნებისა და მოვლენებისადმი კონტრასტულ, პარადოქსულ, ხშირად ალოგიკურ პოეტურ დამოკიდებულებას. იგი ეძიებს დაკარგულ რწმენას და დაკარგულ ჭეშმარიტებას; ზოგჯერ ეჩვენება, თითქოს მისწვდა მათ, მაგრამ მალევე უარყოფს და კვლავ წინ მიიწევს, და ამ ძიებით მიილტვის პოეტი იმ აბსოლუტური და ერთიანი, ყველგანმყოფი ჭეშმარიტებისაკენ, რომლის წვდომა ალბათ შეუძლებელიცაა; წვდომა შეუძლებელია, მაგრამ თვით მისკენ სწრაფვა აქცევს კაცს კაცად. და ეს ძიებაც უდიდეს სატანჯველსა და მსხვერპლს მოითხოვს: „მე მესმის შენი, ბრწყინვალედ მესმის — შეუცნობელის გვიაფრავს ძახილი! მაგრამ რას ვიზამთ, არ შეიძლება, იმ შზაფრავ ძახილს რომ არ ვუსმინოთ და რომ არ დავყვეთ მის ნება-სურვილს... მე მესმის შენი, ბრწყინვალედ მესმის — გაჭიმულია სივრცე იმგვარად, როგორც... უფსკრული? დაიმახსოვრე — როგორც უფსკრული! შენ ის მათხარი, თუ შეგიძლია მისი გაზომვა? გადაფრინდები უფსკრულში თავით?"

ჭეშმარიტების ძიებაში პოეტი მარტოა თავის თავთან, თავისსავე თავში ღრმად ჩაძირული და მარტოსული. ეს მარტოსულობა მას აკავშირებს კიდეც და აშორებს კიდეც გარე სინამდვილესთან. იგი ფსიქოლოგიურად ყოველდღიურ თანამგრძნობელი და თანამოაზრეა, რაც მის შიგნით და რაც მის გარეთ ხდება. ეს გარემოება მის თვალში უცვლელ ფორმებს სახავს; და თქვენ გრძნობთ, თქვენს წინ დგას ქრისტიანი კაცი (ამ სიტყვის არა დოგმატიკური, არამედ უფართოესი მნიშვნელობით). მ ა რ ი ა მ ი მისთვის მარტო უმიწოებისა და სიწმინდის განსახიერება როდია, არამედ უმაღლესი ჭეშმარიტებისა და სამართლიანობის სიმბოლოც არის. ამ სამართლიანობის სინათლით არის გარემოსილი მისი ლექსები: და ეს სინათლის წყარო მზე არის არა ხილული მზე, არამედ შინაგანი, „ჭეშმარიტი მზე", ამ მზემ უნდა გაანათოს კაცობრიობის მომავალი.

ასე წარმოგვიდგება ზოგადად პარუირ სევაკის პოეტური სახე.

* *

ერთხელ უკვე ვთქვი, რომ სევაკი რთული პოეტია. და მისი ლექსების მთარგმნელი [illegible] დიდი სიძნელის წინაშე დგას. თავი რომ დავანებოთ ლექსის გარეგნულ ფორმას (სევაკი უმთავრესად ვერლიბრით წერს, რომლის რიტმის „გადმოტანაც" რთულია), მისი მეტაფორულ-პოეტური აზროვნება არის უდიდესად უცხო და თავისებური. მთარგმნელი ღრმად

ჩაიწვდა ხევაკას როგორც სტილს, მის მთლიან საავტორო ფორმას, ისე მისი პოეზიის ფილოსოფიას, ზოგად მსოფლმხედველობას. ხევაკის ლექსების თარგმნას კიდევ ის ამნელებს, რომ მისი ყოველი სიტყვა ზუსტია და კონკრეტული მისამართი აქვს, ეს კონკრეტულობა ზოგად მსოფლმხედველობაში გადადის, ხოლო ზოგადი კონკრეტულობას ემორჩილება. ეს სიძნელე, სხვა მრავალ სიძნელესთან ერთად, დაუძლევია მთარგმნელს და კიდევ ერთი კარგი თარგმანით გამდიდრდა ქართული პოეზია. ქართულ თარგმანში იგრძნობა ხევაკის უმკაცრესი სტილი. ხევაკა გონების პოეტია. ვგულისხმობ არა ჩვეულებრივ ინტელექტუალიზმს (ეს თავისთავად იგულისხმება), არამედ მთელი არაცნობიერი და გრძნობადი სამყაროს ისე გამინაგნებასა და გაცნობიერებას, როცა ყოველაფერი მკაცრ ლოგიკასა და გონების რაციონალიზმს ექვემდებარება. მაგრამ ეს არ გამორიცხავს მისი ლექსების ემოციურ-გრძნობადობას. ესეც გაუთვალისწინებია მთარგმნელს. ხევაკას „ქართული ლექსი" არის სადა, დაურვებული გრძნობებს, ოდნავ აწეული ინტონაციისა და დინჯი, დარბაისლური რიტმის მქონე, რაც ფილოსოფიურ-მედიტაციური ლირიკისათვის აუცილებელია. რიტმის სისადავესა და დარბაისლობას ხელს უწყობს ისეთი სიტყვებისა და სიტყვათა ჯგუფების შეთანაწყობა, რომლებიც ქმნიან მკაცრ პოეტურ მეტყველებას. სხვაგვარად შეუძლებელიც იყო. მაგრამ აქვე უნდა აღვნიშნო ის სტილისტური შეუსაბამობა, რაც ხელოვნურ დაღს ასვამს თარგმანს. ხევაკა, როგორც ვთქვი, მოაზროვნე პოეტია და აღარ საჭიროებს ზედმეტ გალამაზებასა და გაესთეტიკურებას. ამით თუ დავაკნინებთ მისი პოეტური აზრის მნიშვნელობას, თორემ ახალს არაფერს შევმატებთ. მთარგმნელს ზოგჯერ ღალატობს ზომიერების გრძნობა, როცა ხევაკას სტილს ადგილ-ადგილ პათეტიკურ ზეაწეულობას ანიჭებს; მაგალითად: იგი ხშირად ხმარობს სიტყვა „მრუმეს", იქაც კი, სადაც იგი არაა საჭირო. ისეთი სიტყვა, როგორიც არის „მრუმე", ხშირი ხმარებით იცვითება და კარგავს თავის აზრობრივ-ემოციურ და სიმბოლურ-ალეგორიულ მნიშვნელობას. ასევე ხშირად მიმართავს მთარგმნელი სიტყვებს — „ვითარცას" და „რამეთუს". არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ხევაკა თანამედროვე პოეტია და მისი სტილისათვის უცხოა ასეთი მოდიფიცირებული ქართული სიტყვები. რა თქმა უნდა, არის ტექსტი, სადაც „ვითარცას" ნაცვლად სხვა სიტყვას ვერ ჩასვამთ, მაგრამ უფრო ხშირად ეს სიტყვები მექანიკურად არიან ჩართულნი თარგმნილ ტექსტში, ხშირად გვხვდება ხელოვნური, „გალამაზებული" სტილი. ეს განსაკუთრებით შეინიშნება წიგნის პირველ განყოფილებაში („აქმესის ნათელი"). მართალია, აქ შესული ლექსები რელიგიური მოტივებით არის შეპირობებული, მაგრამ მით უფრო მეტ უბრალოებას მოითხოვდა ისინი. ზეაწეულობა აზრის სიღრმეში უნდა ვეძიოთ და არა გარეგნულ პათეტიკაში. მაგალითად: „რადგან ჯერ ვცხადა თქვენთაგანი მიყვარს და მერმე ყოველთა შემდგომ — საკუთარი თავიც... აგრეთვე!" „...ჩვენც ისევე — ვით ოკეანეს — ხელგვეწაფების თვით განწმენდა", „რომლის დაჭერა ხელეწიფების". საერთოდ სიტყვა „შემდგომ" სტილიზებულია და ხელოვნური იერი დაჰკრავს. ასევე არ შეესაბამება „მთოვარე" ხევაკის თანამედროვე სტილს. მთარგმნელი რამდენიმე ადგილას ისეთ მიმართვით ფორმებს იყენებს, რაც, ჩემი აზრით, არღვევს ხევაკის მკაცრ სტილს. ასეთებია: „სასიმარტოვთილა თქვენ აგიხდეთ, ჩემო კარგებო..." „ცრემლის გორგალი მჩრია ყელში, თქვენ... გენაცვალეთ!" ცუდი სტილია „აღთქმას ვდებ, აღთქმას, დავიწყება მისი ვერ..." „ამ სურნელით რომ შემომემესხრო". მართალია, ხევაკასათვის დამახასიათებელია მიურიდებელი თვითგამოხატვა თავისი განცდებისა და აზრებისა, ზუსტი სიტყვიერი ერთეულების მიხმობა, მაგრამ მთარგმნელი რამდენიმე ადგილას მიმართავს გამოხატვის ისეთ საშუალებს, რითაც კარგავს ზომიერების გრძნობას და პოეტური მეტყველების კლასიკურ განცდას. ასეთებია: „მაგრამ გეისწორებს გახურებულ ტვინის ხუჭუჭებს!.." „და წყვილი ყური — ხორბლისფერი ხუჭუჭა ხორცი".

ასეთია უმთავრესად ჩემი შენიშვნები.

## საფო, ლირიკა, თბ. უნივ-ტის გამ-ბა, 1977

საფო ძველი ანტიკური (კერძოდ ბერძნული) სამყაროს ერთ-ერთ უდიდეს პოეტთა შორის არის შერაცხული. მის პოეზიის საოცრებათა შორისაც კი მოიხსენიებდნენ ძველი ბერძნები. 1977 წელს თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობამ გამოსცა საფოს სრული ტექსტის (იგულისხმება ჩვენამდე მოღწეული ტექსტის) ქართული თარგმანი, შესრულებული ნანა ტონიას მიერ. წიგნს ახლავს მეცნიერულად აღჭურვილი აპა-

რატურა: შესავალი წერილი, ძირითადი ტექსტი (როგორც ბერძნულ, ასე ქართულ ენაზე), ახალი და ძნელად გასაგები ფრაგმენტები, ძველი ბერძენი ავტორების ბიოგრაფიული ცნობები საფოს შესახებ, კომენტარები, ბიბლიოგრაფია. შესავალ წერილში ვრცლად არის განხილული საფოსდროინდელი საბერძნეთის ისტორიულ-პოლიტიკური და სოციალურ-კულტურული წინამძღვრები და თვით საფოს პოეზია, თავისი ღრმა ინდივიდუალობითა და სპეციფიურობით. მთარგმნელი, როგორც შესავალი წერილიდან ჩანს, კარგად იცნობს ძველბერძნულ ვერსიფიკაციასა და პოეტიკას, რაც, რა თქმა უნდა, ხელს უწყობდა მას საფოს ლექსების ზუსტად თარგმნაში. და მართლაც, თარგმანი კარგად არის შესრულებული. ქართულ ტექსტს, როგორც აღვნიშნეთ, წინ უძღვის ბერძნული ტექსტი, რაც ძველბერძნული ენის მცოდნეს საშუალებას აძლევს თვალსაჩინოდ შეამოწმოს თარგმანის სიზუსტე და ღირსება-ნაკლოვანებანი. ბერძნული ორიგინალის გადმოსაცემად მთარგმნელს მიუგნია ისეთი ქართული საზომებისათვის და რიტმებისათვის, რომლებიც მაქსიმალურად გადმოსცემს საფოს პოეზიის თავისებურებასა და მრავალფეროვნებას, რადგანაც ზუსტად ბერძნული მელიკური საზომების ქართულ ლექსში გამოყენება შეუძლებელია. აქვე უნდა ითქვას, რომ თარგმანს აძნელებს საფოს ლექსების ფრაგმენტულობა (ზოგჯერ სტრიქონში ერთი სიტყვაა დარჩენილი) და სტრიქონში დარჩენილი ერთი ან ორი სიტყვაც კი პოეტური ღირებულებისა უნდა იყოს მთლიანი პოეტური კონტექსტის გასააზრებლად. ესეც მიღწეულია თარგმანში. მთარგმნელი, შესანიშნავად ფლობს ქართულ პოეტურ ენას (მას ზომიერად შეაქვს თარგმანში ძველქართული ჰიმნოგრაფიული პოეზიის რიტმული და სტილისტურ-ენობრივი სტრუქტურები). მთარგმნელის პოეტური ენა მსუბუქია, ნათელი. ამის დასტურად მოვიყვანთ ორ მაგალითს:

„თქვენ გევედრებით, კიპრიდავ და ნერეიდებო,
შეაძლებინეთ ბედნიერად შინ დაბრუნება
ჩემს ძმას და რაიც სანატრელი გამხდარა მისთვის,
უქციეთ ცხადად.
თუ რამ შესცოდა, ყოველივე გამოისყიდოს.
რომ სახარული მოუტანოს მეგობართ მისთა.
მტერთ კი მიუზღოს მაგიერი, [illegible] წილ
ვით [illegible]".

ან, სულ სხვანაირი რიტმით შესრულებული თარგმანი:

„მიგაბარებენ სამარეს ოდეს, სახელი შენი წარიხოცება უმალ
აღარ ეზიარე რამეთუ ვარდთა წარმოზრდილთა პიერიიდან.
ასე იდუმალ ბნელი ჰადესის სამყოფელში ჩანასახლდება,
უსხეულო და უცხო ლანდების გარემოცვაში იბორიალებ".

ასეთი წიგნების გამოცემით თბილისის უნივერსიტეტის „ბერძნულ-ლათინური ბიბლიოთეკა" (თავმჯდომარე აკაკი ურუშაძე) დიდ და მნიშვნელოვან საქმეს აკეთებს ძველი ბერძნული მხატვრული ლიტერატურის უშუალოდ შესწავლაში. ამის ერთი დადასტურებაა საფოს „ლირიკა".

## გვიამბობს მოხუცი ჰომეროსი, „ნაკადული"*, 1978

ქართველი ერის დაინტერესებულება ჰომეროსისადმი ჯერ კიდევ ძველ საუკუნეებიდან იწყება, ჰომეროსის სახელი დასტურდება VI—VII საუკუნის ძეგლებში. ითარგმნებოდა მისი პოემების ფრაგმენტები და ჰომეროსის სახელი უდიდეს პოეტთა შორის იყო შერაცხული. და მაინც, ამ მსოფლიო გენიოსთან მისასვლელი გზები ჩვენს საუკუნემდე თითქმის ჩაკეტილი აღმოჩნდა (ამის უმთავრესი მიზეზი საქართველოს ისტორიულ-პოლიტიკური გარემოება იყო). დაგვიანებით, მაგრამ მაინც გაიხსნა ეს გზა. ფაქტიურად საქართველოში ახლა იწყება ჰომეროსის მეცნიერულ-პროფესიონალური შესწავლა და თარგმნა. ამის საუკეთესო დასტური იყო 1975 წელს გამომცემლობა „ნაკადულის" მიერ გამოცემული „ოდისეას" პროზაული თარგმანი, შესრულებული ჩვენი პროფესიონალი მთარგმნელების —

ზურაბ კიკნაძისა და თამაზ ჩხენკელის მიერ. როგორც ცნობილია, ფაქტიურად ამ თარგმანით გაეცნო ქართველი მკითხველი „ოდისეას" სრულ ტექსტს (არსებობს „ოდისეას" პ. მერაბიშვილისეული პოეტური თარგმანიც, რომელიც გამოსაცემად აქვთ გამზადებული).

ახლახან ჩვენს ხელთ არის კიდევ ერთი ახალი წიგნი — „გვიამბობს ძველი ჰომეროსი", სადაც „ილიადას" შინაარსია გადმოცემული. წიგნში პოეტურ თარგმანს ენაცვლება პროზაული ნაწარმოები. თარგმანი ეკუთვნის ცნობილ ლიტერატურისმცოდნესა და მთარგმნელს რომან მიმინოშვილს. ამ გამოცემას თავისი განსაკუთრებული დანიშნულება აქვს. ანოტაციაში ვკითხულობთ: „ჰომეროსი მოგვითხრობს ტროის ომის უკანასკნელ მეათე წელს მომხდარ ამბავს — აქილევსის რისხვას და მის მძიმე შედეგს. წიგნში გადმოცემულია გენიალური „ილიადას" შინაარსი. მხატვრულ პროზას ენაცვლება პოეტური ფრაგმენტები. წიგნი განკუთვნილია ახალგაზრდობისათვის". მაგრამ ეს ოდნავადაც არ ამცირებს წიგნის მნიშვნელობასა და დანიშნულებას, რადგანაც წიგნი წარმოადგენს „ილიადას" პირველ პოეტურ თარგმანს (თუ მხედველობაში არ მივიღებთ პ. მირიანაშვილის მიერ თარგმნილ „ილიადას", რომელიც ფრანგულიდან არის შესრულებული). გარდა ამისა, წინასიტყვაობაში ვკითხულობთ, რომ წიგნი საშუალებას გვაძლევს „პოემის მთელი შინაარსის აღქმისა". იგი საკითხავ წიგნად არის განსაზღვრული და ამიტომ ახლავს მას მცირე კომენტარები, რისი გაზრდაც აუცილებელი იქნება „ილიადას" სრული პოეტური ტექსტის გამოცემისას (ეს ალბათ გათვალისწინებული ექნება მთარგმნელს).

„ილიადას" მთარგმნელი რთული ამოცანის წინაშე იდგა: ბერძნული დაქტილური ჰექზამეტრით ეთარგმნა იგი თუ ქართული რომელიმე ლექსის საზომში შეერჩია. მან მეორე გზა აირჩია და ვფიქრობთ, სწორადაც, რადგანაც თოთხმეტმარცვლიანი ლექსი ბუნებრივი და თვისებრივია ქართული ლექსთწყობისათვის (ამ საზომით წერდა თავის შედევრებს ბარათაშვილი და როგორც ცნობილია, სწორედ ამის გამო აირჩია მაჩაბელმაც იგი შექსპირის ტრაგედიების სათარგმნელად). მთარგმნელს დაუძლევია ურთულესი სიძნელეები, ქართულ ენაზე მივიღეთ კარგი წიგნი „ილიადისა". იგი ყველას ერთნაირად გაახარებს. ფაქტიურად ეს არის პირველი წიგნი, რომლითაც ქართველი მკითხველი გაეცნობა ამ უკვდავი პოემის შინაარსსა და ჰომეროსის გენიალობას.

## არისტოფანე, „ფრინველები"; „ხელოვნება", 1878

არისტოფანეს „კომედიის მამა" უწოდეს და იგი საუკუნეების მანძილზე ატკბობს ადამიანებს თავისი ღვთაებრივი ნიჭითა და შემოქმედებით. მისი ნაწარმოებებში დაუნდობლად ამხელდა ადამიანთა მანკიერებას და სამზეოზე გამოჰქონდა მათი ფარისევლური თვისებები; მისი სატირის მსხვერპლი თვით სოკრატეც კი შეიქმნა. არისტოფანეს, როცა ადამიანებს აკრიტიკებდა, სიკეთე სურდა მათთვის და ამიტომ გაისმის მის კომედიებში კეთილსურვილის ტონი, ვიდრე გმობა და მიუტევებლობა ადამიანთა მიმართ. არისტოფანეს გავლენას განიცდიდნენ საუკუნეთა მანძილზე დიდი მწერლები და მოაზროვნეები (რაბლე, გოეთე და სხვ.).

მისი შემოქმედებიდან ერთ-ერთ გამორჩეულ კომედიად მიჩნეულია „ფრინველები", რომლის ქართული თარგმანი შესრულებულია ქეთარ კვიტაიშვილის. კომედიაში სიმბოლიზირებული სახით გადმოცემულია ადამიანთა არასრულქმნილება, არასრულყოფილება ფრინველთა სამყაროსთან შედარებით. როგორც კომედიის მოთხრობიდან ირკვევა, ფრინველები ღმერთებზე ადრე არიან გაჩენილნი და უფრო ღვთაებრივნი არიან, ვიდრე თვით ღმერთები. ისინი ცხოვრობენ თავიანთი ბუნებრივი კანონებით და ბუნებრივი სილამაზითა და ურთიერთობებით. მათი ცხოვრება ჰარმონიულია და სრულქმნილი. მაგრამ, როგორც კი შეიჭრა მათს ცხოვრებაში ადამიანი, მაშინვე დაირღვა მათ შორის ჰარმონია. ამას დიდის სიზუსტითა და სიცხადით გადმოგვცემს არისტოფანე. პიესა თარგმნილია შესანიშნავი ქართულით, გათვალისწინებულია მისი ვერსიფიკაციული და რიტმულ-ინტონაციური თავისებურებანი და მრავალფეროვნება. რიტმთა და მეტრთა ხშირი მონაცვლეობა დიდ სალექსო ოსტატობას მოითხოვდა, რასაც კარგად ფლობს მთარგმნელი. ეს მონაცვლეობა პოლიფონიურს ხდის კომედიის კომპოზიციურ და შინაარსობრივ მდინარებას.

ქართველმა მკითხველმა კიდევ ერთი კარგი წიგნი მიიღო.

□

# მერაბ ბერძენიშვილი



# 50

დიდხანს დარჩება მრავალი ჩვენგანის მეხსიერებაში მშვენიერ მოგონებად 10 ივნისი — მერაბ ბერძენიშვილის დაბადების დღე, როცა მისი სახელოსნოსაკენ დაიძრა დიდძალი ხალხი — მოწვეულნი და დაუპატიჟებელნი, მეგობარნი და უცხონიც, — რათა ერთხელ კიდევ შეევლოთ თვალი საყვარელი შემოქმედის ქმნილებებისთვის, ერთხელ კიდევ ზიარებოდნენ იმ სიმაღლეს, რასაც დიდოსტატებთან შეხვედრა განგვაცდევინებს ხოლმე. იგი კი იდგა სახელოსნოს კარებთან, ეზოში, მეგობრებით, თაყვანისმცემლებით, ღია ცისქვეშ დადგმული მისივე ქანდაკებებით გარემოცული. იდგა მომღიმარი, შემართული, იერითა და სულით მონათესავე იმ თავისი სიძერწე გმირებისა, რომლებიც ასე შეიყვარა საქართველომ. გვიან ღამემდე არ ჩამქრალა შუქი იმ დღეს მხატვრის სახელოსნოსა და ეზოში. სხვადასხვა ასაკის პროფესიისა და გემოვნების ადამიანები მოიყვანა აქ ნამდვილი ხელოვნების სიყვარულმა. ჭეშმარიტად სახალხო მხატვარი ეგებებოდა სტუმრებს...

ჩვენმა მწერლობამ იმთავითვე ირწმუნა ნიჭიერება მოქანდაკისა, რომლის შთაგონების ერთ-ერთი წყარო ქართული ლიტერატურაც იყო. ან კი როგორ იქნება ქართველ მწერლებს არ უყვარდეთ კაცი, რომლის შემოქმედების განუშორებელი თემა მეოთხედი საუკუნის მანძილზე რუსთაველის სახეა. რუსთაველის ქანდაკებით მოვიდა იგი მონუმენტურ ხელოვნებამდე — რუსთაველი იყო მისი სადიპლომო ნაშრომი, უფრო გვიან მისეული რუსთაველის ძეგლი დაიდგა მოსკოვში, ბოლშაია გრუზინსკაიაზე სკვერში. შემდეგ — კონკურსი რუსთაველის ძეგლზე. უკვე სხვანაირად გაგებული, დანახული მგოსანი — არა რომანტიკული ჭაბუკი, არამედ დაღვინებული კაცის ნააზრევი. ოღონდ ნიშანდობლივია, რომ დღესაც ისევე გატაცებულია რუსთაველის სახის შექმნის იდეით, როგორც სიჭაბუკის ჟამს იყო.

სრულიად ახლებურად გაიაზრა მერაბ ბერძენიშვილმა გურამიშვილის სახე. ეს არის ძეგლი, მიძღვნილი მრავალტანჯული მგოსნის ხსოვნისადმი. ეს არის შემოქმედის სულის სიღრმეთა უზუსტესი და უფაქიზესი წვდომა. ქართული ხელოვნების მრავალსაუკუნოვანი ტრადიციების გამაგრძელებელი ეს ნამუშევარი ქართული ქანდაკების ერთი უბრწყინვალესი ნიმუშია.

მერაბ ბერძენიშვილის პლასტიკა მკაფიოა, დაძაბული, ასევე მკაფიო, უკომპრომისო შინაგანი ბუნების პიროვნებებს ირჩევს მეტწილად გამოსაკვეთად. პლასტიკა, ფორმა და სულიერი პლანი მისი გმირებისა იშვიათ ჰარმონიაშია. ამითაც იყო ალბათ შეპირობებული, რომ ასპარეზზე ახალგამოსული მოქანდაკე ასეთი რომანტიკული გატაცებით შეეჭიდა ვახტანგ გორგასალს — არა ბრძენ ხელმწიფეს, ბრძოლებში დახელოვნებულ სარდალს, არამედ შემართულ, ბეჭბრტყელსა და წელწვრილ ჭაბუკს, ლაღად რომ ამხედრებულა [illegible] სახეზე ნათელი დასთამაშებს. ამ ქანდაკებას მრავალმა მნახველმა და უფრო [illegible] ავტორმაც გორგასალში უპირველეს ყოვლისა ქართველი მამაკაცის სილამაზისა და რაინდობის კრებითი სახე დაინახა, ხოლო რომანტიკული იერით იგი რუსთაველის ავთანდილს დაუკავშირა.

უფრო გვიან ხანაში შესრულებული „მედეა“, „გიორგი სააკაძე“ და სხვანი ტრაგიკული სიმძაფრის მატარებელი ქმნილებებია. მათში ჩანს, რომ გარდასულ დროთა ღელვა, წარსულის გმირთა განცდები ახლობელია და მტკივნეული მოქანდაკისთვის. ჩვენს თვალწინ გაივლის საუკუნეები საქართველოს ტრაგიკული ხვედრ-ბედისა, და გაოცებს, რომ შორეულ საუკუნეთა მცხოვრები ადამიანის განცდა და ვნებები ისევე ახლოა მერაბ ბერძენიშვილისათვის, როგორც თანამედროვეთა ბედი. მკვეთრად გარკვეული ისტორიულ ვითარებაში, ამა თუ იმ პერსონაჟის შეფასებაში, მოქანდაკე მცირე დეტალით მაინც მიგვანიშნებს მისეულ ხედვას, მისეულ შეფასებას გმირისას. ამიტომაა, რომ მერაბ ბერძენიშვილის მედეა, ბიჭვინთის კონცხზე შავი ზღვის პირას ტალღასავით რომ აზიდულა, შვილებს კი არ კლავს, არამედ იფარავს განსაცდელისაგან. ამიტომაა, რომ მისი გიორგი სააკაძე, ამხედრებული, ქართლის ველებს რომ გადაჰყურებს მრისხანედ, უზარმაზარი განცდების დამტევი ტრაგიკული ბედის პიროვნებაა.

მერაბ ბერძენიშვილის თაობას სამამულო ომში მონაწილეობა უშუალოდ არ მიუღია, ომის სიმძიმეს კი შეესწრო და განიცადა. ამიტომაც არის, ალბათ, რომ სამამულო ომისადმი მიძღვნილი მისი ნაწარმოებები საოცრად ამაღელვებელნი არიან. მათში თემა არასოდეს არ არის პირდაპირ გახსნილი, ისინი განზოგადებული, უმაღლესი მხატვრული ღირსებების მქონე ქმნილებებია; პლასტიკური ფორმა და იდეა ამ ქანდაკებებისა ერთმანეთს შეერწყმის და მაღალი იდეალებისკენ მოგვიწოდებს. ამის უბრწყინვალესი მაგალითია მემორიალი მარნეულში, რომელსაც მხატვარმა სიმბოლურ ეპიგრაფად წარუმძღვარა ნაწყვეტი ხალხური ლექსისა „კაცებიც დაიზრდებიან“... ალგეთის მინდვრებზე გადმომდგარი მწუხარე ქალი მნახველისათვის საქართველოა, მამისეულ ხმალს შეჭიდებული ორი ბიჭუნა კი რწმენაა, სიმბოლო მისი გამარჯვებისა.

უტყუარი მხატვრული წვდომის შედეგია გურჯაანში სამამულო ომის მემორიალის ძირითად ფიგურად გამოსახული ჯარისკაცის მამა. ფილმის გმირი ომის გმირის ნაცვლად, ესევე მხატვრული განზოგადება ისევე ზემოქმედებს მნახველზე, როგორც იმოქმედებდა ალბათ, უშუალოდ ომის მონაწილე გმირიც.

ომის თემისადმი მიძღვნილი აგრეთვე დიდი მემორიალი, ქუთაისში რომ იდგება, სამამულო ომის სიუჟეტი გაგებულია როგორც ზოგადი და მარადი იდეა კეთილი და ბოროტი ძალების ბრძოლისა, სადაც სიკეთე, სამართლიანობა, ადამიანურობა იმარჯვებს.

მერაბ ბერძენიშვილის ქანდაკებები საქართველოს სხვადასხვა კუთხეშია აღმართული. თბილისში, ქალაქის პეიზაჟში ორგანულად ჩაიწერა მისი „მუზა“, რომლის ნარნარი სილუეტი კიდევ უფრო კარგად გამოჩნდა ფილარმონიის მიმდებარე ტერიტორიის რეკონსტრუქციის შემდეგ.

მონუმენტური ქანდაკების დიდოსტატი ჭეშმარიტად ახალ გზებს კვალავს თანადროულ ქართულ ქანდაკებაში. მისი ღვაწლი დაფასებულიც არის — იგი საქართველოს სახალხო მხატვარია, რუსთაველისა და საბჭოთა კავშირის სახელმწიფო პრემიების ლაურეატი, იგი არის ქართველი ხალხის ერთ-ერთი წარმომადგენელი ჩვენი ქვეყნის უმაღლეს საკანონმდებლო ორგანოში — საბჭოთა კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატია.

მიუხედავად იმისა, რომ მერაბ ბერძენიშვილის ცხოვრების მიზანი, მისი საყვარელი გატაცება — ქანდაკებაა, მისი ნიჭის მრავალმხრივობა იმითაც მჟღავნდება, რომ მან ხელოვნების თითქმის ყველა დარგს მოუხადა ხარკი. მას აქვს მშვენიერი გრაფიკული სერიები, ასურათებს წიგნებს, განსაკუთრებული სიყვარულით — საბავშვო ლიტერატურას; მერაბ ბერძენიშვილმა სხვა ქართველ მხატვრებთან ერთად საფუძველი ჩაუყარა თანადროული ქართული პლაკატის აღორძინებას. მის მიერ გაფორმებული საბავშვო სპექტაკლებიც მაღალი ხელოვნების ნიმუშია.

ახლობლები მერაბ ბერძენიშვილს იცნობენ როგორც ენამზე მოუბარს, იმიტატორს; სპორტის, მუსიკის, პოეზიის მცოდნესა და ტრფიალს. მაგრამ ალბათ, ძალიან ცოტა ვინმემ თუ იცოდა, რომ მერაბ ბერძენიშვილი კიდევ ერთ მუზას ემსახურებოდა: გამომცემლობა „საბჭოთა საქართველომ“ მხატვრის დაბადების დღისათვის დასტამბა პატარა წიგნი „ზარი“. ამ წიგნში მერაბ ბერძენიშვილი მოგვითხრობს თავისი ცხოვრების ზოგიერთ ეპიზოდს, რაც თავს გარდახდა, გვაცნობს იმ პიროვნებებს, ვინც მას შეხვედრია, გვიამბობს თავის ქანდაკებებზე. ამ წიგნმა კიდევ ერთი წახნაგით წარმოაჩინა ნიჭიერება და ოსტატობა ჩვენი დროის დიდი ხელოვანისა.

ჟურნალ „საუნჯის“ რედაქცია, სარედაქციო კოლეგია, მისი მკითხველები გულითადად ულოცავენ მერაბ ბერძენიშვილს დაბადების 50 წელს და უსურვებენ დღეგრძელობას და მომავალ დიდ გამარჯვებებს.

□

მთავარი რედაქტორი
შოთა ნიშნიანიძე

პ. მგ. მდივანი
ნანა დარჩია

სარედაქციო კოლეგია:
მზია ბაქრაძე
ბაჩანა ბრეგვაძე
გურამ გოგიაშვილი
მაგალი თოდუა
ნოდარ კაკაბაძე
მიხეილ კვესელავა
ზურაბ კიკნაძე
ვახუშტი კოტეტიშვილი
რომან მიმინოშვილი
ოთარ ნოდია
ნიკო ქიასაშვილი
თამაზ ჩხენკელი
დავით წერედიანი

«САУНДЖЕ»
литературно-художественный альманах
на грузинском языке
№ 6
1979

Главная редакционная коллегия художественного перевода и литературных взаимосвязей
Тбилиси
улица Шалвы Дадиани, 2

ეროვნული ბიბლიოთეკა

გარეკანზე: მერაბ ბერძენიშვილი. „კიდევაც დაიზრდებიან...“

მხატვრული რედაქტორი ლ. ცუცქირიძე. მხატვარი ა. ვართაგავა. ტექრედაქტორი რ. იმნაიშვილი

გადაეცა წარმოებას 30/XI-79 წ. ხელმოწერილია დასაბეჭდად 30/XII-79 წ. ქაღალდის ზომა 70×108 1/16. სააღრ. საგამომც. თაბახი 19,35. ნაბეჭდი თაბახი 21. ტირაჟი 10.000. შეკვ. № 1327.

ფასი 1 მან.

საქართველოს სსრ გამსახკომის საგამომცემლო-პოლიგრაფიული გაერთიანება „განათლების“ კომბინატი. მარჯანიშვილის ქ. № 5.

Комбинат издательско-полиграфического объединения «Ганатлеба» Госкомиздата Грузинской ССР, Тбилиси, ул. Марджанишвили, 5.



სალომე მხეიძე. „დედობა“.
12 წ., 163-ე საშ. სკ.



ეკა ებანოიძე. „აფრიანი ხომალდი“. 13 წ., 1-ლი საშ. სკ.



მაგულია ოქროპირიძე. „ზამთარი“.
7 წ., 85-ე საშ. სკ.



დათო ქურცხალია. „ხე“. 15 წ., 53-ე საშ. სკ.



ნანა ფერაძე. „იმერული პეიზაჟი“. 10 წ., ზესტაფონის 1-ლი საშ. სკ.



სერგო კალაძე. „ფისო“.
6 წ., 99-ე საშ. სკ.

76132



გოჩა პაპიაშვილი. „ირემი".
14 წ., თოიძის სამხატვრო სასწ.



ნინო გვენცაძე. „თივის აღება".
10 წ., 1-ლი საშ. სკ.



ჟანანა გუნია. „ჩემი უფროსი დაიკო". 6 წ.



ეკა ებანოიძე. „პეიზაჟი". 13 წ., 1-ლი საშ. სკ.